ანნა კუზნეცოვა

ორი მოთხრობა

„ნაკადული“, თბილისი, 1988

84 р 7—4
ѕ 878

ცნობილი რუსი მწერალი ქალის, აგნია კუზნეცოვას ნაწარმოებებიდან ქართულ ენაზე გამოსაცემად შევარჩიეთ ორი სხვადასხვა ხასიათის მოთხრობა:

„შენი სახლი" — ამ მოთხრობის სახელწოდება მხოლოდ დედამამისეულ სახლს ან სკოლას როდი მოგვაგონებს, იგი მოგვაგონებს იმ დიდ სახლსაც, რომელსაც სამშობლო ჰქვია. მოთხრობის გმირები არიან მეცხრეკლასელი მოზარდები, აგრეთვე მათი მასწავლებლები, რომლებიც ცდილობენ, თავიანთ აღსაზრდელებში გააღვიძონ ინდივიდუალურობა და დამოუკიდებლობა. მოთხრობაში აღძრული საკითხები აქტუალურია დღესაც.

„ბედის გრიგალთა ქროლა"... — ამ მოთხრობის სათაურად შემთხვევით არ არის გამოტანილი დიდი რუსი მწერლის, ა. ს. პუშკინის ლექსის სტრიქონი. მოთხრობის თემაა პუშკინის ეპოქა, ხოლო პერსონაჟებს შორის გვხვდებიან დიდი პოეტის ახლობლებიც. მოთხრობის მთავარი გმირია მწერლის, ა. კუზნეცოვას, შორეული წინაპარი, ყოფილი ყმა-გლეხი პეტრე კუზნეცოვი, რომელიც ყმობის მძიმე წლებშიც კაცურ კაცად დარჩა, არც სინდისისათვის უღალატნია და არც პირადი ღირსებისათვის.

დოკუმენტური მასალები, რაზედაც აგებულია ეს მოთხრობა, უფრო საინტერესოს ხდის მას მკითხველისათვის.

პირველი გამოცემა

თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ

© „ნაკადული", 1988

70803—84
К ——————— 45 — 88
М-603 (08)-88

ISBN 5—525—00025—3

ძველი სახლი

ქალაქში ყველაზე ძველი წაწვეტებულკოშკებიანი წითელი სახლი იდგა, რომლის ვიწრო ფანჯრები სვერდლოვის ქუჩაზე გამოდიოდა. სიძველე ამ სახლს გოთური არქიტექტურითაც ეტყობოდა და იმითაც, რომ ძველთაძველი, ბევრის მომსწრე და ახლა უკვე ჩამხმარი ბაღი ეკრა, ერთ დროს რომ ამ შენობის ჩრდილო მხარეს სქელ კედლად ეფარებოდა.

აქაურებმა იცოდნენ, რომ ოდესღაც ამ სახლში ცხოვრობდა გადამდგარი გენერალი — ასი წლის გამოყრუებული ბერიკაცი, 120 სხვადასხვა ჯიშის მწევარ-მეძებრის პატრონი; ახლა კი მის ყოფილ საძაღლეში გარაჟი გაემართათ, ხოლო ძველ სახლს, რომელიც შიგნიდან ხელახლა გადაეკეთებინათ და შეეკეთებინათ, ფერად-ფერადი ნათურებით მხიარულად გაბრწყინებული წარწერა ჰქონდა: „პ ი ო ნ ე რ თ ა ს ა ს ა ხ ლ ე“.

ოდესღაც წყნარ ქუჩას ახლა მოუსვენრობა შეჰყროდა. ეს იყო მხოლოდ, ძველებურად ზაფხულობით თხრილებს ბალახი და ბაბუაწვერა ედებოდა ხოლმე, ხოლო ზამთრობით — თოვლი ედო. სიცილი, ლაპარაკი, სიმღერა გვიან საღამოს თუ მიწყდებოდა, როცა ძველ სახლში სინათლე ჩაქრებოდა და ჩაკანგებული ფირფიტანა შტორები ფანჯარაზე ღრჭიალით ჩამოეშვებოდა.

ახლა, ზამთრის ამ ყინვიან ღამეს, ძველი სახლი ჩვეულებრივზე უფრო გვიანობამდე იყო სინათლით გაჩახჩახებული, ხოლო მისი

ფანჯრები მხატვარ ყინვას უცაბედი ნაყშებით შოეხატა. ფანჯრებში გამვლელ-გამომვლელი იცქირებოდა და კარგა ხანს შეჰხაროდა მორთულ, ტანწერწეტა ნაძვის ხეს.

ყინვა მძლავრობს. საახალწლო ზეცა შორეული ვარსკვლავების შუქით ბზინავს. მთვარე დიადად დაცურავს ცაზე და ისეთი კაშკაშა შარავანდედი ადგას, რომ ძნელი მისახვედრი არ არის, სიცივე ორმოცდაათ გრადუსზე მეტიც იქნება.

მაგრამ, აბა, რას დავმღგარვარო ფანჯარასთან და აქედან შევხარით ახალწლის ყინვიან ღამეს? მოდით, ავყვეთ ასფალტის კიბეს; დიდებულ ვესტიბიულში, დიდ სარკესთან საყელოებიდან ჩამოვიბერტყოთ ყინვის ვერცხლისფერი მტვერი, გავიხადოთ პალტოები და დარბაზში შევიდეთ...

პირველი თავი

ბომ!.. — ჩახრინწული ბანით მიესალმა ახალ, 1947 წელს ძველებური საათი. მისი ხმა ორკესტრმა ჩაახშო. პიონერთა ანსამბლმა საბჭოთა კავშირის ჰიმნი შეასრულა. ხმაშეწყობილმა სიმღერამ აავსო დარბაზი, ფანჯრიდან ქუჩაში გადაიჭრა და მხიარულად, უშფოთველად გაქროლდა ვარსკვლავებისაკენ ამ ყინვიან ღამეში.

ჰიმნი გაისმა თუ არა, ბევრ ბავშვს გაექცა მისალმებას მიჩვეული ხელი მაღლა, მაგრამ იმწამსვე დაბლა დაუცვივდათ. შეცბუნებულმა გოგო-ბიჭებმა ჩაიცინეს და მალულად მიმოიხედეს ირგვლივ: ხომ არავინ მოჰკრა თვალი ჩვენს შეცდომასო? სალუტი... წითელი ყელსახვევი — ეს ხომ უკვე წარსულს ჩაბარდა. ახლა პერანგებსა და კოფთებზე ლენინური კომკავშირის სადა ნიშნები უბრწყინავთ. ეს კი სიამაყით გავსებს, თუმცა, ცოტაოდენი ნაღველიც ურევია შიგ.

სცენაზე ახალგაზრდა ქალი გამოდის. იგი მასწავლებელია, აგრიპინა ფიოდოროვნა ფადეევა. მსუბუქი ნაბიჯებით, ღიმილით მივიდა რამპასთან და აგუგუნებული დარბაზი რომ დაემშვიდებინა, ხელი მაღლა ასწია, მერე ნაცრისფერი, ყურადღებიანი თვალებით დააკვირდა ბავშვებს და სიჩუმემ რომ დაისადგურა, მაშინღა ჩამოუშვა ხელი.

— გილოცავთ ახალ წელს, ჩემო მეგობრებო!

— თქვენც გილოცავთ, აგრიპინა ფიოდოროვნა! — ხმამაღლა შესძახა ცისფერკაბიანმა ქალიშვილმა, სცენასთან რომ იდგა. მისი სიტყვები მთელმა დარბაზმა გაიგონა.

აგრიპინა ფიოდოროვნამ თავი დაუქნია ქალიშვილს და კვლავ ხელი ასწია. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩემო მეგობრებო! — თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ. — ძველთაძველი ჩვეულების თანახმად საახალწლოდ სურვილების დაწერა ან გამოთქმა იციან ხოლმე. არ შინდა ვუღალატო ამ ჩვეულებას. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი კეთილი სურვილები.

მშობლიური ქვეყანა, კომკავშირი, სკოლა — აი თქვენი სახლი. მთელი სიღრმით, მთელი ჭეშმარიტებით შეიგრძენით კოლექტივის ძალა, კეთილშობილური ამოცანა — სიყმაწვილიდანვე ემსახურო საზოგადოებას. მაშინ მთლიანად გაერკვევით გორკის სიტყვების დიდებულ აზრში: „ადამიანი — ეს სიტყვა ამაყად ჟღერს“, და, ცხოვრებაში რომ შეაბიჯებთ, სწორედ გორკისეული სულიერი წყობის ადამიანები დადგებით.

ფხიზლად მოეპყარით საკუთარ თავს, ბევრი იფიქრეთ თქვენს საქციელზე, გამოიმუშავეთ თქვენში პატრიოტიზმის, პატიოსნების, შრომისმოყვარეობის, ადამიანის პატივისცემის მაღალი, კეთილშობილური თვისებები.

მე არ მინდა, რომ თქვენ შორის ქარაფშუტა ყმაწვილი ქალები და ჭაბუკები გამოერიოს, ვინც მხოლოდ ყოფითი წვრილმანებით ცხოვრობს: დღეს რომ ბაღში გაისეირნებს, ხვალ ახალ კაბას ჩაიცვამს, ეს არის და ეს.

გისურვებთ წარმატებით სწავლას, მარტო იმისათვის კი არა, რომ კარგი ნიშნებით თავი მოიწონოთ. კარგად ისწავლეთ, რომ ცოდნა შეიძინოთ, რათა მომავალში დიდი სარგებლობა მოუტანოთ თქვენს ირგვლივ მყოფთ. მონახეთ საყვარელი საქმე და მთელი თქვენი ახალგაზრდული სულიერი აღტყინებით ჩაუჯექით მას. დაე, ეს იყოს წიგნები, რადიო, საზოგადოებრივი სამუშაო, მებოსტნეობა, ტურიზმი. ამ საქმეში იპოვეთ სიხარული არა მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის, არამედ თუნდაც ჯერჯერობით მხოლოდ იმ სარგებლობისათვის, რასაც თქვენს ახალგაზრდა კოლექტივს მოუტანთ.

მე მინდა, რომ თქვენ ნამდვილად ჩვენი დროის ადამიანები იყოთ, ადამიანები, ვინც წინა თაობის ყოველივე საუკეთესო შეისისხლხორცა, რომ ჩვენ, პედაგოგებმა სიამაყით ვთქვათ: „ესენი ჩვენი მოწაფეები არიან!“ რათა კომუნისტებმა ამაყად თქვან: „ესენი ჩვენი კომკავშირელები არიან!“ და რომ ჩვენს სამშობლოს სიამაყით შეეძლოს თქვენზე განაცხადოს: „აი ესენი, ჩემი სახელოვანი ჭაბუკები და ქალიშვილები არიან!“

— რა სისულელეა! — ჩუმად წამოიძახა სტასია ნოჩკამ და მეგობარ გოგონასკენ დაიხარა. — ჩვენს საქციელზე ბევრი ვიფიქროთ მაშინ, როცა ორმოცი წლისანი გავხდებით, ჯერჯერობით კი ბაღებში ვისეირნოთ და ლამაზი კაბებით მოვიწონოთ თავი. რა არის ამაში ცუდი? ხომ ხედავ, თავად რა კაბა აცვია...

სტასიამ შურით შეავლო თვალი აგრიპინა ფიოდოროვნას სოსანისფერ კაბას, მხართან რომ შავი ხავერდის ვარდი ებნია.

— საერთოდ, ეგ მუდამ გამოპრანჭული დადის ხოლმე, — განაგრძობდა სტასია თავის მეგობარ ვერა სვერჩკოვასთან ლაპარაკს — თექვსმეტი წლისა ალბათ თვითონაც არ იყო ასეთი, ახლა კი ადვილია სხვისი გაკილვა...

ვერას თავი დაეხარა, დაბნეული სტასიასაც უსმენდა, აგრიპინა ფიოდოროვნასაც და თან რაღაც თავის საფიქრალსაც ფიქრობდა.

ვიღაც უცნობი გოგონა, მუხლებამდე რომ სცემდა ნაწნავები, სტასიასაკენ მიბრუნდა, შავი ხავერდოვანი თვალებით კარგად ახედ-დახედა და ჩაიჩურჩულა:

— ოჰ, არა ხართ მართალი! ძალიან კარგად თქვა, — ხმაზე დაეტყო, რომ ღელავდა.

სტასიამ გამომწვევი მზერით უპასუხა და მხრები აიჩეჩა — აქაოდა, ნეტა რას ეჩხირები, არც მიფიქრია შენთან საუბარიო. ვერა კი კვლავინდებურად დაბნეული იყო და ყურადღება არ შიუქცევია არც შავთვალა, ლამაზი გოგოსათვის და არც მისი სიტყვებისათვის. უცნობი გოგო კი აგრიპინა ფიოდოროვნას შესცქეროდა და დაძაბული უსმენდა თვითეულ მის სიტყვას, მაგრამ მალევე მოტრიალდა სტასიასაკენ და ცნობისმოყვარეობით, შურის ნატამალიც რომ არ დასტყობია, ისე დაუთვალიერა ახალი, ვარდისფერი კაბა, თეთრი ფეხსაცმელი, უკანასკნელ მოდაზე მაღლა ავარცხნილი თმა, სანდომიანი, ნაზი პირისახე და ნათელი ნაცრისფერი თვალები.

ორკესტრმა „ქალბატონი“ დააგრიალა და ყველა აფუსფუსდა. გოგო-ბიჭებმა ხელები ჩაჰკიდეს ერთურთს და ნაძვის ხეს შემოუარეს: ჯერ მარჯვნივ დაარტყეს პატარა წრე, მერე მარცხნიდან — დიდი წრე და მერე ბუქნით ისევ პატარა წრე.

— გაჩერდით! — დაიყვირა ერთ-ერთმა მოთამაშემ.

წრეში სახეატკრეცილი სტასია გამოვიდა. ხელში თეთრი, მაქმანიანი ცხვირსახოცი ეჭირა. მუსიკის ხმაზე მხარი აატოკა, თან იღიმებოდა და თან ჯავრი მოსდიოდა საკუთარ სიმორცხვეზე, მერე ფართოდ და თავისუფლად გაშალა ხელები და ცოტათი გვერდულად, ნარნარად დაუარა წრეს ქუსლების პაკაპუკით. ისეთი კარგი იყო ამ დროს, ისე გატაცებით ცეკვავდა, უნებლიეთ ყველამ თვალი მას მიაპყრო. მის მეწყვილეს, ქოჩორა ჭაბუკს, წრეში შესვლისთანავე სახე წამოენთო და გამოყეყეჩებულივით გაუხდა. მას კეთილსინდისიერად გამოჰყავდა ფეხებით მარჯვე ფანდები, ხელები კი ისე ჩამოჰკიდებოდა, თითქოს მუყაოსი ჰქონოდეს. მუსიკა მოულოდნელად შეწყდა და სტასიაც შეჩერდა. ალეწილ სახეს ცხვირსახოცით იგრილებდა, მერე, თითქოს რაღაც გაახსენდა და იმ აზრს გაუღიმაო, დარბაზიდან გავარდა. კარში ვიღაც. მაღალ, სამხედროფორმიან ჭაბუკს შეეჯახა, ყმაწვილი დააშტერდა გოგოს. სტასიამ სერიოზული სახე მიიღო, ფეხი შეანელა და მის გვერდით შეჩერდა, მაგრამ ჭაბუკმა გულგრილად იბრუნა პირი. სტასია კიბეზე ავიდა, გრძელი ცორიდორი გაიარა და ლიტერატურის კაბინეტში შევიდა, იქ შეკრებილი ლიტერატურული წრის წევრებისათვის ყურადღებარ მიუქცევია, ფანჯარასთან, ტყავის სავარძელში მოიკალათა და სახეზე დაჭმუჭვნილი ცხვირსახოცი მიიფარა.

ოდესღაც ლიტერატურის კაბინეტში გენერალ კერნის საწოლი ოთახი იყო. დიდრონი, მაგრამ ვიწრო, ოვალური ფანჯრები ჩრდილოეთითაც გადიოდა და სამხრეთითაც. ოთახის შუაგულში დიდი, მრგვალი მაგიდა იდგა. ბაცი შოკოლადისფერი ლინკრუსტებით მოპირკეთებულ კედლებზე მასიურ ჩარჩოებში ჩასმული კლასიკოსთა პორტრეტები ეკიდა: ტოლსტოისა, ლერმონტოვისა, დოსტოევსკისა, პუშკინისა, ტურგენევისა, კრილოვისა და გორკისა. კედლების გასწვრივ წიგნის კარადები იდგა. კაბინეტში სიხალვათე, ის კი არა და, სიცარიელეც იგრძნობოდა.

სტასიამ დაინახა, რომ მაგიდას რამდენიმე ადამიანი უჯდა. მაგ-

რამ ვინ იყვნენ ვერ გაარჩია. ძაგიდის ლამპა ცისფერი, ჩამოშვებული აბაჟურით იყო დაბინდული და ბეჟუტავდა. ნატაშა ვერშინინამ, ვერა სვერჩკოვამ და აგრიპინა ფიოდოროვნამ დაინახეს სტასია, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

მხოლოდ ვერა სვერჩკოვამ ჰკითხა ვიღაცას:

— ტირის?

სტასიამ გადაიძრო ცხვირსახოცი და ყველამ დაინახა, რომ გოგონა ტიროდა კი არა, იცინოდა.

ამ დროს კარმა გაიჯახუნა და კაბინეტში აქოშინებული ბორია ჩერნილინი შემოვარდა.

პატარა ტანის ბიჭი იყო, გამხდარი და ვიწრო მხრებიანი. თოთხმეტი წლისას ჰგავდა, ნამდვილად კი მეჩვიდმეტე წელში იყო.

— აი, თურმე სად ყოფილან! — გაოცებით გაშალა ხელები ჩერნილინმა, თუმცა, აქეთ რომ გამორბოდა, დარწმუნებული იყო, რომ სწორედ აქ იპოვიდა ვერასაც, აგრიპინა ფიოდოროვნასაც და სტასიასაც.

— ათი ნომერი ვისა აქვს? ან ორმოცდაექვსი ნომერი? — დაიძახა ბორიამ.

— მე მაქვს! — წამოიძახა აღელვებულმა სტასიამ, წამოხტა და შეეცადა ჩერნილინისათვის ხელიდან გამოეგლიჯა წერილი.

— დაიცა! — უთხრა ბორიამ სიცილით, ფეხის წვერებზე აიწია და ქაღალდიანი ხელი მაღლა, თავს ზემოთ აიქნია, რადგან სტასია მასზე მაღალი იყო და შეეძლო წერილის ხელიდან გამოგლეჯა. — დაიცა, — ეუბნებოდა იგი, თან სტასიას მკერდზე ქინძისთავით მიბნეულ მუყაოს ნომერს მისჩერებოდა ნაცრისფერი თვალებით, მუდამ ნამძინარევს რომ მიუგავდა. — აჰა, ახლა გამომართვი, — ბიჭმა წერილი გადასცა სტასიას.

სტასიამ გამოსტაცა და მუჭში ჩაბღუჯა.

— ხმამაღლა წაიკითხე, — უთხრა ჩერნილინმა, — და დამაფასე, იმიტომ, რომ იმ უკაცრიელ ჩაბნელებულ ციბეზე ცენზურაში არ გაგატარე.

— ოჰ, რა ეშმაკი ვინმე ხარ! — უნდობლად ჩაიცინა სტასიამ და წერილი ჩაჭმუჭნა.

— ეს კი თქვენ გეკუთვნით, — მოკრძალებით მიაწოდა წერილი

ჩერნილინმა. — ხედავთ, ამას ნომერი არა აქვს! უბრალოდ აწერია „აგრიპინა ფიოდოროვნა ფადეევასო“. ეს მეხუთე წერილია უკვე.

— შეიძლება გავიგოთ, რას იწერებიან? — იკითხა ვერამ.

ფადეევამ თვალი გადაავლო წერილს და მხოლოდ შემდეგ წაიკითხა ხმამაღლა:

— პატივცემულო აგრიპინა ფიოდოროვნა! თქვენ ძალიან კარგად გამოთქვით თქვენი სურვილები. სწორედ ეს უნდა მოგვთხოვოთ. ეს უნდა გვასწავლოთ. საერთოდ დიდები მუდამ ერთისა და იმავის რჩევით გვაბეზრებენ ხოლმე თავს: კარგად უნდა ისწავლოთო. ეს აზრი სწორედ რომ მომაბეზრებელი ჭკუის სწავლების გარეშე გამომდინარეობს თქვენი სურვილებიდან. თუ ჩვენ პატრიოტები, პატიოსნები და შრომისმოყვარენი ვიქნებით, უეჭველად წარმატებით შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას საზოგადოებისა, ოჯახისა და საკუთარი თავის წინაშე — ვისწავლოთ ისე, როგორც ამას შევძლებთ ჩვენი ნიჭით.

მე და ჩემი ამხანაგების ჯგუფი ვმუშაობთ ბავშვთა ცენტრალური ბიბლიოთეკის ლიტერატურულ წრეში. ძალიან გვინდა შევხვდეთ თქვენს წრეს.

№ 16

აგრიპინა ფიოდოროვნამ ფანქარი და ბლოკნოტი ამოიღო და დაწერა:

№ 16. გთხოვთ ახლავე ამოხვიდეთ ლიტერატურის კაბინეტში.
ა. ფადეევა.

აგრიპინა ფიოდოროვნამ წერილი ბლოკნოტიდან ამოხია და ჩერნილინს გადასცა.

— აი მე კი მართლა არაფერი არ მიტაცებს, — თითქოს გაწყვეტილ საუბარს განაგრძობსო, ჩაფიქრებით თქვა ნატაშა ვერშინინამ. — ისიც კი არ ვიცი, რა სპეციალობას ავირჩევ. როცა იმათზე ლაპარაკობდით, ვინც არ იცის, როგორ იცხოვროს, ასე მეგონა, მე მგულისხმობდით.

აგრიპინა ფიოდოროვნა ყურადღებით მისჩერებოდა გოგონას.

— აბა მითხარით, რა ჩემი ბრალია ეს? — განაგრძობდა ნატაშა. — დიდი სიამოვნებით ავყვებოდი რაიმე გატაცებას, მაგრამ რაღაცნაირი, ძალზე მშვიდი ხასიათი მაქვს, ეტყობა, ასეც აღმზარდეს, ბალღობიდანვე არავის შევუნჯღრევ-გამოვუფხიზლებივარ...

— შეიძლება მასეც არის, — დაეთანხმა აგრიპინა ფიოდოროვნა. — მხოლოდ მე ასე მგონია, ნატაშა, რომ საქმისადმი ენერგიისა და სიყვარულის გაღვივება შეიძლება, თუ სერიოზულად მოეკიდები მას... იქნებ შენ არც დაკვირვებიხარ საკუთარ თავს? რომელ საგანს სწავლობ ყველაზე უკეთ?

— ყველა საგანს სამიანებზე ვსწავლობ, — ნაღვლიანად ჩაიქნია ხელი ნატაშამ. — არც ერთი საგანი არ მიყვარს და, თუ პატიოსნურად გამოგიტყდებით, სკოლა ჩემთვის ნამდვილი სასჯელია...

— მაინც ხომ გიყვარს რამე? — ჰკითხა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

ნატაშას სახე აელეწა:

— მიყვარს ნიჩბის მოსმა. ისე საამოა ხოლმე ტბაზე ნავით სეირნობა! ცურვაც მიყვარს. ზაფხულში ტყეში ყოფნაც კარგია! გაგითევიათ ღამე ტყეში? საოცარი სიჩუმეა ხოლმე იქ, თითქოს ხელშესახები სიჩუმე. ახლა თევზაობა თქვით...

აგრიპინა ფიოდოროვნამ ხმამაღლა და მხიარულად გაიცინა. ნატაშა კიდევ უფრო აილეწა და გაჩუმდა.

— არა, შენ ვერ გამიგე. მე იმიტომ მეცინება, რომ საკუთარ თავს ცილი დასწამე, საყვარელი საქმიანობა კი შენც გქონია. — აგრიპინა ფიოდოროვნამ ნატაშას ხელი მოჰკიდა, ახლოს მიიზიდა, ეშმაკურად ჩახედა თვალებში და უთხრა: — დარწმუნებული ვარ, რომ კარგ სპეციალობასაც აირჩევ. სავალდებულო ხომ არ არის, ყველა მეცნიერი გამოვიდეს...

სტასიამ ისარგებლა იმით, რომ აგრიპინა ფიოდოროვნა, ნატაშა და ვეტა საუბარში გაერთვნენ და მას ყურადღებას არ აქცევდნენ. გაშალა ხელი, ხელისგულზე გაასწორა დაჭმუჭვნილი ქაღალდი და წაიკითხა:

შენს გულისნადებს ამჟამად პასუხს ვერ გავცემ. თუმცა მერმისთვისაც არა მაქვს მაგისი პასუხი. ისა სჯობს, რომ შენი ყურადღება სხვას დაუთმო და მეგობრობაც იმას შესთავაზო. № 73.

კარი გაიღო და ოთახში ჯერ შემოიხედა, ხოლო შემდეგ შემოვიდა ის გრძელნაწნავიანი გოგონა, სტასიას რომ გამოელაპარაკა დარბაზში.

— თქვენ მთხოვეთ, რომ მოვსულიყავი, — წყნარად თქვა მან.

ყველამ გაოცებით შეხედა. ამ გოგოს არ ეტყობოდა მოწაფური სიმორცხვე, აგრიპინა ფიოდოროვნას ისე თამამად მიმართა, როგორც უფროსი გამოელაპარაკება უფროსს.

გოგონას უკან ჩერნილინი შემოჰყვა ყვირილით.

— № 10 ერთი, № 10 ორი, № 10 სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი. — მან წერილების დასტა გადასცა სტასიას. — № 46 ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, სულ 16.

გოგონების სიცილში ჩერნილინის სიტყვები აღარ ისმოდა.

აგრიპინა ფიოდოროვნამ წერილები გვერდზე გადააწყო და ჩვეულებისამებრ, ლაპარაკში თან უცნობ გოგონას ათვალიერებდა. არ გამოპარვია, რომ გოგონას ცუდად ეცვა: ფეხზე — უხეში ფეხსაცმელები და იაფფასიანი წინდები, ტანზე — ძალიან უბრალოდ შეკერილი რუხი ფერის კაბა. მაგრამ ტანსაცმელი სულაც არ უფუშებდა გარეგნობას. მაღალი, ტანადი გოგო იყო. ქუჩაში ასი შემხვედრისაგანაც გამოარჩევდი მარტო ქერა თმის, თეთრი პირისკანისა და შავი თვალების გამო კი არა, ჭკვიანური, ნებისყოფიანი, მბრძანებლური იერითაც.

სტასიამ ისევ იგრძნო, რომ არ ეამებოდა ამ გოგოს დანახვა და ჩუმად, ისე რომ იქ მყოფთა ყურადღება არ მიეპყრო, გავიდა ოთახიდან; ქვემოთ ჩავიდა და ჩერნილინს საპასუხო წერილი გადასცა, თანხმდებოდა, შინ წასულიყო მეოთხე, ოცდამეცხრე. ოცდამეთვრამეტე, ორმოცდამეერთე და მეშვიდე ნომერთან ერთად.

დარბაზში ისევ ორკესტრი გუგუნებდა. სტასიამ საგანგებოდ მშვიდად ჩაუარა გვერდით სამხედროფორმიან ახალგაზრდას დარბაზის კარში რომ იდგა, და მკერდზე № 73 ეკეთა, მერე თაოსანთა წრის აყლაყუდა მამასახლისს ჩაავლო ხელი, შუაგულ დარბაზში გაიყოლია და მასთან ერთად ჩამოუარა ვალსი.

საახალწლო მეჯლისი მთავრდებოდა, ნაძვის ხეზე სანთლები ჩაქრა, მიწყდა სიცილი, მუსიკოსებმა პიუპიტრები აალაგეს და ნოტებს ახვევდნენ. მრგვალი საათის ისრები ნახევრადბნელ დარბაზში აჩვენებდნენ, რომ ორს თხუთმეტი წუთი აკლდა. ხმამაღლა ლაპა-

რაკმა ახლა მთელ ვესტიბიულში, კიბეზე და მახლობელ ქუჩაზე გადაინაცვლა.

ბიჭები, რომლებიც 4, 29, 38, 41 და 7 ნომრით თამაშობდნენ ფოსტობანას, სტასიას მიაცილებდნენ. სადარბაზოსთან, მისასალმებლად ხელაწეული პიონერი გოგონასა და პიონერი ბიჭუნას თეთრი სკულპტურებით რომ იყო შემკობილი, შეჯგუფული მოწაფეები ელოდებოდნენ აგრიპინა ფიოდოროვნას. მალე ისიც გამოვიდა — ციყვის ქურქი ეცვა და ბუმბულის თავშალი მოეხვია. ბავშვებმა მაშინვე ჩაჰკიდეს ხელები, ირგვლივ შემოეხვივნენ და თითქმის მის სახლამდე არ შემწყდარა საუბარი ადამიანის მაღალ დანიშნულებასა და მის ბრწყინვალე მომავალზე...

მეორე თავი

ლიტერატურული წრის მამასახლისმა ჩერნილინმა საღამოს შვიდ საათზე გააღო ლიტერატურის კაბინეტი და გამგებლის თვალი მოავლო ირგვლივ, ყველაფერი წესრიგშია თუ არაო. საკუთარი პასუხისმგებლობით ჩააბარა გასაღები ვერა სვერჩკოვას და რადიოკაბინეტისაკენ გაემართა, ვერას კი დაუბარა, როგორც კი ზარი დაირეკება, დამიძახეო.

— შენ რა, ყურები ოქროებით გაქვს დაცული, თუ რა? — უთხრა ვერამ. — ზარი ყველა კაბინეტში ისმის.

— საქმეს რომ ვაკეთებ, აღარაფერი მესმის. ასეთი ბუნებისა ვარ, ტემპერამენტიანი გატაცება ვიცი...—პამპულაობდა ჩერნილინი.

ჩერნილინი ყველას უყვარდა და რაიმეზე უარს ვერავინ ეტყოდა. ვერამ პატიოსანი პიონერული სიტყვა მისცა, როგორც კი გავიგონებ ზარის ხმას, დაგიძახებო და მუდამ აგზნებული და აბურძგნული ჩერნილინიც წამსვე გაიქცა.

მოვიდა სამხედროფორმიანი ჭაბუკიც — გენადი საფრონოვი, რომელსაც ამხანაგები მეტსახელად სფინქსს ეძახდნენ. ეს სახელი ჯერ კიდევ სკოლაში მიაკერეს იმიტომ, რომ საფრონოვი ძალზე უმეგობრო, უკარება ბიჭი იყო, მისი ვერც მასწავლებლებს გაეგოთ რა და ვერც ამხანაგებს. იქნებ ეს იმით აიხსნებოდა, რომ ბიჭს არ ჰქონდა ჩვეულებრივი საცხოვრებელი პირობები. ექვსი

წლისამ მშობლები დაკარგა და მისი აღზრდა იკისრა მეზობელმა ცოლ-ქმარმა. ორი წლის შემდეგ ქალი, ვინც გენადის დედა შეუცვალა, გარდაიცვალა და ბიჭი მისი ქმრის, უენო და ფხუკიანი კაცის ანაბარა დარჩა. გენადის მამობილი მთელ დღეებს სამუშაოზე ატარებდა, თვეობით იყო ხოლმე მივლინებაში. საფრონოვის აღზრდაში რომელი მეზობელი აღარ იჩენდა სიბრძნეს, სინამდვილეში კი თავის ნებაზე იყო მიშვებული. საზოგადო სამზარეულოში ჭამდა, სკოლაში დადიოდა, დანარჩენ დროს კი ბიბლიოთეკაში ატარებდა, განურჩევლად ნთქავდა წიგნს წიგნზე. ისე მოხდა, ვერავინ მოისაზრა მისი საბავშვო სახლში მიბარება, რომ გამოცდილი აღმზრდელის ხელში მოხვედრილიყო...

საფრონოვმა ოდნავ შემოაღო კარი და ძლივს გაძვრა ვიწრო ღრიჭოში, თითქოს არ შეიძლებოდა ხეირიანად გაეღო და თავისუფლად შესულიყო შიგ.

— გამარჯობათ, — უთხრა ვერას ძლიერი, ყრუ ხმით. ბავშვები ირწმუნებოდნენ, სწორედ ასეთი ხმა ჰქონდაო გორკის.

საფრონოვი კუთხისკენ წავიდა, სავარძელში ტოლსტოის სურათის ქვემოთ დაჯდა და გატაცებით შეუდგა თან მოტანილი წიგნების ფურცვლას.

უცებ ორივე კარი ფართოდ გაიღო და კაბინეტში ხმაურითა და სიცილით შემოვარდა სტასია ნოჩკა. საფრონოვის დანახვაზე წუთით მიყუჩდა, მაგრამ შემდეგ უფრო ხმამაღლა გაიცინა და ვერას გაეღლაბუცა. ეს რომ ვერას ან რომელიმე სხვა გოგოს ექნა, იქ მყოფნი გაბრაზდებოდნენ, მაგრამ სტასიას რაც უნდა ჩაედინა, ყველაფერი საყვარლად და დროულად გამოსდიოდა. წუთის შემდეგ სტასია ისეთივე ხმაურით გამოვარდა ოთახიდან, მისი კისკისი კიბეზე გაისმა და ძველი სახლის პირველ სართულზე მიწყდა.

რვას რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ვერამ ხელჩაკიდებული მოიყვანა ჩერნილინი — ამ დროისათვის უკვე ლიტერატურული წრის ყველა წევრი შეკრებილიყო. ჯერ ზარსაც არ დაერეკა, რომ ოთახში ერთმანეთის მიყოლებით შემოიწკაპა ექვსი ყმაწვილი და ის შავთვალა გოგონა. თითქოს უბრძანესო, თხუთმეტივე წრის წევრი მაგიდასთან მიიჭრა და თხუთმეტი სავარძელი დაიკავეს. მეთექვსმეტე სავარძელი, რომელშიც მუდამ აგრიპინა ფიოდო-

როვნა იჯდა ხოლმე, ცარიელი იყო. დაბნეული სტუმრები კართან დარჩნენ. სტასია ნოჩკა დაჟინებით მისჩერებოდა გოგონას, რომელიც ერთხელ უკვე ნახა საახალწლო მეჯლისზე. სტასია უნებლიეთ ტკბებოდა მისი თავისუფალი, მსუბუქი მოძრაობით, მაღლა აწეული საოცარი წარბებით. შურდა მისი ლამაზი თვალების მშვიდი, ყურადღებიანი გამოხედვა, მისი ხშირი წამწამები და სქელი ქერა ნაწნავი. სტასია ცდილობდა რაიმე ნაკლი მოენახა მის გარეგნობაში, მაგრამ ვერ იპოვა. და მაშინ გულბოღმიანი სიხარულით გაიფიქრა, რომ ეს უხეში ფეხსაცმელი უმახინჯებს ლამაზ წვივებს, კაბაც ტომარასავით აქვს ჩამოცმული ტანზე და სასაცილოდ ადგასო.

ჩერნილინმა თვალი მოავლო სტუმრებს და უცებ ხმამაღლა დაიყვირა:

— წიწიბურას ფაფა!

— წიწიბურას ფაფა! — სიცილ-კისკისით აიტაცა სტასიამაც, თუმცა არ გაეგებოდა, რატომ უნდა დაეყვირა სწორედ ეს სიტყვები, და მაგიდაზე მუშტები ააბრახუნა.

— წიწიბურას ფაფა! — მხიარულად აიტაცეს დანარჩენებმაც.

ყვირილმა, ფეხების ბრაგაბრუგმა, მაგიდაზე ხელების ბრახუნმა აიკლო იქაურობა და მთელ ზემოთა სართულს მოედო.

სწორედ ამ დროს შემოვიდა აგრიპინა ფიოდოროვნა. გადახედა უცნობ ბავშვებს, დაბნეული სახეები რომ ჰქონდათ, წრის წევრებსაც შეავლო თვალი და ყველაფერს მიხვდა. აგრიპინა ფიოდოროვნას თვალები ბრაზით აენთო და ხელის აწევით სიჩუმე მოითხოვა. წამსვე ყველამ ხმა ჩაიკმინდა.

— ადექით! — თქვა მკაცრად აგრიპინა ფიოდოროვნამ.

თხუთმეტი კაცი ფიცხლად წამოდგა.

— გამოდით მაგიდიდან.

ყველანი უყოყმანოდ გამოვიდნენ.

— დასხედით, თუ შეიძლებოდეს, — სულ სხვანაირად, რბილად უთხრა აგრიპინა ფიოდოროვნამ სტუმრებს. ისინიც გაუბედავად ჩასხდნენ სავარძლებში.

— დამატებითი სკამები რად არ დაგიდგამთ, ჩერნილინ?

ბიჭმა თავი ჩაქინდრა და ძლივს გასაგონად მიუგო:

— ახლავე მოვიტანთ.

მან ხელით ანიშნა ამხანაგებს, მომყევითო!

რამდენიმე ყმაწვილი ოთახიდან გავიდა და საჩქაროდ შემოზიდეს სკამები.

როცა ყველანი მაგიდას ირგვლივ შემოუსხდნენ, აგრიპინა ფიოდოროვნამ იკითხა:

— ერთი მითხარით, რას ნიშნავს ეს სულელური „წიწიბურას ფაფას“ ყვირილი?

სტასიას გაელიმა, ვერამ ისეთი სახე მიიღო, აქაოდა, არაფერი გამეგებაო. საფრონოვმა ცნობისმოყვარეობით შეხედა ჩერნილინს. ბორიას გარდა არავის შეეძლო აეხსნა ამ სულელური შეძახილის არსი.

— თავად არ იცით, ხომ? ძალიან კარგი! — ირონიულად შენიშნა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

ჰოდა, მაშინ უცნობი ყმაწვილი წამოდგა.

— ნება მიბოძეთ, აგრიპინა ფიოდოროვნა, გაგარკვიოთ ამ გაუგებრობაში, — თქვა და თანხმობა რომ მიიღო, განაგრძო: — წიწიბურას ფაფა მე გახლავართ. საერთოდ კი ფედორ ნოვიკოვი მქვია.

იქ მყოფთ თვალები ღიმილით გაუცისკროვნდათ და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ ნოვიკოვს — ტანმორჩილი ყმაწვილი იყო, მხარბეჭიანი, ნოლაცხვირიანი და ცისფერთვალება; ქერა თმა ჰქონდა, აბრეშუმივით ფაფუკი, ხელის შევლება მოგინდებოდა.

— საქმე ის გახლავთ, — განაგრძო ნოვიკოვმა, — რომ ოდესღაც წინდაუხედავად მოვიქეცი და ჩემს მოთხრობას „წიწიბურას ფაფა“ დავარქვი. ჰოდა, მას მერე ეს მეტსახელი შემომრჩა.

მისი სიტყვები გულიანმა ხარხარმა დაფარა. აგრიპინა ფიოდოროვნასაც გაეცინა. ამ სიცილმა შეარიგა ბავშვები, უხერხული დაძაბულობაც გაქარწყლდა და ყველამ იგრძნო, რომ ახლა კი შეძლებდნენ გულითად საუბარს. პირველად საბიბლიოთეკო წრის უფროსმა, ელენა სტრელოვამ ილაპარაკა.

სტასია ნოჩკას უკვე გაუარა ამ გოგონასადმი ქიშპობამ და მშვიდად შესცქეროდა მის პროფილს. სტრელოვა წყნარად და მტკიცედ ლაპარაკობდა, მზერას ხან ერთ მსმენელს მიაპყრობდა, ხან მეორეს, როგორც ეს უფროსებმა იციან. როცა თქვა, ხელმძღვანელის წასვლის გამო ჩვენი საბიბლიოთეკო წრე ჩაიშალაო

და აქ დამსწრე შვიდი კაცი პიონერთა სასახლის ლიტერატურულ წრეში შესვლას ვაპირებთო, სტასიამ კვლავ შუღლი იგრძნო მისდამი.

— ფედია ნოვიკოვმა ძალიან კარგი მოთხრობა დაგვიწერა „ვასიუკ-მემტრედე". გვინდა ალმანახს გავუგზავნოთ. თუ გნებავთ, ავტორი წაგიკითხავთ ამ მოთხრობას, — დაამთავრა სიტყვა სტრელოვამ.

ყველამ მეგობრული, გაოცებული მზერა მიაპყრო ნოვიკოვის ცოცხალ სანდომიან სახეს. იგი წამოდგა, მშვიდად, ისე რომ დამორცხვების ნატამალიც არ დასტყობია, გადაშალა სქელი რვეული და შეუდგა კითხვას. სხარტად, სადად, დამაჯერებლად დაწერილი მოთხრობა იყო. ჩერნილინს თავისი კრიტიკული ნიჭის ძალა არ დაუზოგავს, რომ ამ მოთხრობაში რაიმე საკირკიტო მოეძებნა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ხელებიღა გაასავსავა და იხტიბარგატეხილმა თქვა:

— ვერაფერს დაუწუნებ. ძალიან კარგია.

მაგრამ ამ წუთს, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე, სტასიამ იდუმლად შეავლო თვალი საფრონოვს და დაინახა, რომ იგი გატაცებით ხატავდა ბლოკნოტში სტრელოვას პროფილს. სტასია სახეზე წამოენთო და თავი ჩაქინდრა. ჩერნილინის სიტყვებმა შეაწყვეტინა ფიქრები:

— ბავშვებო, ახლა საფრონოვი წაიკითხავს თავის პოემას.

საფრონოვი არ ამდგარა. კარგა ხანს ფურცლავდა ბლოკნოტს, მერე ისე იკითხა, პირადად არავისთვის მიუმართავს, ღირს კი წაკითხვაო და პასუხი რომ ვერ მიიღო, ადგა და ყრუ ხმით, თითქოს ცარიელ კასრს ჩასძახოდა, შეუდგა ლექსის კითხვას.

სტასია განგებ ხმაურით მიიჭრა აგრიპინა ფიოდოროვნასთან და ოთახიდან გასვლის ნება სთხოვა. უკან მაშინღა დაბრუნდა, როცა პოემის კითხვა დამთავრებული იყო, საფრონოვი სავარძელში იჯდა და ცდილობდა სახეზე ზიზღნარევი გულგრილობა გამოეხატა, რათა იქ მსხდომთ ეგრძნოთ, რომ მათ აზრსა და შეხედულებას არად აგდებდა. პოემამ გაცხარებული დავა გამოიწვია. ისევ სტრელოვა ლაპარაკობდა:

— ავტორი, ჩემის აზრით, ძალიან ნიჭიერია, მაგრამ პოემას კი, ვურჩევდი, ასე მოქცეოდა: მისულიყო შინ, მიჯდომოდა გა-

ხურებულ ღუმელს, ბლოკნოტიდან ფურცლები ამოეხია და დაეწვა.

საფრონოვი გაწითლდა და სტრელოვა ცივი მზერით აათვალიერა თავით ფეხამდე.

— თუ შეიძლება, ჩემზე ნუ გაბრაზდებით, საფრონოვ, ასეთი რამ კლასიკოსებსაც შემთხვევიათ, — განაგრძობდა გოგო. — თუნდაც გოგოლი გაიხსენეთ. ნოვიკოვს თავისი „ვასიუკ-მემტრედე“ იმიტომ გამოუვიდა, რომ ნაცნობი ამბავი დაწერა, თავის თვალწინ მომხდარი. თქვენ კი ამერიკულ კლუბზე წერთ. მერე რა იცით თქვენ ამერიკული კლუბების თაობაზე? — სტრელოვა დაჯდა და დაუმატა: — უფრო მეტი სისადავე გესაჭიროებათ.

მაგრამ ვერავინ მიხვდა, რა სისადავეზე უთხრა სტრელოვამ. ლექსის სადად წერაზე თუ სადად მოქცევაზე. თუმცა, ასე იყო თუ ისე, პირსუკან კი არა, პირში იყო თქმული. საფრონოვს მართლაც აკლდა სისადავე, ლექსების წერაშიც და ქცევაშიც. მან პირქუშად შეიკრა წარბები და თქვა:

— მე კი თქვენს ნათქვამს აინუნშიაც არ ვაგდებ.

— ძალიან სამწუხაროა, რომ თქვენი ამხანაგების შეხედულებას პატივს არა სცემთ, — უთხრა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

სტასიამ ითაკილა საფრონოვზე ნალაპარაკევი. მაინცდამაინც კარგად ვერ ერკვეოდა ლექსებში, თანაც ყველაფერზე, რასაც საფრონოვი აკეთებდა, ფიქრობდა, ამაზე უკეთესს კაცი ვერას იქმსო.

მესამე თავი

მერვე „ბ“ კლასის მოწაფეები თხზულებას წერდნენ. მაგიდასთან აგრიპინა ფიოდოროვნა იჯდა და უგულისყურო მზერა მიეპყრო ფანჯრისათვის. ფანჯრიდან მოჩანდა, როგორ ნელ-ნელა ეშვებოდა თოვლის ფანტელები. ფუმფულა, დიდრონ-დიდრონი ფიფქები დატრიალებდნენ ჰაერში, მგზავრებს, მანქანებს, სახლებს ეფინებოდნენ. ბარაქიან თოვას დაეპყრო მასწავლებლის ფიქრები. რაზედაც არ უნდა ეფიქრა, აგრიპინა ფიოდოროვნას მაინც თოვლი ახსენდებოდა. ხან ზღაპარი „თოვლის დედოფალი“

მოაგონდებოდა, ხან კიდევ პიონერთა სასახლის ძველისძველი, თოვლში ჩაფლული ბაღი ედგა თვალწინ. კლასს არ უყურებდა, მაგრამ მოწაფეებმა იცოდნენ, რომ აგრიპინა ფიოდოროვნას თვალსა და ყურს არაფერი ეპარებოდა.

წამით დაავიწყდა მხოლოდ კლასი, მაშინ მისი ფიქრები წარსულს გადასწვდა.

მოაგონდა თავისი თავი, მამისეული ტყავის კურტაკი და თექურები რომ ეცვა და დაბეკნილ ფერდობზე იდგა. ქვემოთ კი თოვლში ჩაფლული სახლები მოჩანდა. აქ გაიარა მისმა ბავშვობამ, აქ ჩაიქროლა ახალგაზრდობამ.

აგერ, თვითონ მარხილში ზის და მისრიალებს, უკანიდან, მოულოდნელად, სიცილ-ხარხარით ჩაუხტა ალიოშა ფადეევი — მისი მომავალი ქმარი. კავებს ჭრიალი გააქვს, ქარი სახეში ურტყამს. წინ მკვეთრი მოსაბრუნია. ალიოშა მშვენივრად იმორჩილებს მარხილს. ახლა წინ ყველაზე საშიში რამ ელით — ფერდობი მკვეთრად ეშვება ქვევით და ასე ჰგონიათ, მარხილი უფსკრულისკენ გაფრინდებაო.

სუნთქვა ეკვრით და შიშისაგან უნებლიეთ თვალები ეხუჭებათ. ტყის პირს მიაღწიეს და მარხილიც გადაუტრიალდათ, ორივენი სიცილით ეფლობიან თოვლში.

— საოცარია, რომ არ იჭყიანლე, — ეუბნება ალიოშა, თოვლიდან ამოჰყავს და კურტაკს უფერთხავს. — გოგოები მუდამ გოჭებივით ჭყვირიან ხოლმე. საოცარია: — იმეორებს იგი. — მართალს ამბობს გრიშა, სხვა გოგოებს არ ჰგავხარ.

გრიშა ცვეტაევი ფერდობის თავზე ელოდებათ.

— ახლა მე წავიყვან მარხილს, — ამბობს და ეჭვიანად განზე სწევს ალიოშას. — აბა, დაჯექი!

მას კი აღარ სურს მეტი სრიალი, მაგრამ გრიშას წყენინებას ერიდება. ბიჭი ისეთი თვალით შესცქერის, რომ ხმისამოუღებლად ჯდება მარხილში და კვლავ ქვემოთკენ მიქრიან... ბედნიერი დრო იყო...

... ვერა სვერჩკოვამ ისარგებლა მასწავლებლის ჩაფიქრებით და ისე, რომ ფრთხილი მზერა არ მოუშორებია მისთვის, პირველი მერხიდან ბოლოში გადაჯდა. ფორმის შავ წინსაფარში დამალული ნაწერი ქაღალდები ამოაძვრინა და სტასიას გადასცა.

— იცოდე, შინ წაიკითხე, — უჩურჩულა მან სტასიას. — შეიძლება ხვალამდე გქონდეს.

მერე ვერა ასევე უხმაუროდ დაბრუნდა თავის ადგილას, ხოლო სტასიამ ქაღალდები მერხში შეჩურთა და თავის თხზულებას მიუბრუნდა. ცოტა ხანში სტასიამ რამდენიმე დაჭმუჭნილი ზემოთა ფურცელი გამოაძვრინა. პირველზე ეწერა:

ე პ ი გ რ ა მ ა

გ. საფრონოვზე

სტასიამ თავისი რვეული განზე გასწია და სულწასული შეუდგა ეპიგრამის კითხვას:

საფრონოვს ვერ მიუდგები
ცივად იცის დახვედრა...
პოეტია, არავისკენ
აღარ უნდა გახედვა...
მისთვის არის, ყოყოჩს არ სურს
სხვისი ტვირთის აღება.
ფიქრებშია ჩაძირული, —
კედლებს აცლის საღებავს...
ზოგის თვალში დაბლდება და...
ზოგის თვალში მაღლდება...
წარჩინებულ, დარბაისელ,
ზვიად ვინმედ საღდება...
დიდი ხელოვნებითაა
საფრონოვი გართული,
მედიდურობს, თითქოს იყოს
მართლაც სახელგანთქმული *.

— კარგია! — ხმამაღლა გაეცინა სტასიას, სულ აღარ ახსოვდა, გაკვეთილზე რომ იყო.

აგრიპინა ფიოდოროვნას მზერა ფანჯრისთვის არ მოუშორებია, ისე თქვა:

— ნოჩკა, გარეშე საქმეები მერმისისთვის გადადე და თხზულებას მოჰკიდე ხელი. სვერჩკოვა, ხელს ნუ უშლი ნოჩკას.

---

* ლექსები თარგმნა ლიდა სტვილიამ

— აღარ ვიზამ, აგრიპინა ფიოდოროვნა, — ძლივს გასაგონად ჩაილუღლუღა ვერამ.

წუთის შემდეგ ვერას ყველაფერი მიავიწყდა და გატაცებით შეუდგა თხზულების წერას პუშკინის ტატიანაზე. სტასიასაც ყველაფერი მიავიწყდა ამ ქვეყნად და საფრონოვის დღიურის ფურცლებს დაეწაფა.

დაუმთავრებელი სტრიქონები

გ. საფრონოვი

წრის შეცადინეობის დამთავრების შემდეგ ლიტერატურულ კაბინეტში შევყოვნდი. დარაჯმა, ჭაღარა, ბუზღუნა მოხუცმა, სასახლის შენობა შემოიარა, ეტყობა, ჩვენს კაბინეტში სინათლე ვერ შენიშნა და გასაღებით გადაკეტა კარი. მინდოდა დამეკაკუნებინა ან დარაჯისათვის დამეძახნა, მაგრამ მოულოდნელად ამ ძველ შენობაში ღამის გათევის იდეამ ამიტაცა.

კარგა ხანს ვწერე ლექსები. საოცრად იოლად მეწერებოდა, ეს იყო მხოლოდ, ბოლო ოთხტაეპოვანი ლექსის დამამთავრებელ ბწკარს ვერ მოვაბი თავი. ვბრაზობდი, ვნერვიულობდი და უარესი მემართებოდა. ეტყობა, შუაღამე დგებოდა, როცა დავრწმუნდი, რომ ამ ლექსს ვერ დავაბოლოვებდი, ფანქარი მოვისროლე და ჩაფიქრებულმა კაბინეტში ბოლთის ცემას მოვყე. აბა რა უნდა იყოს ამაზე საამო — იარო კაცმა და იფიქრო. რას აღარ გადავწვდი ფიქრით! სასახლეში არაჩვეულებრივი, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო სიჩუმე დასადგურებულიყო. ჩავჯექი ფართო, ტყავის სავარძელში, რომელშიც აგრიპინა ფიოდოროვნა ზის ხოლმე, და შევუდექი ამ კაბინეტის თვალიერებას. საოცარია, რომ ამ ღამით ყოველივე სხვანაირი მეჩვენა. ოთახი თითქოს გამორჩეულად დიდი იყო, ავეჯი საკვირველად მკვრივი. ოთახის კედლებზე კლასიკოსების სურათები თითქოს გაცოცხლებულიყვნენ. კარგა ხანს მივჩერებოდი კრილოვის ჭკვიანურ სახეს. მხატვარს ზუსტად გადმოუცია მისი მშვიდი თვალების გამომეტყველება, რომელთაც, ღრმად თუ ჩააკვირდებოდი, ირონიას შენიშნავდი. მსუქანი ტუჩებისა და გაფუმფულებული ლაწვების მონახაზებში მოქანცულობა და ჩუმი ნაღველი გამოსჭვიოდა.

მის გვერდით, ისეთივე ჩარჩოში ჩასმული ეკიდა პუშკინის პორტრეტი. ნაცნობი სახე ჰქონდა, თითქოს ყოველდღე ვხვდებოდი მას... მე ფიქრით მართლაც არასოდეს განვშორებივარ პუშკინს, ჩემს საყვარელ პოეტს. არა, იგი ასეთი როდი იყო ცხოვრებაში, როგორიც ამ სურათზე გამოესახათ. მხატვარმა, ეტყობა, ვერ შეძლო გადმოეცა ის მთავარი რამ, რაც ამ გენიოსში ჩაიდუმალებულიყო.

დიდხანს ვიდექი პუშკინის პორტრეტის წინ და სულ იმას ვფიქრობდი, ნეტა მეც თუ ოდესმე პოეტი ვიქნები-მეთქი. გამაჩნია თუ არა ღვთიური ცეცხლის ნაპერწკალი-მეთქი. ზოგჯერ მართლაც ვარ საკუთარ თავში დარწმუნებული, ზოგჯერ კი მეჩვენება, რომ ერთი მეტისმეტად ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და ჩემგან ადამიანის სულის ინჟინერი არ გამოვა. ამხანაგებმა სფინქსი შემარქვეს. ეს მე მომწონს, მაგრამ, მართალი რომ ვთქვა, თითქმის ყველა ჩემი უცნაურობა გამონაგონია. სფინქსი იმიტომ ვარ, რომ მინდა სფინქსობა. პოეტი ხომ, ჩემი აზრით, აუცილებლად არაჩვეულებრივი უნდა იყოს.

ისევ მოვყევი საკუთარ თავთან ბჭობას და ოთახში ბოლთის ცემას. მერე ტოლსტოის სურათს დავუწყე თვალიერება. ასეთი სურათი არსად მენახა. ტოლსტოის თეთრი ხალათი აცვია, ხის ქვეშ დგას უკან ხელებდაწყობილი, გრძელ წამწამებს ჩამოუქუფრავთ მისი ყოვლისმჭვრეტელი თვალები. ძალიან მიყვარს ტოლსტოი, მაგრამ პუშკინი მასზე მეტად ახლობელი და ძვირფასია ჩემთვის.

ისევ ჩავჯექი სავარძელში და, როგორც ხშირად მემართება ხოლმე, ისე ჩამეძინა, არც გამიგია. არ ვიცი, დიდხანს მეძინა თუ არა, მაგრამ ოთახში გამართულმა გაცხოველებულმა საუბარმა კი გამომაღვიძა. თვალი გავახილე და დიდხანს ვერ მივხვდი, სად ვიყავი და რა მჭირდა. მრგვალ მაგიდას აუარებელი ხალხი უსხდა. პირველი ფიქრი, რაც თავში მომივიდა, იყო ის, რომ დავმალულიყავ. მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა, რადგან ძალზე გამოჩენილ ადგილას ვიჯექი. ხოლო როცა პორტრეტების ცარიელი ჩარჩოები დავინახე, ყველაფერს მივხვდი. სიხარულმა და შიშმა ამიტანა, გული ისე ამიჩქროლდა, რომ სუნთქვა შემეკრა და თვალები დავხუჭე. „იქნებ სიზმარში ვარ“, — გამიელვა გონებაში. თვა-

ლები გავახილე, მაგრამ ი ს ი ნ ი მაგიდას უსხდნენ და კვლავ გაცხოველებით საუბრობდნენ. ყველანი ვიცანი. მათ საუბარს ყურს არ ვუგდებდი, ხარბად მივჩერებოდი ძვირფას სახეებს, სიცოცხლისეული ვარდისფერი რომ გადაჰკრავდათ და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ მე მოკვდავთაგან ერთადერთს მერგო ასეთი არაჩვეულებრივი ბედნიერება — შევხვედროდი ა მ ა თ. ვცდილობდი სუნთქვა შემეკავებინა, რომ ეს მშვენიერი ზმანება არ გამქრალიყო. შევცქეროდი პუშკინს. სადღაც წამიკითხავს, ულამაზო იყოო. ოჰ, როგორ ტყუოდნენ ის უსირცხვილო მჯღაბნელები! თავის დღეში არ მენახა ამ ცოცხალ, შავგვრემან, მთაგონებულ სახეზე უმშვენიერესი სახე, ჩარჩოსავით რომ შეეორტყმოდა ირგვლივ ღია ფერის ხუჭუჭი თმა. მეღერი ხმა ჰქონდა, დაუცხრომელი მიმოხრა, მგზნებარებით იყო ანთებული.

ჩემ გვერდით, სავარძელში მოხრილი იჯდა დოსტოევსკი. ავადმყოფური ფერი ედო სახეზე. ქუთუთოები ჩასცვივნოდა, მაგრამ აგზნებულ, ალერსიან თვალებში ისეთი ძალა გამოსჭვიოდა, რაც თრგუნავდა ყოველგვარ ფიზიკურ სატკივარს.

მზერა ახლა ლერმონტოვზე გადავიტანე. გამაოცა მისმა ღიდმა, პრიალა შუბლმა და ჭკვიანურმა შორიშორ ჩამსხდარმა თვალებმა. მისი ჩვევა, ცოტათი წინწამოხრილი ჯდომისა, მისი მკვეთრი მოძრაობანი მისავე მგზნებარე ტემპერამენტზე მიგვანიშნებდნენ. პროფილში მთლად ჭაბუკს ჰგავდა. ხელში რვეული ეჭირა. ლურჯი ყდა რომ დავინახე, შიშისგან გავქვავდი. ეს ჩემი რვეული იყო, წუხელ მაგიდაზე რომ დამრჩა.

— წაგვიკითხეთ თქვენი ლექსები, — მკაცრად მითხრა ლერმონტოვმა და რვეული მომაწოდა.

ათრთოლებული ხელით გამოვართვი და უფრო მეტად ვიგრძენი, ვიდრე დავინახე, რომ კლასიკოსებმა მზერა მომაპყრეს.

რვეული გადავშალე, მაგრამ წაკითხვა ვერ შევძელი. ენა ვერ დავიმორჩილე. სასოწარკვეთილმა შევავლე თვალი მწერლების მკაცრ სახეებს და მივხვდი, რომ არცერთი მათგანი არ თანამიგრძნობდა.

პუშკინმა გამომართვა რვეული, გადაშალა და მეღერი ხმით შეუდგა ლექსების კითხვას:

შენ დამპირდი და... არ მოხვედი, რა ვუყოთ მერე?
ჭაბუკებს მოგდგამთ უპირობა, ცვალებადობა...
მე გაპატიებ ამ სიცრუეს, როგორც უმანკოს
უბიწოებით, ო, ჩადენილ მაგ სულმდაბლობას!

ამ ადგილას პუშკინმა გაუგებრობის ნიშნად წარბი ასწია. მე ატირებას აღარაფერი მაკლდა.

მე ავადა ვარ, მარტოდმარტო და გატანჯული...
ზედმეტ ბარგად მთვლით, კი ვხვდები მაგდენს...

განაგრძობდა ალექსანდრ სერგეევიჩი. მის ხმაში დაცინვა ვიგრძენი.

მინდოდა იატაკში ჩავმძვრალიყავი, უჩინრად გავმქრალიყავი. ჩვენი წრის ბავშვების კრიტიკა ვერ მახვედრებდა იმას, რომ ვერ ვწერ, როგორც საჭიროა, მაგრამ დიდი პოეტის მხოლოდ ინტონაციამაც კი შემაძრწუნა.

— მერე? — მკაცრად იკითხა პუშკინმა.

სახეზე ცეცხლი მეკიდა და პირველკლასელ ბიჭუნასავით ჯიუტად ვდუმდი.

— მერე, მოდი, ასე გავაგრძელოთ, — უკარნახა ლერმონტოვმა დაუმთავრებელი სტრიქონები:

არვის ვჭირდები, არაფერში გამოგადგები —
ალბათ ამიტომ არარად მაგდებ?

სწორედ რომ ავტორისეული მანერით გამოვა, — ეშმაკური ღიმილით დაურთო მან.

— იცით, რას გეტყვით, ყმაწვილო, — მითხრა ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოიმ, — ნიჭი გაქვთ და რაკი ცალამს მოჰკიდეთ ხელი, — წერეთ ცოდეც, მაგრამ უფრო მხიარულად წერეთ. თქვენი განწყობილება კი ფიოდორ მიხაილოვიჩის გმირების საფეროა, — ტოლსტოიმ დოსტოევსკისაკენ გაიხედა, — დაიხსომეთ, რომ თქვენ ახალი ცხოვრების მშენებლები ხართ.

გულს მომეშვა, გამშრალი ტუჩები მოვილოკე და მინდოდა მეთქვა, ეს ლექსები სულაც არ გამოხატავენ ჩემს განწყობას, ყოველივე მოგონილია, სიცოცხლე ძალზე მიყვარს-მეთქი... მაგრამ არაფერი მითქვამს იმიტომ, რომ გამეღვიძა.

რიეტრაეტდებოდა. მე აგრიპინა ფიოდოროვნას სავარძელში ვიჯექი. მაგიდაზე იყო გადაშლილი რვეული, რომელშიც დაუმთავრებელი ლექსები მეწერა, ხოლო ცედლებზე მასიურ ჩარჩოებში ჩასმული კლასიკოსების პორტრეტები ეკიდა. მკაცრად და დაჟინებით მომჩერებოდნენ. ფანქარს ვტაცე ხელი და ჩავწერე ის ორი სტრიქონი, ძილში ლერმონტოვმა რომ მიკარნახა.

და აი, უკვე რამდენიმე დღეა ამ სიზმრის ტყვეობაში ვარ, საყვარელი მწერლების ცოცხალმა ხატებამ, ვერ გადმოგცემთ, როგორ დამიკარგა მოსვენება, ხოლო ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის სიტყვები წინასწარმეტყველებად მივიჩნიე...

სტასია სინანულით მოსწყდა დღიურს. მოთხრობის კითხვა რომ დაამთავრა, ახლა ოცნებამ აიტაცა, სამახსოვროდ დამატოვებინა ნეტავ ეს რვეულიო. საჩქაროდ მისწერა ვერას წერილი: „ვეროჩკა, მაჩუქე რა ეს მოთხრობა. სტასია". მაგრამ წერილის გაგზავნა ვერ მოასწრო, რადგან აგრიპინა ფიოდოროვნა წამოდგა, მაჯის საათს დახედა და მოწაფეები გააფრთხილა, გაკვეთილის დამთავრებამდე სამი წუთი დარჩაო.

სტასიას შეეშინდა. წინ ედო რვეული, რომელშიც კოხტად დაეწერა: „საკლასო თხზულება. ბუნება პუშკინის შემოქმედებაში" და მეტი არც ერთი სიტყვა.

მაგიდასთან, როგორც ყოველთვის, პირველი ვერა სვერჩკოვა მივიდა და ვარდისფერი რვეული დადო. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ ფაქიზ რვეულში უკვე სამი საკლასო თხზულება იყო დაწერილი. ახალთახალი გეგონებოდათ.

ვერამ ვითომდა შემთხვევით მოავლო მზერა კლასს. ათობით გოგომ დაინახა, რომ მან პირველმა დაამთავრა წერა. თვითონაც კმაყოფილებით გაიფიქრა ეს და ეჭვიანად შეხედა ახალ მოწაფეს. იგი მერხზე დახრილიყო და ისევ წერდა.

ვერას ძლივს შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე და მაგიდას მოშორდა.

— თუ შეიძლება, გავალ, აგრიპინა ფიოდოროვნა, — თქვა ვერამ.

ფადეევამ თანხმობით დაუქნია თავი. ვერა გავიდა, კართან შეჩერდა და ჭუჭრუტანიდან ზვერავდა კლასს. უნდოდა გაეგო,

როდის მორჩებოდა თხზულების წერას სტრელოვა. საოცრად აღელვებდა ეგ. კლასში ვერას ვერავინ უდებდა ტოლს, განსაკუთრებით ლიტერატურაში. ყველას მიაჩნდა, რომ ვერა სვერჩკოვა ოქროს მედალზე დაამთავრებდა სკოლას. მაგრამ გუშინდელს აქეთ მე-8 „ბ“ კლასში ახალი მოწაფე გამოჩნდა. ჰოდა, ვერაც დაიძაბა. რა მიზეზით გადმოვიდა სტრელოვა ახალ სკოლაში შუა სასწავლო წელს, არავინ იცოდა. არც ის უწყოდნენ, ნიჭიერი იყო თუ არა. მაგრამ ვერას ახსოვდა სტრელოვას გამოსვლა პიონერთა სასახლეში ლიტერატურულ წრეში და მღელვარება ვერ გაექარწყლებინა იმის შიშით, რომ ახალი მოწაფე ლიტერატურაში მასზე უკეთესი იქნებოდა. ამ შფოთში გაატარა რამდენიმე დღე, სანამ აგრიპინა ფიოდოროვნა ნაწერებს გასწორებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ლიტერატურის გაკვეთილის წინ საშკა მაკაროვა ქარიგით შემოიჭრა კლასში და თქვა, აგრიპინა ფიოდოროვნას რვეულები მოაქვსო. მაკაროვას ჩვეული, საოცრად მსუბუქი ნაბიჯებით ფადეევაც შემოჰყვა. ღიმილი აღბეჭდოდა სახეზე, თითქოს გულში რაღაც უხაროდა, მოწაფეებს სალამზე სალმითვე უპასუხა, მაგიდაზე რვეულების დასტა დადო და გულისყურიანი მზერა მოავლო კლასს, რომელიც დაძაბული მოლოდინით მისჩერებოდა სახეში.

დასტის ზემოდან ახლაც, ჩვეულებრივ, ვერა სვერჩკოვას ვარდისფერი რვეული იდო. გოგოებმა იცოდნენ, რომ აგრიპინა ფიოდოროვნა ფრთხილად აიღებდა მას, დაიდებდა ხელისგულზე, თითქოს სიმძიმით ზომავს ნაწერის ფასსო, და გვერდზე გადადებდა, რომ მერე ხმამაღლა წაეკითხა. მერე ყველაზე სუსტი მოწაფეების, საშკა მაკაროვას ან რაია ოგოროდნიკოვას თხზულებას ამოარჩევდა და იქიდან შეუდგებოდა რვეულების დარიგებას.

ასე მოიქცა ახლაც. ფრთხილად აიღო ვერას ვარდისფერი რვეული, ხელში გააჩერა და მერე გვერდზე გადასდო. მერე საშკა მაკაროვას ნაწერი გამოიღო, ყოყმანით დადო ვერას რვეულზე, მერე ახვავებული დასტიდან კიდევ ერთი ნაცრისფერყდიანი რვეული გამოაძვრინა.

— ნეტა ვისია? — აჩურჩულდნენ კლასში. ამოძრავდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

— სვერჩკოვას, როგორც ყოველთვის, ფრიადზე დაუწერია,

მაგრამ სტრელოვას თხზულება უკეთესია. აბა წაიკითხეთ, სტრელოვა, თქვენი ნაწერი, — თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ და თვალებით ახალი მოწაფე მოძებნა.

მაგრამ სტრელოვას ნაცვლად მორიგე ვერა სვერჩკოვა წამოდგა.

— სტრელოვა დღეს არ არის, აგრიპინა ფიოდოროვნა, ნება მომეცით, მე წავიკითხო მისი თხზულება, სხვისი ნაწერის გარჩევა მეხერხება.

— წაიკითხე, — უთხრა მასწავლებელმა, რვეული გაუწოდა და ყურადღებით შეხედა ვერას.

ვერას სახე წითლად აუფორეჯდა. მთელმა კლასმა იცოდა. რა პატივმოყვარე იყო და ეუცნაურათ მისი სურვილი, სტრელოვას ნაწერს წავიკითხავო. ძალზე საინტერესო ამბავი იყო და კლასი გაინაბა. თხზულება, მართლაც, ძალზე კარგად დაწერილი გამოდგა და გოგონებმა ყურადღებითაც მოისმინეს.

ვერა კითხვას რომ მორჩა, აგრიპინა ფიოდოროვნა სტასიას მიუბრუნდა:

— ნოჩკა, შენი ნაწერი რატომ არაა?

სტასია ელოდა ამ შეკითხვას, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო მისთვის. ხმა არ ამოუღია.

აგრიპინა ფიოდოროვნა კარგა ხანს ელოდა პასუხს და ბოლოს მოთმინება გაუწყდა:

— ჰო, შენი თხზულება რატომ არაა-მეთქი? — ჰკითხა ხელმეორედ გაბრაზებით.

— ვერ მოვასწარი დაწერა, — ჩაწყვეტილი ხმით მიუგო სტასიამ.

— ნუ ტყუიხარ, ნოჩკა, მე ვიცი, რომ შენ წერის დროს სხვა საქმით იყავი გართული. იძულებული ვარ, ორიანი დაგიწერო. დაჯექი.

სტასია დაჯდა, თვალებზე ხელი აიფარა და ატირდა. ტიროდა, რადგან ნაწყენი იყო აგრიპინა ფიოდოროვნაზეც, თავის თავზედაც და საფრონოვზედაც.

მეოთხე თავი

ყველაფერში, ყველაფერში—იმაში, რომ წერითი შრომის შეუსრულებლობისათვის ორიანი მიიღო, იმაშიც, რომ სტასიას ფიქრები აწეწილი ჰქონდა და ნაღველიც მორეოდა — გენადი საფრონოვი იყო დამნაშავე. ერთხელ პიონერთა სასახლის ჩაბნელებულ დერეფანში გენადი უხმოდ წამოეწია სტასიას, მხარზე ოდნავ შეახო ხელი და უთხრა:

— თქვენ „მზიურის“ რედკოლეგიაში ხართ, არა? ლექსი მოგიტანეთ გაზეთისათვის, — და დახვეული ქაღალდი გადასცა, მერე ცოტათი შეყოვნდა და დაუმატა: — ეს ცი თქვენ.

სტასიამ ყოყმანით გამოართვა მეორე ქაღალდი, რომელზედაც უცნობი ხელით ეწერა: „ეს თქვენ გეკუთვნით, საკუთრივ თქვენ“!

მერე კი ის მოხდა, რაც პუშკინსა აქვს მოთხრობილი „ევგენი ონეგინში“. „ქალწულს აღმოხდა: სწორედ ის არის!“ იქნებ ამ ამბავზე გაეცინოს კიდეც მას, ვისაც ასეთი გრძნობა არ გამოუცდია, მაგრამ სტასიას კი მოეჩვენა, რომ ეს სწორედ ის რჩეული იყო, ვისზედაც იგი ოცნებობდა, როცა ნაცნობ ბიჭებზე ეჭირა თვალი.

სტასიამ გაშალა ქაღალდი და ნელ-ნელა აუყვა კიბეებს, თან კითხულობდა:

ყვავილი

ვუძღვნი ანასტასია ნოჩკას

ნაკადულმა, მოჩუხჩუხე ნაკადულმა
მთის გადაღმა ავლილი და ჩავლილი
ვარდისფერი თუ ცისფერი ქვეყნიდან
მომიტანა მე ხასხასა ყვავილი...
მომიტანა სულ შორიდან, სულ შორიდან...
ეს ყვავილი ქალწულს ედო გვირგვინზე...
ის ნაცნობმა ქალიშვილმა მისახსოვრა, —
და მოცურდა ჩემთან, როგორც დიდი მზე
და ამინთო იმედები თეთრ სხივებად,
იმედები ბნელ ღამესაც მინათებს...
ის ყვავილი შენ მესროლე მე, ძვირფასო,
როგორც შენი თმის კულულის სინათლე...

ის ყვავილი ბნელ ღამეში მე დამიჭკნა,
ის, მშვენება მინდვრისა და მთა-ველის...
ამაოა ჩემი ტანჯვა-ნაღველი,
ამის შემდეგ კარგს არაფერს არ ველი.

იმ დღიდან მოყოლებული პიონერთა სასახლის ლიტერატურულ წრეში სტასია კვირაში ორჯერ ხვდებოდა საფრონოვს. ბიჭი ზოგჯერ ესალმებოდა ხოლმე გოგოს, მაგრამ უფრო ხშირად, წიგნებში თუ თავის ფიქრებში ჩაფლული, ვერც ამჩნევდა მას. წრის მეცადინეობებზე უყვარდა სავარძელში ღრმად ჩაჯდომა, რაც ტანის სიმაღლეს უფარავდა, ხოლო მეცადინეობებს შორის შესვენებისას მიდგებოდა ხოლმე კედელთან, თითით მასზე უჩინარ სახეებს ხაზავდა და თან თავის საფიქრალს ფიქრობდა. სტასია კი ფარულად უჭვრეტდა ბიჭს და იტანჯებოდა. ნეტა რატომ, რატომ მიძღვნა ამ ბიჭმა ეს ლექსი, როცა ზედაც არ მიყურებსო?

ჰოდა, ხომ ხდება ამდაგვარი რამ: მთელ პიონერთა სასახლეში ბიჭი არ მოიძებნებოდა, სტასიასთან მეგობრობას რომ არ გაებედნიერებინა, მაგრამ სტასიას რაში ენაღვლებოდა სხვა ბიჭები, როცა მის გულში მხოლოდ საფრონოვი იჯდა?

სტასიამ თავისი საიდუმლო ვერა სვერჩკოვას გაანდო. ვერამ ყურადღებით მოუსმინა მეგობარს და მისთვის ჩვეული პირდაპირობით უთხრა:

— თქვენ ვერ იმეგობრებთ. ეგ ბიჭი შენდამი გულგრილია. და საერთოდ, ეგ მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ არ არის გულგრილი.

ვერამ დაინახა, რომ მის სიტყვებზე სტასიას სახე წამოენთო და თვალებზე ცრემლები მოადგა, ამიტომ მეგობარს ჩაგონება დაუწყო:

— ერთი ულამაზო, ჭორფლიანი, ცხვირაპრეხილი გრძელი ბიჭია. — ეს ერთი, — უთხრა და ცერა თითი მოკეცა. — ეგოისტია — ეს ორი, — ვერამ ახლა ლურჯი მელნით მოთხიპნილი საჩვენებელი თითი მოკეცა, — ისე ორიგინალობს, პირდაპირ გულს აგირევს, — ესეც მესამე. — სხვა ნაკლი ვეღარ უპოვა ვერამ საფრონოვს და ორი თითი მოუხრელი დარჩა.

— რა შუაშია გარეგნობა, — შეეწინააღმდეგა სტასია, — განაცოტაა ულამაზო ხალხი ამქვეყნად?

ვერას გაეცინა:

— ოჰო! ხედავ, როგორ სხვანაირად დაიწყე განსჯა! განა დიდი ხანია მეშჩანური შეხედულება რომ გქონდა, გარეგნობაა ყველაფერიო? სწორია. სულში უნდა ჩახედო ადამიანს. საფრონოვს კი სულიც დახვანჯული აქვს, — ვერა ცოტათი დაფიქრდა და უცებ მხიარულად არატრატდა: — იცი, სტასია, რა ვიფიქრე: ძალიან საინტერესო და კეთილშობილური ამბავია, ჩემის აზრით, ცალმხრივი სიყვარული. შენთვის, მე მგონია, ეს ზედგამოჭრილიც არის. რომელიმე რომანის გმირი ქალივით იქნები...

სტასიას აღარაფერი უპასუხნია, მხოლოდ ვერაზე კი გაიფიქრა, ამას ჯერ კიდევ არაფერი გაეგება სიყვარულისა და იმიტომაც ლაპარაკობს ასეო. მაგრამ მინ რომ დაბრუნდა და გაახსენდა ვერას სიტყვები, მოულოდნელად დამშვიდდა. სტასია გაკვეთილებს მიუჯდა და მთელი დღე და მთელი საღამო ისევე გულდამშვიდებული იყო, როგორც წინათ, საფრონოვთან შეხვედრამდე. მეორე დღეს კი ყველაფერი თავიდან დაიწყო: გაკვეთილები თავში არ შესდიოდა, გულში ნაღველი და სიცარიელე დასადგურებოდა.

ქარბუქიანი დღე იდგა, ქუჩაში თოვლის ბუქი ტრიალებდა, ყინვასავით მსუსხავი თოვლი გამვლელებს სახეში ეყრებოდა; საზიზღრად, ბოროტად ზუზუნებდა ქარი, საღამო ხანს სტასიამ ჩაიცვა ქურქი, დაიხურა ქუდი, ქუჩაში გამოვიდა და თითქმის სირბილით გაეშურა ბიბლიოთეკისაკენ. იქ ზოგჯერ ამ საათებში საფრონოვი ხვდებოდა ხოლმე.

დაბინდებამდე დადიოდა წინ და უკან ბულვარზე, მრავალსართულიანი თეთრი სახლის პირდაპირ, და ამაოდ არ ჩაუვლია მის მოლოდინს.

ბინდბუნდში გაიელვა საფრონოვმა, მობუზულიყო, ჯიბეებში ხელები ჩაეწყო და ამოიღლიავებულ წიგნებს იდაყვით იკრავდა ფერდზე.

სტასიამ ხმამაღლა ამოიოხრა და უკან მოკურცხლა. ვიღაც სქელი გამვლელი ქალი, თვალებამდე საყელოაწეული და ქარში თვალებმოჭუტული რომ მოდიოდა, სწორედ ამ დროს გაუსწორდა სტასიას. მას გული გადაუქანდა, გოგოს „მხეცოო“, მიაძახა და გაოცებული თვალი გააყოლა.

სტასიას გაკვეთილები უსწავლელი დარჩა, თვალმტირალმა

ნაშუადამევსაღა დაიძინა. არა, მას არ შეეძლო ცალმხრივი სიყვარული. მას სურდა, რომ ქარბუქსა და ყინვაში თავად კი არა, საფრონოვს მოერბინა მთელი ქალაქი, რათა შეეხედა სტასიასათვის.

სტასიას სიყვარულის ამბავი არც დედამ იცოდა და არც მამამ. გოგოს თითქმის არც უხდებოდა მშობლებთან საუბარი. მამისი — მთავკონსერმრეწვის განყოფილების მმართველი — მთელი დღეები სახლში არ იყო — გვიან ღამით მოდიოდა შინ ლაპლაპა, ახალთახალი ЗИС—101-ით, დაღლილი და განერვიულებული, ივახშმებდა, ცოლ-შვილს ერთ-ორ სიტყვას გადაუგდებდა და დასაძინებლად მიაშურებდა. სტასიას ყველაფრის ნებას რთავდა, რასაც კი მოისურვებდა, ოღონდაც კი გოგო თხოვნით თავს ნუ შეაწყენდა. თავისუფალ დღეებში, თუმცა ასეთები იშვიათად გამოერეოდა, მამა სულ სულ სხვა კაცად გარდაიქმნებოდა ხოლმე. შუადღემდე საწოლში ნებივრობდა, კითხულობდა წიგნებსა და გაზეთებს, მერე ადგებოდა მთელი დღე საშინაო ფეხსაცმელებში შიშველფეხწაყოფილი და პერანგგაღეღილი, შარვალზე აჭიმებჩამოშვებული დაფრატუნობდა. ამ დროს მხიარულად იყო ხოლმე, ბევრს ლაპარაკობდა, ალერსს არ აკლებდა ცოლ-შვილს. სტასიას ბევრჯერ უთქვამს მისთვის სიცილით: „მამა, შრომა სიხარული უნდა იყოს ადამიანისათვის, შენ კი, როცა მუშაობ, ეშმაკივით ავდები, ხოლო, როცა უსაქმურობ, შენზე კარგი ქვეყნად არავინაა“.

მამა ამაყობდა თავისი მდგომარეობით. სტასიასაც ბავშვობიდანვე გადაედო ეს. დღეში ორჯერ მოქროლდებოდა მანქანა სკოლის ჭიშკართან. სტასია ჩაჯდებოდა შიგ, ცდილობდა ამხანაგებს დაენახათ და არც მეტი, არც ნაკლები — ორ კვარტალს გაივლიდა მანქანით შინ მისასვლელად. თუმცა ამის თაობაზე ერთხელ უსიამოვნებაც შეხვდა. მაშინ მეხუთე კლასში იყო. კლასის ხელმძღვანელმა აგრიპინა ფიოდოროვნამ გაკვეთილების შემდეგ შეაჩერა. სამასწავლებლოში გვერდით მოისვა, ყურადღებით მიაჩერდა და ჰკითხა:

— იცი თუ არა, სტასია, როგორ უჭირს ცხოვრება ახლა ჩვენს ხალხს?

სტასიამ გაოცებით შეხედა მასწავლებელს.

— ვიცი, — მიუგო და სკამქვეშ შემალა ფეხები, რომლებზეც ლამაზი ყავისფერი ფეხსაცმელები ეცვა.

— ჰო, მაგრამ ცოდნა როდია ყველაფერი. სკოლიდან ორ კვარტალს იქით ცხოვრობ და მანქანით რატომ დადიხარ? სატრაბახოდ ხომ არა გყავს მანქანა? შენი ამხანაგი გოგოები კი ფორნით ეზიდებიან სათბობს შეშის საწყობებიდან, რადგან ამჟამად საკმარისი ტრანსპორტი არ გაგვაჩნია. ხომ გესმის, სტასია, რას გეუბნები?

— მესმის, — უთხრა თავჩაქინდრულმა სტასიამ და გავიდა სამასწავლებლოდან.

შინ დედა-მამას გადასცა მასწავლებელთან თავისი საუბარი. სამსახურიდან დაბრუნებული განერვიულებული მამა აყვირდა და დააპირა ხვალვე სკოლაში დირექტორთან მისვლა, რათა აეხსნა მისთვის, თუ რა უტაქტოდ ჩაერია მასწავლებელი მის ოჯახურ ცხოვრებაში. თუმცა მამა სკოლაში არ წასულა და დასვენების დღეს, როცა მშვენიერ გუნებაზე იყო, დაასკვნა, მასწავლებელმა მართალი თქვა, სტასია სკოლაში მანქანით არ უნდა დადიოდესო. კარგა ხანს ამ საუბრის შემდეგ სტასია მანქანით სკოლაში მხოლოდ ცუდ ამინდში მიდიოდა, მერე კი ყოველივე ისევ ძველებურად წარიმართა...

ამ საქმეში მთავარი დამნაშავე სტასიას დედა იყო. მას სიგიჟემდე უყვარდა თავისი ქალიშვილი, ყოველგვარ ახირებულ სურვილს უსრულებდა. სტასია დედამისს ყველაზე ლამაზ გოგოდ მიაჩნდა, და ამიტომაც ყველაზე საჩინოდაც, რადგან მის წარმოსახვაში ისეთ თვისებებს, როგორიცაა ჭკუა, განათლება, განვითარება — გოგონასათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ძალზე მოსწონდა, ყმაწვილები გუნდ-გუნდად რომ მიაცილებდნენ მის ქალიშვილს სასკოლო საღამოებიდან, მაგრამ ერთთავად იმას ჩასჩიჩინებდა, რომ ბიჭები ბიჭებად იყვნენ, ხოლო როცა გათხოვების დრო მოგივა, შენზე ბევრად უფროსი და უეჭველად კარგი მდგომარეობის კაცი უნდა აირჩიო. ალბათ წარმოუდგენლად ეწყინებოდა, რომ გაეგო, ჩემს ქალიშვილს საფრონოვი მოსწონსო; მაგრამ ამ ამბისა არაფერი იცოდა, რადგან სტასია დედასთან არ იყო გულახდილი.

სტასიამ თავისი სიყვარულის ამბავი მხოლოდ ვერა სვერჩკო-

ვას გაანდო. ვერა მოუცლელი იყო, ბევრს მეცადინეობდა, გატაცებული იყო თეატრით და ბიჭებს ყურადღებას არც აქცევდა. თუმცა, ყველაფერს სერიოზულად ეკიდებოდა და შეფიქრიანებული იყო სტასიას გატაცების გამო.

ერთ ავდრიან დილით სტასიამ ლოგინიდან ადგომისთანავე იგრძნო თავის ტკივილი, გული უშფოთავდა. გაკვეთილები არ იცის... საკლასო ჟურნალში უკვე სამი ორიანი უწერია... რა ქნას, რა მოუხერხოს თავს?

ტანთ არ ჩაუცვია, საწერ მაგიდას მიუჯდა, ახალი რვეული ამოიღო და ყდაზე წააწერა: „დღიური“. „ყოველ დილით დავწერ დღიურს. ახლა ცალკე ოთახი მაქვს, ვერავინ დამინახავს“, — გაიფიქრა. მერე პირველ გვერდზე დაწერა: „ჩვენს ასაკში სიყვარული დანაშაულია. ყველაფერზე ხელი უნდა აიღო — სწავლაზედაც, მთელ ცხოვრებაზედაც... სიყვარული შეიძლება“... სტასია ჩაფიქრდა: „როდის შეიძლება სიყვარული? სკოლას 17—18 წლისა დაამთავრებ, მერე კიდევ ინსტიტუტში უნდა ისწავლო ხუთი წელი... ესეც შენი — 23 წელი. მაშ, 23 წლამდე შეყვარება არ შეიძლება. ჰოდა, თუ, ვთქვათ, უმაღლესის მერე ასპირანტურაშიაც განაგრძე სწავლა, — კიდევ 3—4 წელი გინდა. სულ 27 წელი გამოდის. არა, რაღაც ისე არაა“...

სტასიამ ნაღვლიანად გვერდზე გადადო კალამი და ჩაცმას შეუდგა.

მეხუთე თავი

ტროფიმ კალინოვიჩ სვერჩკოვს დიდი დამსახურება მიუძღოდა სამშობლოს წინაშე. სამამულო ომის დროს მისი გვარი საკმაოდ ხშირად იხსენიებოდა სტალინის ბრძანებებში.

გენერალს მამაპაპური, ნამდვილი რუსული გარეგნობა და წეს-ჩვეულებანი გააჩნდა. ძალუმი აღნაგობის, ფართო, მკერდამდე წვერით, დინჯი სიარულითა და ჭკვიანი თვალების კეთილი გამოხედვით ძველდროინდელ რუს გოლიათს მოგაგონებდათ.

გენერლის ცოლს ოქსანა ტარასოვნა ერქვა. ისიც ქმარივით წარმოსადეგი, გულკეთილი, მხიარული ადამიანი იყო და ნაცნო-

ბი ქალები შურით ამბობდნენ ხოლმე: ოქსანა ტარასოვნა პირდაპირ სიჯანსაღის განსახიერებაა.

სვერჩკოვებს ორი შვილი ჰყავდათ. ქალიშვილი ვერა და ვაჟი ვლადიმერი. მშობლები შვილებისათვის სულს არ იშურებდნენ, მაგრამ გონივრულად ზრდიდნენ.

სვერჩკოვებს, ისევე როგორც ნოჩკებს, თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ მანქანა, მაგრამ ვერას არასოდეს მოსვლია აზრად, მამისთვის სკოლაში მანქანით ტარება ეთხოვა. მანქანა მამას სჭირდებოდა თავისი დიდი, მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად, ზოგჯერ უფრო იშვიათად კიდევ, საერთო, მაგრამ მაინც საჭირო საოჯახო საქმეებისათვის — ეს ვერას მშვენივრად ესმოდა.

სტასია ნოჩკა თავისი პირველი, მისთვისვე შეუცნობელი სიყვარულით მარტოდმარტო ეწამებოდა, მშობლებს უმალავდა, ისინი კი ვერ ამჩნევდნენ, რა დღეში იყო გოგო. მშობლები მიჩვეულები იყვნენ მხოლოდ მის ფიზიკურ მდგომარეობაზე ზრუნვას: მსუყე საჭმელი არ მოეკლოთ, ადრე დაეწვინათ დასაძინებლად, თბილად ჩაეცმიათ და ელოლიავებინათ მისთვის. სვერჩკოვები კი სულ სხვანაირად ექცეოდნენ თავიანთ შვილებს. გენერალი შინ რომ მოვიდოდა, მაშინვე კიტელს გაიხდიდა, ვერას ნაჩუქარ, მისივე შეკერილ დაბამბულ ქურთუკს ჩაიცმევდა და პირველ ყოვლისა ქალიშვილის ოთახს მიაშურებდა..

მეგობრობა! ეს ხომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური გრძნობაა. თანატოლებთან მეგობრობა კეთილშობილებაა, მაგრამ კიდევ უფრო კეთილშობილური, კიდევ უფრო წმინდა მშობლებთან მეგობრობაა. ქვეყნად არ მოიპოვება დედ-მამაზე უფრო გულწრფელი, ერთგული მრჩეველი. ვერა სვერჩკოვას ცარგად გაეგებოდა ეს. მას მშობლებისაგან დაფარული საიდუმლო არ გააჩნდა. დედ-მამა მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ.

როცა ვერა საკლასო წერის შემდეგ შინ დაბრუნდა, ტროფიმ კალინოვიჩსა და ოქსანა ტარასოვნას არ გამოპარვიათ, რომ მათი ქალიშვილის თავს რაღაც ამბავი იყო.

სასადილო ოთახში მრგვალ მაგიდასთან სადილობისას მთელმა ოჯახმა მოიყარა თავი.

— რა მოხდა? — ჰკითხა გენერალმა ვერას. — ცუდად ხომ არ დაწერე თხზულება?

— არა, ხუთი მივიღე წერაში, მაგრამ ახალი მოწაფის ნაწერი ჯობია ჩემსას. დღეს მე წავიკითხე ხმამაღლა სტრელოვას ნაშრომი, რადგან თვითონ სკოლაში არ იყო. ვერასოდეს ვერ დავწერ მაგისთანას. სტრელოვას სულ თავისი აზრებით უწერია, მე კი — მასწავლებლებისა და კრიტიკოსების აზრებს ვწერ. ახლა როგორი მსუბუქი, სადა, ლამაზი ენა აქვს!

— ვერ გამიგია, მერე ეგ რა მიზეზია უგუნებობისა? — მხრები აიჩეჩა ოქსანა ტარასოვნამ. — ჰოდა, მშვენიერი ამბავიც მომხდარა, კლასს ერთი ფრიადოსანიც შემატებია.

ვერა სახეზე წამოენთო, ტუჩები აუთრთოლდა. თეფშზე დახარა თავი, რომ ცრემლები დაემალა.

— თავადაც არ ვიცი, ასე რამ მატკინა გული. არ მიყვარს სტრელოვა... არც კლასში უყვართ...

— როგორ, შვიდ დღეში მოასწარით? — ეჭვით შეეპასუხა ოქსანა ტარასოვნა. — როდის მოახერხეთ მისი გაცნობა? ან იქნებ იმიტომ ვერ შეიყვარეთ, რომ ლამაზი, ჭკვიანი გოგოა და, ეტყობა, ფრიადებზედაც სწავლობს? აბა, ერთი პირუთვნელად განსაჯე, როგორც კომკავშირელს შეეფერება.

ტროფიმ კალინოვიჩი ხმას არ იღებდა. იგი მუდამ ასე დუმდა ხოლმე ჭამის დროს.

— არ ვიცი... — ორჭოფულად თქვა ვერამ.

ტროფიმ კალინოვიჩს უყვარდა ნასადილევს ერთხანს დაჯდომა, ჩიბუხის გაბოლება და ცოლ-შვილთან მასლაათი.

ახალი კინოსურათის შესახებ ბჭობდნენ, მაგრამ ვერამ იცოდა, რომ მამამისი აუცილებლად გააგრძელებდა სადილობისას დაწყებულ საუბარს. ასეც მოხდა.

— ფრიადზე სწავლა ძალიან სასახელო საქმეა, — გენერალმა მოულოდნელად შეწყვიტა კინოსურათზე საუბარი. — მაგრამ უფრო მეტად სასახელოა ცოდნის სიყვარული, იმ ახლის ათვისების სიყვარული, რასაც ყოველდღე სწავლობთ სკოლაში. ცოდნისმოყვარე უნდა იყო, მაგრამ, შენ, ვერა, ვგონებ, პატივმოყვარეობის გულისთვის სწავლობ. ძალიან გიყვარს პირველობა. ეს მე მწყინს. არ მომწონს ასეთი მოწაფეები. მითხარი, მართალი ვარ თუ არა?

კარგა ხანს უმტკიცებდა ვერა. მხოლოდდამხოლოდ მეცნიერების ჭეშმარიტი სიყვარული მაიძულებს გვიან ღამემდე ვუჯდე

წიგნებს და ყურადღებით მოვისმინო კლასში მასწავლებლების ახსნილიო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თავსაც გამოუტყდა და დედ-მამასაც, რომ პატივმოყვარეობა არ აკლდა.

— მაშ ასე, — თქვა ტროფიმ კალინოვიჩმა, წამოდგა და მაჯის საათზე დაიხედა, — დამეთანხმე, ხომ! ახლა ის მითხარი, შენი აზრით, რა არის ეს— ნაკლია თუ ღირსება?

— ზომიერი არ არის ნაკლი, — ჯიუტად თქვა ვერამ.

— უზომო? — ჰკითხა დედამ, რომელიც მაგიდასთან იჯდა და ჭურჭლის ტილოთი თეფშებს ამშრალებდა.

— უზომო — ნაკლია, — მიუგო ვერამ.

— მაშ, პატივმოყვარეობა უზომო გაგაჩნია. შენ ხომ კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ხარ და კლასში ახალი ფრიადოსანი მოწაფის გამოჩენამ იმდენად გაგანაწყენა, რომ აგაცრემლა კიდეც. ეს ნაკლია, ვერა, რომელიც უნდა ამოძირკვო, — მტკიცედ უთხრა მამამ.

მამა მეორე ოთახში გავიდა და იმწამსვე მობრუნდა პერანგისამარა, ხელში კიტელი ეჭირა.

— რაკი ასეთი პატივმოყვარე ყოფილხარ, — განაგრძო ტროფიმ კალინოვიჩმა, — ალბათ სტასიასავით ამხანაგ გოგოებთან თავი მოგაქვს, რომ საბჭოთა კავშირის გმირი და გენერალი მამა გყავს. მერე ეს ხომ სისულელეა. ჩემი დიდება მე მეკუთვნის, მე დავიმსახურე და არავისთან არ მსურს მისი გაყოფა. ხომ გესმის, არა მსურს-მეთქი. თავად მოიპოვე დიდება — და უფლება გექნება იამაყო იმით. თუმცა, ვერც მაშინ დაგეთანხმებოდი. ადამიანი უბრალო უნდა იყოს.

— არა-მეთქი, მამა, — პროტესტი განუცხადა ვერამ.

— დამაცა! — ჯიუტად გააწყვეტინა მამამ. — მე. მინდა გითხრა, რომ შენს პატივმოყვარეობას, ისევე როგორც ყოველ ადამიანურ ნაკლს, შეუძლია შეცდომებამდე მიგიყვანოს, ცხოვრება წაგაგებინოს. აი, ხშირად გიამბნია სტასიაზე. მაგრამ იგი მეგობრად არ გამოგადგება. თქვენ საერთო არაფერი გაქვთ, შენ, უბრალოდ, მის დონემდე დადიხარ — შენ, ვერა, არც მეგობრები გყავს, არც ამხანაგები. ცუდია ეს. აქედან გამომაქვს დასკვნა, რომ შენი პატივმოყვარეობის გამო სკოლაში არ უყვარხართ. არ გედავები, რომ კარგი საზოგადოებრივი მუშაკი ხარ და ამხანაგებ-

თან მშვენიერი საქმიანი კავშირის გაბმაც შეგიძლია, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა შეარჩიო ამხანაგები და უფრო გულითადი დამოკიდებულება იქონიო მათთან. ეს აუცილებლად უნდა ფააკეთო, ვერა, თორემ, ისე სიცოცხლე მოსაწყენი იქნება!

ტროფიმ კალინოვიჩმა ჩაიცვა კიტელი, ჩვეული მოძრაობით ყველა ღილზე შეიკრა იგი და ისევ საათზე დაიხედა. ეტყობოდა, სადღაც ეჩქარებოდა, მაგრამ ეს საუბარი თავის ქალიშვილთან გადაუდებელ და მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა.

— მერე კიდევ, — გენერალმა მკაცრად მიაშვირა თითი სივრცეში, — შენ, მე მგონი, მტკიცედ გაქვს არჩეული მომავალი სპეციალობა. თეატრი გაინტერესებს: რეჟისურა, რეპერტუარი, ხელოვნების ისტორია, მშვენიერი დარგია, საინტერესო, საჭირო და, მე ვიტყოდი, არც თუ ისე ხშირი. მაგრამ მაგ შენს ნაკლს თუ ვერ დასძლევ, უსულგულო საქმე გამოგივა, ცივი და მარცხისთვის განწირული. კარგად დაიხსომე ეს. ასევეა ყველანაირი საქმე, ვერა.

გენერალი ქალიშვილთან მივიდა, გახურებულ ლოყებსა და დახრილ თავზე ალერსით ხელი მოუცაცუნა და უკვე ტკბილად უთხრა:

— იფიქრე ამაზე და გამოიცვალე, იცოდე. ნებისყოფა შენ არ გაკლია და საინტერესო საქმეც კია — გადააკეთო საკუთარი თავი. — გენერალი დაიხარა და თმაზე აკოცა შვილს, — აბა წავედი.

გადააკეთე საკუთარი თავი? — საოქმელად რა ადვილია და შესასრულებლად რა ძნელი თექვსმეტი წლის გოგოსათვის. ძნელი, მაგრამ შეუძლებელი როდია, მთავარია, გულით გინდოდეს და ფიქრი და სურვილები შეალიო.

მეექვსე თავი

სტასია მუდამ მორიდებულად იყო ხოლმე სვერჩკოვების სახლში. გენერლის ოჯახის ცხოვრების ყაიდა უცნაური და უცხო იყო მისთვის, ხოლო თავად გენერალი, ოქსანა ტარასოვნა და პატარა ვალოდკაც კი, დიდივით რომ იცოდა ლაპარაკი, სტასიაში

საოცარი შიშნარევი პატივისცემის გრძნობას იწვევდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იზიდავდა სვერჩკოვების ოჯახი. ყოველთვის, როცა მათგან მოდიოდა, ბუნდოვანი, შეუცნობელი სურვილი ეუფლებოდა ხოლმე, უკეთესი გამხდარიყო, თავისი საქციელი განესაჯა. სწორედ ასეთივე გრძნობა გამოჰყვებოდა ხოლმე ლიტერატურული წრის მეცადინეობიდანაც, მაგრამ ეს გრძნობა ჩვეულებრივ თავის სახლამდე თუ მიჰყვებოდა ხოლმე, მერე უქრებოდა და სვერჩკოვებთან ან აგრიპინა ფიოდოროვნასთან შეხვედრისას ისევ უჩნდებოდა. სტასიას არ უყვარდა, არც შეეძლო საკუთარი სულის ქექვა და ამიტომაც არ ცდილობდა ეს ახალი, მისი ამაფორიაქებელი სურვილი გაეყოლებინა დიდხანს.

სტასია სვერჩკოვებთან მიდიოდა. ზამთრის თბილი დღე იდგა, თოვლის ფიფქები ზანტად აცვიოდნენ ხავერდის ქუდზე, კრაველის შავ საყელოზე და მაშინვე დნებოდნენ.

სტასია კიბეზე ავიდა, თითის წვერებზე აიწია და ძლივს მისწვდა ზარს. მოისმა ფეხისა და შიგნითა კარის ღაღების ხმა. მოეჩვენა, რომ ვერა მოდიოდა. სტასიამ საჩქაროდ ისკუპა კიბიდან და სახლის კუთხეში დაიმალა.

კარი გაიღო. ვიღაცამ გაიარა, პარმაღზე შეიცადა. ეტყობა, დარწმუნდა, არავინ არ არისო და კარი გაიჯახუნა.

სტასიას ჩაეცინა, ისევ ავიდა პარმაღზე და, ის იყო, დააპირა ზარის დარეკვა, რომ კარი ჯახუნით გაიღო და იქიდან ცქვიტად გამოხტა გენერალი. იგი განზრახ დამალულიყო წინკარში, ეფიქრა, იმ ცელქ ბიჭუნებს გამოვიჭერ, სკოლიდან მომავალნი ბინებში რეკვით რომ თავს ირთობენო. სტასიას დანახვაზე გენერალმა გაოცებით გაასავსავა ხელები, გოგო კი გაწითლდა და დარცხვენით უთხრა:

— ოჰ, თუ შეიძლება, მაპატიეთ, ტროფიმ კალინოვიჩ, მე ვერა მეგონეთ...

— მაშ, მაშ, ეგონა... დამიხედეთ პატარას, — უთხრა გენერალმა და სტასია წინ გაატარა. დერეფანში ხმამაღლა დაიძახა: — ვერა, ვოლოდკა! ცელქი ბიჭუნა გამოვიჭირე. ნახეთ ერთი!

წამსვე გამოჩნდა და-ძმა. სტასიას დანახვაზე მხიარულად ახარხარდნენ. სტასიას გაუარა მორცხვობამ და ისიც ახითხითდა,

თან ვერას უყვებოდა, როგორ გაუსკდა შიშით გული ტროფიმ კალინოვიჩის დანახვაზე.

ვერა სტასიას თავის პატარა ოთახში შეუძღვა. ოთახში იდგა საწოლი, წიგნებით სავსე თაროები, საწერი მაგიდა, ორი სკამი და პატარა, სარკიანი კარადა. იატაკზე კარიდან საწოლამდე ვიწრო, წითელი ხალიჩა ეგო. სტასიამ გაიარა ხალიჩაზე, თან ნელა ადგამდა ფეხებს, რომ სარკეში თავისი თავი დაენახა, თმა გაისწორა, მერე სკამზე დაჯდა და ფოტოსურათების თვალიერებას შეუდგა. ვერა მაშინვე მობრუნდა, საწოლის ბოლოზე გადაფენილი პერსახოცი აიღო და ხელები შეიმშრალა. სტასიამ შეამჩნია, რომ ვერას ცხელი წყლისაგან თითები დასწითლებოდა და დაბერვოდა.

— ისევ სარეცხს რეცხავდი? — ჰკითხა.

ვერამ თავი დაუქნია, წინსაფრის მოხსნას შეუდგა და ამხანაგს მოუყვა:

— გუშინ მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვიყავი. მალიუგინის „ძველი მეგობრები“ ვნახე. ძალიან მომეწონა. არ ვეთანხმები ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიას. წაიკითხე, ხომ?

— წავიკითხე, — უთხრა სტასიამ.

მაგრამ ეს არ იყო სიმართლე. სტასია, საერთოდ, არ კითხულობდა გაზეთებს. ტყუილი იმიტომ თქვა, რომ არ სურდა თავის ამხანაგზე ნაკლებ სერიოზული გამოჩენილიყო. გულში კი წყენით ფიქრობდა: „რატომ არასოდეს მებადება საკუთარი შეხედულება? წავიკითხავ რაიმეს და მაშინვე ავტორის დაწერილს ვემხრობი. ვერას, სტრელოვას, ფედია ნოვიკოვს, საფრონოვს კი მუდამ გააჩნიათ საკუთარი აზრი. ალბათ, რა საინტერესოა, როცა საკუთარი აზრი გაქვს!“

— მაგრამ არც რეჟისორს ვეთანხმები. მე სულ სხვანაირად დავდგამდი მაგ პიესას. რაო, სტასია, ყურს არ მიგდებ?

— ვერ გამიგია, ვერა, ხელებს რად იფუშებ, — შეაწყვეტინა სტასიამ, — კირილოვნა ხომ გყავთ?

— მე მხოლოდ ჩემს თეთრეულს ვირეცხავ. კირილოვნა დაბერდა, უჭირს რეცხვა.

— ჰოდა, თქვენც ახალგაზრდა აიყვანეთ.

— მერე, კირილოვნა გავაგდოთ? — წყენა დაეტყო ხმაზე ვე-

რას. — დედაჩემსაც უძიძავა და მეც, არავინა ჰყავს ამქვეყნად. რანაირი ხარ, სტასია... ამიტომაც ვეხმარები...

— მერე, მოგწონს ეგ საქმე? — იქედნურად ჰკითხა სტასიამ.

— აბა, როგორ გითხრა... არ მომწონს, მაგრამ საჭიროა.

— მაგ დასკვნამდე თავად მიხვედი, რომ საჭიროა? — გაეცინა სტასიას. — ტყუიხარ, ვერკა, ოქსანა ტარასოვნა გაიძულებს ხოლმე. ვერაფრით ვერ გამიგია, რატომ უნდა რეცხო. როცა დაგჭირდება, წინასწარი წვრთნის გარეშეც მოახერხებ საქმის გაკეთებას. — სტასიას უფრო მკაცრულად გაეცინა. — იცი, ვერა, შენს ადგილას აქ წვრთნაზე სასტიკ უარს განვაცხადებდი.

ვერას არაფერი უპასუხნია, სასწრაფოდ ჩაიცვა კაბა და თმის დასავარცხნად სარკეს მიაშურა. სტასია მას სარკეში მისჩერებოდა. ვერა მუხის ჩარჩოში ჩასმულ სურათს ჰგავდა. მაღალს, თხელს, გრძელკისერას თმა პირდაპირ გადაევარცხნა და სადად დაეწნა ორ ნაწნავად. „ლამაზი არ არის, — გაიფიქრა სტასიამ, ვერას რომ ათვალიერებდა. — ძალიან მსხვილი სახის ნაკვთები აქვს, დიდრონი კბილები, მოგრძო ცხვირი, მაგრამ რაღაცით ბევრ ლამაზს სჯობს. რატომ ნეტა? იმიტომ, რომ კარგი სახის ფერი აქვს? არა, მიზეზი, სხვა რამეა. მისი ყურება უფრო დიდხანს მოგინდება, ვიდრე რომელიმე ლამაზი გოგოსი“.

უცებ სტასიას გაეცინა.

— მაპატიე, ვერკა, დღეს დილიდანვე ყველაფერზე მეცინება. წვერი რომ ამოგვიდეს, მთლად ტროფიმ კალინოვიჩს დაემსგავსებოდი. ხასიათითაც მამას ჰგავხარ.

ვერას გაახსენდა სუფრასთან საუბარი პატივმოყვარეობის თაობაზე, თავი გაიქნია და ჩაფიქრებით მიუგო:

— არა, სტასია, მამა ათასჯერ მჯობს... მოვრჩი, — თქვა წუთის შემდეგ, საყელოზე დაყრილი თმის ბეწვები ჩამოიფერთხა, სავარცხელი კარადაში შეინახა და ორივე გოგო წინკარისაკენ გაემართა პალტოების ჩასაცმელად.

მალე ნოვიკოვისაკენ მიმავალ გზაზე მიაბიჯებდნენ, კედლის გაზეთი უნდა გაეფორმებინათ. ფედია, სტრელოვა, სტასია და ვერა ლიტერატურულმა წრემ რედკოლეგიის წევრებად აირჩია. ქუჩა ახმაურებულიყო. ხალხი ტალღა-ტალღად ბრუნდებოდა სამუშაოდან შინ. დაქროდნენ მანქანები.

— მოსკოვივით არის, — თქვა სტასიამ, თუმცა არასოდეს ენახა მოსკოვი.

გოგოებმა ხელები ჩაჰკიდეს და სიცილით ჩაიქროლეს ქუჩაში, გამვლელებს ეჯახებოდნენ, ბოდიშს უხდიდნენ და გვერდზე უხვევდნენ.

მეშვიდე თავი

ფედია ნოვიკოვი ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა, ოროთახიან პატარა, დაბალ, ნესტიან ბინაში. ამავე ეზოში ახლახანს აშენებული აბანოს სქელი ქვის კედლები წინ ჩამოეფარა ნოვიკოვების სახლს და არამყუდრო გახადა.

ნოვიკოვს მამა ადრე გარდაეცვალა, დედა დამლაგებლად მუშაობდა აბანოში და გაჭირვებით ზრდიდა სამ შვილს, რომელთაგან ყველაზე უფროსი ფედია იყო.

ფედიას დედას არავითარი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ჭკვიანი, დაკვირვებული, წყნარი ქალი იყო. თავისი შვილების შესანიშნავი მეგობარი და დიდებული აღმზრდელი გახლდათ. ნოვიკოვის მეგობრები დიდად აფასებდნენ დედამისს, პატივისცემით იხსენიებდნენ და აღფრთოვანებულები იყვნენ მისით. ჰოდა, რაკი სენტიმენტალობას მოკლებული ბიჭები თავიანთ წრეში აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ ამხანაგის დედით, აბანოს უბრალო დამლაგებელი ქალით, — მაშ, დაემსახურებინა კიდევაც ნამდვილი პატივისცემა.

ფედია, ეტყობა, ელოდებოდა ვერას და სტასიას. ფანჯარაში რომ თვალი მოჰკრა გოგოებს, წამოხტა და ქუჩაში შეეგება მათ.

— შემოდით, შემოდით, გოგოებო, — თავაზიანად ეპატიჟებოდა იგი. მაგრამ მის თავაზიან სიტყვებზე უფრო მეტად ამ უცნობ სახლში სტუმარს შინაურულად და თავისუფლად თავს მასპინძლის ტკბილი ღიმილი აგრძნობინებდა.

ფედია გოგოებს მიეშველა პალტოს გახდაში და ფრთხილად დადო ტანსაცმელი სკამზე, რადგან საკიდის სანაცვლოდ მიჭედებულ ლურსმანზე მისი ტყაპუჭი და დედამისის დალიანდაგებული ქურთუკი ეკიდა.

გოგოებმა პალტოების გახდა მოასწრეს და ოთახში ენერგიული,

სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ვასილინა მიხაილოვნა — ნოვიკოვის დედა. ვერა და სტასია მიესალმნენ მას, თან ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ.

მაღალი, ჩასუქებული ქალი იყო, ჯანსაღი, ლოყებღაჟღაჟა. წყნარი, ცისფერი თვალებით ალერსიანად და ყურადღებით მისჩერებოდა გოგოებს. ფედიასავით ტკბილად და თავაზიანად იღიმებოდა და თავის ვაჟივით, მასაც საღი, ჩაწიკწიკებული კბილები მოუჩანდა სიცილის დროს. ვასილინა მიხაილოვნამ გოგოებს გამოჰკითხა, შორის გზიდან მოხვედით თუ არა და ხომ არ შეგცივდათო. სტასიამ და ვერამ იგრძნეს, რომ ეს შეკითხვები ნაცნობობის გაბმის მიზნით არ იყო დასმული, არა, ამ ქალს ყველაფერი აინტერესებდა, რაც მის ირგვლივ მყოფთ ეხებოდა და მისი ასეთი ყურადღება საოცრად კეთილმოსურნედ განაწყობდა ადამიანებს მისდამი.

მაგიდაზე იდო წინასწარმომზადებული ალექსანდრიის ქაღალდის დიდი ფურცელი, საღებავები და ფუნჯები. ქაღალდზე ფანქრის მსუბუქი მოსმით დაეხატათ გაცინებული მზე, ხოლო მის სხივებში ეწერა: „მზიური“.

— ძალიან კარგია, — თქვა ვერამ, რომელიც ესკიზს ათვალიერებდა, — ძალზე კარგია, — გაიმეორა მან, მაგიდას მოშორდა, თვალები მოჭუტა და ისევ შეხედა ნახატს.

ფედია ხმას არ იღებდა, სტასიას აზრს ელოდებოდა, მაგრამ რაკი გოგომ არაფერი თქვა, თავად ჰკითხა:

— აბა, შენ როგორ მოგწონს, სტასია?

სტასიამ მხრები აიჩეჩა და ისეთი სახე მიიღო, აქაოდა, ჩემთვის სულ ერთიაო, მერე საჩქაროდ უპასუხა:

— მე მგონი, კარგია.

ვასილინა მიხაილოვნა უკვე სამზარეულოსაკენ მიემართებოდა ჭურჭლის დასარეცხად, მაგრამ ფეხი შეაჩერა, შვილის ნახატს თვალი გადაავლო, განზე გადგა და მერე კვლავ სამზარეულოს მიაშურა. ფედიას არ გამოჰპარვია, რომ დედამისს რაღაც არ მოეწონა, მაგრამ იცოდა, ამას მაშინ ეტყოდა დედა, როცა გოგოები წავიდოდნენ. ვასილინა მიხაილოვნამ გაიგონა გოგოების აზრი ნახატზე. არ გამოპარვია არც სტასიას გულგრილობა და არც ვერას სიცხარე. „ეს შავგვრემანი, — უთხრა მერე შვილს ვერაზე, — აქედანვე ეტყობა, თავად გაიკაფავს გზას, იმ მეორეს კი გაუჭირდება ცხოვრება“.

ვერა, სტასია და ფედია საქმეს მიუსხდნენ და ერთბანს ხმას არ იღებდნენ. ვერას სკამზე მუხლებით შედგომა სჩვეოდა, ახლაც თავისი საყვარელი პოზა მიეღო და გატაცებით აფერადებდა ფედიას მოხაზულ ასოებს. სტასიამ თხუთმეტიოდე წუთს ხატა, მერე მობეზრდა, მთქნარება აუტყდა, ფუნჯი განზე გადადო და გულახდილად განაცხადა, მომწყინდა მუშაობაო. ფედიამ ყურადღებით შეხედა გოგოს, უნდოდა ეკითხა, რატომა ხარ ასეთი მოუთმენელიო, მაგრამ თავისთვისვე მოულოდნელად სულ სხვა რამ ჰკითხა:

— სტასია, კომკავშირში რატომ არ შედიხარ?

სტასია წამოწითლდა.

— ისე.

— რა სკოლამდელივით მიპასუხა, — გაეღიმა ფედიას.

— ოჰ, კომკავშირული ორგანიზაციის ორ მდივანს შორის არ მოვხვდი! — ხუმრობაში გაატარა სტასიამ.

ვერა საქმეს მოსწყდა, მეგობარს შეხედა და უთხრა:

— კი ნუ იცინი, ისე გაეცი პასუხი. სერიოზული კითხვაა.

— ვეროჩკა, ჩემო კარგო, — ძალად გაიცინა სტასიამ, — ხომ იცი, რომ სერიოზულად არაფერზე არ შემიძლია ლაპარაკი.

მაგრამ ვერასა და ფედიას არც გაღიმებიათ და სტასია მიხვდა, რომ ხუმრობით ფონს ვერ გავიდოდა. გოგო წამოწითლდა და გადატკეცილ, პრიალა შუბლზე ნაოჭები აესახა.

— მე ხომ შესახედავად ვჩანვარ ჯანმრთელი, თორემ გულის მანკი მაქვს და ამის გამო დედა და მამა კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან ჩემი კომკავშირში შესვლისა.

ამის თქმაზე სტასია კიდევ უფრო გაწითლდა. იგი მართალსაც ამბობდა და ტყუილსაც. მართალს, რადგან მის დედ-მამას მართლაც მიაჩნდათ, რომ გულით ავადმყოფ სტასიას ზედმეტი სამუშაოსათვის თავი უნდა აერიდებინა, ტყუილს კი იმიტომ, რომ სტასია ყველაზე ნაკლებ ანგარიშს თავის საქციელში დედ-მამას უწევდა და რაც მოეპრიანებოდა, იმას აკეთებდა. კომკავშირში შესვლა თავად სტასიას არ სურდა: პასუხისმგებლობისა ეშინოდა და კიდევ იმისა, რომ რაიმეთი პირადი ინტერესები არ შელახვოდა.

— მერე რატომ ჰგონია შენს დედ-მამას, რომ გულისმანკიანი არ შეიძლება კომკავშირში შევიდეს? ზედმეტი დატვირთვა გამოვა? — ჰკითხა ფედიამ.

სტასია უმალ დაეთანხმა თავის დაკანტურებით. ეშინოდა ვერასთვის თვალი გაესწორებინა, რადგან მან ყველაფერი იცოდა და სტასია ფიქრობდა, ვერაფერს გამოაპარებს კაცი.

ფედია წუთით დაფიქრდა, საშლელით რომელიღაც არასაჭირო შტრიხს შლიდა, მერე სწრაფად შემობრუნდა და გამარჯვებულის ღიმილით, აქაოდა სიცრუეში გამოგიჭირეო, უთხრა სტასიას:

— დაიცა, დაიცა, ლიტერატურულ წრეში მეცადინეობის უფლებას ხომ გაძლევენ?

— ჰო, მაძლევენ...

— მე კი შენს ადგილას კომკავშირს ვარჩევდი. ნუ გამიბრაზდები, სტასია, — ფედია მივიდა გოგოსთან და მხარზე ხელი დაადო. — მაგრამ ლიტერატურა მაინცადამაინც არ გიყვარს, თავად არაფერსა წერ, წრის მეცადინეობაშიც არ ღებულობ აქტიურ მონაწილეობას... მაშ რად გესაჭიროება ლიტერატურული წრე? ასე არ არის? — მიუბრუნდა ფედია ვერას, იფიქრა, მხარს დამიჭერსო, მაგრამ იგი ხმას არ იღებდა. ვერამ კარგად იცოდა, რატომაც არ გამოდიოდა სტასია ლიტერატურული წრიდან.

— იცით რა... გთხოვთ, ჩემს პირად საქმეში ნუ ერევით... — გაბრაზდა სტასია.

— ნუ ბრაზობ, სტასია, მაგრამ როცა კომკავშირს ეხება საქმე, ეს მარტო შენი პირადი საქმე როდია. — ფედიამ დაბნევით შეხედა ვერას, მზერით სთხოვა საუბარში ჩაბმა, მაგრამ ვერა მტკიცედ სდუმდა. მას ამ თემაზე სტასიასთან ბევრჯერ ულაპარაკნია.

— კომკავშირი ხომ დიდი საქმეა, სტასია, — მღელვარებით განაგრძობდა ფედია. — გაიხსენე „ახალგაზრდა გვარდია"! ხშირად ჩვენთან კარგად არ ესმით ბავშვებს, რას ნიშნავს კომკავშირელობა. შედიან, საწევროებს იხდიან და ფიქრობენ, ყველაფერი რიგზეაო. ნამდვილად კი ეს როდია მთავარი — სულით უნდა იყვე კომკავშირელი, შენი თაობის ნაღდი წარმომადგენელი...

— ეს უშენოდაც ვიცი, — ბრაზით უთხრა სტასიამ. — მოდით, ვხატოთ, ისა სჯობს.

— მოდით, — თქვა ფედიამ ჩამწყდარი ხმით და გაიფიქრა: „ვერ მივუდექი კარგად, გავაბრაზე, მარტო როცა იქნებოდა, მაშინ უნდა წამომეწყო ეს საუბარი... ასე ვიცი მუდამ, გავაფუჭებ საქმეს, არც ლაპარაკი მეხერხება და არც ადამიანის დარწმუნება"...

კარგა ხანს არც ერთს ხმა არ გაუღია. მერე ვერამ, ისე რომ საქმიდან თავი არ აუღია, იკითხა:

— ფედია, ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი რა გაგაჩნია?

ფედიას უცებ არ უპასუხნია. დაფიქრდა, შუბლზე ხელისგული მოიჭირა და მხოლოდ მერე თქვა:

— ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი ჩემთვის კომკავშირი და დედაჩემია.

სტასიამ ფანქარი გვერდზე გადასდო, თავი ასწია და თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა ფედიას — ისე იყო გაოცებული.

— ერთი ამიხსენი, — მიუბრუნდა უცებ ფედიას, გაბრაზებით კი არა, სავსებით მშვიდად, — რას ნიშნავს ჩვენი თაობის ნაღდი წარმომადგენლობა?

ფედიას გაუხარდა ეს შეკითხვა და საჩქაროდ მოისროლა ფუნჯი.

— იცი, რა... — ცოტა ხნით გაჩუმდა, ჩაფიქრდა, ისევ არ გამიფუჭდესო იმავე თემაზე განახლებული საუბარი. — ჯერ მე პატარა ვარ, ცოტა რამ მინახავს, ცოტა წამიკითხავს, თეორიულ მომზადებაში მოვიკოჭლებ, იქნებ კარგად ვერ დავასაბუთო ჩემი აზრები. მე უფრო გულითა ვგრძნობ. ჰო, ეტყობა, მე, საერთოდ, ისეთი ადამიანი ვარ, რომ მუდამ გულით უფრო ვიცხოვრებ, ვიდრე გონებით. აი, ვერა, — სულ სხვანაირია — ფედიამ ეშმაკური ღიმილით შეხედა ვერას.

სტასიამ თვალი შეავლო ამხანაგს. ვერა საქმეს მოსწყდა და წარბებაზიდული, ყურადღებით უსმენდა ფედიას. სტასიას გაახსენდა, ამ რამდენიმე საათის წინ ვერას რომ კარადის სარკეში მისჩერებოდა და ფიქრობდა, რატომ არის ასეთი მიმზიდველი ამ გოგოს ულამაზო სახეო. ახლა მიხვდა, რატომაც. ვერას თვალები, მისი მოძრავი წარბები, შუბლი — ყველაფერი გონებით, ცოცხალი, ცოდნის მოყვარე გონებით იყო გაცისკროვნებული.

— მე მგონია, თუ ადამიანი კომკავშირში შევიდა, — განაგრძობდა ფედია, — ეს ისეთივე მთავარი რამ უნდა იყოს მის ცხოვრებაში, როგორც სკოლა. ჩემის აზრით, კომკავშირელი არ უნდა იყოს რაიმეთი განსაკუთრებული. იგი, უბრალოდ, თავისი საუკუნის ნამდვილი წარმომადგენელი იქნება, ისეთივე, ისეთივე... — ფედიამ სიტყვები ვერ იპოვა.

— ჰო, ისეთივე, როგორც ყველა ჩვენგანს უსურვა აგრიპინა ფიოდოროვნამ საახალწლოდ, — უკარნახა ვერამ.

— აი ეს სავსებით სწორია, — გაუხარდა ფედიას. — უნაკლო ადამიანი არ მოიპოვება ქვეყნად. აი, მაგალითად, ვერა მეტისმეტად პატივმოყვარეა...

ვერა სახეზე წამოპილპილდა: „მაშ, არც ბავშვებს გამოჰპარვიათ ეს“.

ფედიამ მორცხვად გაიღიმა და გაიფიქრა: „რა მომივიდა, რას ვმოძღვრავ ამათ, თანაც ასე სულელურად, მიკიბვ-მოკიბვით ველაპარაკები და მთავარი სათქმელი კი არ მითქვამს“.

— მე ეს მაგალითისთვის ვთქვი, ვერა, შენზე... — თითქოს თავის გასამართლებლად თქვა ფედიამ, მაგრამ ცოტა ხანს ჩუმად იყო და ისევ ვერაზე ალაპარაკდა: — ჰო, ვერა, შენ, როგორც მოწინავე წარმომადგენელი ჩვენი ახალგაზრდობისა, უნდა გამოასწორო ეს ნაკლი. ან კიდევ, ჩვენი ჩერნილინი ავიღოთ, ბევრ ტყუილს ლაპარაკობს, ერთთავად კამათობს, — არც ეს ვარგა, უნდა გამოსწორდეს. როცა პიჭები ხულიგნობენ კომკავშირელს უფლება არა აქვს, გვერდი აუაროს ამ ფაქტს.

— დიდი გონებადამჯდარი ვინმეა ეგ შენი კომკავშირელი, ფედია. ნამდვილი... როგორც წინათ იტყოდნენ ხოლმე ასეთზე, ლურჯი... ლურჯი წინდაა. — სტასიამ ისეთი გადამდები სიცილი აიტეხა, რომ ვერასა და ფედიასაც გაეცინათ, სამზარეულოდან კი ღიმილით გაბადრული სახეები გამოჰყვეს ფედიას დებმა, ორი წვეთი წყალივით რომ ჰგავდნენ ერთმანეთსაც და ძმასაც.

ამ დროს წყნარად მოაკაკუნეს ფანჯარაზე; არც ფედიას, არც ვერას, არც სტასიას არ გაუგიათ, რომ ვასილინა მიხაილოვნამ ვიღაც შემოუშვა შინ.

— აი, კომკავშირელი გენკა საფრონოვი საშინელი ინდივიდუალისტია და, მე ვიტყოდი, პესიმისტიც, — განაგრძობდა ფედია. — განა ეს ყველას არ ეხება?

— ეხება, რასაკვირველია, — წყნარად თქვა გენადი საფრონოვმა. იგი კარში მდგარიყო შეუმჩნეველად.

— ბოდიშს ვიხდი, გენკა, არ არის კარგი, ზურგსუკან რომ გაკრიტიკებთ, მაგრამ სიტყვამ მოიტანა, — უთხრა ფედიამ.

— მე თქვენი კრიტიკა აინუნშიაც არ მომდის, — ზიზღით მიუგო საფრონოვმა.

საფრონოვს მაზარა არ გაუხდია, დასვრილი ფეხსაცმელებით შეალაჯა ოთახში.

— გამარჯობათ, — ჩაიბურდღუნა ისე, გოგოებისათვის ზედაც არ შეუხედავს, თან ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დიდ პატივს დებდა მათ.

— გამარჯობათ, — გაუბედავად თქვა სახეწამოწითლებულმა სტასიამ. ვერამ შეხედა საფრონოვს და გაჩუმდა. გაბრაზა მისმა ასეთმა სალამმა.

საფრონოვი მივიდა მაგიდასთან, დახედა ნახატს, მერე ფედიას მიუბრუნდა და ჩვეულებისამებრ ჯიბეებში ღრმად ხელებჩაყოფილმა დაცინვით ჰკითხა:

— ეაბა, რაზე ლაპარაკობდით? ახლა ვის გადაეღობა გზაზე გენაკა საფრონოვი? თუმცა, შეგიძლია არც მიპასუხო, არ მაინტერესებს... ერთი წუთით შემოვიარე, წიგნი მინდოდა, რომ დამპირდი.

საფრონოვის მოსვლამ გააწყვეტინათ გულღია საუბარი. დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა. ვერამ იგრძნო, რომ საფრონოვი კიდევაც რომ წასულიყო, ეს საინტერესო საუბარი აღარ განახლდებოდა. მან პატარა მაჯის საათზე დაიხედა.

— ცხრის ნახევარია, სტასია, უნდა წავიდეთ.

სტასია უნდობლად წამოდგა. გოგოები ფედიას მოელაპარაკნენ, რომ ხვალ სტასიასთან შეკრებილიყვნენ და გაზეთზე მუშაობა განეგრძოთ. „ჰოდა, მოვრჩებით საუბარს", — გაიფიქრა ყველამ ერთნაირად, თუმცა ხმამაღლა არავის არაფერი უთქვამს.

ფედიამ ვერას და სტასიას ჩაცმაში უშველა. ვასილინა მიხაილოვნა სამზარეულოდან გამოვიდა — მან ენერგიულად ჩამოართვა გოგოებს ხელი, სთხოვა, შემოიარეთ ხოლმე ჩვენსაო და ალერსიანი მზერით გააცილა ისინი.

კუთხეში ვერასა და სტასიას საფრონოვი დაეწია. ვერას აფთიაქში უნდა შეევლო კირილოვნას წამლისათვის და სტასია და ვენადი მარტო დარჩნენ.

საღამოთი ყინვა გადაეკრა დღისით გამლღვალ ქვაფენილებს. სტასიასა და საფრონოვს ფეხი უსხლტებოდათ და ერთმანეთს ეჭიდებოდნენ... ისინი ლაპარაკობდნენ ლიტერატურულ წრეზე, ვერაზე, ფედიაზე. მხოლოდ თავიანთ თავზე არ უთქვამთ ერთი სიტყვაც

კი, თითქოს ორთავეს დავიწყნოდა, ახალი წლის ზეიმზე პიონერთა სასახლეში რომ სტასიამ ასე განუსჯელად და თავაღებით მისწერა გენადის, ამქვეყნად ყველას მირჩევნიხარო. ახლა თავადაც ვერ გაეგო სტასიას, რამ გააკეთებინა ეს. დაწერა და ცეკვის დროს კარებში ჩამდგარ, ქონვეთებში ჩაფლულ საფრონოვს გვერდით რომ ჩაუქროლა, წამით შეაჩერა ფეხი და გადასცა კიდეც წერილი. ბიჭმა წაიკითხა, გოგოს თვალწინ ნაკუწებად აქცია და მაღლა, მოცეკვავეთა თავს ზემოთ აისროლა. მერე კი სტასიამ მიიღო პასუხი, რომელშიც საფრონოვი უარს ეუბნებოდა მეგობრობაზე, არა ვარ შენი ღირსიო.

მაგრამ ამ წუთას სტასიას დავიწყნოდა ეს ამბავი, ისე ატაცებული, გულგახარებული იყო. საფრონოვი ახლა უბრალო, კარგ ყმაწვილად ეჩვენებოდა.

სახლამდის გზა თანდათან მოკლდებოდა და სტასიას გული უფორიაქებდა იმის შიშით, რომ ასეთი საღამო აღარ განმეორდებოდა.

გოგო უფრო და უფრო უნელებდა ფეხს, მაგრამ სულ ერთი იყო, სახლები და ბზები უკან რჩებოდა და, აი, ბნელში მისი სახლის ჭიშკარიც გამოიკვეთა. გოგო შეჩერდა, იქნებ საფრონოვმა სთხოვოს, კიდევ გავიაროთ ცოტაზეო. მაგრამ ბიჭი მოულოდნელად შეტრიალდა და სიტყვაც არ უთქვამს, ისე წავიდა. სტასიამ ჯერ იყო და გაოცებით გააყოლა მზერა, თვალებზე ცრემლები მოადგა, მერე კი ბიჭისადმი ბრაზმა აიტანა და საფრონოვი თითქმის შესძაგდა.

მერვე თავი

ხომ გახსოვთ, რას წერდა სტასია თავის დღიურში: „ჩვენს ასაკში სიყვარული დანაშაულია... ყველაფერზე ხელი უნდა აიღო — სწავლაზედაც, მთელ ცხოვრებაზედაც... სიყვარული შეიძლება“... — სტასიამ აღარ უპასუხა ამ კითხვას, თუმცა, იმ საღამოს შემდეგ, როცა ეს სტრიქონები დაწერა, ბევრმა წყალმა ჩაიარა — თექვსმეტი წლისას, აბა, ვის არ უფიქრია ამ საკითხის გადაწყვეტაზე?

ამიტომაც, როცა ლიტერატურის კაბინეტის წრის წევრები შეიკრიბნენ და აგრიპინა ფიოდოროვნამ თქვა, დღეს სიყვარულზე ვისაუბროთო, ოთახში მოწონების ზრიალმა გადაიარა. მერე კი ისეთი

სიჩუმე ჩამოვარდა, ყაცი ვერ იფიქრებდა, თუ ამ ვრცელ კაბინეტში ოციოდე დაუდეგარი მოზარდი იჯდა.

აგრიპინა ფიოდოროვნამ ყურადღებით მიმოიხედა: ბავშვები მასწავლებელს მიშტერებოდნენ, თვალები ინტერესით ანთებოდათ... აგერ ზის სტასია... რატომ შემოვიდა ლიტერატურულ წრეში ეს გოგონა? მას ხომ ლიტერატურა არ იტაცებს. მთლად ხელი აიღო მეცადინეობაზე, მის ჭკუა-გონებას მხოლოდ საფრონოვი დაუფლებია...

საფრონოვი... აგრიპინა ფიოდოროვნამ წუთით შეაჩერა მზერა ამ ყმაწვილის გაკრეჭილ თავზე. უნდა იპოვოს მისი მისადგომი გზა. იქნებ მისი ახირებული საქციელი მხოლოდ თამაშია, როგორც ეს ხშირად მოსდით ამ ასაკში?

ვერა... ეს გოგო მეცნიერებითა და თეატრით არის გატაცებული, იგი გონებით ცხოვრობს და იქნებ მეტისმეტად გონიერიც არის თექვსმეტი წლის ასაკისათვის? იქნებ სწორედ მას ესაჭიროება ნამდვილი მეგობრობა, თუნდაც, ვთქვათ, ნოვიკოვთან. აგრიპინა ფიოდოროვნა ვერ ამჩნევს, რომ მისი აღსაზრდელები, თუმცა ამ მოუთმენელ სიჩუმეს არ არღვევენ, გაოცებით მისჩერებიან და ფიქრობენ, ნეტა ხმას რატომ არ იღებსო.

— აგრიპინა ფიოდოროვნა, — ღიმილით ეუბნება ნოვიკოვი, — სიყვარულზე აპირებდით საუბარს.

— დიახ, დიახ, — საჩქაროდ პასუხობს მასწავლებელი, — სიყვარულზე ვილაპარაკოთ. ლექციის წაკითხვას ამ თემაზე თქვენთან არ ვაპირებ, ის კი არა და, რაიმე შესავალსაც არ გავუკეთებ ამ საუბარს. მე მგონია, თავად დასვამთ იმ კითხვებს, რომელიც ყველას გაღელვებთ, და ჩვენ ერთად ვეცდებით პასუხის გაცემას.

ისევ დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას აწუხებს რაღაც კითხვა, მაგრამ პირველად თქმას ვერ ბედავენ. ბოლოს სავარძლიდან წამოდგა ნოვიკოვი. ყველამ მისკენ მიატრიალა თავი და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

ნოვიკოვს ხელების ქნევა აუტყდებოდა ხოლმე სიმორცხვის დროს, ახლაც გაცხარებული ხელების ქნევით ალაპარაკდა.

— ჩვენს კლასში ერთი მოწაფეა, ბიჭი, რომელიც სხვა სკოლელ თავის ტოლ გოგოსთან მეგობრობს. დიდი ხანია, მეხუთე კლასიდან მეგობრობენ. მაგრამ გოგო იძულებულია, დედას დაუმალოს ეს ამ-

ბავი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ბიჭმა მათთან შინ შეიაროს: დედას სირცხვილად მიაჩნია. ჰოდა, ესენიც ყველასგან მალავენ თავიანთ დამოკიდებულებას, ერთმანეთს შინ კი არ ხვდებიან, არც მეგობრებისა და მშობლების წრეში, არამედ ქუჩაში, სადმე.

ნოვიკოვის ბოლო სიტყვები ხმაურმა დაფარა. გაისმა შეძახილები:

— ბევრი მასწავლებელიც ასევე ეკიდება გოგოსა და ბიჭის მეგობრობას!

— მაგრამ მე ამაზე კი არ მინდოდა მელაპარაკა. ლაპარაკი არ მეხერხება, სათქმელს პირდაპირ ვამბობ ხოლმე, — გაცხარებით იქნევდა ხელებს ნოვიკოვი. — აი, რა მინდოდა მეთქვა. უფროსები ხშირად გვეუბნებიან: „უნდა ისწავლოთ, რომანები კი არ უნდა გაიბათ ერთმანეთში“. ჩვენ კი სწავლას კიდევ დიდხანს მოვუნდებით. მე, მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ სწავლას სიბერემდე ვერ შევეშვები. აქედან გამომდინარე...

ერთხმად ატეხილმა ხარხარმა გააწყვეტინა ფედიას სიტყვა.

— შენ მაზეპას ასაკში შეიყვარებ, — მშვიდად და პირქუშად უთხრა საფრონოვმა.

სტასიამ ხელი გულზე მიიჭირა და გარინდებული და მთელი ტანით წინწაწვდილი მისჩერებოდა ნოვიკოვს. ფედია იმას ლაპარაკობდა, რაც მას აღელვებდა: მართლაც, როდისღა შეიძლება სიყვარული?

— მერე, თქვენ რაღას ფიქრობთ ამის თაობაზე? — აშკარა ცნობისმოყვარეობით ეკითხება ნოვიკოვს აგრიპინა ფიოდოროვნა.

— მე, აი, რას ვფიქრობ, — უპასუხებს ნოვიკოვი, — სიყვარული ყოველთვის შეიძლება, რადგან ყოველ ასაკში სხვადასხვანაირია ეს გრძნობა. თექვსმეტი წლის ჭაბუკის სიყვარული ძალზე უბრალო და კარგი გრძნობაა, იგი, ალბათ, სულაც არა ჰგავს სიყვარულს ოცი წლის ასაკში, ამიტომ მე მას სიყვარულს ვერც დავარქმევდი, ჩვენს წრეში „სიყვარულს“ კი არა, „მეგობრობას“ ვეძახით. ლევ ტოლსტოი „ბავშვობაში“ აგვიწერს, როგორ შეუყვარდა ნიკოლენკას კატენკა. მერე რა კარგი სიტყვებით გამოხატავს იგი ამ გრძნობას. ახლა ნატაშა, სონია, ნიკოლაი ხომ გახსოვთ „ომი და მშვიდობიდან“?

— სწორს ამბობს! — ხმაურით ეთანხმებიან ფედიას.

— ალექსეი ტოლსტოის კი „ნიკიტას ბავშვობაში“ როგორა აქვს? — თქვა სახეწამოწითლებულმა ჩერნილინმა. — ნიკიტასაც ხომ შეუყვარდა გოგო, ავტორი კი არ ძრახავს მას.

— მარქსს თავისი მომავალი მეუღლე ჟენი ფონ ვესტფალენი ჭაბუკობაში შეუყვარდა, — ჩაურთო პირქუშად საფრონოვმა.

— მგონი, თქვენ არ დაგიმთავრებიათ აზრის გამოთქმა, ნოვიკოვ, — მიუბრუნდა აგრიპინა ფიოდოროვნა ფედიას.

— დარწმუნებული ვარ, რომ სიყვარული ყოველთვის შეიძლებავის, ლევ ტოლსტოისავით, ხუთი წლისას ეწვევა, ვის თექვსმეტისას და ვის კიდევ, მაზეპასავით, სამოცი წლისას... — განაგრძობდა ფედია.

— „ყველა ასაკი ტრფობას მონდება, მაგრამ ყმაწვილურ გულებს მიმნდობელს კეთილჰყოფს მისი ჩამოქროლება“,* — ხმამაღლა ამღერდა ჩერნილინი.

ყველას გაეცინა. გაიცინა აგრიპინა ფიოდოროვნამაც.

— მართალი ხართ, ფედია. ეს გრძნობა ვის როდის ეწვევა და ვის — როდის. მაგრამ მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ამ გრძნობამ დაგიმონოთ, მხოლოდ მისით ცოცხლობდეთ და დაგავიწყდეთ სხვა მაღალი, კეთილშობილური მიზნები. ასეთი რამ კი საკმაოდ ხშირად ხდება. ასეთ გრძნობას პირველ რიგში თავად უნდა შეებრძოლოთ, მერე კი — მშობლები, მასწავლებლები და მეგობრებიც დაგეხმარებიან. სიყვარულისა თუ, როგორც თქვენ ეძახით, მეგობრობის მშვენიერმა გრძნობამ უნდა აღგამაღლოთ.

— თუ ეს გრძნობა ცალმხრივია? — გულგრილად იკითხა ვერამ, ყველამ შეატყო ტონზე, რომ თავის თავს არ გულისხმობდა.

— სწორედ ამიტომ გააჩნია ადამიანს გონება და ნებისყოფა, რომ თავისი თავი მართოს, — თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

— „ისწავლეთ, ნუ გაამყღავნებთ უცბად განზრახულს“, — ისევ ამღერდა ჩერნილინი.

---

* „ევგენი ონეგინის“ ყველა ციტატა ამოღებულია ოთარ ჭელიძის თარგმანიდან.

ამჯერად არავის გაუცინია.

— თუ ვერ შევძელით? — უცებ უნებლიეთ აღმოხდა სტასიას. გოგო წამოწითლდა და თავი ჩაქინდრა.

ეტყობა, აგრიპინა ფიოდოროვნა სწორედ ამას ელოდა.

— ვერ შევძელითო?! — ცხარედ შესძახა, გამოვიდა და შუა ოთახში დადგა.

— ერთხელ მარქსს თავისმა ქალიშვილებმა ანკეტა მისცეს შესავსებად. სხვა კითხვათა შორის ასეთიც ერია: „რა წარმოგიდგენიათ უბედურებად“. მარქსმა უპასუხა: „მორჩილება“. დიახ, ადამიანისადმი ან გრძნობისადმი ბრმა მორჩილება — დიდი უბედურებაა. იქნებ მარქსი სხვა რაიმეს გულისხმობდა, მაგრამ მე მგონია, რომ ის მორჩილება, რომელზედაც მე გელაპარაკებით, ასევე უბედურებაა... იმაზე უარესი არაფერია, როცა ადამიანს არ ძალუძს, თავისი ნებისყოფით გაუმკლავდეს, რაც მავნეა მისთვის. ძლიერმა, ჩამოყალიბებულმა პიროვნებებმა იციან საკუთარი თავის მართვა და თქვენი ვალია, ისწავლოთ მათგან ეს.

ჭაბუკ კარლ მარქსს მგზნებარედ უყვარდა თავისი საცოლე ჟენი ფონ ვესტფალენი. ეს არ იყო შემთხვევითი, წუთიერი გატაცება. არა, ეს ნამდვილი სიყვარული გახლდათ, რაც მარქსს მთელი სიცოცხლე, მოხუცებულობამდე გაჰყვა. მით უმეტეს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჟენი მარქსის საცოლე იყო, მარქსი მრავალი წლით გაემგზავრა სასწავლებლად და თავის თავში ძალაც იპოვა საცოლესთან განსაშორებლად.

აგრიპინა ფიოდოროვნამ მაგიდიდან ლურჯყდიანი წიგნი აიღო და გადაფურცლა. — აი რას წერს ჭაბუკი მარქსი მამას: „თქვენ რომ გაგშორდით, ახალი სამყარო გადაიშალა ჩემთვის, სიყვარულის სამყარო, თანაც დასაწყისში ეს მგზნებარე სიყვარული უიმედო იყო. ბერლინში მოგზაურობამაც კი, რაც სხვა ვითარებაში დიდად აღმაფრთოვანებდა, ბუნების განსაჭვრეტად განმაწყობდა, სიცოცხლის წყურვილს აღმინთებდა, ახლა გულგრილი დამტოვა. ამან მხოლოდ გული გამიტეხა, რადგან კლდეები, რომლებიც ვნახე, ჩემს სიყვარულზე მძლავრი და დიდი როდი იყო. დიდ ქალაქებში სიცოცხლე უფრო მეტად როდი სჩქეფდა, ვიდრე სისხლი ჩემს ძარღვებში, ტრაქტირის სადილებს სიუხვით აქედან წაყოლილი ფანტა-

ზიები ჩრდილავდა და ბოლოს, ხელოვნებაც არ არის ჟენისავით ლამაზი“.

აგრიპინა ფიოდოროვნა წიგნს მოწყდა და ყურადღებით შეხედა ბავშვებს. „იქნებ მათთვის რთულ რამეზე ვსაუბრობ? — გაიფიქრა გულში და გულშივე გასცა პასუხი: — არა, ყოველივე ეს გასაგებია მაგათთვის!“

— და აი მარქსმა, — განაგრძობდა ფადეევა, — სძლია ნაღველს. იგი ცხოვრობდა და სწავლობდა ჟენისაგან და მამისაგან მოშორებით, რომელიც ასევე ძლიერ უყვარდა. რა აძლევდა ყმაწვილ მარქსს ძალას საკუთარი თავის მართვისა? საქმე ის გახლავთ, ჩემო მეგობრებო, რომ მარქსი ბალღობიდანვე ღრმად გრძნობდა და ესმოდა თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა და პირად განცდებზე მაღლა აყენებდა მათ. ადამიანი საზოგადოებას ეკუთვნის და პირველ რიგში მის წინაშეა ვალდებული. გესმოდეთ, შეიგენით ეს! განა უბრალო ფორმალობისათვის მოითხოვენ თქვენგან სწავლას — და კარგადაც სწავლას. ეს თქვენი წმინდა მოვალეობაა. მორალური უფლება არა გაქვთ პირად განცდათა ვიწრო სამყაროში გაეჩხიროთ. ბუნების სიბრძნეს, ადამიანური აზრის სიძლიერეს უნდა ჩასწვდეთ. ვალდებულები ხართ დაეხმაროთ მშობლებს, იშრომოთ კოლექტივთან ერთად, ხელი შეუწყოთ ამხანაგებს. თუ დღეს საკუთარ გატაცებას ვერ დაძლევთ, ხვალ შუოს ვერ აღუდგებით წინ, ერთი წლის შემდეგ — სიხარბეს, სიზარმაცეს, სიცრუეს... უნებისყოფობა ადამიანებს ანტისაზოგადოებრივ პიროვნებებად აქცევს, მარტოობისათვის განწირავს მათ. ამიტომაც, როგორც სწავლობთ — ცუდად თუ კარგად — ეს როდია თქვენი პირადი საქმე, ვინ გიყვართ და როგორ — არც ეს არის მარტო თქვენი საკითხავი. კოლექტივში ცხოვრობთ და კოლექტივი პასუხს აგებს თქვენზე ისევე, როგორც ყოველი თქვენგანი აგებს პასუხს კოლექტივისათვის.

აგრიპინა ფიოდოროვნა ცდილობდა, სტასიასათვის არ შეეხედა, მაგრამ უფრო მეტად მის გასაგონად ლაპარაკობდა და ყველა, მათ შორის სტასიაც, ხვდებოდა ამას.

— აგრიპინა ფიოდოროვნა, — თქვა გაუბედავად ჩერნილინმა. — აგრიპინა ფიოდოროვნა, — გაიმეორა და მოწაფური ჩვევით ხელი თავს ზემოთ ასწია. — რა უნდა ვუყოთ მათ, ვინც უნებისყოფობის გამო ადვილად ემორჩილება მანკიერებას? ვთქვათ, მაგალითად,

კომკავშირელია, ჩვენი რიგებიდან უნდა გავრიცხოთ? ვთქვათ, მაგალითად...

— იცი, ბორია, შენს მეტყველებას ყურადღება უნდა მიაქციო, ღიმილით უთხრა ფადეევამ. — რატომ ხმარობ ყოველი ფრაზის შემდეგ „ვთქვათ, მაგალითად", — მასწავლებელი გაჩუმდა, კიდევ რაღაცის თქმა სურდა ჩერნილინისათვის, მაგრამ გადაიფიქრა და ყველას მიუბრუნდა: — რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

ისევ ნოვიკოვი წამოდგა.

— კომკავშირიდან გარიცხვას რა უნდა, იოლი საქმეა, უფრო ძნელია ადამიანის მანკიერებისაგან დახსნა. სწორედ ეს არის კომკავშირის მთავარი როლი. შენ კი მაშინვე გარიცხვას მოითხოვ. — ყვედრებით მიუბრუნდა ჩერნილინს.

— მეც ასე მგონია, — თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

— ჰოდა, მეც ასე ვფიქრობ! — შესძახა ჩერნილინმა. — მაგალითად. ვთქვათ... — ბორიამ თავადვე დაიჭირა თავი ისევ იმ არასაჭირო ფრაზის ხმარებაში, შერცხვა და გაჩუმდა.

ასე შეუმჩნეველად, სიყვარულსა და მეგობრობაზე დაწყებული საუბარი შეეხო კომკავშირის როლს. ლიტერატურული წრის წევრებს არც პირველი ზარი გაუგიათ, არც მეორე. მხოლოდ შემთხვევით დაიხედა მაჯის საათზე აგრიპინა ფიოდოროვნამ — თერთმეტის ნახევარი იყო.

— აბა, აბა, ისევ მოგვხვდება ამისთვის. — გაიცინა მასწავლებელმა, საათზე მიუთითა, წამოდგა და ხმაურით დახურა წიგნი. ამით აგრძნობინა, შინ წასვლის დროაო. ბოგონები და ყმაწვილები ნელნელა, უნდომლად დგებოდნენ, აქაოდა იქნებ კიდევ ითქვას რაიმე საინტერესო, ჩვენი ამაღელვებელიო.

მეცხრე თავი

რამდენიმე დღე ელენა სტრელოვა არც სკოლაში გამოჩენილა, არც პიონერთა სასახლეში. ამბობდნენ, ავად არისო, მაგრამ კარგად არავინ იცოდა მისი ამბავი, რადგან სკოლაშიც და სასახლეშიც ახალი მოწაფე იყო.

ვაკეთილების შემდეგ აგრიპინა ფიოდოროვნამ თავისთან იხმო

ვერა სვერჩკოვა და ჰკითხა, რა ხანია სტრელოვა სკოლას აცდენს და განა არ გაწუხებს ეგ ამბავიო?

ვერამ გაოცებით შეხედა მასწავლებელს და გაიფიქრა: „როცა მოწაფე სკოლაში არ დადის, რატომ უნდა შევწუხდე მაინცდამაინც მე და არა კლასის ორგანიზატორი გალია კრიუკოვა?“ ვერას უნდოდა მასწავლებლისთვის ეკითხა ეს, მაგრამ აგრიპინა ფიოდოროვნას მზერამ აგრძნობინა, რომ უბრალო ადამიანური ვალის მოხდაზე იყო ლაპარაკი.

ვერას შერცხვა, თითქოს მასწავლებელს რაიმე ცუდ საქმეზე წაესწროს მისთვის და საჩქაროდ მიუგო:

— დღეს ვნახავ.

აგრიპინა ფიოდოროვნა მიხვდა, რომ ვერამ გაუგო, ძლივს შესამჩნევად გაუღიმა მხოლოდ თვალებით და სამასწავლებლოსკენ გაემართა.

გაკვეთილების შემდეგ სტრელოვას მონახულება ვერამ ვერ მოახერხა. იგი საჩქარო საქმეზე გამოიძახეს კომკავშირის რაიკომში, მერე კი შინ წავიდა სასადილოდ. მერე მამა ერთი საათით თავისუფალი აღმოჩნდა და გადაწყვიტა, ეს დრო შვილებთან გაეტარებინა. ასე რომ, სტრელოვასთან წასასვლელად ვერა მხოლოდ საღამოს ცხრა საათისათვის გამოვიდა შინიდან.

ამ სიბნელეში უცნობ სახლს რა მოაძებნინებდა და ამიტომ ვერამ ისევ რაიკომში შეიარა ნოვიკოვის წამოსაყვანად. ნოვიკოვი იმ დღეს მორიგედ იყო რაიკომში.

ელენა პიონერის ქუჩის შესახვევში ცხოვრობდა, ქვის სახლის მეორე სართულზე. ფედია ასანთით მიიკვლევდა გზას, კიბეზე ავიდა, მეექვსე ბინა მოძებნა და ქვემოთ მომლოდინე ვერას დაუძახა. კარზე დააკაკუნეს. ვიღაც მაღალმა, გამხდარმა დედაბერმა გაუღოთ კარი, გაცვეთილი ხავერდის ძველებური ბამბულა რომ ეცვა. ფედიამ ჰკითხა, ხომ აქ ცხოვრობს ელენა სტრელოვაო. დედაბერს არაფერი უპასუხნია, თავის კანტურით მიუთითა ოთახის კარზე.

ჯერ იყო და, ვერას უნდოდა ამ დედაბრისათვის ეკითხა, ელენა რატომ აცდენს სკოლასო, მაგრამ იფიქრა, ეს ქალი, მგონი, მუნჯიაო და აღარაფერი უკითხავს, მერე ფედიას გადახედა და ვაუბედავად დააკაკუნა კარზე.

— შემოდით, — მოისმა ელენას ხმა.

ვერამ ოთახის ზღურბლს გადააბიჯა და უცებ მისდა უნებურად კვლავ გაუჩნდა არამეგობრული გრძნობა ელენასადმი. ფედია უკან შეჰყვა ვერას. ზღურბლზე ფეხი წაიბორძიკა და სკამის ზურგს რომ არ მოსჭიდებოდა, დაეცემოდა კიდეც.

ელენას მხიარულად გაეცინა. ვერა ელოდა, რომ ელენას გაუკვირდებოდა და არ ეამებოდა მისი და ფედიას გამოჩენა. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. სტრელოვა შუაგულ ოთახში იდგა, შავი სამუშაო კომბინეზონი ეცვა და ხელში წიგნი ეჭირა. ახლა უფრო მიმზიდველი ჩანდა, ვიდრე ყოველთვის. სიცილი საოცრად უხდებოდა, ფერმკრთალი სახე წამოუწითლდა, თვალები, გრძელი წამწამები რომ უჩრდილავდა სანახევროდ, სიხარულით ანთებოდა.

ის ოთახი, ვერა და ფედია რომ შევიდნენ, მთლად ერთი ბეწო იყო და ერთადერთი პატარა სარკმელი ჰქონდა. შიგ ერთი ბავშვის საწოლი იდგა, სკამი, პატარა მაგიდა და ყუთი.

— დასხედით, — უთხრა ელენამ ბავშვებს და ყუთზე მიუთითა, — მეტი სკამი არა მაქვს.

ხმაზედაც, ღიმილზედაც და ანთებულ თვალებზედაც იმას შეატყობდით, რომ მოხარული იყო მოულოდნელი სტუმრებისა.

ფედია დაჯდა, ვერა კი ისევ ფეხზე იდგა. ყველაფერმა, რაც აქ ნახა, მეტისმეტად გააოცა. ელენა ჯანმრთელად იყო, სულაც არ შეცბუნებულა და არ გაკვირვებულა მათი გამოჩენით, პირიქით, გაუხარდა კიდეც, თითქოს ორივეს ელოდა. ვერას სულაც არ წარმოედგინა, თუ ასეთი ოჯახური პირობები ჰქონდა სტრელოვას. სწორედ ამან, რომ ყოველივე სულ სხვანაირი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა, დაბნია ვერა.

ელენამ ვერას ყუთზე მიუთითა და უთხრა:

— დაჯექი, თუ გინდა, პალტოც გაიხადე, მაგრამ ჩემთან ცივა!

„რატომ ამბობს, „ჩემთანო“ და არა „ჩვენთანო?“ — გაოცებით გაიფიქრა ვერამ, ყუთზე ჩამოჯდა და ისევ შეავლო თვალი ელენას ოთახს.

ფედიამ კურტაკი შეიხსნა, ქუდი მოიხადა და შინაურულად ჩამოჯდა სკამზე.

— მაშ, როგორც ჩანს, ცუღლუტობის ანთება შეგყრია, ლენა! — უთხრა ელენას მზაკვრული ღიმილით.

— არა, ფედია, მართლაც ავად ვიყავი ანგინით, მაგრამ დღეს უკვე გავედი სამუშაოზე. სკოლაში კი ხვალ მოვალ, — მიუგო ელენამ, როცა, როგორც იქნა, ვერაც ჩამოჯდა ყუთზე.

— სამუშაოზეო? — გაოცდა ვერა.

— ჰო, რა, მე ვმუშაობ, — უნდომლად თქვა ელენამ.

— დაიცა, დაიცა, — გამოცოცხლდა ფედია და წამოხტა. მას უყვარდა ყველაფრის დაწვრილებით გაგება. — რა სამუშაოზე ლაპარაკობ? და რატომ არაფერი არ ვიცი მე ამის თაობაზე?

— მთლად ჩვეულებრივი სამუშაო მაქვს ბიბლიოთეკაში.

— მსახურობ თუ რა? — არ ცხრებოდა ნოვიკოვი.

— ჰო, თუ ასე გინდა თქვა, ვმსახურობ, — გაეცინა სტრელოვას.

და ამ უადგილო სიცილით მიახვედრა ვერა და ნოვიკოვი, რომ მათი შეკითხვები ელენას ეხამუშება.

ფედია ადგა და დაიწყო თავისი რაიკომში მორიგეობის ამბის მბობა, ვერა კი დუმილით მიშტერებოდა ელენას. სულ მთლად ახალი გრძნობა გაუჩნდა სტრელოვასადმი. ეს იყო აღტაცებანარევი გაოცება.

— რად მომჩერებიხარ ასე, ვერა? — ჰკითხა ელენამ.

— ვფიქრობ, — მიუგო ვერამ.

— ჩემზე ფიქრობ?

ვერამ თავი დაუქნია.

— გეცოდები თუ?

— მეცოდები? არა, მშურს შენი.

— გშურს? — ელენამ გაოცებით გაშალა ხელები. — კიდევ რას ფიქრობ ჩემზე?

— ამას მერე გეტყვი, როცა უფრო ნათლად გავერკვევი საკუთარ მოსაზრებებში... — ვერა წამოდგა, თბილი ღიმილით შეხედა ელენას და ხელი გაუწოდა.

„აუცილებლად დავუმეგობრდები ელენას, — გაიფიქრა ვერამ გულდაჯერებით. — ბოლოს და ბოლოს მეყოლება ნამდვილი მეგობარი, რომელზედაც მამა მეუბნებოდა“.

ფედიაც გამოემშვიდობა ელენას და ორივენი კარისკენ გაემართნენ. კარში ვერა მოტრიალდა და ელენას ჰკითხა:

— დედაშენი სადღაა?
— დედა არა მყავს.
— მამა?
— არც მამა მყავს.
— ნათესავი ვინმე?
— მე არავინ გამაჩნია.

„კლდესავით ამოვფარებივარ დედ-მამის ზურგს და ცხოვრებას არ ვიცნობ, — გაიფიქრა ვერამ. — თეთრეული გავირეცხე, ჩემი ოთახი დავილაგე და სტასიასთან ვფახიფუხობ, აქაოდა, ერთი მიყურეთ ვინ გახლავართ! გენერლის შვილი ვარ, შინამოსამსახურე გვყავს და ყველაფერს თავად ვაკეთებ-მეთქი. ელენამ რაღა უნდა თქვას მაშინ?“

ვერა ისევ ყუთზე ჩამოჯდა.

— ვისთან ცხოვრობ?
— მარტო ვარ, — მშვიდად მიუგო ელენამ.
— რად გადმოხვედი შუა წელიწადში ჩვენს სკოლაში?
— დილიდან სამუშაოზე ვარ. თქვენს სკოლაში კი მეცადინეობა მეორე ცვლაშია.

ელენა ახლა სიამოვნებით პასუხობდა კითხვებზე. იგრძნო, რომ ვერას უბრალო ცნობისმოყვარეობა არ აჩერებდა მის ოთახში. ვერას კი არ ეცოდებოდა ელენა, შურდა მისი. ეს ჩვეულებრივი ამბავი როდი იყო ლენასთვის. ის მიეჩვია, რომ დიდებიც და მისი თანატოლებიც, როგორც კი გაიგებდნენ მასზე, ობოლიაო, ეცოდებოდათ. ელენა კი ვერ იტანდა შებრალებას და ამიტომაც გაურბოდა თავის თავზე ლაპარაკს.

— ვერა, ჩქარა წავიდეთ, რაიკომში მელოდებიან, — აჩქარდა ფედია.

— ჰო, ჰო, წადით, — ღიმილით უთხრა ელენამ. — ფედიას ეჩქარება, მე და შენ კიდევ მოვესწრებით ყველაფერზე ლაპარაკს.

— მოვესწრებით! — მხიარულად უთხრა ვერამ.

დერეფანში ბოტებს რომ იცვამდა, ვერამ ცარიელი ნავთის ბიდონი გადააყირავა, ბიდონი გაგორდა და მთელი სახლის გასაგონად არახრახდა. სამზარეულოს კარი ოდნავ გაიღო და შეწუხებულმა დედაბერმა გამოყო თავი.

— ფრთხილად მოიქეცით! — თქვა მკაცრად და კარი იმავწამს გაჯახუნდა.

ვერას ჩუმად ჩაეცინა. იმიტომ კი არა, რომ დედაბერი მუნჯი არ აღმოჩნდა — უბრალოდ, ძალიან კარგად იგრძნობდა ამ წუთში თავს. დედაბერი თუ არ იქნებოდა, სხვა რამ გაამხიარულებდა. აუცილებლად კი გამხიარულდებოდა. გაუქრა, ვერას ფიქრით, სამუდამოდაც, შური და ის გაუგებარი არამეგობრული გრძნობა ელენა სტრელოვასადმი, ასე რომ აწამებდა.

ვერას მოუნდა, რაც შეიძლება ჩქარა ენახა მამა და დედა. მოეთხრო მათთვის ამ არაჩვეულებრივი გოგონას ამბავი, მარტო რომ ცხოვრობს და კიდევაც რომ მუშაობს და კიდევაც სწავლობს.

დედ-მამა თეატრში იყო. ვერამ მარტო ივახშმა და დაწვა. შუალამემდე გვერდიდან გვერდზე ტრიალებდა, გაიგო, როგორ დაბრუნდნენ მშობლები თეატრიდან, მაინც ვერ დაიძინა. მაშინ წამოდგა, ჩაიცვა ხალათი, ფეხსაცმელი და სასადილო ოთახში გამოვიდა. მრგვალ მაგიდაზე, ხავერდის სუფრა რომ ეფარა, იდგა წითელაბალურიანი სხმული ბრინჯაოს ლამპა. ვერამ ლამპა აანთო და საყვარელ სავარძელში მოიკალათა. საათი აჩვენებდა, რომ ორს თხუთმეტი წუთი აკლდა. ლამპის მოვარდისფრო შუქი იღვრებოდა ოთახში.

ეს ღამე ვერას ძალზე ღირსშესანიშნავად მიაჩნდა, თითქოს რაღაც ნათელი და დიდი რამ აღსრულდა ამ ღამით მის ცხოვრებაში. რა იყო ეს? ვერა ხან ელენაზე ფიქრობდა, ხან ნოვიკოვზე. უნდოდა მამის ან დედასათვის გაენდო თავისი განცდები. ჩუმად მივიდა კაბინეტის კართან, შეაღო და ბნელ ოთახში შეიხედა. მისდა საბედნიეროდ, მამას კაბინეტში ეძინა დივანზე. ოქსანა ტარასოვნა და ვოლოდკა რომ არ შეეწუხებინა, იგი ხშირად, როცა დილით ადრე ასადგომი იყო, აქ იძინებდა ხოლმე.

„რა მოხდა, ხომ შეიძლება ერთხელ, მთელ სიცოცხლეში, გავაღვიძო, მხოლოდ ერთხელ“, — გაიფიქრა ვერამ და მტკიცედ გაემართა დივანისაკენ.

— მამა, — ჩურჩულით უთხრა მან. — გაიღვიძე, მამი, ძალიან მჭირდები.

ტროფიმ კალინოვიჩს წამსვე გაეღვიძა, წამოჯდა და ღია კარიდან შემოჭრილ შუქზე თვალმოჭუტულმა, სწრაფად, შეშფოთებით იკითხა:

— რაო, რა მოხდა?

— მამიკო, არ მეძინება...

— ავად ხომ არა ხარ?

— არა, კარგად ვარ... — ვერა დივანზე ჩამოჯდა, მამას კისერზე ხელები შემოხვია და ლოყით ლოყაზე მიეკრო, როგორც პატარობისას იცოდა.

გენერალმა ხელი მოისვა სახეზე, თითქოს ძილი ჩამოიფერთხაო, წყნარად გასწია ვერა, გაიზმორა, დივანთან მიდგმულ სკამიდან ჩიბუხი აიღო და გააბოლა.

— რაო, შეყვარებული ხომ არა ხარ? — ჰკითხა შვილს.

ვერამ თავი გააქნია, გაიცინა და უამბო, რომ იმ ღამეს მტკიცედ გადაწყვიტა, ინსტიტუტს რომ დაამთავრებს, სამუშაოდ თეატრში წავიღებს. ისიც უთხრა, თუ რა მიმზიდველი და, ცოტა არ იყოს, იდუმალიც ეჩვენება ცხოვრება. ვერამ მამას ფედია ნოვიკოვისა და ელენა სტრელოვას ამბავიც უამბო, ისიც უთხრა, ბოლოს და ბოლოს მხურვალე მეგობრული გრძნობა გამიჩნდა ფედიასა და ელენას მიმართო.

გენერალი უსმენდა შვილს. არაფერი გამოპარვია მისი განცდებისა. ოცდახუთი წლის წინათ თავად იყო ასეთივე სერიოზული, წინდახედული ჭაბუკი. მასაც მაღალი ადამიანური გულისთქმანი აღელვებდა, მხოლოდ კარგისკენ მიისწრაფოდა. არც ის უძილო ღამეები დავიწყნოდა, შეუცნობელი, სასიხარულო მღელვარებით რომ იყო სავსე.

გენერალი ჩაფიქრდა, თავის სიჭაბუკეს იგონებდა.

— მამი, რატომ არ მისმენ! — შესძახა ვერამ, მამის დაბნეული მზერა რომ დაინახა.

ტროფიმ კალინოვიჩმა ჩაფიქრებით უპასუხა:

— გისმენ, ჩემო გოგო, გისმენ.

— იმიტომ ვგრძნობ დღეს თავს ასე კარგად, მამი, რომ შევძელი დამეძლია ჩემში პატივმოყვარეობა, შენ რომ მეუბნებოდი. ამ საღამოს სტრელოვას შევცქეროდი... ოჰ, მამი, რა ლამაზია! ჰოდა, ვფიქრობდი, დე, ჩემზე უკეთ ისწავლოს, დე, ამას უფრო აფასებდნენ, ვიდრე მე-მეთქი. დაიმსახურა და იმიტომ. მე განა მარტო მას დავუთმობ პირველობას კლასში? ახლა ყველას დავუთმობ პირვე-

ლობას, ვინც კი ღირსი იქნება... მამი, ალბათ ნებისყოფა გამაჩნია და იმიტომ, არა?

— ნებისყოფა? — გაიმეორა მამამ. — ჯერ კიდევ არ გაგაჩნია საკმარისად, ვეროჩკა. დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ბევრად უფრო მეტი ნებისყოფის გამოჩენა დაგჭირდება. პატივმოყვარეობას რაც შეეხება, შენ მხოლოდ იწყებ მის დაძლევას, თანაც მარტო არა ხარ ამ საქმეში. კოლექტივი დაგეხმარა. მე და დედაშენმა გაგაფრთხილეთ ამაზე. აგრიპინა ფიოდოროვნამაც ხელი შეგაშველა... მახსოვს, რა აღელვებული მოხვედი პიონერთა სასახლიდან, სიყვარულზე საუბრის შემდეგ.

— ჰო, მამა, ჰო, ნოვიკოვს აღარ იკითხავ? — შეაწყვეტინა ვერამ. — მან ხომ ყველას ყურები გამოუჭედა ჩვენი თაობის ჭეშმარიტ წარმომადგენლებზე ლაპარაკით. ჩემთვისაც ბევრჯერ უთქვამს, პატივმოყვარე ხარო. იცი, მამი, ფედიამ თავისი დღიურები წამაკითხა. იქ უწერია, რომ ჩვენი ეპოქის ჭეშმარიტი წარმომადგენელი უნდა იყოს ჭკვიანი, ენერგიული, პატიოსანი, ძლიერი პიროვნება, ერთი სიტყვით, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტი. ფედია ცდილობს თავის თავში გამოიმუშაოს ეს თვისებები. ყოველ საღამოს ამოწმებს, ხომ არ ვუღალატეო თავს.

გენერალს გაეცინა.

— რას იცინი, მამი, განა ეს ცუდია?

— არა, არა, ვეროჩკა, ძალიან კარგია. აი, ხომ ხედავ, რა დიდი ძალა გააჩნია კოლექტივს. გახსოვდეს, თანდაყოლილი მანკი არ შეიძლება ჰქონდეს კაცს. კოლექტივის ძალა ვისაც გინდა გამოასწორებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა ადამიანს.

— შენ გგონია, რომ ჩვენი საფრონოვის ხელახლა აღზრდაც შეიძლება?

— საფრონოვისო? ლექსებს რომ წერს, იმისი?

— ჰო, რა, გენკა საფრონოვისა.

— დარწმუნებული ვარ, — მიუგო გენერალმა. — მით უმეტეს, რომ საფრონოვს, როგორც შენი ნათქვამიდან ჩანს, სულაც არა აქვს დიდი ნაკლი. სტასიასაც უნდა მოჰკიდოთ ხელი, ცუდი გოგოროდია.

— მე და ფედიასაც ასე გვგონია, — ვერა გაჩუმდა და დაამთქნარა.

— ძილი მოგერია? — გაეცინა ტროფიმ კალინოვიჩს: — მეტად ხომ აღარ გამაღვიძებ?

— არა, აღარ გაგაღვიძებ, — წყნარად უთხრა ვერამ და წამოდგა.

ვერა სასადილო ოთახში გავიდა, ლამპა ჩააქრო, მტკიცედ გააბიჯა სიბნელეში და დასაძინებლად წავიდა. თავის ოთახში — თავისთვისვე მოულოდნელად ორჯერ ცეკვა-ცეკვით გაიარა ვიწრო ხალიჩაზე, თან სარკეში თავის ალეწილ, მხიარულ სახეს ათვალიერებდა. მერე ლოგინში ჩაწვა, ყმაწვილური ბედნიერებით გულაჩქროლებულმა ჩაიკისკისა და იმავ წამს ჩაეძინა.

მეათე თავი

გამლღვალი მიწის ანაორთქლის, გადაკვირტული ჩინარის და გაზაფხულის რაღაცნაირი, თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებს ჰაერში. ღამღამობით ძალზე ბნელა, დილაობით ყინავს, დღისით კი მზე კაშკაშებს...

მოასფალტებულ ქვაფენილებზე, სკვერებსა და ბაღებში თითქოსდა უეცრად, როგორც სოკო ნაწვიმარზე ისე, გამოჩნდნენ გოგო-ბიჭები, მათმა მხიარულმა ხმაწკრიალა სიცილმა აავსო ქუჩები. მაღლა კი, ჩინართა ჯერ ისევ შიშველ ტოტებში ფუთფუთებენ გაზაფხულით აღფრთოვანებული ჩიტები.

გაზაფხულდა... გული შფოთითა და სიხარულით არის აღვსილი. დასვენება და ზაფხული წინაა. მერე, ზაფხულზე მშვენიერი რა არის! რა საოცრად ნათელი და სიხარულით სავსე გრძნობა გეუფლება ახლადამწვანებულ არყის ხეებს შორის ხეტიალისას, ან ჩამოცვივნული წიწვებით მსუბუქად მოფენილ მიწაზე ასწლოვანი ფიჭვების ჩრდილში წოლისას, ან კიდევ — შუადღის ხვატით გათანგული ყელამდე რომ ჩაყურყუმელავდები გრილ წყალში და შიგადაშიგ ფეხებით ეხები ქვიშამოფენილ ფსკერს. აბა, რა სჯობს თავქვეშ ხელებშემოწყობილი წყნარად რომ წევხარ წყალში და მის მდინარებას მინდობილი შესცქერი ლაჟვარდოვან ცაზე მონავარდე ძერას ან თეთრგულა მერცხლებს, წინ და უკან რომ დალივლივებენ ჰაერში. რა სჯობია, იცურო ასე და არაფერზე იფიქრო.

მაგრამ ყველაფერი ეს მერე იქნება — დაჩრდილული ფიქვნარიც, აყლორტილი არყის ხეებიც, გრილი მდინარეებიც, — ახლა კი მოწაფეებს დავიწყებიათ ყოველგვარი სიამოვნება, წიგნებში თავჩარგულებს ძილიც გასტეხიათ.

იწყება მნიშვნელოვანი ხანა მათი ცხოვრებისა — გამოცდები. ამიტომაც არის, რომ გული სიხარულითაც აქვთ სავსე და შფოთითაც.

ერთხელ ლიტერატურული წრის მეცადინეობის შემდეგ გენადი მოულოდნელად მიეახლა სტასიას, მისთვის ჩვეული გამოუცნობი ღიმილით გაუღიმა და უთხრა:

— მინდა, შინ მიგაცილო.

სტასია სახეზე წამოპილპილდა და საჩქაროდ მიუგო:

— კეთილი.

მერე სტასიამ პალტო ჩაიცვა და ზემოთ გაიქცა საფრონოვის მოსაძებნად.

ნელა მიდიოდნენ, როგორც ზამთრის იმ საღამოს, მაგრამ მაშინ გაცხოველებით საუბრობდნენ, ახლა კი უმეტესად ჩუმად იყვნენ.

— ამბობენ, ლიტერატურის გამოცდისა ეშინიაო, მართალია? — ჰკითხა გენადიმ.

— ჰო, ძალიან მეშინია, — ალალად გამოუტყდა სტასია.

— ვერ გამიგია, როგორ უნდა გეშინოდეს ლიტერატურის გამოცდისა!

ამის თქმაზე სტასია გაბრაზდა და პირველად იყო, რომ საფრონოვისადმი სიძულვილი იგრძნო.

— რას იზამ, ყველას თავისი საფიქრალი აქვს... — უპასუხა ბრაზით და გაიფიქრა: „ფედიას რომ ვაეგო ეს, აუცილებლად შემომთავაზებდა, ჩემთან იმეცადინეო, ამას კი მხოლოდ თავისი თავი აინტერესებს“.

სტასიას სახლამდე მივიდნენ და საფრონოვმა უსიცოცხლოდ გაუწოდა ხელი.

სტასია გაოცებული დარჩა, რადგან საფრონოვთან გამომშვიდობებისას გული არ დასწყვეტია. უფრო დიდი და გამოცდილი რომ ყოფილიყო ან ვერასავით თავისი საქციელისა და გრძნობების ანალიზი რომ შესძლებოდა, სტასია მიხვდებოდა, რომ სწორედ ამ საღამოს მოეღო ბოლო მისი საფრონოვით ბრმა გატაცებას და რომ

მან დაიწყო ამ ბიჭის ნაკლოვანებების შემჩნევა. მაგრამ სტასიას არ ეცხოდა ეს. საოცარი სიმსუბუქე კი იგრძნო, ეს იყო და ეს.

„აი ახლა კი დავჯდები სამეცადინოდ და ვერც ვერაფერი შემიშლის ხელს!" — გაიფიქრა მან.

მაგრამ ამ განზრახვის შესრულებას დედა გადაეღობა.

— შვილიკო, — უთხრა ირმა სერგეევნამ, — შენი საყვარელი ვაშლის ნამცხვარი გამოგიცხვე. წადი და ჭამე. ლოგინიც გაგიმზადე, დაწექი და დაიძინე.

სტასიამ გადახედა ლოგინზე გადაფარებულ ქათქათა თეთრეულს და გულით სთხოვა დედას:

— ხელს ნუ შემიშლი, დედა. უნდა ვიმეცადინო.

— რაი, ავად ხომ არა ხარ? — შეშფოთდა დედა და მიუალერსა სტასიას.

— არა-მეთქი, დედა, მაგრამ მართლაც ავად გავხდები, რადგან, შენც და მამასაც გავიწყდებათ, რომ ჩვიდმეტი წლისა ვარ და არა რვისა. გამოცდები კარს მომდგომია, შენ კი ათ საათზე მაწვენ...

— იცი, რა, ჩემო გოგო, ისა სჯობს, ადრე ადგე. ექვს საათზე გაგაღვიძებ, კარგი? დილით მეცადინეობა სჯობს. დასვენებული ტვინი უკეთესად ითვისებს.

„მართლაც, დილით მეცადინეობა ბევრად უკეთესია", — გაიფიქრა სტასიამ და თითქოს დედას კი არა, უმცროს დას ელაპარაკებოდა, ისე უთხრა:

— აბა, მოიტა შენი ვაშლის ნამცხვარი!

სასადილო ოთახში შეევიდნენ. ირმა სერგეევნამ სტასიას წინ დაუდგა ვაშლის ნამცხვარიანი ცხელი ტაფა და ყავა. სტასია ჭამდა, დედამისი კი მაგიდასთან იდგა და კმაყოფილებით ადევნებდა თვალს.

დედა-შვილი ხმას არ იღებდა. ისინი მუდამ ჩუმად იყვნენ. ირმა სერგეევნას აზრადაც არ მოსდიოდა სტასიასათვის ეკითხა ხოლმე, რა აზრები გიტრიალებს თავში ან გულში ხომ არავინ ჩაგვარდნიაო. თავისი ქალიშვილის სულიერი სამყარო იდუმალად მიაჩნდა. „ალბათ ბიჭებითა და ცუღლუტური აზრებითა აქვს გონება გამოჭედილიო", — ფიქრობდა. ის კი, რომ მის ქალიშვილს იქნებ სხვა ინტერესებიც ჰქონოდა, ირმა სერგეევნას ვერ წარმოედგინა. სტასია

მშვენივრად გამოიყურებოდა, მადა კარგი ჰქონდა, მაშასადამე, ჯანმრთელად იყო. სხვა რაღა უნდა მოსურვებოდა მშობლის გულს?

სტასიასაც არ აინტერესებდა დედასთან მასლაათი. საოჯახო საქმეები, რომლებშიაც ყელამდე იყო ჩაფლული ირმა სერგეევნა, სულაც არ უპიტნავებოდა. სტასიას შინ მუდამ სწყინდებოდა ხოლმე და ცდილობდა ამხანაგებთან ყოფილიყო, ან სკოლაში ან კიდევ — პიონერთა სასახლეში.

გარეგნულად სტასია ძალიან ჰგავდა დედას და ლამაზ გოგონას რომ უყურებდა, ირმა სერგეევნა ხშირად ოხრავდა ხოლმე თავის ახალგაზრდობაზე. თუმცა ირმა სერგეევნა ახლაც ლამაზი ქალი იყო, მაგრამ რაც შვილი გაუჩნდა, კარგად ჩაცმასა და თავისი თავის მოვლაზე ხელი აიღო. ქალიშვილის აღზრდამ და ოჯახმა ყველაფერი დაავიწყა. კაბის სივიწროვეს ვეღარ გუობდა, გაფარფაშებულ ხალათებს ამჯობინებდა. მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ვერ ხმარობდა, მთელი დღე ფუსფუსით ფეხები ეღლებოდა, ამიტომ ზაფხულობით ჩუსტებს იცვამდა ხოლმე უწინდებოდ, ზამთრობით — თექურებს; გრძელი, სქელი თმა მოკლედ შეიჭრა, რადგან მისი მოვლის თავი აღარ ჰქონდა.

სტასიას დაბადებამდე ირმა სერგეევნა რადიოკომიტეტში მუშაობდა დიქტორად, მერე მიატოვა სამსახური და თავისი ოთხი ოთახის ვიწრო სამყაროში ჩაიკეტა.

...დილის ექვს საათზე ირმა სერგეევნა ქალიშვილის ოთახში შევიდა. სახეავარდისფერებულსა და ხელებგადაშლილ სტასიას ტკბილად ეძინა. დედამ საბანი გაუსწორა, მოაგონდა, როგორ იწვა ამავე ოთახში, ოღონდ, პაწია საწოლზე რამდენიმე წლის წინათ ასეთივე საყვარელი და ვარდისფერი მისი სტასია და ამოიოხრა.

ირმა სერგეევნა კარგა ხანს იდგა ჩაფიქრებული ქალიშვილის საწოლთან, მერე თითისწვერებზე გამოვიდა ოთახიდან. მეცხრე საათზე ისევ შევიდა სტასიასთან.

— სტასენკა, ადექი, შვილიკო!

სტასია თვალისწამში წამოხტა.

— ექვსი საათია უკვე?

— არა, ჩემო კარგო, მეცხრე საათია.

— მეცხრე საათიო! — ყვედრებით გაიმეორა სტასიამ.

მან საჩქაროდ ჩაიცვა ტანთ და დაბნეული შეჩერდა შუა ოთახ-

ში. „რა უნდა ვქნა? — ფიქრობდა იგი. — ვერას ან ელენას მივაკითხო სამეცადინოდ? მაგრამ იმათ ხომ ყველაფერი ძალიან კარგად იციან და რაღაზე გაიმეორებენ ხელახლა? მარტომ ვიმეცადინო? კარგი იქნებოდა, მაგრამ უკვე გუნება გამიფუჭდა“. იდგა ასე, ფიქრობდა და არაფერს არ აკეთებდა.

ირმა სერგეევნამ ორჯერ მოიხმო მაგიდასთან, მაგრამ სტასია გაბრაზებული იყო დედაზე, საუზმობაზე უარი თქვა და საკუთარი ოთახის კარი ბრაზით გადაკეტა.

„მოვიდა ახლა საქმლის დასაძალებლად, — გაიფიქრა დედაზე, როცა კარზე დაუკაკუნეს. — აკაკუნე, რამდენიც გინდა, მაინც არ გაგიღებ. დე, ეგონოთ, რომ ისევ დამეძინა ან კიდევ თავი მოვიკალი“, — ნიშნისგებით გაიფიქრა სტასიამ.

— შვილიკო, შენთან მოვიდნენ, — მოესმა დედის ხმა.

„მოვიდნენ? ვინ იქნება ამ დილაადრიანად? სტასიამ საჩქაროდ გადასწია რაზა, კარი გააღო და ფედია ნოვიკოვი შერჩა ხელთ.

— ფედია! — სიხარულით შემოუშვა ბიჭი ოთახში.

— მეგონა, გაბრაზდებოდი, ასე ადრე რომ მოგაკითხე. დედაშენსაც ასე ვუთხარი. მაპატიეთ, არ ვიცი, როგორ მოგმართოთ, — მიუბრუნდა ფედია სტასიას დედას.

— ირმა სერგეევნა, — უპასუხა პირქუშად სტასიას დედამ, რომელიც ჯერ კიდევ თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა ფედიას.

— ირმა სერგეევნამ შენზე თქვა, გუნებაზე ვერ არისო, — ეუბნებოდა ფედია და სახეში ჩასჩერებოდა სტასიას. — ჰოდა, მთლად დავფრთხი, ვიფიქრე, ეს მეორედ მოვედი-მეთქი უდროო დროს.

— თვითონ არის დამნაშავე, — ჭირვეულად თქვა სტასიამ.

— დაწყნარდი, სტასენკა, — უთხრა დამნაშავედ ირმა სერგეევნამ შვილს და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან.

— რა დაგიშავა დედაშენმა? — ჰკითხა ფედიამ სტასიას, კარი რომ დაიხურა.

— დამპირდა, ექვს საათზე გაგაღვიძებო და ცხრაზე გამაღვიძა. შემიცოდა და მეცადინეობა ჩამიშალა.

— ჰო, მერე რა მოხდა, ერთხელ არაფერია.

— ერთხელო? — შეჰყვირა სტასიამ. — საქმე ის არის, რომ ეს ამბავი ყოველდღე მეორდება.

— ჰოდა, მაშინ ნუღა ენდობი ირმა სერგეევნას, თავად ადექი ადრე.

— თავად? — გაუკვირდა სტასიას. — მე ხომ თავისდღეში თვითონ ვერ ვიღვიძებ.

— მაშ, საქმეს თავს ვერ აბამ თურმე, შე ძილისგუდავ, შენა! — გაეცინა ფედიას.

— მე ხომ ჩემით ვერაფერს ვიკეთებ! ასე ვარ გაზრდილი. მამაც ასე მექცევა და ისიც... — სტასიამ თავით ანიშნა სასადილო ოთახზე. სადაც დედამისი დაფუსფუსებდა.

— მაპატიე, სტასია, მაგრამ ყურს ჭრის, როცა დედაზე „ისიცო“, ამბობ.. „ის“ კი არა, დედაო, უნდა თქვა...

სტასია გაწითლდა, მაგრამ არაფერი უპასუხნია, საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა.

— კარში რად დავმდგარვართ, ფედია? შემოდი, დაჯექი.

ფედია სტასიას მიჰყვა ოთახში.

— თუ იცი, რად მოვედი შენთან? — ჰკითხა მან.

— წარმოდგენა არა მაქვს, — მიუგო სტასიამ.

— მინდოდა ლიტერატურისა და გეოგრაფიის გამოცდებისათვის მზადებაში მოგხმარებოდი. მე მოცლილად ვარ... თანაც შენთან ერთადაც გავიმეორებდი რამეს. გაისად სკოლას ვამთავრებთ და გამომადგება. აბა, როგორ მოვიქცეთ? ხომ არ მიბრაზდები?

ფედია ისეთი ტონით ელაპარაკებოდა სტასიას. თითქოს უდიდეს მოწყალებას სთხოვდა. სტასია სიხარულით აკისკისდა.

— ფედია, მე და შენ დავმეგობრდებით, ხომ? — უთხრა გრძნობამორეულმა.

ფედიამ მაგრად ჩამოართვა გამოწვდილი ხელი.

— ჰოდა, რაკი ასეა, მოდი, ტყუილად ნუღარ გავაცდენთ დროს, — უთხრა ბიჭმა და შარვლის ჯიბიდან მილივით დახვეული რვეული ამოიღო.

ფედიამ რამდენიმე დღე იფიქრა, რა მეთოდით უნდა ემეცადინა სტასიასთან და ახლა გულდაჯერებით მიუჯდა საწერ მაგიდას. სტასია გაუბედავად მიეკრო სკამის კიდეს და თვალები დახარა.

— შენ ჯერ ჩუმად იყავი, თითქოს არაფერი იცი, მე კი ბილეთების მიხედვით მოგიყვები. კარგი?

სტასია უფრო მოხერხებულად დაჯდა, ხელები მუხლებზე შემოიწყო. იგი მიხვდა, რომ პირველი მეცადინეობისათვის ასეთი გეგმა ფედიამ განგებ მოიფიქრა, რომ გოგოს არ დაერცხვინა. შუადღემდე იმეცადინეს და ორთავე კმაყოფილი დარჩა. ფედია უბრალოდ, გასაგებად ყვებოდა. სტასია ყურადღებით უსმენდა, რაღაცებს იწერდა თავისთვის და კარგად იმახსოვრებდა.

ფედიას რომ ემშვიდობებოდა, სტასიამ ღიმილით უთხრა:

— შენ აგრიპინა ფიოდოროვნაზე უკეთესი გადმოცემა გაქვს.

ფედიამ გაიცინა:

— ეტყობა, ტყუილად არ ვაპირებ პედაგოგიურ ინსტიტუტში შესვლას.

— პედაგოგიურში? — კითხვა შეუბრუნა სტასიამ. — ფუჰ, სულაც არ არის საინტერესო დარგი!

— შენ კი, რა თქმა უნდა, კინოვარსკვლავი იქნები? — ირონიულად ჰკითხა ფედიამ.

— დიახ. — თქვა წამოწითლებულმა სტასიამ. — სცენა მიზიდავს. ჩემს დედ-მამასაც ასე სურს.

— საშინლად გაცვეთილი ამბავია, — შუბლი შეიკრა ფედიამ. — ყველა გოგოს, ვისაც ნამდვილი გატაცება არ გააჩნია, მსახიობად გახდომა სურს. ამ საქმეში კი, როგორც მასწავლებლის სამუშაოსათვის, ტალანტია საჭირო და ჯოჯოხეთური შრომისუნარიც. შენ, სტასია, ჩემი აზრით, მაგის ნიჭი არ გაგაჩნია. გარდა ამისა, ასე მგონია, სწორად არა გაქვს წარმოდგენილი მსახიობის მუშაობა. შენ ახლა ამ საქმეს მაყურებლის თვალით უყურებ... სცენა, აპლოდისმენტები... ახლა რამდენი უნდა იმუშაო შინ? ბიძაშვილი მყავს, ინჟინერი, მოსკოვში ცხოვრობს, მსახიობი ჰყავს ცოლი. ნამყოფი ვარ მათთან და ვიცი, რამდენს მუშაობს ის ქალი შინ. რამდენს კითხულობს, ვარჯიშობს, როცა როლი აქვს სასწავლი! აუცილებლად იფიქრე, სტასია!

შინ ფედია გულგახარებული ბრუნდებოდა. ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც მას ჰქონდა ნავარაუდევი. სტასია სიხარულით დათანხმდა მასთან მეცადინეობაზე და ახლა ფედია ძალას არ დაიშურებს, რომ მან არა მარტო ლიტერატურის გამოცდა ჩააბაროს, არამედ შეიყვაროს კიდეც ეს საგანი. სტასიამ თავად შესთა-

ვაზა მეგობრობა და ეტყობა, მთელი გულითაც. ფედია თანდათან ხელახლა აღზრდის მას. დარწმუნებულია, რომ შეძლებს ამას.

სტასიას ეჭვადაც არ ჰქონდა, რომ ნოვიკოვი მასთან მხოლოდ საკუთარი სურვილით არ მისულა. ფედიამ, აგრიპინა ფიოდოროვნამ, ვერამ და ელენა სტრელოვამ მოილაპარაკეს ერთმანეთში, რომ სტასიაზე შეფობა აეღოთ და ფედიას დაავალეს, გამოცდებისათვის მომზადებაში მიშველებოდა.

ფედია საჩქაროდ მიაბიჯებს ქუჩაში, ფიქრობს და საქმის წარმატებაში დარწმუნებულს გული სიხარულით ევსება.

მეთერთმეტე თავი

იმავ დილით სვერჩკოვებთან გამოცდისათვის ემზადებოდნენ ვერა და ელენა. განთიადისას ადგნენ და საუზმემდე წუთითაც არ შეუწყვეტიათ მეცადინეობა. ორივე კარგად იყო მომზადებული, მაგრამ ლენამ მეტი იცოდა.

— გინდა გითხრა, რატომ ვიცი შენზე მეტი? — უთხრა ლენამ, თან თავის გრძელ ნაწნავს იხვევდა.

— იმიტომ, რომ ჩემზე ნიჭიერი ხარ, — მიუგო ვერამ.

— არა, მაგიტომ კი არა, — თავი გაიქნია ელენამ. — შენ ჩემზე ცუდი მეხსიერება როდი გაქვს. სულელო! — გაიცინა უცებ მეგობრულად. — მე ხომ მთელი წელიწადია ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. დღეში ოთხი საათი წიგნი მიჭირავს ხელში, ერთთავად შიგ ვიყურები და ვიმახსოვრებ ხოლმე.

ვერას რვეული, რომელშიც კითხვები ეწერა, მუხლებზე ედო. ხან ერთი პასუხობდა, ხან მეორე, ხან ერთი ავსებდა პასუხს, ხან მეორე დაუმატებდა სათქმელს. ზოგჯერ ელენა წიგნსაც გადაშლიდა ხოლმე.

რვა საათზე კი ვოლოდკამ კარების ბრახუნი და სიმღერა ატეხა:

— „ბებერ მედოლეს, ბებერ მედოლეს მკვდარივით ჩასძინებოდა!“ — მერე ოთახში შეიხედა, ცუღლუტურად მოავლო თვალი და შეჰყვირა: — აჰა, რას აკეთებთ აქ? ნახეთ, თუ დედას არ ვუთხრა!

— აბა, მოშორდი აქაურობას! — დაუყვირა ვერამ, მაგრამ ვოლოდკამ სასწრაფოდ განაცხადა:

— დედამ გამომგზავნა თქვენთან. — ხელისგულები რუპორივით მიიდო პირთან, წუხელ ნანახ „თხუპნიაში“ მოთამაშე მსახიობებს ბაძავდა, მეფის მალემსროლებს რომ ასახიერებდნენ, მათსავით ჩაიგუგუნა ხელისგულებში, — ყავა გახლავთ და ხორციანი ღვეზელები! მორჩა! სამი წუთი გეძლევათ შეკრებისათვის!

მერე ვოლოდკა ოთახიდან უკანვე გამოვარდა, დაკეტილ კარებზე ისევ მიაბრახუნა „ბებერ მედოლეს, ბებერ მედოლეს მკვდარივით ჩასძინებოდა“! — და მისი მხიარული, მსუბუქი ფეხების ბაკუნი უკვე მამის კაბინეტის მხრიდან მოისმა.

ელენამ პირველად გაათია ღამე სვერჩკოვებთან. მანამდე ორიოდეჯერ შეხვედროდა ვერას დედას მათთან ყოფნისას, მაგრამ გენერალი ჯერ არ ენახა.

ყველა თავის ადგილას იჯდა უკვე, გოგოები რომ სასადილო ოთახში შევიდნენ. ელენა კართან შეჩერდა და თქვა:

— დილა მშვიდობისა!

ვერამ თვალი შეავლო ამხანაგს და გაოცებით შენიშნა, რომ ელენა მორცხვობდა — იგი ხომ ყოველთვის, ყველასთან უბრალოდ და თავდაჯერებულად გრძნობდა თავს, ახლა კი დაბნეულიყო.

— დილა მშვიდობისა, — ალერსიანად მიუგო გენერალმა, ოქსანა ტარასოვნამ კი თავით ანიშნა ტროფიმ კალინოვიჩის გვერდით მდგარ ცარიელ სკამზე.

— როგორ გეძინა, ლენოჩკა, ახალ ადგილას? — საჩქაროდ ჰკითხა ოქსანა ტარასოვნამ.

— გმადლობთ, ძალიან კარგად, — მიუგო ელენამ. — ჰო, მართლა, უკვე დროა სამსახურში გავიქცე, — შეშფოთებით თქვა მან, როცა კედლის დიდ საათს ახედა.

— არა, არა, ლენოჩკა, ჯერ კარგად უნდა ისაუზმო, — შეაგება ოქსანა ტარასოვნამ, რომ ნახა, ლენა წამოდგომას აპირებდა.

— რას ამბობ, ლენოჩკა, ჯერ ხომ ცხრის ხუთი წუთია მხოლოდ, შენ კი ცხრაზე უნდა მიხვიდე, — უთხრა ვერამ, რადგან შენიშნა, რომ ამხანაგი რაღაცით შეშფოთებული იყო.

— ნუ იჩქარებთ, — უთხრა გენერალმა. — სწორედ იქით მივდივარ და მე მიგიყვანთ მანქანით.

ვოლოდკამ და ვერამ გაოცებით შეხედეს მამას.

სვერჩკოვების ოჯახში წესად არ ჰქონდათ პირად საქმეზე მანქანის მოხმარება.

ელენამ იცოდა ეს.

— გმადლობთ, — გულით გადაუხადა მადლობა. — თავად ბინავალ.

— რად უნდა მიხვიდეთ თავად, როცა შემიძლია წაგიყვანოთ? — ღიმილით, მაგრამ დაჟინებით უთხრა გენერალმა. ამ უბრალო ყურადღებამ, რითაც სვერჩკოვების ოჯახში იყო გარემოსილი, ელენა გაათამამა, გული გაუთბა.

— ჰო, — თქვა ვერამ მამასაც მიმართა და დედასაც. — სულ დამავიწყდა, ერთი ახალი ამბავი მეთქვა თქვენთვის.

ვოლოდკამ ჭამა შეწყვიტა და ყური მიუგდო.

— საინტერესოა, რა ახალი ამბავია? — იკითხა მან.

— აგრიპინა ფიოდოროვნამ ლიტერატურული წრის წევრებს წინადადება მოგვცა, ივლისში კოლმეურნეობა „ისკრაში" გავემგზავროთ.

— რა მიზნით? — იკითხა ტროფიმ კალინოვიჩმა.

— სამუშაოდ და საწერად.

— რატომ „ისკრაში" — მასზე ძლიერი კოლმეურნეობა სხვაც არის, თანაც უფრო ახლოს და ბუნებაც უკეთესია... — თქვა გენერალმა.

— აგრაპინა ფიოდოროვნამ ის აირჩია. — მიუგო ვერამ.

— ჰო, ეტყობა, რაიმე მოსაზრებაც აქვს ამის თაობაზე. — ჩაერია საუბარში ოქსანა ტარასოვნა. — მას წინასწარ აქვს ხოლმე ყველაფერი გაზომილ-აწონილი.

—რატომ მაინცდამაინც ივლისში და არა სწავლის დამთავრებისთანავე? — დაინტერესდა ტროფიმ კალინოვიჩი, ჩიბუხი გააბოლა და სუფრიდან ადგა.

— ეტყობა, ჩემი გულისთვის გადაწყვიტა ასე, — ჩაილაპარაკა ელენამ, — შვებულებას ივლისამდე ვერ ავიღებ.

— ო! ეს კარგია. ამხანაგური საქციელია! — შეაქო გენერალმა, მაგიდასთან შეჩერდა, საათზე მიუთითა და უთხრა: — ცხრას თექვსმეტი წუთი აკლია. წუთის შემდეგ მანქანა აქ გაჩნდება.

— „წუთი წუთზე სიზუსტით“! — სიცილით გამოაჯავრა ვოლოდკამ მძღოლს, ძია სენიას, საოცრად ზუსტ კაცს.

ქუჩაში, სახლის მახლობლად სამჯერ გაისმა მანქანის საყვირის ხმა. გენერალმა ღიმილით შეხედა ელენას, ერთი ნახე, რა მძღოლი მყავსო.

ვერა, ელენა და ვოლოდკა ფანჯარას მისცვივდნენ. კიბესთან ახალთახალი ჩალისფერი მანქანა იდგა და მზეზე ლაპლაპებდა.

— გმადლობთ, — უთხრა ელენამ ოქსანა ტარასოვნას და საჩქაროდ გაემართა კარისკენ.

კარში იგი ტროფიმ კალინოვიჩმა შეაჩერა, ხელში ხელი მოჰკიდა და ტკბილად გაუღიმა:

— ჩვენს სახლში ისე იგრძენით თავი, ლენა, როგორც საკუთარ ოჯახში. მიხარია, რომ ჩემმა ვერამ, როგორც იქნა, ამხანაგი იპოვა.

— მადლობელი ვარ, — თქვა ელენამ და უცებ ტირილი მოერია.

ვერა, ოქსანა ტარასოვნა და ვოლოდკა მაშინვე მისცვივდნენ მას. გენერალს არაფერი უთქვამს, წინკარში გაიყვანა ელენა, თავისი ცხვირსახოცით თვალები შეუმშრალა, პალტოს ჩაცმაში მიეშველა, ხოლო ოქსანა ტარასოვნამ კიბიდან გადასძახა, იცოდე, აუცილებლად ჩვენთან დაიძინე ისევ, პირდაპირ სკოლიდან წამოჰყევ ვერასო.

ელენამ მოიხედა. თვალები ცრემლებით გაბრწყინებოდა, ხოლო სახე ღიმილით გაცისკროვნებოდა. მანქანამ საყვირი დააპიპინა და მსუბუქად გასრიალდა ქუჩაში.

ვერა და ვოლოდკა ფანჯარასთან იდგნენ და მანქანას თვალს აყოლებდნენ.

— რატომ ატირდა ელენა, ვერა? — ჩუმად ჰკითხა ვოლოდკამ.

ვერა დაფიქრებული იყურებოდა ქუჩაში და ხმას არ იღებდა.

— დედა, რატომ ტიროდა? — ვოლოდკამ ვერ დაიცხრო ცნობისმოყვარეობა და ახლა დედას მიუბრუნდა.

— ელენას არც დედა ჰყავს და არც მამა, ვოლოდკა, იგი ობოლია. ალბათ ასე ყველას ერთად რომ გვიყურებდა, მოაგონდა თავისი ოჯახი და გული ეტკინა... — ოქსანა ტარასოვნას ცრემლები ადგა თვალებზე.

ვოლოდკა გაჩუმდა და ჩაფიქრდა.

— რა მოუვიდა ელენას მშობლებს, ვერა? — ჰკითხა ოქსანა ტარასოვნამ.

— გოგოებმა თქვეს, მამა ფრონტზე დაეღუპა, ხოლო დედა ევაკუაციაშიაო. ზუსტად კი არავინ არაფერი იცის. ელენას არ უყვარს ამაზე ლაპარაკი. მე კი ვერ გამიბედია კითხვა, — მიუგო ვერამ.

— უეჭველად გაბედე და ჰკითხე.

— კარგი, ვკითხავ, — შეჰპირდა ვერა.

მაგრამ ოქსანა ტარასოვნა საქმიანი ბუნების ქალი გახლდათ და არ შეეძლო დალოდებოდა, ვერა როდის შეურჩევდა დროს საკითხავად.

ოქსანა ტარასოვნა გარნიზონის ქალთა საბჭოში მუშაობდა და გამოცდილებით იცოდა, რომ ამდაგვარ შემთხვევებში საჭიროა სასწრაფოდ ჩარევა. მან დაურეკა აგრიპინა ფიოდოროვნას და მისგან გაიგო, რომ სტრელოვას მამა ფრონტზე დაეღუპა, დედა კი ევაკუაციაში და გოგო მარტოდმარტო დარჩა.

ერთხანს ელენა საბავშვო სახლში იზრდებოდა, მერე კი თავისი ნებით წამოვიდა იქიდან და საბავშვო ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა.

ოქსანა ტარასოვნა ამით არ დაკმაყოფილებულა. მან სახალხო განათლების ქალაქის განყოფილებაში მიაკითხა. გამოირკვა, რომ ამ განყოფილების გამგე, ფედოროვი, ძალიან კარგად იცნობდა თურმე სტრელოვას და ბევრჯერ ფულითაც დახმარებია.

შინიდან ოქსანა ტარასოვნამ კვლავ დარეკა ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკის გამგემ უთხრა, რომ ვცდილობთ, გოგონა არ დავტვირთოთ სამუშაოთი, ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივიც დიდი ყურადღებითა და ზრუნვით ეკიდებაო.

ყოველივე ამან ვერ დაამშვიდა ოქსანა ტარასოვნა. დედის გული უგრძნობდა, რომ ვერც სკოლისა და ქალაქის განათლების განყოფილების ზრუნვა, ვერც ბიბლიოთეკის კოლექტივის ყურადღება — ვერაფერი ვერ გაუწევდა ელენას ოჯახის მაგივრობას... მოულოდნელად ოქსანა ტარასოვნას აზრად მოუვიდა, რომ ელენა თავისთან წამოეყვანა. მაგრამ ერთხანს არც ვერასთვის გაუნდია ეს ფიქრი და არც ტროფიმ კალინოვიჩისათვის.

მეთოთრმეტე თავი

სტასია ფედიასთან დაპირებულზე ადრე მივიდა. კარი ღია დახვდა და მისი შესვლა არავის გაუგია. ერთი კი იკითხა: „შეიძლებაო?“, მაგრამ არავინ გამოხმაურებია, თუმცა ოთახიდან ლაპარაკი ისმოდა. სტასიამ გაიხადა პალტო, ლურსმანზე ჩამოჰკიდა, ტაბურეტზე დაჯდა და ძლივძლივობით იხდიდა რეზინის ჩექმებს.

ოთახიდან ისმოდა ფედიასა და დედამისის საუბარი. სტასია ცდილობდა, რაც შეიძლება ნელა და ჩუმად გაეხადა ფეხთ, რომ უფრო დიდხანს და უკეთ მიეგდო ყური ლაპარაკისათვის.

— ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ, — ამბობდა ფედია, — რომ უჩემოდ ძალიან გაგიჭირდება. ვინღა მოგიტანს წყალს, ან ნახშირს, ან ნარცხს ვინ გაიტანს...

— რას ამბობ, ფედიუშკა, ბალღი ხომ არ ვარ, ან ხელები არ მაქვს, განა? — ეპასუხებოდა ვასილინა მიხაილოვნა.

სტასია მიხვდა, რომ პიონერთა სასახლის ლიტერატურულ წრესთან ერთად ფედიას გამგზავრებაზე ლაპარაკობდნენ.

— არაფრით არ შეიძლება, რომ ამხანაგებს გამორჩე, თანაც სოფლისთვის იქნებ სარგებლობაც მოიტანოთ, — განაგრძობდა ვასილინა მიხაილოვნა.

„დედაჩემსა და მამაჩემს კი ჩემი წასვლა მხოლოდ იმიტომ არ სურთ, რომ იქ მუშაობაა საჭირო“, — გაიფიქრა სტასიამ. თუმცა თავადაც არ ეამებოდა მაინცდამაინც მომავალი გამგზავრება.

— თანაც დაისვენებ კიდეც, — განაგრძობდა ვასილინა მიხაილოვნა. — სათივეზე დაიძინებ ბოლმე, ახლადმოწველილ რძეს დალევ, სუფთა ჰაერს ისუნთქავ. არა, ფედიუშკა. უეჭველად წადი...

მოისმა ნაბიჯების ხმა. სტასია საჩქაროდ წამოხტა. წინკარში ვასილინა მიხაილოვნა შემოვიდა.

— ა, სტასია! — ალერსიანად უთხრა მან. — ჩვენ კი, რა ხანია, გელოდებით. უშენოდ არ ვისაუზმეთ.

— გმადლობთ, ვასილინა მიხაილოვნა, — უთხრა სტასიამ. — მე უკვე ვისაუზმე.

კარში ფედია გამოჩნდა. სიცილით გაუწოდა ხელი სტასიას და უთხრა:

— მერე რა, კიდევ ჭამე. ხომ ამბობ, ჭამა მიყვარსო.

სტასია ოთახში შევიდა. მასაც, ფედიას ყველა ამხანაგივით, უყვარდა ნოვიკოვებთან ყოფნა. აქ კარგად, უბრალოდ, მშვიდად გრძნობდა თავს. ვასილინა მიხაილოვნა სამზარეულოში მაგიდასთან ფუსფუსებდა, ფედია საოჯახო საქმეზე გავიდა, სტასიამ კი გადაფურცლა ხელთ მოხვედრილი წიგნი და ჩაფიქრდა.

... როცა სვერჩკოვებთან იყო სტუმრად, ეგონა, ასე კარგად იმიტომ აქვთ აწყობილი საქმე, რომ ძალზე კულტურული და უზრუნველყოფილი ოჯახიაო. ბევრჯერ უთქვამს სიცილით ვერასათვის, რომ დედაშენი დილაობით ალბათ პედაგოგ მაკარენკოს წიგნს კითხულობს, მშობლებისათვის დაწერილს, რათა ბავშვების აღზრდაში შეცდომა არ მოუვიდესო. მაგრამ ასე კარგად, უბრალოდ, თავისუფლად რაღად გრძნობდა თავს ნოვიკოვებთან? ფედიას დედა დიდად განათლებული ქალი არ არის და საეჭვოა ასეთ წიგნებს კითხულობდეს.

ვასილინა მიხაილოვნამ შეაწყვეტინა ფიქრები სტასიას.

— ფედიუშკა დღე და ღამე მეცადინეობს, — უთხრა მან, იქვე დადგა და ფრთხილად, რაღაცნაირი მოწიწებით შეუდგა მაგიდაზე მიმოყრილი წიგნების ერთმანეთზე შელაგებას. — ოჯახური საქმეებისათვის ვაცდენ ხშირად, თორემ უკეთესად ისწავლიდა. აი, მომავალ წელს სკოლას დაამთავრებს და სამასწავლებლოზე ისწავლის... კარგი რამ არის მასწავლებლობა, სასარგებლო საქმეა. შენ კი, სტასენკა, სკოლის მერე რას აპირებ?

— მე? — სტასიას მოაგონდა კინოვარსკვლავებზე საუბარი ფედიასთან და ყოყმანით უთხრა: — ჯერ კიდევ არ ვიცი.

ამ ფრაზას ფედიამაც მოჰკრა ყური და თვალები სიხარულით აენთო. მან ნახშირით სავსე ვედრო ღუმელთან მიდგა, იქვე დაყარა ერთი იღლია დაჭრილი შეშა და სამზარეულოში ხელების დასაბანად გავიდა.

„ყველაფერს ჩემის თანდასწრებით აკეთებს და არ ერიდება, როგორც ვერას არ ერიდება, სარეცხს რომ რეცხავს, — გაიფიქრა სტასიამ. — მე კი?!“

ჰოდა, მოაგონდა, ერთხელ რომ დედამისს ფეხი ასტკივდა და ბაზარში სტასია გაგზავნა. სტასიას დედის უბრალო კაბა ეცვა და

სანოვაგით დატვირთული მიაბიჯებდა ხორცეულის რიგში. სწორედ ამ დროს შემოხვდა საფრონოვი. გოგოს ისე შერცხვა, მხად იყო, მიწაში ჩამძვრალიყო.

ახლა ეცინებოდა ამ სირცხვილზე. მერე რა მოხდა, თუ ბაზარში ხორცს ყიდულობდა? ხალხი თუ ხორცს ჭამს, მაშასადამე, ყიდულობს კიდევაც. „რაო, ჭკუაში ვვარდები თუ რა?" — გაიფიქრა სტასიამ და გაიღიმა.

ნასაუზმევს ფედია და სტასია სამეცადინოდ დასხდნენ. როგორც პირველად, ახლაც საინტერესო იყო მეცადინეობა. ორთავე კმაყოფილი დარჩა. ფედიამ კმაყოფილებით შენიშნა. რომ სტასია წიგნებს კი საკმაოდ კითხულობდა, მაგრამ წაიკითხავდა, გვერდზე გადადებდა და მეტად აღარასოდეს დაფიქრდებოდა მასზე. ფედია კი სხვანაირად კითხულობდა. იგი ამხანაგებთან, დედასთან, მასწავლებელთან მსჯელობდა ხოლმე წაკითხულ წიგნზე, კამათობდა, ფიქრობდა მის შინაარსზე და უბის წიგნაკში იწერდა თავის აზრებს წიგნის გმირების საქციელზე, წერდა, რა მოეწონა და რა მიაჩნია არასაჭიროდ წიგნში, იწერდა აფორიზმებს.

ფედიამ სტასიას წაუკითხა თავისი ჩანაწერები და გოგომაც მისთვის დამახასიათებელი უშუალობით უთხრა:

— მე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასე სერიოზულად შეიძლება წიგნების კითხვა. მეც ვიყიდი უბის წიგნაკს და ჩავიწერ ხოლმე ჩემს აზრებს წიგნების შესახებ.

რამდენიმე საათს იმეცადინეს. სტასიამ მაჯაზე, ოქროს საათზე დაიხედა და შესძახა:

— შენ, მგონი, ჩემი დატანჯვა გადაგიწყვეტია, ფედია?

ფედიას გაეღიმა:

— მასწავლებლობამ გამიტაცა! რა ვქნა, ახალგაზრდა ვარ, გამოუცდელი!

თავისთვის კი გაიფიქრა: „ეტყობა, მარტო მასწავლებლობამ კი არა, მოწაფემაც გამიტაცაო".

ფედიამ გააცილა სტასია. ნამდვილი გაზაფხულის პირველი დღე იყო. მზე ოქროსფერ, მცხუნვარე სხივებს ფენდა მიდამოს, ბაღებში ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ქუჩები ახმაურებულიყო — დაქ-

როდნენ მანქანები, კისკისებდნენ ქალიშვილები, ქარხნების გრძელი საყვირები არყევდნენ გამჭვირვალე ჰაერს.

სტასია ისე შეჰხაროდა ყოველივეს, ისე მოსწონდა, რომ ფეხები თუ ება ვერც გრძნობდა, თითქოს კი არ მიდიოდა, მიფრინავდა.

მეცამეტე თავი

სკოლა! საყვარელი სკოლა! რა ღრმა, ნათელი გრძნობით მოიგონებთ წლების მერე მას თქვენ, ეს ყივილხივილიანი, დაუდეგარი მოზარდები! მოგაგონდებათ ეს მშვენიერი, განუმეორებელი, დღეები, სკოლის კედლებში რომ გაგიტარებიათ. მხოლოდ მაშინ, როცა სკოლა ძვირფას მოგონებად გადაიქცევა, თქვენ, უკვე ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულები, გაიგებთ იმას, რასაც სკოლის წლებში ვერ ხვდებოდით. მხოლოდ მაშინ დააფასებთ თქვენი საძულველი მასწავლებლების სიმკაცრესა და მომთხოვნელობას, მასწავლებლებისა, საწყენი მეტსახელებით რომ ამკობთ ხოლმე. ჰოდა, ბევრი თქვენგანი ინანებს, რომ ასე ცოტა შეითვისეს იმ მეცნიერებათაგან, ასე თავგადადებით რომ გასწავლიდნენ თქვენი მასწავლებლები. რა ამაღლებული და კეთილშობილური მოგეჩვენებათ მაშინ თქვენი აღმზრდელი მასწავლებლების შრომა! და თუ ოდესმე, მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულები მეორე მხარეს მიმავალ თქვენს ყოფილ მასწავლებელს მოჰკრავთ ღვალს, უკვე გაჭაღარავებულსა და წელში მოხრილს, გულაკანკალებულები გადაირბენთ ქუჩას და გაოცდებით, რომ მან გიცნოთ, რომ თვალები ახლაც ახალგაზრდული ცეცხლით აქვს ანთებული, რადგან მასწავლებელი სამოცდახუთი წლისაც კი გულით ახალგაზრდაა ისევ.

სკოლა, საყვარელი სკოლა! რა საზეიმო, თითქმის ნეტარი გრძნობა გეუფლებათ მერე, ოდესმე, მრავალი წელი რომ ჩაივლის, თუ შემთხვევა მოგეცემათ და გაკვეთილების დროს გაივლით მიჩუმებულ დერეფნებში, შეჩერდებით კლასის კართან, მიაყურადებთ მასწავლებლის წყნარ, გაზომილ ლაპარაკსა და ცარცის დაფაზე კაკუნს. გულაფანცქალებული მიუგდებთ ყურს ზარის სიცოცხლით სავსე წკრიალს, ეს წკრიალი შიგ გულში შეგეჭრებათ, ვით მშობლიური, მივიწყებული ხმა... — იქნებ თვალზე ცრემლიც კი მოგადგეთ, მაგ-

რამ ნუ დაირცხვენთ — ეს ხომ სულმოკლეობის ცრემლები არ იქ-ნება. ეს არის ჩვეულებრივი, ადამიანური ნაღველი სიჭაბუკეზე და იმაზე, რაც გავლილია უკვე და ვეღარასოდეს დაიბრუნებ...

... მაისის ერთ დღეს მერვეკლასელებს ლიტერატურის გამოცდა ჰქონდათ. მაგიდასთან გამოძახებულ მოწაფეთა სამეულში იყვნენ სტასია ნოჩკა და ელენა სტრელოვა. ელენა მშვიდად გავიდა, მტკიცე ხელით აიღო მაგიდიდან ბილეთი.

— მეთორმეტე, — უთხრა მან აგრიპინა ფიოდოროვნას.

სტასია დიდხანს ჯახირობდა თავის მერხთან, კაბის ბოლო ამოწეულ ლურსმანს წამოედო და თავი რომ ვეღარ გაითავი-სუფლა, ნერვიულად გამოგლიჯა ძველი კაბა, გამოცდების დაწყე-ბის დღიდან გაუხდელად რომ ეცვა. ძველი მოწაფური რწმენით, ეს კაბა კარგად ჰქონდა დაცდილი.

აქოშინებული, თითქოს ციცაბო კიბე ამოერბინოს, გავიდა აგრიპინა ფიოდოროვნას მაგიდასთან.

— მეორე, — თქვა, მაგიდიდან აღებული ბილეთი რომ გაშალა და ფანჯარასთან მდგარ თავისუფალ მერხზე დაჯდა.

ამ დღეს მერვე „ბ“ კლასი საზეიმოდ იყო მორთული, ფანჯ-რებზე ახლად დარეცხილ-დაუთოვებული ფარდები ეკიდა, რა-ფებზე თეთრქაღალდშემოხვეულ ქოთნებში აყვავებულიყვნენ მა-თიოლები. მთელ კედელზე გაკრული იყო წითელი ტილო, რო-მელზედაც ეწერა: „გამოცდებს ოთხებზე და ხუთებზე ჩავაბარებთ!“

დღეს განსაკუთრებით მორთული იყო აგრიპინა ფიოდოროვნას მაგიდა. ზედ პრიალა, სპილოს ძვლის ფერის ქაღალდი ეფარა და იდგა მინდვრის ყვავილებით სავსე ბროლის ვაზა.

მაგიდას უჯდა აგრიპინა ფიოდოროვნა. შავი კაბა ეცვა თეთრ საყელოიანი და თეთრ მაჯებიანი, მკერდზე უნივერსიტეტის დამ-თავრების ნიშანი ებნია. რაღაცნაირი მოზეიმე და უცხო იერი ჰქონდა. მოწაფეებმა იცოდნენ: ახლა იგი არავის დაეხმარებოდა და არც არავის უკარნახებდა რაიმეს. თუ არ იცი — თავს დააბრა-ლე. გვერდით ასისტენტი უჯდა — მეათე კლასის ლიტერატურის მასწავლებელი პაველ გიორგიევიჩ სედოვი, გამხდარი, კაფანდარა, წაწვეტებულ ცხვირიანი ბერიკაცი, გამელოტებულ თავზე რომ ქოჩ-რის ნარჩენი ჰქონდა გადატკეპნილი. მოწაფეებს უყვარდათ ეს

კაცი, პატივსაც სცემდნენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად მაინც ბელურას ეძახდნენ. სედოვს წინ ქაღალდის ფურცელი დაედო, ახლომხედველი თვალები მოეჭუტა და შიგადაშიგ სწრაფი მოძრაობით ისე დაიხრებოდა ხოლმე, თითქმის ცხვირით ეხებოდა ქაღალდს, ზედ რაღაც შენიშვნებს იწერდა.

სედოვს ეს ჩვეულებად ჰქონდა და მოწაფეები რომ დაინახავდნენ, ამბობდნენ: „ბელურა უნისკარტებსო“.

ვერა უკანა მერხზე იჯდა და ხედავდა, როგორ ღელავდა სტასია, მერე ბილეთის ნომერიც რომ თქვა, მოეჩვენა, თითქოს სტასიას მთლად აებნა თავგზა.

ვერას შეეცოდა ამხანაგი, იჯდა და ფიქრობდა, რით ვუშველოო. მეორე ბილეთი მშვენივრად ახსოვდა. ხუთ წუთში დაწერდა შპარგალკას, მაგრამ ვერ ბედავდა ამის გაკეთებას. კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო და არ შეეფერებოდა ასეთი საქციელი... თანაც აგრიპინა ფიოდოროვნასი რცხვენოდა, ვერ გაიგებდა, მაგრამ მაინც. მთავარი კი ელენა იყო... დღეს ელენა აგრიპინა ფიოდოროვნასავით მკაცრი იყო და ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა, თითქოს, ისიც გეუბნებოდა: „თუ არ იცი, თავს დააბრალეო“.

მაშ ვინ მიეხმარება სტასიას? ეგებ დაიბნეს და მხოლოდ ამის გამო ვერ ჩააბაროს გამოცდა. უნდა შეახსენო და მერე თვითონ მიხვდება ყველეფერს. მთელი კლასი ასე მშვენივრად არის მომზადებული ლიტერატურის გამოცდისათვის, სტასიას გარდა.. ნოვიკოვი კი ამეცადინებდა, მაგრამ ვერა კარგად იცნობდა სტასიას. და არ სჯეროდა, რომ ეს მეცადინეობა საკმარისი იქნებოდა მისთვის. ვერა კისერს იგრძელებს და პაველ გეორგიევიჩს აშტერდება, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი მეათეკლასელები მერვე „ბ“-ს მოწაფეებზე უკეთ არიან მომზადებულები, ვერა ამას მოცინარე თვალებზე ატყობს. პაველ გეორგიევიჩი ისეთი თვალებით ათვალიერებს იქვე ჩამომსხდარ გოგონებს, თითქოს, ფიქრობდეს: „აბა, ვნახოთ, ერთი, რომელი თქვენგანი ჩაიჭრებაო?“ კლასის ღირსება ვერასთვის საკუთარ პატიოსნებაზე ძვირფასია. ამ აზრს ჩაეჭიდა, მერხზე დაიხარა და საჩქაროდ შეუდგა წერას. ამ დროს მაგიდასთან მშვიდად მივიდა ელენა.

— ალექსანდრ სერგის ძე პუშკინის ბიოგრაფია, — თქვა და ისე

ცხარედ ალაპარაკდა, როგორც იცოდა ხოლმე პასუხი, განსაკუთრებით ლიტერატურაში.

შთაგონებით უპასუხებდა, ყველა ინტერესით უსმენდა. ბევრი რამ ელენას ნათქვამიდან მერვე „ბ“ კლასის გოგოებისათვის ახალი ამბავი იყო, აგრიპინა ფიოდოროვნას მათთვის არ უამბნია ეს.

ფადეევას უნდოდა შეეწყვეტინებინა სტრელოვასათვის, „საკმარისიაო“, ეთქვა როგორც იცოდა ხოლმე, თუ მოწაფეს ცოდნას შეატყობდა, მაგრამ პაველ გეორგიევიჩმა აგრიპინა ფიოდოროვნას ხელზე თავისი ხმელი თითები დაადო და ამ მოძრაობით სთხოვა, სიამოვნებას ნუ მომაკლებ, ბოლომდე მოვუსმინოო.

ელენა მორჩა მოყოლას და გაწითლდა. ასე ეგონა, თხრობამ ძალზე გამიტაცა და ბევრი არასაჭირო რამ ვთქვიო. შეშფოთებით მოავლო თვალი მიყუჩებულ კლასს. ამ დროს ვიღაცას სამელნე გადაუვარდა. მისმა ბრაგუნმა დაარღვია სიჩუმე და იმავ წამს გაისმა ვერას თხოვნა:

— აგრიპინა ფიოდოროვნა, ნება მომეცით, ჩვარი ავიღო, მელანი დამეღვარა.

— აიღეთ, — გამოეხმაურა ფადეევა.

პაველ გეორგიევიჩი ახლომხედველი თვალებით ჩააჩერდა ქაღალდს და ელენას გვარის გასწვრივ ვეება ხუთიანი დასვა. მერე აგრიპინა ფიოდოროვნასკენ დაიხარა და ჩურჩული გაუბა, თან მამობრივი სინაზით შეჰყურებდა ელენას.

ვერამ ისარგებლა იმით, რომ აგრიპინა ფიოდოროვნა ასისტენტს ესაუბრებოდა და საჩქაროდ გამოვიდა მერხიდან. ჩვარი ფანჯარაზე იყო, იქვე იდგა მერხი, რომელზედაც იჯდა სტასია და აპილპილებული სახით დახრილიყო ბილეთზე. ვერამ აიღო ჩვარი, აწმინდა დაღვრილი მელანი და ჩვარი ისევ რაფაზე დადო ისე, რომ სტასიას სულაც არ გაუჭირდებოდა მისი აღება. გავლისას ვერამ იდაყვი გაჰკრა სტასიას და მრავალმნიშვნელოვნად ანიშნა თვალებით ჩვარზე, მაგრამ სტასიამ უარის ნიშნად თავი გააქნია. ვერამ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს. „ეშინია თუ რა? — გაიფიქრა მან. — რა დიდი ამბავიც მაგას უნდა, ხელი გაიწვდინოს ისე, რომ მასწავლებლების მაგიდას თვალი არ მოაშოროს და აიღოს შპარგალკა“.

— დაჯექით, სტრელოვა, — უთხრა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

მოწონების გუგუნში ელენა წავიდა და ვერას მიუჯდა მერხზე.

— მშვენიერი იყო, ლენა! — აღტაცებით უჩურჩულა ვერამ და ამხანაგს ხელი მოუჭირა ხელზე.

— მართლა? — გაუხარდა ელენას. — მე კი მომეჩვენა, რომ ბევრი ზედმეტი ვთქვი...

— ნოჩკა, — თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ და შეშფოთებით შეხედა მოწაფეს.

სტასია გამოვიდა და აცახცახებული ხელებით აიღო ბილეთი.

— შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ — კომპოზიცია, სახეები, მხატვრული ღირსებანი, ნაწარმოების იდეა და ა. შ.

— ჩაიჭრება, — უჩურჩულა ყურში ელენას ვერამ და შიშით გაიფიქრა: „ნეტა აღება ვერ მოასწრო თუ შეშინდა?“ ვერას აზრადაც არ გაუვლია, რომ სტასიამ არ მოისურვა შპარგალკით სარგებლობა.

მაგრამ სტასიას არ სჭირდებოდა ვერას შპარგალკა. მშვენივრად იცოდა თავისი ბილეთი. მან ჯერ გაუბედავად დაიწყო ლაპარაკი, ენის ბორძიკით, მერე კი დამშვიდებით და მტკიცედ განაგრძო.

კლასში ისეთივე სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც მაშინ, ელენა რომ უპასუხებდა. აგრიპინა ფიოდოროვნა სიხარულნარევი გაოცებით შესცქეროდა სტასიას.

— კარგია, სწორია, — ეუბნებოდა გამამხნევებლად. სტასიაც განაგრძობდა პასუხს და გული სიხარულით უცემდა.

რვა წლის სკოლაში სწავლის განმავლობაში პირველად იყო, რომ ასე თავისუფლად, იოლად პასუხობდა და ასე მონდომებული იყო სწავლაზე.

— საკმარისია, არა? — ჰკითხა ფადეევას ასისტენტმა, როცა სტასიამ ასევე კარგად უპასუხა მეორე კითხვაზე და ქაღალდზე დაიხარა, რომ ხუთიანი დაეწერა. მაგრამ ფადეევამ უარით გაიქნია თავი და თქვა:

— შემდეგი კითხვა რა გაქვს?

— საზეპირო პუშკინის პოემა „ევგენი ონეგინიდან“, — ნაწყვეტი — „ტატიანას სიზმარი“.

სტასია იმდენად დამშვიდდა, რომ გაეღიმა კიდეც. მოაგონდა, ნოვიკოვი რომ დასცინოდა მის „კინოვარსკვლავობას“, როცა მას-

თან ამბობდა ზეპირად „ტატიანას სიზმარს“. „გრძნობით კი კითხულობ, მაგრამ ნიჭი არა გაქვსო“, — უთხრა გულახდილად. სტასიას ძალიან სჯეროდა ფედიასი და მას მერე ეპვი შეეპარა თავის არტისტულ მომავალში.

— „და ხედავს იგი სიზმარს საოცარს, — დაიწყო სტასიამ. — გზად უძევს ველი თოვლით მოსილი, მოდის და მინდორს ვეღარ გამოსცდა მწუხარე ბინდით გარემოცული“.

სტასიამ შეუფერხებლად წაიკითხა მთელი ნაწყვეტი, სწორედ ისე, როგორც ფედიამ უთხრა — გრძნობით, მაგრამ უნიჭოდ.

ელენა და ვერა გაოცებულები იყვნენ სტასიას პასუხებით. ისე უხაროდათ და ისე გამოხატავდნენ სიხარულს, რომ აგრიპინა ფიოდოროვნამ ორჯერ შენიშვნა მისცა.

— კეთილი, — უთხრა აგრიპინა ფიოდოროვნამ სტასიას, მერე პაველ გეორგიევიჩს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— თქვენ თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა?

— მაქვს. მიპასუხეთ, ნოჩკა, ვინ არიან „პერედვიჟნიკები“ და რით არიან ისინი საყურადღებონი?

— ესენი მხატვრებია, — დაბნევით უპასუხა სტასიამ და წყენით გაიფიქრა: „ეს ხომ პროგრამაში არ შედის!“ — მან მეტი არაფერი იცოდა ამ მხატვრების შესახებ.

— პუშკინის რომელი ნაწარმოები იცი, რომელზედაც მუსიკა არის დაწერილი? — ჰკითხა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

— „ევგენი ონეგინი“, „ალი“... — მიუგო სტასიამ.

— კიდევ?

მეტი სტასიამ არ იცოდა და ის წუთიერი სიხარული წამწარდა, სწავლა ისევ საწამებელ საქმედ ეჩვენა.

სტასიას თვალებზე ცრემლები მოადგა.

აგრიპინა ფიოდოროვნა, ეტყობა, მიხვდა, რა დღეშიც იყო მისი მოწაფე.

— დაჯექი, — საჩქაროდ უთხრა მან.

პირველი საათისათვის დამთავრდა პირველი ცვლის გამოცდები. კლასი ზეიმობდა — ოცდაათი მოწაფიდან სამი არავის მიუღია.

ვერა და ელენა დერეფანში დაეწივნენ სახეგაბრწყინებულ ფადეევას.

— სტასიაზე რას იტყვით! სტასიაზე!

აგრიპინა ფიოდოროვნამ ჩაიცინა და ვერას უთხრა:
— ის მელნის დაღვრა რაღა საჭირო იყო.
ვერამ დარცხვენით ჩაჰკიდა თავი.

მეთოთხმეტე თავი

სადგურიდან კოლმეურნეობა „ისკრამდე" სამოცი კილომეტრი კიდევ იყო. აგრიპინა ფიოდოროვნამ გადაწყვიტა, ეს გზა წრის წევრებთან ერთად მანქანით გაეარა. სადგურიდან „ისკრაში" დარეკა და, გაცხარებული თიბვის მიუხედავად, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაჰპირდა, საღამოზე მანქანას გამოგიგზავნიო. აგრიპინა ფიოდოროვნა ტელეფონითვე მოელაპარაკა მძღოლს, სადგურს გადაღმა ტყის მახლობლად დაგელოდებიო.

მგზავრები მდინარე კურმის ნაპირას შეჩერდნენ, ისადილეს და ტყეში მიმოიფანტნენ. გოგო-ბიჭები ჯერ კიდევ შემოუსვლელ ჟოლოს კრეფდნენ და ირწმუნებოდნენ, ძალიან გემრიელიაო.

აგრიპინა ფიოდოროვნა არსად არ წასულა. იგი ფუთებსა და კალათებს შორის ბალახზე გაფენილ პალტოზე უსაქმოდ იჯდა და სიგრილითა და მშვენიერი ჰაერით ტკბებოდა. იქვე, მის სიახლოვეს ეხვავა თეთრი სოკო — ქორფა, ყავისფერქუდა და ბოცბოცა ძირიანები. სოკო, კაცმა არ იცის, რად უნდოდა, ელენამ მოიტანა და აგრიპინა ფიოდოროვნას წინ დაუხვავა. ახლა ელენა კურმის ნაპირებთან, ბარდებში დაეხეტებოდა. სტასიას დაკვეთით ვერა მღეროდა რომანსს „გამოველ გზაზე მარტო". მისი პატარა, მაგრამ საამო ხმა აქ რაღაც განსაკუთრებული სიძლიერით ყღერდა. ქვემოთ, მდინარესთან გატაცებით უსმენდა აგრიპინა ფიოდოროვნა, ხოლო ბორცვზე მწყემსი ბიჭუნა გაუნძრევლად გატრუნულიყო.

ტყეში სტასიას ფეხდაფეხ დასდევდა ჩერნილინი. ამ გოგოსთან იგი მუდამ არაჩვეულებრივად უტყვი იყო ხოლმე. სტასია მას პატარასავით ექცეოდა, ალერსიანად და მოწყალედ. ჩერნილინს სწყინდა ეს, მაგრამ ითმენდა და ხმას არ იღებდა.

— ანასტასია პავლოვნა, — პატივისცემით ეუბნებოდა გოგოს და მის თაიგულს ყვითელ შროშანებსაც უმატებდა, — გვიმრის ყვავილობა თუ გინახავს ოდესმე?

— ნუ ტყუიხართ, ჩერნილინ, გვიმრა არ ყვავის ხოლმე, — გულგრილად გამოეპასუხა სტასია, დახრილი თან კენკრას კრეფდა, თან მთელი გზა წინ მიმავალ ფედიასა და საფრონოვს არ აშორებდა თვალს.

ჩერნილინი აღარ ედავებოდა და ნაღვლიანად მისჩერებოდა სტასიას — ხედავდა, რომ ამ გოგოს სულაც არ აინტერესებდა მასთან ყოფნა და ერთთავად თავის საფიქრალს ფიქრობდა.

დასავლეთიდან, ჰორიზონტის გადაღმიდან მუქი ღრუბლები ამოცურდა. მათ დაფარეს მზე და ტყე ხელადვე პირქუში გახდა, ხოლო მდინარიდან სიცივემ მობერა. ჯერ არ მოსაღამოვებულიყო და კურმაზე დათქმული თავშეყრის დრო შორს იყო, მაგრამ ყველამ აგრიპინა ფიოდოროვნას მიაშურა. მის ირგვლივ შეგროვდნენ.

პირველი ელენა მოვიდა, თავზე ყვავილების გვირგვინი ედგა და ხელში ჭაობის შროშანების პატარა თაიგული ეჭირა.

—აი, რა ფასად დამიჯდა! — იცინოდა იგი და წელამდე სველ რუხ კაბასა და ნესტით დამძიმებულ სანდლებზე უთითებდა.

ლენას ნოვიკოვიც მოჰყვა. სასაცილო, აშკარად მისთვის დიდი კუპოკრული შარვალი ეცვა და ლურჯი მაისური. სახე გასწითლებოდა, ბორა ბუზის ნაკბენი ცხვირი გასივებოდა, მხრები მზისგან ჰქონდა დამწვარი თავის თავს აღარ ჰგავდა.

ელენამ მის დანახვაზე ტაში შემოჰკრა და მხიარული კისკისი ატეხა. ტყიდან ჩერნილინი გამოხტა, ხელში სტასიასათვის დაწნული შროშანების გვირგვინი ეჭირა. შეხედა ფედიას და განუცხადა, ეგ ფუტკრის ნაკბენია და კიდევ უფრო დაგისივდებაო.

— ფუტკარმა კი არა, ბორამ მიკბინა, — ხელი აუქნია ნოვიკოვმა.

მაგრამ ჩერნილინს უხაროდა, რომ შემთხვევა მიეცა და აზარტული კამათი გააჩაღა. „რაღა მაინც და მაინც ცხვირზე მიკბინა! — ფიქრობდა ფედია, ცხვირზე სველ ცხვირსახოცს იდებდა და გასცქეროდა ბორცვს, სადაც სიმწვანეში ხან აქ, ხან იქ გაიელვებდა ხოლმე სტასიას წითელი სარაფანი. — ნეტა ცოტა მაინც შეაგვიანოს!“

— გტკივა? — ჰკითხა ელენამ.

— რასაკვირველია! შენ კი გეცინება..

ფედია აღტაცებით მიაშტერდა სტრელოვას.

— ალსა ჰგავხარ, — უთხრა გამომწვევად.

ფედია სარკეში აკვირდებოდა საკუთარ სახეს და ბევრად უფრო ცუდი ეგონა თავი, ვიდრე სინამდვილეში იყო. ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: ბუნებამ იგი სილამაზით არ დააჯილდოვა, მაგრამ, სამაგიეროდ, უხვად მიაგო ჭკუა და სწავლის ნიჭი. ეს ფედიას ცოცხალ, გამჭრიახ თვალებზეც ეტყობოდა, ჭკვიან შუბლზეც, ლაპარაკზეც და მთელ გარეგნობაზეც.

თითქოს ფედიას ჯიბრზე, სტასიაც მალე გამოჩნდა, დაუდეგარი და მხიარული.

— ოჰ, ფედია! როგორ გალამაზებულხარ! — დაცინვით უთხრა სტასიამ.

— აშკარად გაწყინა სოფლის ჰაერმა! — აჰყვა სტასიას ვერაც. მასაც თეთრი შროშანების გვირგვინით შეემკო თავი და ხელშიაც თაიგული ეჭირა.

ჩერნილინმა ბრეზენტის ლაბადა გაფინა და ყველანი ზედ დასხდნენ. მალე ღრუბლებს შორის მზე გამოიჭრა და აგიზგიზებულ ცის ჰორიზონტზე დაკიდებულ ხორკლიან ბურთს დაემსგავსა.

— მზიანი დღე იქნება, მაგრამ ქარი ამოვარდება, — იწინასწარმეტყველა ფედიამ.

— რადაო, ვითომ. ფეოდორ ილიჩ? — ჰკითხა ჩერნილინმა ისეთი ტონით, აშკარად ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, შეკამათებოდა.

— იმიტომ, რომ დასავლეთისკენ ცა მოკრიალებულია და ჩაწითლებული, — მიუგო ფედიამ.

— ეს სულაც არ არის რაიმეს მაუწყებელი, — გატაცებით შეეპასუხა ჩერნილინი.

ფედია ბალახზე პირაღმა გაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და შემრიგებლად უთხრა:

— რასაკვირველია, ეს არ არის რაიმეს მაუწყებელი.

რაღა უნდა ექნა, ჩერნილინმა ხმა ჩაიკმინდა. წუხილით ამოიოხრა და ბალახზე ნოვიკოვის გვერდით წამოწვა. წუთის შემდეგ ისევ წამოხტა და ბრეზენტის პლაშჩზე ვერას გვერდით დაჯდა.

— დაჯექი, ანასტასია პავლოვნა, — მიუბრუნდა ჩერნილინი სტასიას და კიდეში ადგილი დაუთმო.

სტასიას ხმა არ გაუღია, დაჯდა და ირგვლივ ცქერას მოჰყვა. მხოლოდ მან შენიშნა, რომ საფრონოვი არსად ჩანდა.

მზე თანდათან სულ ქვემოთ და ქვემოთ ეშვებოდა და მალე მისი პატარა კიდეღა მოჩანდა მხოლოდ.

— საღამოვდება, — თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ და ჩერნილინს მიუბრუნდა: — ბორია, გააჩაღეთ კოცონი.

ჩერნილინი დაუზარებლად წამოხტა და კმაყოფილი, რომ მისთვის აუტანელ უსაქმურობას ბოლო მოეღო, მარჯვედ დატრიალდა.

— მანქანა რატომღაც იგვიანებს, — განაგრძობდა აგრიპინა ფიოდოროვნა, — იქნებ აქ მოგვიწიოს ღამის გათევა.

— ღამის გათევაო! — სიხარულით შესძახა ელენამ. — რა კარგია, მე პირველყოფილი ადამიანივით, აგერ, ამ ხეზე დავიძინებ! — მან მიიბინა ასწლიან გატოტვილ ფიჭვთან, ხელები გაშალა და მის მძლავრ ტანს შემოხვია.

ამ ფიჭვის მაგარ ტოტებზე მართლაც მყუდროდ გაათენებდა ღამეს კაცი.

—მე კოცონთან დავრჩები!

— მეც ხეზე ავალ!

— მე ნაპირზე დავიძინებ! — ახმაურდნენ ბავშვები.

ყველას ძალიან მოეწონა აგრიპინა ფიოდოროვნას აზრი, ტყეში გავათიოთო ღამე.

მაგრამ ის იყო, ჩერნილინმა კოცონი დაანთო და ალის ცელქი ენები მოტკაცუნე ხმელ წიწვებში აცეკვდნენ, რომ მანქანის გუგუნიც მოისმა და მთებს გადაღმიდან კვამლის ღრუბლებში გახვეული ახალთახალი პატარა სატვირთო მანქანა გამოხტა მხიარულად.

მძღოლმა კოცონი რომ დაინახა, მანქანა დაამუხრუჭა და შეჩერდა. კაბინიდან მაღალი, ბრეზენტისპლაშჩიანი, ყავისფერჩექმებიანი კაცი გადმოხტა და კოცონისაკენ გაემართა.

ბავშვები, ახალახანს, ტყეში ღამის გათევა რომ უხაროდათ, ახლა მანქანით და მათკენ მომავალი მაღალი კაცის გამოჩენით მოვიდნენ აღფრთოვანებაში. ყველანი წამოხტნენ და ყურადღებით შეაჩერდნენ ხან უცნობს, ხან კიდევ აგრიპინა ფიოდოროვნას, რო-

მელიც საჩქაროდ წამოდგა და სახეაწითლებული, გაღიმებული და წინასწარ ხელგაწვდილი შეეგება უცნობს.

— აგრიპინა ფიოდოროვნა! ჩემო კარგო! — მღელვარებით ლაპარაკობდა მოსული და აგრიპინა ფიოდოროვნასაკენ მიემართებოდა. — გავიგე, რომ მშობლიურ მხარეში მოდიოდი და თავი ვეღარ შევიკავე, გადავწყვიტე თავად შეგგებებოდი. რვა წელიწადია არ მინახავხარ, არა?

მან გზაშივე მოიხადა ქუდი, მივიდა ფადეევასთან და ორივე ხელი მოუჭირა მის გამოწვდილ ხელს, მერე სწრაფი მზერა მოავლო გოგო-ბიჭებს, ცნობისმოყვარეობით რომ შესცქეროდნენ თვალებდაჭყეტილები და კვლავ ქუდმოხდილმა ღიმილით გააცნო თავი:

— გრიგორი მაქსიმოვიჩ ცვეტაევი, კოლმეურნეობა „ისკრას“ აგრონომი და პარტორგი. — მერე ისევ აგრიპინა ფიოდოროვნას მიუბრუნდა, აათვალიერ-ჩაათვალიერა და უთხრა: — არ გამოცვლილხარ, სრულებით არ გამოცვლილხარ, ეს არის, ცოტათი უფრო უფროსი ჩანხარ.

— დავბერდი! — გაიცინა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

—სწორედ რომ უფროსი ხარ! და ისევ ყვავილნარში ჩაფლული! — ხელით გოგო-ბიჭებზე ანიშნა. — ჩვენთან კი ყველაფერი განახლებულია, ვერც კი იცნობ, სკოლაც ისევ იქ არის, მხოლოდ გარეგნულად გამოიცვალა სულ მთლად. აგერ, თავად ნახავ. წავიდეთ? — შეაწყვეტინა თავის თავს ლაპარაკი.

— წავიდეთ! — მიუგო ფადეევამ და ბარგისკენ გაემართა. ბავშვები მხიარული შეძახილებით და ერთურთის ჯიკავ-ჯიკავით მისცვივდნენ თავ-თავიანთ ბარგი-ბარხანას.

— ყველანი ხართ? — იკითხა აგრიპინა ფიოდოროვნამ და მიწიდან პალტო აიღო.

— ყველანი! — მიუგო ჩერნილინმა.

სტასიამ შეშფოთებით მიმოიხედა და გაუბედავად თქვა:

— საფრონოვი გვაკლია.

— საფრონოვი გვაკლია! — გაიმეორა ნოვიკოვმაც.

— აბა გასძახეთ საფრონოვს. ერთ წუთს დაიცადეთ, — მიუბრუნდა ფადეევა გრიგორი მაქსიმოვიჩს.

— საფრონოვ! — მთელი ხმით დაიძახა ვერამ.

— გენადი პეტროვიჩ! — მტირალივით გაობა ჩერნილინმა.

ყველას გაეცინა.

— გენ-კა-ა! — გაიმეორა ჩერნილინმა, მთებისკენ პირმიბრუნებულმა.

— თქვენ ერთად მოდიოდით. იქნებ გზა დაებნა? — ჰკითხა სტასიამ ნოვიკოვს.

ფედიამ ყურადღებით შეხედა და რომ შეატყო, შეშფოთებულიაო, უთხრა:

— ნუ ღელავ, სტასია, ამ ტყეში სულელს გზა არ აებნევა. — მერე აგრიპინა ფიოდოროვნას მიუბრუნდა და დაცინვით დაუმატა: — გენკამ მითხრა, ფრთოსანი მუზა მეწვიაო და ლექსების საწერად გასწია.

— აბა, რას ჰგავს ეს, — გაბრაზდა ვერა. — აკი ვთქვით, არსად წავიდეთო.

— საფრონოვი კი მოიქცეოდა ასე, — მშვიდად გამოესმაურა აგრიპინა ფიოდოროვნა, — დაუძახეთ, კიდევ დაუძახეთ.

ეტყობოდა, ფადეევას ახლა ყველაზე მეტად გრიგორი მაქსიმოვიჩთან ბაასი აინტერესებდა.

გატაცებით საუბრობდნენ, იცინოდნენ, როცა რაღაც გაიხსენეს.

— ეტყობა, აგრიპინა ფიოდოროვნა წინათ „ისკრაში“ ცხოვრობდა, — ჩასჩურჩულა ლენამ ვერას.

— ჰო, ჰო, — თავი დაუქნია ვერამ, — ალბათ იმიტომაც ამოარჩია ჩვენი ექსკურსიისათვის ეს ადგილი.

ყველანი, გრიგორი მაქსიმოვიჩისა და აგრიპინა ფიოდოროვნას გარდა, საფრონოვის მოსაძებნად ტყეში გაიფანტნენ. მალე ყველა ისევ უკვე ჩამქრალ კოცონთან შეგროვდა. გაბრაზებულები, და ცოტა არ იყოს, შეშფოთებულებიც იყვნენ. ერთნი ვარაუდობდნენ, საფრონოვს გზა დაებნაო, მეორეებს ეგონათ, რომ გენა ლექსების საწერად წავიდა ტყეში, შორს შესტოპა და ჩვენი ძახილი არ ესმისო.

საცა იყო, ათი საათი გახდებოდა. ბინდდებოდა. გრიგორი მაქსიმოვიჩი წასვლას ურჩევდათ. აგრიპინა ფიოდოროვნამ შეშფოთებით გაასავსავა ხელები:

— ერთი მოწაფე გვაკლია და არ ვიცი, რა უნდა ვქნათ?

ცვეტაევმა მაჯის საათზე დაიხედა:

— როგორ მოვიქცეთ? თერთმეტი საათისათვის პარტიის

რაიკომში უნდა ვიყო... დაცდა არ შემიძლია. ხვალ კი მანქანას მთელ დღეს არ სცალია.

— არა უშავს, — მიუგო აგრიპინა ფიოდოროვნამ.—ფეხით წამოვალთ. — ფადეევა გზაზე გავიდა ცვეტაევის გასაცილებლად. — გვაპატიეთ, რომ ასე ცუდად გამოვიდა, — ხმაზე წყენა დაეტყო მასწავლებელს.

გრიგორი მაქსიმოვიჩი დააცქერდა მის ნაწყენ სახესა და შეშფოთებით აზიდულ წარბებს და სიცილით უთხრა:

— ნუ ღელავ, მოვა თქვენი ჭაბუკი.

— მეც ვიცი, რომ მოვა, — მიუგო ჩაფიქრებულმა ფადეევამ. — მაგრამ მისი საქციელი მაშფოთებს... იცი, რა, გრიშა, — გამოცოცხლდა უცებ მასწავლებელი, — ეს ხომ ჩვენი საფრონოვისათვის კარგი გაკვეთილი იქნება.

— კარგი გაკვეთილი კი არის, მაგრამ მაინც მწყინს, რომ ასე არასტუმართმოყვარედ შეგხვდით... ოცდაათი კილომეტრი ფეხით უნდა იაროთ!

— თავადი ვართ დამნაშავენი, — მტკიცედ მიუგო ფადეევამ.

ცვეტაევი კაბინაში ჩაჯდა, დანაღვლიანებულ გოგო-ბიჭებს, მანქანის ირგვლივ რომ იდგნენ, თავი დაუქნია, ფადეევას ღიმილით შეხედა და უთხრა:

— თუ განთიადისას მანქანამ არ მოგაკითხოთ, ფეხით წამოდით. ყოველ შემთხვევაში ხვალ აუცილებლად გნახავთ.

მანქანა აგუგუნდა და დაიძრა. ცვეტაევის ბოლო სიტყვებმა უკვე შორიდან მოაღწია. მანქანა მთას მოეფარა თუ არა, ბუჩქებიდან მოისმა საფრონოვის ყვირილი:

— მოვდივარ, მოვდივარ, ნუ ღელავთ!

იგი უახლოვდებოდა კოცონს, რომელიც ისევ გააჩაღა ჩერნილინმა. ყველანი დუმილით შეხვდნენ.

— სად იყავით, გენა? — ჰკითხა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

— ლექსებს ვწერდი.

— შორს იყავით და ძახილი არ გესმოდათ? — კვლავ ჰკითხა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

— აი, აგერ, ხრამში ვწერდი. მესმოდა, მაგრამ თავი ვერ გავანებე.

— გესმოდათ და თავი არ გაანებეთ? — წყენით შეუბრუნა

კითხვა ფადეევამ. — დაგვიწყდათ ჩვენი შეთანხმება? შეთანხმება კოლექტივისა — არსად წავიდეთ და დაძახებისთანავე აქ გავჩნდეთო?

— მახსოვს, მაგრამ, აგრიპინა ფიოდოროვნა, თავად მოგეხსენებათ, რას ნიშნავს წერის შეწყვეტა და მთავარი ძაფის დაკარგვა.

— ეს ძალიან კარგად მესმის, საფრონოვ, — აგრიპინა ფიოდოროვნას ხმაში ისევ წყენა ეტყობოდა. — არ იცოდით, რომ მანქანამ მოგვაკითხა?

— არა, ხმა გავიგონე.

— ჩვენ ხომ შენი გულისათვის გავუშვით მანქანა, რომელიც ასეთ ცხარე დღეებში დაგვითმო კოლმეურნეობამ — გესმით თუ არა ეს, საფრონოვ?

— ჰო, მაგრამ მე შევეჩვიე იმ აზრს, — არ ნებდებოდა საფრონოვი, — რომ შემოქმედებითი შრომა — წმიდათაწმიდა რამ არის...

— ნამდვილი პოეტებისათვის... — ზედ საფრონოვის ყურთან ჩაიბუზღუნა ნოვიკოვმა...

მაგრამ გენადიმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს არ გაუგონია ეს რეპლიკა.

— რა ეგოისტია! — შესძახა გაცხარებით სტასიამ და ყველანი, თითქოს უბრძანესო, ჩამოეცალნენ საფრონოვს. იდგა საფრონოვი მარტოდმარტო კოცონთან ჯიუტად და მედიდურად, თითქოს ყველასთვის უნდოდა ეთქვა: „რა ჩემი ბრალია, რომ ყველაზე ჭკვიანი, უკეთესი და ნიჭიერი ვარ და ჩემი არ გესმითო!“

— რა უნდა ვქნათ ახლა? — ჰკითხა ნოვიკოვმა აგრიპინა ფიოდოროვნას.

— ახლა ასე მოვიქცეთ, — უთხრა მასწავლებელმა, — საწოლები გაიმზადეთ, დაწექით და დაიძინეთ, განთიადისას კი ფეხით გავუდგეთ გზას.

— ოცდაათი კილომეტრი გზაა! — შეჰყვირა შეძრწუნებულმა სტასიამ. — თანაც ბარგი გვაქვს!

— მაშ რა ვქნათ? — შეეპასუხა აგრიპინა ფიოდოროვნა. — შერცხვენილები ხომ არ დავბრუნდებით ქალაქში!

ფადეევა მტკიცედ, მშვიდად ლაპარაკობდა და ყველამ იგრძნო, რომ მან ყოველივე კარგად აწონ-დაწონა; თითქოს უხარო-

და კიდევაც, რომ განთიადისას ოცდაათკილომეტრიან გზას ფეხით გაუდგებოდნენ.

სტასია კი სასოწარკვეთილი იყო. აგრიპინა ფიოდოროვნას ბოლო სიტყვებმა დაარწმუნა, რომ მანქანით წასვლის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მან წუხილით დაიხედა თავის თეთრ ნატის სანდლებზე და საფრონოვს რომ გაეგონა, განვებ ხმამაღლა გაიმეორა:

— რა ეგოისტია! — ამ წუთს სტასიას სძაგდა საფრონოვი.

ელენამ ფიქვის სქელ ტოტებზე გაფინა თავისი ჟაკეტი და ზედ მიწვა — მოსინჯა, გამოდგება თუ არაო. თავისი ლოგინი ბალიან მოეწონა და ახლა დასახედად წავიდა, ნაძვების ძირში ვერა და აგრიპინა ფიოდოროვნა როგორ მოეწყვნენო. სტასია იმავე ხეზე აბობღდა, სადაც ელენა აპირებდა ღამის გათევას, ჩერნილინი კი, როგორც ერთგულ გუშაგს შეჰფერის, ხის ძირას მიწვა. სხვები მდინარის ქვიშიან ნაპირზე განლაგდნენ.

მთლად ჩამოღამდა. უმთვარო ცაზე ვარსკვლავები აკაშკაშდა. მთის გადაღმა დიდი დათვის თანავარსკვლავედის ციცხვი დაეკიდა. მდინარე წყნარად დუდუნებდა, თითქოს დედა ალერსით აძინებდა თავის პატარას. ზოგჯერ თევზი ააჩქაფუნებდა ტალღებს, ხოლო ბუჩქნარიდან ისმოდა რაღაცით შეშფოთებული ჩიტუნების წრიპინი და რომელიმე პატარა მხეცუნას გაუფრთხილებელი თათებით ატეხილი ლაწალუწი ფარჩხებში. იდგა სიჩუმე, ღამეული ტყის საზეიმო სიჩუმე, რომლის დარღვევას ადამიანი შიშობს ხოლმე.

— აგრიპინა ფიოდოროვნა, — თქვა ელენამ, — არ შეიძლება ასეთ ღამეში ძილი, — გვიამბეთ რაიმე.

— გვიამბეთ, გვიამბეთ, — გაისმა ყოველი მხრიდან.

ნოვიკოვმა შესთავაზათ, მდინარის პირას წავიდეთო და ყველანი ქვიშაზე მოეწყვნენ. ყველანი, საფრონოვის გარდა. იგი ისევ კოცონთან იდგა ამხანაგებისკენ ზურგშექცეული და კოცონში ტოტებს ისროდა.

— საფრონოვ, მოდით ჩვენთან! — მოუხმო აგრიპინა ფიოდოროვნამ.

— არ მოვალ, — მიუგო საფრონოვმა. ხმაზე ეტყობოდა, მთელ ქვეყნიერებაზე იყო გამწყრალი.

— რა უნდა გიამბოთ? — ჰკითხა ბავშვებს აგრიპინა ფიოდოროვნამ. — ანდა, მე რატომ უნდა გიამბოთ? მოდით, ყველამ მოვყვეთ რამე.

— თქვენ დაიწყეთ და ჩვენც აგყვებით, ხომ? — უთხრა ვერამ.

— კეთილი. — აგრიპინა ფიოდოროვნა ცოტა ხნით დადუმდა. მერე დაიწყო მბობა. ყვებოდა წყნარად, ზოგჯერ შეჩერდებოდა და ჩაფიქრდებოდა ხოლმე. არავინ აწყვეტინებდა, მიუხედავად სიყმაწვილისა, მის მსმენელებს მშვენივრად გაეგებოდათ, რომ ბავშვობასა და ახალგაზრდობას მღელვარების გარეშე ვერ მოიგონებს ადამიანი.

აგრიპინა ფიოდოროვნა ფიქრებით კვლავ თექვსმეტი წლისა იყო და ცხოვრება განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ამბად მიაჩნდა, ხოლო მომავალი წარმტაც და იდუმალ რამედ ესახებოდა. იგი კვლავ ძველ სახლში ცხოვრობდა, „ისკრის“ გარეუბანში და იდუმალი შიშით გრძნობდა დედის რკინისებურ ნებისყოფას. ნათლად ჰყავდა წარმოდგენილი თავისი დედა — მაღალი, ლოყებღაჟღაჟა, თაფლისფერთვალება ქალი — ნამდვილი რუსი მზეთუნახავი. აი დედა მთიბავთა წინა რიგში დგას — პირველია, ფართოდ და ლაღად იქნევს ცელს. წითელი თავსაფარი ჩამოცურებია, სახე ოფლით დაცვარვია. მაღალი, მკვახე, არასასიამოვნო ხმით გააბამს სიმღერას. მუდამ ასე იცის ხოლმე, თუ მუშაობს, მღერის კიდეც. იგი სწორედ რომ მუშაობის დროს ცოცხლობს. მთელ რაიონშია ქებული მისი ოქროს ხელები — შრომაში არც ქალებს უდებს ტოლს და არც კაცებს.

დილაობით აგრიპინა გაქექილ პალტოს და გარდაცვლილი მამის დანატოვარ დიდრონ თექურებს ჩაიცვამს და სკოლაში მიცუნცულებს. სკოლა ყველაფერს ურჩევნია ამქვეყნად, ყველაზე საუკეთესო მოწაფეა. ლიტერატურის მასწავლებელი ვასილი ვასილევიჩ პეტრიშჩევი (ახლა იგი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია) ამაყობს აგრიპინათი. მასწავლებელს მშვენიერი ბიბლიოთეკა აქვს და მოწაფეს საკითხავად აძლევს წიგნებს. მასწავლებელს არ ენანება წიგნები, მხოლოდ შიშობს, არ დაეკარგოს მოწაფეს ისინი, ან არ დასვაროს, მაგრამ მაინც ათხოვებს ხოლმე წასაკითხად. მხოლოდ აგრიპინას, სხვას არავის. თან ყოველთვის არიგებს ხოლმე: „იცოდე, თვალისჩინივით

გაუფრთხილდი. წიგნზე ძვირფასი ქვეყნად არაფერია“. აგრიპინა შესვენებაზედაც წიგნს კითხულობს, გზაშიაც, სკოლაში რომ მოდის და ღამღამობითაც, დედა რომ დაიძინებს ხოლმე.

წიგნების გარდა ძალზე საინტერესო იყო, როცა ვინმესთან შეიყრებოდნენ, გახურებულ რკინის ღუმელს მიუსხდებოდნენ და ერთმანეთს საშინელ ამბებს უყვებოდნენ. ცხელა გახურებულ ღუმელთან, შეშას ტკაცატკუცი გააქვს, სარკმელში უძირო ღამე იყურება... ფიქრები კი სადღაც ამ ოთახის გადაღმა მიგაქროლებენ, მიყრუებული ციმბირული ტაიგის ამ პატარა სოფელს გადაგატარებენ და ფართო ნათელი გზისაკენ მიისწრაფვიან...

სწრაფად მიქრიან წლები. დაამთავრეს მეათე კლასი და აგრიპინა მშობლიური სოფლის სკოლაში დარჩა მასწავლებლად. იგი ცოლად გაჰყვა მასწავლებელ ევგენი პავლოვიჩ ფადეევს. მისი ქმარი მთლად ჭაბუკი, ქერათმიანი ყმაწვილი იყო. მერე ცოლ-ქმარი მოსკოვში მიდიან, იქაურ უნივერსიტეტში სწავლობენ... მერე ომი დაიწყება და აგრიპინას ქმარი ომის პირველსავე დღეებში დაიღუპება, თავად კი ისევ მშობლიურ ციმბირისკენ გამოსწევს...

აი ახლა კი, როცა შვიდმა გრძელმა წელიწადმა ჩაიარა და მძიმე დანაკარგისგან დატოვებული ჭრილობა მოშუშდა, აგრიპინას გულმა მშობლიური „ისკრისაკენ“ გამოუწია. მოესურვა დაეხედა იმ ადგილებისათვის, სადაც ჩაიქროლა მისმა ბალღობამ, გაიარა ახალგაზრდობამ...

აგრიპინა ფიოდოროვნა ააღელვა გრიგორი მაქსიმოვიჩ ცვეტაევთან შეხვედრამ. გრიგორი მაქსიმოვიჩი მას იმ დროიდან ახსოვდა, ჯერ კიდევ ცელქი, ფეხშიშველა ბიჭი რომ იყო და მზისგან გამოხუნებული თმა ჰქონდა. მერე კი იგონებდა ყმაწვილ გრიშას, ერთთავად რომ დუმდა და გულნატკენი დადიოდა იმ დღეებში, როცა აგრიპინა მის ამხანაგს, ევგენი ფადეევს გაჰყვა ცოლად... მაგრამ ამის თაობაზე აგრიპინა ფიოდოროვნას არაფერი უამბნია თავის ყმაწვილ თანამგზავრთათვის.

— აი, ხომ ხედავთ, დავაპირე თქვენთვის რაიმე შემთხვევა მეამბნა და ჩემი ბიოგრაფია კი მოგიყევით, — ნაღვლიანად ჩაიცინა აგრიპინა ფიოდოროვნამ და გაყუჩდა.

არც არავის უფიქრია ამ დუმილის დარღვევა.

ამასობაში ღამე დადგა. იგი ტრამალების უკიდეგანო სივრცეზე განეფინა. მის წყნარ ნაბიჯებს ჩათვლემილი, სიმწიფეში შესული ველ-მინდვრები აყურადებდნენ. ღამე შემოებუდნა ტყეებს და ხის ტოტებზე მფრთხალი ძილით ჩაეძინათ ჩიტუნებს, ჩათვლემილებს ტყის ტევრში მიძინებულ მხეცთა სუნთქვაც კი არ ეპარებოდათ.

მეთხუთმეტე თავი

ჩერნილინს სინოტივე და სიცივე გაუჯდა ტანში და გამოეღვიძა. თვალები გაახილა და მაშინვე ისევ დახუჭა, იფიქრა, ხომ არ მესიზმრება ყოველივეო. ცოტა ხანს იწვა ასე, მერე თავი ასწია. სქელი თეთრი ნისლი შემოხვეოდა მთებს, ტყეს, მდინარეს, ჩამოფარებოდა ამომავალ მზეს.

— ელენა ეფიმოვნა! ანასტასია პავლოვნა! — დაუძახა ჩერნილინმა გოგოებს.

ხიდან ჩერნილინს ხმელი წიწვები და ხის ქერქის ჩამონატეხები დააცვივდა თავზე, ჩამოვარდა სტასიას თეთრი თავსაფარიც.

— ჩერნილინ, რად ცივა ასე ძალიან? — ჰკითხა სტასიამ.

— პალტო ხომ არ მოგაწოდო? — წამსვე საშველად გაემზადა ჩერნილინი.

მიწიდან აიღო დანოტივებული პალტო და დაფერთხა. სტასია ხიდან ჩამოხტა და სიცივისაგან მობუზული და მთქნარებაატეხილი გაეხვია ჩერნილინის პალტოში.

— მთელი ღამე არ მიძინია, — დაიჩივლა მან. — პირველყოფილი ადამიანები თუ გაუძლებდნენ ასეთ მოუწყობლობას.

— აგრიპინოჩკას, ეტყობა, ჯერაც სძინავს, უნდა გავაღვიძოთ, — თქვა ბორიამ და ბუჩქებისაკენ გაემართა. — ვაჰ, რა ნისლია! — ბუზღუნებდა იგი და ალალბედზე მიაბიჯებდა. — აგრიპინა ფიოდოროვნა, უკვე გათენდა!

— მესმის, მესმის, ბორია, ძილს თავი ვერ გავართვით! ნისლმა მოგვატყუა! — გამოეხმაურა ფადეევა. — ადექი, ვერა! ბავშვებო! — გასძახა მან ბავშვებს.

აგრიპინა ფიოდოროვნას სიახლოვეს ნელ-ნელა, ხმაამოღებ-

ლივ იწყო თავშეყრა ნახევრადმძინარე, ნამძინარევმა გოგო-ბიჭებმა.

— ცოტაც რომ წაგვეძინა კიდევ, — ხმაში თხოვნა დაეტყო ფედიას.

— წაგვეძინა და მერე იმ სიცხეში გვეევლო? ხედავ, რა მოწმენდილია ცა! — არ შეარჩინა ფედიას ჩერნილინმა.

— აბა სად არის ცა მოწმენდილი? — გაკვირვებით აიჩეჩა მხრები ფედიამ. — ასე მგონია, კვამლში ვდგავარ-მეთქი, ვერაფერს ვხედავ.

— ეს ჩქარა გაივლის, — დაამშვიდა ფადეევამ.

მართლაც, ახლომახლო საგნები თანდათან ნათლად გამოჩნდა. სანამ ხელ-პირს დაიბანდნენ და მდინარიდან დაბრუნდებოდნენ, შორს, ცის რძისფერ ფონზე მთების ჩამუქებული სილუეტებიც დაილანდა. ნისლი ცოცხალ არსებასავით მიცოცავდა, ნელ-ნელა იწევდა ძირს. ცა, მართლაც, მოწმენდილი იყო თურმე. სანამ სამგზავროდ გაემზადებოდნენ, მთებს იქიდან მზე ამოცურდა, ოქროს სხივები მოჰფინა მთებს, ტყეებს, აპრიალდნენ ნისლით პირმობანილი ფოთლები, ბალახზე ცვრის წვეთები აბრწყინდნენ.

— აი, რა ძალა აქვს მზეს! — გაეცინა აგრიპინა ფიოდოროვნას. — აბა, გავუდგეთ გზას!

სანამ ბუჩქნარიდან გზაზე გააღწევდნენ, ყველას დაუსველდა ფეხები, მაგრამ ამან სტასიაც კი ვერ დააღონა.

საფრონოვი უკან მიჰყვებოდათ, ხმას კი არ იღებდა, ხელპირდაუბანელი და გაჩეჩილი იყო. ხუთიოდე კილომეტრი იოლად გაიარეს, ცხარე ლაპარაკში, სიმღერა-სიცილში გართულებმა. დილის სიგრილე ამხნევებდათ. გზა აშოლტილ, ამწვანებულ ვერსვებს შორის მიემართებოდა. შიგადაშიგ აყვავებული გვირილებით ვადათეთრებულ მდელობებზე გამოდიოდა. მდინარე ჯერ შორეულ მთებს მიეფარა, მერე კი, მოულოდნელად, ზედ გზაზე გამოვიდა.

— შევისვენოთ! — შესთავაზა აგრიპინა ფიოდოროვნამ ბავშვებს.

— ჩერნილინ! აბა, ჩქარა, კოცონი და ჩაი! — დაუყვირა სტასიამ.

მოულოდნელად ჩერნილინი გაჯიუტდა.

— მე ერთი რატომ უნდა მოგემსახუროთ ყველას?

სტასიამ გაოცებით შეხედა:

— რაო, ჩერნილინ, არ გინდა, გაგვიგონო?

— გენკა მაინც მომეხმაროს, — არ ნებდებოდა ჩერნილინი.

— მე ჩაი არ მინდა, — ჩაიბუზღუნა საფრონოვმა და ყველასგან მოშორებით ჩამოჯდა.

— შენც ადექი და შენთვის კი არა, სხვებისათვის გაისარჯე, — უთხრა ელენამ.

და ყველამ გაოცებით დაინახა, რომ საფრონოვმა ზურგჩანთა მოიხსნა, ბალახზე დადო და ტყეში შეშისთვის გაეშურა.

მალე ჩერნილინი და საფრონოვი გამოჩნდნენ, ფიჭვის ჩაყვითლებულ, მომტვრეულ ტოტებს მოათრევდნენ.

— აი, აქ დავყაროთ, — პირქუშად მიუთითა გენადიმ ჩერნილინს მომავალი კოცონის დასანთები ადგილი.

ბორიამ დააპირა შეწინააღმდეგებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს შეხედა ელენას — იგი ხელით ანიშნებდა, ნუ შეედავებიო, აცალე, როგორც უნდა, ისე გააკეთოსო. ჩერნილინი მოლოდინით შეჩერდა.

საფრონოვმა ჯაყვა ამოიღო.

— რაღას უდგეხარ? — მოულოდნელად ტკბილად უთხრა ბორიას. — მე სამფეხს გავაკეთებ, შენ ტოტები დაამტვრიე. ნაჯახი არა გვაქვს და...

ჩერნილინმა ისევ ელენას შეხედა და იმანაც ისევ ანიშნა — ნუ შეედავები, რაც გითხრას, გააკეთეო. ამ სცენას ვერაც უყურებდა და ჩუმად იცინოდა.

— ნამდვილი დირიჟორი ხარ, ლენოჩკა. ნახე ერთი, ჩერნილინი, მგონი თავს ღალატობს! ხედავ როგორ იტანჯება, საფრონოვთან წაკინკლავების საშუალებას რომ არ აძლევ.

რამდენიმე წუთში ყველაფერი მზად იყო: კოცონი ბრიალებდა, სამფეხზე შემურული ჩაიდანი ჩუხჩუხებდა, საფრონოვი და ჩერნილინი კი ისევ კოცონს დაფუსფუსებდნენ.

ჩაი დალიეს და ისევ გზას დაადგნენ. წინანდელივით ხალისიანად აღარ იყვნენ. მზე ახლა მარტო კი არ ანათებდა, გვარიანად აცხუნებდა კიდევაც. ბარგის თრევისაგან ზურგები და ხელები სტკიოდათ. ახლა ხმაამოუღებლივ მიაბიჯებდნენ, აღარც გვირილებით გადათეთრებული მდელობები აღაფრთოვანებდათ, აღარც ოქროგადაღვრილი ხორბალი და აღარც ჩიტუნების გალობა ტყეში.

სულ მუდამ ხალისიანი აგრიპინა ფიოდოროვნა ამჯერად ჯიუტად დუმდა. ბავშვებმა ვერ დაითანხმეს, რომ ჩემოდანი და პალტო გამოერთმიათ მისთვის. ყველას ეგონა, აგრიპინა ფიოდოროვნა დაიღალაო. მაგრამ ასე როდი იყო. რაიონული ცენტრიდან „ისკრამდე“ გზის გავლა ახალი ამბავი არ იყო ფადეევასათვის. ნაცნობ გზას თვითონ იოლად მიუყვებოდა, მაგრამ კარგად ხვდებოდა, რომ ძალიან უჭირდათ სიარული მის ყმაწვილ თანამგზავრებს. მათი გამხნევება კი განზრახ არ სურდა. „დეე საფრონოვის საქციელის მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვეთ. ეს თითოეულ მათგანს დააფიქრებს კოლექტივის წინაშე თავის მოვალეობაზე, საფრონოვისათვის კი შესანიშნავი გაკვეთილი იქნება“, — ფიქრობდა აგრიპინა ფიოდოროვნა. უხაროდა, ასეთი მშვენიერი შემთხვევა რომ მიეცა.

ყოველი საათის შემდეგ სიარული უფრო და უფრო ჭირდა. შუადღისას ისეთი ხვატი ჩამოწვა, სულს ძლივს ითქვამდნენ.

— საფრონოვის საქციელის თაობაზე კომიტეტში დავსვამ საკითხს, — გაბრაზებით ეუბნებოდა ნოვიკოვი ჩერნილინს და აპილპილებულ სახეზე სველი ცხვირსახოცით იწმენდდა ოფლს.

— კომკავშირიდან გავრიცხოთ, ფედორ ილიჩ, და მორჩა, — დაუფიქრებლად უთხრა ჩერნილინმა.

— კი არ უნდა გავრიცხოთ, — შეეპასუხა ნოვიკოვი. — უნდა მაგრად მოვკიდოთ ხელი. მე მგონი, დღევანდელი გაკვეთილი რაიმეს მაინც ასწავლის.

— არაფერსაც არ ასწავლის, — დაბეჯითებით ამბობდა ჩერნილინი. — ბევრჯერ მოჰკიდეს მაგას ხელი. ასეთ სულელს ვერ გამოასწორებ, საგველით უნდა გაგავო.

ნოვიკოვი არასდროს არ ედავებოდა ხოლმე ჩერნილინს, იცოდა, რომ ამაო საქმე იყო ეს და ასეთ შემთხვევებში მუდამ ხმას გაიკმენდდა ხოლმე, საუბარს წყვეტდა. ახლაც ასე მოიქცა. ორთავენი დაღლილები იყვნენ და დუმილით მიაბიჯებდნენ. ჩერნილინს უფრო უჭირდა სიარული, ვიდრე რომელიმე მის ამხანაგს — თავისი ბარგის გარდა სტასიას მძიმე სამგზავრო სკივრს, მისივე ჟაკეტს და თეთრ ბადურასაც მიათრევდა, რომელშიაც ბალიში და თხელი საბანი იდო.

— სტასია, შენი ბარგის ნაწილი მაინც გამოგერთმია ჩერნილნისათვის, — უთხრა სტასიას ელენამ.

— კი, როგორ არა! — გაბრაზებით მიუგო სტასიამ. — აბა, რისთვისაა ბიჭი, თანაც ისედაც ცოცხალ-მკვდარი ვარ.

სტასია მართლაც ძლივს მიდიოდა, ორივე ფეხებით კოჭლობდა, არაბუნებრივად აალებულ სახეზე ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი, ხშირად ჩერდებოდა, მოტრიალდებოდა და გამომწვევად უცქერდა საფრონოვს. თავჩაღუნული გენადი ყველაზე უკან მოდიოდა.

აგრიპინა ფიოდოროვნამ სწორად ივარაუდა. გენადის გულთან არასოდეს მიჰქონდა მასწავლებლისა და ამხანაგების ყვედრება, კოლექტივს ანგარიშს რად არ უწევო. ასეთ დროს მუდამ თავის საყვარელ ფრაზას მოიშველიებდა ხოლმე: „თქვენს ნათქვამს აინუნშიაც არ ვაგდებო“. ახლა კი მიხვდა, თუ რას ნიშნავს კოლექტივისათვის ანგარიშის გაუწევლობა. იგი ყველაზე უკან მიდიოდა და ცდილობდა, არ ეცქირა ამხანაგებისათვის, არ შეემჩნია მათი გაჭირვება ამ ხვატში ბარგით თრევისას. მაგრამ ამ ავბედით დღეს იგი უნებლიეთ ყველაფერს ხედავდა: სტასიას ალეწილ, ოფლიან სახეზე ავად აელვარებულ თვალებსაც, იმასაც, გოგო ხან მარჯვენა ფეხით რომ კოჭლობდა და ხანაც მარცხენათი, ბარგით დატვირთულ ჩერნილინის მოღლილ სიარულსაც, ფედია ნოვიკოვის პირქუშ იერსაც. საფრონოვი მხოლოდ საკუთარ დაღლილობას ვერ გრძნობდა, ისე იყო ჩაფლული ფიქრებში. სირცხვილი და სინანული სტანჯავდა.

გზამ მკვეთრად მოუხვია და საფრონოვმა ამხანაგები თვალიდან დაკარგა. რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და სტრელოვა დაინახა. იგი გზის პირას, ბალახზე იჯდა და ჩვრით იხვევდა ფეხს.

საფრონოვი ელენას სიახლოვეს შეჩერდა. გოგომ ასწია თავი და თვალი თვალში გაუყარა გენადის. მათი მზერა წამით შეხვდა ერთმანეთს და საფრონოვს სითბო ჩაეღვარა გულში. ელენას ხავერდისებრ შავ თვალებში ვერც სიძულვილი ამოიკითხა და ვერც საყვედური.

— მოდი, მე შეგიხვევ, — საფრონოვმა ჩაიჩოქა და მიუხედავად იმისა, რომ ელენა უარზე იყო, ფეხის შეხვევა დაუწყო.

ეოგო გაოცებით შესცქეროდა.

— ახლა სანდლების ჩაცმა სცადე, — უთხრა საფრონოვმა და წამოდგა.

ელენამ ჩაიცვა სანდლები, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა.

— არ შემიძლია, მტკივა.

— მაშ გაიხადე და ისე იარე, — თანაგრძნობით ურჩია საფრონოვმა.

„ყველაფერი ჩემი ბრალია, — გაიფიქრა მან სინანულით. — რატომ სტასიასავით ესეც არ მეჩხუბება? აჯობებდა, რომ წამჩხუბებოდა“.

დუმილით მიდიოდნენ გვერდიგვერდ.

— მაპატიე, ლენა, — უთხრა საფრონოვმა. — ყველაფერი ჩემი ბრალია.

— ეგ ყველას უთხარი, მარტო მე ნუ მეუბნები.

— არ მსურს ყველასთან თქმა, მარტო შენ მინდა გითხრა, — ჯიუტად თქვა საფრონოვმა. მაგრამ იგი არ ამბობდა მართალს. ამ წუთში მარტო თქმა კი არა, მთელი ტყის გასაგონად სურდა ეყვირა: „ბავშვებო, მაპატიეთ. ამის მეტად ასეთი ამბავი აღარ დამემართება“.

ელენამ ყურადღებით შეხედა საფრონოვს.

— ნეტა რადა ხარ ასეთი...

— ასეთი გულქვა ეგოისტი, არა? — კითხვით დაუმატა ბიჭმა.

— ჰო, ასეთი ეგოისტი.

— რატომ ვარ ასეთი? — ცხარედ ჩამოართვა სიტყვა საფრონოვმა. ამ დროს გაახსენდა პეჩორინის მონოლოგი „თავადის ასულ მერიდან“ და თავის თავზე თითქმის მისი სიტყვები გაიმეორა.

საფრონოვი ამბობდა, უდედმამოდ გავიზარდეო, არავის ვუყვარდი და მეც ვერ ვისწავლე სიყვარულიო. მარტო ვიზრდებოდი და მივეჩვიე მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრსო.

ელენამ თავი ჩაღუნა, რომ ეშმაკური ღიმილი დაემალა. ძალიან უნდოდა, საფრონოვის ტონით მოეყვანა ციტატა ლერმონტოვიდან: „დიახ, ასეთი ხვედრი მერგო ბალღობიდანვე. ჩემს სახეზე ყველა კითხულობდა ისეთი ცუდი თვისებების ნიშნებს, რაც არ მქონდა, მაგრამ ამ თვისებებს ვარაუდობდნენ და აკი გამიჩნდა კიდეც...“

ელენა ძლივს იკავებდა თავს და ხმაამოუღებლივ უსმენდა საფ-

რონოვს. მაგრამ როცა ბიჭი მოყოლას მორჩა, გოგო სულაც არ მოქცეულა ლერმონტოვისეულ თავადის მერის მსგავსად.

— მეც ობოლი ვარ, საფრონოვ, — უთხრა მან. — არც მე ვუყვარვარ არავის... — ელენას უცებ სვერჩკოვების ოჯახი მოაგონდა და დაუმატა, — არავის ვუყვარვარ ისე, როგორც ჩვეულებრივ მშობლებს უყვართ თავიანთი შვილები. ზოგჯერ ასე მგონია, შენ ამას განგებ აკეთებ, სინამდვილეში სულ სხვანაირი ხარ, გაცილებით უკეთესი... მართალს ვამბობ, ხომ?

ელენა მკვირცხლად მოტრიალდა და მისი მზერა ისევ შეხვდა საფრონოვის მზერას, ბიჭს ისევ სითბო ჩაეღვარა გულში, თავი თავისუფლად იგრძნო და მოუნდა, სიმართლე ეთქვა. მან თავი ჩაღუნა და თქვა:

— არ ვიცი, ნამდვილად უკეთესი ვარ თუ არა, მაგრამ ჩემში ორი ადამიანი ცოცხლობს: ერთი თავისი თავისთვისაა, მეორე კი სხვებისთვის.

— უკეთესი ხარ, რასაკვირველია, უკეთესი ხარ, — ცოცხლად გამოეპასუხა ელენა. — თავი გაანებე მოჩვენებითობას. ამით მხოლოდ აგებ. აი ახლაც, პეჩორინს შეეშვი და რაცა ხარ, ის იყავი.

საფრონოვი გაწითლდა და არაფერი უთქვამს. მან შენიშნა, რომ წინ მიმავალნი შეჩერდნენ და მასა და ელენას დაელოდნენ, თან შეუჩერებლივ იქნევდნენ ხელებსა და ტოტებს. ეს ადგილი დაბლობი იყო, ჭაობიანი, და მზეს ქულა-ქულა ამოჰყვა ქინქლაც — წყნარად ვერ დადგებოდი — ქინქლა მიძვრებოდა თვალებში, ყურებში, ცხვირში, კაბისქვეშ მიცოცავდა.

— სად დაიკარგენით? — ჰკითხა აგრიპინა ფიოდოროვნამ და ყურადღებით ჩაათვალიერა საფრონოვი და სტრელოვა.

— ფეხი გადამეყვლიფა, — უთხრა ელენამ. — ხედავთ? — ღიმილით მიუთითა თავის ფეხებზე, — ცალზე სანდალი ეცვა, მეორე კი შიშველი ჰქონდა, ჩვრით შეხვეული. — გარდა ამისა, ლაპარაკ-ლაპარაკით მოვდიოდით.

— აგრიპინა ფიოდოროვნა, როგორც გენებოთ, მაგრამ მეტი სიარული აღარ შემიძლია, — ჭირვეულად თქვა სტასიამ. — არაადამიანურია ამ პაპანაქებაში სიარული. გულით ავადმყოფი ვარ და ვერაფრით ვერ გავუძლებ ამას.

— ძალით არავინ მიგვერეკება. დავისვენოთ, ჩემო მეგობრებო!

მანამდე სიცხეც გადაივლის, — ფადეევამ გზიდან გვერდზე გადაუხვია.

— ჩერნილინ, ჩემო კარგო, დაახრჩოლე რამე, შემჭამეს ქინქლებმა! — ვედრებით უთხრა სტასიამ.

ასეთი ტკბილი სიტყვების ხათრით ჩერნილინი მზად იყო, დაეხრჩოლებინა კი არა, თუნდაც ასი კოცონი დაენთო. მან მოათრია ნოტიო წიწვიანი ტოტები და წუთის შემდეგ სახეზე ხელებაფარებული სტასია კვამლში გახვეული იდგა.

— ოჰ, რა კარგია, რა კარგი! — ამბობდა იგი.

ჩერნილინიც მარჯვედ ურთავდა ცეცხლს ნოტიო, ტკაცუნა ტოტებს.

დასასვენებლად განლაგებაც ვერ მოასწრეს, რომ ფედიას ხმა გაისმა:

— ჰეი, აქეთ, აქეთ, მშვენიერი საბანაო ადგილია.

იგი მთლად სველი, წითელი ტრუსების ამარა გამოხტა ბუჩქებიდან. ხელებით უხმობდა ამხანაგებს. ბიჭები ერთად გაცვივდნენ ფედიასაკენ. საფრონოვმაც გაიწია ბუჩქებისაკენ, მაგრამ შეჩერდა. ძალიან უყვარდა ბანაობა, ან კი ვინ იტყოდა ახლა უარს ასეთ სიამოვნებაზე. მაგრამ ახლა თავი შეიკავა და ისევ მცხუნვარე მზის ქვეშ დარჩა.

— ფედია, ჩვენთვისაც შეარჩიე კარგი ადგილი! — უყვიროდა ვერა და ფაცაფუცით ეძებდა ჩემოდანში საცურაო კოსტიუმს.

ფედია წუთით მიიმალა, მერე ბუჩქებში კვლავ გაიელვა წითელმა ტრუსებმა.

— მოდით! არის ადგილი!

აგრიპინა ფიოდოროვნამ ხელი წამოავლო თავის საცურაო კოსტუმს და პატარა გოგონასავით, კისკისით გამოედევნა მდინარისაკენ გაქანებულ ვერას, ამ წუთს არც ახსოვდა, მასწავლებელი რომ იყო. ყოველი მხრიდან მშობლიურ ადგილებს ხედავდა, ბალღობაში ასჯერ შემოვლილს, და მან ისევ გოგონად იგრძნო თავი.

ვერამ სირბილში უკან მოიხედა და სიცილით დაიყვირა:

— საფრონოვ! ბარგს უყარაულე!

გენკას არაფერი უპასუხნია, ხის ქვეშ ჩრდილში მიჯდა. პირველად იყო თექვსმეტი წლის მანძილზე, რომ მტანჯველი მარტოობა

იგრძნო. საფრონოვი ბალახზე დაემხო და ძლივს იკავებდა ცრემლებს. არ ახსოვდა, რამდენ ხანს იწვა ასე.

უცებ ვიღაცის მსუბუქი შეხება იგრძნო მხარზე. ელენა დახრილიყო მის თავზე, მისი გრძელი სველი ნაწნავიდან გენადის ხელზე წყლის ცივი წვეთები ეცემოდა.

— გენა, რა მოგივიდა? — ჰკითხა ელენამ.

საფრონოვი საჩქაროდ წამოდგა. ელენამ დაინახა, რომ გენა არ ტიროდა, როგორც პირველად მოეჩვენა. იგი ერთადერთი იყო მოწაფეთაგან. რომელსაც საფრონოვისადმი არამეგობრული განწყობა არ ჰქონდა. ელენას ეცოდებოდა ეს ბიჭი. გენა ობლობაში გაიზარდა და ელენა ამით ხსნიდა მის გულჩათხრობილობას, ეგოიზმსა და თავდაჯერებულობას. საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რას ნიშნავდა ბავშვობაში მშობლების დაკარგვა.

— გენა, აღარავის აღარ ახსოვს გუშინდელი ამბავი, — სცადა საფრონოვის დამშვიდება ელენამ.

მართლაც, ყველანი მშვენიერ გუნებაზე იყვნენ. შორიდან მოისმოდა სტასიასა და აგრიპინა ფიოდოროვნას სიცილი, ჩერნილინისა და ფედოროვის მხიარული გადაძახილ-გადმოძახილი, წყლის თქაფუნი, ვერას თავგანწირული წივილი, ეტყობოდა, პირველად გაბედა წყალში ჩაეყვინთა.

— აღარ ახსოვთ? არა, ასეთი რამ არავის ავიწყდება. მე თვითონ არ დამვიწყნია და დიდხანს ვერც დავივიწყებ. — დარწმუნებით თქვა საფრონოვმა.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მისი და ელენას ყურადღება აგრიპინა ფიოდოროვნას ხმამაღლა ნათქვამმა მიიპყრო.

— ამ მდინარის იქით ბორცვს ხომ ხედავთ? ყურადღებით დააკვირდით მის ცოტა მარჯვნივ... ხედავთ?

— ნაგებობები რომ არის? — გაისმა სტასიას ხმა.

— ეს გახლავთ კოლმეურნეობა „ისკრა“, — თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

— ბავშვებო, „ისკრა“ გამოჩნდა! — სიხარულით დაიყვირა ნოეიკოვმა.

მოისმა წყლის ჩქაფანი — ეტყობა, გახარებულმა ფედიამ ისკუპა მდინარეში და გაცურა.

— ვაშაა! „ისკრა“ გამოჩნდა! — აჰყვნენ ფედიას სხვებიც და წყალი ადგაფუნდა და აბუყბუყდა მოცურავეთა ხელ-ფეხის ქნევისაგან.

საფრონოვმა ხელისგულით მოიჩრდილა მზე და იმ ბორცვს მიაჩერდა. ელენამაც იქითკენ იბრუნა პირი. მან დაინახა პატარ-პატარა ნაცრისფერი სახლები.

— „ისკრა“! — შეჰყვირა საფრონოვმა. — როგორ მიხარია!

ელენამ შეხედა გენას. გოგო მიხვდა, რომ ამ წუთას საფრონოვი თავისი კი არა, სხვისი სიხარულით ხარობდა.

მეთექვსმეტე თავი

სოფელში ბავშვები დიდხანს არ დარჩენილან — ერთი ღამე გაათიეს მხოლოდ. გაცხარებული თიბვის ალოობა იდგა. სახლები გამოცარიელებული იყო. კოლმეურნეები დიდიან-პატარიანად მინდვრებში გადასახლებულიყვნენ.

დილით ბავშვებმა გაიარეს სოფლის მყუდრო ქუჩები, სადაც ახალი სახლები წამოეჭიმათ. სახლებს ჯერ კიდევ ასდიოდა ფისის სუნი. დაათვალიერეს კოლმეურნეობის ელექტროსადგურის მოწყობილობა, საფუტკრე, გამოცარიელებულ კლუბშიაც და სკოლაშიაც შეიხედეს და რაკი თავიანთი ძალის გამოსაყენებელი ადგილი ვერ იპოვეს, მოიწყინეს.

— მინდორში უნდა წავიდეთ, — შესთავაზა აგრიპინა ფიოდოროვნამ ბავშვებს.

ბავშვებზე ნაკლებ მოუთმენლად არც ის ელოდა კოლმეურნეებთან შეხვედრას. იქ ყველა იცნობდა მას და ისიც ბევრს იცნობდა. იქ, მინდორში იყო ცვეტაევიც, რომელთანაც კიდევ ბევრი დარჩა სალაპარაკო.

— სწორია, ჩვენ მასაში უნდა გავერიოთ, იქ არის ჩვენი ადგილი, — ავტორიტეტულად განაცხადა ელენამ.

რასაკვირველია, არც ერთმა ბავშვმა არ იცოდა, რომ ელენა ამბობდა იმ სიტყვებს, რომლებიც ხშირად უთქვამს მამამისს — რაიკომის მდივანს.

მინდვრებამდე კარგა დიდი გზის გავლა დასჭირდათ. ფიჭვნარი,

სოფელს რომ ირგვლივ ერტყა, ტბის ნაპირებამდე გაჭიმულიყო, მერე კი შოთხვნარი იწყებოდა.

მინდორი მოულოდნელად გამოჩნდა — ბავშვები ღრმა ხევიდან ამოვიდნენ და გაოცებულები შეჩერდნენ. მათ წინაშე, თვალისგაწვდენამდე განფენილიყო ვრცელი მინდვრები. მთელი ეს მწვანე სივრცე აქა-იქ აჭრელებულიყო მთიბავთა ნაირ-ნაირი ფერის პერანგებით. ამ მზიანი დღის სიჩუმეში სადღაც შორიდან აღწევდა სათიბი მანქანების მწყობრი ჭრიალი. ჰაერი თაფლის არომატითა და კელების გაბმული დაუსრულებელი ზუზუნით იყო სავსე.

— გენკა, ნახე, რა სილამაზეა! — აღტაცებისაგან სული ძლივს მოითქვა ფედიამ.

სტასიას აღარც სიცხე გახსენებია და აღარც დაღლა, ერთი შესწივლა და ციკანივით შეიკუნტრუშა:

— ოჰ, აგრიპინა ფიოდოროვნა, ჩვენც ხომ გავთიბავთ?

— მაშ, შენ რა გეგონა, ანასტასია პავლოვნა, აქ საცუდმადოდ მოვედით თუ რა? — ჰკითხა ჩერნილინმა.

საფრონოვმა თვალი მოავლო მინდორს და რაღაც ჩაიბურღღუნა ცხვირში, ლექსი თუ თქვა.

მთიბავებმა შენიშნეს ქალაქელი სტუმრები, ზოგმა ცელი შეაჩერა, ხელით თვალები მოიჩრდილა და გამოხედა მათ. ზოგმა აგრიპინა ფიოდოროვნა იცნო. ხელებს უქნევდნენ, მისალმების ნიშნად რაღაცას უყვიროდნენ. მასწავლებელს თვალები გაბრწყინებოდა, სახე ერთთავად აალებოდა და ბავშვები მიხვდნენ, რომ იგი მეტისმეტად აღელვებული იყო.

კოლმეურნეთა ბანაკი მდინარის ნაპირას განლაგებულიყო, აქვე დაედგათ ტირიფის წნელებისაგან მოწნული კარვები, რომლებიც ბალახით გადაეხურათ. აქა-იქ ცეცხლი ენთო, მათ სიახლოვეს კი თეთრწინსაფარაფარებული მზარეული ქალები ფუსფუსებდნენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სიმაკოვი, ზონზროხი ბერიკაცი მივარდა აგრიპინა ფიოდოროვნას და ხელი ჩამოართვა. ურჩია, უწინარეს ყოვლისა, კარავი დადგითო. ღია ცის ქვეშ ძილი არ ვარგა: ღამღამობით ცივი ცვრით იფარება ხოლმე მიწა, ხშირად კი ხანმოკლე, მაგრამ ბარაქიანი წვიმა იცისო.

როცა გაიგო, სტუმრები თიბვაში დასახმარებლად მოსულანო, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხელები გაშალა და აშკარად ეჭვი

გამოთქვა, ქალაქელი ბავშვები გლეხურ საქმეს ვერ გაართმევენ თავსო. ბავშვებმა ერთხმად დაუწყეს ხვეწნა, ცელები მოგვეცით და ნახავთ, რა ჩქარა მივეჩვევით მის მოხმარებასო.

საუბრის ბოლოს ცვეტაევმაც მიუსწრო.

— თქვენ, მეგობრებო, ვერ მიგიგნიათ სათქვენო საქმისთვის,— უთხრა ბავშვებს პარტორგმა. — ბალახს უთქვენოდაც მოვთიბავთ. დღეს ორი სათიბი მანქანა კიდევ დაგვიმატეს. ისა სჯობს, სხვა საქმეში შეგვაშველოთ ხელი: შეჯიბრების მაჩვენებელთა დაფა გაგვიფორმეთ, საბრძოლო ფურცლები გამოუშვით, მეცნიერების მიღწევებზე გვიამბეთ, და არც ის იქნებოდა ურიგო, თვითმოქმედებასაც თუ გვიჩვენებთ. შეგიძლიათ ეს თუ არა?

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს და წყენის ჩრდილმა გადაურბინათ სახეზე. თიბვა სიახლით იზიდავდა მათ, თავიანთი თავი უკვე იქ, მინდორზე წარმოიდგინეს, სხვა მთიბავების გვერდით, ასე გაცხარებულები რომ მისცემოდნენ საქმეს.

— მაგრამ ამათ ხომ ფიზიკური წამუშავებაც სურთ, გრიგორი მაქსიმოვიჩ, — გამოესარჩლა ბავშვებს აგრიპინა ფიოდოროვნა.

— კი ბატონო! აი, ამ საღამოს პირველი ზვინების დადგმას დავიწყებთ და სათქვენო საქმეც გამოჩნდება. თიბვაც თუ გინდათ — თიბეთ. მაგრამ თქვენი დახმარება განსაკუთრებით სასარგებლო კულტურის სფეროში იქნება. ძალზე სამწუხაროა, ამხანაგებო, რომ კოლმეურნეობაში კულტურული ძალა ცოტა გვყავს!..

პარტორგის სიტყვებმა, რომელშიც ნდობა და გულწრფელობა გამოსჭვიოდა, ბავშვებზე იმოქმედა.

— ჩვენ ხომ ფოტოაპარატი გვაქვს! ბორია ჩერნილინს შეუძლია სოცშეჯიბრის დაფისათვის ყველა სტახანოველს გადაუღოს სურათი, — ჩაილაპარაკა ელენამ, რომელიც თვალს არ აცილებდა პარტორგს.

ცვეტაევი, ასე უბრალოდ და სერიოზულად რომ ებაასებოდა ბავშვებს, მოსწონდა ელენას. „ისე გველაპარაკება, თითქოს დიდები ვიყოთო“, — ფიქრობდა იგი.

— სწორედ მშვენიერი რამ არის, ამხანაგებო! — შესძახა ცვეტაევმა.

— მე შემიძლია მოხსენებით გამოვიდე ატომის ენერგიის თაობაზე, — თქვა ფედიამ და ცვეტაევის თვალებში ყოყმანი რომ შე-

ნიშნა, საჩქაროდ დაუმატა. — ფიზიკის დოცენტისაგან მივიღე კონსულტაცია.

— ძალიან კარგი, — მოუწონა ცვეტაევმა და ახლა საფრონოვს გადახედა, თითქოს ეკითხებოდა; „აბა, შენ რით დაეხმარები კოლმეურნეობასო?“

გენადიმ მორცხვად ჩაჰკიდა თავი და ყრუდ თქვა:

— მე არ მეხერხება მოხსენებები.

— გენა, შენ ხომ პოეტი ხარ! კოლმეურნეობის საუკეთესო სტახანოველებზე დაწერე ლექსები, — უთხრა ლენამ.

ცვეტაევს თითქოს ცეცხლი მოუკიდა ამ ამბავმა:

— ოჰ რა კარგი იქნებოდა! ლექსები ჩვენს სტახანოველებზე! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ აამაღლებს ეს შრომით ენთუზიაზმს!

— შეგიძლია, გენკა? — ჰკითხა ცხარედ ფედიამ, რომელიც ამხანაგის გამო ღელავდა.

მაგრამ მარტო ფედია როდი ღელავდა — საფრონოვს ყველანი შიშით შესცქეროდნენ.

— ვეცდები, — თქვა ცივად საფრონოვმა. მაგრამ გენკა გასცეს თვალებმა, ასე საოცრად რომ გაბრწყინებოდა. იგი ერთიანად გაიტაცა იმ აზრმა, რომ შექმნიდა ლექსებს, რომლებსაც სტახანოველებს მიუძღვნიდა.

— თვითმოქმედების კონცერტიც შეგვიძლია ჩავატაროთ,— თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ. — ვერა მღერის, სტასია ცეკვავს, გენა და ფედია კარგად კითხულობენ. ბორია ფოკუსს მოიფიქრებს. ვფიქრობ, კოლმეურნეთა შორისაც გამოჩნდება ვინმე და საერთო ძალებით რაიმეს მოვახერხებთ.

— ჰოდა, მაგას რა სჯობს, მშვენიერია, — იმეორებდა ღიმილით სახეგაბადრული ცვეტაევი.

* * *

დრომ შეუმჩნეველად გაირბინა. ბავშვებმა ყველა დანაპირები შეასრულეს ცვეტაევს. კარვების სიახლოვეს, ვეება დაფაზე ეწერა „კოლმეურნეობა „ისკრას“ საპატიო დაფა“ და ეკიდა ბორია ჩერნილინის დამზადებული ფოტოსურათები. ფოტოსურათების ქვევით

ფედიას მკაფიო ხელით მიწერილი იყო საფრონოვის შეთხზული ლექსები. ყველაზე საუკეთესო ლექსები ბევრმა ზეპირად ისწავლა და ბავშვებმა ბევრჯერ გაიგონეს, გოგოები რომ მცირე შესვენებაზე გარმონზე დამღეროდნენ მათ. გაამაყებული საფრონოვი ისე დააბიჯებდა, თითქოს ფრთები გამოსხმოდა.

ნოვიკოვის მოხსენებამ ისეთი დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ ცვეტაევმა სთხოვა, ტრაქტორისტებსაც წაუკითხეო. თვითმოქმედების კონცერტიც კარგი იყო. როგორც აგრიპინა ფიოდოროვნა ვარაუდობდა, კოლმეურნეობას საკუთარი მომღერლები, მოცეკვავენი და მუსიკოსები აღმოაჩნდა. ისე ბევრნი იყვნენ, პირველ კონცერტზე მსურველთა მხოლოდ ნახევარი გამოვიდა.

ყოველივე ამან — საპატიო დაფამ, მოხსენებებმა, სტახანოველებზე შეთხზულმა ლექსებმა და სასადილო შესვენებების დროს გამართულმა თვითმოქმედების კონცერტებმა — კოლმეურნეთა ცხოვრებაში მრავალფეროვნება და მხიარულება შეიტანა.

ამიტომ იყო, ან უფრო სწორად, ეს ერთ-ერთი მიზეზი გახდა იმისა, რომ თიბვამ ამჯერად ერთსულოვნად ჩაიარა და ქალაქელი სტუმრების გამგზავრების დღეს კოლმეურნეობა შეუდგა საკვების გეგმის ზევით დამზადებას. ამ საბაბით გამგეობამ გადაწყვიტა კრების მოწვევა. ჩვეულებრივად, შუადღისას დანიშნეს კრება, როცა მცხუნვარე მზე აიძულებდათ ცელი ბალახებში მოესროლათ და აგრილებას დალოდებოდნენ.

კრება მდინარის პირას, ტირიფისა და შოთხვის ხშირი ბუჩქების ჩრდილში მოაწყვეს. თიბვაში სოცშეჯიბრის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა ცვეტაევი. მან ჩამოთვალა საუკეთესო სტახანოველთა გვარები, შოიყვანა მათი მაღალი გამომუშავების ციფრები, მერე ილაპარაკა იმ არნახულ შრომით აღმავლობაზე, მთელ თვალუწვდენელ საბჭოთა ქვეყანაში რომ სუფევს. მისი მოხსენების შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიმაკოვმა აიღო სიტყვა სტახანოველთა ფულადი პრემიებით დაჯილდოების დადგენილების წასაკითხად. საუკეთესო მთიბავთა გვარებს კოლმეურნეები მოწონების ტაშით ხვდებოდნენ. მაგრამ, აი, სიმაკოვმა საქაღალდიდან რაღაც ახალი ქაღალდი გამოაძვრინა და ხელში ატრიალებდა, ხალხის დაწყნარებას ელოდებოდა.

— ამხანაგებო, კოლმეურნეობის გამგეობამ განსაკუთრებული

გადაწყვეტილება მიიღო, რათა აღენიშნა ქალაქელ მოსწავლეთა ბრიგადის ღვაწლი, ჩვენი პატივცემული აგრიპინა ფიოდოროვნას ხელმძღვანელობით, — თქვა მან. — გამგეობამ გადაწყვიტა, ამ ბრიგადას მადლობა გამოეცხადოს მისი დიდი და კოლმეურნეობისათვის ესოდენ სასარგებლო სამუშაოს ჩატარებისათვის და დააჯილდოვოს იგი ფულადი პრემიით სამასი მანეთის ოდენობით. ამას გარდა, კრებას ვაცნობებ, რომ თიბვისა და თივის აღებისათვის ბრიგადას დაერიცხა თვრამეტი შრომადღე.

კოლმეურნეებმა ისეთი მხურვალე ტაში დასცხეს, რომ ბუჩქებში მიმალული მეკანაფიეთა გუნდი შეშინებული ხმაურით აიჭრა ჰაერში.

არავინ — არც აგრიპინა ფიოდოროვნა და არც თავად ბავშვები — არ ელოდნენ თავიანთი მუშაობის ასეთ მაღალ შეფასებას. ისხდნენ ერთად წაქცეულ ხეზე დარცხვენილები და გულგახარებულები.

— აბა, ვინ გამოვა საპასუხო სიტყვით? — მიუბრუნდა აგრიპინა ფიოდოროვნა ბავშვებს და როცა სტრელოვას თვალებში მზადყოფნა შენიშნა, ჰკითხა: — შენა, ლენა? რას იტყვი?

— ვიტყვი, რომ პრემიასა და შრომადღეების საფასურს ჩვენ კოლმეურნეობა „ისკრას“ ბიბლიოთეკის მოსაწყობად გადავცემთ.

ვერამ, სტასიამ, საფრონოვმა და ფედიამ ერთხმად დაუჭირეს მხარი ელენას წინადადებას. მხოლოდ ჩერნილინი იყო სხვა მოსაზრებისა.

— ისა სჯობდა, ფოტოლაბორატორიის მოსაწყობად გადაგვეცა, — თქვა ჩუმად მან.

— ბიბლიოთეკა უფრო საჭიროა, — დამარწმუნებლად წაიჩურჩულა ელენამ.

— ვიცი, რომ შენ ბიბლიოთეკა გირჩევნია, მაგრამ ფოტოგრაფიაც... — კინაღამ კამათი წამოიწყო ბორიამ.

აგრიპინა ფიოდოროვნამ გადაწყვიტა დავა:

— რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკა უფრო საჭიროა.

ელენას გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კოლმეურნეებზე. ელენა თავის ადგილზე, აგრაპინა ფიოდოროვნას გვერდით დაჯდა. აპლოდისმენტები არ წყდებოდა.

ცვეტაევი კრების დახურვას აპირებდა, რომ უცებ სიტყვა ითხო-

ვა კოლმეურნეობის საუკეთესო მთიბავმა ტერენტი პოლიკუხინმა. იგი მიწიდან წამოდგა, ტანმაღალი კაცი იყო, გრძელსელება, შუბლზე გრუზა თმა ეყარა.

— კარგი საქმე მოიფიქრეს ქალაქელმა ამხანაგებმა. ბიბლიოთეკა, მართლაც, გვჭირდება. ჩემს პრემიას წიგნების შესაძენად ვდებ.

პოლიკუხინმა დაჯდომა ვერ მოასწრო, რომ ახლა მაგიდასთან მეორე პრემირებული მთიბავი, ვიღაც პეტროვი მივიდა. იგი ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, მაგიდასთან კი თავთავიანთ რიგს სხვა კოლმეურნეები ელოდებოდნენ.

აგრიპინა ფიოდოროვნა და ბავშვები საღამოთი, სიგრილით გაემგზავრნენ უკან. სოფლამდე ისინი ცვეტაევმა გააცილა. ვერასა და ელენას დაკვირვებულ თვალებს არ გამოპარვიათ, რომ ცვეტაევი აგრიპინა ფიოდოროვნას ნაღვლიანი ღიმილით შესცქეროდა და ამჯერად ორივენი ცოტას ლაპარაკობდნენ.

მეჩვიდმეტე თავი

არდადაგების დღეები სწრაფად გარბოდა. მიიწურა თაკარა ივლისი, ჩაიქროლა აგვისტომაც. სასწავლო წლის დაწყების წინ ვერა სვერჩკოვამ მეგობრები თავისთან მიიპატიჟა. პირველი ლენა მივიდა და ვერაც სიხარულის შეძახილით შეხვდა:

— ოჰ, რა კარგი ქენი, რომ მოხვედი!

ელენა წინკარში ტანსაცმელს იხდიდა, ვერა კი აჩქარებდა:

— ჩქარა წამოდი, იცი, რამდენი ახალი წიგნი მაქვს!

ელენა საჩქაროდ მიჰყვა უკან. უცებ გამოვარდა ვოლოდკა, ელენას ხელში ხელი ჩაავლო და დაიყვირა:

— შენთვის საჩუქარი მაქვს!

გავარდა საწოლ ოთახში და იმავე წუთს უკანვე გამოვარდა, ხელში ქაღალდის ფურცელი ეჭირა.

— დაგვაცა, რა, ვოლოდკა, — უკმაყოფილო ვერა ცდილობდა ძმის შეჩერებას და ელენას თავისთან წაყვანას.

მაგრამ ელენა შეჩერდა, ბიუს ქაღალდი გამოართვა და ღიმილით ათვალიერებდა ნახატს.

ქაღალდზე სახლები ეხატა უცნაური, წაგლეჯილი, გვერდზე წაფხატული სახურავებით, სამტოტა ხეები და პატარა თავკომბალა კაცუნები, ზემოთ კი ბეჭდური ასოებით ეწერა:

„ლენოჩკას ვოლოდკასაგან“.

— გმადლობთ, ვოლოდია, — უთხრა ელენამ. — ამ ნახატს შევინახავ.

— ხომ მოგწონს?

— ძალიან, — სერიოზულად მიუგო ელენამ. — ნახე ერთი, რა არაჩვეულებრივი სახლებია. რა ზღაპრული ხეებია! კაცუნები კი, რა მშვენიერები არიან! ამ ნახატს შინ, კედელზე დავკიდებ.

— მართლა? — გაუხარდა ვოლოდკას.

თავისი ოთახის კარი ვერამ რაზით გადაკეტა საჩქაროდ. ვოლოდკას და ელენას ახალი წიგნები გადმოულაგა.

ორთავენი სიყვარულით დასწვდნენ სქელ-სქელ წიგნებს, მაგრამ ამ დროს ზარის ხმა გაისმა. გოგოები წინკარში გაცვივდნენ კარის გასაღებად.

პარმაღზე ფედია იდგა, იღლიაში დიდი გაქექილი პორტფელი ამოეჩარა.

— ასე ადრე რამ მოგიყვანა? — გაეცინა ელენას. — სტუმრები ერთი საათის შემდეგ დაიწყებენ თავშეყრას, შენ კი ყველას დაასწარი.

— შენ რაღამ მოგიყვანა? გაგიხარდა, ვერა ტორტის ჭმევას დამპირდაო და განთიადს მოჰყევი, არა? — ხუმრობითვე უპასუხა ფედიამ და კარი მიხურა. — მე საქმის გამო ვჩქარობდი.

— რა საქმე უნდა გქონდეს ოცდათერთმეტ აგვისტოს? — გაოცებით გაშალა ხელები ვერამ. — საქმეები ხვალ დაგვეწყება.

სამივენი სასადილო ოთახში გავიდნენ. სულ მალე ვოლოდკაც იქ გაჩნდა.

— რა გაქვს ამაში? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა მან ფედიას და სქელი პორტფელი მოსინჯა ხელით.

— არამკითხეს საქმე არ არის! არამკითხე მიტყიპესო, ამბობენ! — მიუგო ფედიამ.

მერე ცოტა შეიცადა, ვოლოდკას დიდის ამბით შეხედა და გახსნა პორტფელი. ვოლოდკამ ყოველი შემთხვევისათვის უკან დაიწია. ფედიამ პორტფელიდან სქელი ჟურნალი ამოიღო. თეთრ ყდაზე და-

ხატული იყო ტყე და მდინარე, რომელშიც ნაპირზე დაზვინული ძნები ირეკლებოდა. მოკრიალებულ ცაზე გაკეთებული იყო წარწერა: „კოლმეურნეობა „ისკრაში“.

— უკვე მზადა გაქვს! — ერთხმად შეჰყვირეს ვერამ და ელენამ და ხელები გაიწოდეს.

— თავად გაჩვენებთ, თქვენ დამიკაწრავთ, — თქვა ფედიამ და ჟურნალი განზე გასწია. — ყდით ხომ დატკბით? ახლა შიგნით ნახეთ.

ფედიამ გადაშალა პირველი გვერდი. ზემოთ გარკვევით ეწერა: „სამგზავრო დღიური. ბორის ჩერნილინი“.

— წაკითხვით მერე წაიკითხავთ. ახლა ნახეთ მხოლოდ, — ფედიამ გადაფურცლა რამდენიმე გვერდი. — შემდეგი: „მოსავლის აღებაზე!“ ლექსი ბელოვისა. ხედავთ, მთელი ორი გვერდი დაიჭირა. კარგი ლექსია. ეს კი ნარკვევია ჩემზე, — გაიღიმა მან.

— „ფედია — „აგიტატორი“, ვ. სლავინი“ — წაიკითხა ელენამ.— ეს წერილი მე და ვერამ უკვე ვიცით. აქ იმაზე წერია, კოლმეურნეებისათვის „ისკრაში“ მოხსენებებს რომ კითხულობდი.

ფედიამ ორი გვერდი კიდევ გადაფურცლა.

— შემდეგი, — თქვა მან. — ჩემი ნაჯღაბნია — ნარკვევი სტასიას, ელენას, ვერასა და ჩერნილინის სასარგებლო მოღვაწეობის თაობაზე, სათაურით „კონცერტი მინდორში“. ახლა რა სურათებია! ბენკამ დახატა.

— უყურე, სტასია ბოშურ ცეკვას ცეკვავს! რა კარგია!

— აბა, სად არის სტასია? — აღელდა ვოლოდკა. იგი, რა ხანია, სკამზე შემდგარიყო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იჭიმებოდა, ვერას მხარს ზემოდან იცქირებოდა.

— ვოლოდკა, ყურში ნუ მასუნთქებ! — უთხრა გაბრაზებით ვერამ.

— აბა, რა ვქნა, ვერ ვხედავ და! — მიუგო მტირალი ხმით ძმამ.

— მოდი აქ, — უთხრა ფედიამ და მუხლებზე დაისვა ბიჭი.

— ვერა, შენ კი გიტარა გიჭირავს ხელში! — გაიცინა ელენამ და ნახატზე მიუთითა, თან ვერას საყვარელი სიმღერა დააღიღინა: „გამოვდივარ მარტო გზაზე“ — გგავს. ხომ გგავს მართლა?

— ჰგავს! — შეჰყვირა გაცხარებით ვოლოდკამ.

— საფრონოვის ლექსი „ფიცსა ვდებ“ აღარ დაეტია განა?

— ეს ლექსი იდეურად არ ესადაგება ჟურნალს. გარდა ამისა, რად უნდა გადავუშალოთ ყველას გენკას სული? ეს ჟურნალი ხომ ქალაქის განათლების განყოფილებაში წავა, მერე კი მოსკოვის კონკურსზედაც. გენკას ლექსი კი პირადული ხასიათისაა...

— კარგად კი არის დაწერილი და! — შესძახა ელენამ.

— სულითა და გულით, ალალად არის დაწერილი, — თქვა ვერამ. — როგორა აქვს: „ჩემო კარგო მეგობრებო, თქვენს წინაშე ვფიცავ!"

— რაზე დებს ფიცს? — დაინტერესდა ამ დროს შემოსული ოქსანა ტარასოვნა. — გამარჯობა. ფედია!

— გამარჯობათ, ოქსანა ტარასოვნა! — ფედიამ ვოლოდკა ძირს ჩამოსვა და ადგა.

— დედიკო, ეს საფრონოვის მშვენიერი ლექსია! — ცხარედ ალაპარაკდა ვერა. — ხომ გახსოვს, შენ და მამას გიამბეთ, „ისკრაში" რომ მივდიოდით, გზაზე საფრონოვი ლექსების საწერად განმარტოვდა და მისი გულისათვის ოცდაათი კილომეტრი ფეხით ვიარეთ-მეთქი? ჰოდა, ამ ლექსში შემოგვფიცა, რომ ამიერიდან მისთვის ყველაზე მაღლა კოლექტივის ინტერესები იდგება.

— ისე, ლექსის გარეშე, ბოდიში არ მოგიხადათ? — ჰკითხა ოქსანა ტარასოვნამ.

— არა, ეგეთი როდია! ერთთავად დუმს ხოლმე, — უთხრა ფედიამ. — თქვენ არ იცნობთ მას?

ოქსანა ტარასოვნამ უარის ნიშნად თავი გაიქნია და ღიმილით მიუგო:

— დღეს გავიცნობ.

— მუდამ უდროო დროს ვიცი ხოლმე მოსვლა, — გაისმა ამ დროს საფრონოვის ხმა. იგი კარში იდგა უკვე პალტოგახდილი, გვერდით ჩერნილინი და კირილოვნა უდგნენ.

ყველას გაეცინა, ვოლოდკა კი, თუმცა არ გაეგებოდა, რად იცინოდნენ, ყველაზე ხმამაღლა ახარხარდა.

— გენკა, შენ მუდამ მეფე ჰამლეტის აჩრდილივით დადიხარ, — შესძახა ფედიამ.

— სწორედაც, — თქვა საფრონოვმა. იგი მორცხვად, მოშვებულად მიესალმა ოქსანა ტარასოვნას.

— გამარჯობათ, — საყოველთაო სალამი თქვა ჩერნილინმა.

— გამარჯობათ, შემოდით, — ალერსიანად გამოეხმაურა ოქსანა ტარასოვნა. მან დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შეხედა საფრონოვს და ოთახიდან გასვლა იჩქარა, რათა მისთვის საშუალება მიეცა სული მოეთქვა და უცხო ბინაში თავისუფლად ეგრძნო თავი.

ჩერნილინი მაშინვე მივიდა მაგიდასთან და გატაცებით შეუღგა ჟურნალის თვალიერებას. საფრონოვმა კი გულგრილად შეავლო თვალი ნაცნობ ნახატებს, ხელები ზურგს უკან დაიწყო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. მას ნანახი ჰქონდა, რომ ასე მოიქცა მოხუცი მწერალი ნიკონოვი, როცა პიონერთა სასახლეში შეხვედრა მოუწყვეს.

— იცით, ბავშვებო, რა მოვიფიქრე? — სიარულში ამბობდა საფრონოვი. — ჩვენ ლიტერატურული დისპუტი უნდა მოვაწყოთ „ახალგაზრდა გვარდიაზე“...

— მოიფიქრა ამანაც! — დაცინვით უთხრა ვერამ. — ჩვენ და აგრაპინა ფიოდოროვნამ რა ხანია გადავწყვიტეთ ასეთი დისპუტის გამართვა.

— ჰო, მაგრამ სკოლაში მოწყობა ერთია, სასახლეში კი — სხვა საქმეა.

ელენას თვალი დაეღალა წინ და უკან მოსიარულე საფრონოვის ცქერით და გულმოსულმა უთხრა:

— გენა, ან დაჯექი, ან დადექი, თორემ შენს ყურებაში თავბრუ დამეხვა.

საფრონოვი მაშინვე დამორჩილდა, მაგიდასთან გაჩერდა და თქვა:

— მე ავიღებ მოხსენებას თემაზე: „რატომ არ დაინახეს მათ თავიანთი სიცოცხლე“.

— ოჰ, ჭკუას ძალას ნუ დაატან! — შესძახა ელენამ, მაგრამ გოგოს თვალებში ნაპერწკლები აუელვარდა და ლოყები აუვარდისფრდა. იგი წამოხტა და თქვა: — მე კი? მე ასეთ მოხსენებას გავაკეთებდი: „ოლეგი და დედამისი“. კარგა ხანია, ამაზე ვფიქრობ.

ფედია მაგიდას მოშორდა.

— სკოლაში თუ გინდა გამოდი ამ თემით, სასახლეში კი მე უკვე გავაკეთე მასზე განაცხადი.

— ვისთან მერე? — დაბნეულად ჰკითხა ელენამ.

— აგრიპინა ფიოდოროვნასთან.

— აგრიპინა ფიოდოროვნასთან? უკაცრავად, მაგრამ მაგ თემას ვერ დაგითმობ. იგი მე მოვიფიქრე.

— გეუბნები, უკვე მოველაპარაკე-მეთქი აგრიპინა ფიოდოროვნას. — ჯიუტად უთხრა ფედიამ.

ელენამ ხელები გაასავსავა:

— მერე რა? ადექი და მე დამითმე.

— არაფრის გულისთვის, — სერიოზულად მიუგო ფედიამ. — ეს, საერთოდ, ჩემი თემაა.

— როგორ თუ საერთოდ? — ჰკითხა საფრონოვმა.

— ორი თაობაა: მამები და შვილები. ერთთავად ამაზე ვფიქრობ.

ვერამ გადაიკისკისა:

— მაშ, სხვას არავის აქვს უფლება იფიქროს და მოხსენება გააკეთოს მაგ თემაზე? ფედია, ჩემო კარგო, შენ ამ სიბერეში ჩერჩეტდები.

— ეს ჩემი თემაა. — ჯიუტად გაიმეორა ფედიამ.

ვერამ იგრძნო, ნოვიკოვი და ელენა, საცაა, წაიჩხუბებენო და შესთავაზა:

— მოდით, ვითამაშოთ. ჩაიფიქრეთ რომელიმე გმირი. აბა, გადედი.

ვერა პასუხს არ დალოდებია, ოთახიდან გავარდა და კარი მოიკეტა. წუთით ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ოლეგ კოშევოი, — ჩურჩულით თქვა ჩერნილინმა.

— კარგია, — მოუწონა საფრონოვმა და კართან მივიდა.

ელენა და ფედია ხმას არ იღებდნენ. გენადიმ კარი გამოაღო და თავისი ყრუ ხმით გასძახა:

— შეიძლება შემოსვლა.

ვერა შემოვიდა და ელენას ჰკითხა:

— კაცია თუ ქალი?

— კაცია! — ნელა თქვა მან, ხმაში ჯერ კიდევ ეტყობოდა წყენა.

— ახალგაზრდაა თუ მოხუცი?—ისევ ჰკითხა ვერამ ელენას.

— ახალგაზრდა, — თქვა ელენამ მომბალი ხმით.

— მაშ, ახალგაზრდა, — გაიმეორა ვერამ, — ახალგაზრდა... აბა, გენოჩკა, ყველაზე მნიშვნელოვანი რა აქვს ხასიათში?

— სიყვარული, წმიდათაწმიდა სიყვარული ადამიანისადმი, — ცხარედ მიუგო საფრონოვმა.

— აი, მართალი სიტყვა, — სკამიდან წამოდგა ელენა. — რა ძალიან კარგად თქვა. — ელენა ისევ გაიბადრა, ფედიასთან კამათი აღარც ახსოვდა.

— სიყვარული ადამიანისადმი, — ფიქრიანად გაიმეორა ვერამ. — რომელ დროში ცხოვრობდა ეს გმირი? — იკითხა და თითი ფედიას მიაშვირა.

— ჩვენი თანამედროვეა, — მიუგო ფედიამ.

— ცოცხალია თუ დაიღუპა? — ისევ მას ჰკითხა ვერამ.

— დაიღუპა.

— როგორ იცმევდა ხოლმე? — ახლა ჩერნილინს მიუბრუნღა ვერა.

— კოსტიუმი ეცვა, ჰალსტუხს იკეთებდა. მუდამ ფაქიზად გამოიყურებოდა.

— ცოტათი ენაბრგვნილი ხომ არ იყო? — გაიღიმა ვერამ. — ოლეგ კოშევოია!

— ახლა მე გავალ! — დაიყვირა ჩერნილინმა. — რაიმე უფრო ძნელი გამოსაცნობი მოიფიქრეთ!

იგი კარს უკან გავარდა, ცოტა ხანს მოიცადა და მერე დაიყვირა:

— ჰა, შემოვიდე?

— დაიცადე, — უპასუხეს კარს იქიდან.

მაგრამ ჩერნილინს არ შეეძლო ლოდინი. რაიმე საქმე უნდა ეკეთებინა.

სამზარეულოდან აღწევდა ნამცხვრისა და შემწვარი ხორცის საამო სურნელი, ისმოდა დანების წკრიალი, ჭურჭლის ჩხრიალი და ლაპარაკი. ჩერნილინი იქითკენ გაემართა. კარიდან გახედა და იკითხა:

— ხომ არ მოგეხმაროთ, ოქსანა ტარასოვნა?

— გმადლობთ, ბორია. უკვე ყველაფერი გავამზადეთ.

მაგრამ ჩერნილინი მაინც შევიდა სამზარეულოში, ყურადღებიანი მზერა მოავლო მაგიდას, ქურას, ფანჯარას და წამსვე შენიშნა, ტაბურეტზე რომ ელექტროსადენი იყო გასამართავი.

ბორიამ სადენი აიღო, ჯიბე მოიქექა, ჯაყვა ამოიღო და, ის იყო, საქმეს შეუდგა, რომ ელენას ხმაც მოისმა:

— სად დაიკარგე, ჩერნილინ?

— მოვდივარ! — დაიყვირა ბორიამ და სადენი და ჯაყვა ჯიბეში ჩაიჩურთა. — ახლავე გავასწორებ, კირილოვნა.

— რომელ წელს ცხოვრობდა გმირი? — ჰკითხა მან ვერას, ოთახში რომ შევიდა.

— არავინ იცის. — მიუგეს იქ მყოფთ.

— კაცია თუ ქალი? — მიუბრუნდა ბორია ფედიას.

— ქალია.

— რა ხნოვანებისაა? — განაგრძობდა დაკითხვას ჩერნილინი.

— შუახნისაა. ხანშიშესულია, — მიუგო ფედიამ.

ჩერნილინმა გაიარა ოთახში და ჩაფიქრდა. თან ჯიბიდან სადენი ამოიღო.

— სად იპოვე? — გაეცინა ელენას.

— მეც მინდა თამაში, — მოულოდნელად მტირალი ხმით მიუბრუნდა ელენას ვოლოდკა. დარწმუნებული იყო, რომ არ ათამაშებდნენ.

— თამაში გინდა? — ჰკითხა ელენამ. — მოდი, ითამაშე. ბე მოგეხმარები პასუხების გაცემაში. ჩერნილინ, ვოლოდკას ჰკითხე.

ვოლოდკას გაუხარდა, სკამზე აძვრა და ელენას მიუჯდა გვერდით.

— სად ცხოვრობდა ის ქალი?

ელენამ დააპირა ვოლოდკასათვის ეკარნახა სათქმელი, მაგრამ ბიჭმა თავად მიუგო:

— ჭაობში.

ყველას გაეცინა. ჩერნილინმა შეცბუნებით შეხედა ვოლოდკას, იფიქრა, ბიჭი რაღაცას თხზავსო და მისგან საფრონოვზე გადაინაცვლა.

— სად ცხოვრობდა-მეთქი?

— ჭაობში, — გაუმეორა საფრონოვმა.

გაისმა სიცილი, ხოლო სიჩუმე რომ ჩამოვარდა, კვლავ ვიღაცამ ზარი დარეკა.

— სტასიაა, — თქვა ვერამ და კარის გასაღებად გაიქცა.

მართლაც სტასია იყო, ხელში ჩემოდანი ეჭირა, მძიმედ სუნთქავდა. ჩემოდანი შემოსასვლელში, კუთხეში მიდო და დამნაშავის ხმით ჰკითხა ვერას:

— ხომ არ შეგიშლით, აქ რომ დავდო?

— რა თქმა უნდა, არა, — მიუგო ვერამ და გაოცებით შეხედა ამხანაგს.

— რად დააგვიანე? ჩვენ უკვე ვთამაშობთ...

სტასიას არაფერი უპასუხნია. ჟაკეტი გაიხადა და ვერას შემოჰყვა ოთახში.

სწორედ ამ დროს, ვოლოდკამ ისარგებლა თამაშის შეწყვეტით, ჩერნილინთან გაძვრა და უჩურჩულა:

— მოგზაური-ბაყაყია... იცი, მე მაქვს ეგ წიგნი... შიგ სურათიც ხატია, ბატებს როგორ მიჰყავთ ჯოხზე პირმოკიდებული!

— ა! შე გამცემო, შენა! — გაიცინა ჩერნილინმა, სტაცა ხელი ვოლოდკას, მხრებზე შეისვა და ბიჭის გულის გასახარად, ოთახში გაარბენინ-გამოარბენინა.

— გამარჯობათ! — თქვა სტასიამ და თვალი მოავლო ოთახს.

ყველამ მაშინვე შენიშნა, რომ სტასიას საშინაო რუხი ფერის კაბა ეცვა და ნამტირალევი თვალები დასივებოდა.

ფედია მივიდა მასთან და შეშფოთებით ჰკითხა:

— რა მოგივიდა, სტასია?

— არაფერი, — მიუგო სტასიამ და ცოტა ხნის მერე დაუმატა: — სახლიდან წამოვედი.

— ჩვენ, ანასტასია პავლოვნა, როგორც ხედავ, ყველანი წამოვედით სახლიდან! — გაეცინა ჩერნილინს.

— მე სამუდამოდ წამოვედი, — თქვა სტასიამ, თვალებზე ხელები აიფარა და ატირდა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— სამუდამოდ... წამოხვედი, — ნელა გაიმეორა ფედიამ, თან ეჭვით შესცქეროდა სტასიას.

— გადარეულხარ! — შეჰყვირა ვერამ.

ჩერნილინმა მხრებიდან ჩამოსვა ვოლოდკა.

— შენ რაო, ანასტასია პავლოვნა, ხუმრობ თუ რა? — თანაგრძნობით უთხრა მან.

— რაღაც ვერ არის თანამედროვე საქციელი, — ჩაილაპარაკა საფრონოვმა.

სტასიამ სახიდან ხელები ჩამოიღო და არამეგობრული თვალი შეავლო გენადის.

— ვჩუმდები, გავჩუმდი უკვე, ნუ ნერვიულობ! — შეაგება საფრონოვმა.

ელენა ყველასგან განცალკევებით ჩუმად იდგა და სტასიას შესცქეროდა.

ვერა მხრებზე მოეხვია სტასიას და თავის ოთახში გაიყვანა.

— დამშვიდდი და მერე გამოდი ჩვენთან, — ეუბნებოდა იგი ამხანაგს. — ყველაფერს ერთად განვსჯით. მალე მამაც მოვა.

— ოჰ, ოღონდ ტროფიმ კალინოვიჩს ნუ ეტყვი! — შეეშინდა სტასიას და შეწყვიტა ტირილი.

— კეთილი, კეთილი! ოღონდ შენ დამშვიდდი, სტასია...

— შენ სტუმრებთან გადი, ვეროჩკა, მე მარტო ვიქნები, ასე უკეთ ვგრძნობ თავს, — უთხრა სტასიამ.

მეთვრამეტე თავი

— რა უნდა ვქნათ ახლა? — იკითხა საფრონოვმა, ვერა რომ სასადილო ოთახში შევიდა. — მოვყვეთ ფილოსოფოსობას, როგორ წამოვიდა ნოჩკა მშობლების სახლიდან? რას იზამ, საინტერესო ამბავია.

გენადი სკამთან მივიდა და დაჯდა.

— გენა, — მიმართა ელენამ, — ამის თაობაზე, იქნებ, ყველანი ვფიქრობთ, მაგრამ რატომ არის, რომ შენ როცა ლაპარაკობ, საწყენად თქმული გამოდის?

— გენადი პეტროვიჩი არავის თანაუგრძნობს ხოლმე, აი, რაშია უბედურება! — გამოეხმაურა ჩერნილინი. იგი ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე იჯდა და სადენს ასწორებდა. — პოეტი კია! პოეტი კანფეტივით ტკბილი ადამიანი უნდა იყოს, — გაიცინა მან. — მართლა, ვერა ტროფიმოვნა, სად არის დაპირებული კანფეტები?

— ჯერ არ დაგიმსახურებია, — ვერას მაგივრად მიუგო ფედიამ.

ვერა ხმას არ იღებდა. თითქოს არც გაუგონია ჩერნილინის სიტყვები. იგი ისე ააღელვა სტასიას საქციელმა, რომ რაიმეზე საფიქრელად აზრებისათვის თავი ვერ მოეყარა. სახლიდან გაქცევა, დედამისაგან გაქცევა... ვერა ცდილობდა სტასიას ადგილას წარმოედგინა თავი და ვერ ახერხებდა.

— სტასიასთან დაკავშირებით ვუბრუნდები იმ თემას, რომელზედაც ელენას აქვს პრეტენზია, „ოლეგი და დედამისი". — თქვა მოულოდნელად ფედიამ. — ხომ ხედავთ, რა საჭირო თემაა. ამბავი, დაფიქრდით, სტასია სახლიდან გამოიქცა! განა ოლეგი მიატოვებდა დედას? მასზე ძვირფასი არავინ ჰყავდა. სტასია კი გამოიქცა. რაც მოხდა ეს?

როგორც, საფრონოვმა იწინასწარმეტყველა. გოგო-ბიჭები გატაცებით მოჰყვნენ ფილოსოფოსობას მომხდარი ამბის თაობაზე. ამ ჩვევამ — ყველაფრის განსჯა-განხილვის სურვილმა — მტკიცედ შეაკავშირა ვერა, ელენა, ფედია, გენადი და ბორია. მათ რიგებში არ შედიოდა მხოლოდ სტასია, მაგრამ ბოლო დროს ისიც ინტერესით უგდებდა ხოლმე ყურს ამხანაგების კამათს.

— რატომ მოხდა ეს ამბავი? — ცხარედ გაიმეორა ფედიამ.

— იცი, რა ფედია, შეიძლება სტასია არ იყო მართალი. მაგრამ მე მესმის მისი. ასეთ მშობლებს ალბათ მეც გავექცეოდი, — თქვა ელენამ. — სტასიამ მიამბო, რომ ირმა სერგეევნა ურჩევს თურმე, უმაღლეს განათლებაზე ფიქრით თავი არ შეიწუხო. ისა სჯობს, კარგ საქმროზე იზრუნოო.

— მერე მამამისი რას ამბობს? — იკითხა ჩერნილინმა.

— მამამისისთვის სულ ერთია, მხოლოდ ის ადარდებს, რომ სტასიამ კარგად ჭამოს, თბილად ჩაიცვას და ჯანმრთელი იყოს! — განაგრძობდა ელენა.

— წინათ სტასია არ დაფიქრებულა ასეთ საკითხებზე, — თქვა ფედიამ. — ახლა კი ბევრი რამ გაიგო. ცუდად იმიტომ სწავლობდა, რომ პატარაობიდანვე ჩასჩიჩინებდნენ, მეცადინეობით ნუ დაიღლები, თორემ თავი აგტკივდებაო, უფრო მეტი უნდა იძინო, თორემ გახდებიო. სტასია ცუდი საამხანაგო იყო იმიტომაც, რომ მშობლებმა ჩააგონეს, შენა ხარ რაცა ხარო... ძალიან კარგად მოხდა, რომ ბოლოს და ბოლოს მშობლებთან საერთო ენა ვერ იპოვა.

— რატომ მოხდა კარგად?

ფედიამ სავსებით სერიოზულად მიუგო:

— იმიტომ, რომ სტასია მათ ბანაკში გადავიდოდა.

— მე პიონერთა ბანაკი ვიცი, — წამოიძახა ვოლოდკამ, ყველას გაეცინა.

ელენა ფედიასთან მივიდა და მხარზე ღიმილით შეახო ხელი.

— ფედია, თემა „ოლეგი და დედაძისი" შენ გქონდეს, შენ უკვე დაწერ.

ამ დროს ოქსანა ტარასოვნა შემოვიდა და თქვა, სუფრის გაშლას ვაპირებო.

— მერე, მამას არ დავუცადოთ? — ჰკითხა ვერამ.

— ეტყობა, დააგვიანდება, — მიუგო ოქსანა ტარასოვნამ.

— არა, როგორ შეიძლება. უმისოდ? უნდა დავუცადოთ. — უთხრა ვერამ.

— მოვიდა! — შესძახა ფანჯარასთან მდგარმა ფედიამ.

... ამასობაში სტასია ისევ ისე იჯდა, როგორც ვერამ დატოვა, მაგიდის კიდეზე იდაყვებდაყრდნობილი. მან დაწვრილებით წარმოიდგინა თავის ბოლო ჩხუბი დედასთან და ხელახლა განიცადა ყველაფერი.

სტასია სვერჩკოვებთან წამოსასვლელად ემზადებოდა. სარკის წინ ტრიალებდა და ახალი თმის ვარცხნილობას იგონებდა. ირმა სერგეევნა ახალთახალ ვარდისფერ კაბას უუთოებდა.

— შითხარი, ვინ იქნება დღეს ვერასთან? — დაინტერესდა დედა.

— ისევ ისინი: ფედია, საფრონოვი, ელენა, ჩერნილინი.

— მაშ დაწყვილებულხართ... შენი წყვილი, რა თქმა უნდა, ნოვიკოვი იქნება, არა?

— რატომ დავწყვილებულვართ? — გაოცებით ჰკითხა სტასიამ. — ჰო, მართლაც ასე გამოდის — სამი გოგო და სამი ბიჭი ვიქნებით. მაგრამ ეს შემთხვევით მოხდა, დედა!

— შემთხვევით! — თქვა ზიზღით დედამ. — მერე რა ნახე საინტერესო ამ ძუძუმწოვრების საზოგადოებაში?

სტასია ისე გაოცდა, უნებლიეთ დაჯდა კიდეც.

— მაშ, რა საზოგადოება მჭირდება მე? — ჰკითხა, ცივი სიჩუმის მერე.

დედამ კაბა სკამზე მიაგდო და მრისხანედ უთხრა:

— იმ ცინგლიან ფედიასათვის შეგიძლია არც ჩაიცვა ეს კაბა!.. დღეს ოფიცერთა სახლში ბალ-მასკარადია. იქ წასულიყავი, სოლიდური ხალხი მაინც დადის...

სტასია წამოდგა, აიღო კაბა და წასვლა დააპირა, მაგრამ კარში შეჩერდა და ცრემლნარევი ხმით დაიყვირა:

— ფედია ასჯერ სჯობს სხვებს! დიახ! შენ თექვსმეტი წელია არ გიმუშავნია და არ გესმის, რითი ცხოვრობს ახლა ხალხი!

თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ასეთი კინკლაობა დედა-შვილს ხშირად ჰქონდათ, მაგრამ ამ დღეს სტასიამ საბოლოოდ უცხოდ იგრძნო თავი ოჯახში. მას არ ეზიზღებოდა დედის, დედასაც არა გაეგებოდა რა მისი. სტასიას არ შეეძლო დედისათვის ეპატიებინა, ასე აგდებით რომ იხსენიებდა ფედიას. „სხვა დედას ვაუხარდებოდა ასეთი მეგობრობა, — ფიქრობდა სტასია. — ფედიამ შემაყვარა სკოლა, მასწავლა ამხანაგების დაფასება, დამეხმარა საკუთარ თავში გავრკვეულიყავ“.

მაგრამ ირმა სერგეევნას გული უგრძნობდა, რომ ვინმე სხვა კი არა, ფედია აშორებდა თანდათან მას სტასიას, ამიტომაც განსაკუთრებულ მტრობას მის მიმართ გრძნობდა.

ყველაფერს, რაც კი ოჯახში ხდებოდა, სტასია ახლა სულ სხვა თვალით უყურებდა. იგი მამას ედავებოდა, უარყოფდა მის შეხედულებას, რომ საჭიროა ადამიანმა ფულიანი საქმე აირჩიოსო.

— ის საქმე უნდა აირჩიო, რაზედაც გული მიგიდის! — ყვიროდა გოგო. — არ შეიძლება ფულისთვის გაყიდო თავი.

სტასია ჯავრობდა დედაზე, როცა იგი რაღას აღარ იგონებდა, რომ შვილი საზოგადოებრივი საქმისაგან დაეცვა.

— მეშჩანები ხართ! სული მეხუთება თქვენთან! — უთხრა ერთხელ სტასიამ დედ-მამას. ეს ფედიას სიტყვები იყო, მისი ოჯახის მისამართით თქმული.

... სუფრასთან დაჯდომას სტასია იმ პირობით დათანხმდა, რომ ვერა თავის მშობლებს არაფერს ეტყოდა. მაგრამ ტროფიმ კალინოვიჩსა და ოქსანა ტარასოვნას ასე იოლად ვერ გააცურებდი, მაშინვე შენიშნეს, რომ სტასია რაღაცით გულდამძიმებული იყო და ამხანაგებს შორის ჩვეულებრივ არ მხიარულობდა.

როგორც კი სუფრაზე მეორე თავი საჭმელი მოიტანეს, კირილოვნა ოქსანა ტარასოვნასთან მივიდა და უთხრა, თქვენ ან ტროფიმ კალინოვიჩს ვიღაც ქალი გკითხულობთო. სტასია გაფითრდა, უნებლიეთ წინ გადაიწია და იკითხა:

— როგორი ქალია, კირილოვნა?

— თეთრფერვანი, სანდომიანი ქალია, — მიუგო დედაბერმა.

სტასიამ შვებით მოითქვა სული.

— სთხოვე, აქ შემოვიდეს, კირილოვნა, — უთხრა გენერალმა და წამოდგა.

— ვთხოვე, მაგრამ არ მოდის.

ტროფიმ კალინოვიჩი გავიდა. პარმაღზე ფადეევა იდგა, თეთრი პალტო ეცვა და ფართოფარფლიანი ჩალის შლიაპა ეხურა.

— აგრიპინა ფიოდოროვნა, — წამოიძახა გენერალმა და ხელი გაუწოდა. — გთხოვთ მობრძანდეთ, — გენერალმა ფართოდ გაუღო კარი.

— თქვენთან ჩემი მოწაფეები არიან, — ფადეევამ გენერალს ხელი ჩამოართვა. — ჯერ არ მინდოდა მათთან შეხვედრა.

გენერალმა ფადეევა კაბინეტში შეიყვანა და სასადილო ოთახშიც შეიხედა.

— ცოტა ხანს არ მცალია, — თქვა მან. — უჩემოდ ისაუზმეთ, — და კაბინეტისაკენ გაეშურა.

იქ, სავარძელში მყუდროდ მოკალათებულიყო, ყოველთვის მშვიდი, ჯან-ღონით სავსე და ლამაზად ჩაცმული აგრიპინა ფიოდოროვნა. გენერალმა უნებლიეთ იფიქრა, ამ ქალს გარეგნობაც კი პედაგოგის შესაფერისი აქვსო. რაღაც საოცარი ნათელი სიმშვიდე გამოსჭვიოდა მისგან. ჯანსაღი, სადა, სხივმფინარი გარეგნობისა იყო.

— იძულებული გავხდი, ძალზე მნიშვნელოვანი საქმისთვის მომეცდინეთ, — დაიწყო აგრიპინა ფიოდოროვნამ. — ჩემთან ახლა ირმა სერგეევნა ნოჩკა იყო. მისი სტასია სახლიდან წამოვიდა სამუდამოდ და მაგიდაზე, აი, ეს წერილი დატოვა.

აგრიპინა ფიოდოროვნამ ჩანთიდან სტასიას წერილი ამოიღო.

— „მივდივარ და აღარასოდეს დავბრუნდები, რადგან თქვენთან სული მეხუთება“. — წაიკითხა ხმამაღლა გენერალმა და ხელები გაასავსავა: — ჰო-ჰო...

— როგორც ხედავთ, მძიმე მდგომარეობაა, — თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ. — აუცილებელია საჩქაროდ მოიძებნოს გამოსავალი. მე ირმა სერგეევნას დავპირდი, ხვალისათვის მაინც დაგიბრუნებ-მეთქი შვილს. ჰოდა, აი თქვენთან დახმარებისათვის მოვედი... საჭიროა ბავშვებმაც დამიჭირონ მხარი. მათ დიდი გავლენა აქვთ სტასიაზე. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ...

კაბინეტამდე ხარხარმა მოაღწია. აგრიპინა ფიოდოროვნამ შიშით შეხედა კარს, ხმას დაუწია და განაგრძო:

— სიძნელე იმაშია, რომ ამხანაგები ალბათ ამარცხებენ სტასიას საქციელს. იმათ უნდა დაუმტკიცო, რომ სტასია არასწორად მოიქცა. სტასიას თუნდაც ჩემთვის რომ მოემართა, როგორმე მოვახერხებდი მისი მშობლების დარწმუნებას. ვეტყოდი, რაში არიან მტყუანნი...

აგრიპინა ფიოდოროვნა გაჩუმდა, მაგრამ უსიტყვოდაც, შეიძლებოდა იმის გაგება, თუ რაზე ფიქრობდა: იგი თავს ადანაშაულებდა, რომ დროზე ვერ მიაქცია ყურადღება სტასიას ოჯახს.

— ეი რას ვფიქრობ, აგრიპინა ფიოდოროვნა, — უთხრა ტროფიმ კალინოვიჩმა. — თქვენ ახლა პალტო გაიხადეთ და გამოვიდეთ ყმაწვილებთან. იქ ერთად ვიპოვით გამოსავალს.

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა ფადეევამ და წამოდგა. მან გაიხადა პალტო და გენერლის თანხლებით გავიდა სასადილო ოთახში.

მეგობრული, მხიარული შეძახილებით შეხვდნენ ყმაწვილები მასწავლებელს, წამოხტნენ და გარს შემოეხვივნენ.

როცა სიხარულის აღფრთოვანება მიყუჩდა და სუფრაზე წესრიგი დამყარდა, ელენა ვერასკენ დაიხარა და უჩურჩულა:

— მე მგონია, აგრიპინა ფიოდოროვნა ტყუილად არ მოვიდოდა აქ.

— შენ გგონია, სტასიას გამო მოვიდა, არა? — კითხვით მიუგო ვერამ.

ელენამ თავი დაუქნია.

ასეთივე აზრმა გაურბინა სტასიასაც, შეშფოთებით შესცქეროდა ფადეევას, მაგრამ იგი, ვითომც არაფერიო, ოქსანა ტარასოვნას ემასლაათებოდა და შიგადაშიგ მშვიდად ათვალიერებდა მოწაფეებს.

მალე სტასია მთლად დამშვიდდა. ახლა აღარც შინიდან წამოსვლა აშფოთებდა და არც ფადეევას მოულოდნელი გამოჩენა. გამხიარულდა კიდეც და კისკისებდა ჩერნილინის ხუმრობაზე.

ნასადილევს ყველანი კაბინეტში შევიდნენ. ვერა როიალს მიუჯდა და ფოქსტროტი დაუკრა. სტასიამ ჩერნილინს დაუწყო ცეკვის სწავლება. გენერალმა ელენა გაიწვია საცეკვაოდ, ფედია კი აგრიპინა ფიოდოროვნას მიეახლა.

— იქნებ გენა გამოგყვეთ საცეკვაოდ, — თქვა ფადეევამ და წამოდგა. — თორემ მეწყვილე არა ჰყავს.

— მე არ ვცეკვავ, — ტუჩები დაებრიცა საფრონოვს.

— რატომ მერე, — უთხრა აგრიპინა ფიოდოროვნამ, — ცეკვა ეშვენიერი დასვენებაა.

მასწავლებელმა და ფედიამ გატაცებით დაიწყეს ცეკვა. ცეკვის დროს აგრიპინა ფიოდოროვნამ ჩუმად უთხრა:

— როგორ გგონიათ, ფედია, სტასია ხომ უეჭველად უნდა დაბრუნდეს შინ?

— მეც ერთთავად მაგაზე ვფიქრობ, მაგრამ არ ვიცი, რა ეშველება სტასიას. განა შეიძლება მისი მშობლების ხელახლა აღზრდა? აძას სტასიას, მე ან საფრონოვს თუ მოგვიხერხებთ...

— ხელახლა აღზრდა ყველასი შეიძლება, — მიუგო აგრიპინა ფიოდოროვნამ.

ელენა და გენერალი ცეკვას მორჩნენ და ფედიასა და ფადეევასთან შეჩერდნენ, ოთახის კუთხეში.

— ვხედები, რაზედაც ლაპარაკობთ, — უთხრა ფედეევასა და ნოეიკოვს გენერალმა. — გპირდებით, რომ სტასიას მშობლებზე გაელენას მოვახდენ. რა თქმა უნდა, ლენოჩკაც მხარს დაგვიჭერს.

ელენა გაწითლდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ტროფიმ კალინოვიჩისთვის არ უნდოდა ეწყენინებინა, თორემ თვითონ დარწმუნებული იყო სტასიას სიმართლეში და ცეკვის წინ კიდეც შესთავაზა. ჩემთან იცხოვრეო.

ცეკვის შემდეგ ოქსანა ტარასოვნამ სტუმრები ჩაიზე მიიწვია. ფადეევამ და გენერალმა ელენა კაბინეტში შეაჩერეს.

— მე მგონია, სტასია მართალია, — თავისას არ იშლიდა ელენა, როცა საუბარი სტასიაზე ჩამოვარდა. — აბა ერთი იფიქრეთ, კომკავშირში შესვლის უფლებას არ აძლევენ, არ გადაიღალოსო...

— ჰო, მაგრამ, ლენა, ჯერ არავის უცდია მათი სერიოზულად დარწმუნება, რომ არ არიან მართალნი. გარდა ამისა, ერთი იფიქრე, როგორ უნდა იცხოვროს სტასიამ? — უთხრა ფედიამ

აგრიპინა ფიოდოროვნამ სიხარულით დაუქნია თავი. ძალზე საგულისხმო იყო მისთვის ფედიას მიმხრობა.

ფედიას სიტყვებმა ელენას ეჭვი ჩაუნერგა.

— რასაკვირველია, ოჯახში ცხოვრება ბევრად უკეთესია. —

თქვა მან. — იქნებ მართლაც ვეცადოთ და ნოჩკები გავარკვიოთ, რაში ტყუიან? ოღონდ ისინი ჩვენ არ დაგვიგდებენ ყურს. არც თქვენ, აგრიპინა ფიოდოროვნა... — ელენამ აღარ დაამთავრა სათქმელი. მოაგონდა, რა აგდებით იხსენიებდა მასწავლებლებს სტასიას დედა.

— ეს მხედველობაში მაქვს, ლენა... ნოჩკებს ისეთ კაცს მივუგზავნით, რომელიც, მათი შეხედულებით, პატივისცემის ღირსია,— აგრიპინა ფიოდოროვნამ სიცილით შეხედა გენერალს. — ტროფიმ კალინოვიჩს ვთხოვთ.

— ასე, რა თქმა უნდა, გამოვა საქმე. მაგრამ სტასიას დაბრუნების ხათრით ისინი თავს მოიკატუნებენ, მერე კი ისევ ისე მოიქცევიან, — გამოთქვა შიში ფედიამ.

— ჩვენ მხედველობის არედან არ დავკარგავთ მათ, — მიუგო აგრიპინა ფიოდოროვნამ. — ტროფიმ კალინოვიჩი პირველ რიგში ეცდება ნოჩკებს დაუმტკიცოს, რომ საბჭოთა პედაგოგი პატივისცემის ღირსია, მაშინ მეც აღარ გამიჭირდება მათთან ლაპარაკი. ასეთი დამხმარეებით კი — ფადეევამ თვალი მოავლო გენერალს, ელენას, ფედიას, — მთას გადააბრუნებს კაცი.

გენერალმა მორჩილად გაშალა ხელები:

— მე მზად ვარ. ეტყობა, მალე მომიწევს ჩემი სპეციალობის შეცვლა-პედაგოგის სპეციალობაზე, — ჩაიცინა მან.

— თქვენ უკვე ხართ პედაგოგი, — თქვა აგრიპინა ფიოდოროვნამ და შენიშნა, რომ გენერალს ეამა ეს.

— ახლა ვერას უნდა გავუწიოთ აგიტაცია, — თქვა ფედიამ. — ეს საქმე ელენას დაევალოს, ჩერნილინს კი მე მოველაპარაკები.

— შშვენიერია! — შესძახა გენერალმა. — წადით, ლენოჩკა, წადით, თორემ შეამჩნევენ ჩვენს არყოფნას.—გენერალმა მსუბუქად უბიძგა კარისაკენ ელენასა და ფედიას.

* * *

ფედია შინ აღელვებული დაბრუნდა. უკვე გვიანი იყო, მაგრამ ვასილინა მიხაილოვნა ელოდებოდა შვილს და არ დაწოლილიყო. ფედიამ ფეხაკრეფით გაიარა ოთახი, რომ დები არ გაეღვიძებინა,

მაგიდაზე ფრთხილად დადო ჟურნალი, ხელით მოიხმო დედა და სამზარეულოსაკენ გაემართა.

— იცი, დედა, სტასია წამოვიდა მშობლების სახლიდან.

— რას ამბობ, ფედიუშკა, რას ხუმრობ! — უნდობლად შეეპასუხა ვასილინა მიხაილოვნა, ტაბურეტზე დაჯდა და ჩვეულებისამებრ ხელისგულები მუხლებზე დაიწყო.

— ნეტა ხუმრობა იყოს, დედა! — ფედიამ დედას ყველაფერი უამბო.

ვასილინა მიხაილოვნა აღელდა. ლოყები წამოუწითლდა, თითებით მოუსვენრად ისწორებდა მუხლებზე კაბას.

— იცი, ფედიუშკა, მე ვხვდებოდი ამას, — ეუბნებოდა იგი შვილს — ერთხელ სტასიას ვუთხარი, შინ წასვლის დროა-მეთქი, დედაშენს შეეშინდება-მეთქი და ასე მიპასუხა: მეო, ვასილინა მიხაილოვნა, ყველგან უკეთ ვგრძნობ თავს, ვიდრე ჩემს სახლშიო. არასოდეს მომინდება ხოლმე შინ წასვლაო. ჰოდა, მაშინ იყო, რომ ვიფიქრე, ნეტა დიდი განხეთქილება კი არ მოუვიდეს მშობლებთან-მეთქი: გეგონება, გულმა მიგრძნოო...

ფედია და ვასილინა მიხაილოვნა შუაღამემდე სამზარეულოში ისხდნენ და სტასიასა და მის მშობლებზე ლაპარაკობდნენ. მერე კი, დასაძინებლად, რომ დაწვნენ, ვერ დაიძინეს.

ვასილინა მიხაილოვნას უნებლიეთ სიამაყის გრძნობა დაეუფლა თავისი მეგობრული ოჯახის გამო. უნდოდა სტასიას დედას შეევედროდა და ერჩია მისთვის, როგორმე სხვანაირად მოქცეოდა ქალიშვილს. უნდოდა სტასიას მოლაპარაკებოდა, დაერწმუნებინა, რომ მშობლებს უნდა დაუბრუნდეს.

თითქმის მთელი ღამე ოხრავდა ვასილინა მიხაილოვნა, გვერდიდან გვერდზე ტრიალებდა. შიშობდა, აგრიპინა ფიოდოროვნა ბავშვებს გადააბარებს სტასიას დარწმუნებას, შინ უნდა დაბრუნდეო, თავად კი დიდ მონაწილეობას არ მიიღებს ამ საქმეშიო. ფედია ამბობს, ელენა სტასიას მხარეს არისო და ვაითუ იმან ურჩიოს, მშობლებთან არ დაბრუნდეო.

დილით მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. ფედიასთვის არაფერი უთქვამს, სამუშაოდან დაეთხოვა და სტასიას სკოლაში წავიდა. „ფედია ამდენს ლაპარაკობს ხოლმე აგრიპინა ფიოდოროვ-

ნაზე... არა, მან უნდა შეარიგოს სტასია მშობლებთან", — ფიქრობდა ვასილინა მიხაილოვნა.

სკოლაში მან ფადეევას მისამართი გაიგო და შინ წავიდა მასთან.

აგრიპინა ფიოდოროვნამ თავად გაუღო კარი.

— მე ფედია ნოვიკოვის დედა ვარ, — გაუბედავად უთხრა ვასილინა მიხაილოვნამ.

აგრიპინა ფიოდოროვნამ ძველი ნაცნობივით გაუღიმა და ოთახში შეიპატიჟა. პატარა, სუფთა ოთახი ჰქონდა, სადად მოწყობილი. ნოვიკოვამ შენიშნა წიგნებით სავსე ორი კარადა. წიგნები საწერ მაგიდაზე და საწოლის მაღლა დაკიდებულ თაროზეც ეწყო.

ქალები მაგიდას მიუსხდნენ და ყურადღებით, დაუფარავი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ერთმანეთს.

— საჭირო საქმისთვის მოვედი თქვენთან, აგრიპინა ფიოდოროვნა, — დაიწყო ვასილინა მიხაილოვნამ. — ფედიუშკამ მითხრა გუშინ, სტასია ნოჩკა სახლიდან წამოვიდაო... ჩემზე ნუ გაბრაზდებით, თქვენ მასწავლებელი ხართ, მე კი ერთი უბრალო, უსწავლელი ქალი... მაგრამ თქვენ ასობით ბავშვი გაბარიათ, ყველას ვერ ინადევნებთ თვალს, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ გირჩიოთ... სტასია შეარიგოთ-მეთქი მშობლებთან. მარტო ბავშვები ვერაფერს გააწყობენ... მინდოდა თავად მივსულიყავი მათთან, მაგრამ მეშინია, საქმე არ გავაფუჭო. ისინი, როგორც ფედია ამბობს, თურმე უბრალო ხალხი როდია.

აგრიპინა ფიოდოროვნას სახე გაუბრწყინდა. რამდენიმე წამს სმას არ იღებდა, ფიქრობდა, ღირს თუ არა ვუთხრა ნოვიკოვას, რომ თავად უკვე მივიღე საჭირო ზომები სტასიას თაობაზეო.

— მადლობელი ვარ, ამხანაგო ნოვიკოვა, რჩევისათვის, — უთხრა მან, — ვეცდები სტასია ოჯახში დავაბრუნო და ნოჩკების ცხოვრებაც შევცვალო.

— აი კარგი საქმე! — გაუხარდა ვასილინა მიხაილოვნას და საჩქაროდ წამოდგა, ეშინოდა, ჩემი აქ ყოფნით მასწავლებელს ვაცდენო.

— არა, იჯექით, იჯექით! — შეაჩერა აგრიპინა ფიოდოროვნამ და ნოვიკოვა ისევ თავის ადგილას დასვა. — მე და თქვენ კიდევ ბევრი

გვაქვს სალაპარაკო. თქვენ უნდა მოგებაროთ სასწავლებლად: ხედავთ, რა ბიჭი გაზარდეთ!

— რას ამბობთ, ჩემგან რა გესწავლებათ! — მორცხვად უთხრა ვასილინა მიხაილოვნამ. მაგრამ მასწავლებლის სიტყვებმა სიხარულით აუვსო გული, თვალები გაუბრწყინდა და თავდაჭერილმა ღიმილმა უფრო ზეშთაგონებული გაუხადა სახე.

ძველი მეგობრებივით გულთბილად და უბრალოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

მეცხრამეტე თავი

სტასიას სვერჩკოვებთან ეძინა. სტუმრები რომ წავიდნენ, ბან ცრემლმორეულმა უამბო ოქსანა ტარასოვნას მომხდარი ამბავი. ოქსანა ტარასოვნამ სცადა დაეყოლიებინა მშობლებთან დაბრუნებაზე, მაგრამ სტასიამ გადაჭრით უარი თქვა. იმ წუთიდან, ჩემოდნით შინიდან რომ გამოვიდა, ერთთავად სევდიანი და დანაღვლიანებული იყო. ასეთი გრძნობა ჰქონდა მუდამ, როცა კარგად არ იქცეოდა ხოლმე.

დილით ვერასთან ერთად წავიდა სკოლაში. საკმარისი იყო, ამ მშობლიური ქვის შენობის ზღურბლზე გადაებიჯებინა, გულს მოეშვებოდა ხოლმე. ამხანაგებს ესალმებოდა, ყველანი მხიარულად ყიჟინებდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ყვებოდნენ, როგორ გაატარეს ზაფხული, სად იყვნენ, რა ნახეს... გოგონები უწინარეს ყოვლისა სუფთა, ნათელი ოთახისაკენ გაიქცნენ, რომლის კარზედაც ახლა ბრწყინავდა წარწერა: „9“ „ბ“ კლასი“. სტასიას აღარ უნდოდა, წინანდებურად უკან მჯდარიყო. მან ჩანთა მეორე მერხზე მიაგდო, მერხზე მუშტები ააბრახუნა და დაიყვირა:

— გოგოებო, ვინ დაჯდება ჩემთან?

მას თავზე გადაუარა და მერხზე დავარდა ახალთახალი წითელი ჩანთა, ხოლო გვერდით სახეაწითლებული მხიარული ვერა მიუჯდა.

— მე ვიქნები შენს გვერდით!

მერე მეცხრეკლასელები ჯგროდ გაცვივდნენ სკოლის დასათვალიერებლად. შარშან დერეფნებში არც ჭრელი ხალიჩა ეფინა, არც

კოხტად ჩამწკრივებული, თეთრსაფარგადაფარებული ყვავილებჩარიგებული თაროედები ეწყო.

გოგოებმა დარბაზში შეიხედეს. აქ სიგრილე და სიცარიელე სუფევდა. სცენაზე ახალი როიალი იდგა. გოგოები შეცვივდნენ დარბაზში და ცეკვას მოჰყვნენ. ვერა როიალზე უკრავდა, ხოლო ელენა კართან იდგა და არ უშვებდა ცნობისმოყვარე უმცროსკლასელებს, როიალის ხმაზე რომ მოირბინეს.

მალე ზარი აწკრიალდა. ყველანი მხიარული ჟრიამულით შეცვივდნენ კლასში და მერხებს მიუსხდნენ. ელენამ სულ ბოლოს შემოირბინა, მეორე რიგში მერხს მივარდა და გამოაცხადა:

— ევგენი ტიმოფეევიჩი მოდის!

მას მაშინვე შემოჰყვა მტკიცე ნაბიჯებით მომავალი ქიმიის მასწავლებელი ევგენი ტიმოფეევიჩი.

რამდენიმე თვე იყო, მოწაფეები არ შეხვედროდნენ მას და ახლაც, ისევე როგორც ყოველთვის, ვინც პირველად ხედავდა ამ მოხუც მასწავლებელს, გაოცებულები იყვნენ, რა ენერგიული და მხნე კაციაო. ევგენი ტიმოფეევიჩი შეყვარებული იყო ქიმიაზე და თავის სიყვარულს მოწაფეებსაც გადასცემდა ხოლმე. სკოლის დამთავრების შემდეგ თითქმის ნახევარი მე-9 „ბ“ კლასის გოგონებისა ქიმიის ფაკულტეტზე შესვლას აპირებდა.

— დასხედით, — თქვა ევგენი ტიმოფეევიჩმა და თავისი ნათელი ცისფერი თვალებით მკაცრი მზერა მოავლო მოწაფეებს. — მაშ, დავისვენეთ, ხომ, მოვიკეთეთ, დავჭკვიანდით! კეთილი! კეთილი! ახლა ისევ საქმეს მოვკიდოთ ხელი.

— ისევ საქმეს მოვკიდებთ ხელს! — ჩაიჩურჩულა სტასიამ და თავის ცხოვრებაში მეორეჯერ იგრძნო, რომ სწავლა სწყუროდა, ნამდვილად, გულით სწყუროდა, ნიშნის ხათრით კი არა, ცოდნის შესაძენად.

ვერამ ჩანთიდან ახალი ქიმიის რვეული ამოიღო, გადაშალა, მოხერხებულად მოეწყო თავის საყვარელ პოზაში — მერხის ზურგს გადააწვა და ახალი, საინტერესო, მნიშვნელოვანი ცნობების მოსასმენად მოემზადა... ვერამ იცოდა გულისყურის მიპყრობა იმ საქმისადმი, რასაც აკეთებდა. როცა მასწავლებელს უსმენდა, სხვაზე აღარაფერზე ფიქრობდა. სიცილით ეუბნებოდა ხოლმე ამხანაგებს: „მერხს რომ მივუჯდები და მოსასმენად მოვემზადები, თავი გამო-

მიცარიელდება ხოლმე, ახალი ცოდნის შესაძენად ვათავისუფლებ ადგილს, რომ უფრო ვრცლად და კარგად მოთავსდესო". და ის ახალი ცოდნა მის თავში მწყობრად ლაგდებოდა: ჯერ ყველაზე მთავარი რაც იყო, ის, მერე კი მეორეხარისხოვანი. არაფერი ავიწყდებოდა, არც ეპარებოდა.

სტასიას კი, პირიქით, არ შეეძლო რაიმე ერთი საგნისადმი მიეპყრო გულისყური. უსმენდა და ამ დროს ხატავდა, ხატვის დროს ნახატზე ფიქრობდა ან თავში ნაირ-ნაირი აზრები უფუთფუთებდა ხოლმე... თავის საფიქრალს ფიქრობდა და თან მასწავლებლის ახსნას უგდებდა ყურს.

— აბა, მზადა ვართ თუ არა? — იკითხა ევგენი ტიმოფეევიჩმა.

— მზადა ვართ, — ერთხმად მიუგო კლასმა.

— ვიწყებთ, — მხიარულად თქვა ევგენი ტიმოფეევიჩმა.

ამ დროს კარი გაიღო და კლასში სასწავლო ნაწილის გამგე მარინა ნიკოლაევნა შემოვიდა. ისეთი ნაბიჯებით დადიოდა, ისე ნელა მოძრაობდა და თმაც ისე გაჭაღარავებოდა, ეტყობოდა, კარგა ხნისა იყო. წყნარად მიესალმა მოწაფეებს და თქვა:

— უკაცრავად, ევგენი ტიმოფეევიჩ, წუთით შემოვედი. ნოჩკა, — მიუბრუნდა სტასიას, — სამასწავლებლოში წამოდით.

— კარგით! წამოვიდეს! — უკმაყოფილოდ თქვა ევგენი ტიმოფეევიჩმა და ისეთი სახე გაუხდა, თითქოს უეცრად კბილი ასტკივდაო. ვერ იტანდა, გაკვეთილს რომ შეაწყვეტინებდნენ.

სტასია მარინა ნიკოლაევნას გაჰყვა. ელენამ ვერას გადახედა.

სტასიამ იცოდა, რომ ქვემოთ დედამისი ელოდებოდა. ჩადიოდა კიბეზე, უყურებდა მარინა ნიკოლაევნას და ფიქრობდა, ალბათ, შემახურებს, შინიდან რად წამოხვედიო. მაგრამ მარინა ნიკოლაევნა დუმდა.

სამასწავლებლოში მართლაც ისხდნენ ირმა სერგეევნა და პაველ სემიონოვიჩ ნოჩკები. მათ კარგა ხანს ისაუბრეს აგრიპინა ფიოდოროვნასა და მარინა ნიკოლაევნასთან, დილით კი მათთან გენერალი სვერჩკოვი იყო.

სტასია გაფითრდა, კარში შეჩერდა და თავი ჩაჰკიდა. ირმა სერგეევნა ცრემლმორეული წამოხტა და მოეხვია შვილს. პაველ სემიონოვიჩი აღელვებული სრესდა რუხ შლიაპას. ისეთი განაწამები სახე ჰქონდა, ეტყობოდა, ღამით არ ეძინა. პატარა, საბრალო ჩანდა.

— ჩემო გოგო, მე და მამაშენმა ყველაფერი გაპატიეთ, ყველაფერი დავივიწყეთ, არაფერს აღარ დაგიშლით, ოღონდ შინ დაბრუნდი... — თქვა ვედრებით ირმა სერგეევნამ.

პაველ სემიონოვიჩმა შუბლი შეიჭმუხნა: მის ცოლს სულ სხვა რამ უნდა ეთქვა და სულ სხვას ამბობდა.

— სტასია, — უთხრა მან შვილს, — გენერალმა სვერჩკოვმა და შენმა პედაგოგებმა ბევრ რამეში გადაგვარწმუნეს, ბევრი რამ შენ თავად ვერ გაიგე ისე, როგორც სინამდვილეში იყო...

სტასია სმას არ იღებდა, უფრო და უფრო დაბლა წევდა თავს.

აგრიპინა ფიოდოროვნას, მარინა ნიკოლაევნასა და სტასიასაც კი მშვენივრად ესმოდათ, რომ ორჯერ მოლაპარაკება ნოჩკებს ვერ გადაარწმუნებდა. იქნებ ცოლ-ქმრის შეხედულებებში ბევრჯერ შეიპარა ბზარი ამ დღეს, მაგრამ მაინც პაველ სემიონოვიჩი ახლა ალალი გულით არ ლაპარაკობდა და ამიტომ ყველას წაუხდა გუნება.

გულღია საუბარი, ირმა სერგეევნას რომ წარმოედგინა, არ გამოუვიდათ. მარინა ნიკოლაევნა გავიდა ოთახიდან.

— მე მგონია, სტასია, შინ ყველაფერზე შეუთანხმდები მშობლებს, — უთხრა აგრიპინა ფიოდოროვნამ.

სტასია ატირდა და ოთახიდან გავარდა.

— მოვა, — თქვა მშვიდად ფადეევამ.

— არ მოვა, — ჩამწყდარი ხმით გამოესმაურა ირმა სერგეევნა.

— არ, მოვა, ჯიუტია ჩემსავით, — თქვა პაველ სემიონოვიჩმა და ხმაზე კაცი ვერ შეატყობდა, უხაროდა თუ არა ეს ამბავი.

სტასია საპირფარეშოში გაიქცა და იქ კარგა ხანს ტიროდა ფანჯარასთან მიმდგარი, მერე ასევე კარგა ხანს იბანდა ონკანზე პირს.

„ავდგები და ხიდიდან მდინარეში გადავვარდები“, — ფიქრობდა იგი. თუმცა იცოდა, რომ მდინარეში არასდროს დაიხრჩობდა თავს, მაინც ნათლად წარმოიდგინა, როგორ დაიხოცავდნენ თავებს მისი დედ-მამა. ჩვენ დავღუპეთ შვილო. წარმოიდგინა, როგორ შევა კლასში ვერა და იტყვის: „გოგოებო, იცით, სტასია...“ ველარ დაამთავრებს, რადგან ტირილი აუვარდება... სტასია ისევ ფშლუკუნებდა და ტიროდა, თავისი თავი, მშობლები, ამხანაგები ეცოდებოდა... ასევე იცოდა, რომ შინ დაბრუნდებოდა. იცოდა და უნდოდა კიდეც.

სტასიას მოაგონდა, რა ცუდად გამოიყურებოდა დედამისი, რა დამნაშავე, საბრალო შესახედავი იყო მამამისი. „მე ხომ მიყვარან ისინი“, — ფიქრობდა გოგო. — უნდა მცოდნოდა, რომ სულ ერთია, შინ დავბრუნდები, რადგან მე ელენა სტრელოვა როდი ვარ, ჩემისთანა დედას გოგო მარტო ვერ იცხოვრებს“.

სტასია მოულოდნელად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველაფერში თავად არის დამნაშავე. „მე ხომ არასოდეს მიცდია სერიოზულად დამერწმუნებია მშობლები, რაში ტყუოდნენ ისინი, არ მიცდია, დიდებისთვის მეთხოვა დახმარება“, — აყვედრიდა თავს იგი.

მერე ისევ თავისი თავის დაცვას მოჰყვა. „მე ყველაფერში მართალი ვარ, — ეუბნებოდა თავს. — დედამ მითხრა, აწი აღარაფერს დაგიშლითო. მაშასადამე, ამ ამბავში ჭკვიანურად მოვიქეცი. ახლა ერთ-ორ დღეს კიდევ არ წავალ შინ, ან ელენასთან დავიძინებ, ან ვერასთან, დე, ერთხელ და სამუდამოდ მიხვდნენ ჩემი მშობლები, რა მტყუანები არიან“.

სტასიამ ჯიბიდან პატარა მრგვალი სარკე ამოიღო და შიგ ჩაიხედა. სარკიდან ტირილით თვალებდასიებული ულამაზო, წითლად აფორეჯებული სახე შემოსცქეროდა. სტასიას ისევ შეეცოდა თავი. „აი რა დღეში ჩამაგდეს“, — გაიფიქრა და აფშლუკუნდა, გადაწყვიტა შესვენებამდე იქ დარჩენილიყო.

დიდხანს არ მოუწია ლოდინმა. ქვემო სართულში გაისმა ზარის წკრიალი, იგი მღეროდა სტასიას მიერ ჯერ კიდევ პირველ კლასში შეთხზულ სიმღერას:

დინ-დინ ვითამაშოთ,
დინ-დინ დავისვენოთ...
მერე მერხებს მივუსხდეთ —
სწავლა გავიხსენოთ...

უფრო და უფრო ხმამაღლა, უფრო და უფრო მხნედ წკრიალებდა ზარი, სტასია კი კართან იდგა და ყურს უგდებდა. აი, სადღაც ქვემოთ გაჯახუნდა კარი, აი, ზემოთა კარებიც გამოეხმაურნენ, აი, დერეფნის სამარისებური სიჩუმე გაჰკვეთა ხმაურმა, მერე ხმაური მაღლაც გაისმა, ქვემოთაც, დერეფნებში და კიბეებზე ფეხების ბრაგაბრუგი ატყდა და დერეფნები გამოცოცხლდა, ისმოდა სიცი-

ლი, სიმღერა. „რა კარგია! — გაიფიქრა სტასიამ და მასაც გამოუცოცხლდა გული, აუმღერდა, აუკისკისდა. — რა მშობლიურია ყოველივე, ჩემია — ზარის წკრიალიც, კარების ჯახუნიც, ხმაურიც. რა მეშველებოდა, სკოლა რომ არ მქონოდა?“ სტასიას აღარ უპასუხნია ამ კითხვისათვის, ამხანაგების საძებნად გაიქცა. მის შესახვედრად უკვე გამორბოდნენ ვერა და ელენა.

— ირმა სერგეევნა იყო? შერიგდით? — შორიდანვე ჰკითხეს მას.

სტასიამ უამბო ამხანაგებს, რაც მოხდა სამასწავლებლოში.

— დღესვე წადი შინ, — ერთხმად უთხრეს ელენამ და ვერამ.

— რატომ? — დიდგულად იკითხა სტასიამ.

— იმიტომ, რომ ყველაფერი კარგად იქნება... დედაშენი და მამაშენი უკვე ყველაფერს მიხვდნენ... — დარწმუნებით მიუგო ვერამ.

პასუხად სტასიამ იკითხა:

— ლენა, შეიძლება ამაღამ შენთან დავიძინო?

ვერამ მხრები აიჩეჩა, ელენამ კი მზადყოფნით მიუგო:

— რა თქმა უნდა, ძალიან მხიარულად გავატარებთ დროს.

...და, მაინც, როგორც არ უნდა ცდილიყო სტასია ჩაეხშო თავის არსებაში სინდისის ხმა, რომელიც აყვედრიდა, შინიდან რად წამოხვედიო, მეოთხე გაკვეთილზე უკვე ისე მტკიცე გახდა ეს ხმა, რომ გოგო მზად იყო, ახლავე შინ გაქცეულიყო. გარდა ამისა, თავისთვისვე მოულოდნელად სტასიამ ძალზე დიდი სიბრალული იგრძნო დედისადმი და მოუნდა ახლავე ენახა იგი. მაგრამ სტასია გაკვეთილების დამთავრებას დაელოდა, მერე ამხანაგების ჩუმად ჩაიცვა, სკოლიდან გამოვარდა, მოედანი გადაჭრა და სანაპიროს გაუყვა. იგი სირბილით შევარდა ეზოში და ისეთი კარგი, მშობლიური ეჩვენა იგი, რომ, თითქოს რამდენიმე წლის წასული ყოფილიყოს, ცრემლებად დაიღვარა. თურმე, აი, ამ პატარა ბილიკზე გადაუდგამს პირველი ნაბიჯები, ასე უამბობდა დედა... აი, აქ, სახლს უკან, სულ პაწაწა იყო, ნაფოტებისაგან სახლს რომ უგებდა თოჯინებს. აქ ყოველივე ენით აუწერლად ძვირფასი იყო მისთვის.

მეოცე თავი

ამ დღიდან მოყოლებული ნოჩკების ოჯახური ცხოვრება სხვა გზით წარიმართა. ირმა სერგეევნა სტასიას ახლა დილის ექვს საათზე აღვიძებდა, როცა მას მეცადინეობა სჭირდებოდა. საქმროებზე აღარაფერს ეუბნებოდა, მხოლოდ მალულად ოხრავდა ხოლმე, როცა თავის ქალიშვილს ნოვიკოვთან ან საფრონოვთან ხედავდა. ახლა, როცა საჭირო ხდებოდა სტასიას რაიმე საქციელის შეფასება ან რაიმე საკითხის ირგვლივ საკუთარი აზრის გამოხატვა, ირმა სერგეევნა სანამ რაიმეს იტყოდა, დიდხანს ფიქრობდა, ახსოვდა თავისი ხანგრძლივი საუბარი გენერალ სვერჩკოვთან და ფადეევასთან. მათ დაარწმუნეს ირმა სერგეევნა და პაველ სემიონოვიჩი, რომ ბრმა სიყვარულით მხოლოდ ვნება მოაქვთ შვილისთვის, რომ შეხედულებით და აღზრდის მეთოდებით ჩამორჩებიან თანამედროვე ცხოვრებას.

აგრიპინა ფიოდოროვნამ იცოდა, რომ სულის სიღრმეში ნოჩკები ბევრ რამეში ისევ თავისაზე იდგნენ. დიდი დრო იყო საჭირო ირმა სერგეევნას და პაველ სემიონოვიჩის ახლებურად აღზრდისათვის.

მაგრამ ფადეევა ხედავდა, რომ ცოლ-ქმარი მიხვდა, რაც არ უნდა ცდილიყვნენ, თავიანთი შეხედულებები ჩაენერგათ სტასიასათვის, ამაო იყო ყველაფერი.

სტასია ზეიმობდა. ასევე ზეიმობდნენ მისი ამხანაგ-მეგობრებიც. აგრიპინა ფიოდოროვნა საშველს არ აძლევდა თავის მოწაფეებს, ხან ცალკე გზავნიდა მათ სტასიასთან და ხან ჯგუფ-ჯგუფად

მან ირმა სერგეევნა სკოლის მშობელთა კომიტეტში შეიყვანა, რამდენჯერმე სთხოვა ტროფიმ კალინოვიჩს, შეევლო ნოჩკებთან, ხოლო ოქსანა ტარასოვნას — თავისთან მოეწვია ნოჩკები, როცა მათ ოჯახში ვერას ამხანაგ-მეგობრები შეიყრებოდნენ.

* * *

...შემოდგომის ზეცას სქელი ღრუბლები ფარავს. ღმუის ქარი და ცრის წვიმა. სკოლის დარბაზი ჩამოლამებულია. კომკავშირელი გოგოები საერთო კრებისათვის შეიკრიბნენ, ახმაურებულები,

ჯგუფ-ჯგუფად დგანან კედლებთან, დარბაზის შუაგულში, კარებში.

ელენა ცალკე მისჯდომია ფანჯარას, რომელიც ქუჩაში გადის. იქ ბრწყინავს სველი ასფალტი, რომელიც ტრამვაის რელსებს გადაუჭრია, გაბრწყინებულა მოპირდაპირე სახლის სახურავიც, თეთრად ქათქათებს მისი სველი, დალაქავებული კედელი, რომელსაც ქარიშხლისაგან მოგლეჯილი აბრა ეხათქუნება. აბრაზე წერია: „მთავარი ფოსტამტი“.

ფანჯრის იქით ბინდი დგას... ელენას გულიც ისევე ჩაბნელებულა, როგორც ეს ქუჩები. გოგო სადაცაა ატირდება. მთავარი ფოსტამტის თეთრი შენობა მშობლიურ სახლს აგონებს. აგონდება ალერსიანი, გულისხმიერი დედა, შიშითა და ძრწოლით აღვსილი დილა, ქვემეხების ქუხილი, ყუმბარების აფეთქების ხმა...

აღელვებული მამა საფეთქლებზე იჭერს ხელს... ეტყობა, თავი სტკივა. ნერვიული დაძაბულობის დროს სტკიოდა ხოლმე თავი. იგი პარტიის რაიკომის მდივანია. ათასობით ადამიანებს უნდა მისცეს საჭირო დარიგებები, ყუმბარას ააცდინოს ცოლი და ქალიშვილი. ქალაქი საზღვარზეა და სადაცაა მტერი შემოერტყმის ირგვლივ. აღარც ტელეგრაფი გააჩნიათ, აღარც ტელეფონი...

ხდება სასწაული — მამა ცეცხლის ზღვას გაარღვევს და ქალაქგარეთ გააღწევს, მანქანა გზატკეცილზე მიქრის... მამა თვითონ ზის საჭესთან, უკან ცოლ-შვილი უზის. მზე სქელ ღრუბლებს ეფარება და უცებ ამ დღისით-მზისით ყოველი მხრიდან შემოიჭრება ბინდი. ამოვარდება ქარი და წვიმა მიწიდან წარეცხს ხალხის დაღვრილ სისხლს. ისინი ემშვიდობებიან ერთმანეთს. მათ იციან, რომ სამუდამოდ ემშვიდობებიან და ხმას არავინ იღებს, არც იღიმება, შეუპოვრად ნებისყოფადაძაბულებს არც მამის მოტყუება შეუძლიათ, არც დედისა და არც ელენასი.

ელენას დედა საჭეს მიუჯდება და მანქანა ისევ ცოფიანივით მიქრის შარაგზაზე სხვა მანქანების ნაკადში. მამა კი ტყით უკან მიეშურება, ქალაქისაკენ.

„ჩემო ძვირფასო გოგონავ, — ხშირად ეუბნებოდა დედა ელენას, — შენი სახლი მარტო იქ კი არ არის, სადაც მე და შენ ვცხოვრობთ. შენი სახლია მთელი ჩვენი მშობლიური მიწაწყალი. თავს ნურასოდეს იგრძნობ იქ ეულად“.

ასე ამბობდა დედა, თითქოს გრძნობდა, რომ მისი ელენა მარ-

ტოდმარტო დარჩებოდა. 1943 წლის ოქტომბერში ელენას დედა საავადმყოფოში გარდაიცვალა. ხოლო იმ დღეებში, როცა საბჭოთა ქვეყანა მტერზე გაპარჯვებას ზეიმობდა, ელენამ მიიღო ცნობა, რომ შამამისი მაიდანეკის ბანაკში დაიღუპა.

სკოლა და კომკავშირული ორგანიზაცია გახდა მშობლიური სახლი ელენასათვის. მაგრამ მათ მაინც ვერ შეუცვალეს მშობლიური ალერსითა და ზრუნვით სავსე ნამდვილი სახლი: ელენა ნაღვლობს თავის სახლზე, მისტირის მას. ეს ნაღველი უმეტესად შემოდგომის ავდრიან დღეებში შემოაწვება ხოლმე გულს.

ნაღვლიანი ფიქრები ვერა სვერჩკოვას ხმამ შეაწყვეტინა.

— ამხანაგებო, — ამბობდა ვერა, რომელიც სცენაზე, მაგიდის იქით იდგა. — ჩვენი სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის საერთო კრებას გახსნილად ვაცხადებ.

ელენა უხმაუროდ მოსცილდა ფანჯარას, სახე ისევ მშვიდი და ნათელი გაუხდა. იქვე გვერდით სტასიას შეშფოთებულ თვალებს მოჰკრა თვალი და გამამხნევებლად გაუღიმა.

— გთხოვთ, დაასახელოთ თავმჯდომარისა და მდივნის კანდიდატურები, — თქვა ვერამ.

ვიღაცამ დარბაზიდან დაიყვირა:

— ვერშინინა!

— ვერშინინა, — თქვა ვერამ და თავად შესთავაზა: — სტრელოვა. — ვერა ხედავდა, რომ შემოდგომის ამ ქარიან დღეს ელენას ისევ მოგონებები აწამებდა და უნდოდა იგი ამ მდგომარეობიდან გამოეყვანა. — აბა, ვინ არის წინააღმდეგი?

დარბაზი ხმას არ იღებდა.

ელენა და ნატაშა ვერშინინა, პატარა, ფუნჩულა გოგონა, თოჯინასებური ვარდისფერი სახე რომ ჰქონდა, ერთთავად მცინარე, ლურჯი მრგვალი თვალები და ალისფერი ტუჩები, სცენაზე ავიდნენ.

იგი ელენას ჩურჩულით რაღაცას წაეკამათა, მერე მაგიდას მიუჯდა, თავისკენ მიიწია ქაღალდის ფურცელი და აიღო ფანქარი. მერე დარბაზში რაღაც შენიშნა სასაცილო, ჩაიფხუკუნა და პირზე ხელისგული აიფარა.

ელენამ ფეხზე დგომითვე გამოაცხადა:

— დღის წესრიგში ორი საკითხი გვაქვს. პირველი — ამხანაგე-

ბის ნოჩკასა და პეტროვის კომკავშირში მიღება და მეორე — სვერ-ჩკოვას მოხსენება ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეათე წლისთა-ვისათვის მზადების თაობაზე. რაიმეს ხომ არ დაამატებდით ან შეცვლიდით?

დარბაზი დუმდა.

— საინტერესოა, — არავისთვის მიუმართავს, ხმადაბლა ჩაილა-პარაკა მერხზე მჯდომმა მეათეკლასელმა ნინა ივანოვამ, — ამ ქა-რაფშუტა ნოჩკას კომკავშირში შესვლა გადაუწყვეტია! რაღად ეღი-რება კომკავშირი, თუ იქ მაგისთანები იქნებიან... — წუხილით ამო-ოიოხრა მან.

ელენამ გაიგონა მისი ნათქვამი და მკაცრად თქვა:

— შეწყვიტეთ ლაპარაკი.

— ეს გოგო უეჭველად გაუთხოვარი დარჩება, — წასჩურჩულა ნატაშამ ელენას და ხმამაღლა ჩაიხითხითა.

ელენა უყურებს ივანოვას და უნებლიეთ ეღიმება. ნინა გამხდა-რი, ფერმკრთალი და აწოწილი გოგოა, თმა სადად აქვს ავარცხნილი მაღლა. ძალზე ფაქიზად არის ჩაცმული. თეთრი, ქათქათა, დახურუ-ლი საყელო თითქმის ყურებამდე სწვდება, გრძელი სახელოები ხე-ლის მტევნებამდე აქვს ჩამოშვებული.

— შევუდგეთ პირველი საკითხის განხილვას — კომკავშირში ანასტასია ნოჩკას მიღებას, — ელენამ მაგიდიდან აიღო განცხადება და ანკეტა და ხმამაღლა წაიკითხა.

სტასია მაგიდასთან გადის. პირველად ცოტათი ირცხვენს, რად-გან დარბაზში მსხდომი გოგოები ცნობისმოყვარეობით ათვალიერე-ბენ. მათ ბევრჯერ უნახავთ სტასია სცენაზე. სიცოცხლით სავსე, ბედნიერი, ბოშა ქალის კოსტიუმში ან კიდევ რუსულ სარაფანში გამოწყობილი, თავდავიწყებით ცეკვავდა ხოლმე და მაყურებელს ვერ ამჩნევდა. ახლა კი წითლდება, მორცხვობს და არ იცის, სად წაიღოს ხელები.

ნინა სტასიას თეთრ თითზე ოქროს ბეჭედს ამჩნევს და მთელი დარბაზის გასაგონად ხმამაღლა ოხრავს. ნატაშა პირზე ხელს იფა-რებს.

მაგრამ სტასია მხოლოდ პირველად ირცხვენს. წუთის შემდეგ ხელებს მშვიდად უშვებს. იგი შესცქერის სახეში მასზე მიჩერებულ გოგოებს და ფიქრობს: „საშიში რა მაქვს? ესენი ხომ ისევ ის სასა-

ცილო, კარგი გოგოები არიან, შესვენებაზე რომ სულელობენ ხოლმე და გაკვეთილზე ორიანის მიღებაზე ტირიან...“ და სტასია გრძნობს, რომ ამიერიდან იგი უფრო დაუახლოვდება მათ, სკოლაც უფრო მეტად მშობლიური გახდება მისთვის.

— შეკითხვა ხომ არა გაქვთ სტასია ნოჩკასთან? — კითხულობს ელენა.

— რატომ ამდენ ხანს არ შეევიდა კომკავშირში ნოჩკა? — კითხულობს ივანოვა ისეთი ტონით, თითქოს სურს, რომ სტასია რაიმე ცუდ საქციელში გამოიჭიროს.

სტასიას ხელები ისევ ვერ პოულობენ ადგილს. შეიძლება რამდენიმე სიტყვით გასცე პასუხი, მაგრამ სტასიას რცხვენია თავისი მშობლების მაგიერ და მათ არ ახსენებს.

— ბრიყვი ვიყავი და კომკავშირის მნიშვნელობა არ მესმოდა.— წყნარად პასუხობს იგი.

— ახლა უცებ როგორ მიხვდი? — არ ეშვება ნინა და უფრო და უფრო აღიზიანებს სტასიას თითზე გაკეთებული ბეჭედი, მისი მბრწყინავი ქვა თვალებს უჭრელებს. ერთი კაცმა უნდა ჰკითხოს: რატომ გაიკეთე სკოლაში ბეჭედიო? მაგრამ ეს ძალიან დაწვრილმანება გამოვა... არა უშავს, ამ ქარაფშუტა სტასიას სხვა რამეში გამოიჭერს...

— რატომ მაინცადამაინც ახლა მივხვდი? — კითხვასვე უბრუნებს სტასია. იგი უცებ სცენის კიდემდე მიდის, ხელებს გულზე იჭერს და ცხარედ და აღელვებით ლაპარაკობს: — იცით, რას გეტყვით, გოგოებო, მე ჩემზე კი არა, ჩემს ძვირფას მეგობრებსა და ამხანაგებზე გიამბობთ, ჩვენს შესანიშნავ მასწავლებელ აგრიპინა ფიოდოროვნაზე და ჩემს მშობლებზედაც კი გეტყვით, რომ ეს მათი დამსახურებაა, ასე რომ გამოვიცვალე.

სტასია სულს ითქვამს, ბევრი რამის თქმა უნდა და ისიც აღელვებული უბრალოდ ჰყვება, როგორ გადაარწმუნა ბევრ რამეში ფედიამ, როგორ ეკამათებოდნენ ხოლმე ელენა და ვერა, რა ბევრი დრო დაკარგა ნოჩკების ოჯახზე აგრაპინა ფიოდოროვნამ, ვერას მშობლებმა, ფედიას დედამ.

გოგოები არც ინძრევიან, ისე უსმენენ. სტასიას სიტყვები ყველას აღელვებს. ნინაც კი ნაზადა მიჩერებია. სტასიამ რომ ლაპარაკი დაიწყო, მისი ბეჭდის ქვაც თითქოს გამქრალდა და ნინას

თვალს აღარ სჭრის, ხოლო ლაპარაკს რომ მორჩა, ბეჭედი თითქოს სულაც გაქრა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. მერე გაისმა ელენას ხმა:

— კიდევ ვისა აქვს შეკითხვა?

დარბაზში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

— შეკითხვები არ არის, — თქვა ელენამ. — რა წინადადება გაქვთ?

ნინა ივანოვა წამოდგა. ნატაშამ შიშით შეხედა, თვალები და ტუჩები აღარ უცინოდნენ.

— წინადადება შემომაქვს, სტასია ნოჩკა კომკავშირში მივიღოთ, — თქვა ნინამ.

— ვინ არის ამ წინადადების მომხრე? — კითხულობს ელენა.

ხმაურით იწევენ ხელებს მაღლა.

— წინააღმდეგი ვინ არის? არავინ. — ელენას აღარ შეუძლია სიხარულის ღიმილის შეკავება. — ერთხმად მიგიღეთ კომკავშირში, — მიუბრუნდა იგი სტასიას, მერე უცებ მაგიდიდან წამოხტა და ლოყაზე აკოცა გოგოს. მერე ისევ თავის ადგილას დაბრუნდა, ცოტათი დარცხვენილი თავისი ასეთი აფეთქებით, და უკვე მშვიდად განაგრძო კრების გაძღოლა.

მაგიდასთან ოლია პეტროვა გამოვიდა. გრძელნაწნავებიანი. შავგვრემანი გოგო. სტასია კი რამდენიმე წამს კიდევ იდგა ჩაფიქრებული.

ჩუმმა, ნათელმა სიხარულმა აიტანა. იგი უკვე კომკავშირელია. ნამდვილი წარმომადგენელია თავისი ეპოქისა, როგორც ფედია ამბობს. მართალია, ეს თავისნაირმა გოგოებმა აღიარეს... მაგრამ ისინი უფროსებზე ცუდად როდი გრძნობენ სიმართლეს. მათ ვერ მოატყუილებ... და სტასიას ეჩვენება, რომ მათ შორის ზის ერთი მაღალი, ბიჭივით თმაშეკრეჭილი გოგოც. იგი სერიოზულად შესცქერის სტასიას და თავს უქნევს. „აი, ისიც... — ფიქრობს სტასია. — იგი ჩვიდმეტი წლისა დაიღუპა სამშობლოსათვის. მაგრამ რატომ აქვს მას ვერას თვალები? ეს ხომ ვერაა!“ მაგრამ მისი თვალების პატიოსანი, ცეცხლოვანი გამოხედვით სტასია გრძნობს, რომ ვერაც, ზოიასავით, სიცოცხლეს ამაყად შესწირავდა საზიზღარ მტერთან ბრძოლას და სტასიას წარმოსახვაში ამოცურდება ოლეგის, ულიანას, ლიუბკას, ლიზა ჩაიკინას სახეები. სურს, ისევ სცენის კიდეში

გავიდეს და ამ შესანიშნავ კომკავშირელთა ხსოვნა დაიფიცოს, რომ არც თვითონ შეარცხვენს კომკავშირის სახელს.

— სტასია, მოდი, აქ დაჯექი, — სიცილით ეუბნება ნატაშა.

მაგრამ სტასია უკვე სცენის საფეხურებიდან ძირს ეშვება. არა, ეს ოლეგ კოშევოი როდი შესცქერის დარბაზის სიღრმიდან... ზედ კართან იგი ფედიას ხედავს. სახეგაბრწყინებული და ბედნიერი სტასია მისკენ მიაბიჯებს. ფედია უსმოდ, მაგრამ მღელვარედ უჭერს ხელს ხელზე.

ოცდამეერთე თავი

ქალაქის მცხოვრებლები დამსახურებულად ამაყობდნენ თავიანთი მიწაწყლის სახელოვანი კაცით, მწერალ პეტრე პტახოვით. თუმცა ნაწყენებიც იყვნენ მასზე. ათი წელი იყო, რაც ამ ქალაქიდან წასულიყო, დასავლეთ ციმბირის მიყრუებულ სოფელში გადასახლებულიყო, რკინიგზიდან მოშორებით რომ მდებარეობდა, და მას შემდეგ ერთხელაც არ ჩამოსულა მშობლიურ ქალაქში. იგი ბევრს და თავაუღებლივ მუშაობდა. ათ წელიწადში დაბეჭდა ტრილოგია „ვაჟიშვილი“ და რომანი სამამულო ომზე „მარსი“, რომელიც განათლების სამინისტრომ მაღალი კლასების სასკოლო პროგრამაში შეიტანა.

წარმატებამ თავბრუ როდი დაახვია მწერალს. იგი ისევ მოკრძალებული, ირგვლივმყოფთათვის ყურადღებიანი კაცი იყო.

თვისტომნი გულმოდგინედ აღევნებდნენ თვალს პეტრე პტახოვის წარმატებებს და ამიტომ, ის რომ ჩამოვიდა, ქალაქში მხოლოდ ეს ეკერათ პირზე.

ქალაქში პტახოვი სამ დღეს დარჩა. არავინ იცოდა, რა მიზეზით ჩამოვიდა, მაგრამ ხედავდნენ ქალაქის ქუჩებში, მდინარის პირას, პარკში. როცა წავიდა, მხოლოდ მაშინ გაიგეს, რომ პტახოვს ჩაფიქრებული ჰქონდა ვრცელი მოთხრობის დაწერა თავის ბავშვობაზე.

როგორც კი პტახოვის ჩამოსვლის ამბავმა სკოლამდე მოაღწია, ვერა სვერჩკოვა სამასწავლებლოში გაქანდა. მარინა ნიკოლაევნა მაგიდასთან იჯდა და ქაღალდებს ქექავდა. წუთით მოწყდა საქმეს და ჰკითხა:

— რაო, სვერჩკოვა?

— მარინა ნიკოლაევნა! — უთხრა აღელვებულმა ვერამ. — ჩვენ გვინდა, რომ პტახოვს აუცილებლად მოვუწყოთ შეხვედრა.

მარინა ნიკოლაევნას გაეღიმა:

— ვეშვობ, რომ ეგ სურვილი განხორციელდეს.

— რატომ? — იკითხა გულგატეხილმა ვერამ.

— იმიტომ, რომ ალბათ ყველა სკოლა მიმართავს მას ასეთი თხოვნით.

— მაგრამ იგი ხომ ჩვენს სკოლაში სწავლობდა... — ცხარედ შეეპასუხა ვერა.

— ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო, — გაიღიმა მარინა ნიკოლაევნამ. — გარდა ამისა, ვერც მოიცლის ალბათ... თუმცა, რა, თქვენ თქვენი სცადეთ, — დაუმატა ბოლოს.

— მე ვეცდები, — თქვა დარწმუნებით ვერამ. — ნება მოგვეცით, მე და სტრელოვა ახლავე წავიდეთ სასტუმროში. გავიგეთ, რომ იქ დაბინავებულა თურმე.

— მერე, ახლა რომელი გაკვეთილი გაქვთ?

— გერმანულის.

მარინა ნიკოლაევნამ შუბლი შეიჭმუხნა. არ უყვარდა მოწაფეების გაკვეთილებიდან გაშვება.

— კეთილი, წადით.

ამ საუბრიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ვერა და ელენა ქუჩაში მირბოდნენ.

შუა შემოდგომა იდგა, ხეთა გატიტვლებულ ტოტებზე თოვლის ფიფქები და წვიმის წვეთები ცვიოდა. სველ ქვაფენილზე ფეხი ცურავდა.

— იცი, რა, — თითქმის ყურში ჩაჰყვიროდა მეგობარს ელენა,— მეცხრე სკოლას უნდა მოვლაპარაკებოდით და მათთან ერთად მოგვეწყო შეხვედრა, რომ საფრონოვს ენახა პტახოვი.

— მაგრამ ჩვენ შევეცდებით პტახოვი სასახლეშიც მოვიწვიოთ, — დაამშვიდა ელენა ვერამ.

— ვეცადოთ...

ელენა ძალიან წუხდა, ვაითუ ვერ შევძლოთ ასეთი მშვენიერი შემთხვევის გამოყენებაო. მერე რა კარგი იქნებოდა! პტახოვზე ამბობენ, მოკრძალებული, უბრალო კაციაო... გენადი პოეტად თვლის თავს, მწერლები კი, მისი წარმოდგენით, ჩვეულებრივ ხალ-

ხზე მაღლა დგანან, ამიტომაც ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე განსაკუთრებული იყოს. აქედან გამომდინარეობს მისი ყველა უამური თვისებაც.

ელენამ და ვერამ გზა გადაჭრეს და გულაკანკალებულები შეჩერდნენ რუხი შენობის წინ, მთელ კვარტალზე რომ გაჭიმულიყო.

— აქ რა გინდათ? — გაისმა უცებ საფრონოვის ხმა და გოგოებმა დაინახეს სასტუმროს კარში მდგარი გენადი.

— პტახოვთან მოვედით, — უთხრა ელენამ.

— პტახოვთან? — გაოცებით გაიმეორა საფრონოვმა. — რატომ მერე?

— გვინდა, ჩვენთან, სკოლაში მოვიწვიოთ. იგი ხომ ოდესღაც ჩვენს სკოლაში სწავლობდა... შენ რაღას აკეთებ აქ? — ელენამ ახედ-დახედა გენადის. „ეტყობა, გაკვეთილებიდან გამოპარულა და პტახოვს ელოდება“, — გაიფიქრა მან და უთხრა: — გენა, თუ გინდა, ერთად მივიდეთ პტახოვთან.

— აუცილებლად წამოვალ, — საჩქაროდ მიუგო საფრონოვმა, თითქოს ეშინოდა, გოგოები გადაიფიქრებენ და აღარ წამიყვანენო.

ვესტიბიულში შევიდნენ. აქ ერთმანეთის მოპირდაპირე კედლები სარკისა იყო. სამთავემ თავით ფეხამდე ჩაათვალიერეს ერთმანეთი.

— რა სასაცილოები ვართ, შეშინებულებს ვგავართ, — გაიღიმა ელენამ. — რა მოგივიდა, გენა, დღეს რომ პოეტს აღარ ჰგავხარ? თვალებს აქეთ-იქით აცეცებ, კეპი გვერდზე მოგქცევია, თმა აგჩეჩვია, — ელენა ფეხის წვერებზე შედგა და ფრთხილად გაუსწორა გენადის თმა.

ჩაუარეს მაგიდას, სადაც მორიგე უნდა მჯდარიყო. ერთი-ორი წუთი უცადეს, მერე გაუბედავად ავიდნენ მეორე სართულზე და დერეფანს გაუყვნენ.

სასტუმროში სიწყნარე იყო. კარებზე მკაცრი წესრიგით ეკიდა ნომრები და ბრწყინავდა დაწმენდილი სახელურები. ხალიჩა ნაბიჯების ხმას ახშობდა. დერეფნის ბოლოს შემოხვდათ კაცი, რომელსაც რუხი პალტო ეცვა და რუხი შლიაპა ეხურა.

— გვაპატიეთ, — უთხრა ვერამ, — ხომ არ იცით, რომელ ნომერში ცხოვრობს მწერალი პტახოვი?

კაცი შეჩერდა. ბნელოდა და სახეზე ვერ ხედავდნენ. ეტყობა, მას რაღაცის კითხვა სურდა, მაგრამ გადაიფიქრა.

— წამოდით, — უთხრა ყმაწვილებს და დერეფანს გაუყვა.

მან ხმისამოუღებლად გაიყვანა ისინი კიბის ბაქანზე და მესამე სართულზე აუძღვა. იქ ასეთივე დერეფანი იყო გაჭიმული, ასევე ბრწყინავდა სახელურები და ნომრები კარებზე. უცნობი შედგა კართან, რომელზედაც ეწერა 346, ყველას გასაოცრად ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ნომერი გააღო.

— მობრძანდით, — თქვა მან.

მაგრამ ელენა, ვერა და გენადი ისევ კართან იდგნენ.

— ჩვენ მწერალი პტახოვი გვინდოდა, — დარცხვენით უთხრა ელენამ, იფიქრა, ალბათ უცნობმა გვარი კარგად ვერ გაიგონაო.

— მე ვარ პტახოვი, — თქვა კაცმა და გაიმეორა: — შემოდით, გეთაყვა.

დიდ ოთახში შევიდნენ. შუაში, გაკრიალებულ ნოხზე იდგა მრგვალი მაგიდა, მასზე იყო ლარნაკი მინდვრის ყვავილების დიდი თაიგულით, მის გვერდით, პირდაპირ სუფრაზე ელაგა საოცრად დიდი და წითელი ვაშლები. მაგიდის ირგვლივ შემოწყობილი იყო რბილი სავარძლები, კედელთან კი ასეთივე დივანი იდგა. მეორე ოთახის კარი შეღებული იყო და იქიდან საწერი მაგიდის კიდე მოჩანდა.

პტახოვს, ეტყობოდა, სადღაც ეჩქარებოდა. პალტოსა და ქუდისათვის ხელი არ უხლია, სავარძელში ჩაჯდა და სტუმრებს დივანზე მიუთითა.

ელენა, ვერა და გენადი მორცხვად ჩამოსხდნენ დივანის კიდეზე და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ პტახოვს. არაფერი, სრულებით არაფერი იყო არაჩვეულებრივი ამ კაცის გარეგნობაში: ტანმორჩილი გახლდათ, გამხდარი, მკვირცხლი, ნერვიული მოძრაობები ჰქონდა და ნაცრისფერი მოუსვენარი თვალები. ათობით და ასობით ასეთი ადამიანი ყოველდღე ქუჩაში ხვდებოდათ ყმაწვილებს. საფრონოვს სულ სხვანაირი წარმოედგინა ეს დიდი მწერალი.

— გისმენთ, — თქვა პტახოვმა.

— ჩვენ... თქვენ... — დაიწყო ვერამ, მაგრამ შერცხვა.

— თქვენ, ეტყობა, მოწაფეები ხართ? — მიეშველა პტახოვი.

— დიახ, მეჩვიდმეტე ქალთა სკოლის მოწაფეები ვართ.

პტახოვმა გაიღიმა და თვალები მხიარულად, ცუღლუტი ბიჭივით გაუბრწყინდა.

— თქვენც? — ჰკითხა საფრონოვს.

— არა. — საფრონოვი გაწითლდა და გულახდილად გამოუტყდა: — მე, უბრალოდ, თქვენი ნახვა მინდოდა.

— თქვენ კი არაუბრალოდ გინდოდათ, არა? — ისეთივე ღიმილით ჰკითხა გოგონებს.

— გვინდოდა, ჩვენს სკოლაში მოგვეწვიეთ, — უთხრა ვერამ.— თუ შეიძლება, უარს ნუ გვეტყვით.

მეორე ოთახში ტელეფონმა დაიწკრიალა. პტახოვი საჩქაროდ წამოხტა და იქით მიაშურა.

— დიახ, პტახოვი ვარ. მოსკოვია? გისმენთ... მოსკოვი! მოსკოვი! ვინ ლაპარაკობს? გამარჯობათ, ფიოდორ ვასილევიჩ! საფრანგეთში? ჰო, ვიცი, აკი დეპეშაც გამოგიგზავნეთ. ზეგ მოსკოვში მივფრინავ და იმავ დღეს მზად ვიქნები საფრანგეთში გასამგზავრებლად.

ელენამ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ვერას.

— საფრანგეთში მიდის, — ჩაიჩურჩულა საფრონოვმა.

პტახოვი კარგა ხანს არ იღებდა ხმას, ეტყობოდა, მოსკოვიდან ლაპარაკს უსმენდა.

— კეთილი, კარგად ბრძანდებოდეთ, ფიოდორ ვასილევიჩ, — თქვა და ყურმილი დაჰკიდა.

მერე მობრუნდა და ისევ სავარძელში ჩაჯდა. რუხი შლიაპა უკან გადასწეოდა და ღრმა ნაოჭებით დასერილი დიდი, ჭკვიანური შუბლი მოუჩანდა.

— მაშ, მეჩვიდმეტე სკოლაში მიწვევთ, ხომ? იცით, რომ ამ საღამოს დაუპატიჟებლადაც ვაპირებდი თქვენთან მოსვლას? ოდესღაც მაგ სკოლაში ვსწავლობდი...

— ჩვენ ვიცით ეგ, — უთხრეს ვერამ და ელენამ. ერთი სული ჰქონდათ, ხმაურით გამოეხატათ სიხარული, მაგრამ ისევ სერიოზულად ისხდნენ დივნის კიდეზე.

— მაშინ, მოდით, დღეს შვიდი საათისათვის შევიყაროთ.

ელენა წამოხტა და სიხარულისაგან ჩამწყდარი ხმით უთხრა:

— დიდი მადლობა, პიოტრ ალექსეევიჩ! როგორ გაუხარდებათ გოგოებს!

ვერა და საფრონოვიც წამოდგნენ. პტახოვიც ადგა.

— დაიცადეთ, — თქვა მან. — ვაშლებით უნდა გაგიმასპინძლდეთ. — მან მაგიდიდან სამი ყველაზე დიდი ვაშლი აიღო და მეტისმეტად დარცხვენილ სტუმრებს გაუწოდა.

— ეს ჯადოსნური ვაშლებია. ვინც მათ იგემებს, ლიტერატურას შეიყვარებს და მხოლოდ ხუთიანებს მიიღებს, — გაიხუმრა მან.

პტახოვმა კიბემდე მიაცილა სტუმრები და ძველი ნაცნობივით დაუქნია ხელი. ბავშვები გამხიარულებულები და ბედნიერები გამოვიდნენ სასტუმროდან. ელენამ სიამოვნებით ჩაკბიჩა ვაშლი და მოეჩვენა, რომ მსგავსი რამ ჯერ არ მიგემნიაო.

— ძალიან გემრიელია, — თქვა მან.

ვერამაც დაიწყო ვაშლის ჭამა, საფრონოვი კი ჩაფიქრებული მოდიოდა მათ უკან და ვაშლი ისევ ხელში ეჭირა. გამვლელები ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ, მაგრამ იგი ვერც ამჩნევდა მათ.

...პტახოვი განგებ დანიშნულ დროზე ადრე მივიდა სკოლაში. მან პალტო მასწავლებლების საკიდზე დაჰკიდა, და არავისთვის არ მოუხსენებია თავისი ვინაობა, ნელა გაემართა დერეფანში. სულ სხვადასხვანაირი გრძნობები დაუფლებოდა... მას მერე, რაც მან ეს შენობა დატოვა, ოცი წელიწადი გავიდა. სკოლა გამოცვლილა, უფრო სუფთა, ნათელი გამხდარა, ახლა შესასვლელიც სხვა მხრიდანა აქვს, ვესტიბიულიც გაუდიდებიათ ერთი კლასის ხარჯზე. რომელი კლასი იყო ნეტა? პტახოვს უკვე აღარ ახსოვდა. იგი ფანჯარასთან შეჩერდა და დერეფანი მოათვალიერა. გაკვეთილები მიმდინარეობდა და სკოლაში სიჩუმე იდგა. ოცი წლის წინათაც ბევრჯერ დამდგარა ამ ფანჯარასთან და ყური მიუპყრია დერეფნის სიჩუმისათვის. პტახოვმა ფანჯარაში გაიხედა. ოდესღაც იქით ბაღი იყო. პტახოვს მოაგონდა, რომ იქ, ალვის ხის ქვეშ, მერხზე უყვარდა ჯდომა ერთ ნაწნავებიან ტანაშოლტილ ქალიშვილს. ისე ნათლად წარმოიდგინა მისი ლამაზი, ნათელი სახე... ისე ნათლად, რომ გული ტკივილით შეეკუმშა...

პტახოვმა ნელა გაიარა დერეფანი, ფეხისწვერებზე მიდიოდა, რომ მისი ნაბიჯების ხმას არ აევსო მთელი შენობა. მერე კიბით მაღლა ავიდა. ახალი კიბე იყო, ფართო და ნათელი. ასე ფეხის წვერებზე, ჩაფიქრებულმა გაიარა მთელი დერეფანი და ბოლო კლასთან შედგა, რომელსაც ეწერა „მე-9“ „ბ“. „აი, აქ არის“, — გაიფიქრა და კლასში შეხედვა მოუნდა. თავისკენ მისწია კარი და ისიც უხმაუროდ გაიღო. ჭრილში მოჩანდა თეთრი ციფრებით გადაჭრელებული დაფა. დაფასთან, კარისკენ ზურგშექცევით იდგა დაბალი ტანის მასწავლებელი ქალი, რომელსაც შავი კოსტიუმი ეცვა.

— ყველაფერი გასაგებია, ხომ? — თქვა მან ხმამაღლა. — ახლა გამოკითხვას დავიწყებ.

მისმა ხმამ და მიმოხრამ პტახოვს თავისი მათემატიკის მასწავლებელი მარინა ნიკოლაევნა მოაგონა. მასწავლებელი მოტრიალდა, პტახოვი სასწრაფოდ მოშორდა კარს. ეს ქალი მარინა ნიკოლაევნა იყო, მოხუცებულა, მაგრამ ისევ ისეთივეა. პტახოვს მოაგონდა, რა როლი ითამაშა ამ ქალმა მის ცხოვრებაში, როგორ გამოუმუშავა ნებისყოფა, ენერგია, შრომის სიყვარული, ჩაუნერგა პატიოსნება. მოაგონდა, როგორ უყვარდა სკოლის კოშკურასთან ყოველგვარი ხარახურით სავსე პატარა ოთახში აძრომა და იქ თავისი საქციელის თავადვე განსჯა. ერთხელ დარაჯმა ქალმა შეისწრო და სამასწავლებლოში შეათრია, იფიქრა, ბიჭი რაღაცას თუ მალავს იქ ან იპარავსო. სამასწავლებლოში მარინა ნიკოლაევნა იჯდა. მან დარაჯი გაუშვა და მოწაფეს ჰკითხა, რას აკეთებდი პატარა ოთახშიო.

— მართალი რომ გითხრათ, სულ ერთია, არ დამიჯერებთ, — მიუგო პტახოვმა.

— ჰო, რა გინდოდა იქ? — მშვიდად ჩაეკითხა მასწავლებელი, არც უცდია მოწაფის გადარწმუნება და პტახოვიც პატიოსნად მოუყვა, სკოლის ხმაურს გავურბივარ, მარტო დარჩენა მინდაო. მარინა ნიკოლაევნას გაეღიმა, კეთილი, გაბრწყინებული თვალებით შეხედა ბიჭს და უთხრა:

— კარგი, მჯერა!

და ეს სავსებით უმნიშვნელო შემთხვევა რატომღაც მთელი სიცოცხლე დაამახსოვრდა პიოტრ პტახოვს...

პტახოვი მოშორდა მეცხრე „ბ“ კლასის კარს და კვლავინდებურად ჩაფიქრებული გაეშურა მაღლა ამავალი კიბისაკენ. პატარა ოთახის შესასვლელის მოძებნა არ გასჭირვებია, მხოლოდ მისი კარი ახლა უფრო მომცრო ეჩვენა. მან ხელი ჰკრა კარს და ისიც ჩუმი ჭრიალით გაიღო. თითქოს იმ ოც გრძელ წელიწადს არც გაევლოს. აქ ისევ ისე იდგა შესაკეთებლად მოტანილი მერხები, სკამები, მაგიდები, წინანდებურად პატარა სარკმლიდან ახლაც ძლივს აღწევდა შუქი. პტახოვმა მღელვარებით მიმოიხედა, დამტვერილ მერხზე ჩამოჯდა და თავი ხელზე დაიყრდნო. მალე მოესმა ზარის ხმა, მერე ფრთხილი ნაბიჯებიც გაიგონა და კარში თეთრთავსაფრიანმა ქალმა შემოყო თავი.

— აქ რას აკეთებთ, მოქალაქევ?

პტახოვი საჩქაროდ წამოდგა.

— მაპატიეთ, სკოლას ვათვალიერებდი და აქ ამოვეხეტე.

— ამოეხეტეთ? მერე რა მიზნით ამოეხეტეთ? — ქალმა თავით ფეხამდე ეჭვით ჩაათვალიერა პტახოვი.

პტახოვი ღიმილით გაჰყვა დარაჯ ქალს.

ყველაფერი ისევე მოხდა, როგორც ამ მრავალი წლის წინათ. ბოლოც სწორედ ისეთივე ჰქონდა. დირექტორი არ იყო სკოლაში. დერეფანში კი სასწავლო ნაწილის გამგე მარინა ნიკოლაევნა შემოხვდათ.

— აი ეს მოქალაქე კომკურის გვერდით პატარა ოთახში იჯდა...—თქვა ქალმა და პტახოვზე მიუთითა.

— რას აკეთებდით იქ? — ჰკითხა მარინა ნიკოლაევნამ.

„სახეზე ნაჭეები გასჩენია, გაჭაღარავებულა, მაგრამ თვალები ისევ ისეთივე ახალგაზრდული, ყურადღებიანი აქვს...“ — გაიფიქრა პტახოვმა. მან თავი დაუკრა მოხუც მასწავლებელს და ღიმილით უთხრა:

— რომ გითხრათ, მარინა ნიკოლაევნა, რას ვაკეთებდი იქ, სულ ერთია, არ დამიჯერებთ.

„საიდან იცის ჩემი სახელი?“ — გაიფიქრა მასწავლებელმა, სახეში ჩააჩერდა და აღმოხდა:

— ეს ხომ პტახოვია!

პტახოვმა ორივე ხელში მოიმწყვდია მისი პატარა ხელი და უთხრა:

— ალბათ გახსოვთ, მრავალი წლის წინათ სწორედ ამ კითხვაზე გიპასუხეთ, იმ ოთახში იმიტომ ავძვერი, რომ მარტო დავრჩენილიყავ და საკუთარი საქციელი განმესაჯა-მეოქი!

— არ მახსოვს, — მორცხვად გამოუტყდა მარინა ნიკოლაევნა.— ამდენი წლის მანძილზე რა შემოხვევა აღარ მომხდარა...

— ამჯერად კი მხოლოდდამხოლოდ მოგონებები ჰქონდა მიზნად ჩემს იქ ასვლას! — უთხრა პტახოვმა.

დარაჯმა ქალმა გაოცებით აიჩეჩა მხრები და გაეცალა მათ.

მარინა ნიკოლაევნამ სამასწავლებლოში შეიპატიჟა პტახოვი და შეუდგნენ გაცხარებულ საუბარს, შორეულ წარსულს იგონებდნენ.

ამ დროს აგრიპინა ფიოდოროვნამ კრიტიკული თვალი მოავლო დარბაზს და გოგოების შემოსაყვანად განკარგულება გასცა. გოგოები ზვავივით მიაწყდნენ, ყველას პირველ რიგში სურდა დაჯდომა. მათ უკან, ცოტა არ იყოს, დარცხვენით შემოვიდნენ მეცხრე სკოლის ბიჭები, რომლებიც შეხვედრაზე იყვნენ მოწვეულები, და სულ უკან დასხდნენ...

...საღამოს საფრონოვი თავის დღიურში წერდა:

„გოგოების სკოლაში ვიყავი მწერალ პიოტრ ალექსეევიჩ პტახოვთან შეხვედრაზე. მე და ნოვიკოვი ადრე მივედით...

პიოტრ ალექსეევიჩ! მე ვხედავდი, როგორი დანაღვლიანებული იდექით ფანჯარასთან. ვხედავდი, ბიჭუნასავით რომ აძვერით კოშკურაზე და იქიდან დარაჯი ქალის თანხლებით დაბრუნდით, დარცხვენილი და მტვერში ამოგანგლული. პირველად ვერაფერი გავიგე, მაგრამ მერე ელენამ მიამბო სასწავლო ნაწილის გამგის მონაყოლი, რომ ამ პატარა ოთახთან მოგონებები გაკავშირებდათ თურმე. თქვენ, გამოჩენილ ადამიანს, არ გერცხვინებათ თქვენი გრძნობებისა, მე კი, ბიჭი ვარ და მრცხვენია გრძნობების გამჟღავნებისა. თუ ტირილი მომინდება — უეჭველად გავიცინებ ხოლმე. ახლა მივხვდი, რომ ეს თვალთმაქცობაა, წინათ კი მეგონა, ასე უფრო ორიგინალური ვიყავი...

ვიჯექი დარბაზში და ვფიქრობდი: რა სიამაყით გამოხვედით ალბათ სცენაზე, თქვენ ხომ ასობით ბავშვი შემოგცქეროდათ, რომლებიც გამოცდებზე თქვენი რომანის გამოკითხვისას ორიანებსა და ხუთიანებს ღებულობენ, ასე უბრალოდ კი გამოხვედით. ეტყობა, პატივმოყვარე არა ხართ, მე კი პატივმოყვარე ვარ. ჩემი ლექსები რომ წავიკითხე ოლიმპიადაზე, ვიბღინძებოდი. ყოველივე ამას უნდა ჩაუფიქრდეს კაცი... მე ხომ, პიოტრ ალექსეევიჩ, თავის მოტანაც შემიძლია და თუ მოვინდომე, თავის მომდაბლებაც.

ელენა შეხვედრაზე გამცემლურად მოიქცა. მაგრამ მასზე არც გაბრაზება შემიძლია, არც ნაწყენი ვარ. თქვენი გამოსვლის შემდეგ მან თქვა: „დამსწრეთა შორის არის ერთი, და იქნებ ბევრიც არის ისეთი, ვინც ლექსებსა და მოთხრობებს წერს... ჰოდა, ის ადამიანი, ვინც მხედველობაში მყავს, თავს სხვა ადამიანებზე მაღლა გრძნობს. მხოლოდ თავისი თავით არის დაკავებული, სხვები არ აინტერესებს. თავისი თავი პეჩორინად წარმოუდგენია და კოლექტივმა ვერაფერი მოუხერხა. თუ მთელი ცხოვრება ასეთი დარჩა, უბედური კაცი იქნება. პიოტრ ალექსეევიჩ, უთხარით რაიმე იმ ადამიანს“. ასე თქვა ელენამ და მომეჩვენა, რომ მისმა სიტყვებმა ყველა ააღელვა.

ყველაფერი, რაც თქვენ ელენას პასუხად თქვით დარბაზში მზირალმა, მე შემეხებოდა. მომეჩვენა, რომ გამომცდელი, ჭკვიანური თვალებით სხვებს შორის თქვენ მე გამომარჩიეთ. ვწითლდებოდი, ვყვითლდებოდი, სასოწარკვეთილი ვიყავ, მიხაროდა. ყოველივე ეს მათ საგანგებოდ მოიგონეს, პიოტრ ალექსეევიჩ, ჩემ გამო მოიგონეს. ჩვენი კლასიც ამიტომ მოიწვიეს. ის კი არადა, ასე მგონია, რომ თქვენთან შეხვედრაც და თქვენი ჩამოსვლაც ჩვენს ქალაქში ჩემი გულისთვის მოიგონეს, ამ კირკიტა ელენამ, ვერამ, ჩერნილინმა, ნოვიკოვმა და აგრიპინა ფიოდოროვნამ. მაგრამ გულახდილად გეტყვით: ამას ჰქვია ამხანაგობა! ესენი საოცარი ბავშვები არიან და მეც ვეცდები ყველაფერი ვიღონო, რათა, როგორც თქვენ მირჩიეთ, მათ დავემგვანო“.

საფრონოვი მორჩა წერას, კოხტად დახურა რვეული, ჩანთაში ჩადო და ღრმად ჩაფიქრებული კიდევ დიდხანს იჯდა. მის მაგიდაზე ჩანთის გვერდით დიდი, წითელი ვაშლი იდო.

ოცდამეორე თავი

ძველ ხალხსაც არ ახსოვდა ციმბირში ასე ნაადრევი, დაყინებული ყინვები. მთელი დეკემბერი ორმოცი გრადუსი ყინვა იყო. ნათელი დღეები იდგა, მზე უხვად იღვრებოდა ქუჩებში, მისი სხივები თოვლს ნაირფერად აფერადებდა.

ძველი ხალხი ამბობდა, მდინარე, რომელიც ნალივით ევლება ქალაქს, საცაა გაიყინებაო. სხვა მდინარეთაგან გამორჩევით, იგი მხოლოდ იანვარში იყინებოდა ხოლმე.

ეს ულამაზესი მდინარე სირბილისაგან გახვითქული ნადირის თავდავიწყებით მიიჩქაროდა წინ, მიაწკარუნებდა ყინულის ნატეხებს და სქელ ოხშივარს უშვებდა ჰაერში.

დილაობით ქალაქში ისმოდა სირენის ხმა, რომელიც მოწაფეებს აუწყებდა, რომ შეეძლოთ სკოლაში არ წასულიყვნენ, მაგრამ ყინვიან დილით ქუჩებში ასევე ისმოდა ბავშვების მხიარული ყიჟინა და თოვლის ჭრიალი მათ ფეხქვეშ. შარფებმობუდნულებსა და თავშალშემოხვეულ ყმაწვილებს ცუღლუტი, მხიარული თვალებიღა უჩანდათ გადაჭირხლულ სქელ წარბებს ქვემოთ. დარაჯი ქალი ტაშს შემოჰკრავდა ხოლმე მათ დანახვაზე და ცხვირში დუდღუნით უხსნიდა გახევებულ შარფებსა და თავსაფრებს.

საოცარი ის იყო, რომ უფროსკლასელებს მეტად აშინებდათ ყინვა და ხშირად მოწაფეების ნახევარი აცდენდა გაკვეთილებს.

ვერა სკოლიდან გვიან მოვიდა, შესასვლელშივე გაიხადა თექურები, რომ იატაკი არ დაესვარა და წინდებისამარა დარჩენილი, თან ქურქს იძრობდა, თან დედისაკენ გარბოდა.

ოქსანა ტარასოვნა საკერავ მანქანას უჯდა და მრავალფეროვანი ნაჭრებისაგან ნაძვის ხის საჩუქრებისათვის ტომსიკებს კერავდა. იგი საახალწლო დღესასწაულს ამზადებდა ოფიცერთა სახლში.

— დედა, ვერც კი წარმოიდგენ, რა უნდა გიამბო, — უთხრა ვერამ და სავარძელში მოიკალათა.

ოქსანა ტარასოვნამ კერვა შეწყვიტა, სათვალე მოიხსნა და კითხვით შეხედა ქალიშვილს.

ვერამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად უამბო, რომ წუხელ ელენასთან შინ მისულა ბულგარეთის რადიოკომიტეტის მსახიობი ქალი ცოლა გეორგიევნა სტეფანოვა. აქ იგი თავისი ქმრის — ბულგარეთის ერთ-ერთი სკოლის დირექტორის დავალებით ჩამოსულა. სტეფანოვი ელენას მამასთან ერთად ყოფილა მაიდანეკის ბანაკში და შემთხვევით გადარჩენია სიკვდილს. ომის შემდეგ სტეფანოვი მძიმედ ყოფილა დაჭრილი, მაგრამ მისი თხოვნით მის ცოლს დაუინებით უძებნია ნატალია ნიკოლაევნა სტრელოვა და მხოლოდ 1946 წელს დაუდგენია, სადაც იყო ევაკუირებული. სტეფანოვა ციმბირისაკენ გამგზავრებულა, მაგრამ სტრელოვა უკვე გარდაცვლილი დახვედრიაო.

ელენას დანახვაზე სტეფანოვა ატირებულა და თანხმობა არც უთხოვია, ისე განუცხადებია, ხვალვე ბულგარეთში მიმყავხარ, რადგან მომაკვდავმა სტრელოვმა სტეფანოვს დაუბარა, ჩემს ცოლშვილზე იზრუნეო.

— მერე, რა მოხდა? — ჰკითხა აღელვებულმა ოქსანა ტარასოვნამ, როცა თვალცრემლიანი ვერა თხრობას მორჩა.

— ელენამ უარი თქვა საზღვარგარეთ წასვლაზედაც და სტეფანოვასაგან ფულის აღებაზედაც. დედა, მოელაპარაკე რა, სტეფანოვას.

— ვეცდები, — უთხრა ოქსანა ტარასოვნამ.

... მაგრამ უკვე გვიანი იყო. ამ დროს სადგურზე დიდ ზარს ორჯერ ჩამოჰკრეს. ქალმა, რომელსაც წავის ორპირა ქურქი ეცვა და ფეტრის შლიაპა ეხურა, ვაგონის საფეხურზე შედგა ფეხი.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ტყუილად წამოხვედით ამ სიშორეზე, — მღელვარედ უთხრა ელენამ ქალს. — ხშირად მოგწერთ წერილს.

სტეფანოვამ თავი გაიქნია.

— არა, ლენოჩკა, ტყუილად არ წამოვსულვარ. ჩემმა ქმარმა მეგობრისთვის მიცემული სიტყვა შეასრულა. მან მოგნახა შენ, ხოლო თუ ჩვენთან წამოსვლა არ ისურვე, ეს შენი ნებაა. ბედნიერი იყავი!

გაყინული ჰაერი ორთქლმავლის საყვირის ხმამ გაკვეთა.

— მოქალაქეებ, ვაგონში შემოდით, — უთხრა ვაგონის გამყოლმა სტეფანოვას და საფეხურზე შეხტა.

დაიჟღარუნეს ბუფერებმა, ნელა წაგორდნენ ვაგონები და მატარებელი ყინულოვან შორეთში გაუჩინარდა.

ელენა დიდხანს იდგა და გაჰყურებდა ვაგზლის უწესრიგოდ მიმობნეულ შენობებს, სადაც, ის-ის იყო, გაიელვა მატარებლის შუქმა.

ელენა მიდიოდა, ყინვას ვერ გრძნობდა და თავისი მამისა და სტეფანოვის მეგობრობაზე ფიქრობდა, ფიქრობდა ცოლა გეორგიევნაზე, რომელიც ქვეყნის მეორე ბოლოდან მოვიდა თითქმის. რა ბედნიერებაა, გამოძრავებდეს ისეთი ამაღლებული განზრახვა, როგორიცაა ამხანაგისათვის მიცემული სიტყვის შესრულება, თუმცა ამხანაგი უკვე მკვდარია და ვერასოდეს ვერაფერს გაიგებს!

ფეხებდამზრალმა ელენამ სვერჩკოვებთან მიირბინა, ვერც კი გაიგო, როგორ წაყინვოდა ფეხები. კირილოვნამ და ოქსანა ტარასოვნამ სპირტით დაუზილეს. მერე პორტვეინი დაალევინეს, სასადილო ოთახში დივანზე დააწვინეს და საბნებში ჩაფუთნეს.

ელენა ტირილით, ბალღივით ფშლუკუნ-ფშლუკუნით უამბობდა ოქსანა ტარასოვნას სტეფანოვასთან თავისი შეხვედრის ამბავს. ოქსანა ტარასოვნას გული გაუსერა მისმა სიტყვებმა:

— მარტო რომ ვცხოვრობ, მარტოობას ვგრძნობ. მეცოდებიან სტეფანოვები. ასეთი კეთილი და კეთილშობილი ხალხია, მაგრამ, როგორ შემიძლია სხვა ქვეყანაში ცხოვრება. მამაჩემი ხომ არასოდეს, არაფრის გულისათვის არ მიატოვებდა სამშობლოს.

ოქსანა ტარასოვნა ცრემლებს ძლივს იკავებდა, ელენას რომ უსმენდა: „ჩემო პატარავ, — ნაზად ფიქრობდა იგი—რა მძიმე განსაცდელი გერგო ხვედრად, რა ტვირთი დააწვა შენს ჯერ კიდევ სუსტ მხრებს და როგორ გასწავლა ცხოვრებამ, რომ ფხიზლად, დიდივით განსაჯო ყველაფერი...“

ოქსანა ტარასოვნას შუაღამემდე არ დასძინებია. ტროფიმ კალინოვიჩი რომ მოვიდა, ცოლმა იგი კაბინეტში გაიყვანა, კარი მიხურა და ცოლ-ქმარი დიდხანს ლაპარაკობდა...

...მეცხრე "ბ" კლასი ორი მოვლენით ცხოვრობდა: ჯერ ერთი, პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოც წლისთავთან დაკავშირებით, მთავრობამ მარინა ნიკოლაევნა ლენინის ორდენით დააჯილდოვა. გოგოებმა ფული შეკრიბეს, მერე საბაღე მეურნეობაში ყვავილების, ხოლო ჭურჭლეულობის მაღაზიაში ვაზის საყიდლად გაიქცნენ ახლა საჭირო იყო, ფრთხილად შეპარულიყვნენ სამასწავლებლოში და ფანჯარასთან, რომლის იქითაც მოჩანდა დათოვლილი სახურავები და თეთრად გადაპენტილი ხეები, მარინა ნიკოლაევნას მაგიდაზე ცოცხალი ყვავილების თაიგული დაედგათ. განა ზამთარში ამაზე უკეთესი საჩუქარი იქნება?

მეორე მოვლენა იყო ელენას უარი ბულგარეთში წასვლაზე და მისი სვერჩკოვებთან გადაბარგება.

გოგოებს სულ ეს ეკერათ პირზე, სკოლისაკენ მიმავლებსაც, სკოლიდან მომავლებსაც, შინაც, შესვენებაზედაც და გაკვეთილების დროსაც კი.

ნატაშა ვერშინინა ამხანაგებს შეუჩნდა:

— ერთი მითხარით, გოგოებო, ელენა როგორ მიმართავს ხოლმე ვერას მშობლებს: დედა და მამას ეძახის თუ სახელითა და მამის სახელით?

ხმაურობდნენ გოგონები, კამათობდნენ, თავიანთ ვარაუდებს გამოთქვამდნენ.

ტანმაღალი, ფიქრიანი ქალიშვილი კლავა კარზინა, მეგობრებმა სკეპსისი რომ შეარქვეს, რადგან ყველაფერში ეჭვი შეჰქონდა ხოლმე, ამჯერად მტკიცედ ლაპარაკობდა:

— ყოჩაღ, ელენა, სამშობლო ბულგარეთზე არ გაცვალე!

ეს საუბარი გაკვეთილების დაწყებამდე ჰქონდათ. გოგონების ნაწილი ფანჯარასთან იდგა, სამი მათგანი კი მერხს უჯდა.

სტასია ჩვეული ხმაურითა და აურზაურით შევარდა კლასში.

— გოგოებო! — დაიყვირა შორიდანვე, — წუხელ სვერჩკოვებთან ვიყავი. ელენა და ვერა ერთ ოთახში ცხოვრობენ! ელენას საწოლი უყიდეს!

— როგორ მიმართავს ხოლმე ვერას მშობლებს? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ნატაშამ.

— ჩვეულებრივ, როგორც წინათ მიმართავდა...

— მამასა და დედას არ ეძახის?

— რა თქმა უნდა, არა! — გაოცდა ნატაშას გულუბრყვილობაზე სტასია. — რვა წლის გოგო ხომ არ არის.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა და კლასში შევიდნენ ელენა და ვერა, ორივეს ერთნაირი ფორმის კაბები ეცვა.

— სამი! ოთხი! — სიცილით და ხელების ქნევით დაიყვირა ნატაშამ.

ბულგარეთი ლამაზია,
განა დასამალია?
მაგრამ დიდი რუსეთი
მთელი ქვეყნის თვალია! —

დაამღერეს ერთხმად.

ელენამ გამგები მზერა მოავლო გოგონებს, გაიცინა და თავის მერხს მიუჯდა.

„ბულგარეთი ლამაზია...“ — დააპირეს გოგოებმა გამეორება, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ევგენი ტიმოფეევიჩი შევიდა კლასში. მასწავლებელმა გაბრაზება დააპირა, ზარი უკვე დაირეკა, კლასში კი უწესრიგობაა, მაგრამ სიმღერის ნაწყვეტს მოჰკრა ყური და აღარაფერი უთქვამს. ყველა მიხვდა, რომ ევგენი ტიმოფეევიჩმაც უკვე იცოდა, რაც ამ დღეებში მეცხრე „ბ“ კლასში ხდებოდა.

ევგენი ტიმოფეევიჩი კარს არც გამოსცდენოდა, რომ გოგოები უხმაუროდ და სწრაფად მისცვივდნენ თავიანთ მერხებს, უკვე მერხზე ხელებდაწყობილები იდგნენ და დაჯდომის ნებართვას ელოდნენ.

— დასხედით, — თქვა მასწავლებელმა, გახსნა გატენილი ჩანთა და რვეულები ამოიღო.

— მაგრამ დიდი რუსეთი მთელი ქვეყნის თვალია! — თქვა მან გრძნობით. — ახალგაზრდობაში მეც მქონდა მომენტი, როცა ან რუსეთი უნდა ამერჩია, ან — საფრანგეთი. უცხოეთში ოქროს მთებს მპირდებოდნენ, მაგრამ, როგორც ხედავთ... — ევგენი ტიმოფეევიჩმა ხელები გაშალა და ელენას შეხედა. — აბა — დავიწყოთ გაკვეთილი, — თქვა და პიჯაკის სახელო წამოიწია. — მზადა ხართ?

— მზადა ვართ! — ერთხმად მიუგო კლასმა.

ოცდამესამე თავი

პიონერთა სასახლეში საახალწლო მეჯლისია. შარშანდელივით, სცენაზე ახლაც მოჩანს მოფარდული დიდი საათი, ხოლო დარბაზში ფერად-ფერადი ნათურებით გაჩახჩახებული ნაძვის ხე დგას. დღეს განსაკუთრებული ზეიმი და სიხარული აქვთ. ზოგჯერ ხდება ხოლმე — პირშეკრულებივით ყველა კარგ გუნებაზე მოვა... ისმის ბედნიერი სიცილი, თვალები სიხარულით უბრწყინავთ...

— გოგოებო, ერთი საფრონოვს უყურეთ. — ეუბნება ვერა ამხანაგებს და ისინიც მისჩერებიან მაღალ, აწოწილ ყმაწვილს, ლერმონტოვისდროინდელი პორუჩიკის კოსტიუმი რომ აცვია, და სხვა წყვილებს შორის ზოგჯერ თვალთაგან ეკარგებათ ისა და ბოშა ქალივით გამოწყობილი ელენა.

— ცეკვავს. ხედავთ, გენკა ცეკვავს! — გაოცებულია ვერას გვერდით უცებ გაჩენილი ჩერნილინი. მას თეთრი ფაფახი ხურავს, ლურჯი ჩოხა აცვია და წითელი ტარსიკონის ჩექმები. — რამდენმა წყალმა ჩაიარა ამ ერთ წელიწადში! ხომ გახსოვს, ვერა ტროფიმოვნა, რომ ამბობდა: „ამ სულელური საქმეებისათვის არა მცალიაო“... რამდენმა წყალმა ჩაიარა! — იმეორებს ჩერნილინი და ოხრავს.

ვერამაც იცის მისი ოხვრის მიზეზი. ამ ერთ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა ჩერნილინის ცხოვრებაში: მან ააგო რადიომიმღები, რაზედაც დიდი ხანი ოცნებობდა, კინოსურათშიც გადაიღეს... ერთი რამ დარჩა მხოლოდ უცვლელი — კვლავინდებურად უკან დასდევს სტასიას და ყველანი დასცინიან. სტასია კი ზოგჯერ შემწყნარებლურად გაუღიმებს ხოლმე...

სტასია ხალხის ტალღაში მოიკვლევს გზას, მარჯვნივ თუ მარცხნივ ყველას შეჰღიმის, ყველას განურჩეველ ღიმილს აფრქვევს. ქერა თმის კულულები მხრებზე ჩამოჰყრია, თავზე ოქროს ქაღალდის ნახევარმთვარე უბრწყინავს, გვერდებზედაც ორი ვარსკვლავი მიუბნევია. შავი გაზის კაბა აცვია, ვარსკვლავებდაკერებული.

— უყურე, სტასია, ერთი უყურე, საფრონოვი როგორ ჩაფრენია ელენას, — იცინის ვერა და შუა დარბაზისაკენ უთითებს.

სტასია ხედავს საფრონოვის გულისყურიან სახეს. აგონდება შარშანდელი მეჯლისი, ქონვეთის ნაცვლად ჰაერში აფრიალებული ქისი წერილის ნაფლეთები... წამით წყენა გადაურბენს, რომ თვითონ კი არა, ელენამ ააცეკვა საფრონოვი, მაგრამ ეს მხოლოდ წამით ხდება. იგი წინ მიდის და ჩერნილინს ხვდება. სტატია დღეს ძალზე მხიარულ გუნებაზეა და რად არ უნდა მიაქციოს ყურადღება ჩერნილინს?

— ჩერნილინ, რატომ არ ცეკვავ? — ეკითხება და არც სურს გაიგოს, უნდა თუ არა, საცეკვაოდ მხარზე იდაყვს ადებს.

ჩერნილინმა ცეკვა არ იცის, მაგრამ ეს ამბავი სულაც არ აცბუნებს. სახეგაბრწყინებულს გამოჰყავს შუა წრეში სტასია, მათ ყოველი მხრიდან ეხეთქებიან სხვები, მერე ჩერნილინი რამდენჯერმე ფეხს აგდგამს სტასიას ლაქის ფეხსაცმელებზე. სტასიას მალე უწყდება მოთმინება და გაბრაზებით ეუბნება:

— ჯერ ცეკვა ისწავლე. ფეხები სულ დამამტვრიე... ტლანქო, შენა.

— მარტო ვერასდროს ვერ ვისწავლი, — ცდილობს თავის მართლებას ჩერნილინი, მაგრამ სტასია შუა დარბაზში ტოვებს და გარბის, რადგან საფრონოვი და ელენა ცეკვას მორჩნენ და ახლა ვერასკენ მოიწევენ. სტასია უკან მისდევს მათ. გზაში ფედია შემოხვდება და მას უწვდის ხელს. ფედიას გვერდზე შესაკრავიანი რუსული ხალათი აცვია და ლურჯი შარვალი.

— ასე გვიან რად მოხვედი? — ეკითხება სტასია.

ისინი წამოეწევნენ საფრონოვსა და ელენას.

— უფრო ადრე ვერ მოვახერხე, — პასუხობს ფედია სტასიას და იმავ წამს საფრონოვს მიმართავს: — მომილოცავს, მეგობარო, მართლა კარგად ცეკვავ. ასეთი მკვირცხლი თუ იყავი, უნდა გითხრა, არც მეგონა. როდის მოასწარი სწავლა?

სტასია ყვედრებით მისჩერებია საფრონოვს და არაფერს ეუბნება არც მას და არც ელენას.

პიონერისყელსახვევიანი მუსიკოსები წყვეტენ დაკვრას. ისინი ფრთხილად ალაგებენ სკამებზე თავიანთ ინსტრუმენტებს. — მაშასადამე, კარგა ხანს დაისვენებენ — და ბუფეტში მიდიან.

სტასიას საფრონოვთან მარტო დარჩენა სურს, მაგრამ აქვე ტრიალებს ის აუტანელი ჩერნილინი, არც ლამაზი წითელი შალით მორთული ელენა იცვლის აქედან ფეხს. დერეფნებსა და დარბაზში ტევა არ არის, ირგვლივ კი სულ ნაცნობი სახეებია — სად დაემალები მათ? მაგრამ გენადი ვიღაც ნაცნობ ყმაწვილთან ჩერდება და სტასიაც მაშინვე გვერდით ამოუდგება. ელენა და ჩერნილინი დერეფანში მოსეირნე უკრაინელთა, ბოშათა, ესპანელთა ახმაურებულ, მხიარულ ტალღას მიაქვს... სტასია და გენადი კი მაღლა ადიან. ზღაპრების ოთახში და იქ დაბალ დივანზე სხდებიან. კედლებიდან მათ ჭკვიანური მზერით ჩამოსცქერით ვასილისა ბრძენი, მოქრის ჩერნომორი, რომელსაც კადნიერი რუსლანი ჩასჭიდებია ჭაღარა წვერში. თავის ზღაპრებს უამბობს მათ სწავლული კატა, ხოლო მამაც დანკოს მოაქვს თავისი მოგიზგიზე გული და მისი შთაგონებული სახე მეტყველებს თუ რა დიდი გმირობაა კაცობრიობის ბედნიერებისათვის სიცოცხლის შეწირვა.

მათ პირდაპირ, ასეთივე მომცრო დივანზე ბოიარების ქალიშვილებისა და უკრაინელი ქალების კოსტიუმებში მორთული გოგოები ჩამომსხდარან. მხიარულ თამაშში არიან გართულები და გენადისა და სტასიას ხელს არ უშლიან.

— შენი პასუხი დაფასთან? — ხმამაღლა კითხულობს ერთი მათგანი.

— ნახტომი არარაობაში, — უპასუხებს მეორე.

ყველა იცინის.

— გოგოები შესვენებაზე? — განაგრძობს შეკითხვას ისევ ის.

— ვინძორელი ჭორიკნები.

ისევ იცინიან.

— დირექტორის გამოძახება? — კითხულობს ახლა სხვა ხმა და წინასწარ კვდება სიცილით.

მაგრამ ამ დროს ღია კარებში შემოიჭრება ორკესტრის ხმა, ბოიარი და უკრაინელი ქალები მოჩვენებებივით ქრებიან. გენადი და სტასია მარტო რჩებიან.

— სტასია, — ეუბნება საფრონოვი, — კარგა ხანია, შენთან სალაპარაკო მაქვს.

მაგრამ ეს ლაპარაკი არ შედგა, რადგან ჩერნილინი შემორბის. იგი დაირცხვენს, საფრონოვი და სტასია რომ მარტო ნახა, მაგრამ უხარია, რომ დაარღვია მათი მარტოობა.

— ყველანი ქვემოთ ჩამოდით! ახლა გამოაცხადებენ, ვინ მიიღო პრიზები კოსტიუმებში.

— წავიდეთ, სტასია, შენ ალბათ რაიმე თიხის თოჯინას გაჩუქებენ, — ეუბნება გენადი და დგება.

სტასია უნდომლად მიჰყვება ჩერნილინს.

„ჰო, აშკარაა, რომ სიყვარულში გამოუტყდნენ ერთმანეთს", — ფიქრობს ჩერნილინი და ყურადღებით შესცქერის ხან სტასიას, ხან — საფრონოვს.

ქვემოთ კი პატარა მუსიკოსები პატიოსნურად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას — მოსვენებას არ აძლევენ დამსწრეთ. ერთმანეთს ცვლის ფოქსტროტი, ტანგო, ვალსი, პოლკა და უბრალო რუსული ცეკვაც, კი. ყველა გატაცებით ცეკვავს.

აგრიპინა ფიოდოროვნა ჟიურის მაგიდას უზის და მისჩერებია პაველ სემიონოვიჩ ნოჩკას, რომელსაც პრიზების საქმე აქვს მინდობილი. „შარშან სტასიას მშობლები სასახლეში კი არადა, სკოლაშიც არ მოდიოდნენ", — ფიქრობს აგრიპინა ფიოდოროვნა. ახლა. ნოჩკების ოჯახში მშვიდობა სუფევს. ორი თაობის წარმომადგენლებმა დაიწყეს ერთმანეთის გაგება. ბევრში, ძალიან ბევრ რამეში შეიცვალეს ნოჩკებმა შეხედულება. ეს ძალიან უხარებს გულს აგრიპინა ფიოდოროვნას, უფრო მეტად იმიტომ უხარია, რომ ეს მშვიდობა მისი ხელით არის მოპოვებული.

ორკესტრი მარშს უკრავს და ნაძვის ხესა და ჟიურის მაგიდასთან წყვილ-წყვილად მიდიან გოგო-ბიჭები. აი, სტასია და საფრონოვიც მივიდნენ. რა ბედნიერი სახეები აქვთ. აგრიპინა ფიოდოროვნა უყურებს საფრონოვის კოსტიუმს და ღიმილს მალავს. ეს ხომ საფრონოვის საყვარელი გმირის კოსტიუმია, ასე დაჟინებით რომ ბაძავდა ყმაწვილი. მაგრამ ახლა ეს წარსული ამბავია. საფრონოვმა იპოვა თავისი თავი... მაგიდას ყელსაბამებისა და დაირების ჟღარუ-

ნით ჩაუარეს ბოშა ქალებმა — ელენამ და ვერამ, დებმა — ამხანაგებმა! მათ უკან რაღაცაზე კამათით მოდიან ფედია და ჩერნილინი.

წყვილები მოდიან და მოდიან, ნაძვის ხეს ირგვლივ უვლიან, მუსიკას ფეხაყოლილები გადიან დერეფანში და იქ კი ვინ საით გასწევს და ვინ — საით.

სიყმაწვილეა.

ბედნიერი სიყმაწვილე...

1948 წ.

ჟელის გრიგალთა ქროლა...

* * *

ეს დროჟამისაგან გაყვითლებული, თვითნაკეთ ყდებში ჩასმული რვეულები ჩემი წინაპრების დღიურებია: პაპის პაპისა, პაპის მამისა და პაპისა. საოცრებაა მათი დაწერაც და ისიც, თუ რამ შემოინახა საუკუნენახევარი და ცოცხალი კავშირი გააბმევინა წარსულიდან ჩვენს დრომდე...

ახლა რომ ამ სწრაფმავალ „რაკეტას“ ცხვირზე ვდგავარ ულამაზეს მდინარე კამაზე თვალჩაშტერებული, სწორედ ამ რვეულების გამოისობითაა.

ილინსკოე... რომელიღაც მეექვსე გრძნობით შორიდანვე ვცნობ ამ სოფელს. ბორცვზე აბობღებულან და უკანა ეზოებით პატარა მდინარე ობვას ნაპირებზე შეფენილან სახლები, რომელთა ფანჯრები, ძველებურად ნაჩუქურთმევი თამასები რომ აქვთ, ფართო ქუჩას გადასცქერიან. ალბათ ამ სახლთაგან ზოგიერთი იმ დროსაც ასევე იდგა...

ნავსადგომთან მოწაფეები მეგებებიან, ხელებში ყვავილები უჭირავთ. ამ სოფლის მცხოვრებნი უკვე მიცნობენ და ცნობისმოყვარეობით მათვალიერებენ გრაფ სტროგანოვების ყმების შთამომავალს. სტროგანოვების კარ-მიდამო დღემდე შემონახულა ილინსკოეში.

აქ 1851 წელს ჩემმა წინაპარმა მიიღო „აზატობის ქაღალდი“, რომელშიაც ეწერა:

მე, მეუღლე გენერალ-ლეიტენანტისა, გრაფინია ნატალია პავლოვნა, სტროგანოვის ასული, სამუდამოდ ვათავისუფლებ ჩემს შინაყმას პიოტრ იაკოვლევიჩ კუზნეცოვს, მის მეუღლე ოლიმპიადას, ასულ ფედორასა და ვაჟიშვილ ნიკოლაის, რომლებიც 1845 წელს ჩემი მშობლის, გენერალ-ლეიტენანტის ქვრივ სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვას, დაბადებით თავადის ასულ ვოლიციინას გარდაცვალების შემდეგ მერგო... ამიერიდან არც მე და არც ჩემს მემკვიდრეებს მათთან, კუზნეცოვებთან, და არც მათ მომავალ შთამომავლებთან საქმე აღარ გვექნება.

შემხვედრთაგან ერთი შაოსანი, მონაზონივით დედაბერი მომიახლოვდა. დანაოჭებულ, ჩაშავებულ ხელებში შემჭკნარი, ფოთლებშეთხელებული ტოტი ეჭირა. დედაბერმა გამომიწოდა ეს ტოტი და ჭკვიანური თვალებით შემომაშტერდა.

— გამომართვი, ჩემო კარგო, და თუგინდ ყვავილის ქოთანში ჩაარჭო, იცოდე, მაინც გაიხარებს. მამაპაპათა სამშობლოს სახსოვრად გქონდეს ეს ძეწნა.

ილინსკოეში გამცილებელი არ მჭირდება, რადგან ჩემს წინაპართა დღიურებში მეტად თვალნათლივ არის აღწერილი ეს სოფელი და ამიტომ ისეთი ნათელი შეგრძნება მიპყრობს, თითქოს ოდესღაც უკვე ვიყავი აქ.

აი, ამ ადგილას იდგა ილინსკოეს ეკლესია, რომლის სახელიც დაერქვა სოფელს. ამ ეკლესიაში მონათლეს, ჯვარი დასწერეს და წესი აუგეს ჩემს პაპის პაპას, მონათლეს ჩემი პაპის მამა და პაპა.

არარსებობიდან ფიქრით ამოვიყვანე მისი ხის კედლები, მისი გუმბათები მოოქრული ჯვრებით, მთელ სოფელს რომ დაბრწყინავდა თავს.

აგერ, სამრეკლო სასწავლებლის ძველი შენობაც, თავისი არსებობის მანძილზე იგი ბევრჯერ შეუკეთებიათ, იქ დღესაც ილინსკოეს სკოლაა მოთავსებული. აქ სწავლობდა ჩემი წინაპარი და, რომ დაამთავრა, ჯერ ისევ პატარა ბიჭმა პერმის სტროგანოვთა განუყოფელი მამულების სამმართველოში დაიწყო მუშაობა, როგორც თავად წერდა დღიურში, „წერითი განხრით“.

სამმართველოს შენობაში ახლა სტროგანოვების მუზეუმია გახსნილი.

მთელი დღე გავატარე მუზეუმში. მისი თანამშრომლები, მშობ-

ლიური მხარის შესწავლით გატაცებული ენთუზიასტები, სტროგანოვების უწყებებში ჩემს წინაპართა გვარებს წააწყდნენ. მათაც ისევე გადაედოთ ჩემი მღელვარება, როგორც ილინსკოელ მოწაფეებს.

რა შურითა და უტყვი აღფრთოვანებით დასჩერებიან ილინსკოელები ჩაყვითლებულ რვეულებს, რომლებმაც საშუალება მომცა შემეტყო იმაზე მეტი, ვიდრე ილინსკოეს, პერმის, მოსკოვისა და ლენინგრადის არქივების ქექვით გავიგე.

ამ რვეულებმა ჯადოქრად მაქციეს. მათი დახმარებით შემიძლია დრო შევაჩერო, შემიძლია უკანაც დავხიო იგი. მე შემიძლია, თუკი თქვენ ინებებთ, გონჩაროვების მამულში მიგიყვანოთ და გიჩვენოთ პატარა ნატაშა, გრაფ გრიგორი ალექსანდრეს ძე სტროგანოვის დეიდაშვილი, იქნებ ეკატერინე გონჩაროვასა და დანტეს-ჰეკკერნის საქორწინო სადილზე გნებავთ დასწრება, თითქმის პუშკინის დაღუპვის წინადღით რომ გაიმართა გრიგორი სტროგანოვის სახლში?

შემიძლია გიჩვენოთ მოხუცი თავადის ასული გოლიცინა, რომელმაც, მის შთამომავალ სტროგანოვებს თუ დავუჯერებთ, იცოდა სამი კარტის საიდუმლო და ღვთაებრივმა პუშკინმაც უკვდავყო თავის „პიკის ქალში“.

ისე ნათლად ვხედავ ჩემს შორეულ წინაპარს, შევეცდები თქვენც დაგანახვოთ სტროგანოვების შინაყმის პორტრეტი, რომელიც არც არავის დაუხატავს და არც არავის გადაუღია არასოდეს.

„აზატობის ქაღალდში“ ასე წერია:

სიმალლით იგი 2 არშინი და 5 გოჯია — სუფთა პირისახე აქვს, დიდრონი, თაფლისფერი თვალები, სწორი ცხვირი, შავი თმა-წარბი, მრგვალი ნიკაპი და თეთრი, ჩაკიწკიწებული კბილები. ოცდათბუთმეტი წლისა არის.

ასეთი იყო ჩემი წინაპარი, როცა გაათავისუფლეს. დღიურებიდან ესეც შემიძლია დავუმატო:

ტანდაბალი კაცი იყო, მაგრამ ლამაზი სახისა... სოფლის ვოგოებს თვალი ეჭირათ მასზე... სწრაფი მიმოხვრა ჰქონდა... ხმამაღალი, გადამდები სიცილი იცოდა... ჩვეად ჰქონდა, როცა კაცს პირველად ნახავდა,

ყურადღებით დაკვირვებოდა... ალალი, მუქი თვალებით მიაშტერდებოდა ხალმე უცნობს და მერე მოურიდებლად შეათვალიერებდა თავით ფეხამდე. ეტყობა, ეს იმიტომ სჩვეოდა, რომ ამქვეყნად ყველაფერზე მეტად ხატვა უყვარდა, — იგონებს მამამისი, ჩემი პაპის პაპა იაკოვ პეტროვიჩი, — ამ ხელობის ნიჭი კი თავად ღმერთს ებოძებინა მისთვის.

ილინსკოეში მოხუცებსაც არ ახსოვდათ ასეთი მძაფრი ყინვები ნათლისღებისას. გეგონებოდათ ზღაპარშიაო, ისე უსიცოცხლოდ გარინდულიყვნენ სოფელსა და სოფლის მიღმა თეთრად დათრთვილული ხეები. ზღაპრულადვე, თითქოს დაუხატავთო, ცისკენ სწორ სვეტებად მიემართებოდა მილებიდან ამომავალი, ყინვიანი ბურუსიდან ცივად გამონაღწევი, მზის სხივებისაგან ოდნავ შეფერადებული კვამლი.

ქოხში კი თბილა. ღუმელზე გემრიელად ხვრინავს პაპა სემიონი. ზოგჯერ მიწყნარდება, მძლავრ მკერდში ჰაერს დაიგუბებს და მერე ისე ომახიანად შემოუტევს, რომ მისი შვილიშვილი, ჩვიდმეტი წლის აკულინა შეშინებული კრთის და პირჯვარს იწერს.

დედ-მამაც ტკბილად ფშვინავს, ოთახში თავიანთი ხელით გაჩორკნილ საწოლზე წვანან და საბნის ნაგლეჯი აფარიათ. წყნარად სძინავს უფროს ძმას ივანეს, იგი ნამჯაზე გაშხლართულა, ჯვალო წაუფარებია და ზედ ჯუბა წაუხურავს.

ტაბურეტზე კი, გადაჭდობილ ხელებზე თავწადებულს სძინავს და ძილში ოხრავს და კვნესის უფროსი და, მოსულელო ევლამპია.

აკულინა — ჩაფუნთულებული გოგო, ფართო, სასაცილო სახე რომ აქვს და რბილი, ღაჟღაჟა ლოყები, თავის მეგობარ დაშკასთან, გამხდარ, შავგვრემან, ახლად აფრენილ ჭკის ბახალასნაირ გოგონასთან ერთად მკითხაობაშია გართული. კვარის შუქით ოდნავ განათებულ ხის ლამბაქში ცვილს ასხამენ.

უმცროს ძმას, პეტკასაც არა სძინავს. აინტერესებს, რას მკითხაობენ გოგოები.

დაშკა ჩურჩულებს:

— გათხოვდები. ხედავ, ბიჭი ჩანს...

— მარხილიც ჩანს, მგონი, — ყოყმანით ეთანხმება აკულინა.

— უცხო სოფელში წაგიყვანს ის ყმაწვილი! ამ ზამთარს აღარ

გადააცდენს! — გატაცებით ჩურჩულებს დაშკა და აღტაცებისაგან თვალებს ხუჭავს.

— ახლა შენ უნდა გიმკითხაო, პეტრუხავ, — ეუბნება ძმას აკულინა და ბიჭიც მაგიდაზე იხრება.

ქოხში კვლავ სიჩუმე ისადგურებს. წამით პაპაც კი ყუჩდება ღუმელზე, თითქოს შვილიშვილის ბედ-იღბალი უნდა ამოიცნოს, მერე კი ისე ხმამაღლა ახრიალდება, რომ პეტკა ფრუტუნებს, აკულინა პირჯვარს იწერს, ხოლო ევლამპიას გადაჭდობილ ხელებზე დადებული თავი უკრთის.

— შენც გზა გიდევს წინ, პეტრუხავ. გრძელი, გრძელზე გრძელი გზა გიდევს... — გატაცებით ყვება დაშა, — აი, ნახე თუ არა!

— მართლაც გზა მოჩანს, — ეთანხმება აკულინა, — სწორედ რომ გზაა. ნეტა საით მიდის?

პეტკა წყალში ჩაღვრილ ცვილს მისჩერებია და ნაზ, გაქვავებულ ზოლს ხედავს.

„მართლაც რომ გზა მოჩანს! ვაჰმე! ნეტა მანახა, რა ქვეყანაა კამას იქით, ან ქალაქ პერმს იქით“, — ფიქრობს ბიჭი და გული სიხარულით უჩქროლავს, იმედის ნაპერწკალი უღვივდება და მკითხაობის რწმენა ეუფლება.

ამ ღამით მთელ ილინსკოეში ფანჯრები გაჩახჩახებულია. ყველას, ვისაც ცხოვრება წინა აქვს, მომავალში ჩახედვა სურს. დაე, მერე ნუ აუხდება ნამკითხავები. ოღონდ ახლა წაიოცნებოს ცოტათი! მხოლოდ იმას სძინავს, ვისაც უკვე ახდომია მკითხაობა, ვინც ყმის გრძელი, უსიხარულო ცხოვრება განვლო უკვე და ვისაც წარსულისაკენ მიხედვაც კი არ ეამება, არათუ მომავლის წინასწარმეტყველება.

იმ ღამით არც პუშკინების პეტერბურგისეულ ბინაში ჩამქრალა შუქი.

სამი და სამსანთლიანი შანდლის შუქზე ლანგარზე ცვილს ღვრიდა. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ: შინ ბალღებსა და უმცროსი დის, ნატალიას ქმარს ეძინათ.

— ახლა შენი ჯერია, ტაშა, — ჩურჩულებს კატია, ლამაზ თავს სწევს და კედელზე მისი სქელი კულულების ჩრდილი ირხევა. კატია დიდრონი, გაბრწყინებული თვალებით მისჩერებია დას, კოპწია

ბაგეები ღიმილით ეპობა. წამით შეიცდის. მერე სკამიდან წამოდგება, ნატალიას მოეხვევა და მაგიდასთან დასმას დაუპირებს, მაგრამ იგი მხრების შერხევით თავს ითავისუფლებს და კატიას ხელები ჭრელ შალზე ცურდება. შინაურულად ჩამოშლილი მუქი თმა ნატალიას დაუდევრად კეფაზე აუკრეფია და მხრებზე შალი მოუსხამს. ყინვიანი ღამეა, შინ კი მაინცდამაინც არ თბილა.

— ჩემი მომავალი უკვე ამოცნობილია, — ამბობს ღიმილით. ნატალიას არც კი სჭირდება ხმის დაწევა და ჩურჩულით ლაპარაკი: ისედაც მშვიდი და ჩუმი ხმა აქვს. ეს მისი მანერაა საუბრისა.— ახლა აზინკას უმკითხავეთ, — ამბობს და ღია თაფლისფერი თვალებით ალერსიანად აჩერდება შუათანა დას. ოდნავ ელამი თვალები აქვს. ისე შეუმჩნევლად ელამი, რომ მზერა საოცარი უხდება, იდუმალი და გამოუცნობი.

— მეც ამოცნობილი მაქვს მომავალი, — ცხარედ ჩურჩულებს ალექსანდრა, ცვილს განზე სწევს და დგება. — წავიდეთ, დებო, დავიძინოთ. არ ვიცი, რა ვუმკითხავეთ კატენკას, რა ამოუვიდა — ქორწილი თუ ვიღაცის დაკრძალვა.

იგი სწრაფი, მოუთმენელი მოძრაობით თმის სამაგრებს ლამის იგლეჯს კულულებიდან, მერე მარჯვენა ხელში ბღუჯავს და თავს იქნევს. ამ დროს რაღაცნაირი უხეში, დაძაბული, ულამაზო ხდება.

— რაო, რადა ხარ დღეს, აზინკა, ასე უგუნებოდ, — ეუბნება ნატალია და ცდილობს მშვენიერი სახიდან შფოთი წაირეცხოს, მაგიდიდან ლანგარს იღებს, დილისთვის ნაკვალევიც არ უნდა დარჩეს ამ მკითხაობისა, რომ ალექსანდრ სერგეევიჩი არ გააცინონ. — როგორ თუ დასაფლავება, ქორწილი გველოდება, ნამდვილი ქორწილი!

თუმცა ტრაგიკულად შეტეხილი მარცხენა წარბი, მის შუბლს რომ ტანჯულ იერს ფენდა და ღრმა სულიერი შფოთის მაუწყებელი იყო, ვერც ღიმილმა გაუხსნა და ვერც ამ გამამხნევებელმა სიტყვებმა.

ეს განაწამები შუბლი სამუდამოდ აღბეჭდა ა. პ. ბრიულოვმა ნატალია ნიკოლაევნა პუშკინას პორტრეტზე.

პეტკას კი აუხდა საშობაო მკითხაობა! მის წინაშე ფართო სამყარო გადაიშალა. მოურავმა გრაფინიას დეპეშა მიიღო: პეტერბურ-

გში, გრიგორი სტროგანოვთან დროებით სამსახურში გაეგზავნათ. ვინმე წერაში გაწაფული შინაყმა. — ჰოდა, არჩევანი პეტრეზე შეჩერდა. თუმცა ჭაბუკი იყო, მთელი მმართველობის მწერლებს სჯობდა წერაში.

საშობაო მკითხაობა დებ გონჩაროვებსაც აუხდათ. ქორწილიც გამართეს, უცნაური, დღემდე ამოუცნობი ქორწილი და დაკრძალეს კიდევაც კაცი, ვინაც მწვავე ტკივილი დაუტოვა გულში მარტო ახლობლებს კი არა, მთელ რუს ხალხს. მას მერე საუკუნენახევარი გავიდა, მაგრამ ჯერაც არ დამცხრალა წუხილი ამ მძიმე დანაკარგის, უდროოდ დაღუპული დიდი რუსი პოეტის გამო. ამაზე კვლავაც ბევრს წერენ. ამაზე ლაპარაკობენ, მსჯელობენ, კამათობენ, ცდილობენ ამოიცნონ ამბავი, რაც უკვე არარსობას შეერწყა.

პირველი თავი

ილინსკოედან პეტერბურგამდე ძნელი და გრძელი გზა იყო. პერმის სტროგანოვთა განუყოფელი მამულის სამმართველოში ოთხი საზიდარი დატვირთეს. ერთით ხალხისთვის გზაში საჭმელი ხორაგი მიჰქონდათ და ცხენებისთვის კიდევ — ფურაჟი. მეორეთი — ძღვენი ბატონებისათვის — კასრებით თაფლი, მურაბა, დამწნილებული სოკოები. მესამე ილინსკოეს ხატმწერ სახელოსნოში მოხატული ხატებით იყო გამოტენილი. ბოლო საზიდრით კი მიდიოდნენ მეჯინიბე სოფრონი, რომელიც დროებით გაგზავნეს გრაფ გრიგორი ალექსანდროვიჩ სტროგანოვის განკარგულებაში, პეტრე და გოგო ანფისა. სად და რატომ მიდიოდა ანფისა, კარგად არავინ უწყოდა. ეტყობა, ისიც ბატონებმა მოითხოვეს ვინმეს სამოახლოდ.

მშობლიურ სოფელთან, დედასა და მეგობარ გოგოებთან განშორებისას ანფისა იმხელას ღრიალებდა, თითქოს მკვდარს დასტირისო. დედაცა და გოგოებიც თითქმის სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ ანფისას. პირველად არ მიჰყავდათ შინაყმები ილინსკოედან პეტერბურგში ან მოსკოვში, უკან, მშობლიურ სოფელში კი თუ ვინმე დაბრუნდებოდა, დაავადმყოფებული უნდა ყოფილიყო, ან სიბერისაგან დაუძლურებულიყო. თვითონ პეტრეს ბებიაც წაიყვანეს

სტროგანოვებმა მოახლედ, მას მერე კარგა თხუთმეტი წელიწადი გავიდა და პეტრეს აღარც კი ახსოვს.

პეტრეს, სოფრონისა და ანფისას გარდა, სტროგანოვთა მამულიდან პეტერბურგში ერთი საუკეთესო ჩორთით მოსიარულე ცხენიც უნდა ჩაეყვანათ. მეორე საზიდარზე გამობმული, თეთრი, არაჩვეულებრივად ლამაზი ფაშატიც შეშფოთებული ჩანდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და შემხვედრ მინდვრებს, მთებსა თუ ველებს ჩუმი, გულჩასაწყვეტი ხვიხვინით ახმიანებდა.

ნაბღავლი ანფისა ხმაჩაწყვეტილი იჯდა საზიდრის კუთხეში. პეტრეს კი თავისი თავისა უკვირდა. ძალზე იოლად მიატოვა სოფელიცა და თავისიანებიც. თითქოს რაღაც სიმძიმე მოსწყდა მხრებიდან, ისე მიისწრაფოდა უცნობი მხარისაკენ.

ეტყობოდა, მაისი ცივი იქნებოდა. თუმცა ეს არავის ადარდებდა. ილინსკოელებმა იცოდნენ, რომ ჯერ კიდევ გზაში წამოეწეოდათ ზაფხულის ხვატიანი დღეები.

და მაინც, თუმცა პეტრე სულითა და გულით ახლისკენ მიისწრაფოდა, მშობლიურ ილინსკოში გატარებული დღეებიც გულში ჩარჩენოდა და ხშირად აგონდებოდა.

კუზნეცოვთა ძველი სახლი, ისევე როგორც ილინსკოეს ყველა გლეხისა, მასზე მჭიდროდ მიდგმულ ბეღლიანად სოფლის შუაგულში იდგა, მისი ფანჯრები ოღროჩოღრო ფართო ქუჩას გამოჰყურებდა, რომლის ღრანტეებში ჩატბორებული წყალი მთელი ზაფხული არ შრებოდა, შიგ კი ღორები, ბატები და იხვები ჭყუმპალაობდნენ. მზიან დღეებში დაისის გამოსათხოვარი სხივები ილინსკოეს ეკლესიის გუმბათებისა და ჯვრების ვარაყებს ალაპლაპებდა და მათი ათინათი მეწამულ ხანძრად იჭრებოდა ფანჯრებიდან პატარა ოთახში. საღამოებს ამ შუქზე ატარებდნენ და მეზობლებზე უფრო გვიან ანთებდნენ კვარს .

პატარაობიდანვე მთელ ოჯახში პეტრეს დედა, აგრაფინა სპირიდონოვნა ჰყავდა გამორჩეული. მთლად ახალგაზრდა და ლამაზი ახსოვდა დედა, იგი ილინსკოეს თეატრის ერთადერთი მსახიობი ქალი იყო, რადგან იმ დროს ჯერ კიდევ ქალის როლებს უმთავრესად მამაკაცები თამაშობდნენ. იქნებ პეტრეს ეჩვენებოდა, მაგრამ დედამისი ყველა გლეხის ქალისგან განსხვავდებოდა. დედა სიარულითაც გამოირჩეოდა სხვა ქალებისაგან — მსუბუქად და ნარნარად

დადიოდა. მეღერი, მაღალი ხმით ლაპარაკობდა. კაბა, რომელიც სულმთლად უბრალო მოჩანდა სხვის ტანზე, პეტრეს დედას თუ ეცვა, მდიდრული გეგონებოდათ. გრძელ, შავ ნაწნავებს თავზე ირგვლივ იხვევდა ხოლმე და თავსაფარს იხურავდა, რომელსაც სხვა დედაკაცებივით ნიკაპქვეშ იკრავდა. მაგრამ თმა მაინც არ ემალებოდა, უბრწყინავდა და რაღაც საოცარი მოლურჯო ფერი გადაჰკრავდა.

სათეატროდ ილინსკოეში ააგეს ვრცელი, ხუთკედლიანი შენობა სცენით, ფარდებით, კულისებითა და მაყურებელთა დარბაზებითურთ. ამბობდნენ, ქალაქის თეატრშიც ასევეა ყველაფერი! ოღონდ ის უფრო დიდი შენობაა და უფრო მორთულ-მოკაზმულიო.

პეტრეს მამა ახალგაზრდობიდანვე დაცალფეხდა და ომბოხით დადიოდა. ყველა თავის წინაპრის მსგავსად ისიც ექიმბაშობდა. პაპა კი — დედის მამა — შვილიშვილს დაამახსოვრდა ლოგინად ჩავარდნილი, მკვნესარე, ღუმელს მიჯაჭვულ ბერიკაცად, მთელი ოჯახი რომ შეიკლა თავშისაცემი საზრუნავებით.

ჰოდა, ახლა, სოფლის შარაგზაზე რყევა-ნჯღრევით საზიდარზე მჯდარი რომ მიემგზავრებოდა, შინაურებთან განშორებითა და თავის ცხოვრებაში უცებ მოვლენილი სიახლით უნებლიედ დავაჟკაცებული პეტრე ბოლოსდაბოლოს მიხვდა, რომ დედამისი ყვავების გუნდში გარეული თეთრი მტრედი იყო. ამ ქალს თავისი ცხოვრება ჰქონდა, რაც უცხო იყო პეტრეს მამისათვის, პაპისა, პეტრეს დაძმისა და თანასოფლელებისათვის. მამა და პაპა დედას უთაურ დიასახლისს ეძახდნენ. მეზობლები ამბობდნენ, ეგ დედა კი არა, გუგულიაო. დედასთვის კი სულ ერთი იყო, რასაც იტყოდნენ მასზე. დილაადრიან ნაღვლიანი გულგრილობით ღუმლიდან ნიჩბით გამოჰქონდა ხოლმე პური — ხან დამწვარი, ხან კიდევ — გამოუცხობი. ღუმელზე სატაცით აცურებდა წინ სახელდახელოდ მომზადებული შეჭამადით სავსე თუჯიას. ხმაამოუღებლივ რეცხავდა ოჯახის სარეცხს, ხეხავდა იატაკებს. საქმეს ისე აკეთებდა, კრინტს არ ძრავდა, ოხრავდა მხოლოდ.

სცენაზე კი სულ სხვა ქალად იქცეოდა ხოლმე, რამდენჯერ უნახავს პეტრეს, როგორ თამაშობდა დედამისი მორთულ ქალბატონებს, ან მხიარულ ყმაწვილ ქალებს, როგორ გულიანად კისკისებდა, მღეროდა და ისეთ ცეკვას გამართავდა, აღტაცებული მაყურე-

ბელი ტაქტს ფეხით ჰყვებოდა. კაცი ველარ იცნობდა ხოლმე ამ დროს დედამისს.

მამას რცხვენოდა, ასეთი ცოლი რომ ჰყავდა. მაშინ ქალის თეატრში თამაში საძრახისი იყო. ბევრჯერ მეზობლების თვალწინ მთელს ეზოში გრძელი ნაწნავებით უთრევია ცოლი, მაგრამ მსახიობობას ვერ დაუშლიდა, შინაყმა ქალს ვინ შეეკითხებოდა, რა საქმისათვის მოეკიდა ხელი, რომც სდომებოდა, ვერ გაანებებდა თავს თეატრს, თანაც არც თავად სურდა.

მხოლოდ ახლა მიხვდა პეტრე, რომ სწორედ იქ, სცენაზე ჰპოვებდა დედამისი სიცოცხლის სიხარულს. იქითკენ გაურბოდა ქმარს, რომელიც არ უყვარდა, მამას, ბავშვებს, მეზობლებს, რომელთაც არ ესმოდათ მისი. ხოლო როცა ილინსკოეს თეატრი პერმში მიემგზავრებოდა წარმოდგენების გასამართავად, ამ ქალზე ბედნიერი არავინ იყო. ცდილობდა, თვალებში აელვარებული სიხარული ჩაექრო და მეზობლებს ეხვეწებოდა, ავადმყოფ ბერიკაცსა და იმ ჩემს ჩერჩეტ გოგოს მიმიხედეთო.

მამა-შვილნი მსახიობების საზიდრებს საძოვრებამდე აცილებდნენ ხოლმე. ბევრი საზიდარი იყო: კოსტუმებით, დეკორაციებითა და მსახიობებით დატვირთული. მერე გამოეთხოვებოდნენ. ჰოდა, პეტრეს ეჩვენებოდა, ოჯახს რომ შორდებოდა, დედამისი თავისუფლად ამოისუნთქავდა ხოლმე, მხრებში იშლებოდა და ეტყობოდა, მაშინვე ავიწყდებოდა თავისიანები.

ოჯახი, პაპისა და ევლამპიას გამოკლებით, მთელი დღე საქმიანობდა. ძმა, ფიოდორი — მასწავლებლობდა, ძმა ივანე სატყეოში მუშაობდა, ორთავე ცოლ-შვილიანი იყო და ცალკე სახლობდნენ. აკულინა სამმართველოს ყვავილებს უვლიდა.

პეტრე კი...

დაბადებიდანვე საოცარი იღბალი დაჰყვა. სწორედ პეტრეზე იყო სტროგანოვთან პერმის განუყოფელი ადგილ-მამულის სამმართველოში აღძრული „საქმე გამოტოვებულ ილინსკოელ ბიჭუნა პეტრე კუზნეცოვზე“. სწორედ მასზე იგზავნებოდა ილინსკოეს სამმართველოში რაპორტი რაპორტზე, ბიჭი არ არისო შეტანილი „საალწერო სიაში“. სწორედ პეტრეს საქმეს მოჰკიდა ხელი პერმის სახაზინო პალატამ და იგი ახალ „საალწერო სიაში“ დაამტკიცა... სამი წლის თავისუფალი ბიჭუნა ყმა გახდა.

სწორედ პეტრეს პაპა სემიონი, მთელს ოჯახში ერთადერთი ადამიანი ვისაც კარგად ესმოდა, რაც ხდებოდა, შეეცადა ბიჭი ჩუმად გაეგზავნა პერმში: იგი ვიღაც ნაცნობ ვაჭარს მოელაპარაკა, რომ ბიჭი თან წაეყვანა, მოემიზეზებინა ვითომც მიუგდეს, და მერე ობოლთა თავშესაფარისთვის ჩაებარებინა. მას მერე, რაც ოჯახმა გაიგო, ბიჭი გამოტოვებულია „სააღწერო სიაშიო“, ბარე ორი დღე ცდილობდა პაპა სემიონი, დაერწმუნებინა ქალიშვილი და სიძე, ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, დაუყოვნებლივ გავგზავნოთ ბავშვი, სანამ ახალ „სააღწერო სიას“ შეადგენენ და ჩვენ კი ასე ვთქვათ, ბიჭი დაგვეხრჩოო.

მაგრამ პეტრეს მშობლები, ისევე როგორც მათი წინაპრები, მუდამ ყმები იყვნენ და სხვა ხვედრი ვერც წარმოედგინათ ვერც თავიანთთვის და ვერც ბავშვებისათვის. არ სურდათ ბიჭის გაგზავნა ისე, რომ მისი ამბავი არ სცოდნოდათ. მაშინ პაპამ გადაწყვიტა, ცოდვა თავის თავზე ეკისრა და მშობლების სურვილის წინააღმდეგ წასულიყო.

პეტრეს ბევრჯერ მოუსმენია მშობლების ნაამბობი საშინელი ამბავი, თუ როგორ გაჩერდა ზაფხულის ერთ ბნელ ღამეს ვაჭრის საზიდარი წინასწარ დათქმულ ადგილას. პაპა სემიონმა აცახცახებული ხელებით ფრთხილად და უგერგილოდ გაახვია ბალღი საბნის ნაგლეჯში. ბიჭუნა წამით გამოფხიზლდა, წამოიტირა, რაღაც ჩაიჩურჩულა და ისევ ჩაიძინა. პაპა კი თან ბალღს უნანავებდა და თან ჯიბეში გუშინდლიდან მოხაზირებულ 30 მანეთს სინჯავდა, ეს ფული ვაჭრის მისაცემი იყო, პაპას ჭაბუკობიდანვე ჰქონდა გადანახული. ჯერ ეს უნდა მიეცა, დანარჩენი — მერე.

პაპამ ფრთხილად გამოაღო კარი და ასევე ფრთხილად მიიხურა. მაგრამ კარმა მაინც გაიჭრაჭუნა. პაპამ წინკარი გაიარა და ზღურბლზე გამოვიდა, მაგრამ სწორედ ამ დროს კარი ჯახუნით მოიფლითა და იქიდან ჯერ პერანგისამარა, თმაგაწეწილი აგრაფინა გამოვარდა ყურისწამღები კივილით, მერე კი იაკობიც მოჰყვა.

— არ მოგცემ ბალღს, არა! არ მოგცემ! რასა სჩადიხარ, მამა?

მეზობლების ფანჯრებში სინათლემ გაიელვა, თვალცრემლიანმა პაპა სემიონმა ბალღი დედას გადასცა და შეეცადა საჩქაროდ დაეკეტა წინკარი.

არც დედას ესმოდა და არც მამას, რომ თავისუფლება მშობლე-

ბის მზრუნველობაზედაც კი ძვირფასია. არ დაანებეს ბიჭის პერმში წაყვანა.

ილინსკოეში ხმა გავარდა, ასე და ასე მოხდაო ღამით. პაპა გაამათრახეს. ის იყო და ის, ღუმელიდან ფეხი აღარ ჩამოუდგამს. თავად ამბობდა, ამ სასჯელით სხეული კი არა, უფრო მეტად სული დამისახიჩრდაო, სულიერად ვერ აიტანა ეს ამბავი.

ხოლო პეტრე ყმა გახდა. მაგრამ ჩვილობიდანვე „აზატი" კი შეერქვა.

...ცხენები საზიდრებს გაზაფხულის წვიმების შემდეგ გამხმარ გზაზე მიარახრახებენ. უკვე გასცდნენ პერმს, სადაც, შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ თავისუფალ კაცს, პეტრე კუზნეცოვს ეცხოვრა... ეტყობა, არ ჰქონდა ამისი ბედი! ბედ-იღბლისა კი პეტრეს სწამდა. მაინც, რა ავი ოინი უყო ბედმა! იმ სამი წელიწადის თავისუფლებას, თუმცა მაშინ ღლაპი იყო, უკვალოდ არ ჩაუვლია, სამუდამო შფოთი ჩაუსახა გულში, თავისუფლებისაკენ მგზნებარე სწრაფვა და საკუთარი ყმური ცხოვრებისადმი ზიზღი, რისაც არც მშობლებს გაეგებოდათ რა და არც მეგობრებს, აბა, საიდან ჩასწვდებოდნენ პეტრეს გულისთქმას? მათ ხომ თავისუფლება არ ეგემათ!

ცხრა წლიდან მოყოლებული თოთხმეტისა სანამ არ გახდა სამრევლო სასწავლებელში სწავლობდა. სწავლობდა კარგად, ქების სიგელით დაამთავრა სასწავლებელი და თოთხმეტი წლისა უკვე ვოტჩენსკის სამმართველოში მუშაობდა, თვეში 36 მანეთს შოულობდა.

აგონდებოდა პეტრეს, ერთხელ სამმართველოში ერთ-ერთმა ახალგაზრდა მოსამსახურემ ჩვეულების მიხედვით რომ ჰკითხა: „ჰეი, აზატო, მოათავე თუ არა გადაწერა?"

მაშინ ქარხნის ინჟინერი დაინტერესდა ამ მეტსახელით და პეტრეს უამბო ნორჩი მეფის, ივანე VI-ის საშინელი თავგადასავალი, ეს ყმაწვილი მხოლოდ რამდენიმე თვეს მეფობდა თურმე.

მისმა ნაამბობმა პეტრე განაცვიფრა. სასაცილო იყო, თავი მეფისთვის შეედარებინა, მაგრამ მაინც ივან VI-ისა და მის, პეტრეს, ბედ-იღბალში რაღაც იყო საერთო.

პეტრეს მოურავთან შეხვედრაც მოაგონდა: სოფრონი, სწორედ ის, ვინც ამჟამად მასთან ერთად მიდიოდა პეტერბურგში, უკვე ბე-

რიკაცი, ახლა ჭაღარით რომ შემჭრქალებოდა წითური თმა, ერთ დროს კი თურმე ისე უელავდა ცეცხლისფრად, შეხედავდი და თვალებს აგატკივებდაო, პეტრეს წასაყვანად მოვიდა. კუზნეცოვების სახლის ზღურბლს რომ გადააბიჯა და კარიც მიიხურა, ქუდი მოიხადა, კუთხეში დადგმულ ხატის წინ პირჯვარი გადაიწერა და დედას უთხრა:

— აბა, აგრაფინავ, ბედმა გაუღიმა თქვენს ოჯახს. მოურავმა გადაწყვიტა, პეტკა ვოტჩინის სამმართველოში მოაწყოს მწერლური განხრით.

დედამ შიშით გადაიწერა პირჯვარი. პაპამ კვნესით ჩაილუღლუღა ღუმელზე.

— ოჰ, მადლობა ღმერთს! თორემ სასწავლებელი დაამთავრა და ახლა საქმეს უნდა მოკიდოს ხელი! საქმეს!

პეტკა იდგა, ხელში კარდალა ეჭირა, სათევზაოდ იყო გამზადებული, ხეირიანად ვერაფერი გაიგო.

— წამოდი, რაღა! — უთხრა სოფრონმა და ბიჭს წამობერილი, ერთთავად მხიარული თვალები შეავლო.

დედა და პეტკა ხმას არ იღებდნენ. ჯერაც ვერ მოსულიყვნენ გონს. მერე პეტკამ მერხქვეშ შედო კარდალა.

დედა კი უცებ გონს მოეგო:

— სუფთა ხალათი უნდა ჩავაცვათ!

მაგრამ სხვა ხალათი არ ჰქონდა პეტკას. ადგნენ და მამის ხალათი ჩააცვეს. გრძელი კალთები შარვალში ჩაუტნიეს. გაცვეთილი ადგილები აღარ მოუჩანდა, მაშ, ყველაფერი წესიერად ეცვა. ფეხშიშველა რომ იყო? მერე რა, ზაფხულში ვის აცვია ფეხთ.

პეტკამ პირველად ააბიჯა სამმართველოს კიბის საფეხურებზე. ეშინოდა, ჭუჭყიანი ფეხებით რომ მიტყვაპუნებდა გაპრიალებულ იატაკზე. სანამ ფართო, გრძელ დერეფანს გაივლიდა, გული გადაელია შიშით. მიდიოდა და ფიქრობდა: სახლი კი არა სასახლე არის ესო, ზღაპრებში რომ ამბობენ სწორედ ისეთიო. მაღალ, თეთრად შეღებილ, ეკლესიისდაგვარად ორფრთიან კარებს მძიმე სახელურები ოქროსფრად უბრწყინავდა.

მაშინ კი, როცა სოფრონმა მოურავის კაბინეტის კარი შეაღო, პეტკას გული მთლად მიელია. შეჩერდა, რათა სული მოეთქვა. ბერიკაცმა მხრებში ჩაავლო ხელი და დიდი, ნათელი ოთახისაკენ

უბიძგა მაგიდისაკენ, რომელსაც უჯდა მოურავი ვასილი ალექსანდროვიჩ ვოლეგოვი... ჰოდა, ახლა, როცა ეს პირველი შეხვედრა მოაგონდა, პეტრე პერმის სტროგანოვთა განუყოფელ ადგილ-მამულის მოურავის ბედ-იღბალზედაც ჩაფიქრდა.

იოლი როდი იყო გრაფ სტროგანოვთა მემკვიდრეობითი ყმის, ვოლეგოვის ცხოვრების გზა.

პეტრესავით ისიც დარბოდა სამრევლო სასწავლებელში, ოღონდ ბევრად უფრო ადრე — კითხვას ტაბულებით და ეკლესიაში დაბეჭდილი წიგნებით სწავლობდა, წერასა და არითმეტიკაში ვარჯიშობდა. სწავლობდა საღვთო სჯულის, წმინდანთა ცხოვრებას, რუსულ გრამატიკას. პეტრესი არ იყოს, იმანაც ზეპირად იცოდა ლოცვები: „წმიდა სამებისა“, „უმწიკვლო ცხოველმყოფელი ჯვრისა“, „მამაო ჩვენო“, „ხარობდე, ღვთისმშობელო, ქალწულო“.

ხოლო სამრევლო სასწავლებელი რომ დაამთავრა, პეტერბურგში, ვასილევის კუნძულზე სტროგანოვებმა კერძო სამთამადნო-საქარხნო სკოლა გახსნეს, რომელიც პერმის მამულის სამთამადნო ქარხნებისათვის და მარილის სარეწებისათვის ამზადებდა სპეციალისტებს.

ვასილი ვოლეგოვი ამ სკოლაში განამწესეს სასწავლებლად. ეს სკოლაც დაამთავრა. მერე „აზატის“ ქაღალდი“ მიიღო და პერმის სტროგანოვთა განუყოფელი ადგილ-მამულის მოურავად დაიწყო მუშაობა.

...მოურავმა თავი აიღო ქაღალდებიდან, მაგიდაზე რომ ეწყო და კითხულობდა. ჭკვიანური, ნათელი თვალებით ისე გამჭოლად გამოიხედა, ბიჭი მიხვდა, რომ ასეთ თვალებს ვერაფერს გამოაპარებდა კაცი.

ჰოდა, აი, დაიწყო ახალი ცხოვრება. პეტრე დილიდანვე მიდიოდა სამმართველოში, დედის შეკერილი სუფთა ხალათი ეცვა, თმა კოხტად ჰქონდა გადავარცხნილი, ბირკავას ზეთს ისვამდა ზედ.

მას პატივისცემით, უფრო მეტად კი შურიანი მზერით მიაცილებდნენ არამარტო თანატოლები, ჭაბუკები და კაცებიც კი. ჰოდა, პეტრემ ბევრჯერ შიშით შეადარა თავისი ბედი დედის ბედს: მისმა ბედ-იღბლის ბილიკმაც განზე გადაუხვია საერთო ბილიკიდან. ნეტა კარგი გამოდგება ეს თუ ცუდი?

პეტრე ფიქრობდა, კარგის მომასწავებელია ეს ამბავიო, დედა-

ჩემს გამოვემგვანე ალბათო. არ იყო ჩემი საქმე მიწის მუშაობა, არც, სხვა ყმაგლეხებისაგან განსხვავებით, ვაჭრობა მომდიოდაო თვალში.

ილინსკოე ძველთაგანვე კამისპირეთის მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო. შაბათობით მუდამ იმართებოდა ილინსკოეს ბაზრობა. ეს ბაზრობები განსაკუთრებით კარგად დაახსომდა პეტრეს, რადგან ამ დღეებში ყმა აქტიორები თავიანთ სპექტაკლებს უჩვენებდნენ ხოლმე.

ილინსკოეს ყმა გლეხთა დაბალსახურავიან ბინებს პირველი გილდის ვაჭრების ორსართულიანი ქვის სახლები დაჰყურებდა თავზე. ბაზრისთვის მისამხარი ხალვათი ადგილი იყო სოფლებში შერჩეული. ვაჭრები ციმბირულ კედრის წიწიბოს, თაფლს, ნაირ-ნაირ საბაკალო საქონელს ყიდიდნენ.

ვაჭარ ბეკლემიშევის სახლი ბალღობაშივე აოცებდა პეტრეს სილამაზით: წაფერდილი სახურავებიდან მეორე სართული იყო აყვანილი. წინგარდების ზევითა მხარე ხის არშიებით იყო დამშვენებული. სახლს თეთრი, კაციისსიმაღლე, წვრილი, მოჩუქურთმებული სვეტების ღობე ერტყა. ხოლო ღობეს მომრგვალებული, ლამაზი ცხენის საბმური მორები ჰქონდა შემოვლებული. შაბათ-კვირაობით საზიდრებსა და ცხენებს შორის ძლივს გაიკვლევდი გზას სახლამდე.

ყოველივე საინტერესო სანახავი იყო, საყურებლად ლამაზი და უჩვეულოდ ნაგები, ხედავდი სხვა ცხოვრებას, რომელსაც შენ არ ეკუთვნოდი.

პეტრე სწავლაზე ოცნებობდა. ჰოდა, შეუსრულდა ოცნება. მოურავს ყური მოეკრა, ნიჭიერი და უნარიანი ბიჭიაო და თავად განამწესა სამრევლო სასწავლებელში, თანაც მუდამ თვალს ადევნებდა, როგორ სწავლობდა ბიჭი. პეტრე კუზნეცოვის ქების სიგელებიც კი მასწავლებელს საჩვენებლად მოურავთან მიჰქონდა.

და, აი, ახლა პეტრე თავად მუშაობს სამმართველოში. იგი უფრო ხნიერია, ვიდრე მისი ტოლები, თუნდაც იმიტომ, რომ სამმართველოს გრძელი მაგიდების იქით მსხდომი მისი თანამეწყვილენი, უბრალოდ, ხნიერები კი არა, ბებრებიც არიან უკვე.

პეტრე კარგად მუშაობს. მოურავი კმაყოფილია. მაგრამ ყმაწვილი მაინც აფორიაქებულია, საითკენღაც მიისწრაფის, რაღაც სურს კიდევ. მერე, საით მიიწევს? რა სურს, ნეტა? ის ხომ თავის დედ-

მამასავით, და-ძმასა და ამხანაგებივით — ყმა არის, თანაც შინაყმა. სამ წელიწადს იყო მხოლოდ თავისუფალი. მაგრამ მას არ ახსოვს ეს თავისუფლება. ძალიან პატარა იყო მაშინ. ახლა კი, რასაც მოისურვებენ მისი ბატონები, იმას უზამენ. იოცნებე რამდენიც გინდა. ყმაგლეხი ადამიანი კი არა, პირუტყვია. გარეგნობა, შესახედაობა აქვს ადამიანის მხოლოდ. მიუხედავად იმისა, რომ სტროგანოვებს, რომლებიც არასოდეს არ შეიხედავდნენ თავიანთ განუყოფელ მამულში და ერთთავად მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრობდნენ, მისთვის ცუდი არაფერი უქნიათ, პირიქით, პეტრეს ეკლესიაში მღვდელი ასწავლიდა, სკოლაში — მასწავლებელი, შინ კი — მშობლები, მაინც ეს კეთილი და ხათრიანი ყმაწვილი ჯერ საგონებელში ჩავარდა, მერე კი, როცა თავი ვერ გაართვა იმის ამოხსნას, თუ რა იდუმალი განსხვავება უნდა ყოფილიყო გრაფსა და ყმაგლეხს შორის, — ბატონებისადმი არაკეთილგანწყობით განიმსჭვალა.

მოურავს რომ შესცქეროდა, პეტრე ხშირად იმას ფიქრობდა, ალბათ ეს კაციც მამაჩემივით, პაპასა და პაპის პაპასავით სტროგანოვების ყმა იყოო. დიდი ხნის მიღებული არ ჰქონდა „აზატობის ქაღალდი". ხალხი ამბობდა, ეს „აზატობა" იმით იყიდა, რომ სტროგანოვთა ადგილ-მამულის სამუდამო მოურაობაზე დათანხმდაო. იმასაც ამბობდნენ, მოცლილობის ჟამს ძმასთან ერთად სტროგანოვების ცხოვრების აღწერას ანდომებს, წერს იმ ძველი დროიდან მოყოლებული, როცა მეფე ივანე მრისხანემ სახელგანთქმულ კაცს, გრიგორი სტროგანოვს პერმის მიწაწყლის განმგებლობის სიგელი უბოძაო. ვინ იცის, იქნებ მართალსაც ამბობს ხალხი.

პეტრეს კვლავ და კვლავ მოაგონდა სამმართველოში გატარებული დღეები. იგი დოკუმენტების გადაწერას აწარმოებდა. ეს დოკუმენტები ადამიანთა ბედ-იღბალს ასახავდნენ. რამდენი ადამიანის ცხოვრებამ ჩაიარა პეტრეს თვალწინ!

აი ერთი დოკუმენტი, რომელსაც პეტრე დიდი მღელვარებით იწერს: გრაფინია სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვა ორიათას ვერცხლის მანეთად თავისუფლებას ანიჭებს გლეხ ვასილიევს მისი ორი ვაჟით, ოთხი ქალიშვილით, ცოლითა და დით. დოკუმენტში მთელი რიგი პირობებია ჩამოთვლილი. მათ შორის ასეთი პირობაც: „თუ ილინსკოეს საზოგადოება ვასილიევისაგან მოითხოვს, ვასილიევი მოვალეა, დაქირავებული რეკრუტი გამოიყვანოს ჩემ

მიერ ბოძებულ უფლებათა საფუძველზე", — წერს პეტრე ლამაზი, ფაქიზი ხელწერით.

მაგრამ ილინსკოეს საზოგადოებას ვასილიევისაგან დაქირავებული რეკრუტი არ მოუთხოვია: „თუმცა ვასილიევების ოჯახს ამჟამად არ უწევს რეკრუტის რიგი, მაგრამ მაინც ვალდებულია ილინსკოეს ხაზინაში დამატებით შეიტანოს 1000 მანეთი ვაჟიშვილებისათვის, რომლებიც რეკრუტობის ასაკამდე მიაწევენ".

ასე, რომ ვასილიევს თავისუფლება სამი ათას ვერცხლის მანეთად დაუჯდა.

„საიდან იშოვა ამდენი ფული?" — ფიქრობდა პეტრე, ამ დოკუმენტს რომ იწერდა.

„საიდან, ნეტავ?" — ფიქრობდა ახლაც, ვასილიევის „საქმე" რომ მოაგონდა. იქნებ უსინდისო გზით მოიპოვა იმ კაცმა ეს ფული? იქნებ ნაჯახით აკუწა ღამით უკაცრიელ გზაზე მიმავალი ვინმე ფულიანი ვაჭარი? თავისუფლების მოსაპოვებლად რას არ იკადრებს კაცი. სასოწარკვეთილება ღმერთსაც დაავიწყებს!

პეტრე იმ გლეხებს კი არ თანაუგრძნობდა, ვინც თავი გამოისყიდა, არამედ იმათ, ვინც გაბედა და გაიქცა.

იმ დროის განმავლობაში, რაც პეტრემ სამმართველოში დაყო, ცხრამეტი „საქმე" გადაწერა სტროგანოვთა ყმების ილინსკოედან გაქცევის თაობაზე. მათგან სამი დაიჭირეს. გაროზგეს, ოცდაათ-ოცდაათი როზგი დაჰკრეს და მერე სალდათში გაამწესეს.

საინტერესო წიგნივით კითხულობდა პეტრე მოხსენებას ილინსკოეს მთავარ სამმართველოსადმი იმის თაობაზე, თუ როგორ გაიქცა ნიკიფორ ნიფონტოვი. მას წინასწარ, ვითომცდა სასწავლებლად, გაუგზავნია ვაჟიშვილი, წინასწარვე, სადღაც დაუმალავს ცხენები და საზიდარები, ასე უთქვამს, ქარხანაში გავგზავნეო. გაქცევამდე ორი დღით ადრე ცოლი და ქალიშვილი „სალოცავად" გაუშვია. მერე თავადაც წასულა „საქმეზე".

ოთხი დღის შემდეგღა გაახსენდათ, რომ სოფელში ნიფონტოვების მთელი ოჯახი აღარ ჩანდა. მაგრამ ნიფონტოვი გაგებული გლეხი იყო. ისე წაშალა ყოველგვარი კვალი, რომ საუკეთესო აგენტმა, გლეხმა პანასოვმაც ვერ აუღო ალღო, თუ სად აფარებდა თავს გაქცეული.

„ალბათ ამბოხებულთა ნავსაყუდელში არიანო, — ფიქრობდა

პეტრე, — იქ, სადაც გაქცეული გლეხები და მაწანწალები აფარებენ თავს — ულრან ტყეებში, სოფელ ნირობსკსა და მდინარე ლუნიას შორის, ჩვენი სოფლიდან ორასიოდე ვერსზე, ვოლოგდის საზღვართანო. ხალხი ამბობს, იქ ოქროს საბადოებს ამუშავებენ, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება მოსყიდული ჰყავთ და მფარველობენო მათ. რა კარგი იქნებოდა იქ წასვლა! ნიფონტოვივით! — პეტრე ხშირად ფიქრობდა გაქცევაზე. „თავისუფლება მსურს! რადაც არ უნდა დამიჯდეს, თავი უნდა ვიხსნა ყმობისაგან," — ჩურჩულებდა პეტრე უძილო ღამეებში. იქნებ კიდევაც აღესრულებინა სურვილი, პეტერბურგში რომ არ გამგზავრებულიყო. ვინ იცის, როგორ აეწყობა ახლა მისი ცხოვრება?

ამასობაში დღეს ღამე მოსდევს, ხოლო პირქუშ, წვიმიან დღეს ცამოწმენდილი თბილი დღე სცვლის.

ბორბლებით გადათხრილ გზაზე მიათრევენ ცხენები ილინსკოურ აღალებს. დაღლილობა ეტყობა ულამაზეს თეთრ ფაშატსაც, რომელსაც აღფრთოვანებაში მოჰყავს შემხვედრნი, როცა საზიდრები სოფლებსა და ქალაქებს ჩაუვლიან.

საზიდრის ბოლოში განწირულივით მიმჯდარა ჩაფერფლილი, თითქოს მობერებული ანფისა. პაპა სოფრონი, რომელმაც რა აღარ იხილა ამქვეყნად და რას აღარ შეეჩვია, ჩვეულებრივ, მხიარულ გუნებაზეა და ყბედობს. ახალგაზრდობას იგონებს, თანაც ისე უცნაურად იხსენებს, თითქოს თავისას კი არა, ვინმე სხვის ცხოვრებას ყვებოდეს. პეტრე ძალას ატანს თავს, მაგრამ ეს ბერიკაცი ვერაფრით ვერ წარმოუდგენია ახალგაზრდა.

სოფრონის მონაყოლი კი აინტერესებს ჭაბუკს, მაგრამ რაც მის თვალწინ იშლება, ის უფრო იზიდავს. სოფლური ქოხმახების ხილვა ამწუხრებს, ქალაქების ხალხმრავლობა კი აოცებს.

ჰოდა, ისე მოუთმენლად ელოდება პეტრე პეტერბურგის ხილვას, თითქოს ამაზე იყოს დამოკიდებული, ისეთივე მწარე ცხოვრება ექნება მასაც, როგორც მთელ კუზნეცოვთა მოდგმას, თუ იგი არწივივით მოსწყდება სალ კლდეს, მკერდით გააპობს ჰაერს და ლაღად და ამაყად აიჭრება ზეცაში.

პეტერბურგი ილინსკოელებს კოკისპირული წვიმით შეხვდა. ქალაქი გამოცარიელებული იყო, სიმყუდროვე სუფევდა. იმსიმაღლე

სახლებმა და დაბლა ჩამომხობილმა ტყვიისფერმა ცამ გააოცა პეტრე. უცებ მშობლიური ილინსკოეს ველ-მინდვრები მოენატრა. მთელი ეს გზა პირველად მოუნდა შინ ყოფნა. ფართო ქუჩაზე მდგარი კუზნეცოვთა ლამაზი სახლიც, ღუმელზე მკვნესარე პაპაც, ლენჩი დაც, მუდამ თმადაუვარცხნელი და პირდაღებული ერთთავად სულელურად რომ იღიმებოდა, მაგრამ მაინც სინორჩის სილამაზით რომ იყო სავსე, სილამაზით, ჯერაც რომ ვერ დაეჯაბნა ავადმყოფობას — ყველაფერი თითქოს უხმობდა პეტრეს, გულით უყვარდა და მაინც რატომღაც მიეტოვებინა. პეტრეს გული უკვდებოდა, ისეთ სიმარტოვეს გრძნობდა.

ცხენებმა გზიდან გადაუხვიეს და ქვაფენილზე თქარათქურით შეარახრახეს საზიდრები ღია რკინის ჭიშკარში, დიდრონი ჩუქურთმებით რომ იყო დამშვენებული.

მეორე თავი

დები გონჩაროვები სეირნობიდან ცხენებით ბრუნდებოდნენ. ყველანი ბალღობიდანვე მშვენიერი ცხენოსნები იყვნენ და პეტერბურგის დიდგვაროვანნიც, ქვის კუნძულზე რომ ისვენებდნენ და კავალერჰარდებიც, დიდი ნევის იქეთა მხარეს საზაფხულო ბანაკებში რომ იყვნენ განლაგებულნი, მხედარი ქალების მზერით ტკბებოდნენ.

ნატალია ნიკოლაევნა 1836 წლის ამ ზაფხულს მაინცდამაინც არ ეტანებოდა ცხენით სეირნობას. მაისში შეეძინა ქალიშვილი ნატალია, მშობიაობის შემდეგ ბევრი იავადმყოფა და ახლაც, ზაფხულის მიწურულს, თავს კარგად ვერ გრძნობდა. იგი უბრალოდ დებს ახლდა, როგორც მეჯლისებზე ახლდა ხოლმე. ქალიშვილები, თუმცა უკვე მოწიფულები იყვნენ, საზოგადოებაში მარტო ვერ ჩნდებოდნენ.

დები გვერდიგვერდ მოდიოდნენ. ნატალია ნიკოლაევნას ყორანა ცხენი წყნარად და ჩუმად მიაბიჯებდა. ასეთივე მშვიდი და წყნარი ჩანდა მისი მშვენიერი პატრონიც. ნატალიას სადაოებისთვის ხელი შეეშვა, ცხენს მინდობოდა და არც ირგვლივ იხედებოდა, არც გზას

გასცქეროდა. მიდიოდა წყნარად, რაღაცნაირი საზეიმო განწყობით ჩაფიქრებული.

ალექსანდრა ნიკოლაევნას გულარღო, ფიცხი ცხენი ახლაც ვერ დამცხრალიყო, თუმცა ნახევარი საათი ჩქარი ჩორთით ატარეს. ჭიხვინებდა, ნესტოებს ბერავდა, აქაოდა, ერთი შემხედეთ, ვინა ვარო. მისი მხედარიც გრძნობდა შემხვედრთა აღფრთოვანებულ მზერას და მთელი გარეგნობით, ამაყი მიხვრა-მოხვრით და გულგრილი მზერით თითქოს ამას ამბობდა: „რა მენაღვლება, დაიტკბეთ მზერა, განა ხშირად შეხვდებით ამისთანა მხედრებსო“.

ეკატერინა ნიკოლაევნა კი შემხვედრთა მზერას სიხარულით აბრწყინებულ თვალებს აგებებდა, ზოგს უღიმოდა და თავს უქნევდა, ზოგსაც თეთრხელთათმანიანი ხელით სალამს უგზავნიდა. მისი ცხენიც ხან წინ იჭრებოდა, ხან კიდევ სხვებს ჩამორჩებოდა ხოლმე კეკლუცად აცეკვებული.

იმ ზაფხულს პუშკინები ქვის კუნძულზე ცხოვრობდნენ. ეზოში ორი სახლი და პატარა ფლიგელი იდგა. ერთ სახლში პუშკინები ცხოვრობდნენ, მეორეში — დები გონჩაროვები. პატარა ფლიგელში კი დასახლდა ეკატერინა ივანოვნა ზაგრიაჟსკაია, გონჩაროვების დეიდა, ნატალია ივანოვნას და. მას გულით უყვარდა თავის დისწულები. ისინი კი ცოტანი არ იყვნენ: ეკატერინა, ალექსანდრა, ნატალია, დიმიტრი, ივანე და სერგეი. ამბობენ, მეგობარი ჭირში იცნობაო. ეს ანდაზა ზედგამოჭრილი იყო ეკატერინა ივანოვნა ზაგრიაჟსკაიასათვის. როცა პუშკინის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა და მომაკვდავმა ალექსანდრ სერგეევიჩმა ანდერძად დაუბარა ცოლს: „სოფელში წადი და ორი წელიწადი მიგლოვე, მერე კი ვინმე წესიერ კაცზე გათხოვდიო,“ — ნატალია ნიკოლაევნა ბავშვებითურთ გაემგზავრა გონჩაროვების მამულში. მას ალექსანდრა ნიკოლაევნაც თან გაჰყვა და გვერდიდან არ მოშორებია დას, მასთან ერთად დაბრუნდა პეტერბურგში. ეკატერინა ივანოვნა ზაგრიაჟსკაიაც მათთან იყო. ყველაზე მძიმე დღეებში მხარში უდგა დისშვილს.

...ხეივნიდან მხედარმა ქალებმა მდელოსკენ გადაუხვიეს და ცოტა გზა კიდევ განვლეს. მათ მეეზოვე ელოდებოდა, ჭიშკარი გაუღო ქალებს, მხედრები ეზოში შევიდნენ და საჩქაროდ მიაშურეს სახლს.

გრაფ გრიგორი ალექსანდროვიჩ სტროგანოვს ბევრჯერ გაუგზავნია პეტრე რაიმე დავალებით თავის დეიდაშვილებთან, გონჩარო-

ვებთან. პეტრემაც და სტროგანოვთა და პუშკინთა ყველა შინაყმამაც კარგად იცოდა, რომ გრაფ გრიგორ ალექსანდროვიჩს იმ სამი დეიდაშვილისაგან ეკატერინა ნიკოლაევნა ჰყავდა გამორჩეული, რაღაცნაირად იმ ორზე მეტად მას შევთვისა. სწორედ მის საჩუქრად ჩამოიყვანეს ილინსკოედან პეტერბურგში უმშვენიერესი თეთრი ფაშატი. მისთვისვე იყო განკუთვნილი გოგო ანფისაც. ანფისა უკვე ყმაწვილ ქალბატონთან ცხოვრობდა, ხოლო ფაშატი გიორგი ალექსანდროვიჩმა თავისთან დააყენა — ეტყობა, ეკატერინა ნიკოლაევნას ცხოვრებაში რაიმე საზეიმო შემთხვევას ელოდებოდა.

დღეს პეტრე ამ კარმიდამოში მხედარი ქალების დაბრუნების მოლოდინში იყო. გრაფის წერილი უნდა გადაეცა ეკატერინა ნიკოლაევნასათვის. მაგრამ ეკატერინა მხიარულ მასლაათში იყო გართული ალექსანდრა ნიკოლაევნასთან და სწრაფად ჩაუარა გვერდით პეტრეს. დაბნეული ყმაწვილი დაედევნა მათ, მაგრამ ქალებმა კიბე აირბინეს და კარს მიეფარნენ. მეჯინიბემ ცხენებს ჩააცლო ხელი და წაიყვანა. ნატალია ნიკოლაევნა წუთით შეყოვნდა მეჯინიბესთან და პეტრე დაინახა. მიხვდა, რომ ყმაწვილი მას ელოდა.

— რა გინდოდა? — ჰკითხა ხმადაბლა.

პეტრეს ჯერ არ ენახა ნატალია ნიკოლაევნა. მხოლოდ ყური მოეკრა, ძალიან ლამაზიაო. შეხედა ქალს და სახტად დარჩა. „ანგელოზსა ჰგავს — გადაწყვიტა ყმაწვილმა, თვალი ვერ მოეწყვიტა ამ ქალის მოოქროსფრო-თაფლისფერი თვალებისათვის, უბადლო სახის ნაკვთებისათვის, ამ ძალდაუტანებლად დახრილი თავისა და უზაკველი იერისათვის.

იდგა პეტრე ნატალია ნიკოლაევნაზე თვალმიშტერებული და კრინტი ვეღარ დაეძრა.

ქალი, ეტყობა, მიჩვეული იყო, მისი პირველად მნახველნი რომ იბნეოდნენ, ერთ ხანს იმანაც იცადა, მერე ჩაეღიმა და კვლავ ჰკითხა ყმაწვილს:

— გინდოდა რაიმე?

პეტრე წამოწითლდა და დაბნეულმა გაურკვეველად ჩაილუღლუღა:

— მათმა ბრწყინვალებამ, გრაფმა გრიგორი ალექსანდროვიჩმა დამავალა, ეს პაკეტი ეკატერინა ნიკოლაევნას გადაეცი.

ყმაწვილმა პაკეტი გაუწოდა და კიდევ უფრო დაიმორცხვა, რად-

გან ასე ნალოლიავები ქაღალდი მღელვარებისაგან სწორედ რომ ბოლო წუთს დაეჭმუჭნა.

ნატალია ნიკოლაევნა ყველაფერს მიუხვდა.

პაკეტი გამოართვა, ორად გაკეცა და პეტრეს უთხრა:

— მე გადავცემ ეკატერინა ნიკოლაევნას, ცოტა დამეჭმუჭნება, ალბათ, მაგრამ არაუშავს.

ქალის მოოქროსფრო თვალებში და მომაჯადოებელ ბაგეებზე კვლავ გაიელვა ღიმილმა.

ნატალია გატრიალდა და სახლისკენ წავიდა, პეტრემ კი მონუსხულივით გააყოლა მზერა, დაინახა, როგორ ნელა ასწია ქალმა ხელები და მოიხადა შლიაპა. ყმაწვილი ტკბებოდა მისი ნაზი მხრების, წერწეტი ტანის და ლაღი სიარულის ცქერით.

ნატალია ნიკოლაევნა კიბეზე ავიდა და თავის დებივით, ისიც კარს მიეფარა.

ზმანება გაქრა.

მთლად დაბნეული პეტრე წამით ისევ გაუნძრევლად იდგა. მაშინ ჯერ კიდევ არ გაეგებოდა, თუ რა სჭირდა.

ღამით მან ხის კოხტა ყუთიდან, რომელშიც ბარგი ელაგა, გონჩაროვთა ქარხნ-ს მოცისფრო ქაღალდი და საწერ-კალამი ამოიღო და ქონის სანთელი ცალი მხრით ჩამობინდა, რომ მის შუქს მძინარე პაპა სოფრონი არ შეეწუხებინა.

ნათლად წარმოუდგა სურათი: შეყენებული ცხენი და მხედარი ქალი. ხელის გასაოცარი მოძრაობა, მოშვებული სადავე, მოოქროსფრო-თაფლისფერი თვალების ალერსიანი გამოხედვა... პეტრე შეუდგა ხსოვნაში და გულში ჩარჩენილი ხატების ქაღალდზე გამოსახვას.

„ეჰ, ნეტავი საღებავები მქონდეს! — გაიფიქრა გულისტკივილით: — აბა კალმით როგორ გადმოვიტანო ამ ქალის თვალები, ეს უმისამართო მზერა, დაბნეული გამომეტყველება, რაღაც ჩაუწვდომელი ნაღველი. კალმით ამას ვერ გადმოსცემ!“

პეტრემ ბრაზით მოისროლა დაწყებული ნახატი საწოლთან მდგარ მაგიდაზე, სანთელს სული შეუბერა, გაიხადა და დაწვა. მერე სიბნელეში ხელი გაიწვდინა, ქაღალდი დაჭმუჭნა და ბალიშქვეშ შეჩურთა.

ღმერთს ნუ ექნა ვინმეს ხელში ჩავარდნოდა! იმწუთასვე მო-

ახსენებდნენ სტროგანოვებს, თქვენს შინაყმას ხატვის ნიჭი აქვსო. ჰოდა, მაშინვე სტროგანოვის სამხატვრო სასწავლებელში უკრავდნენ თავს. სტროგანოვებს ძალიან უყვართ თავიანთი ყმების ბრძნულად განსწავლა. ეამებათ ამით თავის მოწონება. აქაოდა, ეროი ნახეთ, როგორ ვზრუნავთო ჩვენს ხალხზე. ერთმა ღმერთმა იცის მხოლოდ, რომ ამ ხალხს ძალით მიერეკებიან სასწავლებლად! პეტრეს, ილინსკოეში როცა ცხოვრობდა, სულაც არ ეპრიანებოდა ხოლმე მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული სტროგანოვთა ხატების ხატვა. საერთოდ, თავისთვის მუშაობა უყვარს, ქაღალდთან პირისპირ დარჩენა ეამება ხოლმე. ხატვა ხომ გართობაა. საქმეს კი უფრო დიდსა და ძნელად გასაკეთებელს უნდა მოჰკიდოს ხელი. ექიმობა იტაცებს. მამის მხრიდან ყველა წინაპარი ექიმბაში ჰყავდა, მაგრამ მას ნამდვილი ექიმი სურს გახდეს, თავის მამა-პაპასავით ბალახებითა და შელოცვებით კი არ მკურნალობდეს ხალხს, თუმცა მათი ძალისაც სჯერა პეტრეს. მას სურს, მეცნიერულად იცოდეს ადამიანის აგებულება, სურს, შეისწავლოს ყველაფერი, რასაც რუსეთში მედიცინამ მიაღწია.

ჯერჯერობით კი პეტრე თავისი კალიგრაფიული ხელით წერს ნაირ-ნაირ დოკუმენტებს, გასაგზავნ-გამოსაგზავნად ჰყავთ. ხოლო როცა მოცლილია და მარტო რჩება, ხატავს და ხევს, რომ არავინ დაინახოს.

მესამე თავი

..

გრაფმა გრიგორი ალექსანდროვიჩმა პეტრე ბოლშიე ვიაზემში, მოსკოვის მახლობლად, კნეინა გოლიცინას მამულში გაგზავნა.

მეეტლედ ისევ ძია სოფრონი იყო, პეტრემ და პაპა სოფრონმა რამდენიმე დღე იჯაყჯაყეს მტვრიან, აყრილ-დაყრილ გზებზე. პატარა ბიჭობაში ილინსკოეში დიდი მითქმა-მოთქმისთვის მოუკრავს ყური პეტრეს კნეინა გოლიცინაზე, სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვას დედაზე. ილინსკოელი ბალღები რაღაც კარტებს ახსენებდნენ, ამ კარტებს კნეინა შეულოცავს და მუდამ იგებს ხოლმეო. სამი კარტი იცისო, წაუგებელი კარტები. ამ ქალს სოფელში „მაქციას“ ეძახდნენ.

კნეინა გოლიცინა დიპლომატის ქალიშვილი იყო, ახალგაზრდობიდანვე საზღვარგარეთ ცხოვრობდა და ძალიან ბევრ ქვეყანაში იცნობდნენ — ინგლისის ხელმწიფის, გეორგ III-ის კარზე მას მუდამ გულთბილად იღებდნენ, რადგან ჭკვიანი ქალი იყო და საინტერესო მობაასე. როცა გოლიცინა საფრანგეთში ცხოვრობდა, დედოფალ მარია-ანტუანეტას მუდმივი პარტნიორი იყო ხოლმე კარტის თამაშში.

კარტის თამაშის სიყვარული მთელი სიცოცხლე გაჰყვა და სიბერეში, როცა თვალისჩინი გამოელია — ამ დროისათვის ულვაშებიც ამოუვიდა და მაღალ საზოგადოებაში „ულვაშა კნეინა“ შეარქვეს, — მისთვის საგანგებოდ გამოჭრეს დიდრონი კარტები.

პეტერბურგში პეტრე ხშირად მიდიოდა გოროხოვაიასა და ბოლშაია მორსკაიას კუთხეში, რათა შეეხედა კნეინა ნატალია პეტროვნა გოლიცინას სახლისათვის. ახლაც ძალზე აინტერესებდა მისი მამულის ნახვა.

— ბოლშიე ვიაზემის გვერდით ზახაროვია, — გატაცებით უყვებოდა პეტრეს პაპა სოფრონი და წაფერდილ, ჩამოქცეულ სახლებზე მათრახით უთითებდა, — ჰანიბალთა ყოფილი ადგილ-მამული, იმ მელექსის ბებიის კუთვნილება, გონჩაროვების ერთ-ერთი და რომ ჰყავს ცოლად. ამბობენ, ლექსან სერგეიჩის პატარა ბიჭობაში პუშკინები აქ, ბებიასთან იყვნენ ყოველ ზაფხულსო. ხომ არ შეგვეხვია ზახაროვოში?

პეტრეს უარი არ უთქვამს.

გაიარეს ბოლშიე ვიაზემი და მარჯვნივ შეუხვიეს. ნელა მიდიოდნენ ხალვათ ქუჩაზე. პაპა სოფრონი შოლტით სადღაც განზე, ჩაქცეულ და მწვანე ხავსმოდებულ სახურავებს ზემოთ უთითებდა პეტრეს და უყვებოდა:

— აი, იქ, ბოლშიე ვიაზემის ეკლესიის მახლობლად პუშკინის უმცროსი ძმის საფლავია. ქვაზედაც „ნიკოლაი სერგეევიჩ პუშკინი“ აწერია, თავად მინახავს.

მათ ხუთკედელა, ახალთახალ ალაყაფისკარიან მკვრივად ნაგებ სახლს ჩაუარეს. ჭიშკარი გაიღო და ქუჩაში ხანშიშესული ქალი გამოვიდა. ქალს მხარზე მოხატული სამხრე გაედო და ვედროები მისი სიარულის ტაქტზე ჭრიალით ქანაობდნენ. ულამაზო სახის ქალი

ბეცი იყო, ჩამძვრალი თვალები, დიდი, ფორებიანი ცხვირი და ძაფივით წვრილი, ზიზღით მოკუმული ტუჩები ჰქონდა.

სოფრონმა ცხენები შეაყენა.

— გამარჯობა, მარია, როგორ გიკითხო?

— პაპა, სოფრონ! — მხოლოდ ტუჩებით ჩაიღიმა ქალმა. — დადიხარ, დასეირნობ და, გეტყობა, წლები ვერას გაკლებს.

— ჰო, ჰო, დავსეირნობ, მარია, სულ სეირნობაში ვარ. აბა რა უნდა გავაწყო ასეთ ყოფაში? — განგებ მოიმხიარულა თავი სოფრონმა, — არინა როდიონოვნა როგორღა ბრძანდება?

— აბა რას მეკითხები, სოფრონ, — პირჯვარი გადაიწერა მარიამ. — დედა, რა ხანია. გარდაიცვალა. ძალიან იდარდა ალექსანდრ სერგეევიჩმა! დედაჩემი ხომ პუშკინების გადია იყო, ალექსანდრ სერგეევიჩს კი ბალღივით დასდევდა მიხაილოვსკოეში.

პეტრე მიხვდა, პუშკინის გადიაზე რომ იყო ლაპარაკი. მოაგონდა ლექსის სტრიქონები:

ღარიბული ჩვენი ქოხი
მწუხარებას ვეღარ ასცდა,
ჩემო ძიძა, ჩუმი ოხერით
რას აკეთებ ფანჯარასთან?
დაღლილობა ქარმა გარგო,
ეგრე მისთვის გაინაზე,
თუ ჩასთვლიმე, ჩემო კარგო,
თითისტარის ნანინაზე?
შევსვათ, ვინ მყავს შენი მსგავსი
მეგობარი ბავშვობიდან?*

ამ ლექსის გახსენებაზე ყურადღებით ჩაათვალიერა მარია. შენიშნა, რომ ქალი რიგიანად იყო ჩაცმულ-დახურული. სახლიც, საიდანაც იგი გამოვიდა, გამოირჩეოდა სხვებისაგან — ახალი, დიდი, მოვლილი სახლი იყო.

მერე სოფრონმა უამბო, რომ არინა როდიონოვნა, თუმცა აზატობა მიიღო, მაინც პუშკინებთან დარჩა მოახლედ. მან გაზარდა პუშკინი, მისი და ოლგა და ძმა ლევი. ხოლო მარია, თუმცა შეუხედავი ჰყავდა, შეძლებულ გლეხს მიათხოვაო.

---

* თარგმანი პაოლო იაშვილისა.

მთელი გზა ზახაროვოდან ბოლშიე ვიაზემიმდე პეტრე იმაზე ფიქრობდა, აი, როგორ ხდება ხოლმეო: ბატონი მეგობარს ეძახის თავის გადიას, ყოფილ შინაყმასო. მისთვის გადია ჩვეულებრივი ადამიანია და უფრო ახლობელიც კიო.

— ხდება ხოლმე! — თქვა ხმამაღლა ამოოხვრით.

— რაო, რა ხდება ხოლმე? — დაინტერესდა სოფრონი.

ჰოდა, პეტრემაც გული გადაუშალა. პაპა სოფრონმა, რასაკვირველია, არ იცოდა პუშკინის ლექსები, მაგრამ პუშკინის შესახებ ბევრი რამ გაეგონა მათი შინაყმებისაგანაც და გრაფ სტროგანოვის ხალხისგანაც.

— გრძელი ცხოვრება გამოვიარე, — თქვა პაპა სოფრონმა. — მთელი სიცოცხლე მე და ჩემმა მამა-პაპამ ყმობაში გავლიეთ. ვიცი, რომ სტროგანოვები სხვებზე უფრო ლმობიერი ბატონები არიან! განსაკუთრებით სოფია ვლადიმიროვნა. ამ ქალზე ამბობენ, კაცის ჭკუა აქვსო, ყოვლისმცოდნეაო. კავალერი ქალიაო, — ენის ბორძიკით ძლივს გამოთქვა პაპამ, — წმინდა ეკატერინეს მეორე ხარისხის ორდენი აქვსო...

დიახ, პეტრემ საბუთებითაც ასე იცოდა, სამმართველოშიც ასე მოეკრა ყური და ილინსკოეშიც ასეთი ხმები დადიოდა, რომ პერმის ადგილ-მამულების ყველა მებატონეთა შორის სოფია ვლადიმიროვნა ყველაზე უფრო მზრუნველი და ასე თუ ისე სამართლიანი მებატონე იყო. სამმართველოში მომსახურე ხალხს ერთთავად ამ ქალის სიტყვები ეკერა პირზე: „ყველაზე მეტად უნდა იზრუნოთ თქვენდამი რწმუნებულ შინაყმათა კეთილდღეობაზე, მერე კი მამულის შემოსავალზეო“. სწორედ ამ ქალმა დააარსა პეტერბურგში სამთამადნო-საქარხნო და სატყეო მეცნიერებათა სკოლა თავისი და სხვა მებატონეთა შინაყმათათვის, დაადგინა მოსამსახურეთა პენსიების წესდება, სადაზღვევო კაპიტალი. დააფუძნა სამედიატორო სასამართლო. პეტრეს სწორედ ეს უკანასკნელი მიაჩნდა ძალზე მნიშვნელოვან საქმედ. სტროგანოვთა განუყოფელ ადგილ-მამულში ერთი კაცი ვერ იმბრძანებლებდა. ყველაფერს სწყვეტდა სამედიატორო სასამართლო. იგი შედგებოდა სამი წევრის, ერთი მდივნის, მისი თანაშემწისა და ოთხი გადამწერისაგან. სამედიატორო სასამართლოს წევრებს მთელი საზოგადოება ირჩევდა, ლანგრით გამოჰქონდათ საარჩევნო კენჭები და თითოეულს ამ კენჭით უნდა მიეცა

ხმა ან ამორჩეულისათვის, ან მის წინააღმდეგ. თუ სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანდა, დასახმარებლად გრაფინია სოფია სტროგანოვას მიმართავდნენ ხოლმე...

არა, მრისხანე ბატონები, მართლაც, არ იყვნენ სტროგანოვები. მაგრამ ყმები ადამიანებად მაინც არ მიაჩნდათ. თუ მათ შინაყმათაგან ვინმე ხალხში გამოვიდა, თავისუფლება მიიღო, როგორც, მაგალითად, ვოლეგოვმა, ან საზღვარგარეთული სწავლა-განათლება, როგორც, მაგალითად, ტეპლოუხოვმა, სამაგიეროდ, მათმა ბატონებმაც მოიგეს შემდეგში ამის გამო. ვოლეგოვი მთელი სიცოცხლე სტროგანოვთა ადგილ-მამულს მართავდა. დიდი მეცნიერი ტეპლოუხოვი კი სტროგანოვთა სატყეო მეურნეობას განაგებდა.

— არ მეჯერება, რომ პუშკინი თავის გამზრდელს მეგობრად თვლიდა, — თავი გაიქნია სოფრონმა, — არ მჯერა! ასე მგონია, არც ლექსები დაუწერია-მეთქი მასზე.

პეტრემ მხრები აიჩეჩა:

— რანაირ ბატონს არ შეხვდები კაცი.

პაპა სოფრონმა ვიღაც გამვლელი შეაჩერა და ჰკითხა, სად ცხოვრობსო ექიმი, ვისთანაც გაგზავნილები იყვნენ. გამვლელმა შესახვევისკენ მიუთითა. შესახვევში დაბალი ღობე იყო გადაჭიმული, ხოლო მას ერთადერთი, დროქამისა და წვიმა-თოვლისგან ჩაშავებული ჭიშკარი გადმოჰყურებდა. სწორედ ამ ჭიშკართან შეაყენეს ცხენი.

ეზოში ორსართულიანი ხის სახლი იდგა. ქვემოთ, დიდ ფანჯარასა და კარზე, კლიტით რომ იყო დაკეტილი, ეკიდა აბრა: „აფთიაქი“.

— ამას აუყევი, პეტრუხა, — უთხრა სოფრონმა პეტრეს და მაღლა ამავალ, ვიწრო კიბეზე მიუთითა. — მე კი თამბაქოთი შევიქცევ თავს!

პეტრე ეზოში შევიდა. კიბემ იგი გაიყვანა პატარა ბაქანზე, სადაც ფანჯრიანი კარი გამოდიოდა.

პეტრემ მოსწია რკინის სახელური. ზარი აწკრიალდა. კარი იმავ წამს გააღო თეთრწინსაფრიანმა და თავსაფარწაკრულმა მოახლე ვოგომ.

— გრაფ სტროგანოვის გამოგზავნილი წერილი მოვუტანე

ექიმს, — უთხრა პეტრემ და კონვერტზე მიუთითა. — პირადად გადაეცი, ასე დამავალეს.

— შემოდი მერე, — არცთუ მაინცდამაინც თავაზიანად უთხრა გოგომ, ხელი ასწია და პეტრეს მხარს ზემოთ კაკვით გადაკეტა კარი. — აქ დაიცადე, — უთხრა პეტრეს და თვალს მიეფარა.

დღის შუქზე თვალშეჩვეულ პეტრეს ბნელ დერეფანში გაუჭირდა რაიმეს გარჩევა, მერე ორი ზურგამოზნექილი სკამი დაინახა, მრგვალ, მაქმანის სუფრაგადაფარებულ პატარა მაგიდასთან მიმდგარი. მაგიდაზე პატარა ქანდაკება იდგა — სამი შიშველი, მოცეკვავე ქალი იყო გამოსახული. მაგრამ პეტრეს რაიმეთი გაკვირვება უკვე გაჭირდებოდა. ის კი არა და, ეს სამი ნარნარი ქალი ცოცხალი რომ გამომდგარიყო, ბატონების ჩვეულებრივ ხუშტურიანობად მიიჩნევდა მათ აქ ყოფნას.

გაღებულ კარში ექიმის ჭაღარა თავი გამოჩნდა, იგი მოჭუტული ლურჯი თვალებით ათვალიერებდა პეტრეს.

— გრაფმა გრიგორი ალექსანდროვიჩმა გამოგგზავნა? შემოდი.

პეტრე პატარა კაბინეტში შევიდა და ექიმს პაკეტი გაუწოდა. მან გახსნა, კარგა ხანს იკითხა წერილი, თან ცხვირში რაღაცას დუდღუნებდა, მერე მიდგა და საწერი მაგიდის უჯრების ქექვას მოჰყვა, რაღაცას ეძებდა კარადაში, შუშებს თუ ბოთლებს; პაკეტებს მოუცვალა ადგილი. რაღაცას ეძებდა და ვერ ეპოვა, ვიღაცაზე ბრაზობდა.

— დამიცადე, — უთხრა პეტრეს. — შენ აი აქ დაჯექი, — კართან მდგარ თეთრ ტაბურეტზე მიუთითა. — მე ახლავე მოვალ.

პეტრე მარტო დარჩა. მიათვალ-მოათვალიერა კაბინეტი. მაგიდა იდგა, მაგიდასთან — სავარძელი. კიდევ იდგა ორი თეთრი ტაბურეტი და ვიწრო სკამსაწოლი, რომელსაც სელის რუხი გადასაფარებელი ეფარა.

„სულაც არ ცხოვრობს მდიდრულად, — გაიფიქრა პეტრემ. — ჩვენში, ილინსკოეში, უფრო მდიდრულად არიან მორთულნი“. და მაინც, ეს ექიმი — ბატონკაცი იყო. თუმცა, სტროგანოვებივითა და გოლიცინებივით ყველა მებატონე როდი ატრიალებს მილიონებს. აი, თუნდაც დები გონჩაროვები ავიღოთ. რამდენჯერ მოუკრავს ყური პეტრეს, გრიგორი ალექსანდროვიჩ სტროგანოვს საუბარში რომ უთქვამს, ჩემი დეიდაშვილები უფროს ძმას, დიმიტრი ნიკოლაევიჩს

ერთთავად წერილებს სწერენ — ფულს ითხოვენო. გათხოვილი ქალია ნატალია ნიკოლაევნა და ისიც ფულს თხოულობს, აქაოდა მზითევზე გამანაწყენესო.

პეტრე ჩაფიქრდა. ექიმი ისევ არ ჩანდა. სახლში და დერეფანში ჩამიჩუმი არ ისმოდა. პეტრემ ტაბურეტიდან წამოიწია, რომ ექიმის მაგიდაზე დაეხედა და გადაშლილი წიგნი დაინახა. დაინახა და სული განაბა. მაგიდაზე სწორედ ის წიგნი იდო, რომელზედაც პეტრე, აგერ, რამდენი წელიწადია, ოცნებობს. ადამიანის აგებულება იყო ამ წიგნში გამოსახული, ყველა შინაგანი ორგანო ეხატა იქ, ვენებიც, კუნთებიც, დახლართული ნერვებიც.

პეტრემ ქუდი ხელებში დაჭმუჭნა, ფეხისწვერებზე შემდგარი მივიდა მაგიდასთან და ხარბი თვალებით დააშტერდა ნახატს.

აი გული, თირკმელები, ფილტვები... ადამიანი წინიდან და ზურგიდანაც.

„ღმერთო ჩემო! ნეტა ერთი-ორი დღით მაინც ჩამაგდებინა ხელში ეს სურათი, გადავხატავდი. რა კარგად ვისწავლიდი, რომელი ორგანო სადა აქვს ადამიანს! თორემ ისე ხომ ბრმად მუშაობ კაცი, ბრმად... იქნებ ექიმისათვის მეთხოვა, ფიცით შემეფიცა, რომ გადავხატავ და მაშინვე უკან დაგიბრუნებ-მეთქი? თუმცა, არა, მაინც არ მომცემს!“

უცებ პეტრეს უტიფარმა, საშინელმა აზრმა გაუელვა გონებაში, გაუელვა და ყველა სხვა აზრი ჩაახშო: პეტრე მიხვდა, რომ თავისდღეში ვეღარ ეღირსებოდა ასეთი შემთხვევა. არა, უსათუოდ უნდა გარისკოს.

პეტრემ მაგიდისაკენ გადადგა ნაბიჯები, ათრთოლებული ხელებით ფრთხილად ამოხია ნახატიანი ფურცელი, პერანგქვეშ, სარტყელს უკან ჩაიჩურთა და მერე წიგნი გადაფურცლა, რომ მაშინვე ვერ შეემჩნია ექიმს; როგორც კი ტაბურეტზე დაჯდა, იმავ წამს ექიმიც შემოვიდა, ხელში რაღაც შეკრულა ეჭირა.

შეკრულა ფეხზე წამომხტარ პეტრეს გადასცა და სულაც არ შეუნიშნავს, როგორ უთრთოდა ჭაბუკს ხელები. მერე ექიმი მაგიდას შიუჯდა, გადაშლილი წიგნი ხმაურით დახურა, მაგიდის ნაპირას მისწია და კარგა ხანს წერდა გრაფის საპასუხო წერილს.

პეტრე კი ამასობაში ფეხზე იდგა მთლად ოფლად გაღვრილი და ღმერთს იმას ევედრებოდა, დრო ჩქარა გაიყვანეო.

ბოლოს ექიმი მორჩა წერილის წერას, დაბეჭდა იგი, პეტრეს გადასცა, თვალით გააცილა მიმავალი ჭაბუკი და დაადევნა:

— აბა, ღმერთი იყოს შენი შემწე, მის აღმატებულებას ბატონ სტროგანოვს მოკითხვა გადაეცი ჩემგან. წამალი არსად დაგეკარგოს.

ბოლშიე ვიაზემი სულაც არ ჰგავდა ზახაროვოს. ამ კარმიდამოში საბატონო სახლი იდგა, თუმცა მეტად დიდებული ბინა არ გახლდათ, სამაგიეროდ, გაშლილი, გრილოიანი, მოვლილი პარკი, გუბურები და შინაყმათა გაწკრიალებული პატარა-პატარა სახლები ერტყა გარს. შიგ სახლებში რა ელაგათ — კაცმა არ იცის, მაგრამ ამ მამულის მოურავისათვის, ეტყობა, მთავარი ის იყო, გარეგნული პეწი არ მოჰკლებოდა მათ.

სოფლის ქუჩაში რამდენიმე წუთს რომ იარეს, სადღაც იქვე, გვერდიდან ხმაური ატყდა, ლაპარაკი მოისმა და კუთხიდან რამდენიმე ეტლმა გამოუხვია. წინა ეტლში ვიღაც დედაბერი იჯდა, თეთრკულულებიანი თავი უცახცახებდა.

— კნეინა გოლიცინაა, — მოასწრო სოფრონმა პეტრესთვის გადაჩურჩულება, ცხენი სასწრაფოდ მიაგდო ღობესთან, საჩქაროდ ჩამოხდა და თავიდან ქუდი მოიძრო. პეტრე თავადაც მიხვდა, ვინც ბრძანდებოდა ეს ქალი. ისიც ჩამოვიდა ფორნიდან და ქუდი მოიხადა. თუ პაპა სოფრონი ცდილობდა „მაქციისათვის“ თვალი აერიდებინა და მზერა მიწაში ჩაეძვრინა, პეტრე, პირიქით, ცოცხალი ინტერესით ათვალიერებდა მას, თუმცა გრძნობდა, რომ გული ცრურწმენით მაინც უკანკალებდა.

აი, მათ თვალწინ გაიარა ამ მოკაკულმა, ულვაშიანმა, ცხოვრებისაგან მოღლილმა, სახედაპრანჭულმა, ოდესღაც ყოვლისშემძლე ფრეილინამ. ისევ მოაგონდა პეტრეს, ილინსკოელი ბალღები ღამით ერთმანეთს რომ აფრთხობდნენ ამ ქალის სახელით, ყვებოდნენ სამი კარტის ამბავს, რითაც ასე გამდიდრდა კნეინა.

იცოდა პეტრემ, რომ პუშკინმა, რომლის ნახვა მან ვერც მის პეტერბურგის ბინაში მოახერხა და ვერც აგარაკზე, კნეინა გოლიცინაზე წიგნი დაწერა და „პიკის ქალი“ დაარქვა. ნეტა აშოვნინა პეტრეს ეს წიგნი და წააკითხა!

ეტლებმა ქუჩა გადაჭრეს და შესახვევს მიეფარნენ.

სოფრონმა მოხერხებულად მოიკალათა კოფოზე და ხმისამო-

ულებლივ შეუდგა თვითნაკეთი ჩიბუხის ბოლებას. მხოლოდ ცოტა ხნის მერე შენიშნა, რომ პეტრე ისევ ფიქრებში წასული დგას და არც აპირებს ფორანში ჩაჯდომას. სოფრონმა დუდღუნით უთხრა:

— რა გჭირს? გამოყეყეჩდი, თუ კნეინამ გაგთვალა?

პეტრემ ხელი ჩაიქნია და ფორანზე აძვრა.

იქნებ ზახაროველმა ექიმმა სულაც ვერ გაიგო იმ წიგნის ფურცლის დაკარგვა. ძალზე დაოსტატებული იყო თავის საქმეში, ყოველცისმარე სურათის დახედვა არ დასჭირდებოდა. ან იქნებ პეტრეს წასვლის შემდეგ კიდევაც ნახა, რომ დაკარგვოდა ფურცელი, რომელზედაც ადამიანის ანატომიური გამოსახულება ეხატა, მაგრამ აბა შინაყმა ბიჭზე ეჭვს როგორ აიღებდა? რაში უნდა დასჭირვებოდა ჭაბუკს ანატომია? განა მისთვის სულ ერთი არ არის, გული სადა აქვს ადამიანს, თირკმელები ან ღვიძლი? ადამიანის ორგანოთა განლაგების ცოდნა კი არ გამოადგებოდა ამ ჭაბუკს ცხოვრებაში, არამედ გრაფ სტროგანოვთა ბრძანებებისა და ხუშტურების შესრულება — მთელი სიცოცხლე, სანამ ძალა არ გამოელეოდა და სანამ, როგორც იტყვიან, ფეხზე დგომას შეძლებდა.

არა, უფრო საფიქრალია, რომ იმ კოხტა მოახლე გოგოს დაატყდეს რისხვა, ვისაც ერთთავად ღვიძლის, გულისა და ყელის ტკივილზე ჩივილები ესმის. აი, ეს გოგო მართლა შეიძლებოდა დაინტერესებულიყო იმ სურათით. ან კიდევ — ექიმის მცირეწლოვან შვილიშვილებსა და მათ თანატოლებს დააბრალებენ, ისინი ამოხევდნენ, როცა პაპა და ის უთაური მოახლე შინ არ იქნებოდნენო.

მაგრამ პეტრე ეს დღეები თითქოს ბურუსში ცხოვრობდა. უბრალო ხმაურზე კრთოდა, თუ შეატყობდა, გრაფი წარბშეკრულია ან გუნებაზე ვერ არისო, შიშის ჟრუანტელი უვლიდა.

ღამღამობით, როცა პაპა სოფრონი ხვრინვით იკლებდა პატარა ოთახს, სადაც ორი საწოლი იყო გაშლილი, პეტრე სანთლის ნამწვს აანთებდა ხოლმე, იატაკზე დადგამდა, იატაკზევე გაფენდა გადამწერის მიერ ნაწყალობევ ქაღალდის ფურცელს, და დაწოლილი იხატავდა ექიმისგან მოპარულ სურათს. ასე გაატარა მრავალი ღამე და მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდა, ადამიანის ორგანოთა გამოსახულება მეტისმეტად ზუსტად გადმოვხატეო, ექიმის წიგნიდან ამოხეული ფურცელი ღუმელში დაწვა. ძალზე დაენანა, მაგრამ კვალი მთლიანად გააქრო.

აი, რა სტრიქონები უწერია ჩემს წინაპარს დღიურში:

მე სამრევლო სკოლა დავამთავრე და შინ ქების სიგელი მოვიტანე. ყველა გავახარე ამით. თავად კი რატომღაც ნაღველი მერეოდა.

მამაჩემს ვკითხე, როგორ ვისწავლო, რომ ექიმი გავხდე–მეთქი. მამამ სიბრალულით შემხედა და მითხრა, ახალგაზრდობაში თავადაც ეგ ფიქრები მიტრიალებდა თავშიო.

— მაგისთვის ქალაქის გიმნაზიაში უნდა ისწავლო, გიმნაზიაში კი შინაყმებს არ ღებულობენ, ჩემო ბიჭო.

— რად არ ღებულობენ? — ვკითხე. — მე ხომ ქების სიგელი მაქვს!

— ასი ქების სიგელიც ვერ გიშველის, — მითხრა მამაჩემმა.

პაპამაც ოხვრით ჩამომძახა ღუმელიდან:

— ყმობას ვერსად გაექცევი, პეტრუხა. ფუჭი აზრებით ტყუილად ნუ გამოიტენი თავს.

შემოდგომის პირი იდგა. ქვის კუნძულის პარკების ხეივნები ჩაყვითლდა, ჭაღარა და სევდა შეეპარა. გადაჭრელდა მშვენიერ აგარაკთა და სასახლეთა ბაღები. არხის წყალს მზე აღარ აბზინებდა, ნევასავით ტყვიისფერი დაედო.

კუნძულის თეატრიც გამოცარიელდა. ფრანგული დასი, მთელი ზაფხულის სეზონი რომ თამაშობდა აქ და ასეთ მხიარულებასა და ლაზათს სძენდა აქაურობას, წავიდა, მათი გასტროლების დროს კი თეატრის წინა მოედანი საღამოობით სავსე იყო ხოლმე ეტლებით, პეტერბურგიდან და მეზობელი აგარაკებიდან სპექტაკლების სანახავად ჩამოდიოდა მაღალი საზოგადოება.

შეწყდა მხიარული პიკნიკები, რის მოწმედაც დროჟამისაგან გაყვითლებული წერილები შემორჩნენ. ს. ნ. კარამზინას წერილში წერია:

დღეს, ნასადილევს, ცხენებით სასეირნოდ მივდივართ ჩვენ, 'ვონჩაროვები, ეუენი ბალაბინა და მალცევი... ხვალ კი მთელი კომპანია ომნიბუსით გასართობ გასეირნებას მოაწყობს პარგოლოვოში.

შემონახულია ს. ნ. კარამზინას დის წერილი, რომელიც ძმას მისწერა ამ გასეირნების მეორე დღეს:

პარგოლოვოს მფლობელმა, კნეინა ბუტერმა ნებართვა მოგვცა, რომ ჩვენთვის გაეღოთ მისი მშვენიერი სახლის კარი. მთლად გავაჩანაგეთ დიდებული საპიკნიკო სადილი, რომელიც გავაწყვეთ ლამაზ სასტუმრო ოთახში, სიგრილესა და ყვავილების საამო სურნელებას რომ აფრქვევდა.

ცხენითაც თითქმის აღარავინ დასეირნობდა. წვიმიანი დღეებიც წაება. სწორედ ამ დროს პეტრე მეორედ ჩავიდა ქვის კუნძულზე გრაფ სტროგანოვის დავალებით.

ეკატერინა ნიკოლაევნა შინ არ დაუხვდა. ასე უთხრეს, პარკში დასეირნობს ცხენითო. პეტრემ გაიარ-გამოიარა პარკში, თვალი შეავლო ყვავილნარებს, ყვავილობა რომ მოეთავებინათ. ქუჩაში ნესტი იდგა, ამღვრეული ციდან ისეთი წვრილი სინსლი მოდიოდა, მხოლოდ ხელებითა და სახით თუ შეიგრძნობდა კაცი.

ბალახისა და ხეების სურნელი, ფერშეცვლილ ხეთა რიგები და ნესტგამჯდარი ფოთლები თავის საყვარელ ილინსკოეს აგონებდა პეტრეს. მისი ყურადღება მიიპყრო განცალკევებით მდგარმა პატარა ძირკვმა, ზედ ჩამოჯდა, ზურგით მუხის მძლავრ, ნოტიო ტანს მიეყრდნო, მერე მიტრიალდა, თვალით აზომ-დაზომა ხე და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ნეტა რამდენი წლისა ხარ, ბებერო!

ამასობაში მსხვილი წვიმა წამოვიდა, ისედაც ჩაჟამებული ზეცა ღრუბლებით გაიჭედა. მთლად ჩამობნელდა.

ხეებს შორის, სასეირნო ხეივანში, ზოგჯერ გაიელვებდა უკან მობრუნებული ცხენოსნის ფიგურა. პეტრემ იცოდა, რომ ეკატერინა ნიკოლაევნა აქ იყო, მაგრამ ის, ვისი პორტრეტიც გონებაში ჩარჩა პეტრეს და ღამღამობით მის დახატვას ლამობს, ნეტა თუ არის აქ? ნეტა ერთხელ კიდევ დაანახვა მისი ღვთაებრივი სახე, დააჭერინა ის ნაღვლიანი, დაბნეული, უცნაური გამოხედვა ოდნავ ელამი თვალებისა — გამოუცნობი გამოხედვა, ისეთივე ამოუხსნელი და მძიმე, როგორიც არის მისი, პეტრეს, ცხოვრება, ამ ულამაზესი ქალის, ილინსკოელი შინაყმების, და ამ მდიდარი ხალხის ცხოვრება, ქვის კუნძულზე რომ ილხენდნენ, სასახლეებში თუ პიკნიკებზე ოქროფერილი ეტლებით დადიან და ჩინებულ ცხენებს დააჭენებენ ჩორთით... ყოველივე წინ ისწრაფვის, წინ მიიწევს, გარდაუვალი აღსასრულისაკენ.

უცებ ხეივნიდან მიწაზე დაცემის ხმა და წამოკივლება მოისმა, ვიღაცამ სასოწარკვეთით შეჰყვირა:

— კატენკა!

პეტრე წამოხტა და ხეივანს მიაშურა. ძირს დაცემული რუხი ცხენი ცდილობდა წამოდგომას, მაგრამ ფლოქვები წვიმით გალიპულ ფოთლებზე უსხლტებოდა. მეორე, შავრა ცხენი მშვიდად იდგა გზის კიდეზე და რბილი დრუნჩით ჩირგვის ჩაყვითლებულ ფოთლებს ეპოტინებოდა.

ნატალია ნიკოლაევნა ცდილობდა წამოეყენებინა სველ ბალახზე გაშხლართული, აკვნესებული და. ხეივანში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. წვიმა კი უკვე ღვართქაფად იქცა.

პეტრე საშველად მივარდა. მან მაშინვე მოჰკრა თვალი, რა არაბუნებრივად იდო ეკატერინა ნიკოლაევნას ხელი მიწაზე და როგორ თვალდათვალ უსივდებოდა ხელისგული.

— ექიმი! ჩქარა! კატენკა! — იმეორებდა დაბნეული ნატალია ნიკოლაევნა, პეტრე რომ დაინახა, ვედრებით გაიწვდინა მისკენ ხელები.

პეტრე დაიხარა უფროსი დისკენ და დამამშვიდებლად თქვა:

— ჩვეულებრივი ნაღრძობია, მეტი არაფერი. გნებავთ, გავასწორო? მე შემიძლია.

— არა, არა! ექიმი მოიყვანეთ! — შეჰყვირა ელდანაცემმა ნატალია ნიკოლაევნამ და შიშით აუქნია ხელები ამ, ვინ იცის, საიდან გაჩენილ ჭაბუკს.

— გამისწორე, — უთხრა კვნესით ეკატერინა ნიკოლაევნამ. — ტაშენკა, ეს ხომ სტროგანოვების გამოგზავნილი კაცია.

— იცოდეთ, გეტკინებათ, — უთხრა პეტრემ და ჩაიმუხლა, — ერთ წამს გეტკინებათ მხოლოდ და მაშინვე გაგივლით. — პეტრემ ორივე ხელი მარჯვედ ჩასჭიდა ეკატერინა ნიკოლაევნას ხელს. ქალმა შეჰკივლა.

— ვაიმე, რას შვრება! — შესძახა ნატალია ნიკოლაევნამ და შიშით თავში იტაცა ხელები.

მაგრამ მის დას უკვე სახე დაუწყნარდა, ტანჯვის ნაოჭები გაუქრა.

— მომეხმარე წამოდგომაში! — უთხრა მან პეტრეს. — რა გქვია?

— პეტრე.

პეტრემ წამოდგომაში უშველა ეკატერინა ნიკოლაევნას და ფეხზეც დააყენა. წამით მან შინაყმად კი არა, — ექიმად იგრძნო თავი, მარჯვე მკურნალად. მიხვრა-მოხვრა თავდაჯერებული გაუხდა, ხმაში მბრძანებლური კილო შეეპარა.

— ცხენზე არ შეჯდეთ, შინ ფეხით დაბრუნდით. ცხენებს მე წამოვიყვან.

— გმადლობ, ჩემო კარგო! შენ გადამარჩინე! — მხიარულად უთხრა ეკატერინა ნიკოლაევნამ. — ჭაბუკი ხარ და უკვე შეგიძლია დაეხმარო ადამიანს. ექიმი ყოფილხარ და ეს არის!

— ექიმს მაინც უნდა გამოვუძახოთ! — შეშფოთებით თქვა ნატალია ნიკოლაევნამ.

— შენ რას იტყვი, პეტრუხა, გამოვიძახოთ ექიმი თუ არა ღირს? — მიუბრუნდა პეტრეს ეკატერინა ნიკოლაევნა, რომელიც უკვე თავისუფლად მიაბიჯებდა.

— როგორც გენებოთ. თუმცა ძალიან უბრალო ნაღრძობი კია, უკვე გავასწორეთ. შესივებულია, მაგრამ ესეც მალე გაგივლით. ცუდი შედეგიც არაფერი მოჰყვება.

— საიდან იცი ყველაფერი ეს? — ისევ მოუტრიალდა პეტრეს ეკატერინა ნიკოლაევნა.

— ფრთხილად იყავი, კატია, ფეხი ცურავს! — უთხრა ვედრებით ნატალია ნიკოლაევნამ.

— ჩვენში, ილინსკოეში ბევრი ექიმბაშია. მამაჩემმაც იცის ექიმობა.

— განა ილინსკოეში ექიმი არა გყავთ?

— გვყავს, როგორ არა, მას თანაშემწეებიც ჰყვანან. ილინსკოეში საავადმყოფოცა გვაქვს და აფთიაქიც. ხალხს კი უფრო მეტად მაინც თავისი ექიმბაშისა სწამს. მეც მასწავლეს ექიმბაშობა... — ანგარიშმიუცემლად თქვა პეტრემ და მაშინვე ინანა ნათქვამი.

ეკატერინა ნიკოლაევნას გაეცინა.

შინ მან მოახლეს უბრძანა, პეტრე სამზარეულოში წაიყვანე, ჩაითა და გემრიელი საჭმელებით გაუმასპინძლდიო.

ნატალია ნიკოლაევნამ კი ჰკითხა პეტრეს:

— იქნებ რაიმე ისეთი სურვილი გაგაჩნია, რომ მე შევძლო მისი შესრულება?

სურვილიო? ღმერთო ჩემო! ვინ იცის, რამდენი აუხდენელი ოცნება გააჩნია პეტრეს, რომლის შესრულებაც ამ ქალს ხელეწიფება! პეტრე წამით დაფიქრდა და ყველაზე იოლად აღსასრულებელი სურვილი გაანდო:

— იქნებ შეგიძლიათ წასაკითხად მათხოვოთ „პიკის ქალი“?

ნატალია ნიკოლაევნას მეტისმეტი გაოცება გამოეხატა სახეზე. ეტყობა, ამ შინაყმა ჭაბუკის სურვილმა კი არა მხოლოდ, აზრის გამოთქმის უნარმაც გააოცა. თავიც რომ სანაქებოდ უჭირავს ბატონებთან!

ეკატერინა ნიკოლაევნამ შენიშნა დის გაოცება და კვლავ გადაიკისკისა.

— ტაშენკა! მართალი თქვა ალექსანდრ სერგეევიჩმა: „ყოველი ერი შემინახავს დამახსოვრებით, სლავთა მემკვიდრე და ფინელი, და ტუნგუსელი, ყალმუხი, ტრამალ ველთა მცხოვრებიო“*.

პეტრე ყველაფერს მიხვდა. საშინელმა წყენამ გული ატკინა. მან თავი დაუკრა ქალებს და საჩქაროდ მიაშურა ალაყაფის კარს, უკან არც მოუხედავს, თუმცა მოესმა, როგორ მიაძახეს:

— საით გასწიე? ჩაი არ გინდა? ან წიგნი?

პეტრემ გაიგონა ნატალია ნიკოლაევნას წყნარი ხმაც:

— კატენკა, მადლობის მაგიერ გული ვატკინეთ...

იმავ საღამოს, როგორც ჩანს, დეიდაშვილების დაქინებულმა თხოვნამ გასჭრა და გრაფმა გრიგორი ალექსანდროვიჩ სტროგანოვმა პეტრე თავისთან იხმო.

გრიგორი ალექსანდროვიჩს საშინაო კურტაკი ეცვა, სავარძელში იჯდა ბუხრის წინ, კარისკენ ზურგმიშვერილი, და ჩიბუხს აბოლებდა.

ბუხართან, კედელზე ეკიდა მისი მამის, ბარონ ალექსანდრ ნიკოლაევიჩის პორტრეტი. საერთოდ, მთელი ოთახის კედლები მოფენილი იყო სტროგანოვთა — სახელოვან ადამიანთა, ბარონთა და გრაფთა პორტრეტებით.

სტროგანოვებს თავი მოჰქონდათ თავიანთი უძველესი წარმოშობით, თავიანთი დამსახურებით მეფისა და სამშობლოს წინაშე.

აგერ, იმ მოგრძო ჩარჩოში ჩასმულია ჯერ კიდევ მთლად ყმაწვი-

---

* ქართული თარგმანი პაოლო იაშვილისა.

ლი ლამაზი ქალის, ალექსანდრ ნიკოლაევიჩის ცოლის, გრიგორი ალექსანდროვიჩის დედის, — ელიზავეტა ალექსანდროვნა ზაგრიაუსკაიას პორტრეტი. აქედან მოყოლებული სტროგანოვთა „საგვარტომო შტოში“ გონჩაროვთა შთამომავლობა შეიჭრა.

თავად გრიგორი ალექსანდროვიჩი გავლენიანი კაცია ქვეყანაში. იგი ნამყოფია ესპანეთის, შვეიცის, თურქეთის დესპანად. არის წევრი უმაღლესი სასამართლოსი, რომელმაც განაჩენი გამოუტანა დეკაბრისტებს. იგი მისი უდიდებულესობის სამეფო კარის ნამდვილი საიდუმლო მრჩეველია, ობერ-კამერჰერი, სახელმწიფო საბჭოს წევრი და ანდრეის ორდენის კავალერი. პირველი ცოლი, ანნა სერგეევნა ტრუბეცკაია, გარდაეცვალა და მისგან ხუთი ვაჟიშვილი და ერთი ასული დარჩა. ვაჟიშვილი, სერგეი გრიგორევიჩი, გენერალ-ადიუტანტია, 1818 წელს იგი დაქორწინდა თავის ბიძაშვილზე, ნატალია პავლოვნა სტროგანოვაზე. სწორედ მის მმართველობაში გადავიდა შემდეგში ცოლის რწმუნებით სტროგანოვთა ადგილ-მამული. პეტრე კუზნეცოვის „აზატობის ქაღალდზედაც“ გრაფინია ნატალია პავლოვნას ხელმოწერის შემდეგ დაისმევა მისი ხელწერაც: „ამას გრაფი სერგეი სტროგანოვიც დასტურს აძლევს“. ჯერჯერობით კი პერმის განუყოფელი ადგილ-მამულის სრულუფლებიანი პატრონი გახლავთ სოფია ვლადიმიროვნა, ქალიშვილობის გვარით თავადის ასული გოლიცინა, უდროოდ გარდაცვლილი გრაფის, პაველ ალექსანდროვიჩის, გრიგორი ალექსანდროვიჩის ძმის, ცოლი.

კედელზე ეკიდა გობელენი, რომელზედაც გამოსახული იყო, თუ როგორ ამარაგებდნენ 1581 წელს ხალხითა და იარაღით სტროგანოვთა „სახელოვანი ადამიანები“ ერმაკს.

მეორე კედლის გობელენზე ასახული იყო სტროგანოვთა, „სახელოვანი ადამიანების“ მიერ მოსკოვის დიდი მთავრის, ვასილი ვასილიევიჩ ტემნის გამოსყიდვა თათართა ტყვეობიდან ჯერ კიდევ XV საუკუნის პირველ ნახევარში.

პეტრეს ნაბიჯების ხმაზე გრაფი უცბად მოტრიალდა და პირველად მოხდა, რომ ინტერესით შეავლო თვალი თავის მსახურს, თითქოს გაოცებული იყო, რომ მასში ადამიანური ყურადღების ღირსი რამ აღმოაჩინა.

— მაშ ასე, პეტრე, — პირველად მიმართა სახელით ჭაბუკს,— როგორც ჩანს, ექიმობას მისდევ? მადლობელი ვარ, ჩემი დეიდა-

შვილის დახმარებისათვის. აი, ეგერ, ჟურნალი „საკითხავი ბიბლიოთეკა“ დევს, აიღე, იქ ნახავ „პიკის ქალს“, — გრაფმა პატარა მაგიდისაკენ გაიქნია თავი.

პეტრე მივიდა მაგიდასთან, დაიხარა და აიღო ჟურნალი. მერე სიხარულით სახეგაბადრულმა თქვა:

— ძალიან მადლობელი ვარ თქვენი და ნატალია ნიკოლაევნასი. ძალიან.

ბატონმა თავის შინაყმას ისეთივე გაოცებით შეხედა, როგორც გუშინ ნატალია ნიკოლაევნამ და პეტრეს ისევ ეტკინა გული. შეეშინდა, გუშინდელივით სიცილი არ დამაყარონო, საჩქაროდ დაუკრა თავი ბატონს და კარისკენ გაემართა.

— დაიცა, — უთხრა ბატონმა.

პეტრე დაძაბული შეჩერდა.

— რად გინდა „პიკის ქალი“?

— წასაკითხად, — გაოცებით მიუგო პეტრემ.

— მესმის, რომ წასაკითხად მიგაქვს, მაგრამ მაინცდამაინც „პიკის“ ქალი“ რად აირჩიე? თუმცა, მგონი, მიგიხვდი. ვინ იცის, რა მონაჩმახისათვის აღარ მოგიკრავს ყური ბალღობაში ილინსკოეში კნეინა გოლიცინაზე და ალბათ იმიტომ გაინტერესებს. ასე არ არის განა?

— მაგრე გახლავთ, თქვენო უდიდებულესობავ...

— შენზე ამბობენ, კარგად ხატავსო, მართლა? იქნებ სწავლა გსურს? — უცებ სიტყვა სხვა რამეზე გადაიტანა გრაფმა.

პეტრეს შეეშინდა და საჩქაროდ დაუწყო დარწმუნება:

— ხატვის ნიჭი არა მაქვს და არც გული მიმიწევს მაგ საქმეზე.

— მაშ რაზე მიგიწევს გული? — ჰკითხა სტროგანოვმა და წამოდგა. ასე უფრო კარგად დაათვალიერებდა ამ „საკვირველ შინაყმას“.

„ვუთხრა თუ არა? — გაუელვა პეტრეს გონებაში. — არა, არ ვეტყვი!“

ჭაბუკმა მხრები აიჩეჩა. თვალები დახარა. ოთახში ცოტა ხანს სიჩუმე იდგა.

გრაფმა ინტერესი დაკარგა თავის შინაყმისადმი.

— შეგიძლია წახვიდე, — უთხრა ცივად ჭაბუკს.

პეტრემ ხმის ამოუღებლად დაუკრა თავი, ჩუმი ნაბიჯებით გამოვიდა და ფრთხილად გამოიხურა კარი.

სასწაულებრივად შემორჩენილი ჩემ წინაპართა დღიურები საუკუნენახევრის მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე, პაპის პაპისგან, — პაპის მამის ხელში გადადიოდა, პაპის მამისაგან— პაპის ხელში.

პეტრე იაკობის ძე წერდა:

დაე, აღსრულდეს ჩემი ბნურვალე სურვილი და როგორც მე განვაგრძე მამაჩემის დღიურები, ასევე ჩემმა ვაჟმა, შვილიშვილმა და შვილთაშვილმაც დღეგრძელ ჰყონ ჩვენი სახელი თუნდაც ქალალდის მეშვეობით.

მაგრამ მამაჩემის თაობას დღიურში არ აღუნუსხავს თავისი ცხოვრება. და, აი, ერთი თაობის გამოკლების შემდეგ, მე განვაგრძობ წინაპართა ჩანაწერებს.

ჩემო ძვირფასო, დიდო პაპავ! ალბათ, ვერც წარმოიდგენდი, შენი შორეული შთამომავალი იმდენად დაინტერესდებოდა შენი გავლილი ცხოვრებით, რომ გატაცებით გამოიკვლევდა მას. ყოველგვარ საქმეს თავს გაანებებდა და იმ მხარეს მიაშურებდა, სადაც შენ ცხოვრობდი, არ მოსწყინდებოდა თვეობით ქექვა არქივებში, რათა აღედგინა, როგორ ცხოვრობდი შენ, ვინ გეხვია ირგვლივ, ისე რად მოხდა, რომ, როგორც იტყვიან, ღმერთმა რაც გიბოძა — გიბოძა კიუხვად — ვერც პროფესიად გამოიყენე, ვერც სიხარული ჰპოვე მით და ვერც ახლობლებს არგე რამე.

ჩვენ, შენს პირდაპირ შთამომავალთ, სულ ცოტა დროღა დაგვრჩა ამქვეყნად და ვწუხვარ, რომ ას წელზე მეტი ხნის ჩანაწერებმა ასე გვიან დამაინტერესეს, როცა აღარც ძალა შემომრჩა იმდენი დაჯანიც გამიტყდა...

იმაზედაც ვფიქრობ, ალბათ, რა საინტერესო იქნებოდა შენთვის, ჩვენს დროში რომ ჩამოგეხედა. თვალი გაგეყოლებინა იმ გზისათვის, რაც შენმა საყვარელმა საქმემ — ადამიანურ სნებათა განკურნამ განვლო ამ ხნის მანძილზე. ბევრ რამეს, ალბათ, არ იწამებდი, ბევრი რამ, ალბათ, გაგახარებდა.

როგორ დაგაინტერესებდა, ალბათ, შენი შთამომავალნი. შემოგახედა ერთი ჩვენს ოჯახში, სადაც გვყავს მწერლები, ხოლო თუ

შენი დღიურების მიხედვით განვსჯით, ეს საქმიანობა სულაც არ იყო შენთვის უცხო; გვყვანან აქტიორებიც, დედაშენის საქმის განმგრძნობნი.

იქნებ საუკუნის შემდეგ შენგან გამოჰყვათ შენს უმცროს შვილთა შვილებს: გოგონას — ხატვისადმი ლტოლვა, ხოლო ბიჭუნას — მუქი თაფლისფერი თვალები, მრგვალი ნიკაპი და ის ყურადღებიანი გამოხედვა, რაზედაც წერდა მამაშენი, იაკოვ პეტროვიჩი. აი, მედიცინით კი, ჯერჯერობით, არავინა გვყავს გატაცებული, ამ საქმეში კუზნეცოვთა თქვენი, მამაკაცური შტო შენზე შეწყდა, პიოტრ იაკოვლევიჩ!

პაპა სოფრონმა პეტრე დილაადრიან გააღვიძა:

— მთლად გამიქრა, პეტრუშა! — ყვიროდა ბერიკაცი.

ნამძინარევ პეტრეს ვერაფერი გაეგო, ხოლო პაპა ზოლიანი ნიფხავპერანგისამარა იდგა მის საწოლთან და სახეში ხელს სჩრიდა მძინარეს, მეორე ხელით კი ანთებული სანთელი ეჭირა.

„ა-ა!“ — მიხვდა პეტრე.

იგი წამოჯდა, ფეხები საწოლიდან ჩამოუშვა, სანთელი გამოართვა პაპას და ხელზე მიანათა. დანაოჭებულ, უთანაბრო კანს რომ დახედა, კმაყოფილებით გაიქნია თავი. საძაგელი მეჭეჭები, ბუდეებუდე რომ ჰქონდა ამოსული სოფრონს ხელზე, ახლა მთლად გაქრობოდა.

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინ, ილინსკოეში, პეტრემ ბერიკაცს მეჭეჭები გადაუყვანა ჩვეულებრივი ხერხით, ისევე, როგორც ამას მამამისი, პაპამისი და მისივე პაპის მამა აკეთებდნენ. თვითეულ მეჭეჭზე სათითაოდ ინასკვება ხამი ძაფი. მერე ეს ძაფები იფლობა მიწაში, საღორესთან, სადაც, მიწა უფრო ნოტიო არის, რათა იქ უფრო სწრაფად ჩალპეს. ძაფები რამდენიმე თვეში ლპება და მეჭეჭებიც ქრება.

ბევრს დღემდე არ სჯერა ამ უცნაური წამლობისა, სასაცილოდ არ ჰყოფნით. 1968 წელს გამოცემულ პოპულარულ სამედიცინო ენციკლოპედიაში კი წერია: „მეჭეჭები იკურნება სიმპათიკური საშუალებებით“.

პაპა სოფრონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თუმცა პეტრემ ძლივს დაითანხმა ამ უბრალო მკურნალობაზე.

— რაო, გასათხოვარი ქალი ვარ თუ რა! სულაც არაფერს მვნებს ეს მეჭეჭები. ამომივა თუ გამიქრება — სულ ერთია ჩემთვის, — უთქვამს ბევრჯერ პეტრესთვის. — ნეტა რას გადამეკიდე, ბიჭო?..

მაგრამ ერთხელ მეზობლის ბიჭმა ზიზღით უთხრა ბერიკაცს: რა გომბეშოსავით გაყრია ეგ მეჭეჭებიო, და სოფრონიც თავად შეეხვეწა პეტრეს: „ერთი ეს საზიზღრობა მომაშორეო“.

და, აი, მართლა გაუქრა მეჭეჭები.

მეორე დღეს სტროგანოვების ყველა შინაყმამ იცოდა მეჭეჭების გაქრობის ამბავი. გაიარა რამდენიმე დღემ და პეტრეს კვლავ უხმეს გრაფთან.

გრიგორი ალექსანდროვიჩი თავის კაბინეტში იჯდა. მაგიდის პირდაპირ კი, სავარძელში მოკალათებულიყო გრაფინია იულია პავლოვნა. ქალს შავი, პრიალა კაბა ეცვა ყმაწვილქალივით სუსტ ტანზე, არარუსული, უცხო სილამაზისა იყო, შავგვრემანი და შავთმიანი.

პეტრემ თავი დაუკრა ჯერ ქალბატონს, მერე ბატონს და კართან შედგა.

— ახლოს მოდი, — უთხრა გრიგორი ალექსანდროვიჩ სტროგანოვმა.

პეტრე მაგიდასთან მივიდა და გვერდულად დადგა, რათა ორივე ბატონი კარგად დაენახა, უფრო სწორად, რომ ორივეს სახეში ეცქირათ მისთვის.

ქალბატონი იულია პავლოვნას ქალიშვილობის გვარი გრაფინია ოიანპაუზენი იყო, ეროვნებით პორტუგალიელი გახლდათ, იგი მეორე ცოლად ჰყავდა გრიგორი ალექსანდროვიჩს; ამბობდნენ ახალგაზრდობაში ეს ქალი ნაპოლეონის გენერალ ჟიუნოს საყვარელი იყო და ჯაშუშობას ეწეოდაო, მაგრამ პეტრესთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რომ იულია პავლოვნა ნატალია ნიკოლაევნასთან მეგობრობდა და სულ ერთად იყვნენ.

ქალბატონი წინათ ვერასოდეს ვერ ამჩნევდა პეტრეს, ახლა კი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა.

და უცებ პეტრემ თავი დაიჭირა იმის ფიქრზე, რომ ბატონებთან ეს შეხვედრები მას იმით როდი აღელვებდა, რაზედაც ბევრი შინაყმა ლაპარაკობდა: არ იცი კაცმა, თვალები სად წაიღო და ხელები

როგორ დაიჭიროო. არა, პეტრეს ისე ეჭირა თავი, როგორც საჭირო იყო. მან იცოდა ბატონებთან თავის დაჭერა. მაგრამ ეს ჭაბუკი, რა უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, მთელი თავისი არსებით შეიგრძნობდა ხოლმე, რომ ბატონები სხედან, თავად კი ისე დგას მათ წინ, თითქოს რაიმე დაეშავებინოს. პეტრე ბატონების თანდასწრებით განსაკუთრებით მწვავედ აღიქვამდა ამ გაუგებარ უსამართლობას საკუთარი ბედიღბლისა. ჭაბუკს ამაზე არასოდეს არავისთან კრინტიც კი არ დაუძრავს. რომ ეთქვა, ამხანაგები და ნათესავები დასცინებდნენ, ალბათ, ერთი ფრაზით მოუჭრიდნენ: ყველანი ყმებადა ვართ დაბადებულები და ყმებადვე დავიხოცებითო! ჰოდა, არც უკვირდათ ეს ამბავი და არც ესირცხვილებოდათ, ასე იყო თაობიდან თაობაში.

— რაო, პეტრე, ისევ აქიმობ ხალხს, ხომ? ამბობენ, პაპა სოფრონს მეჭეჭები გადაუყვანაო?

— დიახ, გავუქრე, თქვენო ბრწყინვალებავ, — მიუგო პეტრემ.

— მეჭეჭებს აქრობ! ნაღრძობს ასწორებ! კიდევ რისი გაკეთება შეგიძლია? — ჰკითხა გრაფინიამ.

კიდევ რისიო? პეტრეს ბევრი რამის ჩამოთვლა შეეძლო. შეეძლო მოეყოლა, როგორ არჩენს გამოლოცვით თიაქარს, წყვეტს სისხლის დენას; როგორ აყუჩებს ღვიძლის ტკივილს ბალახების ნაწალით; როგორ აქრობს გულის შეტევებს შეგონებით, მზერითა და მასაჟით; როგორ მბრძანებლობს ადამიანს, გაუძლოს ბედის უკუღმართობას. და, კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ მბრძანებლობის უნარს აძლევს უპირატესობას მთელს თავის წამლობაში.

მაგრამ პეტრეს არ სურდა ამეებზე ლაპარაკი. ვითომ სასწავლებელში გაგზავნიან? არა ჰგონია! იცის პეტრემ: მისი პირდაპირი ბატონი როდია გრიგორი ალექსანდროვიჩ სტროგანოვი. ეს სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვას გაუგებარი ახირების გამოა, რომ პეტრე გრიგორი ალექსანდროვიჩს ემსახურება ახლა. თანაც გოლიცინების ექიმს ნახატი რომ მოჰპარა, შეიძლებოდა ის ამბავიც გამჟღავნებულიყო.

— მეტი არაფერი შემიძლია, — დაბეჯითებით თქვა პეტრემ და ბატონებს ამით მთლად გაუქარწყლა ინტერესი. — რაც შეეხება მეჭეჭებს, მისი მოცილება თითქმის ყველამ იცის ჩვენში, ილინსკოეში.

— „პიკის ქალი“ წაიკითხე? — ჰკითხა იულია პავლოვნამ.

— წავიკითხე.

— არ გეგონოს, რომ იქ მართლაც კნეინა გოლიცინას ამბავია მოთხრობილი, — ჩაიცინა ქალბატონმა. — პუშკინმა გამოიგონა ყოველივე. წიგნებში მუდამ გამონაგონი ამბავი წერია ხოლმე. ინტერესით თუ წაიკითხე?

— საინტერესო იყო! — ცხარედ ალაპარაკდა პეტრე. — ყოველივე მშვენივრად არის აღწერილი. თითქოს იმ ცხოვრების მონაწილე ყოფილიყოს. ყველაფერი გჯერა კაცს.

— მართლაც რომ, ყველაფერი გჯერა, — მრავალმნიშვნელოვნად უთხრა გრაფმა ცოლს.

ნეტა პეტრეს სცოდნოდა, რომ იმავ საღამოს სწორედ იმ ქალის სასტუმრო ოთახში, რომელზედაც ერთავად ასეთი გულისტკივილითა და გულისკანკალით ფიქრობდა, ვისაც გუნებაში ანგელოზს ეძახდა, მასზე, პეტრეზე იყო ლაპარაკი.

პუშკინების ოჯახი 12 სექტემბერს დაბრუნდა აგარაკიდან, ხოლო ოქტომბერში ახალ ბინაში დასახლდნენ, მოიკაზე.

ნატალია ნიკოლაევნა და იულია პავლოვნა მარტო ისხდნენ პუშკინების მომცრო სასტუმრო ოთახში.

— ამ ყმაწვილმა, ნატალი, „პიკის ქალი“ წაიკითხა და ძალიან მომწონსო, თქვა, — ეუბნებოდა ფრანგულად იულია პავლოვნა, ლაპარაკის დროს შიგადაშიგ ხორხისმიერი ხმით იცინოდა. — ასე თქვა, საინტერესო წასაკითხია, ყველაფერი კარგად არის აღწერილი და ყველაფრისა გჯერა კაცსო.

მაგრამ ნატალია ნიკოლაევნას არ გასცინებია. მან სერიოზულად თქვა:

— ალექსანდრს, ალბათ, ეამება ხალხის წრიდან გამოსული მკითხველის აზრის გაგება.

ნატალია ნიკოლაევნა გაჩუმდა და მოაგონდა ის შემთხვევა პარკში, თვალწინ დაუდგა ჭაბუკი, მისი ხელების მარდი, მტკიცე მოძრაობა, როცა ნაღრძობს ასწორებდა, მისი ნებისყოფით სავსე სახე.

— კარგი სახე აქვს მაგ ჭაბუკს, ლამაზი, საზრიანი. რაღაცით გამოირჩევა შინაყმებისაგან. ვერ გამიგია კი, რით. თავის დაჭერაც სხვანაირი, აქვს, არა ჰგავს სხვებს...

მაგრამ იულია პავლოვნა უკვე იმაზე ყბედობდა, რომ მოდაში

თანდათან „ბერძნული“ თმის ვარცხნილობა შემოდის და, ჩემი აზრით, ასეთი ვარცხნილობა მეც მომიხდება, შენც, ნატალია. და ალექსანდრინასაც. აი, კატრინს კი არ ვიცი, რადგან ასეთ ვარცხნილობას სახის სხვაგვარი მოყვანილობა სჭირდება. ამიტომ კატრინმა ისევ ძველებურად კულულები უნდა ატაროსო.

ფანჯრის იქით კი უკვე შემოდგომა დედოფლობდა. ფანჯრის მინები წვიმის წინწკლებს აებრწყინებინა. ჩარჩოს კუთხეში ქარს ნეკერჩხლის პაწაწა, ნარინჯისფერი ფოთოლი აეკრო.

„ნეტა რად უყვარს ალექსანდრს შემოდგომა? — ფიქრობდა ნატალია ნიკოლაევნა. — რარიგ ჰმატებს ნაღველს ეს დრო კაცის გულს...“

პეტრეს ძალიან უყვარდა პეტერბურგიდან გამგზავრება. ახლაც, მეტად დაუჯდა ჭკუაში, გონჩაროვთა მამულში წასვლა რომ დაავალეს.

სულ არ ელოდა, თუ გამგზავრების დღეს განკარგულებას მიიღებდა, რომ პუშკინების ქალაქურ ბინაში შეევლო და იქიდან წერილი წამოეღო დიმიტრი ნიკოლაევიჩ გონჩაროვისათვის გადასაცემად.

პაპის მამის, აფანასი აბრამოვიჩ გონჩაროვის ანდერძით, ტილოს ქარხანა, ქაღალდის ფაბრიკა და გონჩაროვთა მთელი ადგილ-მამული გარდაიქმნა მაიორატად, ანუ განუყოფელ მამულად, რომელიც თაობიდან თაობაში გვარის უფროსს გადაეცემოდა. ასეთი უფროსი თავდაპირველად იყო აფანასი აბრამოვიჩის შვილიშვილი, აფანასი ნიკოლაევიჩი, რომელიც დაქორწინებული იყო ნადეჟდა პლატონოვნა მუსინა-პუშკინაზე. მათ ჰყავდათ ერთადერთი ვაჟი, ნიკოლაი, რომელმაც იმდროისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო. პეტერბურგში ნიკოლაი აფანასიევიჩი შეხვდა ულამაზეს ფრეილინას, ნატალია ივანოვნა ზაგრიაჟსკაიას და ცოლად შეირთო. შემდეგში ნიკოლაი აფანასიევიჩი — სამი ქალიშვილის მამა: ეკატერინასი, ალექსანდრასა და ნატალიასი და სამი ვაჟისა: დიმიტრისა, ივანესი და სერგეისი, — უფროსი გახდა გვარში, მაგრამ ცოტა ხნით. მალე იგი მძიმე ფსიქიური აშლილობით დაავადდა. მისი ცოლი, ნატალია ივანოვნა, სამუდამოდ გადასახლდა თავის მამულში, იაროპოლეცში; ნიკოლაი აფანასიევიჩი კი, რომელსაც სენი თანდათან ერეოდა, ძველ,

დიდ, ცივ და ნესტიან სახლში ნელ-ნელა აკვდებოდა ხელში ბებერ მსახურს. მის ირგვლივ ასევე იღუპებოდა ხელმიშვებული, ოდესღაც მშვენიერი ბაღიც. გონჩაროვთა კარმიდამოს ერთ დროს მთელი კვარტალი ეჭირა დიდსა და მცირე ნიკიტინის ქუჩებსა და სკარიატინსკის შესახვევს შორის.

მალე გვარში უფროსი გახდა დიმიტრი ნიკოლაევიჩ გონჩაროვი. იგი სამემკვიდრო ფულს იხდიდა დების შესანახად — ალექსანდრასა და ეკატერინასათვის ყოველწლიურად 4500 მანეთს, ნატალია ნიკოლაევნასათვის კი—1100—1500 მანეთს. მზითევი, როცა პუშკინს გაჰყვა ცოლად, ნატალია ნიკოლაევნასათვის არ მიუციათ. დაჰპირდნენ, მაგრამ აღარ მისცეს.

ნატალია ნიკოლაევნა ხშირად სთხოვდა ხოლმე დიმიტრი ნიკოლაევიჩს ფულს, ცხენებს, მსახურს, ქაღალდს ქმრისთვის. აი ახლაც, სწერდა ძმას, ჩემმა ქმარმა ქაღალდის გამოგზავნა გთხოვა, ჯერჯერობით კი ფულს ვერ გადაგიხდისო.

ქაღალდის ჩამოტანა პეტრეს დაევალა.

პეტრემ თავისი ოთხთვალა მოიკაზე გააჩერა. შემოდგომის დღე იდგა და მთელ პეტერბურგს ნისლის ფერი ედო. ნისლისფერი მოიკა მოფენილი იყო ნისლისფერი გრანიტით. ქუჩაში მოსიარულეთაც დანისლული, გაღიზიანებული სახეები ჰქონდათ და პეტრეს სულსაც ღრმა შემოდგომა დასდგომოდა.

იგი ეზოსკენ გაემართა, რომ უკანა კარი მოეძებნა და განცვიფრებული შეჩერდა. პირდაპირ მისკენ მოდიოდა ნატალია ნიკოლაევნა. ქალს შავი შლიაპა ეხურა, შავი ხელთათმანები ეცვა, ხალვათი წამოსასხამი მოესხა და, მიუხედავად ამ ჩაშავებული სამოსისა, პეტრე ნათლად ხედავდა, რომ ნატალია ნიკოლაევნას ნათელი შარავანდედი ერტყა გარს. ამ შარავანდედით ამ ქალს უმალვე გამოარჩევდით მის ირგვლივმყოფ საგანთაგან. დიახ, უეჭველად, სწორედ ასეთი უნდა დახატოს პეტრემ იგი. ჭაბუკმა კარგა ხანია შენიშნა, რომ საგნები ფონისაგან მუდამ გამოირჩევიან ხოლმე რაღაცნაირი სხვანაირი, უფრო ნათელი ტონით.

მოდიოდა ნატალია ნიკოლაევნა და ღიმილით გაბადროდა სახე. ქალმა იცნო პეტრე.

პეტრე შეჩერდა, იგრძნო, რომ სული უგუბდებოდა და ფერიც

წაუვიდა. რატომღაც გულს არ უხარებდა ამ ქალის შეხვედრა, პირიქით, ტკივილით ეკუმშებოდა. იქნებ იმიტომ, რომ ნათლად გრძნობდა, რა შეუძლებელი რამ აეკვიატებია მის გულს, რა უაზრო იყო მისი გრძნობა, ის კი არა და, დანაშაულადაც კი მიაჩნდა. ან იქნებ იმიტომ, რომ პეტრე მიჩვეული იყო სხვის სულში წვდომას, რათა სიტყვითა და მზერით შეემსუბუქებინა სხვათათვის ტკივილები და ადამიანის სულიერი წონასწორობის დარღვევა არ გამოეპარებოდა. ხოლო ნატალია ნიკოლაევნა მასში ყველაფერთან ერთად სიბრალულსაც იწვევდა, სევდის მომგვრელ სიბრალულსაც.

— პეტრუშა, — უთხრა ქალმა თავისი წყნარი, ყრუ ხმით, — ჩვენს მამულში მიდიხარ, ხომ? გითხრა გრიგორი ალექსანდროვიჩმა, რომ ქაღალდი უნდა წამოუღო ალექსანდრ სერგეევიჩს?

— დიახ, მითხრა, — თქვა პეტრემ და თვალები დახარა, რადგან ვეღარ გაუძლო ამ მოუსვენარ მოოქროსფრო-თაფლისფერი თვალების გამოუცნობ მზერას, სადღაც, განზე რომ იყურებოდნენ, აღარ ძალუძდა ამ მშვენიერი სახის მოგრძო ოვალის ყურება, სახისა. ცისკროვანი სინაზით რომ ალეწილიყო; ასეთ ნაზ ფერს მხოლოდ ბუნება თუ გამოიმეტებს, თორემ ნაყიდი ფერ-უმარილი ვერას გააწყობს. ვეღარც ამ ტრაგიკულად შეტეხილ მარცხენა წარბს უჭვრეტდა, რაღაც ავბედით განსაცდელს რომ იუწყებოდა თითქოს.

იმ დროის მთელ მაღალ საზოგადოებაში ცნობილ დოლი ფიკელმონს, კუტუზოვის შვილიშვილსა და ავსტრიის დესპანის, გრაფ შარლ-ლუი ფიკელმონის მეუღლეს, პუშკინის მეგობარ ქალს, „მეტსახელად „სიბილა ფლორენციელს“, მომავლის წინასწარმეტყველს ეძახდნენ. ჩემს წინაპარს იმ დროს ამ ქალის დღიური რომ წაეკითხა, გაოცდებოდა, ისე ჰგავდა ამ სწავლული გრაფინია დოლი ფიკელმონის აზრები მის, თვით პეტრეს, სტროგანოვთა შინაყმის იმ აღქმათ, რასაც მასში ნატალია ნიკოლაევნა იწვევდა.

დოლი ფიკელმონი ასე წერდა:

მისი ცოლი (პუშკინისა) მშვენიერი ქმნილებაა; მაგრამ ისეთი მელანქოლიური და წყნარი გამოხედვა აქვს, ასე მგონია, უბედურების წინათგრძნობას ატარებს. ცოლ-ქმრის სახე არც სიმშვიდის მაუწყებელია, არც ივისა, რომ მომავალში მყუდრო ბედნიერება ელით. პუშკინს

გატაცებებისაკენ სწრაფვა ეტყობა, მის ცოლს კი საკუთარ თავთან განდგომის მელანქოლია... პუშკინი თქვენთან არის, მოსკოვში, — სწერდა დოლი ფიკელმონი ვიაზემსკის. — ცოლი ლამაზი ჰყავს, ლამაზი, ლამაზი! მაგრამ შუბლზე ისეთი ტანჯვის ბეჭედი აზის, მაძრწუნებს მისი მომავალი... ქალბატონ პუშკინას პოეტური სილამაზე შიგ გულში მწვდება. რაღაცნაირი ჰაეროვანი და გულში ჩამწვდომი იერი აქვს ამ ქალს — იგი ვერ იქნება ბედნიერი, ამაში დარწმუნებული ვარ! ახლა ყველა უღიმის მას და ყოველმხრივ ბედნიერია, მომავალშიც ბრწყინვალე და სიხალისით სავსე ცხოვრება ელოდება, მაგრამ თავის დახრა ისეთი იცის და გარეგნობაც ისეთი აქვს, თითქოს გეუბნება: „მე ხომ ვიტანჯებიო“. თუმცა, ნეტა რაღად ელოდება მძიმე ხვედრი, როცა პოეტის ცოლია და თანაც ისეთი პოეტის, როგორიც პუშკინია.

— მაშ, სხვა არაფერი მაქვს ნაბრძანები და არც არაფერს მიბრძანებთ? — პეტრეს უცებ ხმა ჩაეხრინწა და ხველებით ჩაიწმინდა ყელი, გაბედა მაღლა ახედვა და „ანგელოზისათვის“ თვალის გასწორება. პირველად იყო, რომ მისი ოდნავ ელამი გამოხედვა დაიჭირა. პეტრეს გულმა უგრძნო, რომ ნატალია ნიკოლაევნას უკანასკნელად ხედავდა. არც შემცდარა თავის წინათგრძნობაში.

ნატალია ნიკოლაევნა ამის მეტად აღარასოდეს უნახავს პეტრეს. მაგრამ მთელი სიცოცხლე არ დავიწყნია. თავის დღიურში არა ერთი და ორი ფურცელი აქვს გადაჭრელებული საკუთარ თავთან მგზნებარე აღსარებებით ამ განუმეორებელ, გასაოცარ სიყვარულზე. ეს აღსარებები ხშირად მთავრდება პუშკინისეული ლექსით:

მე სურვილებმა თავი მანება*,
გაქრა ოცნებაც წამისმიერი,
და დამრჩა მხოლოდ ტანჯვა-წამება —
ნაყოფი სულის სიცარიელის.
დამიზრო ბედის გრიგალთა ქროლამ...

პეტრე თავის დღიურში წერდა, რომ ნატალია ნიკოლაევნა მაშინაც უყვარდა, როცა ოლიმპიადა ფედოროვნა შეირთო, მაშინაც, როცა ბავშვები გაუჩნდა, მაშინაც, როცა მძიმე სენისაგან განკურნა

* თარგმნა ზ. გაბუნიამ (დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“).

გავლენიანი პეტერბურგელი თავადის ვაჟი და ამაში აიღო ფული, რითაც თავისუფლება იყიდა.

ფიქრით მოგმართავ, ჩემო შორეულო წინაპარო: შენს სურვილს, რომ არავინ იცოდეს, ვინ არის ის თავადი, მე აღვასრულებ. არა თუ გვარს არ დავასახელებ მისას, გარეგნულადაც კი არ აღვწერ. იძინე მშვიდად! დაე, როგორც ძველად იტყოდნენ, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მიწა.

პეტრეს არც მაშინ დავიწყნია თავისი უსასოოდ სევდიანი და მშვენიერი სიყვარული, რაზედაც წერდა დღიურში, როცა უკვე ბილიმბაის ქარხანაში მსახურობდა:

ორი განუზომელი, მგზნებარე და მშვენიერი ოცნება გამაჩნია, რაც ადამიანურს ხდის ჩემს ცხოვრებას და არა პირუტყვულს. ერთს ნატალია ჰქვია, მეორეს — თავისუფლება.

მე მგონია, ეს დიდებული გრძნობა, რაც ასე იშვიათად ეწვევა ხოლმე ადამიანს, პეტრემ იმ დღემდე ატარა გულით, როცა ოლიმპიადა ფედოროვნამ მისი დღიურის ბოლოს თავისი უწიგნური მინაწერი გააკეთა:

2 სექტემბერს ჩემი ქმარი, პეტრ იაკოვლევიჩი, ვინაც ორი წელი გაიტანჯა მუცლის ავადობით, მიიცვალა. დავკრძალეთ 4 ს. ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა. საჯაროობაც აღსრულდა და ეზიარა კიდეც. ქრისტიანულად დაიმარხა.

გონჩაროვების ადგილ-მამულში პეტრე რამდენიმე დღეს დარჩა. ინტერესით ათვალიერებდა, როგორ აკეთებდნენ ქარხანაში ქაღალდს, რომლის დასტები — მწვანე, თეთრი თუ ცისფერი — გრაფ სტროგანოვის მაგიდაზედაც ენახა და თავადაც ბევრჯერ უთხოვია მსახურთათვის ეს სანუკვარი ფურცლები.

პეტრემ ტილოს ფაბრიკაც მოიარა — მან იცოდა, რომ ნატალია ნიკოლაევნას პაპის პაპამ, მექოთნეთა შთამომავალმა, კალუგის მახლობლად, მდინარე სუხოდრევაზე რომ ქოთნის დუქანი ჰქონდა, ტილოსა და ქაღალდის ფაბრიკა ააგო. იმ დროს იყო, პეტრე პირველი რომ რუსულ ფლოტს ქმნიდა და აფრები სჭირდებოდა. გონ-

ჩაროვის ტილოს ქარხანა სწორედ საიალქნე ტილოს ამზადებდა. მასზე საზღვარგარეთაც დიდი მოთხოვნა იყო.

„მთელი ინგლისის ფლოტი გონჩაროვისეული იალქნებით მიმოდისო", — ამბობდა ხალხი.

ბებერმა მსახურმა, ვის ოთახშიც, ფართო კიბის გვერდით რომ ჰქონდა, პეტრემ და პაპა სოფრონმა ღამე გაითიეს, მთელი სიცოცხლე ამ სახლში გაატარა.

საღამოთი ბებერი თავლოპრა მსახური, პაპა სოფრონთან ერთად რომ აბოლებდა თამბაქოს, სტუმრებს თან ჩაით უმასპინძლდებოდა, თან შუაღამემდე გონჩაროვების ამბებს უყვებოდა.

— წინათ ბევრად უფრო მდიდარი იყო ფაბრიკა! ან ბატონების სახლი როგორ შეედრება მაშინდელს! ახლა სამსართულიანი თეთრი სახლი ყაზარმასავით გამოცარიელებულია, ადრე კი ისეთი ავეჯი ედგათ ირგვლივ, საითაც თვალს მიაწვდენდი, სულ ბრინჯაო თუ ჭაღები, ფაიფური თუ საგვარეულო ვერცხლი ბრწყინავდა... ღმერთო ჩემო! ახლა პარკი როგორი ჰქონდათ! რა მღვიმეები, თუ ფანჩატურები! ქანდაკებები! ორანჟერეებში ანანასებიც კი გამოჰყავდათ! ცხენსაშენში თუ ყოფილხართ? გინახიათ, რა მანეჟი აქვთ? ცხენები ახლაც სანაქებო გვყავს! ჩვენი ყმაწვილქალობაც ბალღობიდანვე დიდებული ცხენოსნები გახლდნენ. ამბობენ, პეტერბურგში ახლაც ტოლს ვერავინ უდებთო.

პეტრეს ყველაფერი უყვარდა აქაური. აქ ხომ ი ს გაიზარდა. ბებერმა მსახურმა პაპის ოთახში პეტრეს პატარა ნატაშას სურათი ანახვა. ჭაბუკი დიდხანს მიშტერებოდა ნატიფ, სევდიან სახეს ბავშვისას, რომელსაც ეტყობოდა, რა ლამაზი ქალიც დადგებოდა.

როცა საქმე არაფერი ჰქონდა, პეტრე პარკში დაეხეტებოდა. „აქ, ამ ხეივანში გაუვლია ი მ ა ს აც, ამ ეკლესიაშიაც შესულა".

— ქალბატონი ნატალია ივანოვნა ძალიან მკაცრად ზრდიდა შვილებს, — ყვებოდა ხოლმე საღამოობით ბებერი მსახური. — ლოყაზე სილის გარტყმა იცოდა ბალღებისათვის, ამიტომაც დედისა მეტად ეშინოდათ. განსაკუთრებით ნატაშას. დედა რომ თავის ოთახში მოუხმობდა რომელიმეს, გოგოცა და ბიჭიც კარგა ხანს იდგნენ კართან და შესვლას ვერ ბედავდნენ.

წასვლის დღეს პეტრე დიმიტრი ნიკოლაევიჩ გონჩაროვს შეხვდა. მან ჭაბუკი ქალალდის ფაბრიკის მმართველის კაბინეტში მიიღო.

დიმიტრი ნიკოლაევიჩმა თავისი დებისაგან იცოდა სტროგანოვების შინაყმის ამბავი — ძალზე წიგნიერიაო, ამბობდნენ, პუშკინს კითხულობსო, მშვენიერი მკურნალიც არისო.

მან თავაზიანად მიიღო პეტრე. პეტრემ ახლაც იგრძნო იგივე ცნობისმოყვარე გამოხედვა და თვალებით დასმული კითხვები, მაგრამ ახლა ადრინდელივით დამცირებულად არ უგრძნია თავი, როცა თავად იდგა, ბატონი კი იჯდა ხოლმე. დიმიტრი ნიკოლაევიჩი ფეხზე მდგარი ელაპარაკებოდა და იქნებ შემთხვევით კი არ მოხდა ეს ამბავი, განგებ მოიქცა ასე.

იგი ალერსიანად უღიმოდა პეტრეს და ამ ღიმილით ი მ ა ს აგონებდა. დიახ, თუმცა ნატალია ნიკოლაევნას სულაც არ ჰგავდა ძმა, პეტრე მაინც გრძნობდა, რომ ეს კაცი იმისი ძმა იყო.

დიმიტრი ნიკოლაევიჩი ახალგაზრდა გახლდათ, ლამაზი გარეგნობისა, სიცოცხლით სავსე, ფიცხი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. თავის დასავით თმაზე მოწითალო ბზინვარება კი არ გადაჰკრავდა, არამედ — მოლურჯო. თვალები მუქი-თაფლისფერი ჰქონდა და თავის დასავით ოქროსფრად არ უელავდა. თვალის ჭრილითაც არ ჰგავდა დას. ძმას მკვეთრად გამოკვეთილი, მსუქანი, ვნებიანი ტუჩები ჰქონდა, მის დას კი — ტოტზე შერჩენილი ყვავილის უბიწო, დაუკარებელ, ალისფერ ფურცლებს უგავდა.

იმ ღამეს ბებერი მსახური ყვებოდა, დიმიტრი ნიკოლაევიჩს მდიდარი გრაფინია ნადეჟდა ჩერნიშოვა შეუყვარდაო. მისი ადგილმამული დიდებული სასახლით, დიმიტრი ნიკოლაევიჩის დედის, ნატალია ივანოვნა გონჩაროვას, ქალიშვილობისას ზაგრიაჟსკაიას, საგვარეულო მამულის მეზობლად მდებარეობდა იაროპოლცშიო.

— მდიდარი ხალხი კია ჩერნიშოვები, — ამბობდა ბებერი მსახური, — მაგრამ ამ ჩვენს ბატონებს მაინც, ეტყობა, დიდად არ ეპიტნავებათ. ნადეჟდა ჩერნიშოვას ძმა დეკაბრისტი იყო. და, ალექსანდრა კი, ნიკიტა მურავიოვის ცოლია. ესეც შენი ბატონები! დამიხედეთ ერთი ამ გრაფებს! — მერე ბერიკაცმა კარს გახედა, ხმას დაუწია და ჩურჩულით განაგრძო: — დიმიტრი ნიკოლაევიჩი შიშობდა, ჩერნიშოვასთვის მე ღარიბი საქმრო ვარო. ნატალია ნიკოლაევნამ კი, ამბობენ, წერილი მოსწერაო ძმას, ეცადეო, რომ ჩერნიშოვას თავი მოაწონოო. მას სულაც არ ენაღვლება, საქმრო მდიდარია თუ ღარიბიო. მაგრამ, ეტყობა, მაინც არ მოეწონა. ჩვენ-

მა დიმიტრი ნიკოლაევიჩმა კარგა ხანს ინაღვლა და მერე თავადის ასული ნაზაროვა შეირთო. რა მოხდა მერე, სანდომიანი ქალია.

სტუმრებთან ჩაიზე შვეიცარმაც შეიარა. კართან იგი მუდამ გაბღინძული და დაჭიმული იდგა ხოლმე, აქ კი, ამათთან, თითქოს სხვა კაცი შემოსულიყო. ლივრეის ღილები შეიხსნა და ძველ საკარძელში გაიშხლართა.

— აბა, რას იტყვით ახლა ჩვენს ქალბატონებზე? — ყველაზე უწინ ეს იკითხა.

პეტრემ მხრები აიჩეჩა.

პაპა სოფრონმა დუმილი არჩია.

— მაშ, არაფერი იცით, განა?! — ჩაიხითხითა შვეიცარმა. — იქნებ გგონიათ, რომ თქვენთან სხვანაირად ცხოვრობენ ფარეშები? ვერაფერს ვერ გებულობენ? არა, ჩემო ძმაო, ნუ ხუმრობთ! საფარეშოში ბატონებზე უფრო ჩქარა იტყობენ ამბებს. არ გაგიგიათ, განა, პუშკინების ოჯახში რა ამბავია ატეხილი? დები იმათ ოჯახში სულ ტყუილად შეიფარეს. უიმათოდაც ერთი დავიდარაბა ტრიალებდა იქ.

შვეიცარმა უკეთური ღიმილით ნატალია ნიკოლაევნას სახელთან ერთად იმპერატორ ნიკოლოზის სახელიც ახსენა.

პეტრეს უნდოდა სიტყვა აეკრძალა, მაგრამ შვეიცარი ექსტაზით ჰყვებოდა რაღაც ჩახლართულ ამბავს, რომელშიც ნატალია ნიკოლაევნაც იყო გარეული.

პეტრეს სულ არ სჯეროდა ეს ამბავი. იმას მიხვდა მხოლოდ, რომ მისი სათაყვანო ქალი ბინძური ჭორების ქსელში იყო გახლართული მაღალ საზოგადოებაშიაც და ხალხის თვალშიც.

ამ ღამით პეტრეს ძილი გაუტყდა. ნატალია ნიკოლაევნას სახე ვერ მოეშორებინა გონებიდან. პეტრეს არასოდეს ენახა პუშკინი. მაგრამ ეგონა, ნატალია ნიკოლაევნა უპატიოსნოდ არაფრით არ მოიქცეოდაო. მსახურები პუშკინს თბილად იხსენიებდნენ აქაც კი, გონჩაროვთა მამულში. სხვათა ბატონებს ისინი მუდამ ჭუჭყში სვრიდნენ ხოლმე, თავიანთ ბატონებზე ლაპარაკისა ეშინოდათ. პეტრეს ბევრი ნაწარმოები წაეკითხა პუშკინისა. ილინსკოეში მას წიგნებს აძლევდნენ მოურავი, მღვდელი და მასწავლებელი. პუშკინის ზღაპრები და მისი ბევრი ლექსიც პატარაობიდანვე თითქმის ზეპირად იცოდა.

მოსკოვში პეტრემ მრავალი სახალელი ჩაანავლა პუშკინის კითხვაში, ილინსკოეში კი — უთვალავი კვარი.

პეტრე არ იცნობდა პუშკინის წინასწარმეტყველურ წერილს, რომელიც 1834 წლის 14 ივლისს მისწერა ცოლს.

ორივე და შენთან მოგყავს? ეჰ, ჩემო მეუღლევ! კარგად დაუკვირდი... ჩემი აზრი ასეთია: ოჯახი ცალკე უნდა იყოს ერთ ჭერქვეშ: ქმარი, ცოლი, ბავშვები — სანამ პატარები არიან, და აგრეთვე მშობლები, როცა ღრმად მოხუცდებიან. თორემ ისე დავიდარაბასაც აიკიდებ და ოჯახური სიმყუდროვეც არ გექნება.

პეტრეს დანაღვლიანებული გული გამოჰყვა გონჩაროვების მაეულიდან. სოფრონი აჩუ, აჩუს ძახილით მიერეკებოდა ამლაყ ულაყს, ჰაერში მათრახს ატრიალებდა და პეტრეს ჩასციებოდა, რადა ხარ ასე დაღვრემილიო. პეტრეს მოთმინების ძაფი გაუწყდა, მკვახედ გაეპასუხა და ხმა ჩააწყვეტინა ბერიკაცს. კარგა ხანს მიდიოდნენ უბრად. საღამოთი რომელიღაც პატარა მდინარის პირას შეისვენეს. მდინარის ნაპირები თხელ ყინულს დაეფარა და ფოთლებგაყვითლებულ, თითქმის უკვე მთლად გაშიშვლებულ ბუჩქნარს მოეარშიებინა. კოცონი ააგიზგიზეს. წყალი აადუღეს. ისხდნენ წაქცეულ ხეზე, სვამდნენ ადუღებულ წყალს, რკინის ცხელი ტოლჩები ხელებს უთუთქავდათ და ხელიდან ხელში გადაჰქონდათ.

სოფრონს ჯერაც არ დავიწყნოდა, პეტრე რომ გაფიცხდა დილით და არ სურდა პირველი გამოლაპარაკებოდა. ხმას არც ერთი არ ილებდა.

უცებ პეტრემ გულგახსნილად ჰკითხა:

— პაპა სოფრონ, ოჯახი თუ გყავდა ოდესმე?

— მაშ როგორ, პეტრუშა. ცოლი მყავდა. ვაჟიშვილიც. ჰოდა, ორი წლისა რომ გახდა ჩვენი ბიჭი, მე და ჩემი ცოლი გაგვყარეს. ხედავ, გრაფინიას თურმე მოახლე დასჭირდა პეტერბურგში. შესახედავი დედაკაცი იყო ჩემი ცოლი და მართლა რომ იშვიათი დიასახლისიც. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან. ოქროს ხელები ჰქონდა. მე ბილიმბაის ქარხანაში მიკრეს თავი. პირველხანად ვითომდა დროებით ვიყავი იქ, მაგრამ მერე აღარც გავხსენებივართ.

ვაჟიშვილი სიდედრთან დარჩა. ვერ მიხედეს და ჭაში დაიხრჩო ბიჭი. ცოლს კი ოცდაათი წლის შემდეგ შევხვდი პეტერბურგში. ჰო, ჩავედი პეტერბურგში, ის ჩასვლა პირველი იყო, და ვიფიქრე, მოდი, ჩემს ცოლს ვნახავ-მეთქი. მაინცდამაინც კი აღარ მენატრებოდა, მოვინელე უკვე, გული გამიცივდა. მაგრამ გრაფინიამ თითქოს განგებ ბრძანა ჩემი პეტერბურგში ჩაყვანა, ვითომც ცოლთან ახლოს იყოსო. გაახსენდა, რაღა!

ჩემი ცოლი ახლა გრაფინიას შვილიშვილებს ზრდიდა. ჰოდა, შევხვდით ერთმანეთს. ის კი არა და, ოთახშიც შემიშვეს და მარტო დამტოვეს ნასტასიასთან. ვუყურებ და სახტად ვრჩები — სხვა დედაკაცია. არა. ძალზე კი არ დაბერებულა, ეს არის, რომ უცნობია ჩემთვის — მეტი არაფერი. მაგრამ როცა ხმა გაიღო და დაილაპარაკა, მაშინ კი მართლა დამესერა გული, — ისევ ის წვრილი ხმა, მშვიდი ლაპარაკი. რაო, — მკითხა, — რატომ ვერ გაუფრთხილდი ჩვენს ბიჭსო? — და თვალები ცრემლით აევსო. — როგორ გავუფრთხილდებოდი-მეთქი, მე ხომ ბილიმბაიში ვიყავი-მეთქი,— თურმე დედაკაცს არ სცოდნია ჩემი ამბავი. აი, ჩემო პეტრე, ასეთი ცხოვრება გამოვიარე! იცოდე, მითქვამს შენთვის — ცოლი არ შეირთო. ჩვენთვის. ყმებისთვის, არ შეიძლება ოჯახური ცხოვრება. თუ. რაღა თქმა უნდა, ბატონები არ შეგრთავენ ძალად. ასეც ხომ ხდება ხოლმე. აბა რა ხეირია იმათთვის, რომ შინაყმებს შთამომავლობა არ ჰყავდეთ. არა, არ არის სარგო საქმე ეს. წაგების მეტი არაფერია ბატონებისათვის.

პეტრემ ტოლჩიდან გაცივებული ანადუღი წყალი გადაღვარა, ტოლჩა ტილოს ტომარაში ჩააგდო და პაპას ჰკითხა:

— პუგაჩოვის ამბავი თუ გაგიგია, პაპავ?

— გამიგია. თუმცა, არ მჯერა. თუ მართლაც ხელმწიფე იყო ის კაცი, მაშინ ხალხს გამოიყენებდა და მერე ისევ დაიბეჩავებდა. ხოლო თუ თავადაც ლტოლვილი იყო, ბედი ვერ გაუღიმებდა. ღმერთმა იგი ყმად შექმნა, ჰოდა, თუ ღმერთის წინააღმდეგ წახვალ — სიკეთე არ დაგეყრება. მე და შენც ყმებად გაგვაჩინა ღმერთმა. ამიტომაც საწყენი არავისზე არაფერი გვაქვს. ღმერთმა ერთს სიმდიდრე უბოძა, — მეორე — დაჩაგრა.

— განა სიმდიდრეზე გეუბნები, პაპა სოფრონ? თანახმა ვარ,

მათხოვრად ვიჯდე ტაძრის კარიბჭესთან, ოღონდ თავისუფალი ვიყო. აი, ჩვენს მოურავს ხომ არგუნა ღმერთმა ასეთი ბედნიერება.

— იქნებ შენც გარგუნოს. ღმერთმა თავად იცის, ვის რა ეკუთვნის.

— ჰო, თავად იცის, — ვერ გაიგებდი, კვერი დაუკრა პეტრემ თუ ეჭვი გამოთქვა.

— ჰო, მართლა, როგორ შეგხვდა დიმიტრი ნიკოლაევიჩი, ხომ მოგესალმა? — დაინტერესდა ბერიკაცი დასტა-დასტად შეკრული ქაღალდების დანახვაზე.

— მომესალმა, კი, — მიუგო პეტრემ და მოაგონდა დიმიტრი ნიკოლაევიჩის სახე.

— მაგისი უმცროსი დაო, ამბობენ, დედამისმა უმზითოდ გაათხოვაო, ასე თქვეს, თავად პუშკინმა უყიდაო მზითევი.

— „ესეც ყველას სცოდნია", — არ ეამა პეტრეს.

სოფრონი განაგრძობდა:

— აქ გონჩაროვებმა პუშკინი კარგად გააცურეს. მზითევშიც მოატყუეს, ცოლისდებიც ოჯახს შეაჩეჩეს — აქ რა გინდათ, წადით პეტერბურგში იცხოვრეთ, იქნებ საქმროებიც იშოვოთო. ეს დები კი, ვერც დათხოვდნენ და ამბობენ, ოჯახიც აურიესო.

— შენ ხომ თავად თქვი, პაპა სოფრონ, ყველაფერი ღვთის ნებააო, — უთხრა ცხარედ პეტრემ.

— რაღა თქმა უნდა, ღვთის ნებაა. მაგრამ ქმარმა ცოლი მკაცრად უნდა დაიჭიროს ხელში. ნატალია ნიკოლაევნა არაჩვეულებრივად ლამაზი ქალია. თავად კი არც თვალადობით ვარგა და არც ტანადობით. ყველა ასე ამბობს, კარგი კაციაო, მაგრამ ვინ იცის, ვისზე შეუვარდება გული ცოლს, როცა ქმარი დღედაღამ ქაღალდებში იქექება და ლექსებს თხზავს. აგე, ხომ ხედავ, რამდენი ქაღალდი მიგვაქვს მისთვის! — მათრახი მიაშვირა ქაღალდებს სოფრონმა, — ფორანი სავსეა. მერე რა გგონია, დიდხანს ეყოფა, განა?

— თავად თუ გინახავს პუშკინი, პაპა სოფრონ?

— ბევრჯერ მინახავს. ერთხელ ველაპარაკე კიდეც. ეს იმ ადგილებში მოხდა, მე და შენ რომ ამასწინათ მოვიარეთ. ბატონმა ბოლშიე ვიაზემში გამგზავნა, კნიაგინია გოლიცინასთან. პაკეტი გამატანა და რაღაც ყუთი. ძალზე მძიმე ყუთი იყო. ერთი კაცი ვერ ასწევდა. ჰოდა, ყური მიგდე, რა გითხრა: გადავწყვიტე, ზახარო-

ვომდე წავსულიყავ. მარიამ პეტერბურგში რაღაც საყიდელი დამავალა და ფულიც გამატანა. ჰოდა, ის საყიდელი წავუღე და მერე ზახაროვოდან დიდ გზაზე გადავუხვიე, მოსკოვიდან ზვენიგოროდამდე რომ მიემართება. მივდივარ და ვხედავ: ჩემი ცხენი კოჭლობს, ფეხს ითრევს. გადმოვედი ოთხთვალადან. დავათვალიერე ცხენი, ჩანს მარჯვენა, უკანა ფეხი აქვს ნატკენი. ისე კი არაფერი ეტყობა. ნალი მაგრად აკრავს. თითი დავაჭირე, არ სტკივა, ტლინკებს არა ყრის. ის იყო, დავაპირე ოთხთვალაზე აძრომა, რომ ვხედავ ტყიდან პუშკინი გამოდის. საბეჭურიანი მოსასხამი გაუღეღია, ხელში ნაირფერი ყვავილები უჭირავს. სწორედ რომ დახატვის ხეტი აღარა უნდა რა!

გამარჯობაო, — მითხრა, — კეთილო კაცო, საიდან მოდიხარ და საითკენ გაგიწევიაო. მეც ვუთხარი, ვინც გამომგზავნა, სად მივდივარ, მარიაც ვახსენე. ვიცნობ შენს ბატონსო, — მითხრა პუშკინმა, — გოლიცინასაც ვიცნობო. თქვა ესა და სახე პატარა ბიჭივით ცუღლუტი გაუხდა, ხელით ულვაშები და წვერები გამოისახა პირისახეზე. ორთავეს სიცილი აგვიტყდა. ჰოდა, ისე გავმხიარულდი, ისე თავისუფლად ვიგრძენი თავი, თითქოს ჩემს წინ ბატონი არ იდგა...

შენ თუ იცნობ კნეინასო? — მკითხა. მე, ბატონო, ბალღობაშივე გამიგონია ამ ქალის ამბავი. მისი ასული, სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვა, ჩვენი ქალბატონია, დედამისზე კი ბევრი მითქმა-მოთქმა იყო-მეთქი ჩვენში. — „ალბათ იმას ამბობდნენ, რომ სამი წაუგებელი კარტის საიდუმლოება იცისო, ხომ?" — მკითხა პუშკინმა. „სწორედ მაგრე გახლავთ, ბატონო. მაქციას ეძახდნენ მაგ ქალს, ურჩ შინაყმებს მისი სახელით აშინებდნენ ხოლმე". ამაზე, პუშკინს გაეცინა. თქვენ, ბატონო, ბოლშიე ვიაზემში ხომ არ მიდიხართ, თუ გნებავთ, წაგიყვანთ-მეთქი, — ვუთხარი. — არა, კეთილო კაცო, მე იქ წასასვლელი გზა ახლა მოჭრილი მაქვს, — გაიცინა პუშკინმა, — კნეინა გამირისხდა. თუ დამინახა, ალბათ, ძაღლებსაც მომისევს. მე აქ მშობლიური ადგილების მოსანახულებლად ჩამოვედიო, — მითხრა პუშკინმა და უცებ საოცარი სევდა დაეტყო. — უკანასკნელად მინდა ვიხეტიალო იმ ადგილებში, სადაც ჩემს პატარა ბიჭობაში მირბენია. აბა, მშვიდობით იყავი, კეთილო კაცო. ცხენი კი კარგად შეასვენე, იცოდე, დაიღალა და იმი-

ტომაც კოჭლობს. — პუშკინმა თავზე ხელი დაუსვა. — რაო, შე ბეხრეკო, აღარ გასვენებენ, განა? ალბათ ასე სიარულში ამოგართმევენ სულსო. მე ოთხთვალაზე ავძვერი, ცხენს აჩუ-აჩუ დავძახე და გავუყევი გზას. მერე უკან მოვიხედე. პუშკინი იდგა გზაზე, თავი მაღლა აეწია და სადღაც, ზემოთ, ხეთა კენწეროებს უსწორებდა თვალს. ხეთა კენწეროები კი მზისაგან ისე აგიზგიზებულიყო, თითქოს კვარი შეუნთიათო. ისეთი სურათი იყო, ერთ ნახვად ღირდა!

მეხუთე თავი

ჩემი წინაპრის დღიურში წერია:

არა, შეუძლებელია, რომ გუმანი მატყუებდეს. ბევრი არ მიცხოვრია ამქვეყნად, მაგრამ ადამიანების მკურნალობამაც კი დამარწმუნა, რომ თვალები, როგორც ხალხი ამბობს, სულის სარკეა. არა, არ შეიძლება, რომ ვცდებოდე. ამ ქალს არა მარტო სახე აქვს ლამაზი, არამედ — სულიც. ამაზე მეტყველებს მისი მწყაზარი გამოხედვა, წყნარი ხმა, მიხრა-მოხრა, რითაც გამოირჩევა სხვა ქალებისაგან. მე ნასწავლი კაცი არა ვარ. ზოგჯერ საჭირო სიტყვებსაც ვერ ვპოულობ ხოლმე, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ყოველი ნაბიჯი, ყოველი მიხრა-მოხრა ამ ქალს ძალზე ლამაზი აქვს, ბუნებრივი და არა განზრახი, ხალხის მოსაჩვენებელი, ვითომც, შემომხედეთ, რა ლამაზი ვარო! პირიქით, თითქოს გეუბნება: ნუ მიყურებთ, ნუ შემომცქერით, მრცხვენია საკუთარი სილამაზისაო. მისმა მსახურებმა მიამბეს, მეტად მზრუნველი დედაა თურმე.

მართლაც, ნატალია ნიკოლაევნა ძალზე მომთხოვნი იყო ბავშვების გადიების მიმართ, რის გამოც ისინი ხშირად იცვლებოდნენ.

მერე დღიურში ალბათ კიდევ იყო ჩანაწერები, რაც პეტრეს ნატალია ნიკოლაევნასადმი ამაღლებულ სიყვარულზე მოგვითხრობდა. მაგრამ ვიღაცის შეუბრალებელ ხელს ფურცლები ამოუხევია. იქნებ თავად პეტრ იაკოვლევიჩს მოეჩვენა უხერხულად, შთამომავლობისათვის ასეთი აღსარებები დაეტოვებინა დღიურში. იქნებ უკვე მისი სიკვდილის შემდეგ გაუნათლებელ ოლიმპიადა ფედო-

როვნას წაუკითხა ვინმემ ეს სტრიქონები და გაგულისებულმა ქალმა მოსპო ჩანაწერები. ან ეგებ ვინმემ, შთამომავალთაგან, საჭიროდ არ ჩათვალა, დღიურში ამ გულწრფელი აღსარების დატოვება. მაგრამ, ასე თუ ისე, რვეულიდან, რომელიც ოსტატურად არის ჩასმული მუყაოს ყდაში, ბევრი ფურცელია ამოგლეჯილი.

პეტრ იაკოვლევიჩის ჩანაწერებს რომ ვკითხულობ, გაოცებული ვარ, რა საოცრად სწორად შეუგრძნია მას იმ არსების ნათელი ხატება, ვინც მთელი სიცოცხლე უყვარდა. ამ ქალისთვის ხომ მას რამდენიმე სიტყვის გარდა არა უთქვამს რა, მსახურებისა თუ ბატონებისგან კი ბევრი საძრახისი რამ გაუგონია მასზე, მაგრამ ნატალია ნიკოლაევნას სულიერი სილამაზისა და სიფაქიზის რწმენა ვერაფერმა შეურყია, მაშინ როცა პუშკინს მარტო თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა წრეებში არ ამტყუნებდნენ, მარტო ისინი არ სდებდნენ ბრალს. შემდეგშიც ეს ბრალდება გამოსჭვიოდა როგორც მასზე დაწერილ თანამედროვეთა მოგონებებში, ისე მაშინ თუ ჩვენს დროში შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებშიც! მხოლოდ ახლახანს ნაპოვნმა და გამოქვეყნებულმა „ნ. ნ. პუშკინასა და მისი დების, ე. ნ. და ა. ნ. გონჩაროვების უცნობმა წერილებმა“ მოგვცა შესაძლებლობა, ნატალია ნიკოლაევნაზე სულ სხვა წარმოდგენა შეგექმნოდა.

არა, ფუქსავატი მაღალი წრის ულამაზესი მანდილოსანი, ვინც მხოლოდ მორთვა-მოკაზმვით და მეჯლისებით არის გატაცებული, ასეთ სტრიქონებს არ დაწერდა:

მტკიცე მეგობრობა იშვიათად თუ ხერხდება დიდ ქალაქში, სადაც ყოველი კაცი საზოგადოების საკუთარ წრეში ტრიალებს, და რაც მთავარია, იმდენი გასართობი აქვს და მაღალი წრის ადამიანისთვის საჭირო იმდენი ვალდებულება აკისრია, რომ მეგობრობისთვის დრო აღარ რჩება.

მხოლოდ მეგობარს, მეუღლეს, ვინც პოეტი — ქმრის ლიტერატურული მოღვაწეობით არის გატაცებული, კარგად იცის ქმრის ყველა საქმე და ქმრის გამგები და ჭკვიანი ადამიანია, თუ დაავალებდა პუშკინი ასეთ რამეს:

ჩემო ანგელოზო, ერთს დაგავალებ: პლეტნევთან შეიარე და სთხოვე, რომ, ვ ი დ რ ე ჩ ა მ ო ვ ი დ ო დ ე, უბრძანოს და კანონთა კრებულიდან

(1774 და 1775, აგრეთვე 1773 წლისა) გადმოაწერინოს ყველა ბრძანება; რაც კი პუგაჩოვს შეეხება. იცოდე, არ დაგავიწყდეს... მე ვწერ... საქმეში ვარ ჩაფლული, თვალით არავის ვენახვები, როცა ჩამოვალ, აურაცხელ რამეს ჩამოგიტან. იმედი მაქვს, სმირდინი წესიერი კაცია. ამ დღეებში ლექსებს გამოვუგზავნი.

ამასთან ერთად პლეტნევს ვუგზავნი პაკეტს „სოვრემენიკისათვის"; თუ ცენზორმა კრილოვმა არ გაუშვა, კომიტეტს გადაეცი და, თუ ლმერთი სწამთ, დაბეჭდონ მე-2 №-ში.

ოდოევსკასაც მადლობა გადაეცი სტამბაზე ზრუნვისათვის. უთხარი, ისე დაბეჭდოს, როგორც მოეგუნებოს — თანმიმდევრობას მნიშვნელობა არა აქვს. დუროვას ჩანაწერები რასა იქმს? გაუშვა თუ არა ცენზურამ? აუცილებლად მესაჭიროება ეს ჩანაწერები — დავიღუპები უმაგისოდ... (1836 წ.).

„პეტრეზე" მეკითხები? მიდის საქმე ნელ-ნელა; ვაგროვებ მასალებს — მომყავს წესრიგში — და უცებ ჩამოვასხამ ბრინჯაოს ძეგლს, რომელსაც ქალაქის თავიდან ბოლოში, მოედნიდან მოედანზე, შესახვევიდან შესახვევში ვერ გადაიტან! გუშინ ვნახე სპერანსკი, კარანზინი, ჟუკოვსკი, ვილგორსკი, ვიაზემსკი — ყველამ მოგიკითხა.

რაკი ახლა ჩემს სავა ღირსებებს ისიც შეემატა, რომ ჟურნალისტი ვარ, მოსკოვისათვის ახალი ხიბლი შევიძინე. ამასწინათ, მითხრეს, ჩერტკოვმა მოგაკითხაო. თავისდღეში არა ვყოფილვართ ერთმანეთთან, მაგრამ ახლა კარგი შემთხვევა მიეცა გაეხსენებინა, რომ მისი ცოლი ნათესავად მერგება და ამიტომაც მომიტანა თავისი „სიცილიაში მოგზაურობის" ეგზემპლარი. ხომ არ შემეჩვენებინა იგი *en parent?* (ნათესაურად...) ჩემი წერილი ტურგენევისას ჰგავს — იგი ნათლად დაგანახვებს, რა განსხვავებაა მოსკოვსა და პარიზს შორის (11 მაისი, 1836).

„სოვრემენიკის" პირველ ტომში გამოქვეყნდა ნ. ი. ტურგენევის წერილები პარიზიდან „პარიზი (რუსი მწერლის ქრონიკა)". ამ წერილებში პარიზის ლიტერატურული, პოლიტიკური და თეატრალური ცხოვრების სიახლეებს იტყობინებოდა. და აი, პუშკინიც ტურგენევის ამ წერილებს თავისას ადარებს. აქედან ნათელია, რომ ნატალია ნიკოლაევნასათვის ცნობილია ტურგენევის წერილები.

აი კიდევ ერთი აღსარება მეგობართან:

აქაურ ლიტერატორებს რომ ვუსმენ, გაოცებული ვარ, რა რიგიანები არიან, როცა იბეჭდებიან და რა სულელები, როცა ლაპარაკობენ. გამომიტყდი: მეც ასეთი ვარ? მართალი გითხრა, მეშინია ამისა. ბარატინსკი კი, მართლაც, ძალზე კარგი კაცია, მაგრამ მე და იმას, რატომღაც, ცივი ურთიერთობა გვაქვს.

წლებმა მხოლოდ რამდენიმე წერილი შემოგვინახა. ადამიანის დადანაშაულება უფრო ადვილია, ვიდრე მისი გამართლება. ნატალია ნიკოლაევნას რაღაში აღარ დებდნენ ბრალს: იმაშიც, რომ სულაც არ ადარდებდა ქმრის საქმეებიო, რომ ოჯახიცა და ბავშვებიც მთლიანად თავის დას, ალექსანდრას მიანდოო, რომ ქარაფშუტა, უჭკუო ქალი იყოო.

მაგრამ წერილებმა დიდი სიმართლე გვიამბეს და ახლა ადვილია. დაარწმუნო სკეპტიკოსები, რომ ნატალია ნიკოლაევნა კითხულობდა ქმრის ნაწარმოებებს, რითაც შეეძლო ხელს უწყობდა მას, აინტერესებდა ქმრის სამუშაო და კარგადაც ერკვეოდა მის საქმეებში. ახლა ძნელი არ არის დაიჯერო, რომ ნატალია ნიკოლაევნა ზრუნავდა ბავშვებზე, ოჯახზე, ნათესავებზე. რომ იგი სიმხნეით სავსე. კეთილი და ჭკვიანი ქალი იყო.

1833 წლის 27 სექტემბერს ნატალია ნიკოლაევნა თავის ძმას, დიმიტრის წერს:

...ეს ფული თითქოს ზეციდან ჩამომიცვივდა, აღარ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა ამისათვის, ცოტაც და უკაპიკოდ დავრჩებოდი, ხოლო ასეთ მდგომარეობაში ყოფნა ბავშვებიანი ქალისათვის საშინელება იქნებოდა. ფული, ქმარმა რომ დამიტოვა, სამყოფზე მეტიც იყო მის ჩამოსვლამდე, იძულებული რომ არ გავმხდარიყავი, გადამეხადა ბინის ქირა — 1600 მანეთი; ქმარმა ეჭვადაც არ იცის, თუ ფული შემომაკლდა და არც საშუალება მაქვს შევატყობინო, რადგან მხოლოდ მომავალ თვეში დამკვიდრდება, ალბათ, ერთ რომელიმე ადგილას.

...მერე, შენის ნებართვით, დავუკვეთე ლივრეა ჩემი დების მსახურისათვის, რაც 270 მ. დაჯდა, აგრეთვე სერთუკი და 16 შლიაპა... როგორც იქნა, გადმომცეს შენი საათი; ვანიას დავავალე, რომ მიმიხედოს;

მესაათე შეუდგა მის შეკეთებას... მითხარი, გეთაყვა, რა დაემართა იმ ბედნავს ზანდუკს, ჩვენი ნივთებით რომ არის სავსე, რა გაუჭირდა, რად ვერ მოაღწია ამდენ ხანს ჩვენამდე... ეტლის ხელახლა გადაკეთება ხომ არ დაგიწყია, ვიქონიოთ თუ არა იმედი, რომ ყველიერში მაგით ვისეირნებთ... (12 ნოემბერი, 1834 წ.).

შენი წერილი იმავე დღეს გაეგზავნა მიატლევს ჩემი ქმრის წერილთან ერთად. მის პასუხს პუშკინისადმი ამ წერილში ვდებ. უკვე კარგა ხნის წინათ სამივემ ვუთხარით მას ამის თაობაზე; პასუხი სასურველი იყო, შეგვპირდა კიდევაც შენთან წერილის მოწერას, ოღონდ მოგწერა თუ არა, არ ვიცი. თუ აქამდე თავს იკავებს პასუხისაგან, მიაყარე წერილები და ამით აიძულე, გიპასუხოს, თუ თავაზიანობის ხათრით არა, ყოველ შემთხვევაში, იმის გამო მაინც, რომ თავიდან მოგიშოროს. მე ვიცი, რომ თავის მხრივ ხ ლ ი უ ს ტ ი ნ ი ცდილობს მაგ წისქვილის ხელში ჩაგდებას. მოკლედ, ხვალ მიატლევს ვნახავ და დაბეჯითებით მოველაპარაკები ამ ამბავზე (1834 წ. დეკემბრის ბოლოს).

აგერ შენი ქაღალდი, ძვირფასო ძმაო; რაც შეეხება შენს წიგნებს, სიას შევადგენ, მაგრამ ბატონ კ ა ვ რ ი გ ი ნ ი ს ვიზიტს ველოდები, რომ გამოგიგზავნო ეს წიგნები. მე ვვარაუდობ, რომ ამ კვირის ბოლოს უკვე შენს მამულში იქნები, ამიტომაც ამ ქაღალდს მანდ გიგზავნი (10 აპრილი, 1835 წ.).

ეს-ეს არის გავიგე, ძვირფასო დიმიტრი, რომ ნეიჰარტმა შეცვალა მოსკოვში თავადი ხილკოვი. შენ ისეთი კარგი ურთიერთობა გაქვს კნეინა ჩერკასკაიასთან, რომ საკმარისია, ერთი სიტყვა უთხრა და კნეინა გენერალს სთხოვს, ყურადღება მიაქციოს სერიოჟას. ამ გზით მობერხდება ჩვენი ძმის გადმოყვანა მოსკოვში მდგარ ერთ-ერთ პოლკში. იფიქრე, შეიძლება თუ არა ამის გაკეთება და შეეცადე სერიოჟას ამოთრევას ბაობიდან, რომელშიც ჩაეფლო. მიმძიმს კიდევაც ამ საწყალი ბიჭის შეხედვა, თავისი ჩვეული ხალისი და სიცოცხლისმოყვარეობაც კი დაკარგა...

თუ ღმერთი გწამს, დააღწიე იგი ნოვგოროდს. მოსკოვში რომ იყოს, ბინა და თავის შენახვა კაპიკიც არ დაუჯდებოდა, შეეძლო ჩვენს სახლში ეცხოვრა... ეს წყეული ფული, ფული, ფული და მუდამ საჭირო ფუ-

ლი, უიმისოდ ვერასოდეს ვერაფერს ვერ მიაღწევ (1835 წ. ზაფხულის დასაწყისი).

ჩემი ქმარი მავალებს, ძვირფასო დიმიტრი, გთხოვო, პატივი დასდო და დაუმზადო 85 შეკვრა ქაღალდი იმ ნიმუშისა, რომელსაც ამ წერილით გიგზავნი. უკიდურესად ესაჭიროება და, თანაც, რაც შეიძლება, სასწრაფოდ; გთხოვა, მომწერეო ვადა, რომლის განმავლობაშიც მოუგვარებ ამ საქმეს (1835 წლის 18 აგვისტო).

ახლა მინდა ცოტა პირად საქმეებზეც გელაპარაკო. ბრმ იცი, სანამ წეებეძლო შინიდან დახმარების გარეშე თავის გატანა, იოლად გავდიოდი, მაგრამ ამჟამად ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ჩემს მოვალეობადაც კი ვთვლი, დავეხმარო გასაჭირში ჩავარდნილ ქმარს. სამართლიანი არ არის, რომ ჩემი დიდი ოჯახის შენახვის მთელი სიმძიმე მარტო მას, ეროს დააწვეს კისერზე, აი, ამიტომ იძულებული ვარ, ძვირფასო ძმაო, შენს სიკეთესა და დიდსულოვან გულს მივმართო და შეგეეედრო დ ე დ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ი თ დამინიშნო სარჩო, იმდენივე, რამდენსაც ჩემი დები ღებულობენ და თუ ეს შესაძლებელია, ისე, რომ მე მისი მილება დავიწყო იანვრამდე, ანუ მომავალი თვიდან. გულახდილად გამოგიტყდები, ისეთ გაჭირვებაში ვართ ჩავარდნილები, რომ გამოერევიან ხოლმე დღეები, როცა აღარ ვიცი, როგორ გავუძღვე ოჯახს, რადგან ტკეა მაქვს დაბნეული. ძალიან არ მინდა, შევაწუხო ქმარი ჩემი ყოველი ოჯახური საზრუნავით, რადგან ისედაც კარგად ვხედავ, როგორი ნაღვლიანი და გულდამძიმებულია, ღამღამობით ძილი უტყდება და რაღა თემა უნდა, ასეთ გუნებაზე მყოფი ველარც მუშაობს, რომ საარსებო სახსრებით უზრუნველგვყოს. რომ შეთხზას, გონება ნათელი უნდა ჰქონდეს... ჩემმა ქმარმა იმდენჯერ მიჩვენა, ხათრიანი და უანგარო კაცი რომ არის, საკვლებით სამართლიანი იქნება, თუ მეც, ჩემის მბრივ, შევეცდები, შევუსუბუქო მდგომარეობა; ყოველ შემთხვევაში, სარჩო, რასაც შენ დამინიშნავ, ბავშვებზე დაიხარჯება, ეს კი უკვე კეთილშობილური მიზანია. ამ დახმარებას ჩემს ქმართან შეუთანხმებლად გთხოვ, რადგან, მას ეს ამბავი რომ გაეგო, მიუხედავად ძალზე ხელგიწროდ ყოფნისა, დამიშლიდა მოწერას (1836 წლის ივლისი).

არ ვიცი, ვინ რას იფიქრებს ამ წერილების წაკითხვისას. მაგრამ მე კი თვალწინ დამეხატა ადამიანი, ვის შესახებაც პუშკინმა

ასე მოსწრებულად თქვა: „ჩაგეხედა სარკეში და დარწმუნებულიყავ, რომ შენს სახეს არა შეედრება რა ამქვეყნად — ხოლო სული შენი შენს სახეზე მეტად მიყვარს“.

ნატალია ნიკოლაევნას ლამაზ სულს ჩემი წინაპარიც ჩასწვდა. ეტყობა, ამ ქალზე მან ბევრად მეტი იცოდა, ვიდრე დღიურში ჩაწერა. პეტრეს ჰქონდა საფუძველი, ნატალია ნიკოლაევნას სულიერ სილამაზეზე არა მარტო მისი მშვენიერი პირისახის მიხედვით ემსჯელა. დღიურში დუელსა და პუშკინის სიკვდილზე არაფერი წერია. მაგრამ როგორ შეიძლებოდა, პეტრეს არ სცოდნოდა ყოველივე, რაც მაშინ ითქვა იმ არსებაზე, ვისაც აღმერთებდა. იულია პავლოვნა სტროგანოვა ხომ პოეტის სიკვდილს დაესწრო.

ცნობილი წერილი, 1837 წლის 1 იანვარს პუშკინმა ბარონ ჰეკკერენს რომ მისწერა, ამ უკანასკნელმა გრაფ გრიგორი ალექსანდროვიჩ სტროგანოვს უჩვენა. გრაფი კი უმაღლეს საზოგადოებაში ითვლებოდა ღირსების საკითხების დიდ მცოდნედ. სტროგანოვმა მიიჩნია, რომ შეურაცხყოფა, რომელიც პუშკინმა ჰეკკერენს მიაყენა ამ წერილით, მხოლოდ სისხლით შეიძლება ჩამოირეცხოსო. ჰოდა, დანტესმა დუელში გამოიწვია პუშკინი.

ასე იქცა ამ ტრაგედიის მონაწილედ გრაფი გრიგორი ალექსანდროვიჩ სტროგანოვი. ბუნებრივია, რომ იმ დღეებში სტროგანოვების სახლი აფორიაქებული იყო. იმიტომ ხომ არ მიმართა პეტრემ მრავალჯერ თხოვნით გრაფინია სოფია ვლადიმიროვნას, ილინსკოეს სამმართველოში ჩემს ძველ საქმეზე დამაბრუნეთო ან მსახურად გამგზავნეთ, ვისთანაც გენებოთო, რადგან არ სურდა დარჩენილიყო ბატონთან, თვალის დასანახად რომ სძულდა?

1837 წლის 10 იანვარს დანტესისა და ეკატერინა გონჩაროვას ქორწილი იყო. ჯვრისწერა ორჯერ აღსრულდა — წმ. ეკატერინეს რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში და მართლმორწმუნეთა ისააკის ტაძარში, რადგან საქმრო და საცოლე სხვადასხვა სარწმუნოებისანი იყვნენ.

პეტერბურგისათვის ჩვეული პირქუში დღე იდგა, თოვლ-ჭყაპიანიანი. შიგადაშიგ თუ გამოაჭყიტებდა მზე, უჩვეულოდ სჭრიდა თვალს და მერე ისევ შავი ღრუბლებით იფარებოდა ზეცა. ზოგჯერ ღმუილით ამოვარდებოდა ქარი, აქეთ-იქით მიაწყდებოდა ქუჩებს და მერე ჩაწყნარდებოდა ისევ.

სამი დღის შემდეგ გრიგორი სტროგანოვის სახლში გაიმართა ეკატერინა გონჩაროვასა და დანტესის საქორწინო სადილი.

პეტრე, ჩვეულებრივ, გადასაწერი და გაგზავნ-გამოგზავნი საქმეებით იყო დაკავებული, მაგრამ იმ დღეს ლივრეა ჩააცვეს და უბრძანეს, სტუმრებს მოემსახურეო. პეტრეს შეეძლო, თავი მოეავადმყოფებინა ან მართლაც შთაეგონებინა თავისთვის ავადმყოფობა, მაგრამ ერთი რამ აკავებდა: ი მ ი ს დანახვაზე ოცნებობდა. თუმცა, საფარეშოში დარწმუნებით ამბობდნენ, პუშკინი და ეკატერინა ნიკოლაევნას ნათესავები სადილზე არ იქნებიანო, მაგრამ პეტრემ იცოდა, რომ ქორწინებას ისააკის ტაძარში ესწრებოდნენ ნატალია ნიკოლაევნა, ალექსანდრა ნიკოლაევნა, დიმიტრი ნიკოლაევიჩი და ივან ნიკოლაევიჩი. პატარძლის დედა, ნატალია ივანოვნა, არ ჩამოვიდა. არც პუშკინი ჩანდა. იქ იყო პატარძლის დეიდა — ეკატერინა ივანოვნა ზაგრიაჟსკაია.

ჰოდა, პეტრემაც ისეთი გრძნობით ჩაიცვა ლივრეა, რაც, ალბათ, მხოლოდ იმას თუ გამოუცდია, ვინც პატიმრის ხალათით შემოსილა.

პეტრე სტროგანოვთა დიდებულ ვესტიბიულში იდგა, ბროლის საკანდელეებთან, როცა მუსიკამ დაიგრიალა და ფართოდ მოღებულ კარში ახალგაზრდები გამოჩნდნენ. მათ სასწრაფოდ მოხადეს მოსასხამები. კარი კარგა ხანს იყო ღია, რადგან სტუმრებს ბოლო არ უჩანდა.

პეტრე ხარბად ათვალიერებდა ყველას.

ი გ ი არ მოვიდა. არც საპატარძლოს დედა ჩამოვიდა. არც ძმები ჩანდნენ. პატარძლის ნათესავთაგან მხოლოდ დაქანცული, ზეიმისათვის შეუფერებლად ყურადღებადაძაბული ალექსანდრა ნიკოლაევნა ესწრებოდა და კიდევ მორთულ-მოკაზმული, ნერვიულად სახეალეწილი დეიდა ზაგრაიაჟსკაია, რომელიც ცდილობდა, თავაზიანი და მხიარული სჩვენებოდა ხალხს.

პეტრე მიხვდა, რომ ტყუილად არ ჭორაობდნენ მსახურები, პუშკინების ოჯახში არეულობაა, მაგრამ რას ამბობდნენ მართალს და რას გამონაგონს — ეს არ იცოდა. იმას კი გრძნობდა, ეს ქორწილი რაღაც უცნაური იყო.

პეტრე შესცქეროდა მდიდრულ თეთრ კაბაში გამოწყობილ შლეიფიან პატარძალს. გამხდარს, ფერდაკარგულს დაძაბულობისა-

გან აგზნებულ თვალებში ბედნიერება უკრთოდა. ძალზე ლამაზი იყო.

ვკითხულობ ე. ი. ზაგრიაჟსკაიას წერილს ჟუკოვსკისადმი:

მადლობა ღმერთს, მგონი, მორჩა ყველაფერი. საქმრო და მისი დარბაისელი მამილო ჩემთან იყვნენ ხელის სათხოვნელად. ჩემთვის დიდად საბედნიეროდ თხუთმეტი წუთით ადრე მოსკოვიდან ჩამოვიდა უფროსი გონჩაროვი და იმან გამოუცხადა მათ მშობლების თანხმობა; ამგვარად, ყველაფერი მიიჩქმალა.

რას ნიშნავდა ფრაზა: „ყველაფერი მიიჩქმალა“, — დღემდე გამოცანად რჩება.

პეტრემ, რასაკვირველია, არაფერი იცოდა დეიდა ზაგრიაჟსკაიას წერილისა. იგი ათვალიერებდა საქმროს, რომელსაც პირველად ხედავდა. საქმრო ლამაზი ჭაბუკი იყო: ძალზე დახვეწილი სახე ჰქონდა, კოხტად გადაპრეხილი ულვაშები, ხშირი, გვერდზე გადავარცხნილი თმა. პატარძალივით ისიც ფერჩამკრთალი და აღელვებული იყო, მხოლოდ, მისგან განსხვავებით, ჩამქრალ თვალებში ბედნიერება არ უბრწყინავდა. ისიც, ეკატერინა ნიკოლაევნასავით, ნერვიულად ათვალიერებდა ირგვლივ თავშეყრილ სტუმრებს; ორივე, თითქოს, ვიღაცას დაეძებდა და მილოცვებსა და კოცნებს დაბნეული ღიმილით ეგებებოდნენ.

მადლობა ღმერთს, პეტრესთვის ლანგრებით საპმელ-სასმელის ტარება არ დაუვალებიათ. არ ეხერხებოდა ეს საქმე. მას ნაბრძანები ჰქონდა, ვესტიბიულში და დერეფნებში მდგარიყო. მაგრამ ღია კარიდან იგი ხედავდა სადარბაზო ოთახის ნაწილს, მაგიდაზე გადაფარებულ თეთრ სუფრას, ესმოდა მისთვის გაუგებარ ფრანგულ ენაზე წარმოთქმული სადღეგრძელოები ბარონ ჰეკკერნისა, გრიგორი სტროგანოვისა და კიდევ ვიღაცასი. და რუსული „გორკოც“.

პეტრეს ეჩვენებოდა, თითქოს ეს სიცილი, შეძახილები, ჭიქების წკრიალი, სადღეგრძელოები — ყველაფერი ხელოვნური იყო. ეს საქორწინო სადილიც ქელეხს უფრო ჰგავდა.

ქორწილის შემდეგ გრიგორი ალექსანდროვიჩ სტროგანოვის მსახურები კიდევ რამდენიმე დღეს მიმდინარე მოვლენების განს-

ჯაში იყვნენ. რომელიმე მათგანი განგებ გამოიჩენდა საქმეს, რომ ჩაერბინა მოიკაზე, პუშკინების სახლში, რათა ვინმე უბედი გამოეჭირა საქმეების გარჩევაში მოზიარედ ან გონჩაროვების ქალების ყოვლისმცოდნე მსახურისაგან ჭორები გაეგო. ჰოდა, მერე რა ნაირ-ნაირი ვერსიები აღარ ჩამოჰქონდათ იქიდან!

ამბობდნენ, ეკატერინა ნიკოლაევნა იმიტომ გათხოვდა, რომ პუშკინების ოჯახი გადაერჩინა, რადგან პუშკინმა დანტესი დუელში გამოიწვია და რაღა თქმა უნდა, სამხედრო პირთან სროლაში ვერას გააწყობდაო.

დუელი ქორწილმა ჩაშალაო.

ამბობდნენ, დანტესი ეკატერინა ნიკოლაევნას ხალხის თვალის ასახვევად აეკიდა, რომ ამ გატაცებით დაეფარა თავისი სიყვარული უმცროსი დისადმი და ხელიც იმიტომ სთხოვა ეკატერინა ნიკოლაევნას, რომ არიდებოდა დუელს, რაც გააფუჭებდა მის კარიერასაც და მისი მამობილის, ბარონ ჰეკკერნის კარიერასაცო.

ამასაც ამბობდნენ, ეკატერინა ნიკოლაევნას, საცა არის ბავშვი შეეძინება დანტესისაგანაო და საჩქაროდ უნდა მიეჩქმალათ მისი შეცოდებაო. რაღას არ ამბობდნენ საფარეშოში. ისიცა თქვეს, თითქოს დანტესს მეფემ უბრძანა ეკატერინა გონჩაროვას შერთვაო.

უმაღლესი საზოგადოების ეს ვერსიები, რომლებიც მსახურთა ყურსაც ხვდებოდა, დღემდე ვერსიებად დარჩა. ისტორიამ ვერ ამოხსნა, რა მოხდა პუშკინების ოჯახში, რომელმაც ასე გულღიად მიიღო დები გონჩაროვები. რად არ მივიდნენ ქორწილზე ეკატერინა ნიკოლაევნას ნათესავები? ანდა საზოგადოების წინაშე ამ მისიის აღსრულება რად იტვირთეს მხოლოდ ალექსანდრა ნიკოლაევნამ და დეიდა ზაგრიაჟსკაიამ. რომელთაც ვინ იცის, როგორ გაიმაგრეს გული წინასწარ.

ჩემი წინაპარი თავის დღიურებში ამ ჭორებს დუმილით უვლის გვერდს. თუმცა, რა უნდა ჩაეწერა — რომელიმე ვარაუდთაგანი ხომ არა? ფაქტები კი მას არ გააჩნდა. ეს ფაქტები იცოდნენ ნატალია ნიკოლაევნამ, დანტესმა, ეკატერინა ნიკოლაევნამ და იქნებ პუშკინმაც. მაგრამ ასეთ ფაქტებზე ჩვეულებრივ ხმას არავინ იღებს.

1837 წლის 1 თებერვალს ჩემი წინაპარი დღიურში წერდა:

რომ შემეძლოს ახლა ჩემი ანგელოზის სიახლოვეს ყოფნა, დარწმუნებული ვარ, ჩემი სიყვარულის ძალას მზერაში ჩავაქსოვდი და ამ ქალს ბედისადმი მორჩილებას ჩავაგონებდი... მე კონიუშენაიას ეკლესიასთან ვიდექი. პუშკინს რომ წესს უგებდნენ. ბობოში გზა ვერ გავიკვლიე მისკენ. თუნცა არც მიცდია. ცოცხალიც არასოდეს მინახავს. იგი კი არ ესწრებოდა დაკრძალვას. ჰოდა, მეც ადრე წამოვედი, რადგან არავის არ დავთხოვნივარ. ამბობდნენ, ის ძალზე ავად არისო. ან იქნებ ვინმე კეთილმა ადამიანმა ურჩია არ წამოსულიყო დაკრძალვაზე, რათა ეს უგუნური ბობო არ განერისხებინა.

მეექვსე თავი

თებერვლის ყინვიან საღამოებში პეტრე მარტო იყო ხოლმე თავის ოთახში. პაპა სოფრონი სადღაც გაეგზავნათ და იგი თავისუფლად განაგებდა პატარა მაგიდას. მაგიდაზე შეწებებული ქაღალდის ფურცელი მიეკრა და ადამიანის ანატომიურ გამოსახულებას ადიდებდა.

გვიან საღამოთი რაზით გადაკეტილი კარი ვიღაცამ ფრთხილად მოქაჩა და უცნობი ქალის ხმამ, სულს რომ ძლივს ითქვამდა, ჭუჭრუტანაში შემოსძახა.

— პიოტრ იაკოვლევიჩ, კარი გამიღეთ რა!

პეტრე წამოხტა. ფრთხილად აიღო მაგიდიდან ქაღალდის ფურცელი, საწოლზე დადო და ბალიში წააფარა.

პერანგი ჩაისწორა, თმაზე ხელი გადაისვა და კარის რაზა გადასწია. კარში ვიღაც ხანშიშესული უცნობი ქალი იდგა. თბილი თავშალი წამოებურა. თვალები დაწითლებული ჰქონდა — ეტყობოდა. ყინვისაგან კი არა. ნამტირალევი იყო. ქალმა კარი მიხურა და ოთახს თვალი მოავლო. რომ დარწმუნდა, პეტრეს მეტი იქ არავინ იყო, მუხლებზე დაეცა და ჩუმი ხმით მოთქმას მოჰყვა.

— ასე მითხრეს, პიოტრ იაკოვლევიჩ, თქვენზე, მხოლოდ ის თუ უშველისო შენს გაჭირვებას. უარს ნუ მეტყვი და მე და ჩემი გოგო მთელი სიცოცხლე შენზე ვილოცებთ.

პეტრეს ვერაფერი გაეგო, მივარდა და წამოაყენა ქალი.

— გამაგებინე, ვინა ხარ? რა მოხდა? რით შემიძლია გიშველო?

ქალი კარგა ხანს სლუკუნებდა და იკრუნჩხებოდა, ცრემლები ახრჩობდა და ხმას ვეღარ იღებდა. ბოლოს ცოტათი დამშვიდდა.

— მე პუშკინის შვილების გადია ვარ. ჩემი გოგო კი მოახლედა ჰყავთ... ალექსანდრ სერგეევიჩის სიკვდილის მერე ნატალია ნიკოლაევნამ გადაწყვიტა, სამუდამოდ დასახლდეს გონჩაროვების მამულში, ახლა კიდევ, როგორც კი ალექსანდრ სერგეევიჩი მიიცვალა, მე უცებ ხელ-ფეხზე გამომაყარა. ორთქლზეც მეჭირა, ვინც რა მირჩია, ყველაფერი ვიღონე, მაგრამ უარეს და უარეს დღეში ვარ. ქალბატონმა მითხრა, ასე გამონაყარი ხელებით ბავშვებთან ყოფნა არ შეიძლებაო. წადი, — მითხრა, — მიხაილოვსკოეში დაბრუნდიო. ჩემი გოგო სტეპანიდა თან მიჰყავს. ახლა მთელი სიცოცხლე გაყრილები ვიქნებით. მე კი მის მეტი ამქვეყნად არავინა მყავს!

ქალი ისევ აქვითინდა, ხეშეში ხელჯაგებით გაითხუპნა ცრემლები სახეზე.

— აბა ეს ხელჯაგები გაიხადე, გადიავ, და ხელები მიჩვენე! — უთხრა პეტრემ.

ქალმა გაიძრო ხელჯაგები და პეტრემ დაინახა დაწითლებული. დამუწუკებული ხელები, მუწუკებიდან სითხე მოეონავდა, თითებს შორის კი ჩამჭკნარი ქერქი ჩაშავებოდა.

„ასეთი ხელების პატრონი, მართლაც, არ შეიძლება ბატონის ოთახში იმყოფებოდეს, მით უმეტეს, ბავშვებთან“, — გაიფიქრა პეტრემ.

— ეგზემა გჭირს, ქალაქელმა ექიმებმა არ იციან ამ ავადმყოფობის წამლობა... ეტყობა კარგა ხანია გაქვს.

— კარგა ხანია შვილო, ბალღობიდან მჭირს, მაგრამ ასე კი არ მაწუხებდა, ისე, ოდნავ მაყრიდა, ზოგჯერ კი მთლად გამოვლიდა ხოლმე. ქალბატონს არც შეუმჩნევია.

— ჰოდა, ბატონის სიკვდილი ყველას მწუხარებად დაატყდა თავს, ასევე შენც. ამიტომაც მოგერია ეს ავადმყოფობა.

— მწუხარება დაგვატყდა, შვილო, მწუხარება, — ისევ ატირდა ქალი.

— ხვალ ამ დროს მოდი და წამალს მოგცემ.

— ნუთუ მომარჩენ, შვილო? — სიხარულით ჰკითხა ქალმა და იმედით მიაჩერდა პეტრეს.

პეტრემ იფიქრა: „რა ვიცი, მოვარჩენ? მაგრამ ქალმა კი უხდა ირწმუნოს. ეს რწმენა მაგასაც დაეხმარება და მეც“.

— უეჭველად მოგარჩენ.

ქალი ისევ ტირილით დაეცა მუხლებზე.

— აბა ახლა წადი შინ, წადი, — უთხრა პეტრემ და წამოაყენა.

ქალი რომ წავიდა, პეტრემ ისევ გადარაზა კარი, მერე ბალახებით სავსე კალათა გამოაცურა, საჭირო ბალახები გადაარჩია და ხის სანაყში მის ნაყვას შეუდგა.

„დავპირდი, მოგარჩენ-მეთქი და უნდა მოვარჩინო კიდეც, — უთხრა მტკიცედ თავს. — ჩვენს გვარში ბევრს მოუხდენია სასწაული. მერე, სასწაული კია ეს? უბრალოდ თაობიდან თაობაში აკვირდებოდნენ, აინტერესებდათ და ხალხიც უყვარდათ. ეს არის და ეს მთელი სიბრძნე. დავპირდი მოგარჩენ-მეთქი და მოვარჩენ კიდეც“.

ავადმყოფი ქალი მეორე დღეს მოვიდა და წამალი წაიღო. ორმა კვირამ რომ გაიარა, ბინდისას კვლავ მოაკითხა პეტრეს. ახლა სოფრონიც შინ იყო.

ქალმა დაუკაკუნებლად შეაღო კარი და აქვითინებული კვლავ ფეხებში ჩაუვარდა პეტრეს, ცალთითები გაიძრო და ჭაბუკისკენ გაიწოდა ნაზი მოვარდისფრო, გაკრიალებული კანით დაფარული ხელები.

ქალი კარგად რომ დამშვიდდა, თავის ამბავს მოჰყვა, თანაც რატომღაც, უმთავრესად სოფრონს უფრო მიმართავდა, ვიდრე პეტრეს; ყვებოდა, როგორ ისმევდა წამალს ხელებზე, რომ პირველ-მეორე დღეს უფრო უარესი და უარესი დაემართა, მესამე დღეს კი უკეთ იგრძნო თავი. ქალბატონი დათანხმდა, რომ ერთ კვირას დაეტოვებინა და არ გაგზავნიდა მიხაილოვსკოეში. არ უნდოდა თავისი ბავშვებისა და გადიას დაცილება, არც თავად უნდოდა მასთან განშორება.

— არაფერი გამაჩნია, რომ გადაგიხადო, შვილო. ერთი ჯვარი მაბადია, ჩემი ქმრის დანატოვარი, ამას მოგცემ. — ქალმა გაუწოდა სპილენძის ძეწკვიანი ვერცხლის ჯვარი.

— ეგ რა საჭიროა, ისედაც მოხარული ვარ, რომ გიშველე, — არ გამოართვა პეტრემ.

— კეთილი, — სასწრაფოდ დაეთანხმა ქალი, — ჩემი ქმრისაგან სხვა არაფერი დამრჩენია სამახსოვრო, — მან საჩქაროდ შეინახა ჯიბეში ჯვარი. — აი ჩემი ქალბატონი, თითქოს ძუნწი ქალი არ არის, მაგრამ ფული კი არ გიბოძა. თავის გაუთხოვარ დას, ალექსანდრა ნიკოლაევნას უთხრა, ლექსანდრ სერგეიჩის კაბინეტში ერთი წიგნი მოძებნე და ის მიეციო.

ქალმა უბიდან ქაღალდში გახვეული წიგნი გამოიღო.

პეტრემ აცახცახებული ხელებით გახსნა საჩუქარი.

„მედიცინის სახელმძღვანელო“ — წაიკითხა მან. ღმერთო ჩემო! ეს ხომ ორმაგი ბედნიერებაა! ეს წიგნი ი მ ა ნ გამოგზავნა! ასეთი უბედურების დროს მოაგონდა პეტრე! თანაც რა წიგნი აჩუქა!

პეტრეს აღარც ქალი ახსოვდა, აღარც სოფრონი, მივიდა მაგიდასთან, რომელზედაც საკანდელეში სანთელი ენთო და ნაჩუქარი წიგნის ფურცვლას შეუდგა. იფიქრა, ნეტა რად ამოვხიეო ექიმის წიგნიდან ფურცელი. ან რად ვიხატავდი მის ასლებს თვეობითო? ადამიანის ანატომიური გამოსახულება სწორედ ამ წიგნში ეხატა, თანაც თითოეული შინაგანი ორგანო ცალ-ცალკე ფურცელზე.

— რა ბედნიერებაა! — პეტრე თავს ვეღარ იკავებდა სიხარულისაგან. — რა მოულოდნელი ბედნიერებაა! — იგი მიუბრუნდა ქალს: — დიდი მადლობა მოახსენე ქალბატონს. — ცოტა ხნის მერე დაუმატა: — გადაეცი, რომ მთელი სიცოცხლე არ დამავიწყდება, მიწამდე ვცემ თაყვანს და ღმერთს ვევედრები, გაუადვილოს თავსდამტყდარი უბედურების გადატანა. თავად შენ კი იმით გადამიხადე მადლობა, რომ მუდამ ერთგული იყავი ქალბატონისა და მისი ობლებისა.

ქალმა პირჯვარი გადაისახა:

— აი ეს წმიდა ჯვარი იყოს მოწმედ, შვილო, რომ ყველაფერს აღვასრულებ, ღამღამობით არ დავიძინებ, ქალბატონსა და მის შვილებს ვუმეთვალყურებ.

ქალი რომ წავიდა, გაოცებული სოფრონი კარგა ხანს ხმამაღლა აქებდა პეტრეს ოსტატობას. გული არ უთმენდა, უნდოდა ყველასათვის გაეგებინებია ეს ახალი ამბავი. მერე უცებ შუა ოთახში შედგა და თქვა:

— ერთი რამ კი ვერ გამიგია, ნეტა რას იდაგები ქალბატონ

პუშკინასათვის? არადა, თითქოს მაინცდამაინც არ გიყვარს ბატონები! თანაც, ამ ქალბატონს რა ცოდვა აწევს ხომ იცი — მაგისი ბრალია მისი ქმრის სიკვდილი. შენ კი — „მუდამ ერთგული იყავი ქალბატონისაო!“ — ეუბნები.

პეტრეს თავი აღარ უმართლებია. დუმილით ჩაიქნია ხელი, მიხურა კარი და ისევ იმ წიგნს ჩაუჯდა.

მრავალი თვის განმავლობაში მთელი თავისუფალი დრო პეტრემ ამ სახელმძღვანელოს შესწავლას შეალია.

ამასობაში რა აღარ მოხდა. ნატალია ნიკოლაევნა ალექსანდრა ნიკოლაევნასა და დეიდა ზაგრიაჟსკაიასთან ერთად გონჩაროვების მამულში გაემგზავრა. დანტესი გაასამართლეს, სალდათად ჩამოაქვეითეს და რუსეთიდან გაასახლეს. ეკატერინა ნიკოლაევნა ერთ ხანს ისევ პეტერბურგში ცხოვრობდა, მერე კი ქმართან გაემგზავრა. წასვლის წინ დებთან შეიარა გამოსამშვიდობებლად. არც დედა ჩამოსულა და არც ძმა ეკატერინა ნიკოლაევნას გასაცილებლად. აშკარა იყო, რომ ოჯახმა ზურგი აქცია მას.

პეტრესა და პაპა სოფრონთან გამოსამშვიდობებლად შემოირბინა ანფისამაც, ცრემლმორეული მოეხვია თვისტომთ, მათთან გამოთხოვებით იგი გამოეთხოვა ილინსკოეს, სამშობლოს. თეთრი ფაშატი გრაფმა სტროგანოვმა ეკატერინა ნიკოლაევნას საქორწინო საჩუქრად უბოძა, მაგრამ პატრონმა ჯერჯერობით იქ დატოვა. ეტყობოდა, არ ჰქონდა მისი თავი.

მალე მესამედ და უკანასკნელად მიიხმო თავისთან ბატონმა პეტრე.

ამჯერად პეტრე გულდამშვიდებული მიდიოდა, რადგან გრაფინია სოფია ვლადიმიროვნა დაჰპირდა, სამუშაოდ ბილიმბაის ქარხანაში გაგგზავნიო. რაც გინდა იყოს, სამშობლოში იმუშავებდა!

სტროგანოვი და ვიღაც შუახნის მელოტი კაცი კაბინეტში იდგნენ. როგორც კი ფეხი შედგა პეტრემ, უცნობმა მაშინვე თავით ფეხამდე თვალიერება დაუწყო ჭაბუკს. პეტრე მიესალმა და კართან შეჩერდა. როგორც ყოველთვის ასეთი შეხვედრების დროს, გული დაუმძიმდა.

— აბა ახლოს მოდი, პეტრე, — უთხრა სტროგანოვმა. — პუშკინების ექიმს სურს გესაუბროს. — გრაფმა დაასახელა ამ კაცის

გვარი, მაგრამ აღელვებულმა პეტრემ ვერ გაიგონა, მან რამდენიძე ნაბიჯი გადადგა და ექიმის წინ შეჩერდა.

— რომელი წამლით მოურჩინე ნატალია ნიკოლაევნას ბავშვების გადიას ეგზემა? თუ საიდუმლოდ გინდა შეინახო, მაშინ ნუ გამიმხელ, მაგრამ ძალზე საინტერესო კია. მე, პროფესორმა, ვერ შევძელი ეს. არ ვიცი და ჩვენი დროის მედიკოსთაგან არც არავინ იცის. ჯერჯერობით ჩვენთვის, სპეციალისტებისათვის, ეს გამოცანაა. მითხრეს, ნაღრძობს ასწორებ თურმე, მეფეებსაც აქრობ. მაგრამ ეს არცთუ ისე საოცარი ამბავია. აი ეგზემა კი...

— ბალახით ვმკურნალობ, ბატონო ექიმო. სხვადასხვა ბალახის ნახარშით. თხუთმეტიოდე თავია. ვერ გეტყვით, რა ჰქვია ამ ბალახებს სწავლულთა წიგნებში. მე ხალხური სახელწოდებები ვიცი მათი, რაც არსად არ არის ჩაწერილი, ვიცი ისე, როგორც გამიგონია მამაჩემისაგან, როგორც პაპაჩემი ეძახდა. ალბათ ისიც გაგაოცებთ, რომ ბალღებს ბნედასაც ვურჩენ — ამასაც ბალახით ვკურნავ.

ექიმმა გაოცებით აჭიმა წარბები. ამ დროს მსახურმა სინით წერილი შემოიტანა. სტროგანოვმა წაიკითხა და სადღაც წასასვლელად აჩქარდა.

— გთხოვ, თავი შინაურულად იგრძნო აქ. მე ცოტა ხნით მივდივარ. საქმე გამომიჩნდა.

სახლის პატრონი გავიდა და ექიმმაც მაშინვე სავარძელზე მიუთითა პეტრეს, მის წინ რომ იდგა.

— გმადლობთ, — უთხრა წამოწითლებულმა პეტრემ. — მე ფეხზე დგომას ვარ ნაჩვევი.

ექიმს არ გამოპარვია, რომ პეტრემ ხაზგასმით წარმოთქვა სიტყვა „ნაჩვევი“.

— დაჯექი, პეტრე. მეუხერხულება ასე შენთან საუბარი.

პეტრე დაჯდა. თავის სიცოცხლეში პირველად ჩაჯდა ბატონების სავარძელში. ჩაჯდა და გაიფიქრა: „თუ ახლა ბატონი შემოვიდა, რა დამამცირებელი იქნება ჩემთვის ამ სავარძლიდან წამოხტომა?!“ მაგრამ წუთის შემდეგ აღარც ბატონი ახსოვდა, აღარც სავარძელი. საინტერესო საუბრით იყო გართული ექიმთან. კითხვებს კითხვებზე აყრიდა, უყვებოდა თავისი წინაპრების ამბებს, თაობიდან თაობაში ყველანი რომ ექიმბაშობდნენ.

— მე ასე მგონია, — ამბობდა გატაცებით პეტრე, — რომ მარტო წამალი როდი ჭრის, უნდა გჯეროდეს კიდეც ამ წამლისა და მკურნალობისა. და თუ ეს ასეა, მაშინ ადამიანი თავად მოახდენს საკუთარ თავზე დიდ სასწაულებს. ჩემივე დაკვირვებიდან ვიცი, რომ ეს ასე არის. რამდენჯერ მიმკურნალია სიტყვიერად, უწამლოდ. თუ სიტყვით დავაჯერე ავადმყოფი, სატკივარსაც ნელ-ნელა ვიმორჩილებ...

პიოტრ იაკოვლევიჩის ეს სიტყვები ზუსტად ამოვიწერე მისი დღიურიდან.

პეტრე მაშინ მიხვდა, რომ თანამოსაუბრეს არ სჯეროდა მისი მოსაზრებისა, მას მხოლოდ წამლის ძალა სწამდა.

ნეტა სცოდნოდა, რომ საუკუნენახევრის შემდეგ მისი რწმენა სიტყვის ძალისა და თვითშთაგონებისა მსოფლიო მედიცინის დიდი ნაწილის დევიზად იქცეოდა!

ძაგონდებოდა პიოტრ იაკოვლევიჩის სიტყვები, როცა მოსკოვის მახლობლად, კლინიკურ სანატორიუმში, ექიმ იულიან პანტელეიმონოვიჩ პომეხანცევის ხელმძღვანელობით აუტოგენურ ვარჯიშს მივყავ ხელი: კუნთების მოდუნებასა და თვითშთაგონებას.

მე ნიჭიერი მოწაფე აღმოვჩნდი. მშვენივრად ვიდუნებდი სხეულს, ხოლო თანდათან ასე თუ ისე საკუთარი განწყობის მართვაც შევძელი, ზოგჯერ ტკივილის მოხსნაც კი, რადგან მძიმე სენით ვარ შეპყრობილი და მხოლოდ ოპერაცია მიშველის. ოპერაციის გაკეთება კი თითქმის შეუძლებელია ჩემთვის, ვინაიდან მედიკამენტოზური ალერგიის მძიმე ფორმა მჭირს და ამიტომ უწამლოდ ვმკურნალობ, მხოლოდ ნემსთერაპიითა და აუტოგენური ვარჯიშით, ანუ სწორედ რომ სიტყვიერად, რისაც ასე სწამდა ჩემს წინაპარს.

ვფიქრობ, მომავალში მკურნალობის ეს მეთოდი, რასაც ახლა ჯერ კიდევ სკეპტიკურად ხვდებიან ბევრი ექიმიცა და ბევრი პაციენტიც, განდევნის წამლებს, ერთ სენს რომ კურნავს და ხშირად სხვა ორგანოს ვნებს.

ჩემი წინაპარი, უკვე ხანშიშესულობაში, თავის დღიურში წერს, რომ ექიმმა ადამიანის მთელი ორგანიზმი უნდა იცოდეს და რომ მას ნამდვილად არასწორად მიაჩნია, როცა ექიმი სპეციალდება

მხოლოდ გულის ან ფილტვების განხრით. „ღმერთმა ნუ ქნას, რომ სრულყოფილად მხოლოდ ერთი ორგანო იცოდეს. რამდენ წამალს გამოუწერს იგი ავადმყოფს, რაც სხვა ორგანოებისთვის დამღუპველი იქნება“.

მეშვიდე თავი

ექიმთან საუბრის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ პუშკინის ოჯახში მოხდა ამბავი, რამაც ჩემს წინაპარს ხელი შეუწყო განეხორციელებინა ერთი, მე ასე მგონია, რომ ყველაზე მთავარი ოცნება.

იგი შეხვდა კაცს, ვისი სახელისა და გვარის გამხელაც, ჩემთვის უცნობი მიზეზით, პეტრემ არ ისურვა.

ეტყობა ექიმმა, ვისაც სტროგანოვებთან შეხვდა პეტრე, და ვინაც ვერ შეძლო ეპილეფსიისგან განეკურნა პეტერბურგის ცნობილი და გავლენიანი თავად №-ის მცირეწლოვანი ვაჟიშვილი, პატიოსნად აღიარა, რომ უძლურია უშველოს ავადმყოფს და პეტრესთან მიასწავლა მის მშობლებს.

თავადმა თავი ისე დაიჭირა, ვითომც არ სჯეროდა უსწავლელი ყმის ცოდნისა, მაგრამ ყველასგან დაფარულად პეტრეს თავისი მსახური — თეთრფერვანი ჭაბუკი მიუგზავნა.

მსახურმა თავადის თხოვნა ბრძანებად აქცია, პეტრეს უთხრა, მის ბრწყინვალებას შაბათ საღამოს შვიდი საათისათვის ეახელი და ეს ამბავი მსახურებსაც დაუმალე და ბატონებსაცაო.

პეტრეს ბევრი რამ გაეგო თავადზე, მის აურაცხელ სიმდიდრეზე, მის სიმკაცრეზე, მის დიდ გავლენაზე მაღალი წრის საზოგადოებაში, მაგრამ ის კი არ იცოდა, თუ რა უბედურება ატყდა თავს ამ ერთი შეხედვით ბედნიერ ოჯახს.

პეტრე ჩაბნელებულ პეტერბურგის ქუჩებს გულშეშფოთებული გაუყვა. ალაყაფის კართან, რომლის სიახლოვესაც ბევრჯერ შეუნელებია ნაბიჯები, რათა დაეთვალიერებია ნატიფი ორნამენტები და იშვიათი ხვეულები, ახლა შეჩერდა, რათა მოეფიქრებინა, თუ რა ეთქვა იმ ადამიანისათვის, ვინც კარს გაუღებდა. მაგრამ მას ისევ ის თეთრფერვანი ჭაბუკი ელოდებოდა. მან თავი დაუქნია

პეტრეს და ხელით ანიშნა, მომყეო. ჭაბუკს თავი ისე ეჭირა, თითქოს ამ სახლში თავადის შემდეგ პირველი კაცი ის იყო.

ოთხკუთხა თანატოლი ქვებით მოკირწყლული დიდებული გზით, ორივე მხრივ რომ ევლებოდა ტანმორჩილი, კენწეროებდათოვლილი ნაძვები, რომლებსაც ზოლა-ზოლად მოუყვებოდა თანაბრად შემოკვერცხილი, თოვლით გადათეთრებული ბუჩქები, თეთრფერვანმა ჭაბუკმა პეტრე სასახლეში მიიყვანა. მთავარი შესასვლელიდან ისინი გვერდით კიბეს აუყვნენ. ავიდნენ. მსახურმა პეტრე მომცრო ოთახში შეიყვანა და უბრძანა, ზედა სამოსი გაიხადე და დაველოდეო.

პეტრემ გაიხადა ჯერ კიდევ პეტერბურგში ნაყიდი მსუბუქი კურტაკი, მოიძრო ქუდი, ხელისგულით გადაისწორა ურჩი, ხშირი ქოჩორი და დაელოდა, თან წინასწარ ჩურჩულით უბრძანა თავს: „მშვიდად იყავ. მშვიდად. მშვიდად. სრულიად მშვიდად. მე უკვე დავმშვიდდი“.

და მან მართლაც იგრძნო, რომ დაეუფლა ჩვეული სიმშვიდე, რაც მის სულს ამ სიტყვებმა ჩააგონა.

თეთრფერვანი ჭაბუკი თვალისწამში ისევ გამოჩნდა, რატომღაც ახლა უფრო თავაზიანი და ნაკლებ თავდაჯერებული ჩანდა.

— თავადი გიხმობთ, — უთხრა თითქმის თხოვნით, მერე ხელისგული პეტრეს ზურგზე მიადო და ჩასჩურჩულა: — ნუ ღელავ, მშვიდად იყავი, მშვიდად, ყმაწვილო.

— მშვიდადა ვარ, — უთხრა პეტრემ და დერეფნის გაკრიალებულ ფერად-ფერად პარკეტს გაუყვა, თან კედლებზე ჩამოკიდებულ ძვირფას, მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმულ სურათებს მისჩერებოდა:

დერეფანმა მიიყვანა დიდ ოთახში, რომლის იატაკზე ვეება ნოხი იყო გაფენილი, ხოლო კედლებს ოვალური პორტრეტები ამშვენებდა. საოცრად ვეება ბროლის ჭაღი ეშვებოდა მოხატული ჭერიდან და სავარძელში მჯდომ თავადს ანათებდა. მას საშინაო ხალათი ეცვა და ხელში წიგნი ეჭირა.

ბატონების ცნობისმოყვარე მზერას პეტრე ნაჩვევი იყო, მაგრამ ამ თავადის შემოხედვაში მხოლოდ ცნობისმოყვარეობა როდი გამოსჭვიოდა. მასში რაღაც თავგანწირულის იმედიც იგრძნობო-

და, რაც არ გამოეპარა პეტრეს, რომელმაც ჩვეულებრივ დაუკრა თავი პატრონს და კართან შეჩერდა.

თავადმა ხელით ანიშნა მსახურს და ისიც უხმაუროდ გაქრა.

— ახლოს მოიწი, — გულთბილად უთხრა თავადმა.

პეტრე ახლოს მივიდა.

— მე ბევრი რამ გამიგონია შენსა, პეტრე. და ზედმეტ კითხვებს აღარ დაგისვამ. ერთი რამ უნდა შეგეკითხო მხოლოდ: ექვსი წლის ვაჟი მყავს, რომელსაც დაბადებითვე სპირს მძიმე სენი. ხალხში ამ სენს ბნელას ეძახიან, სამედიცინო წიგნებში — ეპილეფსიას. იცნობ ამ ავადმყოფობას?

— ვიცნობ, თქვენო ბრწყინვალებავ.

— შეგიძლია მოჰირჩინო შვილი?

— ამაზე პასუხი რომ გაგცეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენი ვაჟი უნდა ვნახო.

— უნდა გასინჯო?

— არა არ გავსინჯავ. მჯერა, რომ ავადმყოფობა სწორად არის ამოცნობილი. ეს ისეთი სენია, სხვაში არ აგერევა. მაგრამ ჩემთვის საჭიროა... არ ვიცი, როგორ აგიხსნათ... სულიერი სიახლოვე უნდა ვიგრძნო თქვენს ვაჟთან... უნდა გავიგო ჩემდამი მისი განწყობილება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

თავადმა მაგიდიდან ზარი აიღო. ვერცხლის პატარა ენამ მელოდიურად ააჟღერა ზარის ვერცხლის კედელი.

გაიღო გვერდითი კარი და ლივრეაჩაცმული, კეთილსახიანი სქელი კაცი გამოჩნდა, ჭაღარა, მეჩხერი ბაკენბარდები რომ ჰქონდა და მქრქალი ცისფერი, ბებრული თვალები.

— მოიყვანეთ ახალგაზრდა თავადი.

სქელმა კაცმა თავი დაუკრა და უკან-უკან დახევით მიეფარა კარს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოთახში შემოვიდა გამხდარი, ლამაზსახიანი, ფერმკრთალი ბიჭუნა, რომელსაც ფიქრიანი, შავი არაბავშვურად სერიოზული, ის კი არა და, მკაცრი თვალებიც კი ჰქონდა. მან ფრანგულად რაღაც უთხრა მამას და ყურადღებით შეხედა პეტრეს.

თავადმა ბავშვი თავისკენ მიიზიდა და ქერა თავზე აკოცა.

ბიჭუნა უცებ გამოუსხლტა მამას ხელებიდან და თამამად მივი-

და პეტრესთან. იგი შეჩერდა მის სიახლოვეს და თვალებდაჭყეტილი კარგა ხანს ჩასჩერებოდა სახეში, ისე დიდხანს, როგორც ეს ბავშვებმა იციან, მერე კი რუსულად ჰკითხა (ეტყობა მიხვდა, რომ ბატონთან კი არა, მსახურთან ჰქონდა საქმე, ვისაც ფრანგულად არ ელაპარაკებიან ხოლმე).

— რა გქვია? ჩემთან მოხვედი?

პეტრემ არ იცოდა, რა ეთქვა, ვინა ვარო. სოფლელ ბავშვს ეტყოდა — ძია პეტია ვარო. აქ კი არ ივარგებდა ამის თქმა.

— მე პეტრე მქვია.

— ჩემს ოთახში წმინდა პეტრეს ხატი ჰკიდია, — ფიქრიანად თქვა ბიჭუნამ.

არც მამამისს გაღიმებია, არც პეტრეს.

პეტრე ისევ გასაჭირში იყო — არ იცოდა, როგორ მიემართა ბიჭუნასათვის, აქ ხომ ბალღობიდანვე ამ ბიჭს სულელურად — „თქვენო ბრწყინვალებაო“, ასე მიმართავდნენ.

— თქვენ რაღა გქვიათ, თქვენო ბრწყინვალებავ?

— მე ალიჩკა მქვია. „ბრწყინვალება“ არ არის საჭირო, უბრალოდ, ალიჩკა დამიძახე. კარგი? შენ მე ძალზე, ძალზე მომეწონე. წმინდა პეტრეს ხატს გამსგავსებ. აი, იმ სავარძელში ჩაჯექი, მე კი მუხლებზე დაგიჯდები, ხომ?

პეტრემ კითხვით შეხედა თავადს. მან თავი დაუქნია. ეტყობოდა, უხაროდა ეს წამიერი კონტაქტი თავისი ვაჟისა პეტრესთან, როგორც ჩანს, სწორედ ეს ესაჭიროებოდა ამ უცნაურ მკურნალს.

პეტრე ბაცი ფერის აბრეშუმის სავარძელში ჩაჯდა და სიამოვნებით დაისვა მუხლებზე ბიჭუნა, გული ეტკინა, ისეთი მსუბუქი იყო ბავშვი.

— იცი, პეტრე, — გულმინდობილად უთხრა ალიჩკამ, — მე ავადა ვარ. ამიტომაც განვსხვავდები ჩემი ამხანაგებისაგან. უცებ გონს ვკარგავ ხოლმე, მერე კი ისე ძალიან მტკივდება თავი... და იცი, მე ყველანი მებრალებიან — კატებიც, ძაღლებიც, ჩვენი მსახურებიც...

— ხომ იცით, თქვენო ბრწყინვალებავ, — პეტრეს გადაავიწყდა კიდეც თავადის იქ ყოფნა, ბიჭუნა მოშორებით გასწია და ჩახედა ტანჯულ თვალებში, ი მ ი ს თვალებს რომ აგონებდა, თან მტკიცედ და მბრძანებლურად უთხრა, — მე სწორედ თქვენს მოსარჩენად

მოვედი. ბევრი მომირჩენია თქვენისთანა. მხოლოდ ის წამლები უნდა სვა, რომელსაც მე მოგცემ.

— მეც ასე ვიფიქრე, ჩემს მოსარჩენად მოვიდა-მეთქი. იმ-წამსვე ასე ვიფიქრე! — მხიარულად გაიცინა ალიჩკამ, ტაში შე-მოჰკრა და პეტრეს მუხლებიდან ჩამოხტა. — დავლევ შენს წამლებს, ძალიან მწარეც რომ იყვეს, მაინც დავლევ. მალე მომარჩენ, ხომ?

— მალე! — კვლავ მტკიცედ უთხრა პეტრემ და ბიჭუნას თავ-ზე ხელი გადაუსვა. — სულ მალე სხვა ბიჭუნებივით ჯანსაღი იქ-ნებით. — პეტრეს ხმაში უფლებამოსილება შეეპარა. — თავი აღარ აგტკივდებათ. არც ისეთი რამ მოხდება, რომ გონება გამოგეთი-შოთ. ყველაფერი გაგივლით, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ სრუ-ლიად, სრულიად ჯანსაღი გახდებით — ხომ გჯერათ ჩემი? — თავად კი გულისტკენით გაიფიქრა, საჭირო ბალახები ცოტაღა შემომრჩა, შოვნა კი მათი მხოლოდ ილინსკოეში შემიძლია და საამისოდ დრო დამჭეკარგებაო.

— მე ძალიან მჯერა შენი, პეტრე. ვიცი, რომ მომარჩენ. მხო-ლოდ, აჩქარდი!

თავადი გაოცებული უყურებდა, რაც იმის წინ ხდებოდა და თავადაც ირწმუნა ამ ჭაბუკი ჯადოქრისა, ვაჟიშვილის მორჩენას რომ დაჰპირდა.

— ახლა კი წადით და ითამაშეთ, — უჩურჩულა ყურში ბიჭუ-ნას პეტრემ, — მე კი მის ბრწყინვალებას უნდა მოველაპარაკო.

ალიჩკას სულაც არ უნდოდა წასვლა და მანამ არ გავიდა მამის ოთახიდან, სანამ პეტრეს პატიოსანი სიტყვა არ ჩამოართვა, რომ ხვალ მოვიდოდა და წამალს მოუტანდა, მერე კი ერთად იციგავებ-დნენ გორაკზე.

მეორე დღეს, განთიადისას, თავადის გაგზავნილი კაცი საუკე-თესო ცხენზე იჯდა და ილინსკოესაკენ მიქროდა პეტრეს წერილით, რათა მისი ნათესავებისათვის ბალახები გამოერთმია.

ხოლო პეტრეს წასვლისას თავადმა ფული გაუწოდა და უთხრა:

— ჯერჯერობით ეს გქონდეს. თუ ბიჭუნას მომირჩენ, იცოდე, ოქროებში ჩაგსვამ. ხომ გესმის, ოქროებში ჩაგსვამ-მეთქი!

პეტრემ ხელები ზურგს უკან წაიღო და თავადს ფოლადისებრი მტკიცე ხმით უთხრა:

— გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალებავ. მაგრამ მე ხომ ექიმი

არა ვარ. ხალხურ მედიცინაში კი ერთი დიდებული მცნება არსებობს: თუ მკურნალობაში ფული აიღე, ავადმყოფს წამალი არ არგებსო.

თავადმა ხელი დაუშვა. რისხვამ და წყენამ გაუელვა სახეზე.

— მერე ხომ აიღებ, ავადმყოფს რომ მოარჩენ? — ჰკითხა მან. — და წამლობა რომ აღარ დასჭირდება?

— მაშინ... მაშინ ვნახოთ, — მიუგო პეტრემ. — გასამრჯელოდ თქვენი ვაჟის მორჩენაც მეყოფა.

თავადმა მზერა აარიდა პეტრეს. ეტყობოდა, დაუვიწყარი გაკვეთილი მიიღო, რადგან მიხვდა, რომ ფულით ყველაფერს ვერ იყიდი, რომ ღარიბი ყმისათვის, ვინც თავისდღეში ადამიანად არ მიუჩნევია, დიდი ფულის ქონა სულაც არ არის მისი თავიდათავი სურვილი.

განა საოცარი არ იყო, რომ ჭაბუკი უარს ამბობდა ფულზე, რაც მას საშუალო შეძლების კაცად აქცევდა? თავადს ეს დაუჯერებელ ამბად ეჩვენებოდა და გონს ვერ მოსულიყო, რადგან ცხოვრებაში ჯერაც არ შეხვედროდა ასეთ რამეს.

— კეთილი, — უთხრა თავადმა, — პატივი ვცეთ ხალხურ სიბრძნეს. შენი შრომის საფასურის გადახდა გადავდოთ. მაგრამ გიმეორებ: თუ ვაჟიშვილს მომირჩენ — არაფერს დავიშურებ შენთვის. კარგად დაიხსომე ეს. თავადი თავის სიტყვას ქარს როდი ატანს.

ილინსკოეში თავადის ფორანი პერმის სტროგანოვთა განუყოფელი ადგილ-მამულის სამმართველოს წინ შეჩერდა.

ფორნიდან ნათელთვალება, უწარბო ჭაბუკი გადმოვიდა, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულის ცივი დღე იდგა, მსუბუქად და მოდურად ეცვა. გამვლელები მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს კაცი ქალაქელი იყო და სანამ იგი კიბის საფეხურებს მიუყვებოდა, სვეტებთან ჩერდებოდნენ და კარამდე თვალით აცილებდნენ. მაშინ კი, როცა ახლადმოსული სამმართველოში შევიდა, ერთ ხანს დადგნენ და იმის განსჯას შეუდგნენ, რასაც ამ კაცის დანახვისთანავე მიხვდნენ — ეს კაცი პერმიდან არ არის, იგი ან მოსკოვიდანაა ან ლენინგრადიდან. არც ფორანია პერმისაო.

ილინსკოელები კიდევ დიდხანს იდგებოდნენ ამ ახალი ამბის განსჯით გართულები, რომ ამ დროს არ გამოჩენილიყო სამმართვე-

ლოსაკენ მედიდურად მომავალი სამემკვიდრეო მამულის წევრი პიშჩალკინი, ვის ხელშიც იყო გლეხთა ყველა თხოვნის გადაწყვეტა, გლეხებისაგან ფულადი და პურეულის გადასახადების შეგროვების ცნობებისა და გვარ-სახელის სააღრიცხვო ამონაწერების გადასინჯვა.

— აბა, რას შექუჩულხართ... — ის იყო დაიწყო პიშჩალკინმა, მაგრამ ამ დროს უცხო ფორანი დაინახა და ხელი ჩაიქნია. — დაიშალენით!

თავად კი ცნობისმოყვარეობა ვეღარ დაიოკა და წაღების პაკაპუკით აუყვა კიბეს.

ილიას შეეგება ვიღაც ლამაზი, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ქალი, სულაც არასოფლური აღნაგობისა. ნაწნავებიც ჩვეულებრივი გლეხი ქალივით კი არა გაეშვა, გვირგვინივით შემოეხვია თავზე, თმაზე მოლურჯო ელფერი გადაჰკრავდა. ილია შეცბუნდა, იფიქრა, სხვაგან ხომ არ მოვხვდიო, ქალბატონის ღირსად მიესალმა ქალს და ჰკითხა:

— კუზნეცოვები სად ცხოვრობენ?

— თქვენ ვინ გნებავთ? — ჰკითხა ქალმა.

— პეტრე კუზნეცოვის ახლობელი ვინმე.

— მე იმისი დედა ვარ.

ილიამ ქალის თვალებში ახლა კი შენიშნა შეშფოთება.

— მე პეტერბურგიდან ვარ. პეტრემ გამომგზავნა. აი, მისი წერილიც.

ქალმა გამოართვა წერილი და სწორედ რომ ქალაქელი ქალივით შეიპატიჟა შინ.

ილიამ გაიარა წინა კარი, ფართო სამზარეულო, სადაც ვიღაც ბერიკაცი, ღუმელიდან ჭაღარა თავი რომ ჩამოეკიდა, თავაზიანად მიესალმა სტუმარს. მერე ილია შევიდა ფაქიზად მოწყობილ ოთახში, სადაც იდგა ფართო საწოლი, ზედ აკოკოლავებული ფუმფულა ბალიშებით. საწოლს გარდა შიგა ოთახში იდგა მაგიდა, რომელზედაც სელის სუფრა ეფარა. ოთახს ფანჯრებზე ქოთნებით შედგმული, სათუთად მოვლილი, გადაფურჩქვნილი ყვავილები ამშვენებდა.

— მამა, წერილია პეტრუშკასაგან. კარგად ვცხოვრობო, იწერება. ბალახები გამომიგზავნეთო, ვიღაცისთვის სჭირდება ბნედის

მოსარჩენად, — ხმამაღლა თქვა ქალმა, კარისაკენ პირმიბრუნებულმა — ჰო, დაუყოვნებლივ უნდა მოვაგროვოთ ბალახი, კიდევ იმასაც იწერება, არავის უთხრათო, რომ ეს წერილი მიიღეთო და რომ ბალახები გამომიგზავნეთო. ისე კი კარგად ცხოვრობს თურმე. იმედოვნებს, რომ წელს ჩამოვა.

— ჰოდა, რა, გავუგზავნოთ ჩვენც ბალახები. საღამოთი ბალღები მოვლენ და მოვაკრეფინოთ. როდის ბრუნდები უკან, კეთილო კაცო?

— ხვალ განთიადისას, — უთხრა ილიამ, ადგა და სამზარეულოში გავიდა.

— ჩამოჯექი, ჩემო, მერხზე, — გულთბილად მიიპატიჟა ბერიკაცმა.

მერე მოყვა და დააყარა კითხვები შვილიშვილზე. როგორ არისო და რასა იქმსო? ილიას კი მხოლოდ ოთხიოდჯერ თუ მოეკრა თვალი მისთვის. ინანა ჭაბუკმა საკუთარი ქედმაღლობა პეტრესადმი. დიდი რამე, თუ თვითონ თავადს ემსახურებოდა. აგე, თავადს პეტრე დასჭირდა. დედამისი კი ქალბატონს ჰგავს და კითხვაც იცის...

პეტერბურგში რომ დაბრუნდა, ილიამ სულ სხვა თვალით დაუწყო ყურება პეტრეს.

— ასეთი ხალხი საიდან მოხვდა სოფელში? — ჰკითხა პეტრეს მისი მშობლებით გულწრფელად გაოცებულმა.

ილია მიხვდა, რომ პეტრეს მასზე გაცილებით მეტი ცოდნა ჰქონდა და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისევე ემსახურებოდა გრაფ სტროგანოვს, როგორც თვითონ — თავადს, მაინც ახერხებდა, თავისი საკუთარი, განსხვავებული ცხოვრებით ეცხოვრა.

— მოდი, პეტრე, დავმეგობრდეთ მე და შენ! — უთხრა ილიამ ერთხელ, თავადის სახლთან რომ შეხვდა.

— დავმეგობრდეთო? — გაოცებით შეუბრუნა კითხვა პეტრემ. — განა გონების განსჯით შეიძლება დამეგობრება? მეგობრობა თავად უნდა აღმოცენდეს...

— მაშ. უარს მეუბნები? — წყენით ჰკითხა ილიამ — თუ უჩემოდაც ბევრი გყავს ამხანაგი?

— ამხანაგები არა მყავს, — არც მეგობრობაზე გეუბნები უარს,

მაგრამ შენ ნუ ჩქარობ. მეგობრობა თავად უნდა აღმოცენდეს-მეთქი, წინასწარ შეუთანხმებლად. მე ძალიან მსურს ასეთი მეგობრობა. ხომ გამიგე?

— გაგიგე! — ისევ წყენით მიუგო ილიამ, რადგან მაინც ვერაფერი გაიგო, მაგრამ ამის მეტად აღარ დადარაჯებია პეტრეს.

მალე გრაფინია სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვამ აღასრულა მიცემული სიტყვა, პეტრეს ნება დართეს, გამგზავრებულიყო ილინსკოეში, მოურავის განკარგულებაში, რომელსაც მისი ბილიმბაის ქარხანაში გაგზავნა ჰქონდა განზრახული.

...ერთი წლის პეტერბურგში ყოფნის შემდეგ პეტრე შინ ბრუნდებოდა. სოფრონმა წყვილი ცხენი გარეკა და ფორანი ნჯღრევა-ნჯღრევით გაუყვა გაზაფხულის ატალახებულ გზას, გადიოდა ღრმა ნაურმალებზე, ხრამებსა და გუბურებზე, როცა სოფრონი ტყით იმოკლებდა შემოსავლელ მანძილს, ცხენები შარშანდელ ნოტიო ბალახზე, ხეებსა და ძირკვებს შორის დიდი გაჭირვებით მიათრევდნენ ფორანს.

იმ პირველ გზობაზე პეტრე ერთთავად ილინსკოეს იგონებდა. ახლა კი პეტერბურგი იყო მისი საფიქრალი. ერთი წელიწადი! რამდენი მღელვარება მოუტანა მან ჭაბუკს! პეტრე არა მარტო მოწიფულად გრძნობდა უკვე თავს, მან ბევრი რამაც გაიგო ამ ერთ წელიწადში. ნახა ბატონები, ვისაც ნაამბობითა და წიგნებით იცნობდა მხოლოდ. ჭაბუკი თვალყურს ადევნებდა მათ ცხოვრებას. გრაფ სტროგანოვის ცხოვრება მან საკმაოდ ახლოს გაიცნო პირადადაც და მსახურთა ნაამბობითაც.

უცებ პეტრეს მოაგონდა ნევისა და მოიკას სანაპიროს კუთხეში მდგარი სტროგანოვთა სახლი, ასე რომ აღაფრთოვანებდა ხოლმე მას. ეს სახლი ჯერ კიდევ 1752—1754 წლებში ააშენა ბარონ სერგეი გრიგორევიჩ სტროგანოვმა. სახლი აუშენებია სახელგანთქმულ რასტრელლის. პეტრე ნამყოფი იყო ამ სახლში, აღფრთოვანებულს დაუთვალიერებია სურათების გალერეა. ყოფილა ვიბორგის მხარესაც, შავ მდინარეზე, სტროგანოვთა საზაფხულო აგარაკზე.

ბევრი სტროგანოვი ცხოვრობდა მოსკოვსა და პეტერბურგში! ტყუილად კი არ იყო, რომ მაღალი საზოგადოებიდან კარგა დაშორებით მათ გვარტომობას ძმები ვოლეგოვები იკვლევდნენ. მაგრამ პეტრემ ახლა უიმათოდაც ბევრი რამ იცოდა. მაგალითად, იცო-

და, რომ 1781 წელს მისი უმაღლესობის ნება-სურვილით გრაფმა ალექსანდრ სერგეევიჩ სტროგანოვმა იმოგზაურა პერმში, რათა გაეხსნა გუბერნია, რაც ასრულდა კიდეც 1781 წლის 18 ოქტომბერს.

გრაფმა იმოგზაურა თავის პერმის მამულში, ხოლო მას თან ახლდა მცირეწლოვანი ვაჟიშვილი, პაველ ალექსანდროვიჩი, ამ მამულის მომავალი მეპატრონე.

გრაფი ალექსანდრ სერგეევიჩი ყაზანის ტაძრის აგებისას პეტერბურგში იმყოფებოდა, როგორც თავმჯდომარე საგანგებო დამფუძნებელი კომისიისა. ტაძრის ამშენებელი კი იყო მისი გამოზრდილი შინაყმა ანდრეი ნიკიფოროვიჩ ვორონიხინი.

გრაფ ალექსანდრ სერგეევიჩის ვაჟი, პაველ ალექსანდროვიჩი, მამის ნება-სურვილით ოთხ წელიწადს მოგზაურობდა საზღვარგარეთ, მასთან ერთად იყვნენ მასწავლებელი, ფრანგი რომი და ანდრეი ვორონიხინი, სწორედ ის, ვინც მერე ყაზანის ტაძარი აღაშენა.

გრაფი პაველ ალექსანდროვიჩი, გრაფინია სოფია ვლადიმეროვნას ქმარი, ახლოს იყო სამეფო კართან. ერთ ხანს პეტერგოფის სასახლეშიც ცხოვრობდა. იმპერატორისაგან ბევრი სხვა ჯილდოს გარდა ორიგინალური საჩუქარიც ჰქონდა — იახტა, თორმეტი მატროსითა და ერთი უნტერ-ოფიცრით, რომლებიც იახტაზე ყოფნის დროს მოქმედ სამსახურში ითვლებოდნენ. იახტა ზღვაზე იდგა, ქალაქგარეთა სახლის წინ, ვიბორგის მხარეს, აგარაკზე. პეტრეს ნანახი ჰქონდა ეს იახტა.

პეტრეს გრაფინია სოფია ვლადიმიროვნაც უნახავს, რომელსაც „დიდადგანათლებულ ადამიანს“, „შესანიშნავ რუს ქალს“ ეძახდნენ, სხვაგვარად არ იხსენიებდნენ. მართლაც რომ იშვიათი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი იყო. ქმრის სიკვდილის შემდეგ ოცდარვა წელიწადი დამოუკიდებლად განაგებდა პერმის ადგილ-მამულს და ყმების ცხოვრების გასაუმჯობესებლად ბევრი სიახლეც დაწერგა.

გრაფინია სოფია ვლადიმიროვნას გარდა პეტრეს ბევრჯერ ჰყავდა ნანახი მისი ქალიშვილიც, ნატალია პავლოვნა, სწორედ ის გრაფინია, ვინც 1818 წელს ცოლად გაჰყვა თავის ბიძაშვილს სერგეი სტროგანოვს და ვისი სახელიც სამუდამოდ შემორჩა პეტრეს „აზა-

ტობის“ ქაღალდს, რაც უკვე ამ ქალის ხელით მიიღო. ქერათმიანი გრაფინია, ყმაწვილ ქალს რომ ჰგავდა, რაღაცნაირი, თითქოს არაბუნებრივი არსება იყო, რუსული არ ეხერხებოდა, შესამჩნევი ფრანგული აქცენტითა და განხრახ ენამოჩლექით ლაპარაკობდა. პეტრეს აღიზიანებდა ეს ქალი.

სახელოვანი სტროგანოვები, 1558 წ. მდ. კამისა, ჩუსოვისა და მათი შენაკადების მიდამოების ვრცელი მიწებით რომ დაასაჩუქრეს, თავიანთ სამემკვიდრო მამულებში დამოუკიდებლები იყვნენ როგორც ფეოდალური ბარონები, არავითარ სასამართლოს არ ემორჩილებოდნენ, გარდა ხელმწიფის პირადი სამსჯავროსი.

სტროგანოვების სახელოვანი ადამიანები პერმის მიწების მეტად საქმიანი კოლონიზატორები იყვნენ და, როგორც ამ ნაბოძები მიწების მფლობელები, მოსკოვის ხელისუფლებას ციმბირის მიწების დაპყრობაში აშველებდნენ ხელს.

შემთხვევით არ მომხდარა, რომ ბარონ ნიკოლაი გრიგორიევიჩ სტროგანოვის (1700 წ.) ნათლია პეტრე დიდი იყო. ხოლო ყრმის მამამ, გრიგორი დმიტრიევიჩ სტროგანოვმა პეტრე პირველს ორი სამხედრო ფრეგატი შესწირა, რომელიც საკუთარი სახსრებით ააგო და შეიარაღა. ამის სამაგიეროდ დიდმა ნათლიამ 1702 წლის 2 მაისს თავის ნათლულს და მის შთამომავალთ სამუდამო სამფლობელოდ უბოძა დიდი პერმის მდინარეები — ობვი, ინოვი, კოსვი იქ მცხოვრები პერმელებით, სულ 14003 სულით.

მოღვაწენი, მდიდარნი და პატივცემული ხალხი იყო ახლანდელი გრაფი სტროგანოვებიც. ეს თავისი თვალით დაინახა პეტრემ.

პეტრე ასე თუ ისე დები გონჩაროვების ცხოვრებასაც გაეცნო, თუმცა ბევრი ვერაფერი გაიგო. შეეძლო, ყოვლისმცოდნე მსახურებისათვის გამოეკითხა მათი ამბავი, მაგრამ არც გამოკითხვა სურდა და არც იმის მოსმენა, რასაც ისინი გონჩაროვებზე ჰყვებოდნენ. ამაში მისი სულიერი საიდუმლო იმარხებოდა. — ტრაგიკულად მშვენიერი, უნჯი და უიმედო გრძნობა. პეტრეს ეჩვენებოდა, რომ ნატალია ნიკოლაევნასთვის სიხარულით გასწირავდა სიცოცხლეს.

პეტერბურგში პეტრემ ერთი სხვა ბატონიც გაიცნო. გონჩაროვებიცა და სტროგანოვებიც უმაღლეს საზოგადოებაში არარას წარმოადგენდნენ თავად №-თან შედარებით. ეს კაცი დიდ უფლებასაც

ფლობდა და აურაცხელ სიმდიდრესაც. ჰოდა, სწორედ ასეთ კაცს შეახვედრა ბედმა პეტრე, თანაც, რა საოცარია, რომ თავადი იძულებული გახდა, სტროგანოვების შინაყმისათვის ეთხოვა უდიდესი სამსახური — შვილის ავი სენისაგან განკურნება. მაგრამ თავადი ჭკვიანი კაცი იყო — ხელად მიუჩინა ყველაფერს თავისი ადგილი, და პეტრეც მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის გასამრჯელოზე უარი თქვა, მაინც თავადზე შეიქნა დამოკიდებული.

ერთხელ პეტრე ალიჩკასთან ერთად სეირნობდა პატარა პარკში, თავადის სასახლეს რომ ეკრა. იგი თან ბურთს ეთამაშებოდა ბიჭუნას, თან მისგან ისმენდა იმ ერთ კვირაში მომხდარ ახალ ამბებს, რაც ერთმანეთი არ ენახათ, და თანაც რაც მთავარია, ცდილობდა, წამლის ძალაში დაერწმუნებინა იგი, — პეტრეს ხომ, შეიძლება, სულ მალე დაეტოვებინა პეტერბურგი და ალიკას მძიმე დაავადებას მხოლოდ ბალახებითღა უმკურნალებდნენ.

მეორე თვე იყო, რაც ბიჭუნა ბალახების ნახარშს სვამდა. პირველ ორ კვირას ავადმყოფობა უფრო მეტად მოერია. ყოველდღე შეტევები ტანჯავდა და განრისხებულმა თავადმა სასწრაფოდ იხმო პეტრე.

მან ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეცემა პეტრე და კბილებში გამოსცრა:

— ბიჭი უარესადაა. არ დაგავიწყდეს, რომ პასუხისმგებელი შენა ხარ.

— თქვენო ბრწყინვალებავ! — მიმართა პეტრემ და ენაზე ძლივს დაიჭირა სათქმელი: „თქვენც ნუღა მისცემთ ჩემს წამალს. რაკი არ გჯერათ მისი, რაღას მეძახით! შევწყვიტოთ წამლობა და მეც მოვისვენებ!“ — თქვენო ბრწყინვალებავ, ბალახები თანდათან, წლების განმავლობაში კურნავენ ავადმყოფს. პირველად უარესობა იცის, მაგრამ ეს სულაც არ არის საშიში. თქვენს ბიჭს მე უვნებელი ბალახებით ვწამლობ. ჯერ მისგან არავის არაფერი დამართნია ცუდი.

მაგრამ მხოლოდ ალიჩკამ დაარწმუნა თავადი. მან მამას უთხრა:

— მე მინდა, რომ ეს ბალახების ნახარშები ვსვა. ვიცი, რომ მომარჩენს. მჯერა, რადგან პეტრეს ძალიან უნდა ჩემი განკურნება.

თავადმაც მოცდა გადაწყვიტა. ორი კვირა კიდევ რომ გავიდა, ბავშვს შეტევებმა უკლო. მალე კი მთლად შეუწყდა.

ბოლო შეხვედრის წინ თავადმა პეტრეს უთხრა:

— მაშ, მიემგზავრები, ხომ? თუ გინდა, მოველაპარაკები გრაფინიას! ჩემს ვაჟს ძალიან მოსწონხარ და მეც მინდა, რომ ერთავად მასთან იყო.

„თავის შინაყმად უნდა მაქციოს!" — წყენით გაიფიქრა პეტრემ. რატომ სხვა აზრი არ დაებადა იმ კაცს თავში, ვინც კუბოს კარამდე დავალებული იყო პეტრესაგან? რატომ არ დაებადა აზრი, რომ თავისუფალ ადამიანად ექცია ეს კაცი და მერეღა შეეთავაზებინა თავისთან სამსახური?

არა, ამ ფიქრს არც გაუელვებია თავადის გონებაში!

— რაო, არა გსურს, განა? — ჰკითხა ქირდვით პეტრეს.

— თქვენო ბრწყინვალებავ! ნუ წამართმევთ ერთადერთ სიხარულს, — თვალები დახარა პეტრემ, — ილინსკოეში მყავს ჩემიანები, ჩემმა ბალღობამაც იქ გაიარა...

— ჰო, თუ არ გინდა, არ გაძალებ, — საჩქაროდ დაეთანხმა თავადი. — გაემგზავრე.

თავადსა და მის ვაჟთან გამოთხოვებაც ბევრჯერ მოაგონდა პეტრეს. ეს ამბავი უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ბიჭუნა ძალზე მიეთვისა პეტრეს და ასევე პეტრეც მას, ამიტომაც იძულებულები გახდნენ, დაემალათ ბალღისთვის, რომ ისინი უკანასკნელად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

— იცი, პეტრე, — ჩვეული არაბავშური სერიოზულობით მიმართა ალიჩკამ, — ასე მგონია, უკვე მთლად მომარჩინე. მეტად აღარ მექნება ეს ავადმყოფობა. აღარასოდეს აღარ გამიმეორებს. ხომ გიხარია?

— ძალიან მიხარია, თქვენო ბრწყინვალებავ. მეც ნამდვილად მჯერა, რომ თქვენი სენი უკვალოდ გაქრება.

— ხომ მალე მოხვალ ისევ ჩემთან? — შეშფოთდა უცებ ბავშვი, თითქოს წინასწარ იგრძნო განშორება.

— მალე მოვალ. თუმცა უჩემოდაც უნდა გწამდეთ, რომ სენმა მთლად გაგიარათ. მაგრამ ბალახის ნახარშები მაინც სვით ხოლმე.

ბიჭუნა რომ წავიდა, პეტრემ თავი დაუკრა თავადს და უთხრა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, მე გთხოვთ, როგორმე გამაგებინოთ ხოლმე, როგორ იქნება თქვენი ვაჟი.

— დარწმუნებული იყავი, როცა გამოჯანსაღდება და ანგარიშსწორების დრო დადგება, უეჭველად გაგაგებინებ, — ჩაიცინა თავადმა.

— ფულზე როდია საქმე, თქვენო ბრწყინვალებავ! — წამოენთო პეტრე. — მე ის მინდა, ვიცოდე, როგორ იქნება თქვენი ვაჟი. უკვე გითხარით, რომ მისი გამოჯანმრთელება საუკეთესო ჯილდოა ჩემთვის. გარდა ამისა, მწამს, რომ ჩემი სურვილი, განვკურნო იგი, გადმოეცემა მას ამ ვეება მანძილზე, ილინსკოედან პეტერბურგამდე. ჩემი ქოხიდან თქვენს სასახლემდე. ამიტომ იყო, რომ წამლობის დაწყების პირველსავე დღეს დამჭირდა მძინარე ბიჭუნას დავკვირვებოდი, რათა საწოლში მწოლიარე წარმომედგინა იგი და ჩემი დარიგებები ღამითაც გადმომეცა. მე ხომ ამას ყოველ საღამოს ვაკეთებ, მას მერე, რაც ბიჭუნას წამლობას მოვკიდე ხელი. ესეც მკურნალობაში შედის. ახლა კიდევ დროის განსხვავებაც უნდა ვიანგარიშოთ.

თავადმა ყურადღებით შეხედა პეტრეს და ამ მზერით სახეზე აშკარად გამოეხატა ფიქრიც: — „ან ჯადოქარია ეს კაცი, ან სალოსი“.

— ჰო, შენ რომ ჩემს ვაჟს მკურნალობ, იცოდე, პეტრე, არავინ არ უნდა გაიგოს.

— ამას ვერავინ გაიგებს, — უთხრა პეტრემ. — თორემ წამლობა არ გასჭრის.

პეტრემ თავი დაუკრა თავადს და ჭარხალივით სახეწამოწითლებული გამოვიდა. ეს იყო სულ მისი სამადლობელი! როგორმე არავის არ უნდა გაეგო, რომ მის ბრწყინვალებას შინაყმის წამლობა არ შეეზიზღა! ოჰ, ადამიანო, რა ყრუ და ბრმა ხარ! როგორ თავადვე სძარცვავ საკუთარ თავს და შენს ისედაც მოკლე ცხოვრებას ამ დედამიწაზე წვრილმანსა და მოსაწყენს ხდი! არა, იქ, ილინსკოეში, უფლებაწართმეული ხალხი უფრო ლაღად, უფრო ლამაზად, უფრო შინაარსიანად ცხოვრობს!

ცოტათი უფრო გულბოღმიანი რომ ყოფილიყო პეტრე, ნიშნის მოგებით ეტყოდა თავს: „თავადი ისევეა ჩემზე დამოკიდებული, როგორც მე — მასზეო“.

მაგრამ პეტრე არ იყო გულბოღმიანი. იგი სიხარულით მიემგზავრებოდა თავის მხარეში, ტკბებოდა გადაჭიმული ცის ცქერით, გაზაფხულის სილურჯე რომ შეპარვოდა. ისუნთქავდა მიწის ნაცნობ სურნელს: შამბნარის, მწვანედ ამოწვერილი თოთო ბალახისა და დაბერილ კვირტთა სურნელით ითვრებოდა. სმენას იტკბობდა ამ ერთ წელიწადში მივიწყებული ჩიტების ჭიკჭიკით.

განთიადისას კი, გაზაფხულის გატიტვლებულ ხეებში ამომავალი მზისადმი თავისი ჰიმნი სტვენით რომ აღავლინა შოშიამ, პეტრემ კურტაკის სახელოებში წაყო თავი და ტკბილ-მწარე ცრემლებად დაიღვარა.

მერვე თავი

ილინსკოეში პეტრე და სოფრონი ბაზრობის დღეს მივიდნენ. სოფელი ისევე იყო სავსე ხალხით, როგორც ზეიმის დროს. დიდ საბაზრო მოედანს სოფლის ცენტრში სხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული გლეხებისა და ვაჭრების ფორნებში შებმული ცხენები ერტყა.

ფიცრებისაგან დახლები შეეკრათ, ნაჭრები ჩამოეფარებინათ და ფარდულებივით მოეწყოთ, რომ წვიმის დროს არ დასველებულიყვნენ. სულო და გულო, რა გინდა, რით აღარ ვაჭრობდნენ! ტომრებით ეწყოთ მოხალული თუ მოუხალავი კედრის წიწიბო, ერთმანეთზე შეწყობილი ელაგა კოპტონის ფილები, სათაფლე ჩოკორები თვალს აოცებდა სიდიდითა და შესრულების მრავალნაირობით. გოლეულები ფუტკარს იზიდავდა და ბოლქვა-ბოლქვა დაბზუოდნენ თავს. ვაჭრობდნენ ხის ნაკეთობებითაც: კოვზებით, გეჯებით, ტაბურეტებით, სკამებით, ცოტა იქით — ახალი, მშვენივრად შენახული. ბოსტნეულით, ამ გაზაფხულის პირსაც რომ შერჩენოდათ სინედლე და სიხასხასე.

ყველა დუქნის კარი სტუმართმოყვარულად იყო მოღებული. ვაჭარ ბეკლემიშევის „სავაჭრო სახლსაც“, ისევე, როგორც ბაზარს, ჩამოსულთა ფორნები ერტყა და მაღაზიის ღია კარში შერბოდა და გამორბოდა ხალხი.

ჰოდა, პეტრემაც, იქნებ პირველად ცხოვრებაში, სიამაყე იგრძნო თავისი სოფლის გამო, სადაც თითქმის ყველამ იცოდა წერა-

კითხვა. გრაფ ალექსანდრ სერგეევიჩ სტროგანოვის ბრძანებით, ვინც ასე გულმხურვალედ მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას, ილინსკოეს სამრევლო სასწავლებელი სხვებზე ადრე, ჯერ კიდევ 1794 წელს გაიხსნა პერმის გუბერნიაში.

1820 წელს ამ სასწავლებელს სამი კლასი ჰქონდა, მას შეუერთდა სამგალობლო სკოლაც, რომელშიც ორმოცდაათი მოწაფე ირიცხებოდა. მათგან ორმოცი მოწაფე ბატონების ხარჯზე იყო და განსაკუთრებულ შენობაში ცხოვრობდნენ, რომელსაც ზედამხედველი, მასწავლებელი განაგებდა.

სოფელი ილინსკოე განთქმული იყო სასულე ორკესტრითა და გუნდითაც. გუნდის ლოტბარს უნდა მიეღწია იმისთვის, რომ ილინსკოეს გუნდს შეეთვისებინა საეკლესიო-სასახლისკარო სიმღერა, და ამიტომაც მოვალე იყო შორს დაეჭირა თავი „მყვირალა, თეატრალური პიესებისგან“ და ამოერჩია ისეთი „პიესები“, რომლებიც მლოცველებს „სიცილსა და ბნელ, ბინძურ ზრახვათ კი არ აღუძრავდა, არამედ კეთილსახიერ, გულის ამაჩვილებელ შეგრძნებას იმისა, რომ თავად იგი ცოდვილი და არარა არის“.

ილინსკოელები დიდად არ დაგიდევდნენ საეკლესიო ადათ-წესებს, არ იყვნენ მაინცდამაინც მორწმუნენი. ეტყობა, ეს იყო მიზეზი ამ მხარეში სექტანტობის აღმოცენება-გაღვივებისა. მართლმადიდებლები ამ სექტებს სტაროვერულებს ეძახდნენ. სტროგანოვთა მამულებში მართლმადიდებელთა ეკლესიების გარდა თოთხმეტი სტაროვერული სამლოცველოც იყო.

სოფელ ილინსკოეს საავადმყოფოც ჰქონდა, ჯერ კიდევ 1820 წელს სოფია სტროგანოვამ გამოგზავნა სოფლად მკურნალი ლამონში, ხოლო სამი წლის შემდეგ მის ნაცვლად — მედიცინის დოქტორი ნიკოლაი რომანოვიჩ ლეიხტველდი, რომელმაც ცოლად შეირთო ფედოტ ალექსეევიჩ ვოლეგოვის ქალიშვილი და როგორც იტყვიან, დამკვიდრდა ილინსკოეში.

პეტრეს ყველაზე მეტად დედა ენატრებოდა. იცოდა, რომ ბაზრობის დღეს თეატრი მუდამ ატარებდა წარმოდგენას, ამიტომ საჩქაროდ გამოემშვიდობა სოფრონს, სთხოვა, ბარგი შინ მიეტანა და გაემართა თეატრის ღია კარისაკენ, სადაც ხალხი ირეოდა. კართან წითური სევკა მორიგეობდა, მან იცნო პეტრე, გაუკრიჭა და დიდი, ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა.

პეტრე ფრთხილად გაძვრა იმათ შორის, ვისაც გრძელ მერხებზე ადგილი არ ერგო, კუთხისკენ გააღწია და მაშინვე დაინახა დედა. თეატრში სულისხუთვა იდგა, მაგრამ ისე მაინც არ იყო ჩახუთული და აკვამლებული, როგორც საღამოობით, როცა ქონის სანთლებს ანთებდნენ ხოლმე. პეტრეს დედა ქალბატონის როლს თამაშობდა. ყვავილებით მორთული ფართოფარფლიანი შლიაპა ეხურა, საიდანაც მოღებულ ყელზე შავი კულულები ჩამოშლოდა; გრძელ, თეთრ, მთლად ფურჩალებით მორთულ კაბაზე ჭრელი თავშალი წამოესხა. ხელებზე იდაყვებამდე მაქმანის ხელთათმანები წამოეცვა. ლაპარაკით, გარეგნობითა და მიხრა-მოხრით სულაც არ ჰგავდა გლეხის ქალს. ნამდვილი ქალბატონი იყო, სწორედ ასეთი ქალბატონები ბევრი ნახა ახლახანს პეტრემ. ისე მართლად და ბუნებრივად ჩანდა ყოველივე, რომ პეტრე დაიპყრო მსახიობი ქალის ნიჭმა. ჭაბუკმა ქუთუთოები მოხუჭა, რათა გამცემლური ცრემლები სწრაფად გადმოეღვარა, ლოყებიდან კი ხელისგულით მოიწმინდა კურცხლები.

მსახიობი კაცი კუზნეცოვების მეზობელი მიხაილო სიბირცევი იყო, იგი თავის როლს ცუდად ასრულებდა, მონდომებით თამაშობდა, მაგრამ ბატონს ვერ ემგვანებოდა, მოძრაობებიც შებოჭილი ჰქონდა და მაყურებელი აშკარად პეტრეს დედის გამოსვლას ნატრულობდა. აი, ისიც გამოჩნდა, მხედარი ქალის შავი კოსტიუმი ეცვა, შლიაპა ეხურა, ხელში წკეპლა ეჭირა, ლერწამივით ტანწერწეტა იყო. გამოჩნდა და პეტრეს იმ მხედრის სახე დაუდგა თვალწინ, ქვის კუნძულის პარკის ხეივანში რომ ნახა... ნეტა როგორ არის ახლა? რა ხვედრი არგუნა ბედმა? პეტრე ხომ მეტად ვეღარასოდეს ნახავს იმ ქალს და ვერც მის ამბავს გაიგებს.

დედა პარტნიორს მაყურებელთა დარბაზზე უთითებდა და იმ გზაზე ელაპარაკებოდა, ცხენებით რომ უნდა გაევლოთ. ქალი შეჩერდა, თითქოს რაღაცას დააკვირდაო დარბაზში და უცებ მისი თვალები ვაჟიშვილის თვალებს შეხვდა. ხმა ისე აუთრთოლდა და თვალებიც ისე ალერსიანად აუციმციმდა, პეტრე მიხვდა, რომ დედამისმა იცნო; წამით ლაპარაკიც შეწყვიტა, ძალას იკრებდა.

პეტრე მიხვდა, რომ შეცდა, მოულოდნელად არ უნდა შესულიყო თეატრში და ნელ-ნელა გაძვრა ქუჩისკენ.

შინ ისე შეხვდნენ, თითქოს გუშინ წასულიყოს იქიდან. წინ-

კარში აკულინა გამოხტა, ძმის მოსვლა გაეგო და იმიტომაც შემოერბინა. აკულინა ახლახანს გათხოვილიყო, წინანდებურად ფუნჩულასა და ლამაზს, ქერა თმაზე უკვე თავსაფარი წაეკრა. ევლამპიაც გამოჩნდა — ფართოპირისახიანი და დასავით წითელლოყება, გაოცებულ-შეცბუნებული თვალებით შესცქეროდა ქვეყანას და გულკეთილი ღიმილით გაპობოდა ალისფერი ბაგე; კაცი ვერ გაიგებდა, იცნო თუ არა პეტრე; ცნობით იქნებ კიდევაც იცნო, მაგრამ მიხვედრით კი ალბათ ვერ მიხვდა, რომ ეს მისი ძმა იყო, მისთვის ახლობელი ადამიანი.

პეტრეს უფროსი ძმა, ივანე გადაეხვია, აწოწილი, ვიწროპირისახიანი კაცი. ოჯახში იგი არ უყვარდათ, ანგარიშიანობის გამო მედუქნე შეარქვეს, მერე ამ მეტსახელს მთელი სოფელი ეძახდა. ახლა დიდი, კონტროლიორის თანამდებობა ეჭირა.

სიხარულით ალაპარაკდა პაპა ღუმელიდან, ჭაღარა, გაბურძგნილი თავი რომ გადმოეკიდა. ეს კაცი ამ ოჯახისათვის დარდის მომგვრელიც იყო და სიხარულისაც: სულ პატარა რამ აამებდა, თავადაც ხარობდა და სხვასაც გადასდებდა ხოლმე სიმხიარულეს.

— მთლად დავაკაცებულხარ, პეტრუხა, — ამაყად უთხრა პაპამ. — აბა, ერთი გვიამბე, როგორ ცხოვრობდი პეტერბურგში. რა ნახე?

და კუზნეცოვების სახლში გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა მასლაათი. თეატრიდან დაბრუნდა დედა, ცრემლმორეული ეხვეოდა შვილს და უმტკიცებდა: „მივხვდი, მივხვდი, რომ შენ იყავი“. სამუშაოდან დაბრუნდა ერთავად დაღვრემილი, ენაძვირი მამაც. ახლა იგი საავადმყოფოში მუშაობდა, ექიმ ლეიხტველდის მოწაფე იყო. პეტრემ პატივისცემით გამოჰკითხა მამას სამუშაოს ამბები, მაგრამ მან პირქუშად მიუჭრა, როგორც ყოველთვის: „გასაგზავნ-გამოსაგზავნად ვყავართ, გასაგზავნ-გამოსაგზავნად“.

მოვიდა მეორე ძმაც, ფედორი, ცოლიც მოჰყვა, კატერინა.

ფედორი მასწავლებელი იყო და უყვარდა თავისი საქმე. იგი ბალღობიდანვე გამოირჩეოდა გონივრულობით და ერთთავად სურვილი ჰქონდა, ვისმესთვის რაიმე ესწავლებინა, დიდად გატაცებული იყო მეცნიერებით.

ფედორს კეთილი სახე ჰქონდა და ტკბილი, გულთბილი ღიმილით იღიმებოდა. ბავშვებს უყვარდათ იგი. ფედორის ცოლი, კატე-

რინა, პეტრეს ყოვლად შეუმჩნეველ ქალად მიაჩნდა. ივანეს ცოლი კი წინათ უებრო სილამაზის ქალი ეგონა, ახლა კი როცა ნამდვილი ქალური სილამაზე იხილა, იგი დახატულ თოჯინას აგონებდა.

მაგიდაზე ღიპიანი სამოვარი ჩუხჩუხებდა. ერთი ჩარექა ლუდიც იდგა. ლუდი აკულინას ქმარს, მიხაილოს მოეტანა, თმახუჭუჭა, ჯერ კიდევ მთლად ყმაწვილ კაცს. იგი ობოლი ბიჭი იყო და ბალლობიდანვე კუზნეცოვებს მიეთვისა.

ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. მხოლოდ პაპა დარჩა ღუმელზე და ევლამპიაც გულგრილად მიჯდა ზღურბლზე.

ლუდი ჭიქებში ჩამოასხეს.

— ჩვენი ვაჟის, პეტრუხას სადღეგრძელო იყოს, — რაღაცით შეცბუნებულმა, ჯიყჯიყით თქვა მამამ, ცალი ხელით ჭიქა ასწია, ხოლო მეორეთი ტოლჩა მიაწოდა პაპას.

ხმის ამოუღებლივ მოუჯახუნეს ჭიქები ერთმანეთს, ხმისამოუღებლივე შესვეს. მჟავე კიტრი და კომბოსტოც აახრამუნეს. ახლა ნამდვილი რუსული ქეიფი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სად იყო მხიარულება! ჰოდა, პეტრეს უცებ მოაგონდა — ასეთივე არამხიარული ზეიმი იყო ი ქ ა ც... თავად დერეფანში იდგა. ესმოდა ფრანგულად ლაპარაკი, რუსულად ნათქვამი „გორკო“, მაგრამ ვერ გრძნობდა, რომ ხალხი მხიარულად იყო. თითქოს ღრუბელი ჩამოსწოლოდათ თავს ზემოთ და, საცა იყო, ჭექა-ქუხილი ატყდებოდა. პეტრემ ახლაც იგრძნო თავს ჩამომხობილი ღრუბელი.

— მამა, რა მოხდა? — ხმამაღლა იკითხა პეტრემ და ჭიქა დადგა.

თითქოს ამ კითხვას ელოდნენ, დედა ხელად ატირდა, ქალებმა მოთქმა გააბეს, ძმებმა თავები განზე მიიბრუნეს.

და ახლაღა გაიგო პეტრემ, რომ გრაფინია სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვას თანხმობა მისი, პეტრეს, პეტერბურგიდან სტროგანოვთა ბილიმბაის ქარხანაში გამომგზავრებაზე ძლივსძლივობით გამოეთხოვათ მშობლებს.

კანონის თანახმად ერთერთი ძმათაგანი, ვისაც ჯარის დრომ მოუწია, სამხედრო სამსახურში უნდა გაეწვიათ. პეტრეს ორივე ძმა ცოლიანი იყო, ბავშვებიც ჰყავდათ. აბა, როგორ უნდა მიეტოვებინათ წლების განმავლობაში ცოლ-შვილი? მაშ, პეტრე უნდა წასულიყო მათ მაგივრად. მაგრამ პეტრე ქარხანაში სამუშაოდ აჰყავ-

დათ ერთი უგერგილო მუშაკის ადგილზე, ვისაც მის მაგივრად გზავნიდნენ რეკრუტში.

დედა ტიროდა. მამა წუხდა. ძმები უხერხულად გრძნობდნან თავს. პეტრე გონს ვერ მოსულიყო: რცხვენოდა მშობლების, ძმების და კიდევ ვიღაცის მაგიერ... მაგრამ კარგად ესმოდა, რომ ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო. სხვა გზა არ ჰქონდათ. თითო ძმას სამ-სამი შვილი ჰყავდა სარჩენი. პეტრესაც ჯარში წასვლა სულაც არ უჯობდა ბილიმბაის ქარხანაში მუშაობას.

პეტრემ ასწია ნახევრადდაცლილი ჭიქა, თვალმოჭუტულმა გაიხედა შიგ. მოათვალიერა სუფრა, შემბრალე მზერა მოავლო ზღურბლთან მოკუნტულ ევლამპიას და ბერიკაცს, ვინც თითქმის მთელი სიცოცხლე ღუმელზე გაატარა, მერე თავი გაიქნია და თქვა:

— ეს საქმე გადაწყვეტილია! სხვა გზა არა გვაქვს. ცოტაც დამისხი, მიხაილო.

თქვა ესა და, ღრუბელიც ცაში აიჭრა, ქულა-ქულად დაიშალა სხვადასხვა მხარეს, ცა მოიწმინდა და ფანჯრებში ნამგალა მთვარე გამოჩნდა.

მერე მოყვა და გაიბა ჩვეულებრივი, ბალღობიდანვე ასეთი ახლობელი, შინაურული საუბარი. სტრეტენკისა და კრივიცკის ჭაობების გასაწმენდად სარფიანი დღიურ სამუშაოზეც ილაპარაკეს, იმაზეც, რომ გაზაფხულ-ზაფხულისათვის საკვებად და სათესლედ სამარაგო მაღაზიებიდან გლეხებს სესხად ხორბალს ურიგებენო და კიდევ მრავალი სხვა.

პეტრემ წელან, ქოხში რომ შედიოდა, წინკარში ახალი, დიდი ზომის ცელი შენიშნა.

— ეს ცელი საიდანა გაქვთ? ვინ მოგცათ? — იკითხა მან.

პაპამ უპასუხა ყველას მაგივრად:

— ხომ გახსოვს, შვილო, ჯერ კიდევ იმ ზაფხულს ბატონების სათიბები ასეთი ცელებით გათიბეს. მაშინაც ბევრმა ისწავლა, ახლა კი, თოთხმეტი ცალი დაგვირიგეს შინ სახმარად. ჰოდა, ერთი ჩვენც გვერგო.

— ეგ გაცილებით სჯობია პატარა, პირგაღუნულ ცელს.

— რა შედარებაა! — აღფრთოვანებით მიუგო ივანემ. — ეგ სუფთად თიბავს.

— ჰო, კონტროლიორობას როგორ შეეწყვე? — დაინტერესდა პეტრე.

— სწორედ რომ ბედმა გამიღიმა! — ცხარედ ალაპარაკდა ივანე. — ხომ გახსოვს კონტროლიორი პეტრე ვლასოვი, ჰოდა, ის მოხსნეს, რადგან ვერ ივარგა. იმის მაგივრად მე დამაყენეს.

— მერე იმან რა ჰქნა?

— იმან? რა უნდა ექნა, უარი უთხრეს და უსაქმოდ დარჩა, რაც შემოსდის, იმით ცხოვრობს.

— მას ხომ სულ პატარა ბავშვები ჰყავს!

ივანემ გულგრილად აიჩეჩა მხრები.

— ძალიან უჭირთ ცხოვრება. ოჰ, როგორ უჭირთ, — ჩაერია საუბარში მამა. — პეტრე ვლასოვი ზარმაცი როდია. ავადმყოფი კაცია. ამიტომაც ვერ გაართვა სამუშაოს თავი. მე მაგას რამდენიმე წელიწადს ვმკურნალობდი. ახლა ხმელა პურსა და ბურახზე გადადიან, ხან ღარიბებისათვის განკუთვნილ დახმარებას იღებენ საზოგადოებიდან, ზოგჯერ კი გადასახადიდან ათავისუფლებენ ხოლმე. მეზობლებიც ხელს უმართავენ. ძლივს გააქვთ თავი, ძლივს! — გაიმეორა მამამ და ყურადღებით შეხედა უფროს ვაჟს.

— მე რას მიყურებთ, მამა! გეგონება, მე ვუხიმანკლე და მაგისი ადგილი ჩავიგდე ხელში. დამნიშნეს და რა მექნა, — გრძელი ხელების ქნევით, სიხარულით ამბობდა ივანე. — დამნიშნეს-მეთქი.

— ვიცით, რომ დაგნიშნეს, — ხმა მოაწვდინა პაპამ ღუმელიდან. — მაგრამ არავინ კი არ გებრალება.

— შენ საიდან იცი, პაპავ, მებრალება თუ არა, ჰა? — ცივად შეეპასუხა ივანე. — ჩემს გულში ჩაგიხედია, თუ რა?

— არავინაც არ გებრალება, — უთხრა აკულინამ და რატომღაც ივანეს ცოლს შეხედა. ქალი შეკრთა, თავშალი კიდევ უფრო მაგრად შემოიბუდნა და თვალები დახარა.

— ციც! — შეუცაცხანა ივანემ დას, მაგრამ დამ აღარ დააცადა რაიმეს თქმა.

— შენ გინდა, რომ უფროსი ბავშვები დობრიაჟის მეტალურგიულ ქარხანაში მისცე... იმის მაგივრად. რომ სკოლაში ისწავლონ.

— ხარატებად ათას ხუთასი და უფრო მეტი ყმაწვილი მუშაობს და არაფერიც არ გასჭირვებიათ, — თავი გაიმართლა ივანემ. — დურგლად კიდევ — ექვსასამდე. ჩვენები რით არიან იმათზე უარესები?

— შენ, ჩემო ძმაო, ჯერ ასწავლე შენს შვილებს, — ხმა მიაწვდინა ფედორმა. — ნიჭიერი ბიჭები გყავს, გაუშვი, სკოლაში იარონ. უსწავლელებს რად ტოვებ?

ეტყობა, ასეთი საუბრები ხშირად ჰქონდათ. ივანეს ცოლი იცრემლებოდა, კუზნეცოვების მთელი ოჯახი აღშფოთებული იყო.

ივანე კი მაინც თავისაზე იდგა. კაპიკების შემატებაზე ფიქრობდა.

დედამ გადაწყვიტა, საუბარი შეეცვალა.

— ალბათ ისევ პასუხს გვაგებინებენ, სოფლის სიახლოვეს ნახშირს რადა სწვავთო. ნეტა მათრახებს გადავურჩეთ და, — თქვა მან.

— ნუ დარდობთ, დედილო, — დაამშვიდა დედა კატერინამ, — აგერ, ივანე ამბობს, თითქმის მთელი სოფელი ასე აკეთებსო. აბა რა უნდა ვქნათ? სად ვიშოვოთ მაგისი დრო? ვერსებს იქით სად წავიდეთ? ან ბალღები ვის დავუტოვოთ? დავიძვრენთ თავს როგორმე!

ვერცხლისფერი ნამგალა მთვარე კი უკვე სამზარეულოს ფანჯარაში იპვრიტებოდა: შუაღამე გადასულიყო.

მეორე დღეს პეტრემ მოურავი მოინახულა. მას ძალიან მოსწონდა ეს მცოდნე, გონიერი და მშვიდი კაცი. ბევრჯერ უფიქრია პეტრეს: რა ბედნიერები არიან სტროგანოვების გლეხები, რომ მამულს ვასილი ალექსანდროვიჩ ვოლეგოვი განაგებსო. ვინმე სხვა რომ ჰყავდეთ, ცრემლებსა, მწუხარებასა და სისხლში ჩაიხრჩობოდნენო ბრძენი და კეთილმოსურნე სოფია სტროგანოვას ყმები. იმ ქალს ხომ ერთხელაც არ შემოუხედავს თავის მამულში. ზოგჯერ პეტრეს ასე ეგონა: ვოლეგოვმა იმიტომ იტვირთა ეს საქმე, რომ თავის თანამემამულეთა ხვედრი შეემსუბუქებინაო. მაგრამ პეტრე იქნებ აჭარბებდა.

— ოჰ, გამარჯობა, გამარჯობა, პეტრე, — მხიარულად მიესალმა მოურავი. — მაშ, ჩამოხვედი, ხომ, მშობლიურ მიწაზე! როგორ მიდიოდა დრო გრაფის სამსახურში?

პეტრემ პატივისცემით დაუკრა თავი მოურავს, ისევე მდაბლად, როგორც ბატონებს ესალმებოდა ხოლმე, მაგრამ ამ თავისდაკვრაში მან ალალი პატივისცემაც გამოხატა.

— სამსახური სამსახურია. რაღა არ ვნახე.

— გრაფი კმაყოფილია შენით, მან სთხოვა სოფია ვლადიმიროვნას შენი დატოვება, მაგრამ ამასობაში ბილიმბაის ამბავი მოხდა. არა, შენ გული ნუ გეტკინება. ერთი-ორი წელი წაიმუშავებ და მერე, თუკი მოგესურვება, შეგიძლია ისევ პეტერბურგს გასწიო გრაფ გრიგორი ალექსანდროვიჩთან.

— არა მსურს გრაფ სტროგანოვთან ყოფნა. არც თვითონ მომწონს და არც მისი საქმეები, — თავისთვისვე მოულოდნელად წამოსცდა პეტრეს.

— აბა, პეტრე, ბატონის განსჯას არ გირჩევ. არ დაგაყრის ხეირს. გამოჩნდება ვინმე ენის მიმტანი და შენს ნათქვამს მიურბენინებს. ჰოდა, ცუდ დღეში ჩავარდები მაშინ.

— მე თქვენ გითხარით მხოლოდ, ვასილ ალექსანდროვიჩ... ისე ხმაჩაკმენდილი ვარ, როგორც შინაყმას შეჰფერის, — პეტრეს ტუჩები აუთრთოლდა.

მოურავმა დაკვირვებით შეხედა ჭაბუკს.

— რაო, მძიმეა, განა, ყმის ხვედრი? რას იზამ, პაპა და პაპისპაპაც ყმები გყავდა. შენც მათი ილბალი გერგო. შენი შვილებიც...

— რაღად მინდა შვილები, თუკი უფალი მათაც ასეთ ხვედრს არგუნებს?

— აბა, აბა, პეტრე, — უთხრა პეტრეს რაღაცნაირი სიმწრით მოურავმა და თავი ქაღალდებზე დახარა. — შენზე ამბობენ, ლამის ბნედისაგან მოურჩინოსო შვილი თავად №-ს?

პეტრე შეკრთა:

— თქვენც იცით ეს ამბავი? მერე საიდან?

— საიდან ვიცი, ამას არ ვიტყვი. ვიცი კი, რადგან არ არსა დაფარულ, რომელი არ გამოცხადდესო! ასე წერია წმინდა წერილში. და ასეც არის. ჰოდა, ყური მიგდე, პეტრე. მე ვიცი, რომ ხალხური მკურნალები წამლობის ფულს არ იღებენ ხოლმე, ძველთაგანვე არსებობს რწმენა, რომ მხოლოდ უსასყიდლო წამლობა ჭრისო. ხომ არ გადაგილახავს ეს კანონი?

— მე უარი ვთქვი ფულზე, — კვერი დაუკრა პეტრემ.

— ჰო, მაგრამ, მერე, თუ ღმერთი ინებებს და ბიჭი განიკურნება, თავადი, ალბათ, მთელი სიცოცხლე უსაზღვროდ მადლიერი იქნება შენი. ჰოდა ხელიდან ნუ გაუშვებ ასეთ შემთხვევას. სთხოვე თავადს ფული, რომ თავი გამოისყიდო. შენს სიცოცხლეში აღარ

მოგეცემა ასეთი შემთხვევა... ნუთუ თავად არ გიფიქრია ამაზე?

— მე სხვა რამ ვიფიქრე, როცა თავადი ფულს მთავაზობდა. რად არ მიხვდა-მეთქი, რომ თავისუფლებით აენაზღაურებინა ჩემი სიკეთე? იგი ხომ ამას უფულოდაც მომიხერხებდა. გრაფინია სიხარულით აუსრულებდა თავადს ყოველგვარ თხოვნას. ნუთუ ასე გაქვავებული აქვს ამ კაცს გული? ნუთუ ვერ წარმოუდგენია, რა დღეშიაც არის შინაყმა?

— შენ მეტისმეტ კეთილშობილებას მოითხოვ, პეტრე, მისი ბრწყინვალებისგან, — მღელვარებითა და, ეტყობა, თავისთვისვე მოულოდნელად წამოსცდა მოურავს. და მის ამ წამიერ აფეთქებაში, ამ ღელვაში იგრძნობოდა, რომ ისიც ოდესღაც ყმა იყო. — მაგრამ მომავალში ჩემი ნათქვამი არ დაგავიწყდეს. იცოდე, ასეთი შემთხვევა შენს სიცოცხლეში აღარ მოგეცემა. ჰოდა, თავისუფლებაზე ძვირფასი რაღა არის?

— თავისუფალი რომ ვიყო, — თქვა ოცნებით პეტრემ, — მედიცინას შევისწავლიდი... ძალზე მიტაცებს ეს დიდი სიბრძნე და ამ საქმისადმი მიდრეკილს, უქმად მყოფ დიდ ძალასაც ვგრძნობ ჩემში... თორემ ისე რა — პაპაჩემისაგან გამოყოლილი ცოდნა გამაჩნია და რაღაც საკუთარი მიხვედრაც, მეტი არაფერი... პეტერბურგში კიდევ ერთმა ქალბატონმა, — პეტრეს ხმა ისე დაეთაფლა, მოურავმა გაოცებით შეხედა, — იმის გამო, რომ მის გადიას ეგზემა მოვურჩინე, მედიცინის სახელმძღვანელო გამომიგზავნა... კარგი ქალბატონია, ენით აუწერელი სილამაზის ქალია და ძალზე უბედური. თანაც, როგორ მოაგონდა, რომ სწორედ ასეთი წიგნები მაინტერესებს?

— შენ ხომ გადია მოურჩინე, რაღა მიხვედრა უნდოდა, თუ რა გაინტერესებს.

— არა, მაგაზე არ გეუბნები. მაშინ ეს ქალი მძიმე მდგომარეობაში იყო. ქმარი სასიკვდილოდ დაუჭრეს დუელში — იქნებ გაგიგონიათ პოეტი ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინი?

— რაღა თქმა უნდა, გამიგონია, — მღელვარებით უთხრა მოურავმა, — იმასაც მოვკარ ყური, რომ ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავს და რომ სწორედ ეს ქალი იყო ყველაფერში დამნაშავე.

— არ არის ეგ მართალი! — ცხარედ შესძახა პეტრემ. — ისეთი

რაღაცეები დასწამეს იმ ქალს, რომ ვეღარაფერს ვეღარ დაამტკიცებ კაცი. არაფერშიც არ არის იგი დამნაშავე.

— აი, თურმე რა ადამიანებს შეხვედრიხარ პეტერბურგში! — პუშკინი ხომ ჩვენი სიამაყეა!

— არა, პუშკინი არ მინახავს. მე ვიცნობდი მის ცოლს, ნატალია ნიკოლაევნას, — აღელვებით თქვა პეტრემ და ვოლეგოვმა ისევ ყურადღებით შეხედა. მის მზერაში გამოსჭვიოდა, რომ რაღაცას ხვდებოდა. — მის უფროს დებსაც ვიცნობდი. გრაფ გრიგორი ალექსანდროვიჩის დეიდაშვილები არიან. გრაფს კი, მე ასე მგონია, პუშკინის სიკვდილში ბრალი მიუძღვის. მან დაიჩემა დუელი. ის რომ არა, იქნებ პუშკინი ცოცხალი ყოფილიყო. აი, ზოგჯერ თურმე როგორ მოიტანს ერთი კაცი ამდენ ჭირს და უბედურებას. არა, არ მიყვარს გრაფი. არც სიკეთე მსურს მისი. დაე, ღმერთმა დამსაჯოს ამისთვის. დამღალა ჩემი კეთილისმყოფელების ბოროტ ზრახვათა მადლად მიჩნევამ!

მოურავი განცვიფრებული შესცქეროდა პეტრეს. პირველად იყო, რომ საკუთარი აზრები შინაყმის პირით ესმოდა. მაგრამ თავად არასოდეს არავის წინაშე არ გადმოულაგებია ფიქრები. ამ ჭაბუკს კი არ ეშინია, გული გადაუშალოს კაცს, ვინც სულაც არ არის მისი თანასწორი; ახლა ხომ ვოლეგოვს ყველა „ბატონობით“ მიმართავს!

— გეყოფა, პეტრე, გული გადამიშალე და, მორჩა. კედლებსაც ყურები ასხიათ. შენ კი მთელი ცხოვრება წინა გაქვს. აბა, ახლა საქმეს მივხედოთ, — და მოურავმა ბილიმბაის ქარხანაში მუშაობის თაობაზე გაუბა საუბარი პეტრეს.

კუზნეცოვების ოჯახს უბედურება დაატყდა თავს, რამაც რამდენიმე დღით გადასდო პეტრეს გამგზავრება ბილიმბაის ქარხანაში.

დილით შინიდან გაქრა ევლამპია. საერთოდ, ყველაზე უწინ ის დგებოდა ოჯახში და კიბეზე გამოდიოდა ხოლმე მზის ათინათების საჭერად... ეს მისი საყვარელი საქმიანობა იყო, რაღაცას ებასეებოდა მზის ათინათებს, კისკისებდა...

თავდაპირველად ევლამპიას წასვლას მაინცდამაინც არ შეუშფოთებია ოჯახი. ზოგჯერ მიდიოდა ხოლმე შინიდან, დაეხეტებოდა სოფელში თუ ტყეში და მხოლოდ შუადღისას, როცა მოშივდებოდა, მაშინ ბრუნდებოდა შინ.

იმ დღეს კი არც შუადღისას მოვიდა და არც ღამით. ეს ამბავი ადგილობრივ ხელისუფლებას განუცხადეს და მოსახლეობასაც შეატყობინეს. მეორე დღეს ევლამპია ბალღებმა კალოზე იპოვეს, ვიღაცას ბაწრის ნაგლეჯით დაეხრჩო.

ილინსკოეში კარგა ხანს ბჭობდნენ და სჯიდნენ, ვისთვის რა უნდა დაეშავებინა ერთ საპყარ გოგოსო, სანამ ექიმმა არ დაადგინა, რამდენიმე თვეში ევლამპია დედა გახდებოდაო. ეტყობოდა, ვიღაც შეეცადა, მიეჩქმალა თავისი ცოდვა. მაგრამ ვინ იყო იგი? ვინ აღმოჩნდა ისეთი სულმდაბალი, რომ შეეცდინა გონებასუსტი გოგო?...

სიტყვიერი სამსჯავრო, სამი კაცი რომ შეარჩიეს თავიანთივე წრიდან, გაეცნო „ევლამპია კუზნეცოვას საქმეს“ და მიიღო გადაწყვეტილება, არ არის საჭირო სამედიატორო სასამართლოში გასაჩივრებაო და დაადგინა: „ღვთის ნებას მიენდოსო“.

ევლამპია ილინსკოეს სასაფლაოზე დამარხეს. გაჩნდა კიდევ ერთი ბელტებმიყრილი საფლავი და, თითქოს არასოდეს ეარსებოს ადამიანს, მალე მიივიწყა ყველამ. დედაღა იტანჯებოდა ყველაზე დიდხანს — ასეთი ავი ხვედრი რად არგუნა ჩემს შვილს ბედმაო. იგი მუხლებზე დაჩოქილი დიდხანს იდგა ხოლმე ახალ საფლავთან და ჩურჩულით ინუგეშებდა თავს: „ოჰ, ღმერთო, რად დავისაჯე? მართლაც და, მიუწვდომელია გზანი უფლისა!“

მეცხრე თავი

დიდი გზა არ არის ილინსკოედან ეკატერინბურგის მაზრამდე, სტროგანოვთა მამულამდე, სადაც ბილიმბაის ქარხნებია განლაგებული. ეს პეტერბურგიდან ილინსკოეში მომავალი გზა როდია. ილინსკოედან გასული ფორნით მეფორნე, პეტრე და მისი ძმა, ივანე, რომელიც მოურავმა რაღაც საქმეზე გაგზავნა, დანიშნულების ადგილას ერთი კვირის მერე ჩავიდნენ.

ბილიმბაის თუჯმდნობი ქარხანა სტროგანოვმა 1730 წელს გახსნა სახელმწიფო კოლეგიის მითითებით. სტროგანოვთა მეურნეობაში მას თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. შემთხვევით როდი მოხდა,

რომ 1824 წელს თავად იმპერატორმა ალექსანდრემ მოინახულა ქარხანა.

ბილიმბაის ქარხნის მიერ გამოშვებულ რკინასა და თუჯს რუსეთის ყველა ქალაქში, შუა აზიასა და ამერიკაშიც კი ყიდიდნენ.

პეტრემ ისიც იცოდა, რომ ნიჟნეტაგილის აგარაკზე სამი გალაშენის რკინის მაღარო ჰქონდათ, რაც ოდითგანვე ბილიმბაის ქარხანას ეკუთვნოდა. მაგრამ იგი დემიდოვების ნიჟნეტაგილის გვარეობამ მიისაკუთრა. წლიდან წლამდე დავა იყო ამ მაღაროებზე დემიდოვებსა და სტროგანოვებს შორის და მხოლოდ 1848 წელს საქმე ბილიმბაის ქარხნის სასარგებლოდ დამთავრდა.

პეტრემ ნაღვლიანი მზერა მოავლო ქარხნის კორპუსებს, ქუჩაზე მდგარ ღარიბულ პატარა სახლებს და გაიფიქრა, აქ პეტერბურგზე უარესი ცხოვრება მექნებაო. იქ ხან ქვის კუნძულზე წავიდოდა, ხან გონჩაროვების, ხანაც კიდევ მოსკოვის მახლობლად მდებარე გოლიცინების მამულში. მზერას დაიტკბობდა გადამწვანებული მინდვრების ცქერით, რაც ილინსკოეს მოაგონებდა და გულს მოეშვებოდა. აქ კი ყველაფერი ქარხანას დაეპყრო, ნაღვლიანი, პირქუში კორპუსები რომ ჰქონდა. ღობეებსა, ჭიშკრებსა და სახლების სახურავებზე სქელ ფენად იდო ქარხნის მტვერი. მტვერი იდგა ჰაერშიაც.

ხალხიც კი, გზად რომ ხვდებოდა პეტრეს, გულჩახსრობილ, პირქუშ ადამიანებად ეჩვენებოდა. ნაცნობი აქ არავინ ჰყავდა, მაგრამ განსაკუთრებით იგრძნო მარტოობა ივანეს გამგზავრების შემდეგ. თუმცა, პეტრემ გამოცდილებით იცოდა, რომ პირველი შთაბეჭდილება მალე გაივლიდა. სწამდა, რომ მოაწყობდა ცხოვრებას, მიეჩვეოდა აქაობას.

მართლაც, მალე მოეწყო საცხოვრებლად. ქარხნის გამგეობაში ბუღალტრის მოადგილედ მუშაობდა. საკმაოდ კარგ გასამრჯელოს იღებდა: 140 მანეთს წელიწადში.

თანდათანობით ნაცნობებიც გაიჩინა, ბევრიც დაუმეგობრდა. ჰოდა, სწორედ ამ დროს შეეყარა კაცს, ვინც დიდი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში.

ეს კაცი იყო ფედორ ნიკიტიჩ კოლცოვი, ისიც სტროგანოვთა შინაყმა გახლდათ, ჭკვიანი, წიგნიერი და საქმიანი ადამიანი. ერთმა მსხვილმა ოქროსმრეწავმა მას მოურავობა შესთავაზა ციმბირის

ერთ-ერთ ოქროს საბადოში და გრაფინია სტროგანოვას სთხოვა ამის თაობაზე. ეტყობა, ეს გარიგება რაღაცით ჭკუაში დაუჯდა გრაფინიას და მან კოლცოვს ნება დართო, ემსახურა ოქროსმრეწავთან. პეტრე კოლცოვს იმ დღეებში გაეცნო, როცა იგი ფაბრიკიდან მიდიოდა და საბუთებს იფორმებდა.

კოლცოვის სათვალიო სახლი, რაც მემკვიდრეობით ერგო მამისაგან, იმ სახლის გვერდით იდგა, რომელშიც პეტრეს დაქირავებული ჰქონდა პატარა, ნახევრადბნელი ოთახი. იგი ფედორ ნიკიტიჩს ხშირად ხვდებოდა ხოლმე სამსახურიდან შინმიმავალი, ხვდებოდა ქარხნის კანცელარიებშიც, სადაც კოლცოვს საბუთებს უფორმებდნენ. პეტრემ თავად გამოიანგარიშა მისი დავალიანებანი, რაც დაუქვითა კიდეც ხელფასიდან. ასე გაიცნეს ერთმანეთი.

შემოდგომის ერთ საღამოს ერთად მიდიოდნენ ქარხნიდან შინ. კოლცოვი ორმოცდახუთი წლის ძალზე ქერა, ლამაზი მამაკაცი იყო, პეტრე კი — ჯერ მთლად ახალგაზრდა, შავთვალა, ლამაზი ჭაბუკი. ორივეს ქალაქურ ყაიდაზე ეცვა, არ იტყოდით, ყმები არიანო.

კოლცოვი პეტრეს უყვებოდა, ამ ძნელი საქმისათვის ხელის მოკიდება სულაც არ მსურდაო, მაგრამ ეს ერთადერთი გზა არის ფულის საშოვნელად, რათა თავი გამოვისყიდო, გავთავისუფლდე და ჩემი ცოლ-შვილიც გავათავისუფლოო.

— შენც, პიოტრ იაკოვლევიჩ, ეს მიზანი უპირველეს ამოცანად უნდა დაისახო, — უთხრა კოლცოვმა. — ახალგაზრდა კაცი ხარ, ნიჭიერი, ეძებე განთავისუფლების სახსარი. ხომ არაფერი შეგითვალთვალებია ჯერ? — დაინტერესდა კოლცოვი.

— მაქვს, მეცა მაქვს, ფეოდორ ნიკიტიჩ, პატარა იმედი...

კოლცოვი ის იყო შეუდგა პეტრეს გამოკითხვას, რა მიზნები გაქვს ცხოვრებაშიო, რომ უცებ მოსახვევიდან გამოვიდნენ ლამაზი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მაგრამ ძონძროხა ქალი, ბოშა ქალს რომ ჰგავდა და მწვანეთვალება, ლოყაწითელი ყმაწვილი გოგო.

— მამილო! ჩვენ შენს შესახვედრად მოვდივართ! — ცოცხლად მიაძახა მამას გოგომ და სიცილიანი მზერა პეტრეს ესროლა.

— ეს ჩემი ქალიშვილი ლიპოჩკა, ოლიმპიადა, გახლავთ, — თქვა ალერსიანად კოლცოვმა. — ეს კი ჩემი ცოლი მარფა დანილოვნაა.

პეტრემ დუმილით დაუკრა თავი ქალებს, ყველას გამოეთხოვა

და უკვე მეორე მხარეს რომ გადადიოდა, საცა სკოლისა და საფოსტო განყოფილების შენობა იდგა, კოლცოვის დაძახილმა მოატრიალა:

— პიოტრ იაკოვლევიჩ! საღამოთი ჩაიზე შემოგვიარე!

აბა, საიდან უნდა სცოდნოდა მაშინ პეტრეს, რომ ჭკვიანმა კოლცოვმა სწორედ ამ წამს აწონ-დაწონა პეტრეს ნიჭიერება, ისიც ივარაუდა, რომ ადრე თუ გვიან ეს ჭაბუკი თავს დააღწევდა ყმობას და ისიც, რომ თავად, საცა იყო, გზას გაუდგებოდა და, ვინ იცის, როდის მოახერხებდა ცოლისა და ერთადერთი ქალის თავისთან წაყვანას. აგერ, ახლა კი, მოულოდნელად შესაფერისი სასიძოც გამოუჩნდა და ოჯახის დამტოვებელიც.

საღამოთი პეტრე კოლცოვებს ესტუმრა. პატარა სახლი ჰქონდათ, მაგრამ მყუდრო და ფაქიზად მოვლილი.

შევიდა თუ არა პეტრე სახლში, მორიდებით დააბიჯა ფეხი თეთრ ფეხსაფენებს, შეეშინდა, ამ სუფთა საფენებსა და თეთრად მოსუფთავებულ იატაკზე ნაკვალევი არ დავტოვოო.

პეტრემ თვალი მოჰკრა, სამზარეულოში, კედელზე დაკიდებული ტაფების გვერდით გახეხილ ქვაბებს როგორ უბზინავდა ძირები.

ოთახში ისეთი სისუფთავე იყო, თითქოს ამ საღამოს პირველად შედგეს ფეხი იქ. ძელურ კედლებს ტყის საამო სურნელი ასდიოდათ. წინა კუთხეში ბრწყინავდა კანკელი, ენთო ლამპრები.

მაგიდაზე, სელის სუფრა რომ ეფარა, სპილენძის სინზე გახეხილ-გაპრიალებული სამოვარი ჩუხჩუხებდა — ოთხი კოხტა სკამი თითქოს ირგვლივ შემორტყმოდა მაგიდას.

პეტრეს გარდა სხვა სტუმარი არავინ ჰყავდათ. იგი ხელმარჯვნივ ეჯდა სახლის პატრონს. ლიპოჩკა და დედამისი წინ უსხდნენ. ლიპოჩკა ისე იტყლარჭებოდა, პეტრეს ბრაზი ერეოდა. ეტყობოდა, გოგოს ძალიან სურდა, თავი მოეწონებინა ჭაბუკისათვის. იგი ჩუმად ხითხითებდა და პატარა პირზე ჭრელი კოფთის ფუშფუშა სახელოს იფარებდი. ჭყეტავდა ლამაზ, მომწვანო თვალებს და მერე საჩქაროდ ხრიდა ხშირ ისარა წამწამებს, ეტყობოდა, ამ ხელოვნებისათვის ლიპოჩკას ბევრი დღე შეელია.

პეტრეს ხსოვნაში ი მ ი ს მ ა სახემ გაიელვა: მოოქროსფროთაფლისფერმა, ოდნავ ელამმა თვალებმა, მარცხენა წარბის ტრაგიკულმა კლაკნილმა, არამიწიერად სრულყოფილმა პირისახის ოვალმა.

პეტრე შეძრწუნდა. როგორ გაბედა მან, ყმა გლეხმა, შინაყმა ბიჭმა, ამ ქალის გაღმერთება! არა, თუმცა რად არ უნდა გაებედა? განა პეტრეს სურვილით ეწვია მას ეს გრძნობა? მისით მოვიდა, დაიპყრო ჭაბუკი, გული ტანჯვით აუვსო და სამუდამოდ შიგ ჩარჩა. ჰოდა, ახლა რაღას წარმოადგენენ პეტრესათვის ლეპოჩკა ან სხვა გოგოები?! ყველანი სასაცილოები არიან ი მ ა ს თ ა ნ შედარებით.

— რაზე ჩაფიქრდით, პიოტრ იაკოვლევიჩ? — ჰკითხა განაზებული ტკბილი ხმით მარფა დანილოვნამ. — შეყვარებული ხომ არა ხართ? — თან ბოშური თვალებით ლიპოჩკასაკენ გააპარა ბსერა.

საპასუხოდ ქალიშვილმაც ჩაიხითხითა და ფამფაშა სახელო აიფარა პირზე.

მაგრამ ფედორ ნიკიტიჩი საკმაოდ ეშმაკი და ჭკვიანი კაცი იყო და პეტრე ხელიდან ვერ დაუძვრებოდა.

ჭაბუკმა ამ კაცის სახით მალე არა მარტო მეგობარი იგრძნო, არამედ ხელმძღვანელიც, აღარც ლიპოჩკას ხითხითი და მისი ლამაზი დედის დათაფლული ხმა აღიზიანებდა.

პეტრე სიამოვნებით ატარებდა მათთან საღამოებს. და ერთხელ, როცა ლიპოჩკასთან მარტოდმარტო დარჩა, ღიმილით ჰკითხა გოგოს:

— რას მიპასუხებდით, ოლიმპიადა ფედოროვნა, მაჭანკლები რომ მომეგზავნა თქვენთვის?

პეტრე ელოდა, ახლა ლიპოჩკა ჩვეულებრივ ახითხითდება და სახელოს მიიფარებს პირზეო, მაგრამ გოგომ უცებ ფერი დაკარგა, თვალები დახარა და სერიოზულად უთხრა პეტრეს:

— ამას, ალბათ, დედაჩემი და მამაჩემი გადაწყვეტენ.

— თქვენ თუ გაგაჩნიათ ჩემდამი რაიმე გრძნობა, ოლიმპიადა ფედოროვნა? — კვლავ ღიმილით ეკითხებოდა პეტრე.

— გამაჩნია, — ისევ ისე სერიოზულად უთხრა ლიპოჩკამ და ცრემლით სავსე თვალებით ახედა.

პეტრეს შეეცოდა გოგო და ამ წუთს მოეჩვენა, რომ სწორედ ლიპოჩკაა მისი ბედი და მისი ხვედრი. მასთან თავისუფალი, უბრალო ცხოვრება ექნება.

პეტრემ ხელი მოუჭირა ხელზე ქალს, თავისკენ მიიზიდა, მოეხვია და ლოყაზე აკოცა.

გოგო ხელიდან დაუსხლტა, თავის ოთახში გავარდა და კარი მიიკეტა.

პეტრეს ხსოვნაში ისევ წამოიმართა ი მ ი ს მიუწვდომელი ხატება, მოოქროსფრო-თაფლისფერი თვალები, და დაჩრდილა ყველაფერი.

პეტრემ იმ ქალს უთხრა: „მშვიდობით!“

პეტრემ იმ ქალს უთხრა: „მაპატიე!“

„მაპატიე, რომ ცხოვრება ჩემი სურვილით არ მიემართება. ცხოვრება ცხოვრებაა. მაგრამ შენ მე სამუდამოდ მეხსომები. შენ ყველა ცხოვრებისეულ გარემოებაზე მაღლა დგახარ. მაღლიდან დაჰყურებ მათ. შენ ჩემთვის წმინდანი ხარ, მე ვილოცებ შენზე. ცხოვრებისეულ სიმწარეს შენი სახელით გავიქარვებ. მშვიდობით იყავ და მაპატიე!“ პეტრეს არ ახსოვდა, გაიფიქრა ეს სიტყვები თუ ხმამაღლა წარმოთქვა ლოცვასავით.

კოლცოვი შეეცადა პეტრესა და ოლიმპიადა ფედოროვნას ქორწილი, რაც შეიძლება, ჩქარა გადაეხადა, რადგან ციმბირში მიემგზავრებოდა, მაგრამ მაინც ვერ მოასწრო; საქმრო და საცოლე მშობლიურად დალოცა მხოლოდ, ეს იყო და ეს. ქორწილი კი უიმისოდ გადაიხადეს.

ბილიმბაის ქვის ეკლესია მთელი მრევლის სიამაყე იყო. იგი დიდი ხნის წინათ აეშენებინა ვიღაც უცნობ ოსტატს, რომლის მსგავსიც არცთუ ცოტანი მოიძებნებოდნენ იმ დროის რუსეთში. ეკლესია ძალზე ამშვენებდა ქალაქს, ღირსებას მატებდა მას.

ეკლესიის გუმბათის შიდა მხარე ცისფრად იყო შეღებილი და აქა-იქ მიმობნეულ ქულა-ქულა თეთრი ღრუბლებით მოფენილ ცას გამოსახავდა. ერთგან მოოქროვილი სამეფო ტახტი ეხატა, ტახტზე ღმერთი — ქვეყნიერების შემოქმედი — იჯდა. ირგვლივ მიამიტი, უზაკველ ყრმათა სახით გამომეტყველი, პატარა ფრთიანი ანგელოზები დალივლივებდნენ. ეკლესია, ჩვეულებრივ, ბიბლიური სიუჟეტებით იყო მოხატული. აქ ეხატა გოლგოთა ქრისტეს ჯვარცმითურთ, ნოეს ეული კიდობანი, მსოფლიო წარღვნის დროს მრისხანე ტალღის ქოჩორზე ატყორცნილი; ეკიდა ილინსკოედან ჩამოტანილი სტროგანოვების ოსტატ-შინაყმათა ნახელავი ხატები, ხოლო საკურთხევლის კარზე მარჯვედ ამოეჩუქურთმებინათ საშინელი სამსჯავროს სურათები.

პეტრემ ყოველივე ეს ქორწილამდე კარგა ხნით ადრე დაათვალიერა. ილინსკოელთა უმრავლესობისაგან განსხვავებით იგი მორწმუნე

იყო და ყოველ კვირა ეკლესიაში დადიოდა. იმ დროს კი, როცა ოლიმპიადაზე ჯვარს იწერდა, პეტრე ვეღარაფერს ამჩნევდა.

მამა გრიგორიმ ახალგაზრდები დალოცა მძიმე ვერცხლის ჯვრით, ძალაგამოცლილ, ბებრულ ხელებში რომ უთრთოდა.

დაიგუგუნა გუნდმა.

ოლიმპიადამ ფატა გადაიწია, ანთებულ სანთლიანი ხელი განზე გასწია და სახე საკოცნელად მიუშვირა პეტრეს. ჭაბუკმა იგრძნო, რომ გაფითრდა, თითქოს გულიც ეტკინა და განცვიფრებაც იგრძნო ამ უცხო სახის, უცხო ქალის დანახვაზე, ამიერიდან ყველგან და ყოველთვის, მთელი სიცოცხლე რომ მასთან იქნებოდა განუშორებლივ.

პეტრემ თვალი გაუსწორა მისი მომწვანო თვალების დაბნეულ მზერას. წამით თითქოს დაიბინდა ეს მზერა, ოქროსფერი ნაპერწკლებით აბრწყინდა და სხვაგვარ გამოხედვად იქცა, ოდნავ ალმაცერ, გამოუცნობ და იდუმალ გამოხედვად, რამაც უცებ ტკივილით დაუსერა გული.

პეტრემ უგერგილოდ აკოცა ცოლს და ცთუნებამაც მიატოვა, ახლაც ისევე, როგორც მაშინ, როცა მისი ბაგეები ლიპოჩკას ლოყას შეეხნენ, იგრძნო მტკიცე რწმენა იმისა, რომ ეს ქალი არის მისი ბედი, ხვედრი მისი; რომ მასთან ერთად თავისუფალ და უბრალო ცხოვრებას გაატარებს.

ეს ქალი, მართლაც, პეტრეს ბედი და იღბალი იყო, მაგრამ ოლიმპიადა ფედოროვნასთან ერთად ცხოვრება იოლი როდი აღმოჩნდა.

პეტრე კოლცოვებთან გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად, მოუწყობელ, მარტოხელა ცხოვრებას შეჩვეულს, საკუთარ ოჯახში სიმყუდროვეს მოკლებულს ძალიან გაუკვირდა ის წესრიგი და მშვიდი, განზომილი ყოფა, როგორითაც ცხოვრობდნენ მისი სიდედრი მარფა დანილოვნა და ბალღობიდანვე ამას შეჩვეული ოლიმპიადა. პეტრე ისვენებდა და ასე თუ ისე ბედნიერიც იყო.

ფედორ ნიკიტიჩი საბადოებიდან ყოველთვის დროზე გზავნიდა წერილებსა და ფულს. ოლიმპიადას მუდამ უხაროდა ფულიცა და მამის ამბავის გაგებაც. მარფა დანილოვნას კი, როგორც პეტრემ შეამჩნია, უფრო მეტად ფულის მოსვლა ახარებდა და მაშინვე ინახავდა ხოლმე თავის ყუთში, თუმცა წერილში, რომელიც ყველასადმი

იყო მოწერილი, მუდამ ეწერა ხოლმე, ფულს ოჯახის საჭიროებისათვის ვგზავნიო.

ერთ საღამოს პეტრემ ყური მოჰკრა თავისი სიდედრისა და ცოლის საუბარს.

— დედილო, ნეტა მამაჩემის გამოგზავნილი ფულიდან თავის შესანახად ცოტას მაინც გვიწილადებდეთ ხოლმე. აკი იწერება, ფულს მთელ ოჯახს ვუგზავნიო, ხოლო ჩემი დღეობისთვის მე მწერს, ჩემგან საჩუქრად თავშალი იყიდეო,—გაბრაზებული ეუბნებოდა ოლიმპიადა.

მარფა დანილოვნა დათაფლული ხმით უპასუხებდა:

— თავშლის ფულს მოგცემ, შვილო, სარჩოსთვის კი — არა. მაშ, რაღად თხოვდებოდი? იმად, რომ მამის კისერზე ყოფილიყავი? ახლა შენ ქმარი გყავს. მე რა, ბევრი მჭირდება თუ რა? სიძემ სიდედრიც უნდა შეინახოს. ფული ხომ უნდა გადავინახოთ. ვინ იცის, რა გველის! როგორ იქნება უფულოდ ყოფნა. ისწავლე ცხოვრება, ლიპოჩკა, ისწავლე, შვილო, ქმარს ფული გამოართვი ხოლმე. თავად გაუძეხი ოჯახურ ხარჯებს.

ოლიმპიადამ ძალზე ჩქარა შეითვისა დედისეული სიბრძნე და პეტრეს, რომელიც მიჩვეული იყო, დამოუკიდებლად ეხარჯა ხელფასი, მთლად ხელიდან გამოაცალა იგი. ეს ამბავი თავდაპირველად ართობდა პეტრეს, მერე კი სწყინდა, მაგრამ ოლიმპიადა მუყაითი და მომჭირნე დიასახლისი აღმოჩნდა და პეტრემაც ფარ-ხმალი დაჰყარა.

დრო კი სწრაფად გარბოდა. ერთი წელიწადი გავიდა უკვე. ფედორ ნიკიტიჩის წერილებში თანდათან შეშფოთება იგრძნობოდა. იგი ხშირად ავადმყოფობდა. ცოლს თავისთან უხმობდა. მაგრამ მისი მეუღლე არ ჩქარობდა ქმართან წასვლას. თავს იმით იმართლებდა, რომ შვილიშვილს ელოდა. მერე ვინ მოუვლისო ბალღს? ან ოჯახს ვინ გაუძღვებაო?

თუმცა, პეტრე მალე დარწმუნდა, რომ შვილიშვილის მოლოდინი არ აჩერებდა მის სიდედრს ბილიმბაიში. ამ ბოლო დროს ქალი ძალზე შეიცვალა, ოჯახზე გული აიყარა, მთელი საზრუნავი ოლიმპიადასა და მოსამსახურეს, სტროგანოვთა შინაყმას, კოჭლ აგაშას მიანდო.

ჯერ კიდევ შნოიანი, ლამაზი სიდედრი უქმრო ქალის თავისუფალმა ცხოვრებამ გაიტაცა. ახალგაზრდებისაგან თავი შორს ეჭირა,

მდგმურივით იყო მათთან. პირველი სართულის ოთახიდან მეზონინში გადაბარგდა.

წინათაც უყვარდა მორთვა-მოკაზმვა, მაგრამ მაშინ ერთთავად შინ იჯდა, ახლა კი თითქმის ყოველ საღამოს თავის მეგობარ ქვრივ ქალთან დაიარებოდა, სადაც ბანქოს მოთამაშეები იკრიბებოდნენ ხოლმე.

როდის ბრუნდებოდა შინ მარფა დანილოვნა, არც ქალიშვილმა იცოდა და არც სიძემ. ალბათ გვიან, რადგან ორივეს ეძინა ხოლმე ამ დროს.

ერთხელ პეტრე წინა ოთახიდან რაღაც უცნაურმა ხმაურმა გამოაღვიძა. მან ყური მიუგდო და თავისი სიდედრის მოგუდული სიცილი იცნო. ფეხშიშველა პეტრემ ფრთხილად გაიარა ხეშეში, გაფხეკილი იატაკის ფიცრებზე, იქითა ოთახში გავიდა და წინა ოთახის კარი შეაღო. მეზონინის კიბეზე მარფა დანილოვნა ადიოდა, მოხდენილი, ფურჩალებიანი ქვედა კაბის ბოლო ცალი ხელით ეჭირა, ხოლო მეორეთი თავს ზემოთ აეწია ანთებული სანთელი, იგი წინ მიუძღოდა მედუქნე გავრილა სალნიკოვს, რომელიც ცდილობდა ფეხის წვერებზე ევლო, რომ ახალთახალ, კუპრით გაპოხილ წაღებს ჭრაჭუნი არ გაეღოთ. მთვრალს ფეხი ერეოდა და გაფარჩხული წითელი თითებით კედელს ეპოტინებოდა.

პეტრეს ცოლისთვის არ გაუმხელია ღამის სტუმრის ამბავი. იფიქრა, დედის პატივისცემას დაკარგავს და მისთვისაც არცთუ კარგი მაგალითი იქნებაო. პეტრე მუდამ ანგარიშს უწევდა ხოლმე ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას და ადამიანის სულიერ მდგომარეობას.

იმ დღეს განთიადისას ვიღაცამ ჯერ კარსა და მერე ფანჯარაზე კაკუნი ატეხა.

ყველაზე უწინ ოლიმპიადას გაეღვიძა და პეტრეც გააღვიძა. პეტრესაც გაეგონა კაკუნი, თოვლის ჭრაჭუნი ფანჯრის სიახლოვეს და ჩუმი ხმაური მეზონინში.

„მედუქნის ცოლი იქნება, — გაუელვა გონებაში. — ახლა ერთ ამბავს ატეხავს და მთელ უბანს შეყრის“. პეტრემ საჩქაროდ ჩაიცვა ტანთ, წინკარში გავიდა, რაზა გადასწია და მოემზადა, რომ როგორმე თავი აერიდებინა უსიამოვნებისათვის, მაგრამ კიბეზე ვიღაც უცნობი ქალი იდგა, მთლად თოვლში ამოგანგლული, თეთრი ბუმბუ-

ლის თავშალშემობუდნულს პლუშის კარგი შავი პალტო და ახალთ-ახალი, წითლით გაწყობილი ბაცი ფერის თექის ჩექმები ეცვა.

— ადრიანად მოგადექით, პიოტრ იაკოვლევიჩ, რომ შინ მომესწრო თქვენთვის, — უთხრა ქალმა პეტრეს. — დამნაშავე ვარ, მგონი, გაგაღვიძეთ. ავადმყოფი გახლავართ. მიმკურნალეთ, თუ ღმერთი გწამთ. ექიმი ვერ მშველის. მეზობლებისაგან კი ყურები მაქვს გამოჭედილი: თავი მიანებე ექიმს და პიოტრ იაკოვლევიჩთან იწამლეო.

პეტრემ კარი გააღო და უცნობი ქალი შინ შეუშვა. ოთახის ჰუჰრუტანიდან საცვლებისამარა ოლიმპიადამ გამოიჭვრიტა.

— ჩემთან მოვიდა, ავადმყოფია, — უთხრა პეტრემ ცოლს და მოსულს მიუბრუნდა: — აბა, ტანთ გაიხადეთ.

ქალმა თვალისწამში მოიხადა თავშალი, პალტო, თექურები გაიძრო და წინდებისამარა შევიდა ოთახში.

წინა ოთახიდან მოისმა ქურდული ნაბიჯების ხმა და იატაკის ჭრაჭუნი. გაიჯახუნა შემოსასვლელის კარმაც, რაზა ანჯამას მიეჭახუნა და მარფა დანილოვნა ფლოსტებით საჩქაროდ ჩაფლატუნდა კიბეებზე.

ოლიმპიადა საწოლში ელოდებოდა ქმარს.

— რაო, ახლა ღამითაც აღარ მოგვასვენებენ? — ქალს არც დაუცდია ქმრის პასუხისათვის, ისე ჰკითხა: — რა მოგცა? თუ ისევ არ აიღე ფული?

— არ ამიღია.

ოლიმპიადა საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. სახე ავი ულამაზო გაუხდა. სხაპასხუპით, თითქოს ჩიფჩიფით ალაპარაკდა:

— არა, კმარა, მეტი აღარ შეიძლება! შენც დაგცინებს ხალხი და ჩვენც! გამომივიდა ესეც ექიმი! ექიმები, რომ იცოდე, ფულს იღებენ და მერე რა ფულს! ჩვენთან კი მხოლოდ იატაკს თითხნიან და ძილს არ გვაცლიან.

— ავადმყოფმა ზღურბლზე გაიხადა თექურები, — წყნარად უთხრა პეტრემ, თან გაიფიქრა: „იმ ქალმა, მედიცინით ჩემი გატაცება რომ გაიგო, წიგნი გამომიგზავნა. ყველაფერს მიმიხვდა, თანაც რა დღეში იყო მაშინ... ამას კი არ სურს ან არ შესწევს უნარი, რომ გამიგოს“...

უცებ პეტრე გაცხარდა:

— არა, ლიპა, ავადმყოფის მკურნალობას მე არ შევწყვეტ. კარ-

გად იცოდე ეს. არ დავანებებ ამ საქმეს თავს, რაც არ უნდა მელაპარაკო.

გატრიალდა და გაიხურა კარი.

ცოლთან ჩხუბი უფრო და უფრო ხშირად მოსდიოდა.

ჯერ გუშინდელი უსიამოვნება არ დავიწყნოდათ, ოლიმპიადას მიერ აგაშასადმი უდიერად მოპყრობის გამო რომ მოუხდათ და დღეს ისევ წაიჩხუბნენ.

გუშინ მოსამსახურე გოგოს სინი ხელიდან გაუვარდა და ლამაზი, ახლადნაყიდი ლამბაქ-ფინჯნები დაემტვრა. გოგო იატაკზე ხოხვით კრეფდა ნატეხებს. პეტრემ დაინახა, როგორ შევარდა სამზარეულოში ჭურჭლის მსხვრევის ხმაზე ოლიმპიადა. ქალმა ჯერ თავში წაივლო ორივე ხელი, თითქოს დიდი უბედურება დასტყდომოდეს თავს, მერე კი ჩაჯდა და იატაკზე მხოხავ აგაშკას ლოყებზე გააწნა და გააწნა სილა.

პეტრე სამზარეულოში გავარდა, ცოლს ხელები დაუჭირა და აგაშკას მოაშორა, მაგრამ ოლიმპიადამ როგორღაც მოახერხა დასხლტომა და ახლა წიხლები ჩასცხო ვოგოს. აგაშკამ მუცელზე იტაცა ხელები და ჩახრინწული ხმით აყვირდა.

პეტრემ საწოლ ოთახში გაათრია ოლიმპიადა, ლოგინზე შეაგდო და კარი გადაუკეტა.

პეტრე მთლად კანკალებდა და ერთ ხანს ხმას ვერ იღებდა. ოლიმპიადამ კი თვალთმაქცური ქვითქვითი ატეხა.

— ჩემი ფინჯნები, ჩემი საყვარელი ფინჯნები! — მოთქვამდა იგი.

— ყური მიგდე, ლიპა, — უთხრა მრისხანედ პეტრემ და ცოლმაც წამსვე ენა მუცელში ჩაიგდო, უცრემლო სახიდან ხელები მოიშორა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა ქმარს. თავისი ქმარი ჯერ არ ენახა ასეთი გაცეცხლებული,—შენც ხომ ყმა დედაკაცი ხარ, რად გავიწყდება, რა საშინელებაა ძალმომრეობა... ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ თავად ჩავარდე აგაშკას დღეში.

— რას ამბობ, როგორ? — შეკრთა ოლიმპიადა.

— ისე. შეიგნე, ყმა ქალი ხარ-მეთქი. შეიძლება ხვალ თავის მოახლედ მოგითხოვოს სოფია ვლადიმიროვნამ ან მისმა ქალმა ნატალია პავლოვნამ. მაგრამ, ვიცი, ისინი ნებას არ მისცემენ თავს,

ბუცელში წიხლი ჩაგცხონ ან სახეში გირტყან, თუ მათთვის ძვირფასი ფინჯნები დაგემტვრევა!

ბოლოს, როგორც იქნა, ოლიმპიადა მიხვდა, რასაც ეუბნებოდა ქმარი.

— ხომ დაპირდი მამაჩემს, თავს გამოვისყიდითო... მაგრამ შენ ხომ... — ოლიმპიადას სხვა აღარაფერი უთქვამს, უცებ მიხვდა, რა ცუდ დღეშიაც იყო და ახლა მართლა ატირდა.

პეტრე კი იმაზე ჩაფიქრდა, რა მალე ავიწყდება კაცს საკუთარი ჭირი და სხვისი ჭირისა აღარა ესმის რაო. მას მოაგონდა ვასილი ალექსანდროვიჩ ვოლეგოვის მეუღლე, ანნა მაქსიმოვნა — მბრძანებლური, მხნე ქალი, ვიზედაც მთელს ილინსკოეში ცუდი ხმები დადიოდა.

თავადაც ხედავდა პეტრე, რომ ვოლეგოვი მდიდრულად ცხოვრობდა და არც არავისთან არ მალავდა ამას. სოფია ვლადიმიროვნას განკარგულებით, მას უფლება ჰქონდა, ეხარჯნა განსაზღვრული თანხა „სტუმართმოყვარეობისათვის“, მაგრამ იგი საკუთარსაც ბევრს სდებდა სტუმრების მისაღებად და მეჯლისების გასამართავად.

16 ივლისს, მისი „სახელწოდების დღეს“, სვეტებიან თეთრ სახლში მთელი გუბერნია იკრიბებოდა, უკრავდა შინაყმების ორკესტრი, მღეროდა გუნდი. მანამდე კი, ერთი კვირით ადრე, ანნა მაქსიმოვნა თავისი ჭკუით არჩევდა ხოლმე მარჯვე მონადირეებს, რომ სლუდკის (ქამის) სათიბებში სადღეობოდ ფრინველი დაეხოცათ. როცა მონადირეებს კარგი ნანადირევი მოჰქონდათ, მათ ანნა მაქსიმოვნა შეაქებდა ხოლმე და ბრძანებდა, თითო ფიალა არაყი გადაახუხინეთო. მაგრამ ვაი მათი ბრალი, თუ ცუდი ნადირობა ექნებოდათ. მოურავის უფლებამოსილი, ყოვლისშემძლე ცოლი მონადირეებს სილის გაწვნით ასაჩუქრებდა ხოლმე. მონადირეები კი ამ ქალს ვერავისთანაც ვერ უჩივლებდნენ.

ხალხში რაღას არ ამბობდნენ: ერთნი ლაპარაკობდნენ, ვოლეგოვმა არ იცისო ცოლის სისასტიკის ამბავი, მეორენი ამტკიცებდნენ, მოურავმა ყველაფერი იცის, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ამ მბრძანებელ, უგუნურ ქალს და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ პეტერბურგის მთავარმა კანტორამ არ გაიგოს, მისი ცოლი რასაც ხჩადის და სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვას ყურამდე არ მიაღწიოსო.

პეტრეს მოაგონდა ეს ყველაფერი და გადაწყვიტა, მსგავსი კადნიერებანი ოლიმპიადას დაუყოვნებლივ უნდა ავაკვეთინოო.

პეტრე სამზარეულოში გავიდა.

დამტვრეული ფინჯნები სინზე ეყარა; იატაკზე იჯდა აგაშკა, თვალებზე ხელები აეფარებინა და ტიროდა.

პეტრე გვერდით დაუდგა, არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის სანუგეშოდ და ხელი დაადო თავზე. აგაშკას თეთრი, ჭუჭყიანი თავსაფარი ჰქონდა წაკრული და იქიდან ბღუჯა-ბღუჯად ამოსჩროდა წითური თმა.

— ნუ გეშინია, აგაშკა, არავის დავაჩაგვრინებ შენს თავს, — უთხრა პეტრემ.

გოგომ სველი, კაჭკაჭის კვერცხივით ჭორფლმოდებული, ცხვირ-აპრეხილი სახე ასწია და მწარედ ატირდა მთელი ხმით.

— წავიდოდი თქვენგან... აქამდეც მოგშორდებოდით, — ძლივს გამოასახელა ტირილში, — მაგრამ წასასვლელი რომ არსადა მაქვს... ვის რად ვუნდივარ კოჭლი?!

პეტრემ კარადიდან ბოთლით ვალერიანის ნახარში გამოიღო, ტოლჩაში ჩაასხა და ძალით დაალევინა აგაშკას.

გოგომ დალია თუ არა მაშინვე დაწყნარდა.

მეზონინში ამავალ კიბეზე მარფა დანილოვნა იდგა და დუმილით ადევნებდა თვალს ამ ამბავს. ქალს კოხტა ქვედაკაბა ეცვა და ჭრელი თავშალი ეხურა. შავი, მბზინვარე თმა ლამაზად აევარცხნა, მრგვალი, ბოშური საყურეები უბრწყინავდა ყურებზე.

მარფა დანილოვნამ მზერა ესროლა პეტრეს, გვერდით ჩაუარა, გაუღიმა და თავის ქალიშვილივით ჩასხმული, თეთრი კბილები გამოაჩინა. პეტრემ ვერ გაიგო, რად გაუღიმა ასე: ან მეწყინდა მისი საქციელი, ან დასცინოდა. სიდედრს კი თქმით არაფერი უთქვამს, ქვედაკაბის შრიალ-შრიალით წავიდა და, ალბათ, გვიანობამდე აღარც დაბრუნდებოდა.

„სიცოცხლის ყოველ წამს დაჰკანკალებს... ოჰ, გრძნობს ალბათ, რომ მალე დადგება დრო, როცა... — გაიფიქრა პეტრემ და თავის თავს ჰკითხა: — ნეტა თუ იცისო ფედორ ნიკიტიჩმა, როგორ ატარებს დროს უმისოდ მისი ცოლი? — და გადაწყვიტა: — არა, არ ეცოდინება, თორემ აიძულებდა, მასთან წასულიყო". იქნება თვითონ უნდა მისწეროს ყველაფერი? მაგრამ ცუდი ამბის მიწერა და

სიმამრის აღელვება არ უნდოდა პეტრეს, არც ჰქონდა უფლება. ხოლო ოლიმპიადა თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. ან იქნება მიეჩვია ან ამბავს? ვინ იცის, იქნებ ქმრის დროსაც ეწეოდა დედამისი ასეთ მხიარულ ცხოვრებას?

სამზარეულოდან დაბრუნებული პეტრე მთელი საღამო ბალახებს თუთქავდა და წალავდა, იგი დარწმუნდა, რომ სწორედ ასე მოხარშული წამალი რგებდა კარგად კაცს. რა თქმა უნდა, მის დამზადებას წვალება სჭირდებოდა, ბევრად უფრო იოლი იყო სპირტის ხსნარის გაკეთება, მაგრამ პეტრემ გადაჭრით უარი თქვა მასზე — ის კი არა და, საშინაოდაც ისეთი ბალახის ფესვებსაც ხარშავდა, როგორიც ვალერიანი იყო.

სამზარეულოში პეტრეს კარადა და მაგიდა ჰქონდა გამოყოფილი სამუშაოდ.

საღამოთი ორი ავადმყოფი კიდევ მოვიდა, რამაც ოლიმპიადა გაანაწყენა და, გვიან ღამითაც, როცა ცოლ-ქმარი უკვე დასაძინებლად იწვა, კარზე მარფა დანილოვნამ მოუკაკუნათ:

— შენთან არიან, პიოტრ იაკოვლევიჩ!

ცოლის გაცხარებულ ბუზღუნში პეტრემ ტანთ ჩაიცვა და წინა ოთახში გავიდა.

— პიოტრ იაკოვლევიჩ, მიშველე, შვილო, მთელი სიცოცხლე შენი მლოცველი ვიქნები, — მთელი სახლის გასაგონად მოთქვამდა მეზობლის ქალი. — ჩემი გოგო მშობიარობს. გუშინდელს აქეთია წვალობს! მთლად გაუწყდა არაქათი.

პეტრემ ხმისამოუღებლად ჩაიცვა ქურქი, თექურები, დაიხურა ქუდი, აიღო სამგზავრო საკვოიაჟი და ინსტრუმენტები.

მარფა დანილოვნა გუშინდელივით კიბეზე იდგა და იღიმებოდა. მხოლოდ ახლა კაპოტი ეცვა და ორი გრძელი, შავი ნაწნავი მკერდზე ეყარა, რაც საოცრად ახალგაზრდას აჩენდა.

პეტრე რომ დაბრუნდა, შინ ყველას ეძინა, ფრთხილად გაიხადა და დაწვა, რომ ცოლი არ გაეღვიძებინა. დაწვა და დიდხანს არ დაეძინა. დედაბერმა მაინც მოახერხა და ქურქის ჯიბეში ფული ჩაუდო. თავად პეტრე ძალზე დაღლილი იყო იმ დღის სამსახურისგანაც, წამლების დამზადებისგანაც, ცოლის ბუზღუნისგანაც და მეზობლის გოგოს მძიმე მშობიარობისგანაც. იმ დღეს გოგონა დააბადებინა მეზობლის ქალს. და ჯერ კიდევ იქ, ავადმყოფის საწოლთან მდგარმა

გაიფიქრა, რომ ოლიმპიადა მართალს ეუბნებოდა. ასეთი მძიმე შრომა ყოველდღიურად და ისიც უფასოდ — სწორედ რომ სისულელე იყო.

თუმცა ეს გადაწყვეტილება ძალზე ანაღვლებდა, მაგრამ მტკიცედ კი მიიღო. და მას მერე დაიწყო პაციენტებისაგან ფულის აღება. ეტყობოდა, მოწიფულობა ეწვია და მან დასჯაბნა სიყმაწვილის მშვენიერი რომანტიკა. მას მერე პეტრეს აღარ მოშორებია ფიქრი იმაზე, რომ თავადს მისი გასამრჯელო ემართა.

უწინარეს ყოვლისა უნდა შეეტყო, ჯანმრთელად იყო თუ არა ყმაწვილი თავადი. ამას მაშინ გაიგებდა, თუ ილინსკოეში წავიდოდა. ყველაფრისა და ყველას ამბავი სტროგანოვთა პერმის განუყოფელი მამულის მოურავთან იყრიდა თავს. უნდა მოლაპარაკებოდა მოურავს.

მაგრამ პეტრემ ვერ მოასწრო ვინმე იქითკენ მიმავლის პირით ეთხოვნა ვოლეგოვისათვის, რამდენიმე დღით ილინსკოეში გამიხმეო, რომ უცებ თავად მოურავმა უხმო პეტრეს. ნუთუ მიხვდა პეტრეს სურვილს, ან გულმა უგრძნო?

გზაზე დამდგარი პეტრე ღელავდა. ოლიმპიადას მალე უნდა ემშობიარა, მაგრამ წაუსვლელობაც არ შეიძლებოდა.

ილინსკოეში პეტრე ყინვიან დღეს ჩავიდა, ხუთი საათი იქნებოდა. მაგრამ ზამთრის დღე მოკლეა და დედამიწას უკვე ბინდი ეკრა, ცაზედაც, როგორც ბალღობაში უნახავს პეტრეს, მთვარე ისახებოდა მრგვალად.

პეტრე დაფიქრდა, საით წავიდეო — სამმართველოს შენობისაკენ თუ ჩემიანებთანო.

მაგრამ გზად სამმართველოსთან უნდა ჩაევლო და ამიტომ პირველად იქ შეიარა. პეტრე, ჩვეულებისამებრ, კარიდანვე მდაბალი თავისდაკვრით მიესალმა მოურავს, ხელში მოკრძალებით ჭმუჭნიდა ბეწვის ყურებიან ქუდს.

ვოლეგოვი რატომღაც საჩქაროდ გამოეგება პეტრეს.

„ეტყობა, ახსოვს ჩემი გულახდილად ნათქვამი, როგორ მიჭირს მჯდომარე ბატონების წინაშე დგომა“, — გაიფიქრა პეტრემ.

მაგრამ ამიტომ არ წამომდგარა და მიგებებია მას მოურავი, სხვა გრძნობამ აიძულა.

მან სალამზე სალმით უპასუხა პეტრეს და მაშინვე ეს ჰკითხა:
— შინ თუ იყავი?
— ჯერ არა...
მოურავმა მხარზე ხელი დაადო პეტრეს.
— წადი შინ. ხვალ მოვილაპარაკოთ. სახლში დიდი უბედურება გელოდება...
ვოლეგოვს არ უთქვამს, თუ რა უბედურება ელოდა. პეტრემ იგრძნო, როგორ გაეწურა გული, სათქმელს თავი ვეღარ მოაბა, გატრიალდა და წავიდა. გზად შენიშნა, ერთ-ერთ კარში როგორ გაიელვეს ნაცნობების სახეებმა, მაგრამ მას თავი აარიდეს და ოთახის სიღრმისკენ დაიწიეს.
„ალბათ პაპა გარდაიცვალა", — გაიფიქრა პეტრემ გულისტკივილით და სინანული იგრძნო, რომ იგი, მისი შვილიშვილი, ასე ცოტა ყურადღებას აქცევდა ავადმყოფ ბერიკაცს.
მაგრამ უფრო უარესი მომხდარიყო: ავადმყოფ პაპას სიკვდილი კარს მოსდგომოდა, მაგრამ ჯერ ცოცხალი იყო... გარდაცვლილიყო პეტრეს დედა, აგრაფინა სპირიდონოვნა. უეცრად მომკვდარიყო, გული სცენაზე გახეთქოდა. პერმში, სადაც ილინსკოეს თეატრი წარმოდგენებს მართავდა. დედა ბრმა მათხოვრის როლს თამაშობდა თურმე, რომელიც ძალაგამოცლილი ეცემა ღობის ძირას და კვდება. ამით მთავრდებოდა სპექტაკლი.
როცა ხალხის მხურვალე ტაშზე ფარდა ასწიეს, მსახიობი ქალი არ ამდგარა. ფარდა ისევ დაუშვეს, იფიქრეს, ჯერ კიდევ ვერ დგება, როლიდან ვერ გამოდისო. მერე ისევ ასწიეს ფარდა და ისევ არ ადგა მსახიობი... მოუხმეს ექიმს და მაშინ უკვე ყველაფერი გამოირკვა...
პეტრეს ჩამოსვლამდე სამი დღით ადრე, სანამ ის გზაში იყო, აგრაფინა სპირიდონოვნა დაეკრძალათ ილინსკოეს სასაფლაოზე, თავის ქალიშვილის ევლამპიას გვერდით.
ახლა კვლავ მოურავის კაბინეტში იჯდა პეტრე და, ამ წელში გამტეხი მწუხარების მიუხედავად, ასე მოულოდნელად რომ დაატყდა მთელს ოჯახს, თავის საქმეებზე ლაპარაკობდა.
მწარე ფიქრებში გატარებული იმ უძილო ღამის მერე, პეტრე უფრო მეტად იყო გაბოროტებული თავისი ყმური ცხოვრების გამო.
— მერე ვინ დაადგინა, ვინ-მეთქი? ნუთუ ღმერთმა განსაზღვრა

ასე: ერთნი თავისუფლებას მოკლებული, უტყვი მონები იყვნენ, მეორენი — მათი ბატონები, რომელთაც უფლება ექნებათ, იყიდონ, გაყიდონ, გაასაჩუქრონ, სცემონ და დახოცონ კიდეც თავიანთი მონა-ყმებიო? თან არც ღმერთის, არც ხალხის წინაშე პასუხი არ აგონო? რად არის ასე, რად?

ეს სულის ყივილი იყო.

ჰოდა, მოურავმა, მაშინდელივით, ახლაც შეაჩერა პეტრე:

— იცოდე, რომ კედლებსაც ყურები ასხია, — მერე ხმას დაუწია და დაუმატა:—ნუ აჭიანურებ, ყმაწვილო, თავადის წამლობის საფასურის მიღებას. ბიჭი ჯანზეა, მაგრამ ახლა თავადია ავად. დაჯექი აქ, — მოურავმა კუთხეში მდგარ პატარა მაგიდაზე მიუთითა, — და წერილი მისწერე მის ბრწყინვალებას. მე გპირდები, რომ საკუთარ ხელში გადასცემენ თავადს შენს წერილს. ჩემი გაგზავნილი კაცი სანდო პირია.

პეტრე ყოყმანობდა.

— იცოდე, ნუღა გადადებ ამ საქმეს. მეც ხომ მუდამ ამ მაგიდასთან არ ვიჯდები...

მაშინ რა იცოდა ვოლეგოვმა, რომ სიკვდილამდე იმ მაგიდასთან იჯდებოდა, არ იცოდა, რომ გრაფინია სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვაზე მეტ ხანს იცოცხლებდა. და როცა სტროგანოვთა მამული სოფია ვლადიმიროვნას უფროსი ქალიშვილის, ნატალია პავლოვნას ხელში გადავიდოდა, ეს ქალი თავის ქმარს, სერგეი გრიგორევიჩ სტროგანოვს მისცემდა რწმუნებას, ის კი 1864 წელს მამულში რომ ჩავიდოდა, ისევ ვოლეგოვს დანიშნავდა მოურავად. მან არ იცოდა, რომ წილად ხვდებოდა უდიდესი აქტის — სტროგანოვთა პერმის ადგილ-მამულში გლეხების გაგზატების — გატარება. ილინსკოეს მიწების გამოყოფას მაშინ ექვემდებარებოდა 30389 სული გლეხი. შინაყმები კი ნადელებით მოისტუმრეს...

პეტრემ აიღო ქაღალდი, კალამი მელანში ჩააწო და მეუდგა წერას:

თქვენო ბრწყინვალებავ! თქვენ შეწუხებას ბედავს თქვენი ნაცნობი მკურნალი, სოფია ვლადიმიროვნა სტროგანოვას შინაყმა პიოტრ იაკოვლევიჩ კუზნეცოვი. პირველსავე დღეს, როცა გეახელით და ყმაწვილი თავადის წამლობაზე დაგთანხმდით, ფული შემომთავაზეთ, რაზედაც

უარი ვითხარით, რადგან ხალხურ რწმენას ვეყრდნობოდი: ავადმყოფს იმ მკურნალის წამლობა მოარჩენს ვინც საფასურს არ აიღებსო.

მე ვიცი, რომ თქვენი ვაჟი ახლა ჯანმრთელად არის და მეც, თქვენო ბრწყინვალებავ, თანახმა ვარ ჩემი მოკრძალებული შრომის ვასამრჯელოდ მივიღო ის ჯილდო, რის მოცემასაც თქვენ საჭიროდ ჩათვლით.

ამ წერილის მომტანი გადმომცემს ფულს, რისთვისაც, თქვენო ბრწყინვალებავ, მთელი სიცოცხლე თქვენი მადლობელი ვიქნები.

— აბა, პეტრუშა, დაასრულე? — ჰკითხა ვოლეგოვმა.

— დავასრულე. მაგრამ სული ისე მაქვს ამღვრეული, ლამის ნაფლეთებად ვაქციო ეს წერილი...

— ნუ სულელობ, — უთხრა მკაცრად ვოლეგოვმა. — გახსოვდეს, რომ ლაპარაკია მთელს შენს ცხოვრებასე. და არამარტო შენს ცხოვრებაზე. გინდა, რომ შენი ვაჟიშვილიც ყმად დარჩეს?

პეტრეს არაფერი უპასუხნია.

იგი დედაზე ფიქრობდა. მოაგონდა სცენაზე ნანახი დედა... ღმერთმა ეს ქალი დიდი ნიჭით დააჯილდოვა, მაგრამ ყველასათვის უცნობი დარჩა. ყმა მსახიობი ქალი! რაღა უნდა ყოფილიყო ამაზე საშინელება?

პეტრე ძალზე განიცდიდა, რომ ბებერი პაპა, ჭკვიანი, კეთილი. მაგრამ ავადმყოფი და საწოლს მიჯაჭვული, გუშინ დავრდომილთა თავშესაფარში წაიყვანეს. პეტრე დაჰპირდა, ჩამოვალ და ჩემთან წაგიყვანო... თუმცა იცოდა, რომ ოლიმპიადა არ დათანხმდებოდა ბერიკაცის შენახვაზე. რაზე გაიხდიდა ხათაბალად!

ვოლეგოვმა ფიქრი არ შეაწყვეტინა პეტრეს, აიღო მისი წერილი, გადაიკითხა, კმაყოფილი დარჩა და, ყოველი შემთხვევისათვის, პეტრემ უცებ არ გადაიფიქროსო, მაგიდის უჯრაში შეინახა.

— ახლა ყველაფერს მისი ბრწყინვალების კეთილშობილება გადაწყვეტს, — თქვა მან და გაიფიქრა: „არა, კეთილშობილება კი არა, უფრო მეტად მისი ხუშტურიანობა გადაწყვეტს“. ვოლეგოვი კარგად იცნობდა თავადს.

ამ დროს ერთმა მოსამსახურემ მოურავს შემოუტანა გაბერილი საქაღალდე, რომელშიც წერილები იყო ჩაკერებული. ვოლეგოვი მაგიდას მიუჯდა და ქაღალდები გადაფურცლა. მერე მოსწყდა მათ და პეტრეს უთხრა:

— საჩივრებია ჩემზე გრაფინია სოფია ვლადიმიროვნასთან მი-

წერილი, თითქოს მე მომეგონებინოს ბრძოლა სტაროვერებთან. მე ნაბრძანები მაქვს, თვალყური მეჭიროს, რათა ბალღები მონათლონ, თორემ მათ მშობლებს ასი როზგი არ ასცდებათ, ჰოდა, მეც მიჭირავს თვალი.

— მაშ, თქვენც გიჩივიან? — ჰკითხა პეტრემ. — კარგია, რომ თქვენთან ხვდება ეგ საჩივრები.

— ჰო, კარგია მაგრამ ყველა არ ხვდება ჩემთან. რა თქმა უნდა...

„ჰო, არც ვოლეგოვი ყოფილა ყოვლისშემძლე", — გაიფიქრა პეტრემ. და უცებ ბოლმით გაახსენდა, რომ ხალხი ავს ამბობდა მოურავზე, თითქოსდა სტაროვერების ლიკვიდაციასა და გაროზგვაში მხურვალე მონაწილეობისათვის მას არქიმანდრიტის მადლობა დაემსახურებინოს.

იმ დროს, პეტრე რომ ილინსკოეში იმყოფებოდა და დედის სიკვდილსა და პაპის უიღბლო ბედს დასტიროდა. ოლიმპიადას ვაჟი შეეძინა.

ბიჭს ნიკოლაი დაარქვეს.

(ეს გახლდათ ჩემი პაპა, ნიკოლაი პეტროვიჩ კუსნეცოვი, ვისი ხელითაც არის გადაჭრელებული მესამე რვეული ჩვენი საგვარეულო დღიურისა).

ყრმა ჭრელი ფურჩალებით მორთულ აკვანში იწვა, ჭერზე რომ იყო ჩამოკიდებული, ოლიმპიადა კი იატაკზე დაშვებულ მარყუჟში უყრიდა ფეხს და არწევდა აკვანს. მოუსვენარი, მტირალა ბავშვი გამოდგა, მაგრამ პეტრე უსაზღვროდ ამაყი და ბედნიერი იყო: სიყრმის შვილი ვაჟი ჰყავდა!

ოჯახში ყველაფერი შეცვალა ბავშვის გაჩენამ. თითქოს უფრო განათდა და გათბა იქაურობა — ცოლიც უფრო ძვირფასი და მახლობელი გახდა პეტრესთვის. ოთახში თოთო ბავშვის მოტკბო-ნაზი სურნელი იდგა, სიცოცხლის, სიმყუდროვისა და ბედნიერების სურნელი. პეტრეს შინიდან წასვლა აღარ უნდოდა, მან მხოლოდ ახლა გაიგო, რა არის საკუთარი ოჯახის, საკუთარი სახლის სიტკბოება...

ის კი არადა, სიდედრიც მოშინაურდა თითქოს. ოლიმპიადას ბავშვის დაბანაში და გახვევაში ეშველებოდა.

ოჯახის სიმყუდროვე ფედორ ნიკიტიჩის ნაღვლიანმა წერილმა დაარღვია. იგი იწერებოდა, რომ სერიოზულად ვარ ავადო, ვგრძნობ, რომ მალე შოვკვდები და, ალბათ, ველარ მოვესწრები ნანატრ თავი-

სუფლებასო. ფული, ამ მიზნით რომ მოვაგროვე, ჯერ ცოტა მაქვს. მაგრამ რაც მაქვს, იმასაც და ბილიმბაის სახლსაც პეტრესა და ოლიმპიადას ვუტოვებ ანდერძად და ვევედრები პეტრეს. რაიმე გზით იშოვოს თავისი, ოჯახისა და შვილიშვილის გამოსასყიდი თანხაო. წერილის ბოლოს იგი თხოულობდა, ჩამომაკითხეთ და ბილიმბაიში წამიყვანეთ, მარტო ცხოვრება აღარ შემიძლიაო.

პეტრემ ცოლს წაუკითხა წერილი და უნდოდა სიდედრი მოეხმო, რომ რჩევა ეკითხა, მაგრამ ოლიმპიადა ცივი უარით შეხვდა ამას.

— არ არის საჭირო, — თქვა მან. — დედაჩემი მაშინვე ბარგს აიკრავს და მამაჩემის ფულებს გამოუდგება. ასე ვუთხრათ, თითქოს ქარხანა რაღაც დავალებით შენ გგზავნის საბადოებზე.

„საიდან გამოჰყვა ეს ანგარიშიანობა, გონებაფხიზლობა?" — გაიფიქრა პეტრემ და ცოლს მიაშტერდა.

ოლიმპიადა ძალზე შეიცვალა. კოხტაპრუწა გოგო. ძალით ხითხითს რომ აიტეხდა ხოლმე, დარბაისელ ქალად იქცა. გასუქდა და თითქოს გამაღლდა კიდეც. მბრძანებლური მიხრა-მოხრა და უფლებამოსილად ლაპარაკი ისწავლა. ახლა ხშირი თმა კეფაზე ჰქონდა ახვეული. კულულებს აღარ იკეთებდა და ასეთი ვარცხნილობა მის მოგრძო, თეთრ პირისახეს სერიოზულ ელერს აძლევდა. ოლიმპიადა ხშირად აღარ ხითხითებდა, ის კი არადა, იშვიათად თუ გაიღიმებდა. პეტრემ შენიშნა, რომ მის ცოლს სახეზე ზრუნვა აღებეჭდა. ძლივს შესამჩნევ წარბებს ისე ხშირად შეჰყრიდა ხოლმე ერთად, რომ მათ შუა ხაზი გაჩნდა. მომავალში იგი ალბათ ნაოჭად იქცეოდა. ცივ. მომწვანო თვალებსა და წვრილ, ავად მოკუმულ ტუჩებში ეჭვი ჩაღდგა.

მარფა დანილოვნამ ქალიშვილისა და სიძის ყველა საიდუმლო იცოდა. როგორც კი ოლიმპიადა კარს გაიხურავდა, იგი მიიპარებოდა კართან და კლიტის ჭუჭრუტანას ყურს ადებდა. ახლაც მოისმინა ქმრის წერილი. საღამოთი ფეხიც არსად გადგა, ვახშმად სამოვართან იჯდა და ჩაის ასხამდა. მერე, ვითომც აქ არაფერიო, ისე თქვა თავისი ახალგაზრდული, დათაფლული ხმით:

— ფედიასთან ვაპირებ წასვლას. გული მტკივა. ცუდი სიზმარი ვნახე ქმარზე. მარტო ცხოვრება საძაგლობაა. ახლა თქვენ უჩემოდაც გაართმევთ ოჯახს თავს.

ოლიმპიადას ბაცი წარბები მრისხანედ შეიკრნენ, მწვანე თვალებმა ჯერ ცეცხლი გაკვესა, მერე დაებინდა.

მარფა დანილოვნა ქირდვით შესცქეროდა თავის ქალიშვილს და მხიარულად განაგრძობდა:

— ვინ უნდა იყოს ქმრის გვერდით, თუ არა მისი ცოლი, როცა ღმერთი ჯანს აცლის კაცს? ხვალვე შევუკვეთავ ფორანს. ჩემი პარგის აკვრას რა უნდა? დილაადრიან გავუდგები გზას.

პეტრე მდუმარედ იჯდა. აბა, რას უნდა შედავებოდა სიდედრს? სამაგიეროდ, მუდამ თავშეუკავებელი ოლიმპიადა აყვირდა, მაგრამ რას აყვირდა:

— თუ მასეა, რატომ აქამდე არ წახვედით? არ იცოდით, განა, რომ მამა ავად იყო? ერთხელ არ მოუწერია და ორჯერ, ავადა ვარო. არ გეცალათ, ხომ? კარტს თამაშობდით, არა? დილამდე დროს ატარებდით, ხომ, სხვის სახლში? ღამღამობით კი კაცები მოგყავდათ, ხომ, შინ?

— ლიპა! გაჩუმდი! — შეძრწუნდა პეტრე, ბალღობიდანვე მშობლების პატივისცემით მოპყრობას რომ იყო ჩვეული.

მაგრამ ოლიმპიადას უკვე ვეღარავინ დააკავებდა. ყვირილით ისროდა რაღაც გაუგებარ სიტყვებს და ვერ ამჩნევდა, რომ კარში პირდაღებული იდგა აგაშკა, საწოლ ოთახში კი ბიჭი იჭაჭებოდა ტირილით.

მაგრამ მარფა დანილოვნა ისე არხეინად შეხვდა თავისი ასულის ნათქვამს, პეტრე კიდევ უფრო მეტად გაოცდა.

სიდედრი უცებ წამოდგა, კაბა ჩამოისწორა, მხარზე მოგდებული აბრეშუმის თავსაფარიც მოიკოხტავა და ღიმილით თქვა:

— შენ მუხლებზე ჩოქვით შეეხვეწები კაცებს, ჩემთან მოდითო, მაგრამ ვერ მოგართვეს, ღმერთმანი, არავინ მოგეკარება. აი, ეს ერთი — მარფა დანილოვნამ პეტრეზე ანიშნა. — სულელი გამოგიჩნდა მხოლოდ. თანაც შენ ცი არა, შამაშენმა გამოიჭირა იგი. მეტი ბრიყვი, იცოდე, აღარ გამოჩნდება! კარგად დაიხსომე ჩემი სიტყვა — აღარ გამოგინჩნდება-მეთქი! ვის რად უნდა შენისთანა ავი და გაქუცული ვირთხა?!

მერე მარფა დანილოვნამ თეძოები შეათამაშა, გავიდა გვერდითა ოთახში, იქიდან შინა ოთახში და მეზონინის კიბეს აუყვა.

საბადოზე მარფა დანილოვნა გაემგზავრა და მალე მისგან მოვიდა ამბავი, ფედორ ნიკიტიჩი გარდაიცვალაო...

მარფა დანილოვნამ ქმარი საბადოს სასაფლაოზე დაკრძალა, თავად კი ჯერჯერობით საცხოვრებლად დარჩა დაბაში, ოქროს მაძიებლებსა და გაქცეულ კატორღელებთან.

რამდენიმე თვის შემდეგ პეტრესა და ოლიმპიადამდე მოაღწიეს ხმებმა, მარფა დანილოვნა ცოლად გაჰყვა საბადოს ახალ მმართველს და დიდ სიმდიდრესა და პატივში ცხოვრობსო...

სოფელ ილინსკოეს არქივში ინახება გრაფ სერგეი გრიგორევიჩ სტროგანოვის ბრძანება, 1848 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული.

...ნიკიტა კოლცოვზე უწყისით 99 მან. 293/4 კაპ. დავალიანება ირიცხება, რაც უნდა გადაიხადოს პიოტრ კუზნეცოვმა, რომელიც კოლცოვის მამულის მემკვიდრეა. მაგრამ 1849 წლის კრებულში[1] *ამ ვალის ანგარიშზე არაფერია გადახდევინებული, თანაც კუზნეცოვი კარგი ქონების პატრონია და მე ბილიმბაის სამმართველოს მეშვეობით ათასი მანეთი შემომთავაზა ყმობიდან თავის გამოსასყიდლად! მაშასადამე, ნათელია, რომ მევალეს ბილიმბაიში სახლიც აქვს და კაპიტალიც; ჩემი ვალის გადახდა კი ფიქრადაც არ მოსდის, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება ამაზე არაფერს ეუბნება და მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ აღნიშვნებს აკეთებს უწყისში, რასაც არავინ აქცევს ყურადღებას. შენიშვნას ვიძლევი რა მდიდარი მევალისადმი ასეთი ლმობიერებისათვის, მინაწერს ვაკეთებ, რომ დაუყოვნებლივ გადაახდევინოთ მას აღნიშნული თანხა ნაღდ ფულად, ხოლო თუ კვლავ თავს აარიდებს გადახდას, კოლცოვის სახლი ჩამოერთვას და ბინად მიეცეს მოსამსახურეებს.*

გრაფი ს. გ. სტროგანოვი.

ეტყობა, გრაფი, ვინც ამდროისათვის უკვე თავისი ცოლის, ნატალია პავლოვნას მხრიდან სტროგანოვთა პერმის სამფლობელოების მემკვიდრე გახდა, გაოცებული იყო, თუ მის შინაყმას პეტრე კუზნეცოვს საიდან ჰქონდა ამდენი ფული.

მართლაც, ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ბილიმბაის გამგეობაშიაც და მთელ ბილიმბაიშიც. პეტრეს ხომ ხელფასისა და წამლობაში აღებული რაღაც გროშების გარდა სხვა შემოსავალი არ გააჩნდა.

---

[1] ამ შემთხვევაში იგულისხმება მამულიდან წლიური შემოსავლის კრებული (ავტორის შენიშვნა).

აბა, ვის ეცოდინებოდა შორეული, პეტერბურგში მომხდარი ამბავი. როცა პეტრე კუზნეცოვმა თავადის ვაჟი განკურნა? ვის ეცოდინებოდა, რომ პეტრემ, რომელმაც თავის დროზე უარი თქვა გასამრჯელოს აღებაზე, მოგვიანებით მაინც სთხოვა ფული თავადს და მისი თხოვნა უპასუხოდ დარჩა? თუმცა თავადის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე წელიწადი რომ გავიდა, პეტრემ მაინც მიიღო ის ფული. მერე ვის მოაგონდა მკურნალი შინაყმა? ვინ აანაზღაურა ასე გულუხვად მისი დიდი სამსახური?

დღიურში მხოლოდ მოკლედ, მშრალად წერია:

ყრმობიდან გამოსასყიდი ფული უკვე მაქვს. ჩემი შრომა ანაზღაურებულია.

ამ ფურცლამდე დღიურში არანაკლებ ათი ფურცელი მაინც არის ამოხეული. მაგრამ საიდუმლო, რაც ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი, ზოგჯერ გამოაშკარავდება ხოლმე. ერთ-ერთ არქივში მასალებს რომ ვარჩევდი, ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა შენიშვნამ გაზეთში „სამანუფაქტურო და სამთამადნო-საქარხნო ამბები“, რომელშიც მოხსენიებულია, რომ 1848 წელს თავად №-ის ვაჟმა მოინახულა ბილიმბაის ქარხანა და მეც ფონებაში აღვადგინე რამდენიმე ფურცელი, ამოხეული რომ არის იმ ჩემი წინაპრის დღიურიდან...

პეტრეს აღარც სურდა მოეგონებინა ის იმედები, ოდესღაც, ახალგაზრდობაში, თავადის დაპირებული გასამრჯელო რომ აღუძრავდა.

თავადის სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, იმედი მთლად გადაუწყდა.

დრო კი მიდიოდა.

ერთხელ პეტრე ქარხნის კანცელარიაში მაგიდასთან იჯდა, რომ უცებ მოესმა ოთახში ნათქვამი: „მისი ბრწყინვალება მოვიდა“. ჯერ იყო და, პეტრემ იფიქრა, ალბათ, მომეყურაო. მაგრამ თავადის ვვარი გარკვევით წარმოთქვა ბუღალტრის მეორე თანაშემწემ, ანტონ პეტროვიჩმა.

— შენ არ კი იცი, რა სახელოვანი სტუმარი ეწვია ჩვენს გამგე-

ობას, — უთხრა მან პეტრეს და გაიმეორა ახალგაზრდა თავადის გვარი.

პეტრეს ხელები აუკანკალდა. პირველად იმ აზრმა გაუელვა თავში, რომ ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვას, ახლავე უნდა მივიდეს თავადთან და ფულზე მოელაპარაკოს. მაგრამ წამსვე მიიღო სხვა გადაწყვეტილებაც: იქნებ თავადმა არ იცის, რა ვილაპარაკეთ მე და მამამისმა და რას დამპირდა მოხუცი თავადი? ისე გამოდის, ფული უნდა გამოვძალოო... არა, არასოდეს არ დაიმცირებს თავს! მას, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, გააჩნია ადამიანური ღირსების გრძნობა. ბუნება ამ ნიჭით ყოველ კაცს აჯილდოებს — მისი ბრწყინვალება იქნება იგი თუ ყმა გლეხი, სწავლული თუ უცოდინარი. ცხოვრების ორომტრიალში ზოგჯერ ხდება, რომ ადამიანი კარგავს ამ გრძნობას, მაგრამ პეტრე მას ისევე უფრთხილდება, როგორც სალოცავს და ამაყობს კიდეც საკუთარი ღირსების გრძნობით.

და მაინც, სამუშაო დღე რომ ჩათავდა, პეტრეს არ უჩქარია შინ წასვლა. იგი ელოდა სასწაულს, მაგრამ სასწაული არ მომხდარა.

შინ დაბრუნებულ პეტრეს არაფერი უამბნია ოლიმპიადასათვის, მაგრამ ისეთ დღეში იყო, ცოლმა რამდენჯერმე შეშფოთებით თვითონ ჰკითხა:

— ავად ხომ არ გახდი? ვინმეს ხომ არ ელოდები? სამსახურში რაიმე ცუდი ხომ არ შეგემთხვა?

— არა, არავის არ ველოდები. ჯანმრთელადა ვარ. ცუდი არაფერი შემმთხვევია, — მერე, ცოტა ხანში, მაინც წამოსცდა ნაღვლიანი ხმით: — იცი, ოლიმპიადა, სასწაულის მოლოდინში ვარ!

ოლიმპიადა ფედოროვნამ საჩქაროდ გადაიწერა პირჯვარი: ღმერთო ჩემო, ხომ არ გადამერია ცაცი!

და სწორედ ამ დროს ვიღაცამ ფრთხილად მოაკაკუნა კარზე.

პეტრემ უცნაურად შეხედა ცოლს, პერანგი ჩაისწორა, თმაზე ხელი გადაისვა და კარის გასაღებად გაემართა.

სიბნელეში მან დაინახა მაღალი, ქალაქურად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი. ხოლო როცა სტუმარი წინა ოთახში შემოვიდა, იცნო იგი: იცნო ის სანდომიანი, კეთილი სახე, შავი თვალების სერიოზული, ტანჯული გამოხედვა. გულის ატკივებამდე რომ აგონებდა ი მ ი ს გამოხედვას...

— რაო, პეტრე, მიცანი?

— გიცანით, თქვენო ბრწყინვალებავ, — მდაბალი თავის დაკვრით მიესალმა პეტრე.

ოლიმპიადა განცვიფრებით მიშტერებოდა მოსულს.

— გიკვირს, განა?

— მიკვირს, — გულახდილად უთხრა პეტრემ, მერე თავს მოერია და ხელი გაიწოდა, რათა თავადისათვის პალტო ჩამოერთმია. — მობრძანდით. ძალზე მიხარია თქვენი ნახვა, თქვენო ბრწყინვალებავ...

ოლიმპიადა მაშინვე ოთახის მოწესრიგებას შეუდგა.

— ეს ჩემი მეუღლე ოლიმპიადა ფედოროვნა გახლავთ, — წარუდგინა ცოლი პეტრემ.

ოლიმპიადამ მდაბლად დაუკრა თავი. მერე ხელად აკრიფა ბავშვის აქეთ-იქით მიმოყრილი სამოსი, სათამაშოები და საწოლ ოთახში შეყარა, მერე კი, როგორც ეს ქალებმა იციან ხოლმე, რამდენიმე წუთში მთლად შეცვლილი გამოვიდა სტუმართან: ახალი კაბა და ფეხსაცმელი ეცვა, თმა გულმოდგინედ დავარცხნა.

— იქნებ გვიკადროთ და ჩაი დალიოთ ჩვენს ოჯახში? — გაუბედავად ჰკითხა ოლიმპიადამ, მაგრამ პასუხი არავის გაუცია და ქალიც გაემართა სამზარეულოსკენ, რათა სამოვარი გაეჩაღებინა.

სტუმარი კი უკვე მაგიდასთან მიდგმულ მერხს მიჯდომოდა — ლამაზი ყმაწვილი კაცი იყო, მშვიდი, მტკიცე, თავის თავში დარწმუნებული... სწორედ ამ თავდარწმუნებით გამოარჩევდით აქაურებისაგან, თანაც როგორ ალამაზებს თურმე ადამიანს ეს თავდაჯერება!

თავადი თითქოს მიუხვდა პეტრეს, რასაც ფიქრობდა და გულში ჩამწვდომად უთხრა:

— ყველაფერს შენ უნდა გიმადლოდე, პეტრე! არ გეგონოს, უმადური ვიყო. უბრალოდ, აქამდე პატარა ვიყავი. დიდი ხანი არ არის, რაც გავიგე, რომ მამაჩემს თურმე არ გადაუხდია შენი ვალი... საგანგებოდ ამისთვის არ წამოვსულვარ, შემეძლო კაციც გამომეგზავნა, მაგრამ გზა აქეთ მედო და ვიფიქრე, ვნახავ-მეთქი. იცი, ამ ბოლო წლებში ერთთავად დეკაბრისტების ცოლებზე ვფიქრობ. უბრალოდ, წარმოუდგენლად მეჩვენება მიატოვო პეტერბურგი, ფუფუნება, პატივი და ქმარს გაჰყვე გადასახლებაში — ციმბირში. მინ-

ოდა, ჩემი თვალით მენახა ეს ქალები. დავრწმუნებულიყავი, რომ ქვეყნად მართლაც არსებობენ ისინი. მენახა მათი ქმრები, მეთქვა მათთვის, რომ ბედნიერი ხალხია, რადგან ასეთი ქალები უდგანან მხარში. ბილიმბაიში შემოვლით სულაც არ ვიშორებდი გზას, ჰოდა, მეც ქარხნის დათვალიერება მოვიმიზეზე.

მერხზე, თავადის გვერდით, იდო მაგრად გატენილი ტყავის ჩანთა. თავადს არ აუღია იგი ხელში, მხოლოდ პეტრესკენ მისწია.

— აი ეს შენია. მე კარგად ავწონ-დავწონე, რისთვის უნდა დაგჭირებოდა ყველაზე მეტად ფული, და გადავწყვიტე, ალბათ, თავისუფლების მოსაპოვებლად-მეთქი, მერე ვითხოვე ზუსტად ეანგარიშათ ჩემთვის, რა დაჯდებოდა ოჯახის სამი წევრის გათავისუფლება. მითხრეს, სამიათასი ვერცხლის ფულიო. ამ ჩანთაში სწორედ სამი ათასია. შენი კუთვნილი სამი ათასი, პეტრე!

ოლმპიადას იქითა ოთახში ესმოდა მათი საუბარი და გულზე იტაცა ხელი. მერე შემოვარდა მათთან, ფეხებში ჩაუვარდა თავადს და ქმარსაც აიძულებდა დაეჩოქა მის წინ.

მაგრამ თავადმა წამოაყენა მტირალი ოლიმპიადა, პეტრეს გვერდით მიუსვა და თავადაც მათზე არანაკლებ აღელვებულმა უთხრა:

— ვითომ, ეს რა საჭიროა? ჩვენ, კაცმა რომ თქვას, ბარიბარში ვართ. არაფერიც არ მომხდარა განსაკუთრებული. ეს არის მხოლოდ, თქვენს თვალში მე და შამაჩემი წესიერ ხალხად დავრჩით. ეს ბომ ასეც უნდა იყოს. ადამიანი ვალდებულია, წესიერად მოიქცეს — აი ის კი, რომ ყველაფერი მიატოვო და ქმარს ციმბირში წაჰყვე — გმირობაა. ასეთი საქციელისათვის შეიძლება მართლაც დაუჩოქო კაცს. მეც სწორედ მუხლზე ჩოქვით ვუხდი მადლობას მათ.

რამდენი სიხარული, სინათლე და იმედი შემოიტანა ამ ქაბუკმა იმ საღამოს პეტრეს ოჯახში!

— იცით, თქვენო ბრწყინვალებავ, პატარაობაში ბიჭები ზოგჯერ უფროსებს შავ ფულს გამოვართმევდით ხოლმე და ვთამაშობდით, შევისროდით მაღლა და ვუყურებდით, როგორ დაეცემოდა, რა მოხვდებოდა მაღლა: „ორიოლი“ თუ „რეშკა“, გამარჯვება თუ მარცხი? მე მეგონა, მუდამ „რეშკა“ შემხვდებოდა. და, აი, ახლა, ხომ ხედავთ, „ორიოლზე“ დამიჯდა.

ილინსკოეს არქივში ინახება გრაფ ს. გ. სტროგანოვის ბრძანების დედანი.

1850 წლის ნოემბრის თვის წერილი № 179 პერმის განუყოფელი ადგილ-მამულის მთავარ მმართველს.

თქვენი წარდგინების პასუხად... (ამა წლის 19 აგვისტო, № 470) ბილიმბაის მოსამსახურის, პიოტრ იაკოვლევიჩ კუზნეცოვის ყმობიდან განთავისუფლების თაობაზე გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ მისი განთავისუფლებისა, მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ჩვენს ეკონომიაში შეიტანს: განთავისუფლებისათვის 900 ვერცხლის მანეთს, მისი პაპის (ცოლის მხრით) ნიკიტა კოლცოვის ვალს 99 მანეთს და 29 კაპ. ვერცხლით და ხაზინის გადასახადს 18 წლისას 1 მან. 463/4 კაპ. ვერცხლით წლიურად; რადგან კუზნეცოვი ჩაწერილია ახალ რევიზიაში, გარდა ამისა, უნდა გადაიხადოს, რაც მას წილად ხვდება, ბანკის გადასახადიც. თანაც მთავარი სამმართველო ვალდებულია, თვალყური ადევნოს, რა თანხას გადაიხდის კუზნეცოვი თავისუფლების ქაღალდის დამოწმების დროს და შეატყობინოს მთავარ კანტორას ეს ამბავი; თან გირთავთ რა ამასთან კუზნეცოვის თავისუფლების ქაღალდს, გავალებთ, განკარგულება გასცეთ, ამ ქაღალდის გაცემის დროს გადაახდევინონ მას ყველა ზემოთხსენებული თანხა, რაც ბატონთა ეკონომიას შეემატება.

ამ დოკუმენტის მეორე მხარეს წერია:

ეს ბრძანება და მისი თანმხლები კუზნეცოვის განთავისუფლების ქაღალდი გადაეცემა მთავარ სამმართველოს, რათა მან გვაცნობოს, ვისი პირით შეატყობინონ კუზნეცოვს, რომ აქ გადმოგზავნილია განთავისუფლების ქაღალდი და მისი ბრწყინვალების ახალი პირობები და მოეთხოვოს მას ფული, რაც გადასახადად ერგება ბრძანების თანახმად უკვე მისგან მიღებულ 1 ათას ვერცხლის მანეთს გარდა. ასევე გამოეცხადოს კუზნეცოვს, რომ განთავისუფლების ქაღალდის სისხლის სამართლის სამოქალაქო სასამართლოს პერმის პალატაში დამოწმება უნდა მოხდეს მისი მხრით და არა სასამართლოს მხრით, ან პირადად უნდა იზრუნოს ამაზე, ან დაავალოს მასზე ზრუნვა ვისაც სურს.

მთავარი მმართველი ვ. ვოლეგოვი,
1850 წ., 22 ნოემბერი, ილინსკოე.

მერე ამას მოსდევს:

გრ. ს. გ. სტროგანოვის მმართველობა 1848 წ-დან 1851 წ-დე. 1850 წლის 25 ნოემბრის წერილი, ქ. მოსკოვი.

პერმის განუყოფელი ადგილ-მამულის მთავარ მმართველს.

წინადადებას გაძლევთ, მსახურ პეტრე კუზნეცოვის მიერ მისი ყმობიდან განთავისუფლების საფასურად გადმოცემული 1000 ვერცხლის მან. შეიტანოთ ბილიმბაის სამმართველოში იმ თანხის ანგარიშში, რაც დანიშნულია ბილიმბაიელ გადმოსახლებულთა საბოლოოდ დაბინავებისათვის.

გრაფი ს. გ. ს ტ რ ო ვ ა ნ ო ვ ი.

ჩემი დიდი პაპის დღიურში კი ჩაწერილია:

აღვსილმა ენით უთქმელი სიხარულით, აღსავსემ მადლობით ზენაარისადმი და ჩემი კეთილი მღვდელმთავრისა და სასწაულთმოქმედ პეტრესადმი, დიდი ხნის ნანატრი თავისუფლების ქაღალდი, როგორც იქნა, მივიღე 1851 წლის 22 იანვარს საღამოს 7 საათზე. აუწერელი იყო ჩემი სიხარული.

წარმოდგენილი მაქვს ზამთრის ეს საღამო. ეს საათი, რომელზედაც გაუბედავად და მალულად ოცნებობდა პიოტრ იაკოვლევიჩი ჯერ კიდევ პატარა ბიჭობაში, ოცნებობდა ჭაბუკობაში და ოცნებობდა, როცა უკვე ოჯახის პატრონი იყო. რა მშვენიერი, მრავლისაღმთქმელი ეჩვენებოდა ცხოვრება ამ წამს. იგი აზატი გახდა, შეეძლო გაეკეთებინა, რაც სურდა! სწამდა თავისი ძალისა! იგი ბედნიერი იყო!

Кузнецова Агния Александровна

ДВА РАССКАЗА

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1988

რედაქტორი მ. ზუბადალაშვილი
მხატვარი ი. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე
კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი ქ. გუნცაძე
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 2.09.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.01.88. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16,74. საბ. ქაღალდი № 1. საღებავგატარება 17,2. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 14,1.
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 595.
ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მშვიდობის გამზირი № 28.
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира 28.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Государственного Комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.